

ვეფრობის ორგანიზაცია

სსრკ ვეფრობის სამინისტროს მიერ
დაშვებულია სახელმძღვანელოდ
უმაღლესი საეპრო სასწავლებლების
ეკონომიკური ფაქულტეტებისათვის.



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1987

სახელმძღვანელო შედგენილია შოქმედი პროგრამის შესაბამისად. მასში გაშუქებულია განვითარებული სოციალიზმის პირობებში ეპრობის ორგანიზაციისა და სავაქრო მომსახურების მეცნიერული საფუძვლები, გაყიდვის პროგრესული ფორმები, სავაქრო ორგანიზაციებისა და საწარმოთა კომერციული საქმიანობა, სახალხო მოხმარების საქონელზე მოთხოვნის შესწავლისა და პროგნოზირების ორგანიზაციის პრინციპები და ა. შ.

წიგნი განკუთვნილია სტუდენტებისა და ეპრობის დარგის მუშაკებისათვის.

სახელმძღვანელოს ავტორები არიან: ს. ვ. სერბერნიპოვი (თავი I, II თავის § 3, § II თავის § 4), დოც. ი. ა. ავანესოვი (თავი III და ეკონომიკურ-მათემატიკური შეთოდები და მოდულები თავები II, V, IX, X, XIII, XIV და XVII), დოც. ლ. ნ. ბრიზორინი (თავები II და VI), ეკ. მეცნ. კანდ. ზ. მ. ოპრუტ (თავი IV), დოც. ნ. ბ. სპაროხინი (თავები V და VII), დოც. ი. მ. ფელდმანი (თავები VIII — XII), დოც. ი. მ. იოფი (თავები XIII—XV), დოც. ს. ნ. ბროხინი (თავები XVI და XVII).

მთარგმნელები: დოც. ა. ლომიძე, დოც. შ. საბანაძე, დოც. ა. ბაზნიძე, უ/მასწ. შ. ჯეფინიძე, უ/მასწ. ნ. ხმალაძე, დოც. შ. ხაბააშვილი, დოც. ბ. ფარაჯევი, მასწ. გ. გიკაშვილი.

ქართული თარგმანის რედაქტორი: დოც. ა. ლომიძე

(C) თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1987

3503000000

0 _____

თ 608(06) — 87

**საბალო ვაჭრობის ძირითადი
ორგანიზაციულ-სამეურნეო რგოლები**

§ 1. სავაჭრო საწარმოები, მათი ამოცანები და ფუნქციები

ვაჭრობის განვითარება და სრულყოფა წარმოადგენს ხალხის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების აუცილებელ პირობას. ვაჭრობა სახალხო მეურნეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგად იქცა.

სკკბ XXV ყრილობამ ვაჭრობისა და სახალხო მოხმარების საქონლის მწარმოებელი დარგების წინაშე დასახა მნიშვნელოვანი ამოცანები საქონლის ასორტიმენტის გაფართოებისა და განახლების, მათი ხარისხის ამაღლების, ახალი მოდური საქონლის გამოშვებისა და გაყიდვის გადიდების მიმართულებით, რომელიც სარგებლობს მოსახლეობის გაზრდილი მოთხოვნით. განმტკიცდება და სრულყოფილი გახდება სამეურნეო კავშირები ვაჭრობასა და მრეწველობას შორის. ვაჭრობის დაკვეთები უნდა გახდეს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების მოცულობისა და ასორტიმენტის განსაზღვრის საფუძველი. შრომის დანაწილებამ წარმოებასა და მიმოქცევას შორის, სავაჭრო საწარმოებისა და ორგანიზაციების საგეგმო-ორგანიზაციულ სისტემაში საქონელმიმოქცევის ფუნქციის დამკვიდრებამ და ამასთან დაკავშირებით ვაჭრობის გამოცალკევებამ სახალხო მეურნეობის ცალკე დარგად საშუალება მოგვცა შეიქმნას ეკონომიკურად მიზანშეწონილი, მოქნილი, საქმიანობის სხვადასხვა პირობებისადმი შეგუებული ვაჭრობის აპარატი.

ისე როგორც სახალხო მეურნეობის სხვა დარგები, ვაჭრობაც ვითარდება, ფუნქციონირებს ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების მიმართულებით. ვაჭრობა წარმოადგენს სახალხო მეურნეობის ერთ-ერთ რთულ და დინამიკურ დარგს. მისი სტრუქტურა ხასიათდება დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპის საფუძველზე მოქმედი მრავალღონიანი, იერარქიული აღნაგობის სისტემით. ეს პრინციპი გამოხატულებას პოულობს სავაჭრო სისტემის ცალკეული სამეურნეო რგო-

ლების ოპერატიულ დამოუკიდებლობაში, ზემდგომ რგოლებზე მათ დაქვემდებარებულობაში.

სოციალისტური, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ძირითადი მასის უშუალოდ მომხმარებლამდე დაყვანა სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ქსელის მეშვეობით ხორციელდება.

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობა წარმოადგენს ორგანიზებულ ბაზარს, რომელსაც ქვეყნის საქონელბრუნვაში გაბატონებული მდგომარეობა უკავია და იგეგმება უშუალოდ სახელმწიფოს მიერ.

ვაჭრობის ძირითად ორგანიზაციულ-სამეურნეო რგოლს სავაჭრო საწარმო წარმოადგენს. სავაჭრო საწარმთა ერთობლიობა, რომელიც გაერთიანებულია სხვადასხვა დონის მართვის ორგანოების მიერ და სხვადასხვა უწყებაში შედის, ქმნის ვაჭრობის, როგორც სახალხო მეურნეობის დარგის, სისტემას.

ვაჭრობის პროცესი, ე. ი. საქონლის ყიდვა-გაყიდვის პროცესი, წარმოადგენს სავაჭრო საწარმოს ფუნქციას, რომელიც ახორციელებს საქმიანობას სახალხო-სამეურნეო გეგმის შესაბამისად და ზემდგომი ორგანოების ხელმძღვანელობით სრული სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე. სავაჭრო საწარმოს აქვს დამოკიდებული ბალანსი, ფლობს ძირითად და საბრუნავ საშუალებებს, წარმოადგენს იურიდიულ პირს და ახორციელებს დამთავრებულ სავაჭრო პროცესს, დაწყებული მიმწოდებლიდან საქონლის შესყიდვით და დამთავრებული მისი გაყიდვით,

„საწარმოს“ ცნების ეკონომიკურ-სამართლებრივი შინაარსის შესაბამისად სავაჭრო საწარმთა რიცხვს მიეკუთვნება საცალო სავაჭრო ორგანიზაციები, საცალო კანტორები, სრულ სამეურნეო ანგარიშზე მყოფი უნივერსალური მაღაზიები, გაერთიანებები, მუშათა მომარაგების განყოფილებები, მომხმარებელთა საზოგადოებები, საბითუმო ბაზები და კანტორები.

ცალკეული, ყველაზე მსხვილი მაღაზიები, რომლებიც შედიან საცალო სავაჭრო ორგანიზაციის ან გაერთიანების შემადგენლობაში, შეიძლება იყოს საწარმოები, თუ ისინი ფლობენ ძირითად და საბრუნავ საშუალებებს, დამოუკიდებლად ახორციელებენ საქონლის შესყიდვის და გაყიდვის ყველა სავაჭრო ოპერაციას, იმყოფებიან სრულ სამეურნეო ანგარიშზე და სარგებლობენ იურიდიული პირის უფლებებით. ასეთი საწარმოების მიმართ საცალო სავაჭრო ორგანიზაციები გამოდიან სამეურნეო მართვის ორგანოს (სავაჭრო ორგანიზაციის) როლში, ხოლო დანარჩენი სავაჭრო ერთეულების (მაღაზიების) მიმართ ასრულებენ სავაჭრო საწარმოს ფუნქციებს.

ამრიგად, ყველა მაღაზიის სავაჭრო საწარმოდ, ხოლო საცალო სავაჭრო ორგანიზაციებისა და გაერთიანებების ორგანიზაციებად წოდებ-

ბა შეიძლება მხოლოდ პირობითად, რადგან ეს უმეტეს შემთხვევებში არ პასუხობს ცნების შინაარსს¹.

შალაზიები — არადამოუკიდებელი სავაჭრო ერთეულები, რომლებიც შედიან სავაჭრო საწარმოს შემადგენლობაში, განიხილება, როგორც საქონლის გაყიდვის უნქტები, რომლებიც ასრულებენ სავაჭრო პროცესის მხოლოდ ნაწილს — საქონლის გაყიდვას.

წარმოადგენენ რა სავაჭრო საწარმოს მნიშვნელოვან ნაწილს, ისინი თავის ფუნქციებს ასრულებენ სამეურნეო ანგარიშის პირველადი ფორმის გამოყენებით გარკვეული დამოკიდებულების საფუძველზე.

საწარმოს იურიდიული პირის უფლებით აღჭურვა ნიშნავს მისთვის უმაღლესი ხარისხის სამეურნეო დამოუკიდებლობისა და თავისი საქმიანობის შედეგებზე სრული პასუხისმგებლობის მინიჭებას. სახელმწიფო ვაჭრობაში საწარმოს ამოცანები და ფუნქციები განსაზღვრულია დებულებით სოციალისტური სახელმწიფო წარმოებრივი საწარმოს შესახებ, რომლის მოქმედება ვრცელდება ვაჭრობაზეც.

სადაც სავაჭრო საწარმოს ძირითადი ამოცანაა საქონლის შესყიდვა და გაყიდვა მოხმარებელთა მოთხოვნის მაქსიმალურად დაკმაყოფილების მიზნით, სავაჭრო მომსახურების მაღალი ხარისხის, მიმოქცევისა და მოხმარების ხარჯების მინიმალური დონის პირობებში.

სავაჭრო საწარმოები სავაჭრო საქმიანობას უთავსებენ მაღაზიების, ფილიალების, საწყობებისა და სხვა დაქვემდებარებული სავაჭრო-სამეურნეო რგოლების მართვას და სამეურნეო მომსახურებას.

აქედან გამომდინარე, სავაჭრო საწარმოს (ორგანიზაციის) ფუნქციები შეიძლება დავეყოს სამ სახედ:

1. სავაჭრო ოპერატიული — საქონლის შესყიდვა მიმწოდებლებიდან, მისი მიღება, შენახვა, სავაჭრო ქსელის მომარაგება საქონლით, მისი გაყიდვა, საანგარიშსწორებო-საფინანსო ოპერაციები.

2. სამეურნეო მომსახურება — მაღაზიებისა და საწყობების მშენებლობა და შეკეთება, ტვირთის გადაზიდვა, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება.

3. მართვა-დაგეგმვა, აღრიცხვა, კონტროლი სამეურნეო საქმიანობაზე, ოპერატიული ხელმძღვანელობა, შრომის ორგანიზაცია.

ამრიგად, არ არის საფუძველი საცალო სავაჭრო ორგანიზაციის, გაერთიანების, უნივერსალის აპარატი მთლიანად ჩავთვალოთ მმართველობითად. მათ ძირითად, განმსაზღვრელ ფუნქციებს სავაჭრო-ოპერატიული, კომერციული და სამეურნეო ფუნქციები წარმოადგენს.

¹ ვითვალისწინებთ რა არსებულ ტრადიციულ ტერმინოლოგიას, საცალო სავაჭრო ორგანიზაციები, გაერთიანებები, მშპ და სხვანი, თუმცა ასრულებენ საწარმოთა ფუნქციებს, შემდგომში მათ ვუწოდებთ სავაჭრო ორგანიზაციებს, ხოლო მაღაზიებს — საწარმოებს.

თავს უყრის რა სავაჭრო ქსელისათვის საჭირო საქონლის ძირითადი მასის შესყიდვას, სავაჭრო საწარმოს (ორგანიზაციის) აპარატს საშუალება ეძლევა მუდმივი კავშირი დაამყაროს მრავალრიცხოვან მიმწოდებლებთან, წარუდგინოს მათ შეკვეთები საქონლის მსხვილი პარტიებით მიწოდებაზე, ზოგჯერ მალაზიებში საქონლის ცენტრალიზებული შეზიდვა.

ამის შედეგად მალაზიის მუშაკებს, რომლებიც თავისუფლებიან საქონლის შექენასთან დაკავშირებული რთული სამუშაოებისაგან, შესაძლებლობა აქვთ ძირითადი ყურადღება დაუთმონ მყიდველთა მომსახურების ორგანიზაციას.

ზოგიერთი სავაჭრო საწარმო ეწევა საწარმოო საქმიანობას (ხილი-სა და ბოსტნეულის გადამამუშავებელი პუნქტები, სხვადასხვა ნაწარმის დამამზადებელი სახელოსნოები, ატელიები და სხვ.). მისი მიზანია დამატებითი სასაქონლო რესურსების ჩართვა საქონელბრუნვის გადიდებისა და საქონლის ასორტიმენტის გაფართოებისათვის.

§ 2. სახელმწიფო საცალო ვაჭრობის ორგანიზაციებისა და საწარმოების ძირითადი სახეები

მიმოქცევის სფეროში სახელმწიფო ვაჭრობა ხასიათდება სოციალისტური განსაზოგადების უმაღლესი საფეხურით. მას ძირითადი ადგილი უკავია ქვეყნის ვაჭრობაში და მოიცავს მთელი საცალო საქონელბრუნვის 2/3-ზე მეტს. სახელმწიფო საცალო ვაჭრობის საწარმოები და ორგანიზაციები უმეტესად ემსახურებიან ქალაქისა და ქალაქის ტიპის დაბების მოსახლეობას.

სახელმწიფო საცალო ვაჭრობას ახორციელებს სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს, მრეწველობის საწარმოთა და ტრანსპორტის მუშაკთა მომარაგების განყოფილებების, არასამრეწველო სამინისტროებისა და უწყებების სავაჭრო ორგანიზაციების სისტემები.

სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს საცალო ვაჭრობის სისტემას წამყვანი ადგილი უჭირავს, მასზე მოდის ქვეყნის საცალო საქონელბრუნვის დაახლოებით ნახევარი, ეს სისტემა აერთიანებს რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების სავაჭრო ორგანიზაციებსა და საწარმოებს.

მოკავშირე რესპუბლიკების ვაჭრობის სამინისტროები ახორციელებენ საგემო-მარეგულირებელ ხელმძღვანელობას და კონტროლს რესპუბლიკის ყველა სავაჭრო ორგანიზაციის მუშაობაზე, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად.

რსფსრ ვაჭრობის სამინისტროს რესპუბლიკური დაქვემდებარების ორგანიზაციებს მიეკუთვნება:

„გლაკჟორორტორაგი“ — საკურორტო ადგილებზე ვაჭრობის მთა-

ვარი სამმართველო, რომელიც აერთიანებს კურორტვაჭრობებს, კანტორებს, რესტორნებისა და სასადილოების ტრესტებს. ვარდა ამისა, ახორციელებს სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების სასურსათო საქონლით მომარაგებას.

„გლავიუველიტორგი“ — საიუველირო ნაწარმით ვაჭრობის მთავარი სამმართველო, რომელიც საბითუმო და საცალო ვაჭრობის წესით რეალიზაციას უკეთებს საიუველირო ნაწარმს და საათებს. ქალაქებში მის ოლქთაშორის კანტორებს ეკუთვნის სპეციალიზებული მაღაზიები და შემსყიდველი პუნქტები.

„ბოსილტორგი“ — რესპუბლიკური საამანათო კანტორა, რომელიც საამანათო ოპერაციების გზით ახორციელებს რადიო და ფოტოსაქონლის, მუსიკალური, სპორტული საქონლის, ველოსიპედებისა და მოტოციკლების სათადარიგო ნაწილების და სხვათა საცალო გაყიდვას.

ამანათვაჭრობას აქვს საამანათო ბაზები მოსკოვში, სვერდლოვსკში, ნოვოსიბირსკში, ირკუტსკსა და სხვა ქალაქებში, აგრეთვე სპეციალიზებული ბაზები ცალკეული საქონლის წარმოების ადგილებზე.

საეაჭრო ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ საცალო ვაჭრობას, გააჩნია სხვა მოკავშირე რესპუბლიკებსაც. იუველირვაჭრობა აქვს თითქმის ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს. რესპუბლიკური კურორტვაჭრობები არის უკრაინაში, აზერბაიჯანში, ყირგიზეთში.

ბელორუსიის ვაჭრობის სამინისტროს დაქვემდებარებაში იმყოფება საცალო საეაჭრო ორგანიზაცია — „ბელუნივერმალი“. უნივერმალები ვაჭრობის სამინისტროს უშუალო დაქვემდებარებაში იმყოფება ზოგიერთ სხვა რესპუბლიკაშიც.

სსრკ ვაჭრობის სამინისტროს საცალო ვაჭრობის სისტემაში ძირითადი ადგილი უკავია ადგილობრივი დაქვემდებარების საეაჭრო ორგანიზაციებს.

ადგილობრივი საეაჭრო ორგანიზაციების ორგანიზაციულ წყობას საფუძვლად უდევს ორი ნიშანი: ადმინისტრაციულ-ტერიტორიული და სასაქონლო-დარგობრივი. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ნიშნის მიხედვით საცალო საეაჭრო ორგანიზაციები შეიძლება იყოს საერთო-საქალაქო, სარაიონო და რაიონთაშორისი. ისინი თავის საქმიანობას წარმართავენ ქალაქის ტერიტორიის ფარგლებში ან მის ნაწილში. მათ შეიძლება ჰქონდეთ ფილიალები ქალაქიდან დაშორებულ საცხოვრებელ მსიხეებში, დაბებში, აგრეთვე პატარა ქალაქებში.

სასაქონლო-დარგობრივი ნიშნის მიხედვით არჩევენ შემდეგი სახის საცალო საეაჭრო ორგანიზაციებს:

შერეული (უნივერსალური), რომელიც ვაჭრობს სასურსათო და არასასურსათო საქონლით (ქალაქვაჭრობა):

სასურსათო: 1. არასპეციალიზებული და კომპლექსური ასორტიმენ-

ტის (სურსათვაჭრობა, უნივერსამევაჭრობა, საცალო სავაჭრო ორგანიზაცია „გასტრონომი“); 2. სპეციალიზებული (პურვაჭრობა);

არასასურსათო: 1. არასპეციალიზებული და უნივერსალური (მრეწვაჭრობა). 2. სპეციალიზებული (სავაჭრო ორგანიზაციები „ტანსაცმელი“, სამეურნეო ვაჭრობა, სპორტკულტევაჭრობა).

ყველაზე მეტი ხვედრითი წონა (40%-ზე მეტი) უკავია შერეულ (უნივერსალურ) საცალო სავაჭრო ორგანიზაციებს. ისინი ემსახურებიან უმთავრესად ქალაქებს, სადაც მალაზიების რაოდენობის სიმცირის გამო არ არის აუცილებელი სავაჭრო ორგანიზაციების სპეციალიზაცია.

ამჟამად საცალო სავაჭრო ორგანიზაციების ტიპების რაოდენობა მკვეთრად შემცირებულია.

სსრკ ვაჭრობის სამინისტრომ 1974 წ. დაამტკიცა სსრკ ვაჭრობის სამინისტროს სისტემის საცალო ვაჭრობის სამეურნეო ორგანიზაციების ძირითადი ტიპების ნომენკლატურა. მასში გათვალისწინებულია 13 ტიპის ორგანიზაცია, აქედან 8 ტიპის საცალო სავაჭრო ორგანიზაციაა (უნივერსალური საცალო სავაჭრო ორგანიზაცია, სურსათვაჭრობა, უნივერსამევაჭრობა, სავაჭრო ორგანიზაცია „გასტრონომი“, პურვაჭრობა, მრეწვევაჭრობა, სავაჭრო ორგანიზაცია „ტანსაცმელი“ სპორტკულტევაჭრობა, სამეურნეო ვაჭრობა), დანარჩენი ორგანიზაციები არის საბითუმო-საცალო გაერთიანებები და ქალაქის ვაჭრობის სამმართველოები.

ნომენკლატურაში მითითებულია სხვადასხვა ტიპის საცალო სავაჭრო ორგანიზაციების შექმნის პირობები. მაგ., ქალაქში 50 მლნ-მდე მან. წლიური საქონელბრუნვით იქმნება ერთი უნივერსალური (შერეული) საცალო სავაჭრო ორგანიზაცია; 50 მლნ-დან 100 მლნ-მდე მან. ბრუნვით სასურსათო და არასასურსათო საცალო სავაჭრო ორგანიზაცია, 200—400 მლნ მან. საქონელბრუნვით რეკომენდებულია 2-3 სურსათვაჭრობის (უნივერსამევაჭრობის), საცალო სავაჭრო ორგანიზაცია „გასტრონომის“, პურვაჭრობის და მრეწვევაჭრობის ორგანიზაცია, ქალაქებში 300—400 მლნ მან. ბრუნვით დამატებით იქმნება სპორტკულტევაჭრობა.

საცალო სავაჭრო ორგანიზაცია „გასტრონომი“ აწყობს ფართო ასორტიმენტის ხორცის, თევზის, რძის გასტრონომიის, საკონდიტრო ნაწარმის, ღვინისა და ხილის გაყიდვას. მის წილად უნდა მოდიოდეს ქალაქში გაყიდული სასურსათო საქონლის მთელი მოცულობის 20%-მდე.

უნივერსამის ტიპის მალაზიების მასობრივი მშენებლობის პირობებში მიზანშეწონილია შეიქმნას უნივერსამევაჭრობა იმის გათვალისწინებით, რომ მათ პერსპექტივაში უნდა შეცვალონ სურსათვაჭრობები.

სამეურნეო ვაჭრობა და საცალო სავაჭრო ორგანიზაცია „ტანსაცმე-

ლი“, არასასურსათო სავაჭრო ორგანიზაციებთან ერთად, იქმნება ქალაქებში 400—700 მლნ მან. წლიური საქონელბრუნვით.

საცალო სავაჭრო ორგანიზაცია „ტანსაცმლის“ საქონლის ასორტიმენტში შედის შეკერილი ნაწარმი, ფეხსაცმელი, ქსოვილები, ტრიკოტაჟი, თავსაბურავი და თანგამყოლი საგალანტერიო საქონელი. ქალაქებში 700 მლნ მან. მეტი წლიური საერთო ბრუნვით სავაჭრო ორგანიზაციების ნომენკლატურა განსაკუთრებულად დგინდება.

უქანასკნელ წლებში ადგილობრივი ორგანოების ინიციატივით მიმდინარეობს ახალი ტიპის სავაჭრო ორგანიზაციების შექმნის პროცესი. ამ ღონისძიებების დიდი ნაწილი ექსპერიმენტულ ხასიათს ატარებს. რეორგანიზაციის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს მსხვილი სავაჭრო ორგანიზაციების შექმნა ქალაქის ადგილობრივი სავაჭრო ორგანიზაციების შეერთების საფუძველზე. ამის ყველაზე უფრო ნათელ მაგალითად გამოდგება ქ. კლაიპედაში და ლიტვის სსრ ზოგიერთ სხვა ქალაქში, აგრეთვე ქ. კოსტრომაში გატარებული ღონისძიებანი.

ქ. კლაიპედაში ადგილობრივი სავაჭრო ორგანიზაციები ლიკვიდირებულია და ყველა მალაზია ექვემდებარება სამეურნეო ანგარიშზე მყოფ ქალაქის ვაჭრობის სამმართველოს. ქსელის ოპერატიული ხელმძღვანელობისათვის შექმნილია განყოფილებები. სასურსათო მალაზიების ქსელი იმყოფება სასურსათო ბაზის დაქვემდებარებაში, რომელიც მოქმედებს სამმართველოს დარგობრივი განყოფილების უფლებით. თავისი მალაზიები და საწყობები აქვს ხილ-ბოსტნეულის ბაზას. არასასურსათო საქონლის განყოფილება ფლობს არასასურსათო მალაზიების ქსელს. სამმართველოს შემადგენლობაში შედის აგრეთვე სასადილოების ტრესტი.

ფუნქციური და მომსახურების განყოფილებები — საგეგმო-საფინანსო განყოფილება, ცენტრალური ბუღალტერია, კადრების განყოფილება, საორგანიზაციო განყოფილება, რეკლამის ბიურო და სხვა — საერთოა მთელი სამმართველოსათვის.

ქ. კლაიპედაში სამმართველოს სტრუქტურის სპეციფიკურ ნიშანს წარმოადგენს მალაზიების გაერთიანება პირველად ჭგუფში — ე. წ. გაერთიანებული დირექციების სახით. სასურსათო მალაზიები გაერთიანებულია ხუთ ტერიტორიულ ჭგუფში, თითოეულში 8-11 მალაზია, სათაო მალაზიის ხელმძღვანელობით. წვრილი საცალო ქსელი ქმნის ცალკე ჭგუფს.

არასასურსათო მალაზიები დაჭგუფებულია საქონლურ-დარგობრივი ნიშნის მიხედვით. მათ მიკუთვნებული აქვთ ფირმის სახელწოდება, ყოველ ფირმას აქვს თავისი სასაწყობო მეურნეობა, აწყობს თავისი მალაზიების მომარაგებას. სამეურნეო ანგარიშზე მყოფი ქალაქის ვაჭრობის სამმართველოს შექმნამ განაპირობა რენტაბელობის მაღალი

დონის მიღწევა (დაახლ. ბრუნვის 2,2%), საქონელბრუნვის სწრაფი ზრდა.

ქ. კოსტრომაში ადრე მოქმედი ხუთი საცალო სავაჭრო ორგანიზაციის ნაცვლად შეიქმნა ორი გაერთიანება „სასურსათო საქონელი“ და „სამრეწველო საქონელი“, რომლებსაც ექვემდებარება 170-ზე მეტი მაღაზია. ახალი გაერთიანებები საქმიანობის ხასიათის მიხედვით წარმოადგენს მსხვილი სავაჭრო ორგანიზაციის მოდიფიკაციას, წარმოქმნილ გამსხვილებიან და ცენტრალიზაციის საფუძველზე. ცენტრალური სადისპეტჩერო სამსახურის შექმნამ შესაძლებელი გახადა სატრანსპორტო ხარჯების შემცირება. შეიქმნა დაფასოების ოპერაციების კონცენტრაციის შესაძლებლობა.

უნივერსალური ხასიათის საერთო-საქალაქო სავაჭრო ორგანიზაციების შექმნა წარმოადგენს ადგილობრივი სავაჭრო ორგანიზაციების სისტემის, მათი გამსხვილებული ვარიანტების განვითარებას და პროგრესულ ხასიათს ატარებს. ამასთან, ყოველთვის ხდება სავაჭრო ორგანიზაციის საწარმოს შენარჩუნება, რომელიც აერთიანებს მაღაზიებს, იცვლება მხოლოდ მისი სტრუქტურა და ფუნქციები.

უქანასენელ წლებში მსხვილ ქალაქებში ფართო განვითარება პოვა სპეციალიზებულმა საერთო-საქალაქო სავაჭრო ორგანიზაციებმა, ფირმის ან გაერთიანების სახელწოდებით.

ყველაზე უფრო ცნობილია მოსკოვის გაერთიანება „ბავშვთა სამყარო“, რომელიც მოიცავს საბავშვო საქონლის სათაო უნივერსალურ მაღაზიას. „ბავშვთა სამყარო“ და მის 24 ფილიალს. საქონლის უნივერსალური ასორტიმენტით მოვაკრე ფილიალების გარდა, გაერთიანებაში შედის სპეციალიზებული მაღაზია — ფილიალები „მალის“, „პიონერ“, „იუნოსტ“, სათამაშოების სახლი და სხვ. გაერთიანება. „ბავშვთა სამყარო“ მოქმედებს სხვა ქალაქებშიც (მაგ., ერევანში, თბილისში).

უფრო მასობრივი გავრცელება პოვა მაღაზიების მცირე გაერთიანებების შექმნამ ე. წ. გაერთიანებული ღირექციების ფორმით. გაერთიანებული ღირექცია მოიცავს 2-დან 10-12 მაღაზიას, მათ შორის ერთი გამოდის, როგორც სათაო.

სასურსათო მაღაზიები, როგორც წესი, ერთიანდებიან ტერიტორიული ნიშნით, არასასურსათო კი — საქონლურ-დარგობრივით (მაგ., ტანსაცმლის მაღაზიები, ფეხსაცმლის მაღაზიები და ა. შ.).

გაერთიანებების შექმნის უმნიშვნელოვანესი მოტივია კომერციული ფუნქციების კონცენტრაცია და მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების გაუმჯობესება. სათაო მაღაზიის ღირექტორი საქონლის მიწოდებაზე შეკვეთას წარადგენს გაერთიანების ყველა მაღაზიისათვის, თვალყურს ადევნებს მომარაგების დროულობას და სისრულეს, სავაჭრო ორგანიზაციაში ადგენს ანგარიშგებას. ამ შემთხვევაში უფრო

ეფექტიანად გამოიყენება სატრანსპორტო საშუალებები, რამდენადაც ერთდროულად მარაგდება გაერთიანებული ღირებულების ყველა მაღაზია. გაერთიანებული ღირებულება, როგორც წესი, აერთიანებს ურთიერთშემავსებელი ასორტიმენტის საქონლის მაღაზიებს, რაც მყიდველები-სათვის ხელსაყრელია.

არასასურსათო სპეციალიზებული მაღაზიების გაერთიანებული ღირებულების ორგანიზაცია იძლევა მოსახლეობის მოთხოვნის უფრო ღრმად შესწავლისა და საქონლის ასორტიმენტის სწორად დაკომპლექტების საშუალებას.

გაერთიანებული ღირებულებისაგან (ზოგჯერ მათ უწოდებენ გაერთიანებებს, ფირმებს) საჭიროა განვსხვავოთ მაღაზიები ფილიალებით. ეს უკანასკნელი პატარა ვიწრო სპეციალიზებული მაღაზიების (სათამაშოები, თეთრეული, წინდა, წვენები და ღვინო და ა. შ.) სახით განლაგებული არიან თავიანთ სათაო მაღაზიასთან ახლოს და ფაქტობრივად მის სექციებს წარმოადგენენ.

რიგ რესპუბლიკებში საცალო გაერთიანებებთან შექმნილია საბითუმო-საცალო გაერთიანებები (ფირმები). მაგალითად, უკრაინის სსრკ ვაჭრობის სამინისტროსთან მოქმედებს ოთხი რესპუბლიკური საბითუმო-საცალო გაერთიანება: „ტანსაცმელი“, „ფეხსაცმელი“, „ავეჯი“ და „სპორტსაქონელი“. ისინი საბითუმო ბაზებისა და სპეციალიზებული მაღაზიების ქსელის მქონე მსხვილი ორგანიზაციებია. ამასთან, უნივერსალური და კომპლექსური ასორტიმენტის მაღაზიების ქსელის გაფართოების საერთო ტენდენციის პირობებში გაერთიანებების სპეციალიზაცია პერსპექტივაში ზღუდავს მათ შემდგომ განვითარებას.

უკანასკნელ წლებში გავრცელება პოვა სამრეწველო სამინისტროების სისტემაში შემავალმა საფირმო მაღაზიებმა. ასე მაგ., სსრკ თევზის მეურნეობის სამინისტრომ შექმნა თევზისა და ზღვის პროდუქტების გასაყიდი გაერთიანება (ფირმა) „ოკეანე“, რომელსაც თავისი ქსელი აქვს ქვეყნის უმსხვილეს ქალაქებში.

თავისი საფირმო მაღაზიები აქვს მოსკოვის საწარმოო სამკერვალო გაერთიანება „ბოლშევიჩკასაც“. რიგი საწარმოო-საევაკრო კომპლექსებში შეიქმნა უკრაინაში, მოლდავეთში, ბალტიისპირეთსა და სხვა რესპუბლიკებში. ვაჭრობისა და წარმოების გაერთიანებას (სპეციალიზებული საწარმო-საევაკრო კომპლექსის ჩარჩოებში) აქვს თავისი ღირსებები (გაყიდვის პროცესის დაჩქარება, მოსახლეობის მოთხოვნის უფრო ღრმად შესწავლა, ვაჭრობის ეფექტიანობის ამაღლება).

მიუხედავად ამისა, ვაჭრობის განვითარების მთავარ მიმართულებად რჩება მრეწველობასა და ვაჭრობას შორის შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ოპტიმალური ფორმის ყველა ღონისძიებით გამოყენება. ვაჭრობის განთავისუფლება საწარმოო ფუნქციების შესრულებისაგან,

საქონელმომოქცევის პროცესისა და მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების სრულყოფა.

მიუხედავად მსხვილი გაერთიანებების ორგანიზაციული ფორმების მრავალფეროვნებისა, მათ ფართო გავრცელება ვერ პოვის და მათი როლი საქონელბრუნვაში ჯერ კიდევ მცირეა (3-4%). არსებული საცალო, საბითუმო-საცალო და საწარმოო-სავაჭრო გაერთიანებები ძირითადად ექსპერიმენტულ ხასიათს ატარებს.

სავაჭრო საწარმოებისა და ორგანიზაციების შექმნისა და ოპტიმალური ფუნქციონირების პრობლემა დღემდე ჯერ კიდევ საბოლოოდ გადაჭრილი არ არის. მისი გადაწყვეტა მეცნიერული კვლევის მონაცემებს უნდა ემყარებოდეს.

სახელმწიფო საცალო ვაჭრობის სისტემაში 1976 წლის დასაწყისისათვის ითვლებოდა 1742 საცალო სავაჭრო ორგანიზაცია (განყოფილების გარეშე), 124 სავაჭრო კანტორა, 134 სრულ სამეურნეო ანგარიშზე მყოფი უნივერსალი, 110 სავაჭრო ფირმა, 2255 მუშათა მომარაგების განყოფილება და სურსათმომარაგება.

მსხვილი მაღაზიების ქსელის (უნივერსალები, უნივერსალები) განვითარება, თანამედროვე ავტომატიზებული საწყობების მშენებლობა, ვაჭრობაში მართვის ავტომატიზებული სისტემის დანერგვა ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების გამოყენებით ფართო შესაძლებლობებს ქმნის ორგანიზაციების ახალი ფორმების წარმოქმნისათვის, რომლებიც პასუხობს ტექნიკური პროგრესის მოთხოვნებს. ასეთი სავაჭრო ორგანიზაციები შეიძლება იყოს როგორც ადგილობრივი, ისე რესპუბლიკური, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში საერთო-საკავშირო. ასეთი სავაჭრო ორგანიზაციების შექმნის მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს მაღაზიების ტიპიზაცია, მათი ასორტიმენტის უნიფიკაცია, საქონელმომარაგების, ასორტიმენტის ფორმირებისა და სავაჭრო-სასაწყობო ქსელში საქონლის მარაგის ავტომატიზებული მართვა.

§ 8. კოოპერაციული საცალო ვაჭრობის ორგანიზაციული ფორმები

მომხმარებელთა კოოპერაციის ძირითად პირველად რგოლს მომხმარებელთა საზოგადოება წარმოადგენს. მოქმედების რაიონის მიხედვით არჩევენ სოფლის მომხმარებელთა საზოგადოებას (სოფკოოპი), რაიონულს (რაიკოოპი), საქალაქოს (ქალაქკოოპი). ქალაქის კოოპერატივი იქმნება მცირე ქალაქებში.

მომხმარებელთა საზოგადოებები განსხვავდება აგრეთვე თავისი წევრების შეზღვევადობის მიხედვით. სოფელ ადგილებში განლაგებული სამრეწველო საწარმოების მუშა-მოსამსახურეები ერთიანდებიან მუშათა კოოპერატივებში (მუშკოოპი), საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეები — საბჭოთა მეურნეობის მუშათა კოოპერატივებში.

თევზის მრეწველობის მუშა-მოსამსახურეები და მეთევზე კოლმეურ-
ნეები — მეთევზეთა კოოპერატივებში.

კოოპერატივები (მომხმარებელთა საზოგადოებები) ფუნქციონირე-
ბენ წესდების საფუძველზე, ფლობენ ძირითად და საბრუნავ საშუალე-
ბებს და თავიანთი ეკონომიკურ-სამართლებრივი ბუნებით სავაჭრო სა-
წარმოებს წარმოადგენენ.

რაიონის მომხმარებელთა საზოგადოებები ერთიანდებიან რაიკოოპ-
კავშირებში. საშუალოდ ერთი რაიკოოპკავშირი აერთიანებს 5-6 მომხ-
მარებელთა საზოგადოებას. რაიკოოპკავშირებს აქვთ თავისი საცალო
ქსელი-უნივერსალები, სავაჭრო ცენტრები, სპეციალიზებული არასა-
სურსათო და მსხვილი სასურსათო მალაზიები.

კოოპერატივების გამსხვილების პროგრესულ ტენდენციასთან და-
კავშირებით მრავალ რაიონში სოფლის მომხმარებელთა საზოგადოე-
ბები ერთიანდებიან ერთიან კოოპერატივში — რაიონის მომხმარებელ-
თა საზოგადოებაში (რაიკოოპი), რომელსაც გადაეცემა რაიონის მთელი
კოოპერაციული სავაჭრო ქსელი.

კოოპერაციული სავაჭრო ორგანიზაციების გამსხვილებამ შესაძლე-
ბელი გახადა გაერთიანებათა შექმნაზე გადასვლა. რაიკოოპკავშირები-
სა და რაიკოოპერატივების შემადგენლობაში წარმოიშვა გაერთიანება
„კოოპუნეერმალი“, რომლის შემადგენლობაში შედის რაიონული
უნივერსალური მალაზია (როგორც სათაო), ქსოვილების, შეკერილი ნა-
წარმის, ფეხსაცმლის, კულტსაქონლისა და სამეურნეო საქონლის სპეცი-
ალიზებული მალაზიები. გაერთიანება საქმიანობას წარმართავს სამეუ-
რნეო ანგარიშის საწყისებზე, აქვს დამოუკიდებელი ბალანსი და კრე-
დიტდება ბანკში. რაიონებში, სადაც არის წიგნის მალაზიების გაშლილი
ქსელი, იქმნება გაერთიანება „რაიკოოპწიგნითვაჭრობა“.

სამომხმარებლო კოოპერაცია ქალაქებსა და მუშათა დაბებში აწ-
ყობს სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ვაჭრობას. ამ მიზნით, კო-
ოპერაციული ორგანიზაციები კოლმეურნეებისა და სხვა მოქალაქეები-
საგან ყიდულობენ, აგრეთვე კოლმეურნეობებისაგან საკომისიოდ ღებუ-
ლობენ ნამეტ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს და ყიდიან მათ რო-
გორც ადგილობრივ ბაზარზე, ისე ქვეყნის სხვა რაიონებში. ფასები, რო-
მლითაც წარმოებს პროდუქციის შესყიდვა და მიღება საკომისიოდ, დგი-
ნდება მორიგებით, რისთვისაც კოლმეურნეობებს გამოეყოფა ავანსი
პროდუქტების გათვალისწინებული ღირებულების 70%-ის ოდენობით.

საქონლებრუნვის მნიშვნელოვანი მოცულობის შემთხვევაში ქალა-
ქებში იქმნება სამეურნეო ანგარიშზე მყოფი კოოპერაციული სავაჭრო
ორგანიზაცია „ქალაქკოოპვაჭრობა“. სოფლის მეურნეობის პროდუქ-
ტებით კოოპერაციული ვაჭრობა უადვილებს კოლმეურნეობებს და
კოლმეურნეებს პროდუქციის გასაღებას და ხელსაყრელია ქალაქის მო-
სახლეობისათვის, რამდენადაც მოსახლეობას საქონელი მიეყიდება ბა-
ზრის ფასებთან შედარებით 15—20%-ით ნაკლებ ფასად.

საცალო სავაჭრო ქსელის ორგანიზაცია

§ 1. საცალო სავაჭრო ქსელის სახეები

ვაჭრობის განვითარების მიღწევები ორგანულად არის დაკავშირებული მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობასა და სრულყოფაზე, რომლის საფუძველს საცალო სავაჭრო ქსელი წარმოადგენს.

საცალო სავაჭრო ქსელს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ვაჭრობის უმნიშვნელოვანესი ფუნქციის — საქონლის მომხმარებლამდე დაყვანისა და საქონელმომოქცევის პროცესის დასრულების განხორციელების საქმეში.

ამასთან დაკავშირებით სავაჭრო ქსელის მთავარ ამოცანას წარმოადგენს საქონლის გაყიდვის უზრუნველყოფა საზოგადოებრივი შრომის მინიმალური დანახარჯებით, მოსახლეობის მომსახურების მაღალი ხარისხის პირობებში.

ქვეყნის საცალო ქსელის რაციონალური აგება, მისი განვითარების სწორი მიმართულების შერჩევა განისაზღვრება სოციალური, ეკონომიკური და ორგანიზაციული წინაპირობებით. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია შემდეგი: საცალო საქონელბრუნვის მოცულობის განუხრელი ზრდა და მისი სტრუქტურის სრულყოფა; მშრომელთა თავისუფალი დროის გადიდება და სავაჭრო მომსახურების დონისადმი მზარდი მოთხოვნა; ქალაქის მოსახლეობის რიცხვის ზრდა, საბინაო მშენებლობის მაღალი ტემპები; სავაჭრო მშენებლობისათვის გამოყოფილი კაპიტალური დაბანდებების მოცულობის გადიდება; მოსახლეობის სატრანსპორტო მომსახურების გაუმჯობესება და სხვ.

სავაჭრო ქსელის განვითარება წარმოადგენს მოხმარების ხარჯების შეშვირების, მყიდველთა მოთხოვნის დაკმაყოფილების ხარისხისა და ვაჭრობის კულტურის ამაღლების აუცილებელ პირობას. ომისშემდგომ პერიოდში საცალო სავაჭრო ქსელი გაიზარდა 407,2 ათასი ერთეულიდან 1941 წ. 1 იანვრისათვის 696,1 ათასამდე 1976 წ. დასაწყისისათვის.

ახალ მშენებლობასთან ერთად ხორციელდება მოქმედი საცალო ქსელის რეკონსტრუქცია და მოდერნიზაცია.

მაღაზიების მხიშვნელოვან ნაწილს ჯერ კიდევ აქვს მცირე სავაჭრო ფართობი, რაც ვერ ქმნის ხელსაყრელ პირობებს ვაჭრობის ორგანიზაციისათვის, დამატებითი ფართო არჩევის უზრუნველყოფისა და მყიდველთა დამატებითი მომსახურების გაწევისათვის. საცალო სავაჭრო ქსელის შემდგომი განვითარების ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს მაღაზიების საშუალო ზომების გამსჯილება. ერთი მაღაზიის სავაჭრო ფართობის საშუალო ზომა 1976 წ. 1 იანვრისათვის (კვ. მ-ობით) შეადგენდა: მთლიანად ქვეყანაში — 72,9, სახელმწიფო ვაჭრობაში — 102, კოოპერაციულ ვაჭრობაში — 49.

სავაჭრო ქსელის განვითარება ემყარება გეგმაზომიერებისა და პროპორციულობის პრინციპებს. ეს ნიშნავს, რომ იგი დაკავშირებული უნდა იყოს საქონელბრუნვის მოცულობის გადიდებასთან, მისი სტრუქტურის ცვლილებებთან, აგრეთვე საბინაო მშენებლობის განვითარებასთან, მოსახლეობის რიცხვის ზრდასთან. გარდა ამისა, სავაჭრო ქსელის რაციონალური სტრუქტურის უზრუნველსაყოფად აუცილებელია სხვადასხვა ტიპისა და ზომის მაღაზიების ოპტიმალური შეთანაწყობა.

• მოსახლეობის მომსახურების სპეციფიკის გათვალისწინებით არჩევენ სავაჭრო ქსელის სამ სახეს: სტაციონარულს, მოძრავსა და შაბანათოს.

• საცალო სავაჭრო ქსელის ძირითად სახეს სტაციონარულ ქსელი წარმოადგენს. სტაციონარული სავაჭრო ქსელი, თავის მხრივ, იყოფა მაღაზიების, წვრილ საცალო და სავაჭრო ავტომატების ქსელად.

საცალო ქსელში წამყვანი ადგილი მაღაზიებს უჭირავს. 1976 წლის დასაწყისისათვის სავაჭრო ქსელის მთელი რაოდენობიდან 696,1 ათასი სავაჭრო ერთეულიდან 517,6 ათასს ანუ 74,6%-ს შეადგენს მაღაზიები.

ქვეყნის საცალო საქონელბრუნვის დაახლოებით 90% მოდის მაღაზიების წილად. მაღაზიის წამყვანი როლი შენარჩუნებული იქნება პერსპექტივაშიც, ამიტომ ამჟამად დიდი ყურადღება ეთმობა მაღაზიების ოპტიმალური ტიპებისა და ზომების დამუშავებას, მათი სავაჭრო დარბაზების რაციონალურ დაგეგმარებას.

• წვრილი საცალო სავაჭრო ქსელი შედგება ფარდულების, კიოსკებისა და პავილიონებისაგან. მათი რიცხვი 1976 წელს შეადგენდა 176,3 ათასს, ანუ ქსელის საერთო რაოდენობის 25,4%. წვრილი საცალო სავაჭრო ქსელი გამოირჩევა მანევრულობით. ფარდულებს, კიოსკებსა და პავილიონებს აქვთ მსუბუქი უნიფიცირებული ასაწყობ-დასაშლელი კონსტრუქცია, რაც საშუალებას იძლევა სწრაფად შეეუცვალოთ მათ ადგილმდებარეობა.

წვრილ საცალო სავაჭრო ქსელის საქონლის ასორტიმენტს ადგენს სავაჭრო საწარმო ან ორგანიზაცია, რომლის გამგებლობაშიც ის იმყო-

ფება. შერეული ვაჭრობა — სასურსათო და არასასურსათო საქონლის გაყიდვა ერთ პუნქტში აკრძალულია. იმ საქონლის რიცხვს, რომლის გაყიდვაც აკრძალულია, წვრილი საცალო სავაჭრო ქსელიდან, მიეკუთვნება შეკერილი ნაწარმი, ზედა ტრიკოტაჟი, ქსოვილები, ფეხსაცმელი, (იმ ნაწარმის გამოკლებით, რომელიც არ მოითხოვს გასინჯვას, საშინაო ფეხსაცმელი და ქსოვილის ცალობრივი ნაწარმი), აგრეთვე ტექნიკურად რთული საქონელი, ოქროსა და ვერცხლის ნაწარმი.

წვრილ საცალო სავაჭრო ქსელში სასურსათო საქონლის ასორტიმენტო შეთანხმებული უნდა იყოს სანიტარული ზედამხედველობის ორგანოებთან. აქ აკრძალულია ალკოჰოლიანი სასმელების, აგრეთვე მალფუქებადი პროდუქტების გაყიდვა, თუ არ არის გაცივების საშუალებანი.

წვრილი საცალო ქსელის ნაირსახეობას წარმოადგენს ბოსტნეულის ბაზარი, რომელიც მუშაობს წელიწადში ექვს თვემდე, ბოსტნეულისა და ხილის მასობრივი გაყიდვის პერიოდში.

სტაციონარული ქსელის ნაირსახეობას წარმოადგენს აგრეთვე სავაჭრო ავტომატები. 1976 წ. 1 იანვრისათვის ვაჭრობაში ითვლებოდა დაახლოებით 68 ათასი ავტომატი. ავტომატების ქსელის განვითარება, მათი კონსტრუქციის სრულყოფა და ავტომატების მეშვეობით გასაყიდი საქონლის ასორტიმენტის გაფართოება მიმართულია სავაჭრო მომსახურების გაუმჯობესებისაკენ და ითვალისწინებს ფარდულების, კიოსკებისა და სხვა წვრილი საცალო ქსელის ავტომატებით შეცვლას.

პერსპექტივაში გათვალისწინებულია ავტომატების ფართოდ გამოყენება სხვადასხვა სასმელის, რძისა და რძის პროდუქტების, ნაყინის, ცალობრივი საბაკალეო და საკონდიტრო საქონლის, ხშირი მოთხოვნის ცალკეული არასასურსათო საქონლის და გაზეთების გასაყიდად.

მოძრავი საცალო ქსელი ავსებს სტაციონარულს, გამოირჩევა მყიდველებთან შიახლოების მაღალი ხარისხით. მოძრავი საცალო ქსელი, გამოყენებული ორგანიზაციულ-ტექნიკური საშუალებების მიხედვით, იყოფა საზიდად და დამტარად. საზიდი ვაჭრობის ქსელი მოიცავს ავტოდუქტებს, ვაგონდუქტებს, გემდუქტებს. დატარებითი ვაჭრობა ხორციელდება ურიკებით და სხვა უმარტივესი მოწყობილობით.

საამანათო ვაჭრობას ჩვენს ქვეყანაში ახორციელებს რსფსრ ვაჭრობის სამინისტროს ამანათვაჭრობის კანტორა, ცენტროსოიუზის „მთავარკოოპამანათვაჭრობა“ (გლავკოოპპოსილტორგი), მაღაზიები „წიგნი ფოსტით“, ცალკეული მსხვილი უნივერსიტეტების საამანათო სექციები. საამანათო ვაჭრობა წარმოადგენს მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების დამატებით ფორმას. 1951—1976 წლებში საამანათო ვაჭრობის საქონელბრუნვა მარტო „ამანათვაჭრობის“ კანტორაში თითქმის 20-ჯერ გაიზარდა და განაგრძობს ზრდას. ამიტომ პერსპექტივაში გათვალისწინებულია თანამედროვე ტექნოლოგიური მოწყობილობით და ვლ

რონულ-გამომთვლელი ტექნიკით აღჭურვილი მსხვილი საამაზათო ხა-
წარმოების მშენებლობა.

ქალაქის მოსახლეობის სოფლის მეურნეობის პროდუქტებით დამა-
ტებით მომარაგებისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს საკოლმეურ-
ნეო ვაჭრობას, რომელიც საკოლმეურნეო ბაზრებზე ხორციელდება.
1976 წლის დასაწყისისათვის საკოლმეურნეო ბაზრების რაოდენობა
ქვეყანაში 6800-ზე მეტს შეადგენდა.

საკოლმეურნეო ბაზრის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს კოლმე-
ურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეებისა და სხვა მო-
ქალაქეთა ნამეტი სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ვაჭრობის გან-
ხორციელება, ხელშეკრულებების დადება საქონლის შემოზიდვაზე:
საბჭოთა მეურნეობებში რძის ჩამომსხმელი და შემკრები პუნქტების
ორგანიზაცია რძის, კარტოფილის, ბოსტნეულისა და სხვა სასოფლო-
სამეურნეო პროდუქტების მისაღებად და მათი საკოლმეურნეო ბაზარ-
ზე გასატანად.

საკოლმეურნეო ბაზრებზე პერიოდულად ეწყობა სადღესასწაულო
და სხვა ბაზრები, ასევე ბაზრობები მოსახლეობისათვის.

§ 2. საცალო სავაჭრო ქსელის სამეციალიზაცია, სავაჭრო საწარმოთა ტიპიზაცია

მაღაზიის სპეციალიზაციას საფუძვლად უდევს საქონლის დაჯგუ-
ფება ასორტიმენტული ნიშნების მიხედვით. ეს დაჯგუფება ისტორიუ-
ლად ჩამოყალიბდა და საქონლის ასორტიმენტის სისტემური გაფარ-
თობების შედეგად სულ უფრო რთულდება. საქონელი ჯგუფებად ერთი-
ანდება სამომხმარებლო დანიშნულების ან საწარმოო ნიშნის მიხედვით.
ამჟამად ვაჭრობაში წარმოიქმნა შემდეგი სასაქონლო კომპლექსები:
სასურსათო საქონელი; ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და ტუალეტის საგ-
ნები; კულტსაყოფაცხოვრებო და სპორტული დანიშნულების საგნე-
ბი; საოჯახო და სამეურნეო დანიშნულების საგნები; საწარმოო-სამე-
ურნეო დანიშნულების საგნები. ვიწრო სპეციალიზაცია გამოიხატება
სასაქონლო ჯგუფის ქვეჯგუფებად დაყოფით. მაგალითად, ტანსაცმე-
ლი — ქალის, მამაკაცისა და ბავშვის.

აღნიშნული დაჯგუფების საფუძველზე წარმოიქმნა მაღაზიების სა-
ხეთა დიდი მრავალფეროვნება, მათ შორის:

სპეციალიზებული, რომელთა ასორტიმენტი მოიცავს ერთი
ჯგუფის საქონელს. მაგ., ფეხსაცმელი, რძე და რძის პროდუქტები და
სხვა.

ვიწრო სპეციალიზებული, რომლის საქონლის ასორტი-
მენტი შედგება სასაქონლო ჯგუფის ნაწილისაგან (ქვეჯგუფი). მაგალი-
თად, აბრეშუმის ქსოვილები, მამაკაცის ტანსაცმელი და სხვა. მსხვილ

ქალაქებში მაღაზიები სპეციალიზებულია ცალკეული სახის საქონლის ვაყიდვაზე. მაგალითად, მაღაზია „ჩეხვი“, „წინდები“ და სხვა.

კომბინირებული მაღაზიები, რომელთა ასორტიმენტი მოიცავს მოთხოვნის მიხედვით ურთიერთდაკავშირებული რამდენიმე ჯგუფის საქონელს, რომელიც აკმაყოფილებს მოთხოვნილებათა განსაზღვრულ წრეს, მაგალითად, მაღაზიები ხორცი-თევზი-ბოსტნეული, ღვინო-ხილი, ბუნვეული და თავსაბურავი და სხვა. თითოეული ჯგუფის საქონელი იყიდება სპეციალიზებულ სექციებში ან სპეციალიზებულ სამუშაო ადგილებზე.

უნივერსალური მაღაზიები სასაქონლო დარგის ფარგლებში სპეციალიზებულ სექციებში ან სპეციალიზებულ სამუშაო ადგილებზე ყიდიან ყველა სასაქონლო ჯგუფს (გამონაკლისს შეადგენს უნივერსალური არასასურსათო მაღაზიები, რომელთა ასორტიმენტიდან გამორიცხულია წიგნები, ნავთობპროდუქტები, საშენებლო მასალები, ავეჯი, ავტომობილები).

შერეული მაღაზიები ყიდიან სხვადასხვა ჯგუფის სასურსათო და არასასურსათო საქონელს, სპეციალიზებული სექციების ან სამუშაო ადგილების წარმოქმნის გარეშე.

სპეციალიზაციის ხარისხი და სიღრმე, მაღაზიის სასაქონლო პროფილის შერჩევა ეკონომიკურად გამართლებული უნდა იყოს.

ამჟამად სპეციალიზაციის განვითარებაში გამოიკვეთა ორი ტენდენცია: ქალაქის განაშენიანებულ რაიონში, სადაც საცალო ქსელი ძირითადად პატარა მაღაზიებითაა წარმოდგენილი, მიმდინარეობს სპეციალიზაციის გაღრმავების პროცესი. ახალშენებარე რაიონებში დიდი სავაჭრო ფართობის მქონე მაღაზიების არსებობა ქმნის წინაპირობას უნივერსალური მაღაზიების შექმნისათვის.

მსხვილი მაღაზიების მშენებლობამ, საქონლის ასორტიმენტის გაფართოებამ, მოსახლეობის ფულადი შემოსავლების ზრდამ, კომპლექსური შესყიდვების მოცულობისა და სიხშირის ზრდამ, მაღაზიების სამომხმარებლო კომპლექსების მიხედვით სპეციალიზაციის აუცილებლობამდე მიგვიყვანა.

სამომხმარებლო კომპლექსები ყალიბდება მყიდველთა განსაზღვრული კონტინგენტის (მაგალითად: ქალების, ბავშვების) მომსახურების ნიშნის მიხედვით, ასორტიმენტის შერჩევის ნიშნის მიხედვით (მაგ.: „ყველაფერი სახლისათვის“), აგრეთვე დასვენების ორგანიზაციის თავისებურების მიხედვით („ყველაფერი დასვენებისათვის“, „ტურისტი“ და სხვ.).

სამომხმარებლო კომპლექსების წარმოქმნა და მათი გამოცალკევება საფუძვლად დაედო კომპლექსური ასორტიმენტის მაღაზიების (სექციების) შექმნას. ასეთ მაღაზიებში იქმნება პირობები მომხმარებლის ხარჯების მნიშვნელოვანი შემცირებისათვის, საქონლის ფართო არჩევისა-

თვის, იზრდება თანგამყოფი საქონლის შექმენისა და მყიდველებისათვის დამატებითი მომსახურების გაწევის შესაძლებლობები. ზოგჯერ სასაქონლო ქვეჯგუფების ფართო ნომენკლატურის მქონე კომპლექსურ მაღაზიებს ანიჭებენ უნივერსალურის დასახელებას (უნივერსალი „ყველაფერი ახალდაქორწინებულთათვის“, უნივერსალი „სინთეტიკა“ და სხვა). კომპლექსური მაღაზიების შექმნა უალრესად პერსპექტიულია, განსაკუთრებით მსხვილ ქალაქებში.

საცალო სავაჭრო ქსელის სპეციალიზაციის მდგომარეობა ხასიათდება სპეციალიზაციის დონით. ეს მაჩვენებელი წარმოადგენს ქსელის სპეციალიზებული ნაწილის (უნივერსალური მაღაზიების ჩათვლით) შეფარდებას საერთო რაოდენობასთან.

სახელმწიფო ვაჭრობაში სასურსათო საქონლის საცალო ქსელის სპეციალიზაციის დონე 1976 წლის დასაწყისისათვის შეადგენდა 47%-ს, არასასურსათო საქონლის საცალო ქსელისა — 76%-ს.

საცალო სავაჭრო ქსელის შემდგომი განვითარების ერთ-ერთ პირობად სავაჭრო საწარმოების ტ ი პ ი ზ ა ც ი ა უნდა ჩაითვალოს.

მაღაზიის ტიპის განსაზღვრეულ ძირითად ნიშნებს წარმოადგენს ასორტიმენტული პროფილი, სავაჭრო ფართობის ზომებით გამოხატული მაღაზიის სიდიდე, სავაჭრო მომსახურების ფორმები. იმასთან დაკავშირებით, რომ მაღაზიის ასორტიმენტული პროფილი მხედველობაში მიიღება მათი ტიპის განსაზღვრისას, სავაჭრო ქსელის სპეციალიზაციის პროცესი ორგანულად ერწყმის მაღაზიების ტიპიზაციას.

მაღაზიების ტიპიზაციისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საქონლის კლასიფიკაციას, მათ დაყოფას ყოველდღიური, პერიოდული და ეპიზოდური მოთხოვნის საქონლად. ტიპების განვითარება დაკავშირებულ უნდა იქნეს მოთხოვნის სიხშირის მიხედვით საქონლის დაყოფასთან, რაც დაგეხმარება მაღაზიის მოქმედების რადიუსისა და ქალაქის განაშენიანების სტრუქტურულ-საგეგმარებო ელემენტებთან მათი შესაბამისობის განსაზღვრაში.

მაღაზიების ტიპების შერჩევა ხორციელდება მაღაზიების ტიპების ნომენკლატურის საფუძველზე.

მაღაზიების ტიპების ნომენკლატურაში გათვალისწინებულია სასურსათო და არასასურსათო მაღაზიების შემდეგი ტიპები:

მაღაზიის ტიპი	სავაჭრო ფართობი მ ²
უნივერსალი	400, 650, 1000, 1500, 2000
გასტრონომი	400, 650, 1000, 1500, 2000
დღიური პროდუქტები	400, 650, 1000
ხილ-ბოსტნეული	250, 400
პურისა და საკონდიტრო ნაწარმი	250
თევზი	250
ღვინო-ხილი	250

უნივერსალი	1650, 2150, 3500, 4500, 6600, 8500, 11000, 15500, 22000
საქონელი ბავშვებისათვის	650, 1000, 1500, 2000, 3500, 5600, 6500
საქონელი ქალებისათვის	1000, 1500, 2000, 3500, 5600
საქონელი მამაკაცებისათვის	650, 1000, 1500, 2500
საქონელი ახალგაზრდობისათვის	400, 650, 1000, 1500
საქონელი სახლისათვის	250, 400, 650, 1000, 1500
კულტსაქონელი	250, 400, 650, 1000
სპორტი და ტურიზმი	250, 400, 650, 1000, 1500
რადიოსაქონელი	250, 400, 650
საიუველირო ნაწარმი და საათები	250, 400
წიგნები	250, 400
ყვავილები	250
აუჯი	400, 650, 1000, 1500, 2500
ავტომანქანები	1500, 2500, 3500

ერთი საასორტიმენტო პროფილის მაღაზიას აქვს სავაჭრო ფართობის რამდენიმე ზომა, რაც საშუალებას იძლევა გამოყენებულ იქნეს ისინი ქალაქის განაშენიანების სხვადასხვა პირობებში.

მაღაზიების ტიპების ნომენკლატურის შესაბამისად სასურსათო მაღაზიის ძირითად ტიპს უნივერსამი წარმოადგენს. უნივერსამი გულისხმობს თვითმომსახურების არანაკლებ 400 მ² ფართობის მქონე მაღაზიას. სასურსათო საქონლის უნივერსალური ასორტიმენტითა და ყოველდღიური მოთხოვნის ზოგიერთი არასასურსათო საქონლით.

უნივერსამები შეიძლება შეიქმნას მშენებარე და მშენებლობადასრულებულ რაიონებში. ამასთან, უკანასკნელში შესაძლებელია უნივერსალური ასორტიმენტის სასურსათო მაღაზიების მშენებლობა არასასურსათო საქონლის განყოფილების გარეშე.

სასურსათო მაღაზიის ძირითადი პერსპექტიული ტიპის უნივერსამების შექმნა არ გამორიცხავს სხვა საასორტიმენტო პროფილის მაღაზიების განვითარებას.

ქალაქებში, სადაც სავაჭრო ქსელის რეკონსტრუქცია მიმდინარეობს და არის მცირე ფართობის მქონე მაღაზიები, შეიძლება გამოყენებულ იქნას სპეციალიზებული სასურსათო მაღაზიების დამატებითმა ტიპებმა: მაგალითად, ბავშვთა კვების, საკონდიტრო, რძის, საბავალო-გასტრონომიული, ჰურის, ხორცის, თევზის მაღაზიები. მოქმედი მაღაზიების ქსელის რეკონსტრუქციისა და მისი გაფართოების დროს არადაწინშეულებსამებრ გამოყენებულ და გამოთავისუფლებული სათავსების ხარჯზე მიღწეული უნდა იყოს მისი რაციონალური სპეციალიზაცია, რომლის მიზანია მაღაზია „უნივერსამის“ სასაქონლო სტრუქტურის შესაბამისი კომპლექსური საწარმოების შექმნა.

მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების დონის ამაღლებაში გარკვეული როლი უნდა შეასრულოს დაკვეთების მიმღებმა და მყიდველთა სახლში მიმტანმა სასურსათო საქონლის მაღაზია-ბაზებმა. ისინი ხელს

უწყობენ საქონლის შესაძენად საჭირო დროის შემცირებას. მალაზია-ბაზებს შეიძლება ჰქონდეს აგრეთვე თვითმომსახურების სავაჭრო დარ-ბაზი.

სასურსათო საქონლით ვაჭრობისაგან განსხვავებით, რომელიც მო-თხოვნის ხასიათის მიხედვით მყიდველებთან მაქსიმალურ მიახლოებას მოითხოვს, არასასურსათო საქონლის გაყიდვა მათი ასორტიმენტის სირ-თულისა და მოთხოვნის პერიოდულობის მაღალი ხარისხის გამო საჭი-როა კონცენტრირებულ იქნეს საერთო საქალაქო მნიშვნელობის მაღა-ზიებში.

არასასურსათო მაღაზიების ძირითადი ტიპია უნივერსალური. იგი წარმოადგენს სპეციალიზებული მაღაზიების თავისებურ გაერთიანე-ბას, დაკავშირებულს საერთო სათავსებით, სავაჭრო პროცესებითა და მართვით.

უნივერსალებში საქონლის ფართო ასორტიმენტის არსებობა იძლე-ვა მოსახლეობის მოთხოვნის უფრო სრულად დაკმაყოფილების საშუა-ლებას, უზრუნველყოფს საქონლის კომპლექსურ შეძენას, უზოგავს დროს მომხმარებელს. უნივერსალებში შექმნილია შესაძლებლობა სა-ქონლის გაყიდვის პროგრესული მეთოდების ფართოდ გამოყენებისა-თვის, აგრეთვე მყიდველთათვის სხვადასხვა სახის დამატებითი მომსა-ხურების გასაწევად (საქონელზე წინასწარი შეკვეთა, საქონლის სახლში შიტანა, საქონლის ახალი ნიმუშების გამოფენა და დემონსტრირება, ქსოვილების გამოჭრა, ტანსაცმლის მორგება და სხვა.).

მყიდველთა ნაკადების დიდი კონცენტრირების და შესყიდვის კომ-პლექსურობის გამო უნივერსალებს აქვთ საქმიანობის უფრო მაღალი შაჩვენებლები. მათში უფრო ეფექტურად გამოიყენება სავაჭრო ფარ-თობები, მიღწეულია მიმოქცევის ხარჯების უფრო დაბალი დონე სხვა მაღაზიებთან შედარებით. მაღაზიების ტიპების ნომენკლატურაში ქა-ლაქის ან ქალაქის რაიონის მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინე-ბით რეკომენდებულია საერთო საქალაქო უნივერსალების შემდგომ ტიპები:

ქალაქის მოსახლეობა ათასე კაცე	უნივერსალის სავაჭრო ფართობი კვ. მ.	მათ შორის სავაჭრო ფართობი სასურს. სა- ქონლისათვის კვ. მ.
15-მდე	1650	650
20-30	2500	650
40	3500	1000
50	4500	1000
100	6600	1000
150	8500	1000
200	11 500	1000
300-400	15 500	1500
500 და ზევით	22 000	2000

ქალაქის არასასურსათო მალაზიების ერთ-ერთ ძირითად ტიპს წარმოადგენს აგრეთვე კომპლექსური ასორტიმენტის საქონლის მალაზია. ასეთი ტიპის მალაზია განკუთვნილია მომხმარებელთა განსაზღვრული კონტინგენტის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

კომპლექსური ასორტიმენტის საქონლის მალაზიებს შეიძლება მიეკუთვნოს: ტანსაცმლისა და ტუალეტის საგნებით მოვაჭრე მალაზიები (ყველა სახის ტანსაცმელი, ბეწვეულისა და ტრიკოტაჟის ტანსაცმლის ჩათვლით: თეთრეული, თავსაბურავი; წინდა-თათმანის ნაწარმი, გალანტერეა; პარფიუმერია, კოსმეტიკა, სპორტული დანიშნულების ტანსაცმელი და ფეხსაცმელი. ამათვე მიეკუთვნება სხვადასხვა ქსოვილები, როგორც მასალა ტანსაცმლის შესაქერად).

დასახელებულ კომპლექსებზე მიკუთვნებული საქონლისათვის გათვალისწინებულია მალაზიები: „საქონელი ქალებისათვის“, „საქონელი მამაკაცებისათვის“, „საქონელი ბავშვებისათვის“, „საქონელი ახალგაზრდობისათვის“.

სახლისათვის საჭირო საქონლით მოვაჭრე მალაზიები (ავეჯი, ელექტროსანათი არძატურა, შპალერი, დეკორატიული და გადასაკრავი ქსოვილები, ხალიჩები, გადასაფარებლები, კერამიკის, ფაიფურის, მინის, ბროლის ნაწარმი, ხელოვნების ნაწარმოებები, ელექტრო-საყოფაცხოვრებო მანქანები და ხელსაწყოები, სანტექნიკის სხვადასხვა საგნები და სარეცხი საშუალებები). საოჯახო დანიშნულების საგნების გასაყიდად იქმნება მალაზიები „ყველაფერი სახლისათვის“, „ყველაფერი ყოფაცხოვრებისათვის“, „მყუდროება“ და სხვა.

კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლით (ტელევიზორები, რადიომიმღებები, სასკოლო-საწერი და საკანცელარიო საქონელი, სათამაშოები, მუსიკალური ინსტრუმენტები) მოვაჭრე მალაზიები, წიგნები ამ კომპლექსში არ შედის, რადგან წიგნით ვაჭრობა სპეციალიზებულია. ამ ჯგუფში შემავალი საქონლის გასაყიდად იქმნება ტელევიზორებისა და რადიომიმღებების გასაყიდი მალაზიები, მალაზია „კულტსაქონელი“.

ცალკე კომპლექსს შეადგენს სპორტული დანიშნულების საქონელი: მოტოციკლები, მოტოროლერები, ნაევები, თხილამურები და სხვა. სპორტული საქონლის გასაყიდად რეკომენდებულია მალაზიები „სპორტი და ტურიზმი“, „ავტომობილები“.

მომავალში შენარჩუნებული იქნება მალაზიების ისეთი ტიპები, როგორცაა: „თესლები“, „ყვეაილები“, „ზომალაზია“, „საიუველირო ნაწარმი და საათები“. ცალკე ჯგუფს შეადგენენ საკომისიო მალაზიები.

არასასურსათო მალაზიების აღნიშნული ტიპების გამოყენება გამოირიცხავს პარალელიზმს ვაჭრობაში და საქონლის ასორტიმენტის დაქსაქსვას მრავალრიცხოვან გაყიდვის პუნქტებში, უზრუნველყოფს მალაზიების აუცილებელ გამსხვილებას.

• საეკრო საწარმოთა თანამედროვე ტიპებს მიეკუთვნება საეკრო-ცენტრები.

საეკრო ცენტრები წარმოადგენს მაღაზიებისა და მომსახურების სფეროს სხვა საწარმოთა ჩგუფს (კომპლექსს) განლაგებულს ტერიტორიულად ახლომდებარე ორ-სამ შენობაში, რომლებიც დაკავშირებულია ერთმანეთთან არქიტექტურულად და საეკრო მომსახურების პრინციპების შეხამებით.

საეკრო ცენტრი მიზანშეწონილია შედიოდეს საზოგადოებრივი ცენტრის შემადგენლობაში კულტურულ-სანახაობრივ დაწესებულებებთან ერთად, რაც გაზრდის პოტენციალურ მყიდველთა ნაკადის ინტენსივობას.

საეკრო ცენტრი, მოსახლეობისათვის უდავოდ ხელსაყრელია, რამდენადაც უზრუნველყოფს მყიდველთა კომპლექსურ მომსახურებას და მათი დროის ეკონომიას. გარდა ამისა, საეკრო ცენტრების მშენებლობა ეკონომიკურად ეფექტიანია. ასე მაგ., ერთიანი შენობის სახით საეკრო ცენტრია მშენებლობის ღირებულება მცირდება დაახლოებით 12-15%-ით, სხვადასხვა შენობაში განლაგებული ანალოგიური საწარმოების მშენებლობის დანახარჯებთან შედარებით. საეკრო ცენტრების ორგანიზაცია მნიშვნელოვნად ამცირებს ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯებს, უზრუნველყოფს საეკრო მომსახურების მაღალ კულტურას, ისლევა მექანიზაციის საშუალებების ფართოდ დანერგვისა და ტრანსპორტის უფრო რაციონალურად გამოყენების შესაძლებლობას.

§ 3. სამაშრომო მხელის განლაგება

ქალაქებში საეკრო ქსელის განლაგება მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოსახლეობის საეკრო მომსახურების ორგანიზაციაში.

ქსელის განლაგების სისტემა უშუალოდაა დაკავშირებული ქალაქმშენებლობის თანამედროვე მოთხოვნებთან, ქალაქის დაგეგმარებასთან, ქალაქის ტერიტორიის ორგანიზაციასა და მოსახლეობის ყოფის ორგანიზაციასთან.

რამდენიმე წლის წინათ ქალაქის სტრუქტურის სახედ მიღებული იყო მისი ტერიტორიის დაყოფა საცხოვრებელ რაიონებად და მიკრორაიონებად. ქალაქის გეგმის პირველადი ელემენტი — მიკრორაიონი განიხილებოდა როგორც დამთავრებული წარმონაქმნი თავისი საზოგადოებრივი, სამეურნეო-კულტურული ცენტრით. ამ ცენტრის შემადგენლობაში მაღაზია შედიოდა, როგორც სავალდებულო კომპონენტი. შემდგომში მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობასთან დაკავშირებით ხდება მიკრორაიონების გამსხვილება, მათი საზღვრები კარგავს მკაფიოობას. საცხოვრებელმა რაიონებმა თავისი ცენტრებით განვითარება ვერ პოვა. ქსელის საფუძვრებიანი განლაგების

პრინციპებმა, რომლებიც დაკავშირებულია ქალაქის საფეხურებრივ სტრუქტურასთან, გადასინჯვა მოითხოვა.

სავაჭრო ქსელი განიხილება როგორც საერთო-საქალაქო კომპლექსური სისტემა, რომლის ცალკეული ნაწილები შეგუებული უნდა იყოს ქალაქის სტრუქტურის ადგილობრივ თავისებურებებს და მყიდველთა ცალკეულ კატეგორიებს.

შენარჩუნებულ იქნა ქსელის აგებისადმი წაყენებული საერთო მოთხოვნები. ეს არის მაქსიმალური სიახლოვე მომხმარებლებთან, სავაჭრო მომსახურების მაღალი ხარისხი, სამეურნეო საქმიანობის რენტაბელობა, კაპიტალურ დაბანდებათა მაღალი ეფექტიანობა.

თანამედროვე პირობებში წინა პლანზეა წამოწეული მოხმარების ხარჯების და, უპირველეს ყოვლისა, მყიდველთა მიერ საქონლის შესაძენად საჭირო დროის დანახარჯების შემცირების ამოცანა სავაჭრო მომსახურების ხარისხის ამაღლების პირობებში. ხანგრძლივი გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მაღაზიების დაქუცმაცება და მათი დაქსაქსვა ქალაქის ტერიტორიაზე ამ ამოცანას ვერ გადაწყვეტს, რადგან რამდენიმე მაღაზიაში შესვლაზე მყიდველი დიდ დროს ხარჯავს. გამსხვილებული მაღაზიები სთავაზობენ მომხმარებლებს საქონლის უფრო ფართო ასორტიმენტს.

რთული ასორტიმენტის საქონელი, განსაკუთრებით არასასურსათო, მოითხოვს მაღაზიების გარკვეულ კონცენტრაციას.

მყიდველთა დროის დანახარჯები დაკავშირებულია საქონლის შესყიდვის სიხშირესთან. ერთ შემთხვევაში საქონელს (მაგ., პური, რძე, ბოსტნეული) ყიდულობენ ყოველდღე ან თითქმის ყოველდღიურად, სხვა შემთხვევაში პერიოდულად (გასტრონომიული საქონელი, კონსერვები, ვალანტერეა და სხვა). არის საქონელი, რომელსაც ყიდულობენ რამდენიმე წლის განმავლობაში ერთხელ (ავეჯი, მაცივარი, ტელევიზორი). რაც უფრო ხშირად ყიდულობენ საქონელს, მით უფრო ახლოს უნდა იყოს განლაგებული მყიდველებთან ამ საქონლით მოვაჭრე მაღაზიები. ამიტომ არაა მიზანშეწონილი ქალაქებში, მაგალითად, სასურსათო მაღაზიის ერთი ტიპით შემოფარგვა. მოქმედების შესაბამისი რადიუსის და საკმარის ფართო ასორტიმენტის საქონლის მქონე მსხვილ მაღაზიებთან (მაგ., უნივერსამები) ერთად ცალკეულ შემთხვევებში საჭიროა პირველი მოთხოვნილების საქონლით (პური, რძე, შაქარი, მარილი და სხვ.) მოვაჭრე და მყიდველთა სახლებთან ახლოს განლაგებული შედარებით პატარა მაღაზიები.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ საქონლის მყიდველთა თითქმის 40%-ს შეადგენენ დიასახლისები, პენსიონერები, სასკოლო ასაკის ბავშვები, რომლებისთვისაც მნიშვნელოვანია, რომ გზა მაღაზიამდე მოკლე იყოს და არ კვეთდეს სატრანსპორტო მაგისტრალებს. თანამედროვე, განსაკუთრებით მსხვილი უნივერსამები (სავაჭრო ფართობებით

1200 კვ. მ. და მეტი) პრაქტიკულად ემსახურებიან რაიონს 50 ათასი კაცი მცხოვრებით და ამის გამო ტერიტორიულად დაშორებულია მრავალი მყიდველისაგან.

არსებითად მნიშვნელოვანია მალაზიებთან საქვეითო მისაწვდომობა, სასურსათო მალაზიებისათვის ის შეადგენს 500 მ (სახლიდან მალაზიამდე). მაგრამ მრავალი მალაზია, განსაკუთრებით არასასურსათო, აგრეთვე გასტრონომიული, არ შეიძლება განლაგდეს საქვეითო მისაწვდომობის ფარგლებში. ამ შემთხვევაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სატრანსპორტო კავშირის მოხერხებულობა (ქალაქის სატრანსპორტო კვანძებთან ახლოს განლაგება).

ქალაქის გეგმაში მალაზიების განლაგებისას აუცილებელია დაცული იქნეს ზოგიერთი საერთო მოთხოვნა. პირველ ყოვლისა, ერთტიპური მალაზიების მოქმედების ზონები გამიჯნული უნდა იყოს. რაც უფრო ერთგვაროვანია მალაზიაში საქონლის ასორტიმენტი, მით უფრო მკაცრად უნდა იყოს დაცული ეს მოთხოვნა.

ქალაქის გეგმაში ერთტიპურ მალაზიებს განალაგებენ თანაბარზომიერად, მათი ზომის, აგრეთვე მოსახლეობის სიმჭიდროვის ხარისხის მხედველობაში მიღებით.

მალაზიის შერჩეული ტიპის შესაბამისობა მომსახურების ზონის მყიდველთა რაოდენობასთან შეიძლება შემოწმდეს ფორმულით:

$$F = F' (\Phi_1 + K \Phi_2),$$

სადაც F არის დასაპროექტებელი მალაზიის დარბაზის საჭირო ფართობი კვ. მ.;

F' — მოცემული ტიპის მალაზიის სავაჭრო დარბაზის ფართობის ნორმა 1000 მცხოვრებზე გაანგარიშებით, კვ. მ.;

Φ_1 — მომსახურების ზონის მულტიპლიკაციური მოსახლეობის რაოდენობა, ათასი კაცი;

Φ_2 — მომსახურების ზონაში მომუშავეთა რაოდენობა, მაგრამ მცხოვრები სხვა რაიონებში, ათასი კაცი;

K — მომსახურების ზონაში მომუშავეთა რაოდენობიდან მალაზიაში მყიდველთა კოეფიციენტი.

ბუნებრივია, გაანგარიშება მიახლოებითი იქნება.

ერთნაირი ასორტიმენტისა და საქონელბრუნვის მოცულობის მალაზიებს უნდა ჰქონდეს დაახლოებით ერთნაირი მოქმედების რაიონი, არა ტერიტორიის ზომის, არამედ მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით (მოსახლეობის ნაკადების მოძრაობის მხედველობაში მიღებით). ამასთან, მათი მოქმედების რადიუსი შეიძლება სხვადასხვა იყოს. გარდა ამისა, რადიუსი იცვლება მალაზიის სიდიდისაგან დამოკიდებულებით.

ვარაუდი, რომ ერთტიპური მალაზიების მოქმედების რადიუსი უდრის ამ მალაზიებს შორის მანძილის ნახევარს, ყოველთვის არ მტკიცდება. ამასთან მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ მალაზიებს განალაგებენ

არა მომსახურების ზონის გეომეტრიულ ცენტრში, არამედ მის სათაონაწილში ქალაქის ცენტრიდან ან შრომის გამოყენების უახლოესი ადგილიდან რაიონის სიღრმისეული ნაწილებისაკენ მიმავალი სატრანსპორტო და საქვეითო ნაკადების მაქსიმალური კონცენტრაციისა და განაწილების პუნქტებში.

ამას მივყავართ თანაბრად განლაგებული მალაზიების გარკვეულ კონცენტრაციაში, ქსელის საერთო სიმჭიდროვის ამაღლებამდე, ქალაქის ცენტრთან მიახლოებასთან ერთად. განლაგების ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს სხვადასხვა ტიპის მალაზიების მოქმედების ზონების შეთავსება. აქედან გამომდინარეობს მალაზიების ჯგუფური განლაგების პრინციპი, სხვადასხვა სპეციალიზაციის მალაზიების ჯგუფებად გაერთიანება მოქმედების საერთო ზონით.

მალაზიების გაერთიანება ჯგუფებად დიდ ქალაქებში იწვევს ვაჭრობის თავისებური ცენტრების შექმნას, რომელიც მოხერხებულია მყიდველებისათვის. მალაზიების ჯგუფი ლებულობს მოქმედების საერთო რაიონს, ახდენს მყიდველთა ნაკადების კონცენტრირებას, რის შედეგადაც მალაზიაში შემსულელთა საერთო რაოდენობა შესამჩნევად იზრდება და ამგვარად, საწარმოები ეხმარებიან ერთმანეთს მყიდველთა მიზიდვაში.

ჯგუფური განლაგება ეხება უმთავრესად ქალაქის მთავარ მაგისტრალზე განლაგებულ მალაზიებს.

საქონელზე, განსაკუთრებით რთული ასორტიმენტის საქონელზე, მოთხოვნის ხასიათის გაანალიზებისას უნდა შევნიშნოთ, რომ მოთხოვნის სიხშირე და ცალკეული საქონლის შესყიდვის მასობრიობის ხარისხი სასაქონლო ჯგუფის შიდა ასორტიმენტში არ არის ერთნაირი. ზოგჯერ სულ რამდენიმე სახის გასაველიანი საქონელი სარგებლობს მასობრივი მოთხოვნით და შეადგენს ბრუნვის მნიშვნელოვან ნაწილს. ამის შედეგად ცალკე აღებული საქონლის ჯგუფი მოთხოვნის სიხშირის მხედველობაში მიღებით შეიძლება დავეყოს ნაწილებად (ხშირი მოთხოვნის საქონელი, შედარებით იშვიათი მოთხოვნის საქონელი).

ყველაზე უფრო მასობრივი, ხშირი მოთხოვნის საქონლის გაყიდვა მაქსიმალურად უნდა მიუახლოვდეს მოსახლეობას და შეიძლება წარმოებდეს ქალაქის მიხედვით თანაბარზომიერად განლაგებულ მალაზიებში. მეორე მხრივ, ნაკლებად ხშირი და იშვიათი მოთხოვნის საქონლის გასაყიდად აუცილებელია უნივერსალური, კომპლექსური ან სპეციალიზებული მალაზიები, აგრეთვე მოქმედების დიდი რადიუსის მქონე სავაჭრო ცენტრები. ეს აიხსნება ორი გარემოებით:

1. უფრო იშვიათი მოთხოვნის საქონელი წარმოდგენილი უნდა იყოს საკმაოდ სრული ასორტიმენტით და ერთდროულად შეხამებული ხშირი მოთხოვნის საქონელთან.

2. შედარებით იშვიათი მოთხოვნის საქონლის მასობრივი გაყიდვი-

სათვის პირობების შესაქმნელად აუცილებელია იყოს მყიდველთა დიდი კონტინგენტი ე. ი. მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს მალაზიის მოქმედების რადიუსი. ამას მივყავართ ქსელის კონცენტრული აგებისა და განლაგების პრინციპის გამოყენებამდე.

კონცენტრაციის განსხვავებული დონის მალაზიებს აქვთ მოქმედების სხვადასხვა რადიუსი: პირველადი მალაზიები მცირე მოქმედების რადიუსით და მეორე დონის მალაზიები, რომლებიც თავისი მოქმედების რადიუსით მოიცავენ პირველადის მოქმედების რაიონს.

პრაქტიკაში მასობრივი მოთხოვნის საქონლით მოვაჭრე ყველა მალაზია, კერძოდ სასურსათო, უნდა განლაგდეს (ქალაქის გეგმაში) საერთო სარგებლობის ტრანსპორტის გაჩერებების ახლოს, ქვეითად მოსიარულეთა მისაწვდომობის ფარგლებში.

საერთო-საქალაქო მნიშვნელობის მალაზიები შეიძლება განლაგდეს მხოლოდ ქალაქის ან ქალაქის რაიონების ყველაზე უფრო გაცხოველებული მოძრაობის მაგისტრალებზე. ქალაქისა და ქალაქის რაიონის ცენტრალური უნივერსალი არ არის აუცილებელი განლაგდეს ადმინისტრაციულ ან კულტურულ ცენტრში. მისთვის საჭიროა ვაჭრობის ცენტრის, ე. ი. თანამგზავრ მალაზიათა ჯგუფის შექმნა, რომელიც გააძლიერებს მყიდველთა ნაკადების კონცენტრაციას, თუკი ეს ცენტრი განლაგდება ქალაქის ერთ-ერთი მძლავრი სატრანსპორტო კვანძის მახლობლად.

ცენტრალური უნივერსალის ზომა უნდა იზრდებოდეს ქალაქის მოსახლეობის რაოდენობის ზრდასა და საქონელბრუნვის განვითარებასთან ერთად. მეორე პარალელური მალაზიის აშენება საკითხის სწორ გადაწყვეტად არ შეიძლება ჩაითვალოს. ამიტომ ცენტრალური უნივერსალური მალაზია საჭიროა დაპროექტდეს იმის გათვალისწინებით, რომ შემდგომში მისი გაფართოება მოხდეს ახალი სექციების მიშენების ან სართულების დაშენების ხარჯზე.

საევაქრო საწარმოთა განლაგების ზემოგანხილული პრინციპები წარმოადგენს საცალო საევაქრო ქსელის კომპლექსური განლაგების საფუძველს, მოსახლეობის მომსახურების ხარისხის ამაღლების, ვაჭრობაში გაწეული კაპიტალდაბანდებების ეფექტურობის გადიდების, აგრეთვე საწარმოების საქონლის მიმწოდებლებთან (საბითუმო, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებთან) რაციონალური კავშირების გათვალისწინებით.

პირველ რიგში უნდა გადაწყდეს ყოველდღიური მოთხოვნის საქონლით მოვაჭრე მალაზიების ქსელის რაციონალური განლაგების საკითხი ახალშენებარე საცხოვრებელ რაიონებში, აგრეთვე მშენებლობადასრულებულ რაიონებში მოქმედ საევაქრო საწარმოთა რეკონსტრუქციისას. ამასთან, დიდი მნიშვნელობა აქვს საევაქრო საწარმოთა ზომების განსაზღვრას (მაგალითად, უნივერსალი შესაბამისი ფართობით).

მშენებლობის პუნქტების შერჩევის ან მოქმედ სავაჭრო საწარმოთა რეკონსტრუქციის დროს მოქმედი ფაქტორების კომპლექსის გათვალისწინებით გვხვდება ვარიანტების სიმრავლე.

ყველა ამ ვარიანტის გაანალიზება და მათი შეფასება განსაზღვრული კრიტერიუმის პოზიციებიდან შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების დახმარებით. ასეთი ამოცანის დაყენებისა და გადაჭრის სირთულე მდგომარეობს რიგი ფაქტორების ერთდროულ აღრიცხვაში, როგორცაა მშენებლობისა და სავაჭრო საწარმოთა რეკონსტრუქციის შესაძლო პუნქტების წინასწარი ანალიზი, მათი განვითარების ვარიანტები (ტიპური პროექტები, საქონელბრუნვა და ა. შ.), მოქმედების რაიონის მყიდველთა მოთხოვნა, მიმდინარე მიმოქცევის ხარჯები (ყოველი ვარიანტის მიხედვით), ხვედრითი კაპიტალური დაბანდებანი, რომელიც მოდის თითოეულ ვარიანტზე, შეჯამებული მიმდინარესთან დარგობრივი ეფექტიანობის კოეფიციენტის გამოყენებით, საქონლის მიმწოდებლების განლაგება, სატრანსპორტო ხარჯები.

დამუშავებულია სავაჭრო საწარმოთა ზომისა და განლაგების სქემის რაციონალიზაციისადმი კომპლექსური მიდგომა სასურსათო მაღაზიების მაგალითზე¹. პირველ ეტაპზე სატრანსპორტო და ხვედრითი კაპიტალური დანახარჯების მხედველობაში მიღებით განისაზღვრება განლაგების რაციონალური სქემა შემდეგი ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის დახმარებით:

$$\sum_{i=1}^n x_{ij} = Q_i \quad (1)$$

$$\sum_{i=1}^m x_{ij} = x_j \quad (2)$$

$$\sum_{i=1}^n x_i = D \quad (3)$$

$$\sum_{i=1}^m \sum_{j=1}^n x_{ij} = \sum_{j=1}^n x_j \quad (4)$$

საჭიროა მოიხაზოს ასეთი მნიშვნელობები:

$$x_{ij} \geq 0 \text{ და } x_j \geq 0 \quad (5)$$

¹ იხ. Орлов А. В. Экономико-математические модели в розничной торговле, м., «Экономика», 1972

$$Z(x) = \sum_{i=1}^m t_{ij} \cdot x_{ij} + \sum_{i=1}^n s_{ix} - \min \quad (6)$$

ფორმულაში (1—6) შემდეგი პირობითი აღნიშვნებია:

$i = 1, 2, 3$ m — სავაჭრო საწარმოს მომსახურე საქონლის მიმწოდებელთა რაოდენობა;

$j = 1, 2, 3$ n — ასაშენებელი და სარეკონსტრუქციო სავაჭრო საწარმოების რაოდენობა;

x_{ij} — შოდელის ამოხსნით განსაზღვრული საქონლის მიწოდების მოცულობა i -ური მომწოდებლებისაგან j -ური სავაჭრო საწარმოსათვის;

x_j — j -ური სავაჭრო საწარმოს მოთხოვნილება განსაზღვრული ჯგუფის საქონელზე;

D — ძვიდველთა მოთხოვნა სავაჭრო საწარმოთა მოქმედების რაიონში;

Q_i — i -ური მიმწოდებლის წარმოების მოცულობა საქონლის მიწოდების ხელშეკრულების თანახმად;

t_{ij} — i -ური მიმწოდებლიდან j -ურ სავაჭრო საწარმომდე საქონლის პირობითი ერთეულის გადაზიდვის სატრანსპორტო ხარჯები;

S_j = ხედრითი კაპიტალური დანახარჯები მშენებლობაზე (რეკონსტრუქციაზე) და შეფარდებითი დანახარჯები ექსპლუატაციაზე თითოეული სავაჭრო საწარმოსათვის.

ამოცანის პირველი ეტაპის მოდელის პირობებს აქვს შემდეგი ეკონომიკური აზრი: (1) პირობა გვიჩვენებს, რომ i -ური მიმწოდებელი მთლიანად ასრულებს თავის სახელშეკრულებო მოვალეობას. (2) პირობა ახასიათებს კავშირს j -ურ პუნქტში შექმნილი მალაზიის ზომისა და მასში ყველა მიმაგრებული მიმწოდებლისაგან შესაზიდი საქონლის მოცულობას შორის. (3) პირობა გვიჩვენებს, რომ მალაზიების ერთობლივი ზომა საკმარისი უნდა იყოს მათი მოქმედების რაიონის მოსახლეობის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. (4) პირობა ახასიათებს მოთხოვნისა და მიწოდების ბალანსს.

პირველი ეტაპი, ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი წარმოადგენს წრფივი პროგრამირების ამოცანას და იხსნება ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანაზე სატრანსპორტო ამოცანის ერთ-ერთი ალგორითმის მიხედვით.

(6) გამოსახულების მნიშვნელობები მოიძებნება შესაძლო პუნქტებში. ერთი, ორი, სამი და ა. შ. სავაჭრო საწარმოს მშენებლობის სხვადასხვა ვარიანტისათვის, შეირჩევა მინიმალური თითოეული შემთხვევისათვის, მათგან კი არჩევენ იმ შემთხვევის ვარიანტს, რომელიც იძლე-

ვა საქონლის გადაზიდვის ხვედრითი კაპიტალდაბანდებისა და შეფარდებითი მიმდინარე მიმოქცევის ხარჯების უმცირეს ერთობლივ დანახარჯებს. მეორე ეტაპზე ხდება მაღაზიების ოპტიმალური განლაგების სქემის მიღებული ვარიანტის კორექტირება სტატისტიკური ანალიზის მეთოდების დახმარებით, მშენებლობის ეკონომიკურად მიზანშეწონილი ვარიანტების გათვალისწინებით.

საცალო სავაჭრო ქსელის განლაგების კომპლექსური მოდელირების დროს შეიძლება ამოიხსნას ამოცანები ძირითადად მისი საშუალოვადიანი ან გრძელვადიანი (პერსპექტიული) დაგეგმვის დროს. სკკპ ცკ-ისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 5 ივლისის დადგენილებაში „ვაჭრობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ ერთხელ კიდევ არის ხაზგასმული ქალაქებში საცალო სავაჭრო საწარმოთა ქსელის განვითარებისა და განლაგების ასეთი გეგმების შემუშავების აუცილებლობა.

§ 4. ქალაქის სავაჭრო ქსელის დაგეგმვა

ქალაქებში საცალო სავაჭრო ქსელის განვითარების და განლაგების დაგეგმვა კომპლექსურ ხასიათს ატარებს, რადგანაც მოიცავს ყველა სავაჭრო საწარმოს მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად.

ქალაქებში სავაჭრო ქსელის განვითარების გეგმა საქალაქო მეურნეობის განვითარების საერთო გეგმის შემადგენელი ნაწილია, რაც საშუალებას გვაძლევს უშუალო კავშირი და აუცილებელი პროპორციები დავამყაროთ ქალაქების მშენებლობაში.

ამჟამად საცალო სავაჭრო ქსელის განვითარების დაგეგმვის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს კაპიტალურ დაბანდებათა მაღალი ეფექტიანობის მიღწევა.

სავაჭრო ქსელის დაგეგმვის დროს მხედველობაში მიიღება ვაჭრობის, როგორც მთლიანად დარგის, განვითარების თანამედროვე ტენდენციები, მიმდინარე მოთხოვნები და მისი განვითარების პერსპექტივები. არსებობს სავაჭრო ქსელის განვითარების გეგმების რამდენიმე სახე, რომლებიც საპროექტო ვადების მიხედვით იყოფა გრძელვადიან (პერსპექტიულ), ხუთწლიან და მიმდინარე გეგმებად.

ვაჭრობის საწარმოთა ქსელის განვითარებისა და განლაგების გრძელვადიანი გეგმა წარმოადგენს ქალაქის განვითარების გენერალური გეგმის შემადგენელ ნაწილს, დგება მასთან ერთად და იმავე საანგარიშო ვადით.

საცალო სავაჭრო ქსელის განვითარების ხუთწლიანი გეგმა წარმოადგენს გენერალური გეგმის შესრულების ერთ-ერთ ეტაპს და შეიცავს უმნიშვნელოვანესი ამოცანების განწილებას წლების მიხედვით.

მიმდინარე (წლიური) გეგმა მუშავდება ხუთწლიანი გეგმის საფუ-

ძველზე. წლიური გეგმა დაკავშირებულია სავაჭრო ქსელის განვითარებისათვის გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებებთან.

ამრიგად, სავაჭრო ქსელის განვითარებისა და განლაგების დაგეგმვის პროცესი უწყვეტია წლიური და პერსპექტიული გეგმების ორგანულად შეხამების პირობებში.

სავაჭრო ქსელის აგების მიმდინარე და პერსპექტიული გეგმების შესრულების მსვლელობაში სავაჭრო ქსელის აგება უნდა უახლოვდებოდეს ქალაქის გენერალური გეგმით გათვალისწინებულ მოდელს. ბუნებრივია, რომ ამ გეგმებში შეიძლება შევიტანოთ კორექტივები, რომლებიც ნაკარანახევია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარებით, გაყიდვის მეთოდების ცვლილებით და სხვა ფაქტორებით. და ამრიგად, გენერალური გეგმა შეიძლება შესრულდეს პირველდაწყებითი ვარიანტიდან გადახრით, აუცილებელი ცვლილებების გათვალისწინების გამო.

გენერალური გეგმის დამუშავებისას საცალო ქსელის დაგეგმვას ახორციელებენ სსრ კავშირის სახმშენთან არსებული სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახმშენების საპროექტო და სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები, საოლქო დაყოფის არმქონე მოკავშირე რესპუბლიკების ვაჭრობის სამინისტროების, სამხარეო, საოლქო და საქალაქო ვაჭრობის სამმართველოების, ასსრ ვაჭრობის სამინისტროების მონაწილეობით.

მიმდინარე გეგმების დამუშავების დროს, როდესაც წარმოიშობა ქალაქის ცალკეული რაიონების დეტალური დაგეგმარების მოთხოვნა, ვაჭრობის ადგილობრივი ორგანოების როლი იზრდება და გადაწყვეტი ხდება.

1972 წლის ოქტომბერში მოქმედებაში შევიდა „ქალაქის განვითარების გენერალურ გეგმაში სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოების განვითარებისა და განლაგების პერსპექტიული გეგმის შედგენის დროებითი მეთოდური მითითება“, დამტკიცებული სსრკ ვაჭრობის სამინისტროს და სსრკ სახმშენთან არსებული სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტის მიერ.

ამ დოკუმენტის გამოყენება გეგმარება საცალო სავაჭრო ქსელის დაგეგმვისა და განლაგების მეცნიერულად დასაბუთებაში, სავაჭრო საწარმოთა მშენებლობისათვის გამოყოფილი კაპიტალური დაბანდების უფრო ეფექტურ ხარჯვაში, აგრეთვე მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების კულტურის ამაღლებაში.

საცალო ქსელის განვითარების პერსპექტიული გეგმის შედგენა ახორციელდება თანმიმდევრულად რამდენიმე ეტაპად:

1. ტერიტორიული ობიექტის ეკონომიკის მდგომარეობის ანალიზი

საგეგმო პერიოდის დასაწყისში და პერსპექტივაში მისი განვითარების ძირითადი ტენდენციების შესწავლა;

2. საცალო სავაჭრო ქსელის მდგომარეობისა და განვითარების ანალიზი;

3. სავაჭრო ქსელზე საერთო მოთხოვნის განსაზღვრა საგეგმო პერიოდის ბოლოსათვის;

4. საგეგმო პერიოდში სავაჭრო ქსელის აუცილებელი მატების განგარიშება;

5. მშენებლობისათვის კონკრეტული ტიპის მაღაზიების შერჩევა და ქსელის რაციონალური დისლოკაციის განსაზღვრა.

ტერიტორიული ობიექტის ეკონომიკური ანალიზი და განვითარების პერსპექტივის განსაზღვრა წინასწარ ინფორმაციას იძლევა საცალო-სავაჭრო ქსელზე მოთხოვნის გეგმური გაანგარიშებისათვის, მისი განვითარების სწორი ორიენტაციისათვის, ასეთი ანალიზი მოიცავს სამრეწველო წარმოების, ტრანსპორტის, საქალაქო მეურნეობის განვითარების მოცულობისა და ტემპების, მოსახლეობის ფულადი შემოსაყლების ზრდას და მყიდველობითი ფონდების, საცალო საქონელბრუნვის ზრდის შესწავლას. გარდა ამისა, აუცილებელია მოსახლეობის ფაქტობრივი რაოდენობის ანალიზი და მოსალოდნელი ზრდის გაანგარიშება, მისი ცვლილება წლების, აგრეთვე ქალაქის საცხოვრებელი ზონების მიხედვით.

საცალო სავაჭრო ქსელის განვითარება მნიშვნელოვანი ზომით განისაზღვრება მისი არსებული მდგომარეობით საგეგმო პერიოდის დასაწყისში, ამიტომ ანალიზი უნდა ეწარმოთ ისეთი მაჩვენებლების მიხედვით, როგორცაა წინა საგეგმო პერიოდში სავაჭრო ქსელის ზრდა-მაღაზიების რაოდენობის, მათი ტიპებისა და სავაჭრო ფართობის, საცალო სავაჭრო ქსელის მოქმედებაში შეყვანის გეგმის შესრულების მიხედვით.

ანალიზის პროცესში დგინდება სავაჭრო ქსელით მოსახლეობის უზრუნველყოფის ხარისხი, გამოიანგარიშება მაჩვენებელი „სავაჭრო ფართობის სიდიდე 1 მლნ მანეთის საქონელბრუნვაზე“, ფასდება ქსელის განლაგების სისწორე და გაყიდვის პროგრესული მეთოდების განვითარება.

სავაჭრო ქსელით მოსახლეობის უზრუნველყოფის ხარისხი ხასიათდება 1000 მცხოვრებზე სავაჭრო ფართობის მაჩვენებლის შედარებით მოქმედ ნორმატივებთან.

ანალიზის პროცესში განისაზღვრება სპეციალიზაციის დონე მთლიანი სასაქონლო დარგისა და ცალკეული სასაქონლო ჯგუფების მიხედვით. ასეთი ანალიზის მიზანია გაარკვიოს საქონლის ასორტიმენტის განლაგება სავაჭრო საწარმოების მიხედვით, დასახოს ამ განლაგების გაუმჯობესების გზები.

საეპრო საწარმოთა ზომის მიხედვით საეპრო ქსელის შემადგენლობის გამოვლენისათვის ანალიზის დროს დგინდება მალაზიების საშუალო ზომა საეპრო ფართობის მიხედვით.

ანალიზის დროს მნიშვნელოვანია მალაზიების მოქმედების საშუალო რადიუსის განსაზღვრა, რომელიც ხასიათდება მოსახლეობისათვის მათი მისადგომობით (სატრანსპორტო ან ფეხით მოსიარულის) მომსახურების რადიუსი დიფერენცირებული უნდა იყოს ცალკეული მალაზიებისათვის საქონელზე მოთხოვნის პერიოდულობის, განაშენიანების სიმჭიდროვის და სატრანსპორტო გზების განვითარების მხედველობაში მიღებით.

გაყიდვის პროგრესული მეთოდების განვითარების ანალიზისათვის სარგებლობენ მათი გავრცელების მაჩვენებლებით, რომელიც გამოიხატება მალაზიების საერთო რაოდენობასთან იმ მალაზიების რიცხვის შეფარდებით, რომლებიც იყენებენ პროგრესულ მეთოდებს. შეიძლება განისაზღვროს აგრეთვე პროგრესული მეთოდებით გაყიდული საქონლის ხვედრითი წონა მთლიან საცალო ბრუნვაში.

საეპრო ქსელის მდგომარეობის ანალიზისას საზღვრავენ საეპრო საწარმოთა ფართობების გამოყენების ეფექტიანობის ხარისხს, ამისათვის ანგარიშობენ საქონელბრუნვას საეპრო ფართობის ერთ კვადრატულ მეტრზე და მას უდარებენ შესაბამის ნორმატივებს.

ანალიზის პროცესში აუცილებელია აგრეთვე განისაზღვროს მალაზიების სათავსების ცვეთის ხარისხი, მათი ვარგისიანობა შემდგომი გამოყენებისათვის, დადგინდეს საგეგმო პერიოდში სხვადასხვა მიზეზების გამო ქსელის მწყობრიდან გამოსვლა.

ასეთი ანალიზი შეიძლება შესრულდეს ინვენტარიზაციისა და ძირითადი ფონდების გადათასების მასალებით, საეპრო საწარმოთა პასპორტების მონაცემებით ან საცალო საეპრო ქსელის ანექტური გამოკვლევების გზით, ყველა ჩამოთვლილი მაჩვენებლის მიხედვით ანალიზის შედეგები წარმოადგენს საფუძველს საცალო საეპრო ქსელის განვითარებისა პერსპექტივაში და ახალ საეპრო მშენებლობაზე მოთხოვნილების განსაზღვრისათვის.

პერსპექტივაში საცალო საეპრო ქსელის გაანგარიშების მეთოდისადიფერენცირებულია ახალი ქალაქებისა და ისტორიულად ჩამოყალიბებული ქალაქებისათვის.

გენერალურ პერსპექტივაში ახალი ქალაქებისათვის საეპრო საწარმოთა განვითარებისა და განლაგების გეგმის შედგენა იწყება ქალაქისათვის მთლიანად მალაზიებზე, საერთო მოთხოვნის განსაზღვრით. ამასთან, სასურსათო და არასასურსათო მალაზიების საერთო ფართობი განისაზღვრება დადგენილი საანგარიშო ნორმატივის (საეპრო ფართობის მ² რაოდენობით 1000 მცხოვრებზე გაანგარიშებით) გამრავლებით ქალაქის მოსახლეობის საგეგმო რაოდენობაზე (ათას კაც.).

ამ მიზნით მოსახლეობის სავაჭრო ქსელით უზრუნველყოფის ნორმატივები პერსპექტივაზე გაანგარიშებით გათვალისწინებულია 210 კვმ რაოდენობით 1000 მცხოვრებზე, მათ შორის სასურსათო საქონელზე — 80 კვმ, არასასურსათო — 130 კვმ. ეს ნორმატივები განსაზღვრულია მოსახლეობის ერთ სულზე 12 კვმ საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის საფუძველზე (იხ. ცხრილი).

ქვეყნისათვის მოტანილი საშუალო საანგარიშო ნორმატივები საკიზოა დიფერენცირებული იყოს სავაჭრო საწარმოს მოქმედების რაიონის მიხედვით. ამასთან დაკავშირებით ყველა მაღაზია იყოფა ორ ჯგუფად: პირველი ჯგუფის საწარმოები განკუთვნილია საცხოვრებელი ზონის (მიკრორაიონის, საცხოვრებელი რაიონის, კვარტალების, საცხოვრებელი კომპლექსებისა და მაგისტრალთაშორისი ტერიტორიის), მეორე ჯგუფი — მთელი ქალაქის მომსახურებისათვის.

პირველი ჯგუფის საწარმოები უნდა მდებარეობდეს ფეხით მისასვლელ ფარგლებში, მეორე ჯგუფისა — ტრანსპორტის მიდგომის ფარგლებში.

ხიდალო სავაჭრო ქსელის განვითარების გაანგარიშებითი მაჩვენებლების ხანმოშუო განაწილება, საქონლის ჯგუფების მიხედვით.

საქონლის ჯგუფები	მაღაზიის სავაჭრო ფართობი 1000 კაცზე გაანგარიშებით კვმ	
	1980	1990
1	2	3
სასურსათო საქონელი		
პურ-ფუნთოშეუღლის ნაწარმი და პური	5,4	5,4
საბაკალეო საქონელი	9,0	9,0
საკონდიტრო საქონელი	5,4	5,4
ზორცი	7,2	7,2
თევზი	3,6	3,6
რძე და რძის პროდუქტები	9,9	9,9
ვასტრონომიული საქონელი	14,0	14,0
ღვინო-არყის ნაწარმი, უალკოჰოლო სასმელები		
ლუდი, ნაყინი	4,0	4,0
ბოსტნეული	9,0	9,0
ხილი	5,4	5,4
დამატებითი მომსახურება	8,0	8,0
სულ სასურსათო საქონელი	80,0	80,0
არასასურსათო საქონელი		
ქსოვილები	6,0	6,0
შეკერილი ნაწარმი და თავსაბურავები	20,0	24,8
ფეხსაცმელი	7,8	9,0

1	2	3
ტრიკოტაჟის ნაწარმი	8,0	9,0
ვალანტერეა, პარფიუმერია	11,2	14,1
მურკველსამუერნეო საქონელი და ელექტროსაქონელი	13,2	13,6
სმორტსაქონელი	5,0	5,0
ჩადიო-მუსიკალური საქონელი	5,6	6,5
საკანცელარიო საქონელი, სათამაშოები და კულტსა-ქონელი	4,3	6,3
ბეჭდვითი ნაწარმი	5,0	5,6
ფეჩი	10,0	14,4
სხვა არასასურსათო საქონელი	4,3	9,7
დამატებითი მომსახურება	4,0	6,0
სულ არასასურსათო საქონელი	105,0	130,0
მთლიანად	185,0	210,0

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგ-მო კომიტეტებს, სამხარეო, საოლქო საგეგმო კომისიებს საცალო საეა-ქრო ქსელზე აუცილებელი მოთხოვნის გაანგარიშებისას უფლება აქვთ შეიტანონ კორექტირება ქალაქის საცალო ქსელით უზრუნველყოფის საშუალო ნორმატივებში. ასეთი კორექტირება შეიძლება შეტანილ იქ-ნეს ადგილობრივი პირობებიდან გამომდინარე ისეთი ფაქტორების გა-თვალისწინებით, როგორცაა სხვა ქალაქელ მყიდველთა ნაკადი, ტერი-ტორიის სიდიდე და ქალაქის განლაგების თავისებურებანი, სატრანსპორ-ტო კავშირების მდგომარეობა და სხვა.

საცალო ქსელის მდგომარეობის ანალიზის მონაცემებისა და საეაქ-რო ფართობზე საერთო მოთხოვნის საფუძველზე განისაზღვრება საგე-გმო პერიოდში საეაქრო ფართობის აუცილებელი ზრდა, რომელიც შე-იძლება გავიანგარიშოთ ფორმულით:

$$\Pi_{\text{პრ}} = \Pi_{\text{ოი}} - (\Pi_1 - \Pi_B),$$

სადაც $\Pi_{\text{პრ}}$ — არის საეაქრო ფართობის აუცილებელი ზრდა მ²-ობით.

$\Pi_{\text{ოი}}$ — საეაქრო ფართობზე მთლიანი მოთხოვნილება საგეგმო პერიოდის ბოლოსათვის მ²-ობით.

Π_1 — მალაზიების საეაქრო ფართობი საგეგმო პერიოდის და-საწყისისათვის მ²-ობით.

Π_B — საგეგმო პერიოდში საეაქრო ფართობის მწყობრიდან გამოსვლა მ²-ობით.

საგეგმო პერიოდში საეაქრო ფართობის მატება უზრუნველყოფი-ლია ძირითადად კაპიტალური მშენებლობისა და ახალი საეაქრო ფარ-

თობის მოქმედებაში შეყვანის, აგრეთვე ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოების მიერ დათმობილი სათავსების გამოყენებისა და სავაჭრო ქსელის რეკონსტრუქციის ხარჯზე.

სავაჭრო ქსელის პერსპექტიული განვითარების დაგეგმვისას კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა განისაზღვრება მოქმედებაში შეყვანილი სავაჭრო ქსელის ერთეულზე დანახარჯების ნორმატიული ან განაგარიშებითი მაჩვენებლების საფუძველზე (m^2 სავაჭრო ფართობზე).

მუშაობის შემდგომ ეტაპს წარმოადგენს ქალაქის გენერალურ გეგმაში სავაჭრო ცენტრების, საქალაქო მნიშვნელობის უნივერსალური და სპეციალიზებული მაღაზიების განლაგება. სავაჭრო საწარმოთა განლაგების ადგილის განსაზღვრა უნდა განხორციელდეს ქალაქის გენერალური გეგმის არქიტექტურულ-საგეგმო გადაწყვეტილებასთან კავშირში.

შემდგომში არჩევენ საქალაქო მნიშვნელობის მაღაზიათა ტიპებს სავაჭრო ფართობის ზომისა და სპეციალიზაციის მიხედვით. მათგან აყალიბებენ სავაჭრო ცენტრების კომპლექსებს და განსაზღვრავენ მათ ადგილმდებარეობას ქალაქის გენერალურ გეგმაში.

საჭიროა გვახსოვდეს, რომ სავაჭრო საწარმოები უნდა შენდებოდეს ახალი რაციონალური ტიპური პროექტების მიხედვით, მაღაზიების ტიპების ნომენკლატურის შესაბამისად.

ქალაქისათვის საცალო სავაჭრო საწარმოთა ქსელის დაპროექტებამ უნდა უზრუნველყოს სავაჭრო ფართობის სწორი თანაფარდობა სასაქონლო ჯგუფების მიხედვით. ჯგუფების მიხედვით სავაჭრო ფართობების სტრუქტურის ნორმატივებთან შესაბამისობაში მოყვანამ შეიძლება მოითხოვოს ცალკეული მაღაზიების პროფილის ნაწილობრივი ან სრული შეცვლა, პატარა მაღაზიების გამსხვილება, რეკონსტრუქცია და აღჭურვილობის შეცვლა.

ამასთან ერთად შეიძლება გავითვალისწინოთ ერთი მსხვილი მაღაზიის მშენებლობა რამდენიმე პატარის ნაცვლად, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ ვაჭრობის თანამედროვე მოთხოვნებს.

გენერალურ პერსპექტივაში ვაჭრობის საწარმოთა ქსელის განვითარების და განლაგების გეგმის მომზადება მთავრდება შესაბამისი ახსნა-განმარტებითი ბარათის შედგენით და გრაფიკული მასალის გაფორმებით.

გენერალურ პერსპექტივაში (საანგარიშო ვადებში) სავაჭრო საწარმოთა ქსელის განვითარებისა და განლაგების გეგმის შედგენის შემდეგ გაიანგარიშება პირველ რიგში ან უახლოეს პერსპექტივაში ასაშენებელი მაღაზიების რაოდენობა.

ამ მიზნისათვის საჭიროა გამოვიყენოთ სავაჭრო ფართობით მოსახლეობის უზრუნველყოფის ნორმატივები უახლოესი ხუთი წლისათვის.

(185 მ² 1000 მცხოვრებზე, მათ შორის 80 მ² სასურსათო მალაზიებისათვის და 105 მ² არასასურსათო მალაზიებისათვის).

წერილ საცალო სავაჭრო ქსელს გაითვალისწინებენ მალაზიებისათვის დადგენილი სავაჭრო ფართობის ნორმატივების ზევით, ამიტომ პერსპექტიულ გეგმაში მისი განვითარება არ აისახება. მისი განვითარება გათვალისწინებულია მიმდინარე გეგმებში ერთეულების რაოდენობისა და ცალკეული სახეების მიხედვით.

§ 5. სოფლად სავაჭრო ქსელის აგების და განლაგების თავისებურებანი

• კოოპერაციული ვაჭრობის განვითარება და მისი ორგანიზაციის გაუმჯობესება მიმდინარეობს სოფლად საერთო სოციალ-ეკონომიკური გარდაქმნების საფუძველზე, რომელთა მიზანია ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ცხოვრების დონის დაახლოება. ამასთან დაკავშირებით კოოპერაციული ვაჭრობა სულ უფრო მეტად იძენს ქალაქის ვაჭრობისათვის დამახასიათებელ ნიშნებს, ხოლო მის განვითარებას ისეთივე კანონზომიერებანი და ტენდენციები აქვს.

კოოპერაციული ვაჭრობის კულტურის ამაღლება და ორგანიზაციის გაუმჯობესება მოითხოვს საცალო სავაჭრო ქსელის რაციონალურ აგებას. (სავაჭრო ქსელის სრულყოფა უნდა წარიმართოს სოფლის დასახლებების გამსხვილების და მათი მოსახლეობის სიმჭიდროვის გადიდების, პატარა დასახლებების რაოდენობის მაქსიმალურად შემცირების, სასოფლო-სამეურნეო წარმოების პოტენციურ რაიონებში დასახლებული პუნქტების რაციონალური განლაგების მხედველობაში მიღებით, სავაჭრო ქსელის გაშლის მრავალმხრივი ამოცანები უნდა გადაწყდეს აგრეთვე პერსპექტიულ ახლად მშენებარე დასახლებებში.

! სოფლად სავაჭრო ქსელის განვითარების საფუძველს წარმოადგენს საქონელბრუნვის განუწყვეტელი გადიდება, მისი სტრუქტურის ცვლილება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევები, სავაჭრო საწარმთა მუშაობის ეფექტიანობის ამაღლება. საქონელბრუნვის ზრდა განსაზღვრავს საცალო სავაჭრო ქსელის რაოდენობრივ ზრდას.

, კოოპერაციული ვაჭრობის განვითარების თანამედროვე ეტაპი ხასიათდება საცალო საწარმთა გამსხვილების ინტენსიური პროცესით. ასე მაგ., 1965 წ. მალაზიის საშუალო ზომა უდრიდა 35,2 მ², ხოლო 1975 წლის დასაწყისში ამ მაჩვენებელმა 53 მ² შეადგინა. საქონელბრუნვა ამ პერიოდში ერთ მალაზიაზე საშუალოდ გაიზარდა თითქმის 40 %-ით. ერთდროულად წყდება სოფლის მალაზიებში საქონლის მყარი ასორტიმენტის შექმნის ამოცანა. ამას ხელს უწყობს სოფლად გატარებული საასორტიმენტო პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს სავაჭრო ქსელში ყოველდღიური მოთხოვნის საქონლის მყარი ასორტიმენტის

შექმნას მოსახლეობასთან მაქსიმალურ მიახლოებას, რთული ასორტიმენტის საქონლით ვაჭრობის თავმოყრას უნივერსალურებში, სავაჭრო ცენტრებსა და სპეციალიზებულ მაღაზიებში, საქონლის ასორტიმენტის რაციონალურ განლაგებას სავაჭრო ფართობებზე. საასორტიმენტო-პოლიტიკის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს ყოველდღიური მოთხოვნის არასასურსათო საქონლის გასაყიდი სექციების ორგანიზაცია სასურსათო მაღაზიების სავაჭრო ფართობებზე. გარდა ამისა, გათვალისწინებულია მცირე დასახლებებში ისეთი მეთოდების ფართოდ განვითარება, როგორცაა რთული ასორტიმენტის საქონლის გაყიდვა-წინასწარი შეკვეთებით, დატარებითი და საამანათო ვაჭრობის გაფართოება, მყიდველთა კოლექტიური გასვლა რაიონის სავაჭრო ცენტრებსა და უნივერსალურებში.

საასორტიმენტო პოლიტიკის განხორციელება შეუძლებელია სოფლის სავაჭრო საწარმოების რაციონალური ტიპიზაციის გარეშე. ცენტროსოიუზის გამგეობამ საცალო სავაჭრო ქსელის ხარისხობრივი ცვლილებების გათვალისწინებით 1973 წლის იანვარში დაამტკიცა 1980 წლამდე ახალი მშენებლობისათვის მაღაზიების ტიპების დაზუსტებული ნომენკლატურა.

ამჟამად სამომხმარებლო კოოპერაციაში ყველაზე უფრო გავრცელებული საცალო სავაჭრო საწარმოს ტიპს ყოველდღიური მოთხოვნის საქონლის მაღაზია წარმოადგენს. მათ უკავიათ მაღაზიების მთლიანი რაოდენობის 40%-ზე მეტი, უმეტესად აქვთ მცირე სავაჭრო ფართობი (საშუალოდ არაუმეტეს 30 მ²). ასეთი ტიპის მაღაზიების ნომენკლატურა ითვალისწინებს მათი მინიმალური სავაჭრო ფართობის გაზრდას 100—150 მ²-მდე.

პერსპექტიულია უნივერსალური ტიპის მაღაზია 250, 400 და 650 მ² სავაჭრო ფართობით.

არასასურსათო საქონლის გასაყიდი მაღაზიის ძირითად ტიპს უნივერსალური წარმოადგენს. უნივერსალურებისათვის გათვალისწინებულია სავაჭრო ფართობის ექვსი ტიპი: 400, 650, 850, 1000, 1650 და 2150 მ². უნივერსალურებს შეიძლება ჰქონდეთ აგრეთვე სასურსათო საქონლის შეზღუდული ასორტიმენტი. ისინი იქმნება მსხვილ დასახლებულ პუნქტებში ან რაიონულ ცენტრებში.

სოფლად ფართოდ უნდა გავრცელდეს სავაჭრო ცენტრები.

მაღაზიების ტიპების ნომენკლატურაში ძირითადს მიეკუთვნება სპეციალიზებული მაღაზიების მნიშვნელოვანი ჯგუფი: ავეჯის, სამეურნეო საქონლის, კულტსაქონლის, წიგნების, ელექტრო-საყოფაცხოვრებო საქონლის, სამშენებლო მასალების, აგრეთვე სასურსათო საქონლის მაღაზიები.

მცირე სავაჭრო სათავსების შემდგომი გამოყენების აუცილებლობასთან დაკავშირებით მაღაზიების ტიპების ნომენკლატურაში შეტანი-

ლია საწარმოთა დამატებითი ტიპები, რომელთა სასაქონლო პროფილი წინასწარ განსაზღვრავს უფრო ღრმა სპეციალიზაციას. მათ რიცხვს ეკუთვნის: რძისა და რძის პროდუქტების, ხორცისა და ხორცის პროდუქტების, თევზის, ბოსტნეულის, კულინარიული ნაწარმის და ნახევარფაბრიკატების, საკონდიტრო ნაწარმის, თამბაქოს და ღვინო-არაყის ნაწარმის მალაზიები. არასასურსათო საქონლით ვაჭრობაში კი — შეკერილი ნაწარმის, ფეხსაცმლის, თავსაბურავებისა და ბეწვეულის, გალანტერიის, პარფიუმერიის, ტრიკოტაჟის, წინდა-თათმანის, კურკელ-სამეურნეო საქონლის, კულტ-საყოფაცხოვრებო საქონლის და საკომისიო მალაზიები.

სოფლად ფართო გავრცელება პოვა მოძრავმა ვაჭრობამ: ავტოდუქნებმა, გემდუქნებმა, მისაბმელმა-დუქნებმა და სხვ. ისინი ავსებენ სტაციონარულ ქსელს და აწყობენ მოსახლეობის სავაჭრო მომსახურებას იმ ადგილებში, სადაც არ არის სპეციალიზებული სავაჭრო საწარმოები. მოძრავი სავაჭრო ქსელის შემადგენლობაში შეიძლება იყოს სპეციალიზებული გაყიდვის პუნქტებიც, მაგ., წიგნის დუქანი.

სოფლად სავაჭრო ქსელის განლაგების ძირითად პრინციპს წარმოადგენს მისი კონცენტრული აგება, რომელიც დაკავშირებულია საქონლის ასორტიმენტის თავისებურებებთან, მის სირთულესა და მოთხოვნის პერიოდულობასთან.

კონცენტრული განლაგების დროს წარმოიშობა სავაჭრო ქსელის რამდენიმე საფეხური: პირველი საფეხურის მალაზიებს აქვთ მოქმედების მცირე რადიუსი და, როგორც წესი, ვაჭრობენ ყოველდღიური მოთხოვნის საქონლით; მეორე საფეხურის მალაზიები ასორციელებენ პერიოდული მოთხოვნის საქონლის გაყიდვას და მათი მოქმედების რაიონი მოიცავს პირველი საფეხურის მალაზიებსაც; მესამე საფეხურის მალაზიებს აქვთ შედარებით იშვიათი მოთხოვნის საქონლის ფართო ასორტიმენტი. ისინი თავისი საქმიანობით მოიცავენ მომსახურებაში მყოფ მთელ რაიონს.

სოფლის საცალო ქსელის განლაგების მეორე პრინციპს წარმოადგენს თანაბარზომიერების პრინციპი, რომლის დროსაც ერთტიპური მალაზიები განლაგდებიან თანაბარზომიერად, დაახლებული პუნქტის ტერიტორიაზე. თითოეულ მალაზიას აქვს თავისი მოქმედების რაიონი, ემსახურება მცხოვრებთა განსაზღვრულ რაოდენობას. აუცილებელია თანაბარზომიერად განლაგდეს ყოველდღიური მოთხოვნის საქონლის მოვაჭრე მალაზიები.

სოფლად საცალო ქსელის განლაგების მესამე პრინციპს წარმოადგენს ჯგუფური განლაგების პრინციპი. ამ პრინციპით განლაგებისას ხდება საერთო მოთხოვნით დაკავშირებული საქონლით მოვაჭრე მალაზიების ტერიტორიული დაახლოება, რაც მყიდველებს უქმნის კომპლექსური შესყიდვის შესაძლებლობას. ჯგუფური განლაგების პრინციპი გამო-

იყენება ძირითადად ახალ საეკრო მშენებლობაში საეკრო ცენტრების შესაქმნელად.

დასახელებული პრინციპებიდან არც ერთი მათგანი არ გამოიყენება იზოლირებულად: სოფლად საცალო ქსელის განლაგება ხორციელდება ამ პრინციპების ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. მათი რაციონალური გამოყენება მჭიდროდ არის დაკავშირებული დასახელებული პუნქტების ეკონომიურ-გეოგრაფიულ მდგომარეობასთან და მათი განვითარების პერსპექტივებთან.

სოფლად საეკრო ქსელის განვითარების დაგეგმვა ხორციელდება საეკრო ფართობის ნორმატივების 1000 მცხოვრებზე გაანგარიშების გამოყენების საფუძველზე. 1980 წლისათვის მალაზიების ქსელის დაგეგმვის სართო ნორმატივები განისაზღვრება შემდეგი ზომებით (მ²):

მთლიანად მალაზიების	— 165
მათ შორის	
სასურსათოს	— 70
არასასურსათოს	— 95

ნორმატივები დიფერენცირებულია სულადობრივი მოხმარების თავისებურებების გათვალისწინებით ცალკეულ რესპუბლიკებში, დასახელებულ პუნქტებში მათი დანიშნულების მხედველობაში მიღებით (რაიონული ცენტრი, ადგილობრივი ცენტრი, რიგითი სოფლები), აგრეთვე სასაქონლო ჯგუფების მიხედვით. გარდა ამისა დაგეგმვის ნორმატიული მეთოდი ითვალისწინებს ყოველი რაიონის და ყოველი დასახელებული პუნქტის კონკრეტულ პირობებს.

**მოსახლეობის მოთხოვნის შესწავლა და საქონ-
ლის ასორტიმენტის ფორმირება საცალო
ვაჭრობაში**

**§ 1. მოთხოვნის შესწავლისა და პროგნოზირების
ორგანიზაცია და მეთოდოლოგია**

სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების სისტემატური გადიდებისა და საბჭოთა ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების პირობებში იზრდება ვაჭრობის როლი საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნის განსაზღვრასა და მოთხოვნასა და მიწოდებას შორის ოპტიმალური პროპორციების დამყარებაში.

თანაფარდობა მოთხოვნასა და მიწოდებას (წარმოებას) შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახალხომეურნეობრივ პროპორციას წარმოადგენს, რომლის სწორად განსაზღვრაზეც დამოკიდებულია წარმოების განვითარება და მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების ხარისხი. რამდენადაც მოსახლეობის მოთხოვნა არსებობს უმთავრესად მისი დაკმაყოფილების რეალური შესაძლებლობების პირობებში, ამდენად წარმოება განსაზღვრავს და ზემოქმედებს მასზე რაოდენობრივად და ხარისხობრივად. მეორე მხრივ, ვაჭრობა ზემოქმედებს რა წარმოებაზე, აიძულებს მას გაათავითოს ან შეამციროს ამა თუ იმ საქონლის გამოშვება.

სახალხო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნის შესწავლა და პროგნოზირება წარმოადგენს ვაჭრობის უმნიშვნელოვანეს ფუნქციას, რამდენადაც სწორედ აქ მიმდინარეობს მისი დაკმაყოფილების პროცესი. გააჩნია რა უშუალო კონტაქტები მყიდველებთან და ფლობს ინფორმაციას საქონლის გაყიდვის მოცულობისა და სტრუქტურის შესახებ, ვაჭრობას შეუძლია თვალყურის ადევნოს და შეისწავლოს მოსახლეობის მოთხოვნაში მომხდარი ცვლილებების უმნიშვნელოვანესი ტენდენტები და გაითვალისწინოს ისინი წარმოებისათვის წარსაღვენ განცხადებასა და დაკვეთებში.

სახელმწიფო ვაჭრობაში მოთხოვნის შესწავლის და პროგნოზირე-

ბის კომპლექსურ ხელმძღვანელობას ახორციელებს სსრკ ვაჭრობის სამინისტროსთან არსებული სახალხო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნისა და ვაჭრობის კონიუნქტურის შესწავლის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი („ნვიიკს“), რომელსაც აქვს ფილიალები მოკავშირე რესპუბლიკებში. ინსტიტუტისა და მისი ფილიალების ფუნქციებში შედის: მოთხოვნის მოცულობისა და სტრუქტურის განსაზღვრა; სახალხო მოხმარების საქონლის ბაზრის კონიუნქტურის შესწავლა, მისი მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივების ანალიზი; საეაპრო ორგანიზაციებისა და საწარმოებისათვის მოთხოვნის შესწავლის მეთოდური მითითების დამუშავება, მოხმარების რაციონალური ნორმებისა და უმნიშვნელოვანესი საქონლით უზრუნველყოფის ნორმატივების გაანგარიშება; მოთხოვნის შესწავლისა და პროგნოზირების დარგობრივი ავტომატიზებული ქვესისტემის დაპროექტება.

დასაბამი მიეცა მოთხოვნის შესწავლისა და პროგნოზირების საერთო სახელმწიფოებრივი სისტემის შექმნას. მოკავშირე რესპუბლიკების ვაჭრობის სამინისტროებში, რესპუბლიკურ საბითუმო კანტონებში საბითუმო ბაზებში შექმნილია მოთხოვნის შესწავლის განყოფილებები, სახალხო დეპუტატთა საბჭოების ვაჭრობის სამმართველოებთან — ეკონომიკური ინფორმაციისა და ვაჭრობის კონიუნქტურის ლაბორატორიები, საეაპრო ორგანიზაციებსა და მსხვილ საწარმოებში — მოთხოვნის შესწავლის სამსახურები.

საცალო საეაპრო საწარმოებში მოთხოვნის შესწავლის სამსახურის ძირითად ამოცანას წარმოადგენს მალაზიებში საქონლის აუცილებელი ასორტიმენტის ფორმირების უზრუნველყოფა და მისი დროული შეცვლა მომსახურებაში მყოფი მყიდველთა კონტინგენტის მოთხოვნის ცვლილების შესაბამისად. მოთხოვნის შესწავლის სამსახურის მუშაკები (ან საეაპრო განყოფილების საქონელმცოდნეები) საეაპრო საწარმოებში აწარმოებენ მოთხოვნის განვითარებაზე სისტემატურ დაკვირვებას, ავლენენ მისი ცვლილების მიზეზებს, ტენდენციებს, მასშტაბებსა და ინტენსიურობას, მყიდველთა მოთხოვნილებას საქონლის ასორტიმენტის, ხარისხის და გარეგანი გაფორმების მიმართ, განსაზღვრავენ მოთხოვნის სიდიდეს დადგენილი ასორტიმენტის საქონელზე განაცხადების დასაბუთებისა და საქონელბრუნვის სტრუქტურის გაანგარიშებისათვის. მოთხოვნის სამსახური შესწავლის შედეგების შესახებ სისტემატურად აძლევს ინფორმაციას ვაჭრობის სამმართველოს და შესაბამის საბითუმო ბაზებს. საეაპრო ორგანიზაციების მოთხოვნის შესწავლის სამსახური ახორციელებს ხელმძღვანელობას მოთხოვნის შესწავლაზე საქვეუწყებო საწარმოებსა და მალაზიებში.

ანალოგიურადაა აგებული მოთხოვნის შესწავლის სისტემა კოოპერაციულ ვაჭრობაში, მოთხოვნის შესწავლის ქვედანაყოფები შექმნი-

ლია მომხმარებელთა კოოპერაციის მართვის ყველა დონეზე, მათ შორის ცენტროსოიუზის ცენტრალურ აპარატშიც. მათ მეთოდურ და პრაქტიკულ ხელმძღვანელობას ახორციელებს სოფლის მოსახლეობის მოთხოვნის შესწავლის ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია („ცნილს“) ფილიალებით მოკავშირე რესპუბლიკებში. საოლქო კოოპერაციულ კავშირებთან მოქმედებს მოთხოვნის შესწავლის ლაბორატორიები, ხოლო რაიკოოპკავშირებთან და სარაიონთაშორისო ბაზებთან მოთხოვნის შესწავლის განყოფილება და ჯგუფები.

ღირექტიული ორგანოების გადაწყვეტილების შესაბამისად მოთხოვნის შესწავლა წარმოებს სახალხო მოხმარების საქონლის გამომშვებ დარგებში. 1976 წელს დაახლოებით 30 საკავშირო სამრეწველო სამინისტროს თავის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში ჰქონდა მოთხოვნის შესწავლის განყოფილებები, ლაბორატორიები ან ჯგუფები. მეათე ხუთწლედში საფირმო მალაზიების ქსელის გაფართოების აღებული კურსი ხელს შეუწყობს სავაჭრო საწარმოებში მოსახლეობის მოთხოვნის უკეთ შესწავლას. მათ ბაზაზე შექმნილი მოთხოვნის შესწავლის სისტემის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს განსაზღვრული ნომენკლატურის საქონლის გაყიდვის კანონზომიერების გამოვლენა და შესწავლა, ტექნიკური პროგრესის გავლენა ასორტიმენტის გაფართოებაზე, ახალ საქონელზე მოთხოვნის შესაძლებელი მოცულობის განსაზღვრა.

მოთხოვნის შესწავლის სამსახურების საქმიანობის მასშტაბების გადიდება მათი კოორდინირება მოითხოვს. ამ მიზნით 1972 წ. სსრკ ვაჭრობის სამინისტროსთან შეიქმნა სახალხო მოხმარების საქონელზე მოთხოვნის შესწავლის უწყებათაშორისო საბჭო. ამ საბჭოს საქმიანობა მოიცავს არა მხოლოდ ვაჭრობას, არამედ სხვა დარგებსაც, მათ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და განყოფილებებს. საბჭოზე მიიღება გადაწყვეტილებები და რეკომენდაციები მოთხოვნის შესწავლის სრულყოფის, კონკრეტულ საქონელზე მოთხოვნის დაკმაყოფილების მდგომარეობისა და პერსპექტივების შესახებ. უწყებათაშორისო საბჭოს საქმიანობა ხელს უწყობს სსრკ ვაჭრობის სამინისტროს სისტემის, ცენტროსოიუზისა და სახალხო მოხმარების საქონლის გამომშვები მრეწველობის დარგების მოთხოვნის შესწავლის სამსახურებს შორის კავშირის ეფექტიანობის ამაღლებას.

მონაცემები საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნის შესახებ წარმოადგენს ბაზას მრეწველობის მრავალი დარგის წარმოების დაგეგმვისათვის და მათ უტყუარობაზე საბოლოო ანგარიშით დამოკიდებულება საბჭოთა ადამიანების ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ზრდა. ამიტომ დიდია საცალო ვაჭრობის როლი მყიდველთა მოთხოვნის შესწავლაში კონკრეტულ საქონელზე ასორტიმენტულ

ჭრილში მათი სამომხმარებლო ნიშნებით. როგორც XXIV ყრილობაზე ითქვა ამოცანა მარტო ის კი არ არის, რომ რაოდენობრივად დაეკმაყოფილოთ მყიდველთა მოთხოვნილება არამედ მთავარია, რა საქონელს ნახავს მყიდველი მაღაზიაში და რამდენად იქნება იგი დაკმაყოფილებული საქონლის მრავალფეროვნებით და ხარისხით.¹

სახალხო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნის შესწავლის და პროგნოზირების ძირითად ამოცანებს შეიძლება მივაკუთვნოთ შემდეგი:

1. გადახდისუნარიანი მოთხოვნის საერთო მოცულობისა და სტრუქტურის განსაზღვრა;

2. მოთხოვნის შიგაჯფუფური სტრუქტურის განსაზღვრა მრეწველობისათვის წარსადგენი განცხადების დასაბუთებისათვის;

3. მოთხოვნის შიგაჯფუფური ასორტიმენტული სტრუქტურის შესწავლა და პროგნოზირება კონკრეტულ საქონელზე, შეკვეთებისა და საქონლის მიწოდების ხელშეკრულების სპეციფიკაციის დასაბუთებისათვის.

4. რეალიზებული, დაუკმაყოფილებელი და ფორმირებაში მყოფი მოთხოვნის, საქონლის სამომხმარებლო შეფასებისა და ხარისხის შესწავლა დასაბუთებული განაცხადებისა და დაკვეთების შესადგენად, მათი შეთანხმება მიმწოდებლებთან მიმდინარე წელს.

პირველი ორი ამოცანა წყდება ქვეყნის, რესპუბლიკის, ეკონომიკური რაიონის, ოლქის დონეზე. ისინი მიღებულია განისაზღვროს, როგორც მიკრომოთხოვნის პროგნოზირების პრობლემა. მესამე და მეოთხე წყდება სავაჭრო ორგანიზაციისა და საწარმოს დონეზე ან, როგორც მიღებულია, მიკრომოთხოვნა. მეორე ამოცანის გადაწყვეტა ხშირად მიმართულია მოთხოვნის მაკრო და მიკრო სტრუქტურის დაკავშირებისა და შეთანხმებისაკენ, რაც საოლქო ვაჭრობის სამმართველოების და საბითუმო ბაზების ფუნქციას წარმოადგენს.

მოთხოვნის შესწავლისა და პროგნოზირების ძირითადი ამოცანების დაყენება კონკრეტიზირდება პერიოდების მიხედვით, რომელთა განმავლობაშიც ისინი წყდება.

მოსახლეობის მოთხოვნის მოკლევადიანი შესწავლა და პროგნოზირება გამოიყენება სავაჭრო პროცესების ოპერატიული და მიმდინარე მართვისათვის. იგი ძირითადად წყვეტს მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნის შესწავლის ამოცანას, როგორც მოცულობისა და სტრუქტურის, ისე ასორტიმენტის მიხედვით ერთ-ორი წლის ფარგლებში, მათ შორის კვარტალში, თვეში, დეკადაში და ა. შ. მოკლევადიანი პროგნოზის შედეგები გამოიყენება განაცხადებისა და დაკვეთების დასაბუთების, საქონელბრუნვის დაგეგმვის, მიმწოდებლებთან რაციონალური

¹ სკკ XXIV ყრილობის მასალები, თბ., 1971 გვ. 223.

კავშირების დამყარების, საქონლის მარაგის ნორმირებისა და მართვის, მოთხოვნის ცვლილებებთან დაკავშირებით დაკვეთების კორექტირება, მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების რაციონალიზაცია.

მოთხოვნის საშუალოვადიანი პროგნოზირება (5 წელი, მათ შორის წლების მიხედვით) და გრძელვადიანი (10-15 წელი) წყვეტს მაკრომოთხოვნის მოცულობისა და სტრუქტურის პროგნოზირების ამოცანას. მოთხოვნის საშუალოვადიანი ამოცანების გადაწყვეტისას (იხე როგორც მოკლევადიანი) საორიენტაციოდ მიიღება სახალხო მოხმარების საქონლის გამომშვეები დარგების სტრუქტურა და შესაძლებლობათა პროგნოზირება. ამავე დროს მხედველობაში მიიღება აუცილებლად, რომ ხუთწლედში რეკონსტრუქციაზე ან წარმოების გაფართოებაზე კაპიტალური დაბანდების დახმარებით შეიძლება მიღწეული იქნეს განსაზღვრული ცვლილებები საქონლის წარმოების ტემპებსა და ასორტიმენტულ სტრუქტურაში. გრძელვადიანი პროგნოზირების შედეგები გამოიყენება მომსახურების სფეროსა და სახალხო მოხმარების საქონლის გამომშვეები დარგების, აგრეთვე მრეწველობის იმ მომიჯნავე დარგების განვითარების პერსპექტიული მიმართულებების დასაბუთებისათვის, რომლებიც სპეციალიზებულია „ბ“ ჯგუფის დარგებისათვის ნედლეულის, მოწყობილობისა და მასალების წარმოებაზე.

მოთხოვნის პროგნოზირების ამოცანის დაყენების დროს მხედველობაში უნდა გვექონდეს, რომ ისინი წყდება წარსულში და ამჟამად მოთხოვნის განვითარების ძირითადი კანონზომიერებებისა და ტენდენციების გამოვლენის შესაძლებლობის კვალობაზე და იმ პირობით, რომ ისინი გარკვეულად შენარჩუნებულ იქნებიან მომავალშიც. ამიტომ მნიშვნელოვანია მოთხოვნის ფორმირების პროცესის ანალიზისათვის პერიოდის სწორად შერჩევა და დასაბუთება. საანგარიშო პერიოდის სიდიდის შერჩევის კრიტერიუმს წარმოადგენს მისი ეკონომიკური მთლიანობა სახალხო მეურნეობისა და მისი დარგების განვითარების ამოცანების შესაბამისად.

რამდენადაც დაგეგმვის ძირითად პერიოდს წარმოადგენს 5 წელი, ამდენად საანალიზო საანგარიშო პერიოდი უნდა თავსდებოდეს მასში ან მისი ჯერადი უნდა იყოს. ეს ნიშნავს, რომ მოკლევადიანი პროგნოზირებისას ანალიზს ექვემდებარება 3-5 წლიანი პერიოდი, მათ შორის კვარტალებით, თვეებით (საკმარისია 3 წელი), დეკადებით (საკმარისია 1 წელი — ნახევარი წელი). საშუალოვადიანი პროგნოზირების დროს ანალიზს ექვემდებარება 2-3 წელიწადი, მათ შორის წლების მიხედვით. გრძელვადიანი პროგნოზირება ანალიზისათვის იყენებს ყოველი ხუთწლედის ბოლო წელს ძირითადი სასურსათო და არასასურსათო საქონლის მოხმარების მიღწეულ დონეს.

მოთხოვნის შესწავლისა და პროგნოზირების ამოცანების გადაწყვეტისათვის უკანასკნელ წლებში ჩვენი სამეცნიერო-კვლევითი ორგანი-

ზაციების მიერ დამუშავებული და აპრობირებულია სხვადასხვა მეთოდები და მეთოდოლოგიები. ვაკეთებულია შესასწავლი პრობლემებისადმი მიდგომათა კლასიფიკაციის ცდები, რომლებიც შეიძლება დაყვანილი იქნეს შემდეგზე:

1. პროგნოზები დამყარებული მოთხოვნის (მოხმარების) ე. წ. სტრუქტურული მოდელების გამოყენებაზე, რომლებიც აგებულია მოსახლეობის ეკონომიკური დაჯგუფების ბაზაზე, საშუალო სულადობრივი შემოსავლების დონის მიხედვით;

2. მოთხოვნის პროგნოზირების ნორმატიული მეთოდები, რომლებიც ემყარება ცალკეული კვების პროდუქტების და არასასურსათო საქონლის მოხმარების ფიზიოლოგიური და რაციონალური ნორმების გამოყენებას;

3. პროგნოზები, რომლებსაც საფუძვლად უდევს მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნის ფაქტობრივი ანალიზი;

4. ცალკეულ საქონელზე მოთხოვნის განვითარების ძირითადი ტენდენციების ანალიზსა და ექსტრაპოლაციაზე დამყარებული მეთოდები;

5. მყიდველთა, ვაჭრობისა და მრეწველობის სპეციალისტთა გამოკითხვა.

სტრუქტურული მოდელები გამოიყენება ძირითადად საშუალოვადიანი პროგნოზირებისას და ძალზე შეზღუდულად, როგორც საორიენტაციო მაჩვენებლები. ნორმატიული მეთოდები გამოიყენება მოთხოვნის გრძელვადიანი პროგნოზირებისათვის. როგორც ერთი, ისე მეორე გამოიყენება ძირითადად ცენტრალური მგეგმავი ორგანოების, „ენი-იკს“-ისა და მისი ფილიალების მიერ მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნის მოცულობისა და სტრუქტურის გაანგარიშებისათვის.

პრაქტიკაში გავრცელება პოვა მოთხოვნის შესწავლისა და პროგნოზირების უკანასკნელმა სამმა მიმართულებამ. ეს აიხსნება ვაჭრობის დარგის ძირითადი ფუნქციის სპეციფიკით და გადასაწყვეტი ამოცანების კონკრეტულობით, აგრეთვე მოთხოვნის შესწავლის და პროგნოზირების მეთოდების მთელი კომპლექსის ინფორმაციული უზრუნველყოფის შესაძლებლობებით. ჩამოყალიბდა მოსახლეობის მოთხოვნის ფორმირების პროცესის შესახებ სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის შემდეგი წყაროები:

1. ცალკეული სოციალ-ეკონომიკური ჯგუფების მიხედვით მშრომელთა ოჯახების ბიუჯეტის შერჩევითი გამოკვლევის მონაცემები (მუშებისა და მოსამსახურეების განაწილება ხელფასის სიდიდის მიხედვით, საშუალოსულადობრივი შემოსავლების დონე, ოჯახის შემადგენლობა და ა. შ.);

2. მონაცემების კომპლექსი ეკონომიკური რაიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესახებ (მოსახლეობის ფულადი შემოსავლისა და ხარჯების ბალანსი, მსყიდველობითი ფონდები, ნატურალური

შემოსავლები, მოსახლეობის სარგებლობაში არსებული საქონელი, მოსახლეობის რაოდენობა და სქესობრივ-ასაკობრივი შემადგენლობა);

3. ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემები (საქონელბრუნვის მოცულობა და სტრუქტურა, საქონლის მიწოდება და მარაგი, საქონლის შერჩევითი და ოპერატიული აღრიცხვა ასორტიმენტში, ცალკეულ საქონელზე და საქონლის ჯგუფებზე საცალო ფასების დინამიკა, ცალკეული საქონლის ვაჭრობის კონიუნქტურა);

4. მონაცემები ვაჭრობის მატერიალური, შრომითი და საწარმოო რესურსების შესახებ.

როგორც ჩანს, უკანასკნელი 3 ჯგუფი შეიძლება გამოდგეს ინფორმაციის წყაროდ ვაჭრობის ორგანოების მიერ მოთხოვნის შესწავლისა და პროგნოზირების ამოცანების გადაწყვეტისათვის, მათ ბაზაზე შეიძლება მოთხოვნის შესწავლისა და პროგნოზირების რიგი მეთოდების გამოყენება.

§ 2. მოსახლეობის მოთხოვნის შესწავლის მეთოდები

მოთხოვნის მოცულობისა და სტრუქტურის პროგნოზირების, მრეწველობისათვის წარსადგენი განაცხადებისა და დაკვეთების დასაბუთების ამოსავალ ეტაპს წარმოადგენს კონკრეტულ საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნის ფორმირებისა და დაკმაყოფილების პროცესის სისტემატური შესწავლა. მოსახლეობის მოთხოვნის შესწავლისას, რომელიც უნდა წარმოებდეს ვაჭრობის ყველა რგოლში, განისაზღვრება მისი შიგაჯგუფური ასორტიმენტული სტრუქტურა.

მოსახლეობის მოთხოვნის შესწავლისათვის იქმნება საყრდენი პუნქტების — შალაზიების ქსელი. არასასურსათო საქონელზე შალაზიებს — საყრდენ პუნქტებს წარმოადგენენ მსხვილი სავაჭრო საწარმოები. ისინი აწარმოებენ მოთხოვნის მიმდინარე შესწავლის უფრო ფართო ნომენკლატურის საქონლის მიხედვით, ვიდრე მიღებულია სტატისტიკური ანგარიშებით (ფორმა № 3 ვაჭრობა) და ყოველკვარტალურად წარუდგენენ ბაზას მონაცემებს საქონლის შემოსვლის, გაყიდვისა და მარაგის შესახებ შეჯგუფური სტრუქტურის მიხედვით. სასურსათო საქონლით ვაჭრობაში შალაზიების — საყრდენი პუნქტების ქსელს არჩევენ წარმომადგენლობითობის პრინციპით, ე. ი. საერთო საქონელბრუნვაში ამა თუ იმ ჯგუფის საქონლის ყველაზე დიდი ხვედრითი წონიდან გამომდინარე, შალაზიის სიდიდისაგან დაპოუკიდებლად. ამასთან შერჩეული შალაზიების — საყრდენი პუნქტების ქსელი შედარებით მუდმივი უნდა იყოს.

მოთხოვნის შესწავლისას აუცილებელია მხედველობაში იქნეს მიღებული მისი ხასიათი მოსახლეობის უშუალო გადახდისუნარიანი მოთ-

ხოვნის დაკმაყოფილების თვალსაზრისით. ამ მიზნით სწავლობენ რეალზებულ, დაუკმაყოფილებელ და ფორმირებაში მყოფ მოთხოვნას.

რეალიზებულს უწოდებენ მოთხოვნას, რომელსაც თან ახლავს საქონლის ფაქტობრივი შესყიდვა, იგი განისაზღვრება არა მარტო მოსახლეობის რეალური სყიდვითი უნარიანობით, არამედ წარმოებისა და მიწოდების შესაძლებლობებითაც. დაუკმაყოფილებელის ქვეშ გულისხმობენ მოთხოვნას საქონელზე, რომელიც მოცემულ მომენტში არ არის გაყიდვაში, თუმცა ისინი იწარმოებიან და იმყოფებიან მიმოქცევაში. ხშირად დაუკმაყოფილებელი მოთხოვნა წარმოიშვება სავაჭრო ორგანიზაციებისა და საწარმოების განაცხადებში გამორჩენის შედეგად ან საქონელმოძარაგების ორგანიზაციაში არსებული ნაკლოვანებებით. ფორმირებაში მყოფს მიეკუთვნება მოთხოვნა ახალ საქონელზე, რომელსაც ამზადებენ წარმოებისათვის (აქვთ საცდელი პარტიები) და აუცილებელია გამოვლინდეს მისდამი მსყიდველთა დამოკიდებულება.

რეალიზებული და დაუკმაყოფილებელი მოთხოვნის შესწავლა მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან უმრავლესი გამოყენებული მეთოდების მიხედვით. რადგანაც რეალიზებული მოთხოვნის რაოდენობრივი შეფასება წარმოადგენს ფაქტობრივად გაყიდული საქონლის რაოდენობას, ამიტომ მოხმარებაში ურთიერთშემცვლელ რიგ საქონელზე დაუკმაყოფილებელი მოთხოვნის გამოვლენა და რაოდენობრივი განსაზღვრა ძნელდება. ამიტომ რეალიზებული მოთხოვნის შესწავლის პროცესში ხშირად განსაზღვრავენ მისი ზრდის საზღვრებს დაუკმაყოფილებელი მოთხოვნის ხარჯზე. ამასთან დაკავშირებით დაუკმაყოფილებელი მოთხოვნის შესწავლის ძირითად მიზანს წარმოადგენს მისი წარმოების მიზეზების და საქონლის ასორტიმენტსა და ხარისხზე მყიდველთა მოთხოვნილებების გამოვლენა. ფორმირებაში მყოფი მოთხოვნის შესწავლა ძირითად მიზნად ისახავს მყიდველთა მიერ საქონლის, სამომხმარებლოთვისებების, ხარისხისა და გარეგნული შესახედაობის შეფასების გამოვლენას. ამის საფუძველზე განისაზღვრება სასაქონლო ასორტიმენტის ფორმირების ძირითადი მიმართულებანი.

ყველაზე უკეთ დამუშავებული და პრაქტიკულად ჩამოყალიბებულია რეალიზებული მოთხოვნის შესწავლის მეთოდები: საბალანსო მეთოდი, სასაქონლო ჩეკებით აღრიცხვა, სასაქონლო იარლიყების გამოყენება, ბარათების წარმოება საწყობებში.

საბალანსო მეთოდი ფართოდ გამოიყენება საცალო სავაჭრო საწარმოებში რეალიზებული მოთხოვნის შესწავლისათვის. იგი დაფუძნებულია სასაქონლო ბალანსის ფორმულაზე:

$$P = O_{\text{II}} + \Pi - O_{\text{K}}$$

სადაც P — არის საქონლის გაყიდვა საანგარიშო პერიოდში, უთანაბრდება რეალიზებულ მოთხოვნას;

O_{II} — საქონლის ნაშთი საანგარიშო პერიოდის დასაწყისში;

II — საქონლის შემოსვლა საანგარიშო პერიოდში;

OK — ნაშთი საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

ამოსავალ მონაცემებს იღებენ ბუღალტრული ანგარიშგების დოკუმენტებიდან, საწარმოს საწყობების კარტოთეკიდან და შემდეგ გამოიანგარიშებენ საანგარიშო პერიოდში (ჩვეულებრივ კვარტალში, თვეში) გაყიდული საქონლის სიდიდეს. ამ მეთოდის შრომატევადობა და სიმძიმე აშკარად ჩანს და საქონლის გაყიდვის შესახებ მიღებული მონაცემები მთლად ზუსტი არ არის. გარდა ამისა ამ მეთოდის დახმარებით ძველია რეალიზებული მოთხოვნის ოპერატიული აღრიცხვა დეკადაში, ხუთდღიურში და დღიურად, რაც ხშირად აუცილებელია კომერციული მუშაობისათვის. მოცემული მეთოდის ეფექტიანი გამოყენება შესაძლებელი ხდება მსხვილ სავაჭრო საწარმოებსა და ორგანიზაციებში ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების დანერგვის პირობებში.

უნივერსალურ და სპეციალიზებულ მაღაზიებში რეალიზებული მოთხოვნის აღრიცხვისათვის შეიძლება გამოვიყენოთ გაყიდვის დროს გამოწერილი სასაქონლო ჩეკები. ამ ჩეკებზე გარდა აუცილებელი ნიშნებისა (არტიკული და ფასი) შეიძლება მიწერილ იქნეს საქონლის ინშენებიც, რომელთა მიხედვითაც წარმოებს მოთხოვნის შესწავლა, მაგ., ფასონი, მოდელი, ფერი, ზომა, სიმაღლე და ა. შ. სამუშაო დღის ბოლოს (ან სხვა პერიოდში) რბილი ჩეკების დათვლა და დაჯგუფება ნაწარმის სახისა და შესასწავლი საასორტიმენტო ნიშნების მიხედვით. საშუალებას გვაძლევს მივიღოთ მონაცემები ასორტიმენტის მიხედვით გაყიდვის შესახებ. მაგრამ ამ მეთოდის გამოყენება შრომატევადობით გამოირჩევა, ამიტომ მისი გამოყენება შეიძლება მხოლოდ ცალკეულ სასაქონლო სახესხვაობებისათვის.

მსხვილ უნივერსალებში, რომლებსაც აქვთ საანგარიშო მანქანა-დანადგარები ან საინფორმაცია გამოთვლითი ცენტრი, რეალიზებულ მოთხოვნას სწავლობენ სასაქონლო იარლიყების დახმარებით. ამ მეთოდის გამოყენება ცალკეულ საქონლის ჯგუფებზე (შეკერილი ნაწარმი, ფეხსაცმელი) საკმაოდ ეფექტიანი და საიმედო საშუალებაა ასორტიმენტულ ჭრილში რეალიზებული მოთხოვნის აღრიცხვისათვის ნებისმიერ პერიოდში (დღე, ხუთდღიური, დეკადა, თვე). გაყიდვის დროს გამყიდველი ნაწარმზე მიმაგრებული იარლიყებიდან ახვევს ერთს. სამუშაო დღის ბოლოს დაგროვებული იარლიყები გადაეცემა დამუშავებისათვის.

გამოთვლითი ტექნიკის დახმარებით იარლიყების დამუშავება საშუალებას გვაძლევს განვაზოგადოთ მათში მოცემული ყველა საასორტიმენტო ნიშანი და მივიღოთ ოპერატიული ინფორმაცია გაშლილი ასორტიმენტის მიხედვით გაყიდვის შესახებ. სასაქონლო იარლიყები შეიძლება შერჩევით იქნეს გამოყენებული რეალიზებული მოთხოვნის შესწავლისათვის მრავალ ირასასურსათო საქონელზე. ამავე დროს ამ

შეთოდით სარგებლობა თანამედროვე გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებითაც კი დაკავშირებულია სასაქონლო იარაღების მომზადებისა და დამუშავების მნიშვნელოვან სიძნელეებთან, საცალო ვაჭრობაში სახალხო მოხმარების საქონელზე შეფრების სისტემის პრაქტიკულად არარსებობასთან.

რეალიზებული მოთხოვნის შესწავლის შედეგები ზემდგომ ორგანიზაციებს წარედგინება შემდეგი ფორმით:

რეალიზებული მოთხოვნის აღრიცხვა

საცალო სავაჭრო ორგანიზაციის (მაღაზია № _____)

_____ თვის _____ 198_____ წელი

№ რიგზე	საქონლის დასახელება (სახე, მოდელი მარკა)	ფასი	მარაგი თვის დასაწყისისათვის	შემოსული თვის განმავლობაში	გაყიდვა თვის განხილვაში	მარაგი თვის ბოლოსათვის
1	2	3	4	5	6	7

მსხვილი სავაჭრო საწარმოების საწყობებში კარტოთეკებით საქონლის მოძრაობის აღრიცხვის წარმოება საკურობის მიხედვით გვაძლევს მონაცემებს რეალიზებული მოთხოვნის შესახებ. ეს შესაძლებელი ხდება თუ დავუშვებთ, რომ ცალკეული საქონლის გაყიდვა საწყობებიდან სექციაზე (ან მაღაზიაზე) შეიძლება გაუტოლდეს გაყიდვას. ამასთან თვით საქონლის მოძრაობის კარტოთეკებით აღრიცხვას აქვს რიგი ნაკლოვანებები: წარმოებს ხელით, მასში არ აიხსნება შესწავლას დაქვემდებარებული ყველა სასაქონლო ნიშანი. კარტოთეკების წარმოების შექანიზაციას პერფორაციული ტექნიკის (ხოლო შემდგომში ეგმების) გამოყენებით შეუძლია აამაღლოს მისი ეფექტიანობა.

საცალო ვაჭრობის შესაბამის დონეზე რეალიზებული მოთხოვნის აღრიცხვის განსაზღვრული მეთოდის გამოყენება საშუალებას გვაძლევს მივიღოთ მონაცემები ცალკეული საქონლის შემოსვლის, გაყიდვისა და მარაგის შესახებ რაოდენობრივ და ღირებულებით გამოხატულებაში, მათი შიგაჯგუფური ასორტიმენტის შეფარდებითი მაჩვენებლები და შესასწავლი საქონლის რიგი სხვა მახასიათებლები. რეალიზებული მოთხოვნის შესწავლის გამოყენებული მეთოდების არსებით ნაკლოვანებას წარმოადგენს მონაცემების მიღების არაოპერატიულობა და

შაშასადაძმე, მათი ნაკლები პრაქტიკული ღირებულება კომერციული მუშაობისათვის.

ამიტომ, ფრიად მნიშვნელოვანია მსხვილი სავაჭრო საწარმოების (მაგ., მოსკოვში „გუმი“ და უნივერსალური „მოსკოვი“, ლენინგრადში „გასტინი დვორ“ და სხვა) გამოცდილება რეალიზებული მოთხოვნის შონაცემების დამუშავების შესახებ. ასორტიმენტულ ჭრილში საქონლის გაყიდვის შესახებ შონაცემების მიღება უზრუნველყოფილი ხდება შესყიდვის განხორციელების შომენტში, ამ შონაცემების ეგზ-ზე (ან პგმ) შემდგომი დამუშავებით. ამ მიზნებისათვის ფართოდ იყენებენ სალაროს აპარატებს პერფომისადგმელით, რომელიც იძლევა შონაცემების დაგროვების საშუალებას პერფოლენტზე (ფირმა „სვედა“, „ნკრ“, „ანკერ“) ან ლენტზე გრაფიკული აღნიშვნებით და შემდგომი ოპტიკური გამოთვლით (ფირმა „ნკრ“), აგრეთვე მაგნიტურ ლენტზე (ფირმა „ხიუგენ“ შვეიცია). პერფოლენტის ან მაგნიტური ლენტის დამუშავება ელექტრონულ გაშომთვლელ მანქანებზე საშუალებას იძლევა მივიღოთ და დავაგროვოთ შონაცემები საქონლის გაყიდვის შესახებ გაშლილი ასორტიმენტის მიხედვით, ნებისმიერ პერიოდში ე. წ. დროის რეალურ მასშტაბებში, ე. ი. საქონლის მოძრაობის პროცესთან ერთდროულად.

პერფომისადგმელიანი სალაროს აპარატების გამოყენების გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ რეალიზებული მოთხოვნის აღრიცხვის ეს მეთოდიც არასაკმარის ეფექტიანია საქონლის გაყიდვის მთლიანი აღრიცხვისათვის, რამდენადაც ამ შემთხვევაში შეზღუდულია საქონლის საშომხმარებლო ნიშნების აღრიცხვა, გაძნელებულია მოლარის მუშაობა, რომელმაც ფასების გარდა უნდა აკრიფოს საქონლის შიფრი, რის შედეგადაც ხდება დიდი რაოდენობის შეცდომების დაშვება. ამიტომ რეალიზებული მოთხოვნის აღრიცხვის შემდგომი სრულყოფის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს ინფორმაციის მანქანური მატარებელი სასაქონლო იარლიყის შექმნა, რომელსაც წაიკითხავს, როგორც ადამიანი, ისე ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანა (მაგ. „კიმზალის“ სისტემის პერფოიარლიყი, იარლიყი მაგნიტური საფენით და ფერადი შიფრით.) ამჟამად გამოჩნდა უფრო სრულყოფილი სალაროს აპარატები, რომელთა გამოყენებითაც მთლიანად ავტომატიზებულია მოლარის მუშაობა და მოთხოვნის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისა და დამუშავების მთელი პროცესი. ამ მიმართულებით მიმდინარეობს საქონლის გაყიდვის აღრიცხვის სამამულო სისტემის დამუშავება.

სავაჭრო ორგანიზაციებში ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების გამოყენებით მოთხოვნის შესწავლის დროს საქონლის გაყიდვის აღრიცხვა ხორციელდება საქონლის მოძრაობის აღრიცხვის საფუძველზე: მიმწოდებლიდან შემოსვლა, მალაზიებზე გაცემა, ინვენტარიზაციის შონაცემები, საქონლის ნაშთები. სასაქონლო ბალანსის ფორმულის გამოყენებით შეიძლება მივიღოთ შონაცემები მალაზიებზე გაცე-

მული საქონლის ასორტიმენტული სტრუქტურის შესახებ, რომელიც უტოლდება რეალიზებული მოთხოვნის მონაცემებს მთელი სავაჭრო ორგანიზაციის მიხედვით. სავაჭრო ორგანიზაციის მომსახურე ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანის მეხსიერება ინახავს მონაცემებს ფართო ასორტიმენტის საქონლის ნაშთების და ინვენტარიზაციის შესახებ. ეს საშუალებას იძლევა მოეწიოს საქონლის შემოსვლის შესახებ პირველადი დოკუმენტების მუდმივი დამუშავება. მონაცემები რეალიზებული მოთხოვნის შესახებ შეიძლება გაიცეს სამმართველო აპარატის მოთხოვნით ნებისმიერი პერიოდისათვის (თვე, დეკადა, ხუთდღიური).

რეალიზებული მოთხოვნის აღრიცხვისა და შესწავლის ავტომატიზაციის შემდგომი ეფექტიანი დანერგვა ვაჭრობის ყველა დონეზე დაკავშირებულია სახალხო მოხმარების საქონლის კლასიფიკაციის და კოდირების სისტემის შერჩევასა და დამუშავებასთან. ამეამად რიგი სახელმწიფო და კოოპერაციული საცალო და საბითუმო სავაჭრო საწარმოები ამუშავებენ თავიანთ ლოკალურ შიფრებს საქონლის ცალკეულ ჯგუფებზე და იყენებენ მათ კომერციულ მუშაობაში. ყველა ამ სამუშაოს თანდათანობით ეძლევა მეთოდური ერთიანობის პრინციპი, რომელიც შიმართულია სავაჭრო-ეკონომიკური ინფორმაციის კლასიფიკაციისა და კოდირების სისტემის დამუშავებისა და სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საერთო-საკავშირო კლასიფიკაციასთან მისი დაკავშირებისაყენ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, დაუკმაყოფილებელი მოთხოვნის აღრიცხვა შეიძლება წარმოებდეს რეალიზებული მოთხოვნის შესწავლის პროცესში. ამ მიზნისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს მ-გ-ლი-თად, მოთხოვნის დაკმაყოფილების კოეფიციენტი, რომელიც გვიჩვენებს მისი დაკმაყოფილების ხარისხს საკმაო მოთხოვნის საქონელზე. მოთხოვნის დაკმაყოფილების კოეფიციენტის გაანგარიშების მეთოდიკა სხვადასხვაა, მაგრამ თუ ის 1-ზე ნაკლებია, მაშინ დაუკმაყოფილებელი მოთხოვნა გაიანგარიშება ფორმულით:

$$P_{\text{нн}} = P \cdot (1 - K),$$

სადაც P - არის ფაქტობრივი გაყიდვა აღრიცხვის პერიოდში

K — მოთხოვნის დაკმაყოფილების კოეფიციენტი (%-ობით ან შედარებით რიცხვებით).

დაუკმაყოფილებელი მოთხოვნის რეგისტრაცია შეუძლიათ გამყიდველებს (საკონტროლო ფურცლები, ჩანაწერები ქურნალებში). თუმცა ამ მეთოდების სიზუსტე და ეფექტიანობა უმნიშვნელოა. დაუკმაყოფილებელი და ფორმირებაში მყოფი მოთხოვნის კომპლექსური შესწავლა ფართოდ შეიძლება მოეწიოს მყიდველთა, აგრეთვე სავაჭრო ორგანიზაციებისა და საწარმოების წარმომადგენლების, ვაჭრობისა და სახალხო მოხმარების საქონლის მწარმოებელი მრეწველობის დარგების.

სოციალისტების (ექსპერტები) გამოკითხვის მეშვეობით, იმ მყიდველთა გამოკითხვა, რომლებმაც არ შეისყიდეს საქონელი, შეიძლება ჩატარდეს უშუალოდ სავაჭრო საწარმოებში, ხოლო მოსახლეობის გამოკითხვა, საქონლის შექმნის განსაზღვრის გამოვლინების მიზნით — საბითუმო ბაზების ან ვაჭრობის სამმართველოს მოქმედების რაიონის საწარმოებსა და დაწესებულებებში.

• გამოკითხვის ჩატარების გაცრცელეულ ფორმას წარმოადგენს ანკეტური გამოკითხვა, რომელიც ტარდება ზეპირი და წერილობითი ფორმით. ყველაზე ფართოდ გამოიყენება წერილობითი ფორმით ანკეტური გამოკითხვა, რომელიც ტარდება სპეციალურად დამუშავებული პროგრამის მიხედვით. პროგრამა მოიცავს შემდეგ ეტაპებს: გამოკითხვის ამოცანები და სამუშაო ჰიპოთეზა, ანკეტის ან გამოკითხვის ფურცლის დამუშავება, გამოკითხვის შედეგების გამოსასახავი ცხრილების დამუშავება, გამოსაკითხი კონტინგენტის განსაზღვრა, გამოკითხვის ჩატარების სამუშაოს ორგანიზაცია, გამოკითხვის შედეგების დამუშავება, დასკვნები და წინადადებები.

გამოკითხვის შედეგები საშუალებას გვაძლევს მივიღოთ ცნობები მოსახლეობის განზრახვის შესახებ ამა თუ იმ საქონლის შექმნაზე ასორტიმენტულ კრილში. მათი შედარება საანგარიშო წელს მიწოდებული საქონლის სტრუქტურასთან იძლევა დაკვეთების ან განაცხადების სათანადო კორექტირების საშუალებას. ანკეტური გამოკითხვა, როგორც წესი, ტარდება შერჩევით სასაქონლო ჯგუფზე ორ წელიწადში არანაკლებ ერთხელ და უკავშირდება საგეგმო წელს საქონლის მოთხოვნაზე განაცხადების (დაკვეთების) შედგენის მომენტს.

დაუკმაყოფილებელი და ფორმირებაში მყოფი მოთხოვნის შესახებ მონაცემების მიღებისათვის, რომლებიც ასახავენ მისი ცვლილების პროცესის დინამიკას, ტარდება მყიდველთა განსაზღვრული კონტინგენტის ერთი და იმავე ერთობლიობის სისტემატური ან პერიოდულად განმეორებითი გამოკითხვა (გამოკვლევა). ასეთ გამოკითხვას პანელური ეწოდება. მათ ჩვეულებრივ ატარებენ ცენტრალური ორგანოები (ცსს, „ენიიკსი“ და მისი ფილიალები).

პანელური გამოკითხვის შედეგები საშუალებას გვაძლევს მივიღოთ მომხმარებელთა დახასიათება სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ფართო წრის მიხედვით.

სავაჭრო საწარმოებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლების, ვაჭრობისა და მრეწველობის სპეციალისტების (ექსპერტების) გამოკითხვის შედეგების დამუშავებისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს საექსპერტო შეფასების მეთოდი. გამოკითხვის ჩასატარებლად სპეციალური მეთოდოლოგიის გამოყენება და ექსპერტების შეფასების დამუშავების პროცედურები საშუალებას იძლევა მივიღოთ რაოდენობრივი ან დროითი მონაცემები საქონელზე მოთხოვნის განვითარების შესახებ.

მყიდველთა გამოკითხვის მასალებისა და შედეგების დამუშავება-ფართოდ წარმოებს პერფორაციულ-გამომთვლელ და ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანებზე. გამოკითხვის მეთოდის შემდგომი სრულყოფისათვის აუცილებელია არსებითად იყოს მექანიზებული გამოკითხვის, ანკეტების შევსებისა და დამუშავების პროცესები. „ვნიისი“ და რიგი ორგანიზაციები სარგებლობენ გამოკითხვის მექანიზაციის მეთოდით ორმაგი რუკებისა და სპეციალური ბლანკების გამოყენებით, რომლებიც შემდგომში მუშავდება პერფორაციულ-გამომთვლელ და ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანებზე. წარმოებს მოთხოვნის შესახებ ინფორმაციის დაგროვების, აღრიცხვისა და რეგისტრაციის მექანიზაციის უფრო ეფექტური და არაშრომატევადი ხერხების დამუშავება. მათი დანერგვა ააშაღლებს დაუკმაყოფილებელი და ფორმირებადი მოთხოვნის შესახებ მონაცემების უტყუარობას, უფრო მეტად დასაბუთებულს გახდის საცალო და საბითუმო ვაჭრობის მიერ მრეწველობისათვის წარსადგენ განაცხადებსა და დაკვეთებს.

§ 8. მოთხოვნის პროგნოზირების მეთოდები საცალო სავაჭრო საწარმოებში

სავაჭრო ორგანიზაციებისა და საწარმოების დონეზე მოთხოვნის პროგნოზირების მეთოდების გამოყენება აუცილებელია მოქმედების რაიონში კონკრეტულ საქონელზე ასორტიმენტულ კრილში მყიდველთა მოთხოვნილების გაანგარიშების, მიმწოდებლისათვის წარსადგენი დაკვეთების დასაბუთებისა და სავაჭრო პროცესის მართვისათვის.

მაგრამ მიკრომოთხოვნის ფორმირების პროცესი რთულ ეკონომიკურ მოვლენას წარმოადგენს. სირთულე არ გამოიხატება მხოლოდ მაკრომოთხოვნასთან შედარებით მისი ფორმირების პროცესზე მრავალრიცხოვანი ფაქტორის მოქმედებაში. მიკროდონეზე მოთხოვნის ფორმირებასა და განვითარებაზე ეკონომიკური ხასიათის ფაქტორების საერთო ზემოქმედებასთან ერთად არსებითია სავაჭრო პროცესის ორგანიზაციისა და მყიდველთა ქცევის ფაქტორთა გავლენა. გარდა ამისა, ძნელია ფაქტორთა კომპლექსის შესახებ ამოსავალი მონაცემების მიღება მოთხოვნის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის ასაგებად. ამიტომ მიკრომოთხოვნის პროგნოზირების რიგი ამოცანების გადაწყვეტისათვის შეიძლება გამოვიყენოთ კონკრეტული საქონლის მოთხოვნის დროითი მწკრივების ანალიზისა და პროგნოზირების მეთოდები. მოთხოვნის დროითი მწკრივის ყოველი წევრი (y_t) განსაზღვრულ პერიოდში (კვარტალები, თვეები და ა. შ.) შემდეგი სამი ნაწილისაგან შედგენილად შეიძლება წარმოვიდგინოთ:

$$y_t = m_t + S_t + E_t \quad (3.1)$$

სადაც m_t არის მოთხოვნის განვითარების ტენდენცია (ტრენდი) ყველა ფაქტორის გათვალისწინებით.

S_t — მოთხოვნის სეზონური რხევა.

E_t — მოთხოვნის შემთხვევითი რხევა

$$Y_t = J_1 \cdot m_t + E_t \quad (3.2)$$

ე. ი. სეზონური რხევა შეიძლება გავიანგარიშოთ სეზონურობის ინდექსის დახმარებით. ამრიგად, აუცილებელია გავაანალიზოთ და გავაკეთოთ ტრენდის პროგნოზი, განვსაზღვროთ სეზონური და შემთხვევითი რხევების სიდიდე, ხოლო შემდეგ ამის საფუძველზე გავაკეთოთ მიკრომოთხოვნის პროგნოზი საგეგმო პერიოდში.

მიკრომოთხოვნის განვითარების ტენდენციის გაანალიზება და განსაზღვრა შეიძლება ეკონომიკური პროგნოზირების მეთოდების 3 ჯგუფით.

პირველი ჯგუფის მეთოდებში გამოყენებულია მხოლოდ მოთხოვნის დამოკიდებულება დროზე, ე. ი. $m_t = f(t)$, ეს ფუნქცია შეიძლება იყოს სწორი ხაზი, პარაბოლა ან სხვა მრუდი, ე. ი.

$$m_t = a_0 + \sum_{i=1}^n a_i t^i = a_0 + a_1 t + a_2 t^2 + \dots + a_n \cdot t^n \quad (3.3)$$

m_t -ს პროგნოზირების მიზნისათვის ამ მეთოდის გამოყენება შეზღუდულია, რამდენადაც მას არა აქვს საკმარისი ეკონომიკური შინაარსი.

მეორე ჯგუფის მეთოდების — სტატისტიკური პროგნოზირების გამოყენება დაფუძნებულია მიკრომოთხოვნის ფორმირების პროცესზე (განსაკუთრებით კვარტალისათვის) მიწოდების ფაქტორისა და უკვე მიღწეული ფაქტორივი მოთხოვნის ზემოქმედებაზე. მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მოთხოვნა ყოველი მომდევნო პერიოდისათვის წარმოადგენს რიგი წინა პერიოდების მოთხოვნის შეწონილ ჯამს (ავტორეგრესიის მოდელი), ე. ი.

$$m_t = \sum_{i=1}^n a_i \cdot y_{t-i} = a_1 \cdot y_{t-1} + a_2 \cdot y_{t-2} + \dots + a_n \cdot y_{t-n} \quad (3.4)$$

საეკონომიკურ პრაქტიკაში პროგნოზის ასაგებად, ჩვეულებრივ, იყენებენ 3-4 საანგარიშო პერიოდის მონაცემებს. a_1, a_2, a_3 და a_4 პარამეტრები გაიანგარიშება უმცირეს კვადრატთა მეთოდით ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების გამოყენებით.

მესამე ჯგუფის მეთოდები გამოიყენება მოთხოვნის ოპერატიული

პროგნოზირებისათვის და გაანგარიშებათა სიმარტივეთ გამოირჩევა. ექსპონენციური გათანაბრებისა და განპყრეტის მეთოდით გამოითვლება, რომ საგეგმო პერიოდში ტრენდის პროგნოზი დაკავშირებულია საანგარიშო პერიოდის მოთხოვნასთან და წინა პერიოდის პროგნოზთან:

$$m_{t+1} = \alpha y_t + (1-\alpha)m_t \quad (3.5)$$

გათანაბრების პარამეტრის საკმაოდ დასაბუთებულად შერჩევისას $\alpha = 0,1-0,9$ შეიძლება ოპერატიულად გავაკეთოთ ფართო ასორტიმენტის საქონლის პროგნოზი. სეზონური რხევა ფიქსირდება მოთხოვნის მწკრივის განვითარების ძირითად ტენდენციასზე და გაიზომება სეზონურობის ინდექსის დახმარებით

$$J_t = \frac{y_t}{m_t} \cdot 100\% \quad (3.6)$$

სადაც J_t არის თვის, კვარტალის სეზონურობის ინდექსი, გაანგარიშებული 3-5 წლის მონაცემების მიხედვით.

საგეგმო პერიოდში სეზონურობის აღრიცხვისა და გაანგარიშების სიზუსტის ამაღლებისას სეზონურობის ინდექსი გაიანგარიშება სეზონური ტალღის მეშვეობით, რომელიც აგებულია შემდეგი გამოსახულების საფუძველზე (ფურუს ტრიგონომეტრიული მწკრივი):

$$J_t = \frac{a_0}{2} + a_1 \cos \omega t + a_2 \cos 2\omega t + \dots + a_n \cos n\omega t + b_1 \sin \omega t + b_2 \sin 2\omega t + \dots + b_n \sin n\omega t = \frac{a_0}{2} + \sum_{n=1}^{\infty} (a_n \cos n\omega t + b_n \sin n\omega t), \quad (3.7)$$

სადაც J_t არის ტრიგონომეტრიული მწკრივის წევრთა ჯამი,

$$\omega = \frac{2\pi}{T} \text{ — სეზონური რხევის სიხშირე,}$$

n — რხევის წესი,

T — რხევის პერიოდი.

ვაჭრობაში სეზონურ რხევათა სპეციფიკის გამოყენებით (მათი პერიოდის მუდმივობა 1 წელია) სეზონური ტალღის წარმოდგენა შეფარდებით რიცხვებში (ინდექსური ან პროცენტული) შეიძლება აღეწეროს უფრო მარტივი ფორმულით

$$J_t = 1 + \sum_{n=1}^6 (a_n \cos nt + b_n \sin nt) \quad (3.8)$$

ამ ფორმულის მიხედვით გასაანგარიშებლად გამოიყენება მარტივი გამოსათვლელი სქემები და შაბლონები. შემუშავებულია ეგმ-ზე გაანგარიშებათა პროგრამები.

შემთხვევითი რხევები გაიანგარიშება ფორმულით:

$$\sigma E_t = \sqrt{\frac{\sum (y_t - J_t \cdot m_{11})^2}{N-1}} = \sqrt{\frac{\sum E_t^2}{N-1}}, \quad (3. 9)$$

თუ ვთვლით, რომ მათი გავრცელება ექვემდებარება ნორმალურ კანონს.

ნებისმიერი საგეგმო პერიოდისათვის მიკრომოთხოვნის პროგნოზის საბოლოო სახე განისაზღვრება ფორმულით:

$$Y_{t+k} = J_t \cdot m_{1+k} \pm \rho \cdot \sigma E_t, \quad (3. 10)$$

სადაც K — არის პროგნოზის პერიოდი;

ρ — ნორმირებული გადახრა, რომელიც განსაზღვრავს პროგნოზის ალბათობას, ე. ი. თუ $\rho = 1$, პროგნოზი კეთდება 0,6827 ალბათობით, თუ $\rho = 2$, მაშინ 0,9545 ალბათობით, ხოლო თუ $\rho = 3$, ამ შემთხვევაში 0,9973 ალბათობით.

ამრიგად, პროგნოზის აგებისას მიკრომოთხოვნის საბოლოო შეფასება მუდამ უნდა ხდებოდეს მის რეალიზაციაზე შემთხვევითი მიზნების შესაძლებელი გავლენის გათვალისწინებით

$$Y_{t+k} - \rho \cdot \sigma E_t \leq Y_{t+k} \leq Y_{t+k} + \rho \cdot \sigma E_t \quad (3. 11)$$

ე. ი. მოთხოვნის ფაქტობრივ მნიშვნელობათა შესაძლო განაწილების უბანი იქმნება განსაზღვრულ ინტერვალში (და არ არის აუცილებელი ზუსტად დაემთხვეს პროგნოზს), პროგნოზის ალბათობის განსაზღვრული გარანტირებით.

მოთხოვნის მოდელირების ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების გამოყენება მოქმედი ფაქტორების გათვალისწინებით შესაძლებელია სავაჭრო ორგანიზაციებისა და მსხვილ სავაჭრო საწარმოთა დონეზე. ფაქტორთა მოქმედების სპეციფიკის გათვალისწინებით და სავაჭრო პროცესის ორგანიზაციის პოზიციებიდან მათი დასაბუთებით შეიძლება ვაწარმოთ მოთხოვნის მოცულობისა და სტრუქტურის გაანგარიშება საქონელბრუნვის დასაბუთებისათვის სასაქონლო ჯგუფების მიხედვით.

საყოველთაოდ მიღებული აზრით, მოცემულ ამოცანაში ფორმულირებულ ფაქტორთა მოქმედება წარმოადგენს ხარისხიანი მოდელის სახეს:

$$y = a_0 + a_1 x_1 + a_2 x_2 + a_3 x_3 + \dots + a_n x_n \quad (3. 12)$$

სადაც y არის მოთხოვნის (გაყიდვის) ზომა საქონელთა ჯგუფზე. x_1 საქონელბრუნვა მოსახლეობის 1 სულზე სავაჭრო ორგანიზაციის მოქმედების რაიონში,

x^2 — მოცემული საქონლის ან საქონლის ჯგუფის (რომელშიც

შედის მოცემული საქონელი) უშუალოდ მიწოდება სავაჭრო ორგანიზაციისათვის (საწარმოსათვის),

ა — საწარმოო რესურსების ან სავაჭრო პროცესების ორგანიზაციის დონის დამახასიათებელი მაჩვენებელი,

ბ — დროის ფაქტორი, რომელიც საშუალებას გვაძლევს გავითვალისწინოთ მოთხოვნაზე ზოგიერთი რაოდენობრივი და გაუთვალისწინებელი ფაქტორის (მონა, ნაციონალური და საყოფაცხოვრებო თავისებურებანი, ახალი საქონლის გამოჩენა და სხვა) გავლენა,

$I=2,71$ — ნატურალური ლოგარითმების ფუნქცია, რომელიც საშუალებას გვაძლევს მოთხოვნის ფუნქცია მივიყვანოთ ხაზობრივად,

a_1, a_2, a_3, a_4 — მოდელის პარამეტრები.

კავშირის ხარისხოვანი ფორმის შერჩევა ფორმალურად განპირობებულია მოთხოვნაზე შერჩეული ფაქტორების გავლენის სპეციფიკით.

გარდა ამისა, იგი განპირობებულია იმით, რომ შერჩეული 3 ფაქტორი საქონლის გაყიდვაზე ედრთდროულად მოქმედებს და რომელიმე მათგანის არარსებობა შეუძლებელს ხდის გაყიდვის პროცესის განხორციელებას. მოდელი იგება უმცირეს კვადრატთა მეთოდით, რომელიც გამოიყენება არა თვით ამოსავალი მონაცემების, არამედ მათი ლოგარითმების მიმართ.

მონაცემები გაყიდვის სტრუქტურისა და მასზე მოქმედი ფაქტორების შესახებ გამოიყენება კვარტალურად 3-5 წლის განმავლობაში.

მოთხოვნის პროგნოზირების ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების პრაქტიკული გამოყენება შესაძლებელი ხდება ელექტრონულ-გამომთვლელ ტექნიკისა და სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის მართვის ავტომატიზებული სისტემების ფართოდ დანერგვის პირობებში. საწარმოებისა და ორგანიზაციების მართვის ავტომატიზებული სისტემების შემუშავებისა და დანერგვის დროს პირველი რიგის ამოცანად გამოიყოფა ქვესისტემა „მოთხოვნის შესწავლა და პროგნოზირება“, რომლის ფუნქციონირება შესაძლებლობას გვაძლევს კომპლექსურად გადავჭრათ ინფორმაციის შეგროვებისა და დამუშავების საკითხი მოთხოვნის შესწავლისა და პროგნოზირების განხორციელებისათვის ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების გამოყენებით.

§ 4. საცალო ვაჭრობაში საქონლის ასორტიმენტის ფორმირება

მოთხოვნილებისა და მოთხოვნის ხარისხობრივ ცვლილებას წვევებს საქონლის ასორტიმენტის განვითარება, მისი გაფართოება, საქონლის ხარისხის ამაღლება. საქონლის ასორტიმენტის ფორმირება წარმოადგენს ვაჭრობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას.

საქონლის ასორტიმენტი საცალო სავაჭრო ქსელში წარმოგვიდგება, როგორც საქონლის მიწოდება. კ. მარქსი მიწოდებას განსაზღვრავს, როგორც პროდუქტს, რომელიც იმყოფება ბაზარზე, ან შეიძლება მიეწოდოს მას. მომავალში მისაწოდებელ ასორტიმენტს საფუძვლად უნდა ჰქონდეს აქტიური საწყისი. აქედან ირკვევა, რომ გასაყიდი საქონლის ნომენკლატურა მყიდველთა ფაქტობრივი მოთხოვნის ნომენკლატურაზე ფართო უნდა იყოს.

ასორტიმენტი არ შეიძლება იყოს წაყენებული მოთხოვნის პასიური გამომსახველი. საქონლის ასორტიმენტის ფორმირება მალაზიებში მიმართულია მოსახლეობის მოთხოვნის მაქსიმალურად დაკმაყოფილებით—საქენ, ამასთანავე მოთხოვნაზე აქტიური ზემოქმედებისაქენ, მოთხოვნილებათა გაფართოების, მოხმარების დონისა და კულტურის ამაღლების მიმართულებით.

მოსახლეობის მოთხოვნის შესწავლა, ერთი მხრივ, წინ უძღვის საქონლის ასორტიმენტის ფორმირების პროცესს, ხოლო მეორე მხრივ—კვალდაკვალ მიჰყვება ამ პროცესს, რადგანაც მისი ამოცანაა გააანალიზოს შეთავაზებულ საქონელზე ფაქტობრივად ჩამოყალიბებული მოთხოვნა. სწრაფადცვლადი ასორტიმენტის საქონლის მიმართ (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ტრიკოტაჟი, ქსოვილები და სხვ.) ეს ამოცანა იძენს გაბატონებულ მნიშვნელობას. ასორტიმენტის ფორმირება და მოთხოვნის შესწავლა გადახლართული არიან ერთმანეთზე, წარმოადგენენ მთლიანი პროცესის ორ მხარეს.

ამრიგად, ვსწავლობთ რა მყიდველთა მოთხოვნის ასორტიმენტულ სტრუქტურას, აუცილებელია მხედველობაში გვქონდეს სავაჭრო ქსელში საქონლის ასორტიმენტის ფორმირების პრინციპები, უშუალოდ დავეუკავშიროთ მოთხოვნის შესწავლა ასორტიმენტის აქტიურ ფორმირებას.

თანამედროვე სავაჭრო პრაქტიკაში „ასორტიმენტის“ ცნებამ უფრო ფართო შინაარსი შეიძინა, ვიდრე სორტების მარტივი ერთობლიობაა. საქონლის ასორტიმენტში გულისხმობენ საქონლის ნომენკლატურის ჩამოთვლას მათი სახესხვაობით გაერთიანებულს ან შეთანაწყობილს ამა თუ იმ ნიშნის მიხედვით. სამრეწველო საწარმოს მიერ გამოშვებული საქონლის ნომენკლატურა ატარებს საწარმოო ასორტიმენტის სახელწოდებას, ხოლო მალაზიებში გასაყიდისა—სავაჭროს. სამრეწველო ასორტიმენტის გარდაქმნა სავაჭროდ ანუ, როგორც ზოგჯერ ამბობენ, ასორტირება წარმოებს შუალედურ საწყობებში, რომელსაც გაივლის წარმოების სფეროდან მიწოდებული საქონელი.

საქონელი, რომელიც შედგება მცირე რაოდენობის სახეების ან სორტებისაგან (მაგ., ბოსტნეული, სამეურნეო საპონი, ფანჯრის მინა), მიეკუთვნება მარტივი ასორტიმენტის საქონელს. საქონელი, რომელსაც ერთი სახის ფარგლებში აქვს თავისი შიდა კლასიფიკაცია სხვადასხვა-

ნიშნის მიხედვით (ფასონის, ზომის, გაფორმების და ა. შ.), წარმოადგენს რთული ასორტიმენტის საქონელს. მათ მიეკუთვნება ზოგიერთი სასურსათო და არასასურსათო საქონლის დიდი ნაწილი. ,

ცნება „ასორტიმენტი“ საქიროა განვასხვავოთ „ასორტიმენტული სტრუქტურის“ ცნებისაგან, რომელიც გულისხმობს საქონელბრუნვის მთლიან მოცულობაში ან საქონლის მარაგებში სხვადასხვა საქონლის ან მათი სახესხვაობების რაოდენობრივ თანაფარდობას. რამდენადაც სხვადასხვა საქონელს განსხვავებული ბრუნვალობა აქვს, საქონელბრუნვისა და საქონლის მარაგების ასორტიმენტული სტრუქტურა არასოდეს ემთხვევა ერთმანეთს. შენელებული ბრუნვალობის, ე. ი. ნაკლებად გასავლიანი ფასონის, ფერის, ფასის და ა. შ. საქონელს ყოველთვის მაღალი ზეედრითი წონა აქვს საქონლის მარაგებში. საშუალო მაჩვენებლებიდან შედარებით მცირე გადახრის დროს, ეს მოვლენა სავსებით კანონზომიერია. მაღაზიების საქონლით მომარაგების რაციონალური ორგანიზაცია საშუალებას გვაძლევს მნიშვნელოვნად შემცირდეს განსხვავება ბრუნვისა და მარაგის სტრუქტურას შორის.

რამდენადაც მრავალი საქონლის მიხედვით (ქსოვილები, შეკერილი ნაწარმი, ფეხსაცმელი, გალანტერია და სხვ.) მაღაზიების დიდ ნაწილს არ შეუძლია ჰქონდეს გათვალისწინებული სრული ასორტიმენტი, ამდენად ცალკეული მაღაზიების ასორტიმენტის ფორმირება წარმოებს სხვა მაღაზიებთან შრომის დანაწილების საფუძველზე. სხვანაირად რომ ვთქვათ, კონკრეტულ მაღაზიაში საქონლის ასორტიმენტის ფორმირების პირობას წარმოადგენს სავაჭრო ქსელში მისი სწორად განლაგება. შრომის დანაწილების შედეგად ცალკეული მაღაზიების საქონლის ნომენკლატურა და საქონელბრუნვის ასორტიმენტული სტრუქტურა არ იმეორებს და არც შეიძლება იმეორებდეს სავაჭრო ორგანიზაციის ან მთლიანად სავაჭრო ქსელის საქონლის ნომენკლატურას და ბრუნვის სასაქონლო სტრუქტურას. სავსებით გასაგებია, რომ ცალკეული მაღაზიების საქონელბრუნვის სტრუქტურა არ იმეორებს არც მოხმარების სტრუქტურას. სასაქონლო ასორტიმენტი და საქონლის ნომენკლატურა დაკავშირებულია საქონელბრუნვის მოცულობასა და საქონლის მარაგის სიდიდესთან; რაც უფრო მაღალია საქონელბრუნვის მოცულობა, მით უფრო ფართო შეიძლება იყოს საქონლის ასორტიმენტი და პირიქით. — საქონლის ასორტიმენტის გაფართოება იწვევს საქონელბრუნვის ზრდას. საქონლის მარაგის მოცულობის შეფარდებითი ზრდა საშუალებას გვაძლევს აგრეთვე გვაფართოოთ ასორტიმენტი შენელებული ბრუნვალობის საქონლის გამოყოფის ხარჯზე. უმეტესწილად ამით აიხსნება, რომ პატარა მაღაზიებს, ჩვეულებრივ, საქონლის მარაგის მაღალი დონე აქვთ.

ასორტიმენტის ფორმირება მკიდრო კავშირშია საქონელბრუნვისა

და სასაქონლო მარაგის დაგეგმვასთან. საქონელბრუნვის სტრუქტურის დაგეგმვა ასორტიმენტის ფორმირების საწყისი სტადიაა.

საქონლის ასორტიმენტის ფორმირება გაივლის ორ ეტაპს:

1. ჭგუფური ასორტიმენტის დადგენა, ე. ი. საქონლის ჭგუფების ჩამოთვლა, რომლებითაც უნდა ვაჭრობდეს მაღაზია, ბრუნვის მთლიან მოცულობაში თითოეული ჭგუფის საქონლის თანხის ან ხვედრითი წონის ძიებით;

2. შიდაჭგუფური (დეტალური) ასორტიმენტის, ანუ კონკრეტული საქონლისა და მათი სახესხვაობების ნომენკლატურის განსაზღვრა თითოეული სასაქონლო ჭგუფის ფარგლებში.

მაღაზიის საქონელბრუნვის გეგმა ასორტიმენტულ ჭგუფურ სტრუქტურაში (სასაქონლო ჭგუფების მიხედვით) მუშავდება გასული პერიოდის საქონელბრუნვის მოცულობისა და სტრუქტურის, საგეგმო პერიოდში საქონლის მოსალოდნელი შემოსვლისა და მყიდველთა მოთხოვნის შესწავლის მასალების ანალიზის საფუძველზე.

მაღაზიის საქონელბრუნვის საერთო ზრდის პირობებში ცალკეული სასაქონლო ჭგუფების ხვედრითი წონა შეიძლება იცვლებოდეს კვარტლის, ნახევარი წლის, წლის განმავლობაში.

ცალკეული სასაქონლო ჭგუფების ასორტიმენტსა და საქონელბრუნვის მოცულობაზე გავლენას ახდენს ერთტიპური მაღაზიების განლაგების სიახლოვე. მარტივი ასორტიმენტის საქონელზე მას, ჩვეულებრივ, ბრუნვის შემცირებამდე მივყავართ, რთული ასორტიმენტის საქონელზე კი, რომელიც მოითხოვს გულმოდგინე შერჩევას, შეიძლება საქონელბრუნვის ზრდა გამოიწვიოს, ეს მყიდველთა ნაკადების კონცენტრაციის ხარჯზე საკმაოდ დიდია იმ პირობებში, როდესაც ერთმანეთს კონკურენციას უწევენ (მაგ., ქალაქის ცენტრში განლაგებისას).

ერთგვაროვანი სასაქონლო სპეციალიზაციის მაღაზიის საქონელბრუნვის სტრუქტურის დაგეგმვის დროს საჭიროა გავითვალისწინოთ შრომის რაციონალური დანაწილების შესაძლებლობანი მსხვილ და წვრილ მაღაზიებს შორის, ქალაქის ცენტრისა და სხვა რაიონის მაღაზიებს შორის. კერძოდ, შედარებით მცირე მაღაზიები და ქალაქის შორეულ რაიონებში განლაგებული მაღაზიები საჭიროა გადავიყვანოთ ყველაზე მასობრივი, ხშირი მოთხოვნის ნაწარმის გაყიდვაზე, ხოლო იმავე ნომენკლატურის შედარებით იშვიათი მოთხოვნის საქონელი თავმოყრილი უნდა იყოს მსხვილ და ცენტრალურ მაღაზიებში. იმავდროულად ყველაზე რთული ასორტიმენტის საქონლის (ქსოვილები, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი) გაყიდვას საჭიროა თავი მოუყუაროთ მცირე რაოდენობის მაღაზიებში. თუ მაღაზიების საქონელბრუნვის მოცულობა და ჭგუფური სტრუქტურა განისაზღვრება საგეგმო გაანგარიშების მეთოდებით, მაშინ შიდაჭგუფური, დეტალური ასორტიმენტის ფორმირება, უმეტეს საქონელზე წარმოებს საქონლის ნომენკლატურის თანმიმდევ-

რობით შერჩევის გზით, მოთხოვნის შესწავლის და მისი მოსალოდნე-
ლი ცვლილებების მონაცემებიდან გამომდინარე. წინასწარ გაანგარიშე-
ბას ახდენენ საქონლის ცალკეული ნიშნების მიხედვით სწორი თანა-
ფარდობის განსაზღვრის მიზნით, ამასთან, მხედველობაში ღებულობენ
ამ თანაფარდობათა დანიშნულებას. ამგვარად დადგენილ სასაქონლო
ნომენკლატურას შემდგომში აზუსტებენ, ცვლიან ან არეგულირებენ
მოთხოვნის მიმდინარე აღრიცხვის საფუძველზე.

უკანასკნელ წლებში გავრცელება პოვა მაღაზიებში საქონლის დაჯ-
გუფებამ სამომხმარებლო კომპლექსების მიხედვით. სექციის (მაგ.,
ფეხსაცმელი) შექმნის ნაცვლად იქმნება სექციათა კომპლექსი („მაგ.,
„საქონელი ქალებისათვის“). ასეთი კომპლექსების შექმნა ხელსაყრელ
პირობებს ქმნის მყიდველებისათვის, უადვილებს საქონლის შერჩევას
და ამცირებს საქონლის შესაძენად საჭირო დროს. მაგრამ არ უნდა და-
ვუშვათ სექციათა ნაირსახეობის გადიდების ხარჯზე ასორტიმენტის შე-
კვეცა. მსხვილ უნივერსალურ მაღაზიებში კომპლექსები (განყოფილე-
ბების სახით) მოიცავს ვიწრო სპეციალიზებულ (საქონლურ-დარგობ-
რივ) სექციებს (მაგ., ქალის ყველა ფეხსაცმელი). შედარებით პატარა
მაღაზიებში ამის გაკეთება შეუძლებელია. სიძნელეების თავიდან აცი-
ლება შეიძლება მაღაზიის პროფილის შეცვლით (მაგ., მისი გარდაქმნით
მაღაზიად „საქონელი ქალებისათვის“) ან მისი სპეციალიზებით. აღტე-
რნატიული და იმპულსური მოთხოვნის საქონლის გასაყიდად (სიახ-
ლეთა მაღაზია).

იმ შემთხვევაში, როდესაც მაღაზიისათვის დადგენილია სავალდებუ-
ლო ასორტიმენტის მინიმუმი, ე. ი. საქონლის ჩამოთვლა და მათ სახე-
სხვაობათა რაოდენობა, რომლითაც უნდა ვაჭრობდეს მაღაზია, ამ მი-
ნიმუმის დაცვა წარმოადგენს ასორტიმენტის შერჩევის წინასწარ პი-
რობას.

: ფაქტობრივი ასორტიმენტი, როგორც წესი, უნდა აღემატებოდეს
დადგენილ მინიმუმს. ასორტიმენტის შერჩევა მოითხოვს ყოველი სა-
ქონლისადმი ინდივიდუალურ მიდგომას, ყველა მათი თავისებურების
გათვალისწინებას.

მოთხოვნის ფორმირების პროცესზე ყურადღებით დაკვირვებისას
შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ამა თუ იმ საქონლის შექმნის მოთხოვნილე-
ბის წარმოშობას თან ახლავს მოთხოვნის ჩამოყალიბების სიმკვეთრის,
განსაზღვრულობის სხვადასხვა ხარისხი.

ერთ შემთხვევაში მყიდველი მოდის მაღაზიაში სრულიად განსაზღ-
ვრული მოთხოვნილებით, რომელიც მოიცავს საქონლის ყველა ძირი-
თად ნიშანს, ფასს, ზომას, ფასონს, მასალას, ფერს და ა. შ. ბევრ შემ-
თხვევაში მყიდველი, მოდის რა მაღაზიაში, სრულად არა აქვს წარმო-
დგენილი ყველა ნიშანი საქონლისა, რომლის ყიდვაც მას განზრახული

აქვს თუმცა განსაზღვრავს საქონლისადმი საერთო მოთხოვნას (გამოსასვლელი კოსტუმი, ფეხსაცმელი დაბალ ქუსლზე და ა. შ.).

ბევრ მყიდველს ნათლად არა აქვს წარმოდგენილი შესასყიდი ნივთი და ფიქრობს, რომ თავის სურვილს დააზუსტებს საქონლის გაცნობისა და შერჩევის პროცესში. ესაა ასორტიმენტის ფორმირების მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორი.

პირობითად შეიძლება გამოვყოთ მოთხოვნის სამი ფორმა:

1. ფიქსირებული (ან მყარად ფორმირებული) მოთხოვნა, წარმოდგენილი პირდაპირი მოთხოვნის სახით, რომელიც არ უშვებს მოთხოვნილი საქონლის სხვა მსგავსით შეცვლას;

2. ალტერნატიული მოთხოვნა (მოთხოვნა შერჩევით), საბოლოოდ ყალიბდება საქონლის წინასწარი გაცნობის შემდეგ, მათი შერჩევისა და შედარების საფუძველზე;

3. იმპულსური მოთხოვნა, ყალიბდება საქონლის მიწოდების ზეგავლენით.

ფიქსირებული მოთხოვნა, ჩვეულებრივ, მასობრივი და მყარია, წლიური ან სეზონური. იგი შეიძლება არამასობრივ ხასიათსაც ატარებდეს (მაგ., განზრახული მარკის ფოტოაპარატზე).

ალტერნატიული მოთხოვნის დროს მყიდველი პირველად განსაზღვრავს მხოლოდ საქონლის რამდენიმე ამოსავალ ნიშანს (მაგ., ქსოვილი ზაფხულის საკაბედ, კოსტუმი მუქი რუხი ფერისა, შოკოლადის კამფეტები). წინასწარ განმსაზღვრელ ნიშანთა რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ აგრეთვე ისეთი, როგორც არის ზღვრული ფასი, რომელიც შეიძლება გადაიხადოს მყიდველმა, ხოლო ისეთ საქონელზე, როგორიცაა მზა ტანსაცმელი, თავსაბურავები, ფეხსაცმელი, ტრიკოტაჟი, თეთრეული — ზომა, სიმაღლე სისრულე.

ალტერნატიული მოთხოვნის უმნიშვნელოვანესი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი უშვებს ერთგვაროვანი საქონლის ურთიერთშეცვლას და ასორტიმენტის რეგულარულ განახლებას მოითხოვს.

საქონლის ურთიერთშეცვლა არასასურსათო საქონლის დიდი ნაწილის ასორტიმენტის ფორმირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია. იგი საშუალებას გვაძლევს უარი ვთქვათ მაღაზიაში ყველა მოდელის, ფასონის, გაფორმების, მოხატულობისა და მასალის ნაწარმის თავმოყრაზე და ამასთან კმაყოფილდებოდეს მყიდველთა მოთხოვნა.

როგორც ცნობილია, პრაქტიკულად შეუძლებელია მაღაზიაში იყოს სრული ასორტიმენტი, მაგ., ტანსაცმლის ან ფეხსაცმლის ყველა მოდელის, ფასონის, ფერის, ზომის ჩათვლით. საქონლის შერჩევისა და მისი გაყიდვისას ალტერნატიული მოთხოვნის შესაძლებლობათა გამოყენებით უნდა დავაკმაყოფილოთ მყიდველთა ძირითადი ნაწილის მოთხოვნა მაღაზიაში არსებული შედარებით შეზღუდული (ოპტიმალური) საქონლის ასორტიმენტით.

საქონლის მიწოდება შეიძლება მოთხოვნის წარმოების იმპულსს წარმოადგენდეს, ე. ი. ბაღებდეს იმპულსურ მოთხოვნას.

მთელ რიგ შემთხვევაში მყიდველი საქონლის შეძენის მოთხოვნილებას შეიცნობს მხოლოდ მაშინ, როდესაც ხედავს ამ საქონელს. წვრილმან სამეურნეო საქონელს, სანელებლებს არაიშვიათად იძენენ შემთხვევით სხვა საქონელთან ერთად. ასეთ საქონელს უწოდებენ თანმხლებს. წინდებს, ზონრებს, საცხს ფეხსაცმლებისათვის—ფეხსაცმლის მაღაზიებში და სექციებში; ჰალსტუხებს, საკინძებს—თეთრეულის სექციებში და წარმოადგენენ ძირითადი ასორტიმენტის თანმხლებს. მიწოდების ზემოქმედებით ფორპირებული მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით ეწყობა საჩუქრების, ახალი საქონლის მაღაზიები და სექციები.

საერთოდ, ახალი მოდელის, ფასონის, ფერის, მონატულობის საქონლის გაყიდვა თავდაპირველად გამიზნულია მიწოდების (საქონლის ჩვენება, გამყიდველის რჩევა, რეკლამა) ზეგავლენით წარმოშობილი მოთხოვნის ხარჯზე, და მხოლოდ შემდგომში ამ საქონელზე მოთხოვნა იძენს სიმყარის ამა თუ იმ ხარისხს.

მოთხოვნის თავისებურებანი გამოხატულებას პოულობს საქონლის შერჩევაში. რთული ასორტიმენტის სასურსათო საქონლისა და უმეტესი არასასურსათო საქონლის ნომენკლატურა პირობითად შეიძლება გავეყოთ ორ ნაწილად — მუდმივად და ცვალებადად. მუდმივი ნაწილი შეესაბამება არსებულ ფიქსირებულ მოთხოვნას. მასობრივი ფიქსირებული მოთხოვნის საქონელი აუცილებლად უნდა იყოს ასორტიმენტის შემადგენლობაში. ამ საქონლის არარსებობა წარმოშობს დაუკმაყოფილებელ მოთხოვნას. ამავე დროს ასორტიმენტის ცვალებად ნაწილთან დაკავშირებულია ალტერნატიული და იმპულსური მოთხოვნა. ამ სახის მოთხოვნათა თავისებურებანი გულისხმობს ასორტიმენტის მაქსიმალურ ნაირსახეობას, მის სისტემატურ განახლებას.

მომხმარებელი სიამოვნებით შედის მაღაზიაში, სადაც ეგულება რაღაც ახალი, საინტერესო. ამასთან, ასორტიმენტის შეცვლის დროს საჭიროა შესაბამის სტრუქტურაში შენარჩუნებულ იქნეს საქონლის მუდმივი, უცვლელი ნიშნები: ზომა, სიმაღლე, სისრულე, ფასების დიაპაზონი. ასორტიმენტის მუდმივი და ცვალებადი ნაწილების სწორი შეთანაწყობა ქმნის პირობებს მყიდველთა მოთხოვნის მაქსიმალურად სრულად დაკმაყოფილებისათვის.

ვაჭრობაში საასორტიმენტო პოლიტიკას სასურსათო და არასასურსათო საქონელზე აქვს თავისი თავისებურებანი.

სასურსათო საქონლის მოხმარების სტრუქტურა, რომელიც ასორტიმენტის სტრუქტურაში აისახება, განისაზღვრება არა მარტო ეკონომიკური ფაქტორებით (მყიდველობით უნარიანობა), არამედ ფიზიოლოგიური მოთხოვნილებითაც. კვების პროდუქტების სახალხო მოხმარების სტრუქტურა განუწყვეტლევ იცვლება, უახლოვდება კვების მეცნი-

ერულად დასაბუთებულ ნორმებს, რასაც მოითხოვს ადამიანის ყოველმხრივი, პარმონიული განვითარება.

ეს მოითხოვს სასაქონლო ასორტიმენტის სტრუქტურაში პროპორციების დაცვას და სრულყოფას (მაგ., ბოსტნეულის და ცილოვანი პროდუქტების ხვედრითი წონის ამაღლება).

მოთხოვნა სასურსათო საქონელზე არასასურსათო საქონელთან შედარებით უფრო მყარია, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში ცნობილი კონსერვატიულობით ხასიათდება.

მომხმარებელი ეჩვევა განსაზღვრული სახის პროდუქტებს (პურის, ბურღულების, ყველის, საკონდიტრო ნაწარმის სორტებს და ა. შ.) და მოითხოვს მაღაზიის ასორტიმენტში მათ სისტემატურ არსებობას.

სასურსათო საქონელს აქვს მუდმივი ასორტიმენტის ყველაზე მაღალი ხვედრითი წონა. ამ საქონლის ასორტიმენტი საჭიროა გამოირჩეოდეს მაღალი სიმყარით (სტაბილურობით). ასორტიმენტის სტაბილურობის კოეფიციენტი — ჩვეულებრივ, გაყიდვაში არსებული საქონლის დასახელებების რაოდენობის შეფარდება მათ რიცხვთან, რომელიც იყო წლის განმავლობაში, — უნდა იყოს რაც შეიძლება დიდი. იგი შეიძლება ერთზე ნაკლები იყოს მხოლოდ სეზონური საქონლის ხვედრით წონაში (მაგ., კენკრა, ზაფხულას ხილი, ბაღჩეული კულტურები და ა. შ.).

მაგრამ სასურსათო საქონელზე მოთხოვნა და შესაბამისად მათი ასორტიმენტი უცვლელი არ რჩება. მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობის ზრდის, გაყიდვაში ახალი სახის საქონლის გამოჩენის შედეგად, რეკლამის გავლენით თანდათანობით მიმდინარეობს სასაქონლო ასორტიმენტის გარდაქმნა. თუმცა უნდა ითქვას, რომ ზოგიერთ საქონელზე (მაგ., ნახევარფაბრიკატებზე) ასორტიმენტის გაფართოების პროცესი ნელა მიმდინარეობს. საკვებ პროდუქტებზე მყიდველთა მოთხოვნას ახასიათებს კომპლექსურობა, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს მაღაზიებში ასორტიმენტის უნივერსალიზაციისათვის. უნივერსალური სასურსათო მაღაზია სავაჭრო საწარმოს ყველაზე პროგრესული ტიპია.

სასურსათოსაგან განსხვავებით, არასასურსათო საქონლის ასორტიმენტში მაღალი ხვედრითი წონა აქვს ალტერნატიული და იმპულსური. მოთხოვნის საქონელს.

არასასურსათო საქონელი მიეკუთვნება პერიოდული მოთხოვნის საქონელს. შესყიდვის პერიოდულობა დაკავშირებულია მოხმარების ვალებთან (ფიზიკური და მორალური ცვეთა), მომხმარებელთა ინვენტარის გაფართოებასა და შევსებასთან ხანგრძლივი მოხმარების საქონელზე (რადიო საქონელი, საყოფაცხოვრებო მანქანები და ა. შ.). ამასთან შუა ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე ყოველი ახალი შესყიდვისას მოთ-

ზონა, როგორც წესი, მკვეთრად იცვლება (ნაწარმის ტექნიკური სრულყოფისა და მოდის გავლენით).

არასასურსათო საქონლის ასორტიმენტის დიდი ნაწილისათვის დამახასიათებელია განუწყვეტელი განახლება. ასორტიმენტში ორგანულ ცვლილებებთან ერთად, როდესაც ცალკეული ნაწარმი მოთხოვნით აღარ სარგებლობს, მიმდინარეობს პერიოდული, დროებითი ცვლილებები, რომლებიც მოთხოვნის სეზონური რხევით აიხსნება. სეზონური ვაჭრობის პერიოდში მაღაზიები უზრუნველყოფილ უნდა იქნენ შესაბამისი საქონლის მაქსიმალურად ფართო ასორტიმენტით.

სეზონური საქონლის აუცილებელი სრული ასორტიმენტი იქმნება სეზონური ვაჭრობის დაწყების წინ, ხოლო, როგორც ცნობილია, სეზონური ვაჭრობა იშლება წლის შესაბამის დროზე რამდენადმე ადრე. სეზონური ვაჭრობის დაგეგმვისა და საქონლის მარაგის დროული დაგროვებისათვის მიზანშეწონილია შედგეს ვაჭრობის სეზონური კალენდარი, რომელშიც ყველა ჯგუფის საქონლისათვის მითითებული უნდა იყოს: სეზონური საქონლის პირველი პარტიის საცალო ქსელში შემოსვლის დრო; ვაჭრობის ყველაზე მეტად გამოცოცხლების პერიოდი; მაღაზიებში სეზონური საქონლის შეზიდვის შეწყვეტის ვადები; ამასთან მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ სხვადასხვა ჯგუფის საქონლისათვის სეზონური ვაჭრობის პერიოდი ერთდროულად არ იწყება. მაგ., ტანსაცმლის სეზონურ ვაჭრობაზე რამდენადმე გვიან უნდა გაიშალოს თავსაბურავების სეზონური ვაჭრობა.

ბოლოს, ასორტიმენტის ფორმირებისა და მისი ცვლილებების დროს აუცილებელია დაეიცვათ ეკონომიკური პირობები, კერძოდ საქონელბრუნვის ზრდის, საქონელბრუნვადობის დაჩქარებისა და სავაჭრო საწარმოს რენტაბელობის დონის ამაღლების პირობები. საქონელბრუნვის ზრდა უმთავრესად მიიღწევა არა მყიდველებისათვის ძვირადღირებული საქონლის გაძლიერებული მიწოდებით, არამედ ასორტიმენტის საერთო გაფართოებით და მყიდველთა მოთხოვნის უფრო სრულად დაკმაყოფილებით. საქონლის ასორტიმენტის გაფართოება ხშირად წინააღმდეგობაში მოდის საქონელბრუნვადობის დაჩქარების აუცილებლობასთან და ზოგჯერ მის შემცირებამდეც მიყვავართ საქონელბრუნვაში უფრო იშვიათი მოთხოვნის და უფრო ნელი ბრუნვადობის საქონლის ჩართვის შედეგად.

ასორტიმენტის გაფართოების შედეგად ბრუნვადობის შენელების სრული კომპენსირება შეიძლება მაღაზიების საქონლით უფრო რეგულარული და გეგმავალი მომარაგებით და საქონლის მარაგების კონტროლით. გარდა ამისა, საქონელბრუნვადობა შეიძლება დაჩქარდეს მკითხველს მალაზიებში რთული ასორტიმენტის საქონლის თავმოყრით. ამასთან მოთხოვნა კონცენტრირდება და ის საქონელი, რომელიც

მრავალრიცხოვან მაღაზიაში დაქსაქსვის პირობებში სარგებლობდა სუსტი ერთეული მოთხოვნით, მასობრივი მოთხოვნის საქონელი ხდება.

ბრუნვადობის დაჩქარების მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს საქონლის მარაგების მართვა და მათი მოძრაობის ოპერატიული აღრიცხვა. საქონელბრუნვადობის დაჩქარება ქმნის მაღაზიის მუშაობის რენტაბელობის ამაღლების ერთ-ერთ პირობას.

მაღაზიების სასაქონლო ასორტიმენტში საჭიროა სწორად შევახამოთ სხვადასხვა სავაჭრო დათმობის საქონელი, რათა მიღწეულ იქნეს გეგმით გათვალისწინებული რენტაბელობა, განპირობებული ამ დათმობებით და მიმოქცევის ხარჯების დაგეგმილი დონით.

საქალაქო საკანონმდებლო ორგანოს საქონელმომარაგების- ორგანიზაცია

§ 1. საქონელმომარაგების ორგანიზაციისადმი წაყენებული ძირითადი მოთხოვნები

საქალაქო საკანონმდებლო ორგანოს საქონელმომარაგება უნდა გვესმოდეს, როგორც საქალაქო საკანონმდებლო მოსახლეობის მოთხოვნის შესაბამისი რაოდენობისა და ასორტიმენტის საქონლის დაყვანის პროცესი.

საქალაქო საკანონმდებლო ორგანიზაციის საქონელმომარაგების რაციონალურმა ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს მომხმარებლებისადმი საქონლის უშუალოდ მიყიდვის პროცესის დაჩქარება; მოცემული მაღაზიებისათვის დადგენილი ასორტიმენტის სტაბილურობა საქონლის ნომენკლატურის გაფართოებისა და განახლების პირობებში, მიმოქცევისა და მოხმარების ხარჯების შემცირება.

საქალაქო საკანონმდებლო ორგანიზაციაში შედის საქონლის შემოსვლის წყაროების შერჩევა დადგენილი საქონელბრუნვისა და სასაქონლო მარაგის შესაბამისი საქონლის პარტიის, ასორტიმენტის, მოცულობისა და მაღაზიაში შეტანის პერიოდულობის განსაზღვრა. ეს შიიღწევა მაღაზიაში საქონლის ისეთი გრაფიკის მიხედვით შეზიდვით, რომელიც ითვალისწინებს მიტანის რაციონალურ სისწორეს და საქონლის პარტიის განსაზღვრულ მოცულობას. *

* საქონელმომარაგების რაციონალური ორგანიზაციის ერთ-ერთ ძირითად პრინციპთაგანია შეზიდვის რიტმულობა. შეზიდვის რიტმულობა გულისხმობს მაღაზიებში საქონლის შეტანას ან გრაფიკის მიხედვით თანაბარი ინტერვალის გამოშვებით, თუ მოთხოვნა საქონელზე თანაბარზომიერია, ან საქონლის მარაგების განსაზღვრული მოცულობის მიღწევის შემდეგ, თუ მოთხოვნა არათანაბარზომიერია. რიტმულობა საშუალებას იძლევა დაეყვანოს საქონელბრუნვადობა ტექნიკურ ზღვრამდე, ე. ი. როცა საქონლის მარაგის ნორმა მაღაზიაში განისაზღვრება საქონლის გადმოტვირთვის, მიღების, გასაყიდად გამზადებისათვის აუცილებელი დროით, აგრეთვე საკანონმდებლო დარბაზში სამუშაო მარაგების მოცულობით, გამორიცხავს საქონლის ზედმეტი მარაგის შექმნას, რო-

მელიც განკუთვნილია სავაჭრო საწარმოს შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფისათვის შეზიდვის ვადების დარღვევის შემთხვევაში.

საცალო სავაჭრო ქსელის საქონელმომარაგების რიტმულობა საშუალებას იძლევა არა მარტო უზრუნველყოთ სავაჭრო საწარმოს შეუფერხებელი მუშაობა და მოსახლეობის მომსახურების მაღალი დონე, არამედ, ამასთანავე, შექმნათ ოპტიმალური პირობები საწყობების, ბაზების, ტრანსპორტის მუშაობისათვის, იძლევა საშუალებას ყველაზე უფრო ნაყოფიერად გამოვიყენოთ სამუშაო ძალა და ყველაზე უფრო რაციონალურად შესანახი ფართობები.

• თავის მხრივ, საცალო სავაჭრო ქსელის დროული მომარაგება დამოკიდებულია მრეწველობის საწარმოების მიერ სავაჭრო საწყობებში საქონლის მიწოდების რიტმულობაზე. •

საქონელმომარაგების საკითხების კომპლექსის ერთდროული გადაწყვეტა უზრუნველყოფს მის ორგანიზაციაში ეკონომიკურობის პრინციპის შესრულებას. ეს პრინციპი გულისხმობს სამუშაო დროის, მატერიალური და ფულადი სახსრების მინიმალურ ერთობლივ დანახარჯებს მომარაგების მთელ პროცესზე, რაც მიიღწევა სატრანსპორტო საშუალებათა ეფექტური გამოყენებით, დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების მექანიზაციით, საქონლის ჩაბარებისა და მიღების დოკუმენტების მკაფიო გაფორმებით. მნიშვნელოვანწილად ამას ხელს შეუწყობს საწყობებში სასაქონლო მარაგის ცენტრალიზაცია.

საცალო ქსელის მომარაგების რაციონალური ორგანიზაციის მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს მაღაზიებში საქონლის მიტანის ტექნოლოგიის სრულყოფა, რომელიც საქონლის ცენტრალიზებული შეზიდვის შემდგომ გაუმჯობესებასა და ტარა-მოწყობილობის უფრო ფართო გამოყენებას გულისხმობს.

• « გარკვეული სახის საქონლის შეზიდვის მეშვეობით სავაჭრო ორგანიზაციები (საწარმოები) გაყიდვის პროცესზე აქტიურ ზეგავლენას ახდენენ. მაღაზიებიდან მიღებული ინფორმაციების საფუძველზე ისინი განსაზღვრავენ მოთხოვნის ინტენსივობას კონკრეტულ საქონელზე, ავლენენ მათ შორის უფრო პერსპექტიულს. გზავნიან მაღაზიებში ცალკეული ნაირსახეობის საქონელს საცდელი პარტიების სახით, ე. ი. ამით ავალდებულებენ მაღაზიებს, უფრო მაღალ დონეზე მოაწყონ კომერციული საქმიანობა. ყოველივე ეს უფლებას გვაძლევს განვიხილოთ საქონელმომარაგება, როგორც საცალო ქსელის მართვის პროცესის მატერიალურ-ნივთობრივი გამოხატულება. » - -

• საქონელმომარაგების პროცესის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს მის ელემენტებს შორის რაოდენობრივი შეფარდების არსებობა, რომელიც მათი მათემატიკური აღწერის საშუალებას იძლევა, ამასთან დაკავშირებით ჩნდება ფართო შესაძლებლობა, საქონელმომარაგებისათვის გამოყენებულ იქნეს ეკონომიკურ-მათემატიკური მე-

თოდები (მარაგის მართვის თეორია, მასობრივი მომსახურებისა და ხაზობრივი პროგრამირების თეორია) ეგმ გამოყენებით. მომარაგების სისტემის საერთო მოწესრიგება მისთვის ავტომატიზმის ელემენტების მიცემის საფუძველია: გაყიდვის აქტი, ცვლილებები მოთხოვნაში და ამასთან დაკავშირებით წარმოშობილი გადახრები აღირიცხება და ავტომატურად მოჰყავთ მოქმედებაში მომარაგების მექანიზმი. ასეთი სისტემა საშუალებას მოგვცემს უმოკლეს დროში მოვახდინოთ რეაგირება მოთხოვნაში ცვლილებებზე, ე. ი უზრუნველყოთ მაღაზიების მომარაგების ოპერატიულობა. ამასთან, მაღაზიები მიიღებენ საქონელს, რომელიც რაოდენობისა და ასორტიმენტის მიხედვით წინა პერიოდში გაყიდულის შესაბამისი იქნება დადგენილი ნორმატივის ფარგლებში. თავის მხრივ, ეს საშუალებას მოგვცემს შემდგომში გადავიდეთ საქონელმომარაგების ავტომატიზებულ სისტემაზე.

§ 2. საქონლის შემოსულობის წყაროები და საცალო სავაჭრო კსელის მომარაგების ოპერატიული დაგეგმვა

საქონლის შემოსულობის წყაროში იგულისხმება რგოლი საქონელმოდარობის სისტემაში, საიდანაც იგი შეიზიდება მაღაზიებში. ასეთი რგოლები შეიძლება იყოს სამრეწველო საწარმოების საწყობები, საბჭოთა ძეურნეობები, კოლმეურნეობები, მოკავშირე რესპუბლიკების ვაჭრობის სამინისტროებისა და სამომხმარებლო კოოპერაციის საბითუმო ბაზები, საცალო სავაჭრო საწარმოებისა და ორგანიზაციების საწყობები.

• საქონლის მთელი რესურსები, რომლებიც სხვადასხვა წყაროებიდან. საცალო ქსელში შედის, იყოფა ცენტრალიზებულად და დეცენტრალიზებულად. ამჟამად ცენტრალიზებულ რესურსებს საბაზრო ფონდებში ძირითადი ადგილი უჭირავს. წარმოების მოცულობის ზრდის კვალობაზე მათი ხვედრითი წონა თანდათან შემცირდება.

• საქონელმომარაგების ორგანიზაციაში დიდი მნიშვნელობა აქვს შემოსვლის წყაროების, საქონლის მომწოდებლობის შერჩევას, რამდენადაც ამაზეა თითქმის მთლიანად დამოკიდებული საქონლის ასორტიმენტი საცალო ქსელში. ამიტომ მომწოდებლების ამორჩევას წინ უნდა უსწრებდეს მათი შესწავლა, რომელიც შეიძლება წარმოებდეს ორი მიმართულებით:

1) ფაქტობრივი მიმწოდებლების შესწავლა ასორტიმენტის გაფართოების, წარმოების მოცულობის გადიდების, ხარისხის გაუმჯობესებისა და ა. შ. შესაძლებლობების გამოვლინების მიზნით და 2) პოტენციური მიმწოდებლების განსაზღვრა.

• მიმწოდებლების შესწავლისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს სპეციალური ბარათი, რომელიც შემოღებული იქნება ყოველ მათგანზე. მასში ნაჩვენებია მიმწოდებლების სახელწოდება, საფოსტო და ანგარიშსწორების რეკვიზიტები, გამოშვებული პროდუქციის ასორტიმენტი და მოცულობა, გასაღების პირობები, შესყიდვის ნავარაუდები მოცულობა, მიმწოდებლის პოტენციური შესაძლებლობა. ამავე მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნეს მიწოდებაზე სავაჭრო ორგანიზაციების მხრივ მუდმივი კონტროლისა და აღრიცხვის მასალები და საბითუმო ბაზრობების მასალები.

საქონლის შემოსვლის წყაროს არჩევისას გაითვალისწინება წარდგენილი მოთხოვნის შესაბამისად საცალო ქსელის დროული მომარაგების შესაძლებლობა, საქონელმომარაგების რგოლების რაოდენობა, საქონელბრუნვადობის სიჩქარე და სატრანსპორტო ხარჯების დონე.

ცენტრალიზებულად გასანაწილებელი საქონლისათვის მომარაგების წყარო განისაზღვრება მიმავლების გეგმების საფუძველზე. დანარჩენი საქონლის მიხედვით მომარაგების წყაროები განისაზღვრება სავაჭრო ორგანიზაციების ან სწარმოების მიერ, რომელთაც ექვემდებარება მაღაზიები, მისი ტიპის, საქონელბრუნვის სიდიდის, მიმწოდებლებისაგან დაცილების, შესაზიდი საქონლის ასორტიმენტის სიჩქარის დონის, მათი ფიზიკურ-ქიმიური თვისებების, გადატვირთვის მინიმალური ნორმებისა და სხვათა გათვალისწინებით.

საცალო სავაჭრო ქსელის მომარაგების ორგანიზაციის მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს დაგეგმვა, რომელიც ცენტრალიზებული საწყისისა და ცალკეული რგოლების სამეურნეო დამოუკიდებლობის შეხამებას ემყარება. საცალო ქსელის საქონელმომარაგების დაგეგმვის ცენტრალიზებული ხასიათი მდგომარეობს იმაში, რომ ყველა ორგანიზაცია, რომელიც საქონელმომარაგებას ახორციელებს ან მონაწილეობს მასში, თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ მათთვის დადგენილი საგეგმო დავალებებით (საქონელბრუნვის, საქონლის შემოზიდვისა და გაზიდვის გეგმა, სასაქონლო მარაგის ნორმატივები, სასაქონლო რესურსები და მისი განაწილება სავაჭრო ორგანიზაციების მიხედვით).

ცენტრალიზებულად გასანაწილებელ საქონელზე გეგმურად განისაზღვრება, აგრეთვე სახელშეკრულებო კავშირების სტრუქტურაც. მომარაგების დაგეგმვის მექანიზმი მთელი ქვეყნის მასშტაბით რეგლამენტირდება სპეციალური აქტებით (დებულებით სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების შესახებ, მიწოდებას განსაკუთრებული პირობებით და სხვ.). ამასთან, საოლქო და რესპუბლიკურ (რესპუბლიკებში, რომელთაც საოლქო დაყოფა არა აქვთ) ორგანოებს ადგილობრივი რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილის გამოყენებაში ფართო უფლებები აქვთ მიცემული.

საცალო სავაჭრო ორგანიზაციის მასშტაბით მომარაგების დაგეგმვა ოპერატიული ხასიათისაა (წელიწადზე, კვარტალზე, თვეზე) და გამოხატულია სასაქონლო უზრუნველყოფის გეგმაში, რომელიც დგება გამოყოფილი ფონდების საფუძველზე საგეგმო განყოფილების მიერ. სასაქონლო უზრუნველყოფის გეგმებისა და მიმწოდებლებთან დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე საწარმოს სავაჭრო განყოფილება ამუშავებს საქონლის შესყიდვისა და შემოსულობის კვარტალურ გეგმებს სასაქონლო ჯგუფების მიხედვით. ამასთან, მიწოდების მოცულობა და მიმწოდებლები ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული ფონდების მიხედვით ცალ-ცალკეა ნაჩვენები. მომარაგების კვარტალური გეგმების შედგენის აუცილებლობა ნაკარნახევია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ასორტიმენტის დაზუსტების ვადებით.

საქონელმომარაგების დაგეგმვის დროს მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნეს საქონლის ცალკეული ჯგუფებისა და სახეების გაყიდვის სეზონურობა. მიზანშეწონილი არ არის დაიგეგმოს ყველა საქონლის მიწოდება წლის (კვარტალის) განმავლობაში თანაბარი პარტიებით, როგორც ეს პრაქტიკაშია ამჟამად. ასეთი დაგეგმვა უარყოფით გავლენას ახდენს, როგორც მყიდველთა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, ასევე სავაჭრო ორგანიზაციისა და საწარმოს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაზე.

სოფლის საცალო სავაჭრო ქსელის მომარაგების დაგეგმვას ახორციელებენ საოლქო, საძხარეო და რესპუბლიკური (რესპუბლიკებში, რომლებსაც საოლქო დაყოფა არა აქვთ) მომხმარებელთა საზოგადოებების კავშირები. ისინი ამუშავებენ საქონლის შეზიდვის სქემებს, რომლებიც წარმოადგენენ მისაწოდებელი საქონლის ჯგუფების ჩამოთვლას მათი შემოსვლის წყაროებისა და საცალო სავაჭრო საწარმომდე გზების ჩვენებით, რაიონის, რომელსაც ემსახურება კონკრეტული პირობებისა და საქონლის თავისებურების გათვალისწინებით.

მაღაზიების განაცხადების, მოსახლეობის მომსახურებაში მათი მნიშვნელობისა და სასაქონლო მარაგის მდგომარეობის გათვალისწინებით სავაჭრო ორგანიზაციები ყოველკვარტალურად ანაწილებენ ცენტრალიზებული ფონდების მოცულობას მაღაზიების მიხედვით. ასეთი განაწილება ფორმდება სპეციალური უწყის-განაწესით (კვარტალური ან თვიური), რომელშიც მითითებულია მაღაზიის ნომერი, გამოყოფილი ფონდების მოცულობა (ნატურალურად ან ლირებულებით გამოსახულებაში) და მისი მიღების ვადები. იმპორტულ საქონელზე განწესებას ადგენენ საწყობებში საქონლის შემოსვლის კვალობაზე.

თუ მაღაზიები მიმწოდებლებთან პირდაპირ კავშირში იმყოფებიან, მაშინ მიწოდება ხორციელდება სპეციფიკაციის საფუძველზე. პირდაპირ კავშირში იგულისხმება ვაჭრობის საწარმოს ისეთი სამეურნეო ურ-

თიერთობა შრეწველობასთან, როდესაც ხელშეკრულების დადება და შექმნაში საქონლის მიწოდება ხორციელდება საბითუმო რგოლის მონაწილეობის გარეშე.

პირდაპირი კავშირი უდიდეს ეფექტს იძლევა იმ შემთხვევაში, როცა იგი სავაჭრო ორგანიზაციების (საწარმოების) მიერ მყარდება ერთი რევიონის (ქალაქის, რაიონის) ფარგლებში, ე. ი. როცა მხარეებს შესაძლებლობა აქვთ უშუალოდ გაუყეთონ რეგულირება საქონლის მიწოდების პროცესში ყველა წამოჭრილ საკითხს და დაამყარონ პირადი კონტაქტები. ამასთან, პირდაპირი კავშირების გავრცელება ვაჭრობაში შეზღუდულია. ეს იმით აიხსნება, რომ მალაზიების ძირითადი ნაწილი არ წარმოადგენს საწარმოს და, მაშასადამე, არა აქვს დამოუკიდებელი სამეურნეო სახელშეკრულებო ურთიერთობის დამყარების უფლება.

უმსხვილეს მალაზიებს (მოსკოვის სახელმწიფო უნივერსალური მალაზია, ლენინგრადის „გოსტინი დვორი“ და ა. შ.) შეუძლიათ პირდაპირი კავშირები დაამყარონ ქვეყნის ნებისმიერ სამრეწველო საწარმო-სთან.

მალაზიები გამოყოფილი ფონდების ფარგლებში (განწესის, სპეციფიკაციის თანახმად), ხოლო საკმაო საქონელზე — განუსაზღვრელად, უშუალოდ მიმწოდებელს (ან სავაჭრო განყოფილების, დისპეტჩერის საშუალებით) აძლევენ მიმდინარე შეკვეთებს საქონლის მარაგის შევსებაზე.

მიმდინარე შეკვეთების წარდგენის ფორმა დამოკიდებულია მალაზიის ტიპსა და საქონლის ასორტიმენტის სირთულეზე.

შეკვეთები მარტივი ასორტიმენტის საქონელზე აგრეთვე მყარი, ნაკლებადცვალებადი, თუმცა რთული ასორტიმენტის საქონელზე, ფორმდება წერილობითი მოთხოვნა-შეკვეთის სახით, რომელსაც შემდეგ გადაუგზავნიან მომწოდებელს ან გადასცემენ ტელეფონით. ეს მეთოდი მალაზიებისათვის ყველაზე უფრო მოხერხებულია იმდენად, რამდენადაც საშუალებას იძლევა გაფორმდეს შეკვეთა დროის მინიმალური დახარჯვით. მოთხოვნა-შეკვეთაში მითითებულია მალაზიის დასახელება, მისი რეკვიზიტები (საფოსტო და ანგარიშსწორების), საქონლის დასახელება და მისი ძირითადი სამომხმარებლო ნიშნები (არტიკული, მოდელი, ფასონი, სიმაღლე, ფასი), მოთხოვნილი და ფაქტობრივად გაშვებული საქონლის რაოდენობა. ტელეფონით შეკვეთის მიღების დროს, მუშაკი, რომელმაც შეკვეთა მიიღო, აესებს ანალოგიურ ბლანკს და გადასცემს მას საწყობს. შეკვეთის წარდგენის ამ ფორმის ეფექტურობის ამაღლებისათვის სასურველია, რომ მოთხოვნა-შეკვეთების ბლანკი დაბეჭდილი იყოს სტამბური წესით. ამ შემთხვევაში ხელით ივსება მხოლოდ გრაფა — „საქირო რაოდენობა“.

შეკვეთის ბლანკი უნდა შედგებოდეს რამდენიმე მოსახვეი ნაწილი-საგან. ყოველი მათგანი შეიძლება გაიგზავნოს სხვადასხვა საწყობში ან მის სექციებში საქონლის ერთდროული არჩევისათვის. ეს საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად შემცირდეს შეკვეთის შესრულების ვადები. გარდა ამისა, ასეთი ბლანკები ყველაზე უფრო მოხერხებულია სამანქანო დამუშავებისათვის.

რთული ასორტიმენტის საქონელზე ოპერატიული შეკვეთა შეიძლება მოცემულ იქნეს ასეთივე ბლანკებზე, მაგრამ ივსება ისინი პირადი შერჩევის პროცესში. ამ მეთოდის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მაღაზიის წარმომადგენელს შერჩევის პროცესში საშუალება აქვს დეტალურად გაეცნოს საქონლის ასორტიმენტს, მის თავისებურებებს, მიიღოს კვალიფიციური კონსულტაცია მათი ხარისხისა და თვისებების შესახებ. მაგრამ საქონლის პირადი შერჩევა საცალო ვაჭრობის მუშაკების დროის მნიშვნელოვან დახარჯვას მოითხოვს და სწყვეტს მათ თავისი ძირითადი მოვალეობის შესრულებისაგან. რომ შემცირდეს დრო პირად შერჩევაზე, საბითუმო ბაზებში აწყობენ საასორტიმენტო კაბინეტებს, საქონლის ნიმუშების დარბაზებს (ოთახებს).

სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში განვითარება პოვა სასაქონლო ნიმუშების მოძრავი ოთახების საშუალებით მაღაზიებიდან შეკვეთების მიღების მეთოდმა. მიმომსვლელი საქონელმცოდნეები საქონლის ნიმუშებით, ნიმუშების ალბომებით, კატალოგებით, პროსპექტებით და სისტემატიზებულ ინფორმაციის სახეებით ჩამოივლიან სოფლის მაღაზიებს დადგენილი გრაფიკით და მიმართულებით. აქ შეკვეთების მიღება შეხამებულია მოსახლეობის მოთხოვნის და საცალო ვაჭრობის მდგომარეობის შესწავლასთან, ასორტიმენტის შემოწმებასთან. ერთდროულად აუცილებელი ხდება დახმარების გაწევა და კონსულტაციის მიცემა ვაჭრობის ორგანიზაციის, საქონლის თვისებების საკითხებზე და ა. შ.

§ 8. საცალო ქსელის საქონლით საქონელმომარაგების ფორმები

ა)

1 საქონლის შემოსულობის წყაროს მიხედვით მომარაგების ორ ფორმას ანსხვავებენ: ტრანზიტულსა და სასაწყობოს.

2 საქონლის შეზიდვას საცალო ქსელში უშუალოდ სამრეწველო საწარმოებიდან, შუალედი სასაწყობო რგოლის გვერდის ავლით, ეწოდება ტრანზიტი. გამოსასვლელი ბაზა, ამასთან, განიხილება როგორც პრაქტიკულად აუშორებელი რგოლი, რომელიც ცვლის ფაბრიკასთან არსებულ საწყობს ან ექსპედიციას.

◀ მომარაგების სასაწყობო ფორმა გულისხმობს საბითუმო ბაზების საწყობებიდან ან საცალო სავაჭრო ორგანიზაციების საწყობებიდან მალაზიებში საქონლის შეზიდვას.

საქონლის ტრანზიტული შეზიდვის დროს გამორიცხულია ტვირთის გამეორებითი გადმოტვირთვა. მცირდება საქონლის გზაში ყოფნის ვადები, მცირდება სასაქონლო დანაკარგების ოდენობა, მტკიცდება და ფართოვდება პირდაპირი კავშირები საცალო სავაჭრო საწარმოებისა მრეწველობასთან. ამავე დროს ტრანზიტული მიწოდება დაკავშირებულია შესაზიდი საქონლის პარტიის გადიდებლსთან, ასორტიმენტის დახარისხების და საცალო ქსელში საქონლის შეფუთვის აუცილებლობასთან, რასაც მივყავართ მალაზიებში სასაქონლო მარაგის ზრდასთან, საქონელბრუნეადობის შენელებასთან.

~ გადაზიდვის სიშორის მიხედვით არჩევენ სხვა საქალაქო და საქალაქო ტრანზიტულ მიწოდებას, რომელნიც, გადაზიდვის რადიუსის გარდა, განსხვავდებიან საქონლის ტრანსპორტირების საშუალებითა და გადატვირთვის მინიმალური ნორმებით. სხვა საქალაქო ტრანზიტული მიწოდების დროს საქონელი დანიშნულების სადგურში უფრო ხშირად მიიტანება რკინიგზის ან წყლის ტრანსპორტით, ავტოტრანსპორტზე შემდგომი გადატვირთვით. ამ გადაზიდვის დროს გადაზიდვის მინიმალური ნორმას შეადგენს ვაგონი, კონტეინერი, ამიტომ მოცემული ფორმა მომარაგებისა ხელმისაწვდომია მხოლოდ მსხვილი მალაზიებისათვის. დანარჩენ შემთხვევაში კი მომარაგებელს ასეთი ფორმის გამოყენებამ შეიძლება მიგვიყვანოს საქონლის ასორტიმენტის სისრულის დარღვევამდე, საქონელბრუნეადობის შენელებამდე, სასაქონლო მარაგის გაზრდამდე. ტრანზიტული ფორმის გამოყენება მიზანშეწონილია მალფუქვბადი პროდუქტებით მალაზიების მომარაგების დროს. მრეწველობის ადგილობრივი საწარმოებიდან ტრანზიტით შეიძლება შეზიდულ იქნეს მარტივი ასორტიმენტის საქონელი.

• რთული ასორტიმენტის საქონელი მოითხოვს დახარისხებას, დაკომპლექტებას და გაგზავნას მალაზიებში შედარებით წვრილი პარტიობით. ამიტომ ეს საქონელი, როგორც წესი, მალაზიებში საწყობებიდან უნდა შეიზიდოს. დიდგაბარიტიან საქონელს მიზანშეწონილია კონცენტრაცია გავუკეთოთ საბითუმო ბაზების ლიანდაგთან ახლოს მდებარე საწყობებში, ხოლო მალაზიებში ვიქონიოთ მხოლოდ მათი ნიმუშები.

• საბითუმო ბაზების საწყობებიდან მალაზიების მომარაგებას აქვს გარკვეული უპირატესობა. საწყობებში შეიძლება თავმოყრილი იქნეს საქონლის საკმარად ფართო ასორტიმენტი. საწყობები, ლებულობენ რა სამრეწველო საწარმოებიდან საქონლის მსხვილ პარტიებს, უზრუნველყოფენ სათანადო შენახვას და ახორციელებენ ასორტიმენტის შერჩევის, საქონლის ხარისხის შემოწმების ყველა აუცილებელ ოპერაციას

ნაკლები დანახარჯებით, ვიდრე საცალო ქსელში. ტრანზიტულ ფორმა-სთან შედარებით საქონელმომარაობის რგოლიანობის გადიდება აქ კომ-პენსირდება მაღაზიებში საქონლის უფრო ფართო არჩევით სასაქონლო მარაგების ერთობლიობის მოცულობის შემცირებით, საქონელბრუნვა-დობის დაჩქარებით და მყიდველთა მომსახურების გაუმჯობესებით.

საქონელმომარაგების რაციონალური ორგანიზაცია გულისხმობს საბითუმო საწარმოების აქტიურ ზემოქმედებას საცალო სავაჭრო ქსე-ლზე ასორტიმენტის ფორმირების დარგში. ეს შეპირობებულია იმით, რომ პრაქტიკულად მომარაგების მიღებული სისტემა თითქმის მთლია-ნად განსაზღვრავს გაყიდვის რიტმსა და სტრუქტურას, სასაქონლო მა-რავის ფორმირებას. ასეთი როლის შესრულებისათვის აუცილებელია, რომ სისტემაში „საწყობი — მაღაზია“ მარავის განლაგება და საქონლის ასორტიმენტის ფორმირება ურთიერთდაკავშირებული იყოს. ამიტომ საქონელმომარაგების რაციონალური სისტემის შექმნა გულისხმობს საბითუმო და საცალო ქსელში სასაქონლო მარაგების ოპტიმალურ გან-ლაგებას.

ამ ამოცანის გადაწყვეტაში გარკვეულ წვლილს შეიტანს სატრანს-პორტო-საექსპედიციო სასაწყობო საწარმოების შექმნა, სადაც კონცე-ნტრირებულ იქნება რეგიონის ყველა საბითუმო საწარმოს სასაქონლო მარაგები მიუხედავად მათი საუწყებო დაქვემდებარებისა.

ამ საწარმოებში საქონლის მარავის კონცენტრაცია უზრუნველყოფს მის შენახვას ასორტიმენტში, რომელიც ქმნის საცალო ქსელის შეუ-ფერხებელი მომარაგების, მაღაზიებში საქონლის რიტმულად ცენტრა-ლიზებული შეზიდვის გარანტიას, ხოლო ტვირთის გადამუშავების ტექ-ნოლოგიური პროცესების და სააღრიცხვო-საანგარიშო დოკუმენტაციის შექმნიზაცია (პერსპექტივაში ავტომატიზაცია) დააჩქარებს საქონელ-მომარაგების მართვის ავტომატიზებული სისტემის შექმნას.

საქონელმომარაგების რიტმული სისტემის შექმნის პირველ ეტაპ-ზე შესაძლებელია საცალო ქსელში საქონლის ცენტრალიზებული შე-ზიდვის გამოყენება მაღაზიების შეკვეთების გარეშე მცირე სტანდარ-ტული პარტიებით თვეში რამდენჯერმე (სასურსათო საქონელი — კვი-რაში რამდენჯერმე). საქონლის შიტანის სიხშირე და პერიოდულობა დგინდება ინდივიდუალურად ყოველი მაღაზიისათვის მოთხოვნის თავი-სებურებათა შესაბამისად. საქონლის პარტიების დაკომპლექტება ხდე-ბა მიწოდებლის საწყობში მსასამსახურებელი მაღაზიების სპეციალი-ზაციის შესაბამისად. გაყიდვისა და სასაქონლო მარავის სტრუქტურაში გადახრების (რომელიც შეიძლება წარმოიშვას საქონელმომარაგების ასეთი ორგანიზაციის დროს) აღმოფხვრისათვის თვეში ერთიორჯერ. (ვთქვათ, შუა თვეში ან ბოლოს) მიწოდება ხორციელდება მაღაზიის შეკვეთებით. მაღაზიების მომარაგების ასეთი სისტემის გამოყენება

საშუალებას იძლევა კვირის განმავლობაში მთლიანად განეახლოთ საქონლის ასორტიმენტი, მნიშვნელოვნად შევამციროთ სადაზღვევო მარაგის სიდიდე.

მაღაზიების მომარაგებაში მნიშვნელოვანი როლი მიეკუთვნება საცალო სავაჭრო ორგანიზაციების საწყობებს. ზოგიერთ სავაჭრო სისტემაში, კერძოდ მუშათა მომარაგების განყოფილებებში, მომარაგების ეს წყარო ძირითადს წარმოადგენს. საცალო სავაჭრო ორგანიზაციის საკუთარი საწყობი ტერიტორიულად უფრო ახლოს არის საცალო ქსელთან, ამიტომ საშუალება აქვთ გაგზავნონ მაღაზიებში საქონელი გამსხვილებულ დაკომპლექტებულ პარტიებად, ე. ი. აწარმოონ უფრო დანაწევრებული დახარისხება, ვიდრე საბითუმო საწყობებში (მაგალითად, ჩააწყონ ერთ ყუთში სხვადასხვა დასახელების საქონელი). ამავე დროს საკუთარი საწყობიდან საქონლის შეზიდვა საშუალებას იძლევა მაღაზიების მომარაგების საქმეში უფრო მკვიდროდ დაუქავშიროთ სავაჭრო ქსელის მართვას.

შეზიდვის რეგულირების საშუალებით სავაჭრო ორგანიზაციები უფრო აქტიურ ზეგავლენას ახდენენ მაღაზიების სავაჭრო საქმიანობაზე, სტიმულს აძლევენ ცალკეული საქონლის გაყიდვას, ხელს უწყობენ მაღაზიებში ასორტიმენტისა და სასაქონლო მარაგის სწორად ფორმირებას.

მაგრამ აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ საცალო სავაჭრო ორგანიზაციების საწყობებიდან მომარაგება მიზანშეწონილია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ საწყობები საქონელს ღებულობენ უშუალოდ სხვა ქალაქებში მყოფი მიმწოდებლებისაგან ან სამრეწველო საწარმოსაგან.

სოფლად ვაჭრობის თავისებურებანი (წვრილი, გაფანტული საცალო ქსელი) განაპირობებს საძოძხმარებლო კოოპერაციის საცალო სავაჭრო ქსელის მომარაგებაში სასაწყობო ფორმის გადამწყვეტ როლს. კოოპერაციულ საცალო სავაჭრო საწარმოებში 80%-ზე მეტი საქონლისა შედის სარაიონთაშორისო ბაზების, რაიკოოპკავშირების საბითუმო ბაზების ან არასაუწყებო მიმწოდებლების საწყობებიდან. საწყობების საშუალებით საცალო ქსელის მომარაგება ხორციელდება არა მარტო რთული, არამედ მარტივი ასორტიმენტის საქონლითაც, მაგალითად, როცა საცალო საწარმოებს სატრანზიტო გაგზავნის შედარებით მაღალი ნორმებისა და პატარა მოცულობის გამო არ შეუძლიათ მიიღონ ეს საქონელი ტრანზიტად.

ვირჩევთ რა წყაროებსა და ცალკეული ჯგუფის საქონლის მომარაგების ფორმებს, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, როგორ პირობებშია მიზანშეწონილი გადავიყვანოთ მაღაზიები მომარაგების ტრანზიტულ ფორმაზე. ამასთან საქიროა გათვალისწინება რიგი ფაქტორებისა, რომელ-

ნიც შეიძლება სამ ჯგუფად იქნეს დაყოფილი: საწარმოო, სატრანსპორტო და სავაჭრო.

საწარმოო ფაქტორებში 'შედის მრეწველობის საწარმოების განლაგება ამა თუ იმ რეგიონში, წარმოების სპეციალიზაციის დონე, წარმოებული საქონლის მოცულობისა და ასორტიმენტის სეზონური ცვალებადობა.

სატრანსპორტო ფაქტორებში შედის რეგიონში მიმოსვლის გზების არსებობა და მდგომარეობა, ავტოტრანსპორტისა და მცირე პარტიობით გაგზავნის გამოყენების შესაძლებლობა, გაგზავნისა და დანიშნულების პუნქტებში საკონტეინერო მოედნების არსებობა.

სავაჭრო ფაქტორებს მიეკუთვნება: მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობა და საცალო ქსელისა და საბითუმო ვაჭრობის სპეციალიზაცია, მათი განლაგება რეგიონში; მისაწოდებელი საქონლის ასორტიმენტის სირთულე და ფიზიკურ-ქიმიური თვისებების თავისებურებანი; სავაჭრო საწარმოს სიმძლავრე და საქონლის გაგზავნის მინიმალური ნორმები; მისაწოდებელი საქონლის მოცულობა; საქონლის შეზიდვის სიხშირე და მიწოდების ერთჯერადი პარტიის ოპტიმალური მოცულობა.

ამჟამად არ არსებობს მომარაგების ფორმის არჩევის ოპტიმალობის ერთიანი კრიტერიუმი.

მაღალი ბრუნვადობის საქონლისათვის, როცა მისი გაცემა სამრეწველო საწარმოს საწყობიდან ან ბაზებიდან შეიძლება მივიღოთ გასაყიდად, მომარაგების ფორმის არჩევის კრიტერიუმად, შეიძლება მივიღოთ ერთი პარტია საქონლის ტრანზიტით და საბითუმო ბაზიდან შიტანის ხარჯების დონის შეფარდება. ამ შემთხვევაში პარტიების დიდი ოდენობა არ იწვევს მაღაზიებში ზედმეტი სასაქონლო მარაგების წარმოშობას. ძირითადად ესაა მარტივი ასორტიმენტისა და მალფუქცობადი საქონელი.

uo — აღვნიშნოთ ერთი პარტიის საბითუმო ბაზაში შიტანის ხარჯები, ხოლო ხარჯები ერთი პარტიის მიწოდებისა საბითუმო ბაზიდან საცალო ქსელში — uc, m — მაღაზიების რაოდენობა, რომელსაც საბითუმო ბაზა ამარაგებს, შეგვიძლია მივიღოთ ორი (უტოლობა).

$$1) uo(m-1) > 2 \sqrt{mu_0uc + mu_0z}$$

$$2) uo(m-1) < 2 \sqrt{mu_0uc + mu_0z}$$

პირველ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს უფრო მაღალი ხარჯები მაღაზიების სამრეწველო საწარმოებიდან მომარაგების დროს. მაშასადამე, მიზანშეწონილია გამოვიყენოთ მომარაგების სასაწყობო ფორმა. მეორე შემთხვევაში უმჯობესია ტრანზიტული ფორმა. მაგრამ უმეტესობა არასასურსათო საქონლის (განსაკუთრებით რთული ასორტიმენტის), აგრე-

თვე მთელი რიგი სასურსათო საქონლის (საბაკალო, საკონდიტრო) მიხედვით ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია საქონლის გზაში ყოფნასთან, ნაკლებად არსებითია ვიდრე მისი ბაზარზე მარაგების ფორმით ყოფნასთან დაკავშირებული ხარჯები.

ამიტომ ამ საქონლით მომარაგების ფორმის არჩევის დროს აუცილებელია გავითვალისწინოთ დროისა და საშუალებების ერთობლივი ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია, როგორც ხარჯებთან მალაზიამდე საქონლის გადაადგილებაზე, ისე ხარჯებთან მარაგების შენახვაზე, არათანაბარი სასაქონლო ნაკადების გამო სასაწყობო მეურნეობაში დამატებითი კაპიტალური დაბანდების ჩათვლით. ამ შემთხვევაში უფრო მიზანშეწონილია მომარაგების ფორმის კრიტერიუმად ავილოთ საქონელბრუნვის მიხიძალური მოცულობა, რომელიც შეიძლება გაანგარიშებულ იქნეს ასე:

$$T = \frac{360}{H} C_T \cdot \eta,$$

სადაც T არის საქონელბრუნვის მინიმალური სიდიდე, რომელიც აუცილებელია მომარაგების ტრანზიტული ფორმისათვის, ათ. მანეთებში;

H — მოცემული საქონლის ან საქონლის ჯგუფის ბრუნვადობის საშუალო წლიური ნორმატივი, დღეებში;

C_T — მიწოდების სატრანზიტო პარტიის (ვაგონი, კონტეინერი); ღირებულება, ათ. მანეთებში;

η — მიწოდებული პარტიის კომპლექტურობის კოეფიციენტი. ეს კოეფიციენტი განისაზღვრება ფორმულით

$$\eta = \frac{\sum_{i=1}^n S_i'}{\sum_{i=1}^n S_i}$$

სადაც S_i არის i არტიკულის საქონლის ნაირსახეობის რაოდენობა; მიწოდებულ პარტიაში;

S_i' — სპეციფიკაციის მიხედვით იმავე პერიოდში მისაწოდებელი;

i — არტიკულის ნაირსახეობის რაოდენობა;

i — არტიკულის ნომერი სპეციფიკაციის შესაბამისად;

$i = 1, 2, \dots, n$ (ხელშეკრულების გარეშე მოწოდებული საქონელი გაანგარიშებაში არ შედის).

მომარაგების ფორმის არჩევისას აუცილებელია მხედველობაში იქ-

ნეს შილებული ისეთი ფაქტორებიც, რომელნიც ყოველთვის არ შეიძლება უშუალოდ რაოდენობრივად იყვნენ გამოსახული. მაგალითად, მაღაზიებში საქონლის ასორტიმენტის გაფართოების შესაძლებლობა, საქონლის დაქუშავენების დროს რაციონალური ტექნიკური პროცესების გამოყენება და მათი მექანიზაცია; მარაგების მდგომარეობაზე და საქონელშომარაგების რაციონალურ ორგანიზაციაზე კონტროლისათვის ელექტრონულ გამომთვლელი ტექნიკის გამოყენება და ა. შ.

§ 4. საცალო ქსელში საქონლის მიტანის ორგანიზაცია

საქონელი საცალო ქსელში წყაროებისა და მომარაგების ფორმის მიუხედავად შეიზიდება ცენტრალიზებულად და დეცენტრალიზებულად.

• ცენტრალიზებული მიტანის დროს საქონლის შეზიდვა ხორციელდება მყიდველებთან შეთანხმებული შეკვეთებისა და გრაფიკების მიხედვით მიმწოდებლის ძალებითა და საშუალებებით.

მაღაზიებში საქონლის ცენტრალიზებული შეზიდვა მიტანის ყველაზე უფრო პროგრესული და ეკონომიკურად ეფექტური მეთოდია. იგი მაღაზიების უფრო რეგულარული მომარაგების განხორციელების საშუალებას იძლევა, მაღაზიების მუშაკებს საქონლისათვის წასვლაზე დროის ხარჯვის აუცილებლობისაგან ათავისუფლებს, იძლევა საშუალებას უკეთ გამოვიყენოთ სამუშაო ძალა და ტრანსპორტი; შემცირდეს დოკუმენტების ბრუნვა, შემცირდეს მიმოქცევის ხარჯები.

ცენტრალიზებული შეზიდვა რთული პროცესია, რომელიც ყველა დაინტერესებული მხარის — მყიდველების, მიმწოდებლებისა და სატრანსპორტო ორგანიზაციების შეთანხმებულ მოქმედებას მოითხოვს. ამიტომ ცენტრალიზებული მიტანის ორგანიზაციას წინ უნდა უსწრებდეს მოსამზადებელი მუშაობა, რომელიც მდგომარეობს: მაღაზიების დახასიათებების შედგენაში, მაღაზიებს რატიონული შეკვეთების წარდგენის (შესრულების) წესის და ვადებისა და ბაზაში საქონლის შერჩევის წესის განსაზღვრაში; საცალო ქსელში საქონლის შეზიდვის გრაფიკებისა და მარშრუტების შედგენაში ბაზიდან მაღაზიამდე საქონლის გადაზიდვის რუკა-სქემების დამუშავების ჩათვლით, აუცილებელი რაოდენობის საინვენტარო ტარის მომზადებაში; ცენტრალიზებული მიტანის პირობების შესრულებაზე მხარეების მატერიალური პასუხისმგებლობის სისტემის დადგენაში.

წინასწარი მუშაობის ჩატარების შედეგად გამომუშავებული ცენტრალიზებული მიტანის ორგანიზაციის პირობები ჩამოყალიბდება მიწოდების ხელშეკრულებებში და მიმწოდებლებთან სპეციალურ შეთანხმებებში.

ერთქალაქობრივი მიწოდების დროს, თუ მიმწოდებელს სამრეწველო საწარმო წარმოადგენს, მას შეაქვს საქონელი როგორც მალაზიებში, ასევე საბითუმო ბაზის საწყობებში. თუ მიმწოდებლად გამოდის საბითუმო ბაზა, იგი აწყობს საქონლის მიტანას როგორც თავისი საწყობებიდან, ასევე ერთქალაქობრივი სამრეწველო საწარმოების საწყობებიდან.

გარდა საერთო წესებისა, რომელიც საქონლის მიწოდების შესახებ დებულებაშია გათვალისწინებული, მიმწოდებლებისა და მყიდველების ურთიერთობის ადგილობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, შეიძლება დაიდოს სხვა შეთანხმება, რომელიც რომელიმე მხარეს დააკისრებს ცენტრალიზებული მიტანის ვალდებულებას.

• საქონლის ცენტრალიზებული მიტანის ორგანიზაციისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საქონლის არჩევისა და საცალო ქსელში საქონლის მიტანის გრაფიკის შედგენას. ცენტრალიზებული მიტანის გრაფიკი წარმოადგენს ცხრილს, რომელშიც შედის ჩამოთვლა და მისამართები მალაზიებისა, რომლებშიც უნდა იქნეს მიწოდებული საქონელი, საქონლის მოცულობა და ჭკუფური ასორტიმენტი, აგრეთვე შერჩევისა და მიტანის დრო (თარიღი, ზოგჯერ საათები).

გრაფიკების დანიშნულებაა — უზრუნველყოს შეფერხებლობა-რიტმულობა და მიმწოდებლებისა და სატრანსპორტო ორგანიზაციების შეთანხმებული მუშაობა საცალო ქსელის საქონლით მომარაგებაში.

მალაზიებში რამდენიმე ავტომანქანის ერთდროულად მისვლის თავიდან აცილებისათვის აუცილებელია გრაფიკებში საქონლის მიტანის დროის ზუსტად ჩვენება და სხვადასხვა მიმწოდებლების გრაფიკების ურთიერთდაკავშირება. ამასთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა აქვს საავტოო ორგანიზაციებში სადისპეტჩერო სამსახურის ორგანიზაციას.

- გრაფიკები დგება თვეების ან კვარტალების მიხედვით და პერიოდულად ზუსტდება. დამუშავებული გრაფიკები უნდა შემოწმდეს პრაქტიკაში, შეთანხმდეს მყიდველებთან და ზუსტად უნდა სრულდებოდეს ყველა დაინტერესებული მხარის მიერ. მიზანშეწონილია მხარეების ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ იქნეს გრაფიკიდან დასაშვებ მინიმალური გადახრები და სანქციები გრაფიკების დარღვევისათვის.

ცენტრალიზებული მიტანის გრაფიკების დამუშავებასთან ერთად უნდა დამუშავდეს შეზიდვის მარშრუტები — ბაზიდან მალაზიამდე ავტომანქანის სვლის გზა. მისი დამუშავების დროს გაითვალისწინება ქსელის დისლოკაცია, საქონლის ერთდროული პარტიის მოცულობა და შეზიდვის სიხშირე ყოველ მალაზიაში. მარშრუტის შედგენის დროს უნდა განისაზღვროს მიტანის მიზანშეწონილი რადიუსი, რომელიც თანაშედროვე პირობებში მუდმივად იზრდება. ასეთი ზრდა სტიმულირ

დება ავტოტრანსპორტით ტვირთების გადაზიდვაზე დადგენილი ტარიფებით. რომელიც 1974 წ. 1 იანვრიდან არის შემოღებული. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ცენტრალიზებული მომარაგება ეფექტიანია 100 კილომეტრამდე რადიუსში. თუ მხარეები არ არიან დაკავშირებული სარკინიგზო მიმოსვლით. ანდა სარკინიგზო ტრანსპორტიდან საავტომობილოზე გადატვირთვის შემთხვევაში. ცენტრალიზებული მიტანა შესაძლებელია 300—400 კმ. რადიუსში.

მიტანის მარშრუტები შეიძლება იყოს ხაზობრივი (ქანქარისებური) და რგოლური. ხაზობრივი მარშრუტების გამოყენებისას საქონელი შეიზიდება ერთ მაღაზიაში, რგოლურის დროს — რამდენიმე მაღაზიაში, რომელნიც განლაგებული არიან ავტომანქანის სელის გზაზე. ერთ რგოლურ მარშრუტში საქონლის შეზიდვის პუნქტების რაოდენობა 4-5 არ. უნდა აღმატებოდეს. რგოლური მარშრუტების გამოყენება უფრო რაციონალურია, ვინაიდან საშუალებას გვაძლევს მოვამარაგოთ მაღაზიები მცირე პარტიებით, ამასთან უზრუნველყოთ ავტომანქანის სრული დატვირთვა.

დიდი მზიშენლობა აქვს მარშრუტების რაოდენობის დადგენას. უფრო მზიანშეწონილია მუდმივი მარშრუტების შედგენა მთელი წლისათვის. მაგრამ ეს ყოველთვის შესაძლებელი როდია. ამიტომ მარშრუტებს ადგენენ უფრო მოკლე ვადით და გადასინჯავენ აუცილებლობის მიხედვით. მარშრუტების შედგენის დროს გამოიყენება გრაფიკულ-ანალიზური და ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდები, კერძოდ, წრფივი პროგრამირების სატრანსპორტო ამოცანების მეთოდები. ისინი შეიძლება რეალიზებულ იქნეს ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანებზე, ხოლო დახელოვნების დროს მცირე გამომთვლელი ტექნიკის დახმარებით. დამუშავებული მარშრუტები თვალსაჩინოებისათვის გადაიტანება რუკა-სქემებზე.

საქონლის ცენტრალიზებული მიტანის გრაფიკებისა და მარშრუტების დამუშავებასთან ერთად განისაზღვრება გადატანისათვის აუცილებელი ავტომანქანების რაოდენობა. ასეთი გაანგარიშებანი წარმოებს სიობრივი (პირობითი) ავტომობილის წლიური და დღიური წარმადობის გათვალისწინებით.

ვაჭრობის საწარმოების რიტმული მომარაგება მოითხოვს არა მარტო მკაფიო გრაფიკებისა და რაციონალური მარშრუტების შედგენას, არამედ შეზიდვის პერიოდულობის (სიხშირისა) და პარტიის ოპტიმალური სიდიდის განსაზღვრასაც. ამყამად ამ მიზნებისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს მარაგების მართვის თეორია.

იმ პირობიდან გამომდინარე, რომ სასაქონლო მარაგების ფორმირებაზე და შენახვაზე თანხობრივი დანახარჯები მინიმალური უნდა იყოს,

მიწოდების ოპტიმალური ინტერვალი (T) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$T = \sqrt{\frac{2 C_0}{j \cdot X_1}}$$

სადაც C_0 არის ხარჯები ერთი შეკვეთის ფორმირებაზე, რომელიც არ არის დაშოკიდებული მის სიდიდეზე (მუდმივი ხარჯები შეკვეთაზე), მანეთებში;

i — ხარჯები მარაგის ერთეულის შენახვაზე (ცვალეხადი ხარჯები) მანეთებში;

X_1 — მიკრო მოთხოვნის (საქონლებრუნვა) დონე დროის ერთეულში მანეთებში;

მუდმივი ხარჯები C_0 — ესაა ჯამი ყველა ხარჯებისა, რომელიც დაკავშირებულია ერთი პარტია შეკვეთის გაფორმებასთან და ხარჯებისა საქონლის ტრანსპორტირებაზე, ხოლო ცვალეხადი ხარჯები i — გამოსახავს საქონლის შენახვასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯებს. მიწოდების ინტერვალი გაიანგარიშება ერთნაირი ბრუნვადობის საქონლის ყოველი ნაირსახეობისათვის ან საქონლის ჯგუფისათვის. ამასთან ერთი სახის საქონელი შეიძლება აღმოჩნდეს სხვადასხვა ჯგუფში. მაგალითად, ერთი და იმავე არტიკულის, მაგრამ სხვადასხვა ზომის ფეხსაცმელს სხვადასხვა ბრუნვადობა აქვს, რაც გამოისახება მიკრო-მოთხოვნის (X_i) მოცულობაში. შეკვეთის ყველაზე უფრო ეკონომიკური მოცულობა შეიძლება გაიანგარიშებულ იქნეს ეგრეთ წოდებული უილსონის ფორმულის მიხედვით

$$Q = \sqrt{\frac{2 C_0 S}{C_{ui}}}$$

სადაც Q არის შეკვეთის ეკონომიკური მოცულობა მიწოდების მოცემული ინტერვალისათვის;

C_{ui} — საქონლის ერთეულის ფასი, მანეთებში;

S — გაყიდვის საშუალო ოდენობა მიწოდების პერიოდში მანეთებში;

შეკვეთის მიცემის მომენტი განისაზღვრება მართვის არჩეული სტრატეგიის მიხედვით. არსებობს მარაგების მართვის სამის უმარტივესი სისტემა (სტრატეგია): შეკვეთის ფიქსირებული მოცულობა, მარაგის მუდმივი დონით და მარაგის ორი მოდელის მიხედვით (S_g — სისტემა).

შეკვეთის ფიქსირებული მოცულობით სისტემაში შეკვეთა — მუდმივი სიდიდეა, გაიანგარიშება ზემოთ მოყვანილი ფორმულის მიხედვით. შეკვეთა მიეცემა მინიმალური დონის მიღწევის დროს (შეკვეთის წერტილი P). შეკვეთის წერტილი გაიანგარიშება ასე: $P = B + SaZ$.

სადაც B არის სარეზერვო მარაგი ერთეულებში;

Sa — საშუალო დღიური გაყიდვა, ერთეულებში;

Z — შეკვეთის მიტანის დრო დღეებში.

მოცემული სისტემა გამოსაყენებელია მხოლოდ მარაგების ზუსტად და განუწყვეტელი აღრიცხვის პირობებში. ასეთი აღრიცხვის წარმოება შეიძლება მხოლოდ განსაზღვრული წრის საქონლის მიხედვით, რომელთაც უჭირავთ გაყიდვაში მნიშვნელოვანი, ხოლო მარაგებში მცირე; ხვედრითი წონა. თუ მარაგების მდგომარეობა მოწმდება პერიოდულად, მაშინ შეზიდვის წერტილს განსაზღვრავენ ფორმულით:

$$P=B+Sa \left(Z+\frac{N}{2} \right),$$

სადაც R მარაგების შემოწმებათა შორის დროის შუალედია, დღეებში.

ამ სისტემით მარაგების მართვა არ მოითხოვს მარაგების შენახვისათვის მნიშვნელოვან ხარჯებს, ვინაიდან შეკვეთის კრიტიკული წერტილის არსებობა საშუალებას იძლევა თავიდან ავიცილოთ ზედმეტი მარაგები შოთხონის შემცირების მომენტში. მაგრამ ამ სისტემის გამოყენება არ იძლევა საშუალებას სწრაფად მოვახდინოთ რეაგირება მოთხოვნის ცვლილებაზე და საქონელმომარაგებაში შეუფერხებლობის გარანტიას არ იძლევა.

მართვის სისტემაში, რომელიც ემყარება მარაგების მუდმივი დონის მოდელის გამოყენებას, შეკვეთის მიცემა ხდება რაოდენობით, რომელიც გაადიდებს ფაქტობრივ მარაგს მაქსიმალურ დონემდე. მარაგების მაქსიმალური დონე (M) განისაზღვრება ფორმულით:

$$M=B+\bar{S}a(Z+R).$$

ამ სისტემას იყენებენ მარაგების მდგომარეობის პერიოდული შემოწმებების დროს. იგი საშუალებას მოგვცემს უფრო სწრაფად მოვახდინოთ რეაგირება მოთხოვნის ცვლილებაზე. მაგრამ მოთხოვნის მოულოდნელი ცვლილება შეიძლება აღმოჩნდეს შემთხვევითი და მაშინ შესაძლებელია შეიქმნას საქონლის ზედმეტი მარაგი, და მაშასადამე ხარჯების გადიდება მის შენახვაზე.

დაბოლოს, სისტემა ორი დონით, ანუ S_g -სისტემა. ამ სისტემის მიხედვით შეკვეთის მიცემა ხდება მხოლოდ მაშინ, როცა მარაგის ფაქტობრივი დონე ნაკლებია ან თანაბარია მინიმალურისა (S). შეკვეთის სიდიდე უდრის მაქსიმალურ და ფაქტობრივ დონეს შორის განსხვავებას. ეს სისტემა მოიცავს პირველი ორის ღირსებას. მისი გამოყენება მოითხოვს პერიოდულად შემოწმებას, გარანტიას იძლევა ჩაწოლისაგან და დეფიციტისაგან და მარაგების შენახვაზე დანახარჯების დაბალ დონეს მოითხოვს. ამ სისტემის ნაკლს უნდა მიეკუთვნოს გაანგარიშების სირთულე, სამივე სისტემა ვარაუდობს მკვეთრ დამოკიდებულებას დეტერმინებას — დეტერმინისტულ განსაზღვრელობას, სისტემის პარამეტრებს შორის, რაც მარაგების მართვის პრაქტიკაში იშვიათად გვხვდება. ამ ნაკლოვანებას მოკლებულია ადაპტიური და სტოხასტური მოდე-

ლები. ისინი უფრო სრულად ითვალისწინებენ რეალურ პირობებს, მაგრამ ჯერ საეკონომიკურ და მუშავებული არ არიან.

მარაგების მართვის ნებისმიერი მოდელის რეალიზაციისათვის აუცილებელია გვექონდეს ინფორმაცია გარკვეული გასული პერიოდის რეალიზებული მოთხოვნის მოცულობისა და მისი მოკლევადიანი პროგნოზის შესახებ. ამ მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნეს მათემატიკური სტატისტიკის მეთოდები (სრიალა საშუალო, ექსპონენციალური და პრედიქტორული პროგნოზირებისა).

მარაგების მართვის ნებისმიერი მოდელის ერთ-ერთ ძირითად პარამეტრთაგანს წარმოადგენს მარაგების ფორმირებაზე და შენახვაზე ხარჯების ოდენობა. მიმოქცევის ხარჯების არსებული კალკულაციის სისტემის დროს, ასეთი ინფორმაციის მიღება შეუძლებელია ან დაკავშირებულია დიდი რაოდენობის დანახარჯებთან. ამიტომ ინტერესს წარმოადგენს მეთოდები, რომელნიც საშუალებას იძლევიან გეგმური მიწოდების ოპტიმალური მოცულობა განისაზღვროს მარაგების მართვის თეორიის მეთოდების გამოყენების საფუძველზე არსებული ანგარიშგების პირობებში. მაგალითად, იქიდან გამომდინარე, რომ ცალკეული ჯგუფის საქონლის მარაგების ფორმირებაზე და მის შენახვაზე ხარჯების შეფარდებას მიდრეკილება აქვს რამდენადმე მუდმივი სიდიდისაკენ (K), რომელიც შეიძლება გაანგარიშებულ იქნეს წინა პერიოდში მიწოდებისა და გაყიდვის შესახებ მონაცემების საფუძველზე, შეიძლება ვისარგებლოთ რა უილსონის ფორმულით, გავიანგარიშოთ მიწოდების ოპტიმალური მოცულობა. უილსონის ფორმულის მათემატიკური გარდაქმნის გარეშე, მოვიყვანოთ განტოლებას, რომელიც საშუალებას გვაძლევს გამოვითვალოთ შეკვეთის ოპტიმალური რაოდენობა (Q) ხარჯების აბსოლუტური რაოდენობის შესახებ ინფორმაციის გარეშე.

$$Q = K \sqrt{S}$$

სადაც S არის გაყიდვის სიდიდე მიწოდების პერიოდში, მანეთებში;

K — ცალკეული ჯგუფის მარაგების ფორმირებაზე და შენახვაზე ხარჯების შეფარდების კოეფიციენტი, რომელიც თავის მხრივ შეიძლება გამოთვლილ იქნეს ფორმულით

$$K = \frac{\sum \sqrt{S}}{\sum n}$$

სადაც n არის პარტიათა რაოდენობა მიწოდების პერიოდში.

სასაქონლო მარაგების მართვა საცალო ქსელში მჭიდროდ არის დაკავშირებული მის ნორმირებასთან. არსებითად, მართვის ყოველ სტრატეგიას თან ახლავს სასაქონლო მარაგების ნორმატივი (შეკვეთის კრიტიკული წერტილი, მარაგის მაქსიმალური დონე, ორი დონე).

ჩვეულებრივად მარაგების ნორმირება ხორციელდება, როგორც გა-

ანგარიშება მარაგების საგეგმო-ეკონომიკური სიდიდისა საქონელბრუნვის დადგენილი გეგმის შესრულებისათვის საქონელმომარაგების ჩამოყალიბებულ პირობებში. საქონელმომარაგების რაციონალური სისტემის შექმნისათვის ეს საკმარისი არ არის. მარაგების ნორმირება უნდა წარმოადგენდეს უფრო მაღალ საფეხურს, რომელიც უნდა მოიცავდეს მომარაგების პროცესის აქტიურ რეგულირებას და მარაგის სიდიდეს განსაზღვრავდეს ზომის ნატურალურ ერთეულებში. საქონელმომარაგების მართვა უნდა ეყრდნობოდეს მოძრავ ნორმატივებს, როგორც საკონტროლო სიდიდეს, რომელთანაც ხდება ფაქტობრივი მარაგის შედარება, ხოლო შემდეგ მიიღება გადაწყვეტილება მარაგის შეცვლისა და ვადების შესახებ. გადაწყვეტის მოდელები შესაძლებლობის მიხედვით უნდა იყოს ტიპური. ეს მნიშვნელოვნად გაამარტივებს გაანგარიშებებს.

ცენტრალიზებული მიტანის რაციონალური ორგანიზაციისათვის მნიშვნელოვანია დადგინდეს საქონლის გაცემისა და მიღების დოკუმენტური გაფორმების ერთიანი წესი. ჩვეულებრივ, საქონელს თან ახლავს სამ ეგზემპლარად გამოწერილი ანგარიშ-ფაქტურა. ერთი ეგზემპლარი რჩება მაღაზიაში, ხოლო ორი საქონლის მიღებაზე მატერიალურ პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით და შტამპით უბრუნდება მძღოლს (ექსპედიტორს). საექსპედიტორო ფუნქციები შეიძლება შეასრულოს მძღოლმა ან ექსპედიტორმა, რომლებიც მატერიალურად პასუხისმგებელნი არიან საქონლის დაცვაზე გზაში.

მაღაზიებისა და სავაჭრო ორგანიზაციებში მიმწოდებლების დიდ რაოდენობის შემთხვევაში მიზანშეწონილია შეიქმნას სადისპეტჩერო სამსახურები, რომლებიც მიიღებენ შეკვეთებს მაღაზიებიდან, განაზოგადებენ მათ აუცილებელ შემთხვევაში, შეიტანენ კორექტირებას და გადასცემენ საბითუმო ბაზაში ან საწყობში. საბითუმო ბაზების სადისპეტჩერო სამსახურები მიღებული შეკვეთების საფუძველზე დამტკიცებული გრაფიკებისა და მარშრუტების შესაბამისად განსაზღვრავენ დავალებებს მაღაზიებში გაგზავნაზე, აკომპლექტებენ პარტიებს, არეგულირებენ ტრანსპორტის ჩამოყენებას და დატვირთვას, აფორმებენ დოკუმენტებს გასაგზავნ საქონელზე.

საბაზო ქსელის მომარაგების სისტემის რაციონალური ორგანიზაციის აუცილებელ პირობას წარმოადგენს კონტროლი საქონლის მიწოდების მსვლელობაზე. ამ მიზნით სავაჭრო ორგანიზაციებში შემოღებულია ოპერატიული აღრიცხვის ბარათები ან ყურნალები მიმწოდებლებისა და საქონლის ჯგუფების (სახეების) მიხედვით, რომელნიც შეიცავენ ხელშეკრულების მონაცემებს და აგრეთვე მიწოდების კერძო ვადებს.

მაღაზიებში საქონლის მიწოდების მსვლელობის დაკონტროლებაზე ბევრად გვეხმარება მონაცემების სტატისტიკური დამუშავება: საშუალო სიდიდეების, საშუალოდან გადახრების (საშუალო კვადრატულ

გადახრა. ვარიაციის კოეფიციენტი და სხვა) გამოთვლა. ასე, მიწოდების გეგმის შესრულების საშუალო კვადრატული გადახრის გაანგარიშება საშუალებას გვაძლევს ვიძიოთ შიწოდებისა და გეგმილი თანხიდან საშუალო ფაქტობრივი მიწოდების გადახრის აბსოლუტური სიდიდის შესახებ, ხოლო ვარიაციის კოეფიციენტი საკმარის ცხადად გვიჩვენებს ამ გადახრების საშუალო გაქანებას პროცენტებში. რაც პატარაა (ნაკლებია) ვარიაციის კოეფიციენტი, მით უფრო თანაბარზომიერად ხორციელდება მიწოდება. ავხსნათ ეს მაგალითზე.

დაუშვათ არის ხუთი მიწოდებელი, რომელთა საქონლის ყოველთვიური ფაქტობრივი მიწოდების გადახრა საშუალო თვიური დაგეგმილიდან () და ვარიაციის კოეფიციენტი (V) შეადგენს:

მიწოდებელი	(ათ. მანეთ- გში)	(%-ებში)
1	9,1	9,8
2	257,3	15,2
3	11,0	11,3
4	2,8	2,7
5	4,4	4,3

მოტანილი სიდიდეების ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ, რომ ყველაზე უფრო სრულად ასრულებს თავის ვალდებულებას მიწოდებელი № 4, მაშინ როცა მიწოდებელი № 2 გამოირჩევა მიწოდების მეტისშეტი არათანაბრობით.

გამოვიყენებთ რა ასეთი ანალიზის შედეგებს, შეიძლება მიწოდების ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ იქნეს სანქციები გადახრებისათვის, რომელნიც აღემატებიან ორივე მხარეს შორის შეთანხმებულ რომელიღაც მინიმუმს.

გარდა მიწოდების რიტულობისა და საერთოდ მიწოდების ხელშეკრულების შესრულების შემოწმებისა, მნიშვნელოვანია კონტროლი სპეციფიკაციით გათვალისწინებული მიწოდების ასორტიმენტული სტრუქტურის დაცვაზე. საქონელმომარაგების პრაქტიკაში ხშირია მნიშვნელოვანი გადახრა ასორტიმენტული სტრუქტურის მიხედვით მიწოდების გეგმის თანხობრივად შესრულებისას. კონტროლისათვის შეიძლება გამოყენებული იქნეს სტატისტიკური მეთოდები, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ ზემოთ, აგრეთვე მიწოდების კომპლექტურობის კოეფიციენტის გაანგარიშება ყოველი მიწოდებლის მიხედვით.

საქონლის მიწოდებაზე კონტროლის გარდა, აუცილებელია მუდმივი (ან პერიოდული) კონტროლი საქონლის გაყიდვასა და სასაქონლო მარაგების მდგომარეობაზე გაშლილ ასორტიმენტში ყოველი მალაზიის მიხედვით.

მთლიანი აღრიცხვის ორგანიზაცია ამ შემთხვევაში გაბნელებულია

(თანამედროვე გამოსათვლელი ტექნიკით სავაჭრო საწარმოების არასაკმარისი აღჭურვილობა, სამანქანო მატარებელი ინფორმაციების კოდირების ერთიანი სისტემის უქონლობა), ამიტომ მიზანშეწონილია მარაგების მდგომარეობაზე ამორჩევითი ან მთლიანი კონტროლის ორგანიზაცია მათი ბრუნვადობის სისწრაფის მიხედვით. ამ ნიშნის მიხედვით ამა თუ იმ სავაჭრო საწარმოში არსებული მთელი საქონელი შეიძლება დაიყოს რამდენიმე ჯგუფად. მაგალითად, მაღალი ბრუნვადობის მქონე საქონელს, როგორც წესი, მნიშვნელოვანი ხვედრითი წონა აქვს გაყიდვის მთლიან მოცულობაში და მცირე ხვედრითი წონა მარაგში. ეს საქონელი ქმნის პირველ ჯგუფს, რომლის მარაგის აღრიცხვა და კონტროლი განუწყვეტლივ უნდა ხორციელდებოდეს.

მეორე ჯგუფში შეაქვთ საქონელი, რომელთაც გაყიდვაში და ნაშთებში დაახლოებით ერთნაირი ხვედრითი წონა უკავიათ. ამ ჯგუფის საქონლის მარაგების მდგომარეობაზე კონტროლი წარმოებს პერიოდულად (მაგალითად, კვირაში, თვეში ორ-სამჯერ).

დაბოლოს, შენელებული ბრუნვადობის საქონელი, რომელსაც უმნიშვნელო ხვედრითი წონა აქვს გაყიდვაში და მნიშვნელოვანი მარაგებში, შეიძლება მიეკუთვნოს მესამე ჯგუფს. ამ ჯგუფის საქონლის მარაგების მდგომარეობაზე კონტროლიც პერიოდულად ხორციელდება, მაგრამ უფრო იშვიათად.

ცხადია, რომ ეს დაყოფა პირობითია და უნდა გადაისინჯოს ამა თუ იმ საქონელზე მოთხოვნის შეცვლის კვალობაზე. იგი საშუალებას იძლევა განვახორციელოთ კონტროლი სასაქონლო მარაგების ძირითად მასაზე აუცილებელ დეტალებში და მის საფუძველზე მოვაწყოთ მაღაზიების მომარაგება მაქსიმალური ავტომატიზმის პრინციპებზე.

ავტომატიზმი მომარაგებაში გულისხმობს მომარაგების პროცესის თვითრეგულირებას და დამყარებულია მაღაზიებში მარაგების განუწყვეტლივ განახლებაზე. საქონელმომარაგების პროცესში ავტომატიზმის ელემენტების დანერგვის ძირითად პირობას, როგორც უკვე აღნიშნული იყო, წარმოადგენს მაღაზიებსა და საწყობებს შორის საინფორმაციო კავშირის მკაფიოდ მოწესრიგებული სისტემა.

სასაქონლო მარაგების განახლება ხდება გაყიდვის შესახებ ინფორმაციის საფუძველზე, მაღაზიები ღებულობენ საქონელს წინა პერიოდში გაყიდული საქონლის რაოდენობისა და ასორტიმენტის შესაბამისად დადგენილი დინამიური ნორმატივების ფარგლებში. მომარაგების ავტომატიზმის უმალეს ფორმას წარმოადგენს ასორტიმენტის ყოველდღიური შევსება წინა დღის საქონლის გაყიდვის შესახებ მონაცემების საფუძველზე. ამ შემთხვევაში საქონელბრუნვის გეგმა სრულდება უკიდურესად მცირე სასაქონლო მარაგებით. ეს სისტემა პირველ რიგში უნდა გაერყელდეს სტაბილური მოთხოვნის საქონელზე. ცვალებადი მოთხოვნის საქონლის გაყიდვის დროს შეიძლება გამოყენებულ იქნეს

მიმდინარე რეგულირების მეთოდები ე. ი. საქონლის ასორტიმენტიდან იმ საქონლის გამოკლება, რომელიც მოთხოვნით არ სარგებლობს, და მისი შეცვლით საქონლის ახალი ნაირსახეობით, ახალი საქონლის პარტიის ფორმირება. ამ საქონლის შეზიდვის ინიციატივა შეიძლება ეკუთვნოდეს როგორც მალაზიებს, ისე მომმარაგებელ ორგანოებს. ასეთი საქონლის მალაზიებში თავდაპირველი შეზიდვის მიზანია — შეიქმნას საქონლის პირველადი მინიმალური მარაგი შემდგომში, მასზე მოთხოვნის ხასიათის მიხედვით, ავტომატური მომარაგების ან მიმდინარე რეგულირების სისტემაზე გადასვლით.

სისტემაში ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების ჩართვა და ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების გამოყენება საშუალებას მოგვცემს გადავიდეთ საქონელმომარაგების პროცესების მართვის ავტომატიზებულ სისტემაზე. საქონელმომარაგების მართვის ავტომატიზებული სისტემა შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც მართვის კონკრეტული მეთოდებისა და ფორმების თავისებური სინთეზი, გამომუშავებული ეგმ-ზე მიღებული და დამუშავებული ამომწურავი ცნობების საფუძველზე; იგი შეიძლება წარმოადგენდეს სავაჭრო ორგანიზაციის ან რეგიონის მართვის ავტომატიზებული სისტემის ქვესისტემას.

საქონლის საცალო გაყიდვის ორგანიზაცია და გვიდველთა მომსახურება

§ 1. ვაჭრობის კულტურის ცნება

ვაჭრობის კულტურის ძირითად მაჩვენებელს მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილების დონე წარმოადგენს. მისი ამალღება მოითხოვს საცალო სავაჭრო ქსელში საქონლის ფართო არჩევის უზრუნველყოფას, რომელიც რაოდენობის, ასორტიმენტის, ხარისხისა და გარეგნული გაფორმების მიხედვით ხალხის მოთხოვნის უფრო სრულად დაკმაყოფილებას და ესთეტიკურ გემოვნებას უნდა შეესაბამებოდეს.

ამასთან, ვაჭრობის კულტურაზე სერიოზულ გავლენას ახდენს მყიდველთა მომსახურების ორგანიზაცია, რომელზედაც უშუალოდ არის დამოკიდებული, როგორც საქონლის შეძენასთან დაკავშირებული მოსახლეობის მიერ დახარჯული დრო და, მაშასადამე, მოხმარების ხარჯები, აგრეთვე მყიდველთათვის საქონლის არჩევისა და ყიდვის განხორციელებისათვის მოხერხებული პირობების შექმნა.

საცალო ვაჭრობაში მყიდველთა მომსახურების დონე ბევრი ფაქტორით არის შეპირობებული. უმნიშვნელოვანეს მათგანს უნდა მივაკუთნოთ საცალო ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობა. საცალო სავაჭრო ქსელით მოსახლეობის არასაკმარისი უზრუნველყოფა იწვევს მალაზიების გადატვირთვას, რიგებს და აძნელებს მყიდველთათვის აუცილებელი მოხერხებული პირობების შექმნას.

მომსახურების დონეზე უარყოფით გავლენას ახდენს დიდი რაოდენობით წვრილი მალაზიების არსებობა.

პატარა მალაზიებში ძნელია კომპლექსური მოთხოვნის დაკმაყოფილება, რთული ასორტიმენტის საქონლის ფართო არჩევანი და მყიდველებისათვის დამატებითი მომსახურების გაწევა.

ვაჭრობის კულტურის შემდგომ ამალღებას ხელს შეუწყობს საცალო სავაჭრო ქსელის განვითარება, უახლესი მოწყობილობით აღჭურვილი მსხვილი უნივერსალური მალაზიების მშენებლობა. ასეთი მალაზი-

ების გახსნა საშუალებას მოგვცემს ნაქსიმალურად დავაკმაყოფილოთ: მყიდველთა კომპლექსური მოთხოვნა დროის მინიმალური დახარჯვის პირობებში.

სადაც ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებასა და სრულყოფასთან ერთად, მყიდველთა მომსახურების დონეზე, ვაჭრობის კულტურაზე თანდათან სულ უფრო არსებით გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორცაა მაღაზიების განლაგება, მათი მუშაობის რეჟიმი, სასაქონლო ასორტიმენტის ფორმირება, სავაჭრო დარბაზების დაგეგმარება, ხშირი მოთხოვნის საქონლის გაყიდვის პუნქტების არასაკმარისი რაოდენობა, მაღაზიებისათვის სასადალო შესვენების, მუშაობის დაწყებისა და დამთავრების ისეთი საათების დადგენა, რომელიც მყიდველთათვის უხერხულია. საქონლის განლაგებისა და მაღაზიების სავაჭრო დარბაზების ტექნოლოგიური დაგეგმარების მოუფიქრებელი სქემები უხელებს მყიდველებს, განახორციელონ საქონლის ყიდვა, ამალღებენ მოხმარების ხარჯებს.

სადაც ვაჭრობაში მყიდველთა მომსახურების გაუმჯობესების აუცილებელ პირობას მაღაზიების მუშაობის კულტურული დონისა და პროფესიონალური დახელოვნების ზრდა წარმოადგენს.

მაღაზიების მუშაობის პროფესიული დახელოვნების ამალღება მოითხოვს მყიდველთა ფსიქოლოგიის შესწავლას. ფსიქოლოგიური ფაქტორებისა და ყიდვის განხორციელების მოტივების გათვალისწინების გარეშე არ შეიძლება გამოვიწვიოთ მყიდველის ინტერესი საქონლისადმი და დაეხმაროთ მათ შეიძინონ მისი საჭიროება ამასთან მაღაზიის მუშაობის მაღალი პროფესიული და კულტურული დონე მყიდველთა კვალიფიციური მომსახურების აუცილებელი წინაპირობაა.

ვაჭრობის კულტურის ამალღების მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც არსებით გავლენას ახდენს მოთხოვნის დაკმაყოფილების დონესა და მყიდველთა მომსახურების ხარისხზე, წარმოადგენს საქონლის სადაცლო გაყიდვის ორგანიზაცია. მისდამი მოთხოვნა სახალხო მომსახურების საქონლის წარმოების გადიდებისა და მოსახლეობის ფულადი შემოსავლების ზრდის კვალობაზე მატულობს.

§ 2. სადაცლო მსაღური გაყიდვის პროცესის ორგანიზაცია

გაყიდვის პროცესი წარმოადგენს გარკვეული თანმიმდევრობით შესრულებული ოპერაციების ერთობლიობას, რომელიც უზრუნველყოფს ღირებულების ფორმის ცვლას და საქონლის მომხმარებლამდე დაყვანას.

სადაცლო გაყიდვა, წარმოადგენს რა სახალხო მოხმარების საქონლის მიმოქცევის ძირითად და დამამთავრებელ ეტაპს, უზრუნველყოფს სა-

ქონელში მოთავსებული შრომის საზოგადოებრივ აღიარებას და გამოდის, როგორც მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილების აუცილებელი პირობა აძიტომ საქონლის საცალო გაყიდვის ორგანიზაციას, საბოლოო ანგარიშში უნდა დაექვემდებაროს სავაჭრო საწარმოებისა და ორგანიზაციების მთელი კომერციული საქმიანობა.

• საცალო გაყიდვის პროცესი ორგანიზაციულად შეიძლება დაიყოს ცალკეულ ნაწილებად, სტადიებად. პირველი, საწყისი სტადია — მყიდველების მიერ საქონლის გაცნობა. ამ სტადიაზე ვლინდება მოთხოვნა და ხორციელდება საქონლის არჩევა. მეორე, დამამთავრებელ სტადიაზე ხდება ანგარიშსწორება ნაყიდობისათვის, მისი დაკომპლექტება, გაფორმება და მყიდველზე გაცემა. პირველ სტადიაზე ძირითადად სრულდება მომსახურების ოპერაციები. ამ ოპერაციების შესრულებამ უნდა უზრუნველყოს მყიდველებისათვის საქონლის თვალსაჩინო ჩვენება და საქონლის ასორტიმენტის დეტალური გაცნობა.

ოპერაციები, რომლებიც უზრუნველყოფენ ანგარიშსწორებას ყიდვისათვის და მის გაფორმებას, აგრეთვე მყიდველზე საქონლის გაცემას, ე. ი. რომელთა განხორციელებაც ხდება საცალო გაყიდვის მეორე სტადიაზე, უმთავრესად ტექნიკურ ოპერაციებს წარმოადგენენ. ისინი ისე უნდა იყვნენ ორგანიზებული, რომ მაქსიმალურად დაჩქარდეს გაყიდვის პროცესი მის დამამთავრებელ სტადიაზე და შემცირებულ იქნეს მყიდველთა დრო საქონლის შეძენაზე.

• მომსახურების ძირითად ოპერაციას წარმოადგენს საქონლის ჩვენება. რომლის ორგანიზაციაზეც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული, როგორც არჩევის დრო, ასევე ყიდვის გადაწყვეტა. საქონლის ჩვენების ორგანიზაციამ უნდა შეუქმნას მყიდველებს საუკეთესო შესაძლებლობა საქონლის დამოუკიდებელი ყოველმხრივი გაცნობისათვის, მისი მიმოხილვის, უშუალო დათვალიერების, შედარების, მოზომვისათვის და ა. შ.

კარგად ორგანიზებული ჩვენება მოითხოვს საქონლის მოფიქრებულ რაციონალურ გამოლაგებას. საქონლის ჩვენებისათვის და მომხმარებლებისადმი მისი გაცნობისათვის საუკეთესო პირობები იქმნება მაღაზიებში სავაჭრო მოწყობილობებზე საქონლის ღია გამოლაგების დროს. ამ შემთხვევაში მყიდველს შეუძლია დამოუკიდებლად გაეცნოს ყველა საქონელს და ამასთან იყიდოს ისეთი ნაწარმიც კი, რომლის ყიდვა მას სპეციალურად განზრახული არ ქონდა.

მყიდველებისადმი საქონლის გაცნობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს გამოლაგების ფრონტს, ჩვენებას მაღაზიის სავაჭრო დარბაზში, ჩვენების ფრონტის გადიდება, სავაჭრო მოწყობილობაზე საქონლის გამოლაგება საშუალებას იძლევა დემონსტრირებულ იქნეს საქონელი უფრო ფართო ასორტიმენტში და უფრო სწრაფად მოვემსახუროთ მყიდველებს. ამასთან დაკავშირებით აუცილებელია უფრო სრულად გამოვიყენოთ სავაჭრო ფართობი მოწყობილობების განლაგებისათვის, მასზე

საქონლის გამოლაგებისა და ჩვენებისათვის. მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ მოწყობილობის დასაყენებელი ერთი და იმავე ფართობის დროს ჩვენების ფრონტი და საქონლის გამოლაგების მოედანი სავაჭრო დარბაზში დამოკიდებული იქნება სავაჭრო მოწყობილობის ტიპზე და მის კონსტრუქციულ თავისებურებაზე. ამიტომ აუცილებელია შევარჩიოთ ისეთი სავაჭრო მოწყობილობა, რომელიც უზრუნველყოფს არა მარტო საქონლის დათვალეერების მოხერხებულობას, აგრეთვე საქონლის ჩვენების საკმარის ფრონტსა და მათი გამოლაგებისათვის ფართობს (ტევალობას).

საქონლის ჩვენებისათვის მაღაზიებში ღია სტენდებთან, გორაკებთან, საკიდარებთან ერთად მნიშვნელოვანია გამოყენებულ იქნეს აგრეთვე მაღაზიის შიგა ვიტრინები. ამასთან მხედველობაში უნდა ექონიოთ, რომ უფრო კარგად შეიძლება დავათვალიეროთ საქონელი, რომელიც, სავაჭრო მოწყობილობებზე თვალის დონეზე არის განლაგებული.

• საცალო გაყიდვის პროცესის მნიშვნელოვანი ოპერაცია და მყიდველებისათვის საქონლის ყოველმხრივი გაცნობის ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს მათი მოქმედებაში დემონსტრირება. მოთხოვნილება, და მაშასადამე მოთხოვნაც ასეთ საქონელზე დიდათაა დამოკიდებული მათი გამოყენების არსზე და შესრულების ხარისხზე. ამიტომ მოქმედებაში საქონლის დემონსტრირება აფართოებს რა მყიდველთა ცოდნას საქონელზე, ხელს უწყობს მისი გაყიდვის მოცულობის გადიდებას და მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესებას.

საქონლის მოქმედებაში ჩვენებასა და დემონსტრირებას ემატება კონსულტაცია. სასაქონლო ასორტიმენტის განუწყვეტელი გაფართოებისა და განახლების, ახალი სახეების ნაწარმის გამოშვების პირობებში მყიდველთათვის კვალიფიციური კონსულტაციის როლი საქონლის გაცნობის პროცესში ძალღდება.

გამყიდველის მიერ გაწეული კონსულტაციის ძირითადი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ დავებმართო მყიდველს შეიცნოს მოთხოვნილება საქონელზე და დარწმუნდეს თავისი არჩევანის სისწორეში. კონსულტაციის გაწევის დროს გამყიდველი უყვება ნაწარმის დანიშნულებაზე, მის თავისებებზე, გამოყენების ხერხებზე, ექსპლოატაციისა და მოვლის წესებზე, ერთნაირი დასახელების ნაწარმის მარკის განსხვავებაზე და ა. შ.

კონსულტაციის შინაარსი ბევრად განისაზღვრება მყიდველის შეკითხვების ხასიათით და საქონელზე მისი გათვითცნობიერებით.

ახალი სახის ნედლეულისაგან დამზადებული ნაწარმის, აგრეთვე, ტექნიკურად რთული საქონლის გაყიდვის დროს კვალიფიციური კონსულტაცია მოსახლეობის მოთხოვნის უფრო სრული გამოვლინებისა და დაქაყოფილების ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს. ამიტომ ქალაქის ყველაზე უფრო დიდ უნივერსალურ, სპეციალიზებულ მაღაზიებში

ასეთი საქონლის გაყიდვის დროს მიზანშეწონილია პერიოდულად ჩატარდეს სპეციალური კონსულტაციები მაღალკვალიფიციური სპეციალისტების სამრეწველო საწარმოების, მოდელების სახლების, საკონსტრუქტორო ბიუროების მუშაკების მონაწილეობით.

საცალო გაყიდვის პროცესის ოპერაციების შემადგენლობა, მათი შეარულების თანმიმდევრობა უშუალოდაა დამოკიდებული ასორტიმენტის თავისებურებაზე და საქონელზე მყიდველთა მოთხოვნის ხასიათზე.

მარტივი ასორტიმენტის საქონლის ყიდვაზე დროის ხარჯვის შემცირება მოითხოვს საცალო გაყიდვის პროცესში ტექნიკური ოპერაციების რაოდენობის შეკვეცას. ამის მიღწევა შეიძლება საქონლის წინასწარი დაფასობით ან გასაყიდად გამზადებით, აგრეთვე ანგარიშსწორების ოპერაციების უფრო სწრაფი შესრულებით.

რთული ასორტიმენტის საქონელი უმეტეს შემთხვევაში შეიძინება ალტერნატიული მოთხოვნის საფუძველზე, როდესაც მყიდველი თავისთვის წინასწარ განსაზღვრავს მისთვის საჭირო საქონლის არა ყველა ნიშანს, არამედ მხოლოდ ზოგიერთ მათგანს, მაგალითად: ზომას, სიმაღლეს, ფასს, მასალას. ამ შემთხვევაში, მყიდველი თავის არჩევანს კონკრეტულ საქონელზე აჩერებს მხოლოდ ურთიერთშემცვლელი ნაწარმის მოდელების გაფერადების, მარკების, ფასონების, მასალის და ასორტიმენტის მიხედვით, მისი ნაირსახეობის დეტალურად გაცნობის შემდეგ. როგორც ამის შედეგი, რთული ასორტიმენტის საქონლის საცალო გაყიდვის პროცესი მარტივი ასორტიმენტის საქონლის გაყიდვის პროცესთან შედარებით განსხვავდება დიდი რაოდენობის ოპერაციებით და მასში ჰარბობს მომსახურების ოპერაციები. ამასთან დაკავშირებით, ნაწარმის დემონსტრირება მოქმედებაში და კონსულტაცია აქ უფრო შრომატევად ოპერაციებად იქცევა.

მყიდველთა მომსახურება ყოველთვის ყიდვით არ მთავრდება. ამიტომ მაღაზიების მუშაკთა ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ საქონლის გაყიდვის დროს დაიყვანონ მინიმუმამდე მომსახურების ოპერაციები, რომელნიც ყიდვით არ მთავრდება.

გაყიდვის პროცესის ფორმირების ფსიქოლოგიური საფუძვლები მოითხოვს არა მარტო მყიდველებისთვის საქონლის დამოუკიდებელი არჩევის ფართო შესაძლებლობის მიცემას და მოთხოვნის ხასიათის გათვალისწინებით მომსახურების ოპერაციების ორგანიზაციას, აგრეთვე მაღაზიის სავაჭრო დარბაზში საქონლის რაციონალურ განლაგებას.

მაღაზიის სავაჭრო დარბაზში საქონლის განლაგების დროს აუცილებელია უზრუნველყოფილ იქნეს: მოცემული ტიპის მაღაზიისათვის საქონლის უფრო მიზანშეწონილი დაჯგუფების არჩევა; ზნირი მოთხოვნის საქონლის მყიდველებთან მიახლოება და მათთვის მოხერხებულად განლაგება პერიოდული და იშვიათი მოთხოვნის საქონლის, აგრეთვე ტექნიკურად რთულის რომელიც მოითხოვს ხანგრძლივ გაცნობას (და-

თვლიერება, „კონსულტაცია, მოზომება). მოწყობილობებზე საქონლისათვის მუდმივი ადგილების მიმაგრება; მაღალი მოთხოვნის საქონლის სავაჭრო დარბაზის სხვადასხვა ზონაში განლაგება; უშუალოდ მათი შენახვისა და გასაყიდად გასამზადებელი სათავსის სიახლოვეს იმ საქონლის განლაგება, რომლის მარაგის შევსებაც სავაჭრო დარბაზში დღეში რამდენიმეჯერ ხდება.

მაღაზიის სავაჭრო დარბაზში სასურსათო და არასასურსათო საქონლის განლაგებას აქვს თავისებურება, რომელიც შეპირობებულია მათი სასაქონლო ასორტიმენტის აგებით, მყიდველთა მოთხოვნის ხასიათით და შეძენის სიხშირით.

სასურსათო მაღაზიებში მყიდველთა დროის ეკონომიის თვალსაზრისით უფრო მიზანშეწონილია საქონლის დაჯგუფება მათი ერთად შეძენის სიხშირის გათვალისწინებით. სასურსათო საქონლის სხვა სახის დაჯგუფება, კერძოდ მყიდველთა კონტიგენტისა და დანიშნულების მიხედვით, გამოიყენება როგორც დამატებითი. ამასთან დაკავშირებით მაღაზიის სავაჭრო დარბაზში სასურსათო საქონლის განლაგების დროს საჭიროა ისინი განვალაგოთ ცალკეულ ჯგუფებად გარკვეული მეზობლურობის დაცვით. *

არასასურსათო მაღაზიებში გაყიდვის ორგანიზაციისა და მყიდველთა მომსახურებისათვის ოპტიმალური პირობების შექმნა უზრუნველყოფილი იქნება სავაჭრო დარბაზში სამომხმარებლო დანიშნულების მიხედვით საქონლის დაჯგუფებითა და განლაგებით. ამიტომ არასასურსათო მაღაზიების სავაჭრო დარბაზში, განსხვავებით სასურსათოსაგან საქონელი უნდა განვალაგოთ არა ჯგუფებად, არამედ კომპლექსებად (საქონელი ბავშვებისათვის, საქონელი სახლისათვის, საქონელი სპორტისა და ტურიზმისათვის და ა. შ.) ამასთან ხშირი მოთხოვნისა და მარტივი ასორტიმენტის არასასურსათო საქონელი აუცილებელია განლაგდეს მყიდველთა მოძრაობის ძირითად გზებზე, ხოლო საქონელი, რომელიც მოითხოვს უფრო ხანგრძლივ დათვლიერებას და არჩევას — სავაჭრო დარბაზის სიღრმეში.

მრავალსართულიან უნივერსალებში ხშირი მოთხოვნის საქონლის ძირითადი ნაწილი უნდა განლაგდეს პირველ სართულზე (თუ ასეთი მაღაზიების ასორტიმენტში შედის სასურსათო საქონელი, მაშინ იგი უნდა განლაგდეს აქვე), ხოლო ტექნიკურად რთული ნაწარმი — ზედა სართულების სავაჭრო დარბაზებში.

ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ქსოვილები, რომელთა გაყიდვაც საჭიროებს მოზომებისა და შერჩევის სპეციალური პირობების შექმნას, განლაგებულ უნდა იქნეს სავაჭრო დარბაზის სიღრმეში, ხოლო საგალანტერეო საქონელი, თეთრეული, წინდა-თათმანის ნაწარმი სავაჭრო სარ-

თულების შესასვლელებთან, სამომხმარებლო კომპლექსებთან და მის ძირითად გასასვლელებთან.

მაღალი მოთხოვნის არასასურსათო საქონელი უკეთესია განლაგდეს საეაქრო დარბაზში მყიდველთა მოძრაობის ძირითადი გზების გვერდის ავლით. ეს ქმნის „ძიზიდულობის წერტილებს“ და უზრუნველყოფს მყიდველთა ნაკადების მიზანმიმართულებას. მაღაზიის საეაქრო დარბაზის ძირითადი გასასვლელებიდან მოშორებით უნდა განლაგდეს, აგრეთვე, ცალკეული, მყიდველთა ფსიქოლოგიის თვალსაზრისით სპეციფიკური არასასურსათო საქონელი (ქალის ტუალეტის საგნები, ქვედა საც-ვლები).

არასასურსათო საქონლის განლაგების დროს სპეციალიზებულ მაღაზიებში მიზანშეწონილია ძირითადი საქონლის გვერდით განლაგდეს თანმხლები.

საქონლის განლაგება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მაღაზიის საეაქრო დარბაზში მყიდველთა ნაკადის ფორმირებასა და განაწილებაზე. საქონლის არარაციონალური განლაგების დროს საეაქრო დარბაზში მყიდველთა ნაკადი არათანაბრად ნაწილდება, რაც უარყოფით გავლენას ახდენს როგორც გაყიდვის პროცესის ორგანიზაციაზე, ისე მაღაზიის მუშაობის მაჩვენებლებზე.

მაღაზიის საეაქრო დარბაზში ნაკადების ინტენსიურობა (მომხმარებელთა რაოდენობა, რომელნიც ათვალეირებენ და ყიდულობენ საქონელს) უშუალოდაა დამოკიდებული საქონლის გაცნობისა და მისი არჩევის ხანგრძლივობაზე. სხვადასხვა საქონლის დათვალეირებაზე და ყიდვაზე მყიდველები სხვადასხვა დროს ხარჯავენ. ამასთან დაკავშირებით საქონლის დათვალეირებაზე და სხვადასხვა საქონლის ყიდვის განხორციელებაზე ერთი და იმავე რაოდენობის მყიდველთა ერთობლივი დრო განსხვავებულია. ამიტომ რომ უზრუნველყოთ მაღაზიაში ნაკადების თანაბარი განაწილება, საჭიროა დარბაზის სხვადასხვა ზონაში საქონლის დათვალეირებასა და ყიდვაზე მყიდველებმა დაახლოებით ერთნაირი დრო დახარჯონ.

საქონლის გაყიდვის პროცესის დაჩქარებას ხელს უწყობს მაღაზიის შიგნით ინფორმაციის სწორი ორგანიზაცია.

§ 3. საქონლის საცალო გაყიდვის პროგრამული მეთოდები

საქონლის საცალო გაყიდვის ორგანიზაციული ფორმები სხვადასხვაა. ყოველი მათგანი საქონლის მოსახლეობამდე დაყვანის სპეციფიკური პირობებით ხასიათდება. საქონლის საცალო გაყიდვის პროცესში მყიდველთა მომსახურებისათვის საუკეთესო პირობები მაღაზიებში ექმნება. ამიტომ საქონლის მაღაზიაში გაყიდვის ფორმა წარმოადგენს ძირითადს, დანაწიენი კი — მაღაზიის გარეთ — დამატებითს.

მალაზიაში და მალაზიის გარეთ საქონლის გაყიდვის ფორმების შეხამება წარმოადგენს მყიდველთა მომსახურების გაუმჯობესების, უფრო ხშირი მოთხოვნის საქონლის მათთან მიახლოების, მოხმარების ხარჯების შემცირების აუცილებელ პირობას. მაგრამ ვაჭრობის სოციალური და ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებისათვის საცალო გაყიდვის ცალკეული ორგანიზაციული ფორმების პოტენციური შესაძლებლობის გამოყენება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს მხოლოდ საქონლის გაყიდვის მეთოდების სწორი შერჩევისა და გამოყენების პირობებში.

საცალო გაყიდვის მეთოდში გულისხმობენ წესებისა და ხერხების ერთობლიობას, რომელთა საშუალებითაც ხორციელდება ოპერაციების შესრულება საქონლის გაყიდვის პროცესში. საცალო ვაჭრობაში გამოყენებული გაყიდვის მეთოდები განსხვავდებიან ძირითადად მომსახურების ოპერაციების შესრულებით, საქონლის არჩევით ნაყიდობის დაკომპლექტებით, საქონლის განაღდების ორგანიზაციით (ანგარიშსწორება ნაყიდობაზე) და იყოფა საქონლის გაყიდვის ტრადიციულ მეთოდებად—გამყიდველების საშუალებით მომსახურება დახლებიდან და გაყიდვის ახალ, პროგრესულ მეთოდებად.

გაყიდვის პროგრესული მეთოდები ემყარება მყიდველთა მომსახურებისა და ტექნიკური ოპერაციების შესრულების უფრო რაციონალურ წესებსა და ხერხებს, რომელთა გამოყენებაც საშუალებას იძლევა უზრუნველყოფილ მყიდველთათვის მოხერხებული პირობები საქონლის გაცნობისათვის, უკეთესად გამოვალინოთ და დავაკმაყოფილოთ მოთხოვნა, შევამციროთ დრო ნაყიდის შეძენაზე მომსახურების დახლიდან გამყიდველის მიერ საქონლის გაყიდვასთან შედარებით. ამასთან დაკავშირებით საქონლის საცალო გაყიდვის პროგრესული მეთოდების გამოყენება ხელს უწყობს ვაჭრობის კულტურის დონისა და სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებას. გაყიდვის პროგრესული მეთოდების სოციალური მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი საშუალებას იძლევიან შევამციროთ მოხმარების ხარჯები საქონლის ყიდვასთან დაკავშირებული ~~შრომისა და დროის ხარჯი.~~

გამოკვლევებმა გვიჩვენეს, რომ საქონლის გაყიდვის ტრადიციული მეთოდებიდან პროგრესიულზე გადასვლა საშუალებას აძლევს ყოველ ოჯახს 50 პროცენტით შეამციროს საქონლის შექმნისათვის საჭირო დრო ე. ი. ხელს უწყობს მშრომელთა თავისუფალი დროის გადიდებას.

საქონლის გაყიდვის პროგრესული მეთოდების დანერგვა ხელს უწყობს ვაჭრობის ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებასაც, რადგან ამ დროს იქმნება ობიექტური პირობები საქონელბრუნვის ზრდისათვის, მიმოქცევის ხარჯების შემცირებისათვის, რენტაბელობის ამაღლებისათვის და სავაჭრო საწარმოს სამეურნეო საქმიანობის სხვა მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის.

სოციალისტური წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის დაჩქარების შესახებ კომუნისტური პარტიის მიერ დაყენებული ამოცანების შუქზე ვაჭრობა, ისე როგორც ქვეყნის სახალხო მეურნეობის სხვა დარგები, უნდა განვითარდეს არა მარტო ახალი მატერიალური და შრომითი რესურსების მიზიდვის ხარჯზე რაოდენობრივი ზრდის გზით, არამედ მნიშვნელოვან წილად შრომისა და არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უფრო ეფექტიანი გამოყენების ხარჯზეც. საქონლის საცალო გაყიდვის პროგრესული მეთოდები ამ მოთხოვნასაც პასუხობენ. მათი გამოყენება იძლევა შესაძლებლობას შემცირდეს საცალო ვაჭრობაში მომუშავეთა შეფარდებითი რაოდენობა, ამაღლდეს მათი შრომის ნაყოფიერება, მალაზიების გამტარუნარიანობა, გაიზარდოს საქონლის გაყიდვა სავაჭრო ფართობის კვადრატულ მეტრზე.

● გაყიდვის პროგრესული მეთოდების დანერგვა დაკავშირებულია სავაჭრო-ტექნოლოგიურ პროცესებში არსებითი ცვლილებების შეტანასთან და მოითხოვს ახალი, თანამედროვე სახის სავაჭრო მოწყობილობების გამოყენებას, მალაზიების ტექნიკური აღჭურვილობის გაუმჯობესებასა და საცალო სავაჭრო ქსელში საქონლის ფართო არჩევისა და მყარი ასორტიმენტის უზრუნველყოფას.

ამასთან დაკავშირებით საქონლის საცალო გაყიდვის პროგრესული მეთოდების ფართო დანერგვა შესაძლებელი გახდება მხოლოდ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გარკვეულ ეტაპზე, ვინაიდან საჭირო იყო გარკვეული ობიექტური წინაპირობები, რომელთაგან ძირითადს წარმოადგენს:

ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის მნიშვნელოვანი ამაღლება;

სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების მოცულობის სწრაფი ტემპებით გადიდება და მისი ასორტიმენტის გაფართოება;

ქვეყნის ბაზრის სასურსათო და არასასურსათო საქონლით გაჯერება; საქონლის ინდივიდუალური შეფუთვის გაუმჯობესება და მრეწველობის მიერ დაფასოებული პროდუქციის გამოშვების გადიდება;

ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება და მისი ტექნიკური აღჭურვილობის გაუმჯობესება;

ვაჭრობის მუშაკების კულტურული, ტექნიკური და ზოგადსაგანმანათლებლო დონის ზრდა.

ამყამად საცალო ვაჭრობაში გამოიყენება საქონლის გაყიდვის შემდეგი პროგრესული მეთოდები:

● გაყიდვა თვითმომსახურების საფუძველზე, ნიმუშების მიხედვით; ღია გამოლაგებით; წინასწარი დაკვეთით მყიდველებთან სახლში.

● საქონლის გაყიდვა თვითმომსახურების საფუძველზე, თვითმომსახურება არის გაყიდვის მეთოდი, რომლის დროსაც მყიდველებს აქვთ თა-

ვისუფალი მისვლის საშუალება ყველა საქონელთან, რომელიც ღიად არის გამოლაგებული მაღაზიის სავაჭრო დარბაზში კედლის გასწვრივი და კუნძულისებრივ მოწყობილობებზე და სრული შესაძლებლობა დამოუკიდებლად, გამყიდველების დახმარების გარეშე, დათვალეირონ და აირჩიონ საქონელი, ხოლო ნაყიდობის ღირებულება გადაიხადონ ანგარიშსწორების კვანძში, რომელიც მოთავსებულია მაღაზიის სავაჭრო დარბაზის გამოსასვლელთან.

თვითმომსახურების პროგრესულობა იმაში მდგომარეობს, რომ გაყიდვის ეს მეთოდი საშუალებას იძლევა უზრუნველყოთ მომსახურების ოპერაციების შესრულების დროს ფუნქციების უფრო რაციონალური განაწილება სავაჭრო დარბაზის მუშაკებსა და მყიდველებს შორის, მაქსიმალურად გამოვიყენოთ ამ უკანასკნელთა თვითმოქმედება საქონლის დათვალეირებასა და არჩევაში და ამის საფუძველზე გავამართივოთ საქონლის გაყიდვის პროცესი, ავამაღლოთ საცალო ვაჭრობის კულტურის დონე და ეფექტიანობა.

თვითმომსახურების გამოყენების რაციონალური ეფექტი ხასიათდება საქონლის შექნაზე მყიდველთა დროის ეკონომიით, რომელიც თვითმომსახურების მაღაზიებში დაახლოებით 2-4 ჯერ ნაკლებია, ვიდრე იმ მაღაზიებში, რომლებიც საქონელს ყიდიან ტრადიციული მეთოდით. თვითმომსახურების მაღაზიებში მყიდველთა დროის ხარჯვის ასეთი მნიშვნელოვანი შემცირება შეპირობებულია იმით, რომ მათში, იმ მაღაზიებთან შედარებით, რომლებშიც გაყიდვის ტრადიციული მეთოდია გამოყენებული, არანაკლებ 2-ჯერ დიდდება დასაყენებელი ფართობი (სავაჭრო მოწყობილობებით დაკავებული სავაჭრო დარბაზის ფართობით) და ამასთან დაკავშირებით საქონლის გამოლაგებისა და ჩვენების ფრონტი მნიშვნელოვნად ფართოვდება.

თვითმომსახურების მაღაზიებში პრაქტიკულად სავაჭრო დარბაზში მყოფ ყველა მყიდველს შეუძლია დათვალეიროს და შეარჩიოს საქონელი. ეს საშუალებას იძლევა თვითმომსახურების დროს ლიკვიდირებულ იქნეს რიგები, დაჩქარდეს გაყიდვის პროცესი და შეიქმნას მყიდველთათვის პირობები, რომლის დროსაც მათ შეეძლებათ საქონლის დათვალეირებასა და არჩევაზე დახარჯონ დრო თავისი შეხედულებით. გაყიდვის ტრადიციული მეთოდით მოვაკრე მაღაზიებში კი შესაძლებლობა მყიდველთა ერთდროულად მომსახურებისათვის არსებითად შეზღუდულია და დამოკიდებულია დახლთან მოვაკრე გამყიდველების რაოდენობაზე.

სავაჭრო მოწყობილობებით დაკავებული სავაჭრო დარბაზის ფართობისა და გამოლაგების ფრონტის გადიდება საშუალებას იძლევა თვითმომსახურების მაღაზიების სავაჭრო დარბაზში გავაფართოოთ საქონლის ასორტიმენტი, რაც მყიდველთა მიერ საქონლის დათვალეირებისა

და არჩევის დამოუკიდებლობის შესაძლებლობასთან შეხამებით ქმნის ნაყიდობის კომპლექტურობის (საქონლის დასახელების რაოდენობა ერთ ნაყიდობაში) გაზრდის პირობებს. ნაყიდობაში საქონლის რაოდენობის გადიდების კვალობაზე საერთო დრო, რომელიც მის განხორციელებაზე დაიხარჯა, დიდდება, ხოლო ერთი დასახელების საქონელზე გადაანგარიშებით მცირდება. ამასთან მაღაზიებში, განსაკუთრებით ისეთებში, რომლებიც სასურსათო საქონლით ვაჭრობენ მოსახლეობის მისვლის სიხშირე კლებულობს. ამიტომ ნაყიდობის კომპლექტურობის გადიდებით საქონლის შექენასთან დაკავშირებული მოხმარების ხარჯები მცირდება. ეს მდგომარეობა თვითმომსახურების მეთოდით საქონლის გაყიდვის სოციალურ ეფექტს კიდევ უფრო ზრდის.

თვითმომსახურების საფუძველზე საქონლის გაყიდვა საშუალებას იძლევა, აგრეთვე, მივალწიოთ მნიშვნელოვან ეკონომიკურ ეფექტს. ეს შეპირობებულია იმით, რომ თვითმომსახურება ქმნის მაღაზიების გამტარუნარიანობის გადიდებისათვის, მათი საქონელბრუნვის გადიდებისა და სავაჭრო ფართობების გამოყენების გაუმჯობესებისათვის, ვაჭრობის მუშაკების რაოდენობის შემცირებისა და მათი შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის, მიმოქცევის ხარჯების დონის შემცირებისა და მაღაზიების რენტაბელობის ამაღლებისათვის ობიექტურ წინაპირობებს.

მაღაზიის გამტარუნარიანობა განისაზღვრება მყიდველთა რაოდენობით, რომელთაც შეუძლიათ განახორციელონ მასში ყიდვა განსაზღვრულ დროში. ამასთან დაკავშირებით, თვითმომსახურების მეთოდით გაყიდვის დროს მყიდველების მიერ საქონლის შექენაზე დახარჯული დროის შემცირება ხელს უწყობს მაღაზიის გამტარუნარიანობის ზრდას. ამას აქვს დიდი სახალხო მეურნეობრივი მნიშვნელობა, ვინაიდან საშუალებას იძლევა უზრუნველვყოთ საქონელბრუნვის მატება საცალო სავაჭრო ქსელში დამატებით კაპიტალური დაბანდების გარეშე და შევამციროთ სავაჭრო ფართობისა და მაღაზიების ქსელის საჭიროება.

თვითმომსახურების მაღაზიების საქონელბრუნვის გადიდებაზე მათი გამტარუნარიანობის ამაღლებასთან ერთად გავლენას ახდენს, აგრეთვე, ნაყიდობის საშუალო ღირებულების ზრდა მასში საქონლის დასახელებების რაოდენობის გადიდების გამო. უფრო მეტად ეს ფაქტორი გავლენას ახდენს თვითმომსახურების უნივერსალურ სასურსათო მაღაზიების საქონელბრუნვის ზრდაზე, რომლებსაც ერთი ნაყიდობის საშუალო ღირებულება 2-ჯერ მეტია ვიდრე სასაქონლო პროფილითა და სავაჭრო ფართობით ანალოგიურ მაღაზიებში, რომლებიც გაყიდვის ტრადიციულ მეთოდს იყენებენ. თვითმომსახურების დანერგვა დიდ პოტენციურ შესაძლებლობას ქმნის მაღაზიის პერსონალის რაოდენობის, ხელფასის ფონდისა და მიმოქცევის ხარჯების შემცირებისათვის.

თვითმომსახურების დროს გამყიდველების ფუნქცია არსებითად შარტივდება და დაიყვანება მყიდველთა კონსულტაციაზე, სავაჭრო დარბაზში საქონლის გამოლაგებაზე და მისი დაცვის კონტროლზე.

თვითმომსახურების მეთოდით საქონლის გაყიდვის საფუძველს წარმოადგენს მყიდველების მიერ დამოუკიდებლად არჩევისათვის მათი შპსიმაღლურად წინასწარი გამზადება. ეს ქმნის პირობებს მაღაზიაში ტექნოლოგიური პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის, მუშაკთა შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის და ქმნის ფართო შესაძლებლობებს ვაჭრობაში ტარა-მოწყობილობების გამოყენებისათვის. თვითმომსახურების მეთოდით ტარა-მოწყობილობიდან საქონლის გაყიდვის ორგანიზაცია საშუალებას იძლევა შეტანილ იქნეს საქონელი მრეწველობის საწარმოებიდან და საწყობებიდან უშუალოდ მაღაზიის სავაჭრო დარბაზში და ამით არსებითად გავამარტივოთ სავაჭრო-ტექნიკური პროცესები ვაჭრობაში და შევამციროთ მიმოქცევის ხარჯები.

თვითმომსახურების მეთოდით საქონლის გაყიდვა ქმნის შესაძლებლობას მაღაზიის სავაჭრო დარბაზში საქონლის მარაგის მნიშვნელოვანი გადიდებისათვის. ამასთან დაკავშირებით თვითმომსახურების მაღაზიებში საქონლის შენახვისათვის სათაესის საჭიროება მნიშვნელოვნად მცირდება, რაც შესაძლებლობას იძლევა ასეთი მაღაზიების დაპროექტებისას დამხმარე სათაესობების ხარჯზე გავზარდოთ სავაჭრო ფართობის წილი.

თვითმომსახურების დანერგვა უფრო მეტ ეფექტს იძლევა უნივერსალურ მაღაზიებში, რომლებშიც მყიდველებს შეუძლიათ განახორციელონ კომპლექსური ყიდვა და ანგარიში გაასწორონ ყველა საქონელზე ერთჯერ ანგარიშსწორების ერთიან კვანძში. ეს მნიშვნელოვნად ამცირებს დროს საქონლის ყიდვაზე და განაპირობებს მაღაზიების გამტარუნარიანობის ზრდის უფრო მაღალ ტემპებს.

საქონლის გაყიდვის ტრადიციული მეთოდიდან თვითმომსახურებაზე გადასვლა განხორციელდა მეცხრე ხუთწლეულის წლებში სახელმწიფო ვაჭრობაში, მაგალითად, თვითმომსახურების სასურსათო მაღაზიების რაოდენობა ამ პერიოდში 140 ათასიდან 33,2 ათ.-მდე გაიზარდა, არასასურსათოსი 6,8 ათ.-დან 23,5 ათ.-მდე, ხოლო მათი ხვედრითი წონა საცალო საქონელბრუნვაში — შესაბამისად 12,5-დან 38,8%-მდე და 14-დან 60,2%-მდე. ახლა თვითმომსახურება წარმოადგენს, როგორც სასურსათო, ისე არასასურსათო საქონლის გაყიდვის ძირითად მეთოდს.

ამასთან ერთად თვითმომსახურების პოტენციური შესაძლებლობა ჯერ კიდევ მთლიანად არ არის გამოყენებული. ხშირად თვითმომსახურების მაღაზიებში საქონლის შეძენაზე მყიდველთა დრო ჩვეულებრივ მაღაზიებთან შედარებით არ მცირდება, სამეურნეო საქმიანობის მაჩვენებლები არ უმჯობესდება. ეს ძირითადი საქონლის გაყიდვის ორგანი-

ზაციაში არსებული ნაკლოვანებებით აიხსნება, რომელთაგან უფრო გავრცელებულს წარმოადგენს შემდეგი:

საქონლის ვიწრო ასორტიმენტი, მოწყობილობების დასაყენებლად, სავაჭრო დარბაზის ფართობის არასრული გამოყენება, სავაჭრო დარბაზის არარაციონალური დაგეგმარება, მოლარე-კონტროლიორების კაბინების არასაკმარისი რაოდენობა და რიგების არსებობა ანგარიშსწორების კვანძებში, საქონლის უსისტემო განლაგება სავაჭრო დარბაზში, მუშაკთა რაოდენობის გადიდება და შრომის არაეფექტური გამოყენება, ორმაგი კონტროლი თვითმომსახურების სავაჭრო დარბაზებში ხორცის, თევზის, გასტრონომიული და ზოგიერთი სხვა სასურსათო საქონლის უპირატესი გაყიდვა დახლებიდან გამყიდველის მეშვეობით.

თვითმომსახურების მაღაზიებში საქონლის ასორტიმენტი უნდა იყოს უფრო ფართო, ვიდრე სავაჭრო ფართობითა და სასაქონლო ასორტიმენტით ანალოგიური გაყიდვის ტრადიციული მეთოდის მაღაზიებში. თვითმომსახურების უნივერსალურ მაღაზიების ასორტიმენტში ჩართული უნდა იყოს ხშირი მოთხოვნისა და მარტივი ასორტიმენტის არასასურსათო საქონელი. მისი წილი საქონლის დასახელებების საერთო რაოდენობაში, რომელიც მაღაზიაში იყიდება, 20—30% უნდა შეადგენდეს.

საქონლის შენახვისა და ჩვენებისათვის მოწყობილობებით დაკავებული უნდა იყოს თვითმომსახურების მაღაზიების სავაჭრო დარბაზის ფართობის არანაკლები 30%-ისა.

თვითმომსახურების მეთოდით საქონლის გაყიდვის დროს შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქონლის გამოლაგების სამი ხერხი: ჰორიზონტალური, ვერტიკალური და კომბინირებული.

ჰორიზონტალური გამოლაგების დროს ერთნაირი დასახელების საქონელს ათავსებენ ერთ თაროზე მწკრივში, ხოლო ვერტიკალურის დროს ერთი გორაკის რამოდენიმე თაროზე მეორის ქვეშ. კომბინირებული გამოლაგება ახამებს საქონლის ჰორიზონტალური და ვერტიკალური განლაგების ელემენტებს. უფრო რაციონალურს წარმოადგენს ვერტიკალური გამოლაგება, რომელიც მყიდველებს საშუალებას აძლევს ნაკლები დრო დახარჯონ საქონლის გაცნობაზე.

თვითმომსახურება არ გამორიცხავს ერთდროულად ზოგიერთი საქონლის ტრადიციული მეთოდით გაყიდვის შესაძლებლობასა და მიზანშეწონილობას.

თვითმომსახურების სასურსათო მაღაზიებში დაშვებულია ნაწილობრივ დახლიდან გამყიდველის დახმარებით გაყიდვა ხორცის, თევზისა და ზოგიერთი გასტრონომიული სურსათისა, რომელიც საჭიროებს დაჭრას, აწონვას და შეფუთვას მყიდველთა თანდასწრებით, რომელთაც არ სურთ წინასწარ დაფასოებული და შეფუთული ეს საქონელი დამოუკიდებლად აირჩიონ. ასეთი დახლები თავსდება თვითმომსახურების

დარბაზში. ასეთ შემთხვევაში გამყიდველების მიერ მყიდველებზე გაცემული და მათ მიერ დამოუკიდებლად არჩეული საქონლის ღირებულების გადახდა ხორციელდება ანგარიშსწორების ერთიან კვანძში.

თვითმომსახურების არასასურსათო მალაზიებში ტრადიციული მეთოდით უნდა მოეწყოს ძვირფასი საიუველირო ნაწარმის, საათების, კინო-ფოტო აპარატებისა და მყიდველთა მომსახურების ორგანიზაციის თვალსაზრისით ზოგი სხვა სპეციფიური საქონლის გაყიდვა. ასეთი საქონლის გაყიდვა შეიძლება ორგანიზებულ იქნეს თვითმომსახურების დარბაზში ან მის გარეშე მომსახურების დახლებიდან.

თვითმომსახურების მალაზიებში საქონლის შექმნაზე დროის ხარჯვის შემცირება, გამტარუნარიანობისა და საქონელბრუნვის ზრდის უზრუნველყოფა მოითხოვს მყიდველებთან ანგარიშსწორების სრულყოფილ ორგანიზაციას, რომელიც პრაქტიკულად გამორიცხავს მოლარე-კონტროლიორებთან რიგების შექმნას.

უფრო მიზანშეწონილია ანგარიშსწორების ერთიანი კვანძების ორგანიზაცია, რომელნიც განლაგებული არიან თვითმომსახურების მალაზიებთან ან სავაჭრო სართულის (მრავალ სართულიან შენობაში) გასასვლელთან.

თვითმომსახურების დარბაზის ზონებისა და ხაზების მიხედვით ანგარიშსწორების კვანძების მოწყობა ზრდის კომპლექსური ყიდვისათვის დროს და გამონაკლისის სახით შეიძლება დაშვებულ იქნეს უნივერსალურებში.

თვითმომსახურების მსხვილ სასურსათო მალაზიებში ანგარიშსწორების დაჩქარებისათვის მყიდველებთან, რომლებმაც აირჩიეს ორი-სამი დასახელების საქონელი ანგარიშსწორების კვანძში უნდა ვიქონიოთ სწრაფი მომსახურების საღაროები. მოლარე-კონტროლიორების სამუშაო ადგილების აუცილებელი რაოდენობის განსაზღვრის დროს უნდა გავითვალისწინოთ ძალაშიაში კვირის დღეებისა და სამუშაო დღის საათების მიხედვით მყიდველთა ნაკადების არათანაბარი განაწილება და ამასთან უნდა აღენიშნოთ საათების მიხედვით მყიდველთა მაქსიმალური ნაკადები და საშუალო დრო, რომელსაც მოლარე კონტროლიორი ანდომებს ერთ მყიდველთან ანგარიშსწორებას განსაზღვრული ტიპის საღაროს აპარატზე.

რამდენადაც თვითმომსახურების მალაზიებში მყიდველთა ნაკადების ინტენსიურობა ცვალებადია კვირის დღეებისა და სამუშაო დღის საათების მიხედვით, ამდენად მყიდველთა მომსახურების ხარისხის ამაღლებისათვის მიზანშეწონილია სავაჭრო დარბაზში მანევრირება გაუკეთოთ მოლარე-კონტროლიორებისა და გამყიდველების რაოდენობას. მყიდველთა ნაკადების ინტენსიობის ცვალებადობის დროს მოლარე-კონტროლიორების ოპტიმალური რაოდენობის განსაზღვრისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს მასიური მომსახურების თეორიის მეთოდები.

თვითმომსახურების მაღაზია წარმოადგენს მომსახურების სისტემას უღემენტებით: მყიდველთა ნაკადებით (მასობრივი მომსახურების თეორიაში, რომელშიც შედის მოთხოვნის ნაკადი); მომსახურებაზე მყიდველთა რიგით მოლარე-კონტროლიორებთან ანგარიშსწორების კვანძებით (მომსახურების არხები); მყიდველებით, რომლებმაც განახორციელეს ყიდვა (მოთხოვნის გამომდინარე ნაკადი). რაოდენობა მყიდველებისა, რომლებმაც გაიარეს სავაჭრო დარბაზი, მათი მომსახურების დრო და სისტემის სხვა პარამეტრები შემთხვევით სიდიდეებს წარმოადგენენ, ამიტომ ისინი შეიძლება გაანალიზებული და აღნუსხული იქნენ ალბათობის თეორიის მათემატიკურ-სტატისტიკური მეთოდების მეშვეობით. მაგალითად, მყიდველთა ნაკადი (რომელიც შედის მოთხოვნის ნაკადში) შეიძლება წარმოდგენილ იქნეს პუასონის განაწილებით.

$$Pk(t) = \frac{(\lambda - t)k}{ki} \cdot E^{-Ht}$$

სადაც $Pk(t)$ არის ალბათობა იმისა, რომ მომსახურების დროის t ინტერვალის განმავლობაში სავაჭრო დარბაზში შევა k მყიდველი;

λ — დროის ერთეულში სავაჭრო დარბაზში შესული მყიდველთა საშუალო რაოდენობა (შემსვლელთა ნაკადის ინტენსიობა);

t — მომსახურების დრო.

აუცილებელია შემოწმდეს შემოსულ მოთხოვნელთა ნაკადის შესაბამისობა პუასონის განაწილებასთან (χ^2 კრიტერიუმის დახმარებით). ვინაიდან მყიდველთა ნაკადი მაღაზიებში ხშირად ხასიათდება ნაირ-ნაირი მოთხოვნებით (მაშინ შემსვლელთა ნაკადი აღიწერება ერლანგის სათანადო რიგით).

მყიდველთა მომსახურებაზე მოლარე-კონტროლიორების მიერ დახარჯული დრო შეიძლება განაწილებულ იქნეს მაჩვენებლიანი კანონით:

$$f(t) = M e^{-\mu t}$$

სადაც $f(t)$ ალბათობის განაწილების სიმკვრივის ფუნქციაა);

M — მყიდველთა საშუალო რაოდენობა, რომელთაც მოემსახურა მოლარე-კონტროლიორი დროის ერთეულში (მომსახურების ინტენსიურობა);

$F = 2.71 \dots$ — ნატურალური ლოგარითმების ფუნქცია, შემოსულ მყიდველთა ნაკადის ინტენსიურობის მაჩვენებლის (λ) შეფარდებას მყიდველთა მომსახურების ინტენსიობასთან (M) ეწოდება მომსახურების

სისტემის დატვირთვის ინტენსიურობა (P) ე. ი. $P = \frac{\lambda}{\mu}$

მაჩვენებელი ახასიათებს მასობრივი მომსახურების სისტემის მუშაობის ეფექტიანობას.

რაც უფრო ახლოს არის P_0 -ის მნიშვნელობა 2-1 ინტერვალთან, მით უფრო კარგად მუშაობს სისტემა. ეს შეიძლება მიღწეულ იქნეს

პარამეტრის გადიდებით სავაქრო დარბაზში, მოწყობილობის დასაყენებელი მოედნის, გამოლაგების ფონდის გაფართოებით ან პარამეტრის შემცირებით, ე. ი. მოლარე-კონტროლიორების რიცხვის გადიდებით, მათი კვალიფიკაციის ამაღლებით. ხშირად ეს უკანასკნელი უფრო შესაძლებელია. ამიტომ მასობრივი მომსახურების ამოცანის გადაწყვეტის შედეგს წარმოადგენს მოლარე-კონტროლიორების რაოდენობის განსაზღვრა, რომ მყიდველთა რიგი ანგარიშსწორების კვანძში არ აღემატებოდეს k კაცს (k ჩვეულებრივ ითვლება 2-3-ის ტოლად). ეს მოთხოვნა სრულდება საკმაოდ მაღალი ალბათობის დროს, რომელიც განისაზღვრება ერთი ანგარიშსწორების კვანძისათვის $P_{k,m} = 1 - p^m$

რამდენიმე (m) ანგარიშსწორების კვანძისათვის —

$$P_{k,m} = \frac{1}{m! m^k} \quad m+k \\ P \cdot P_0,$$

სადაც $P_{k,m}$ ალბათობაა იმისა, რომ რიგში იმყოფება k მოთხოვნილი m მოლარე-კონტროლიორებთან ერთად.

P_0 — ალბათობაა იმისა, რომ დროის მომენტში სისტემაში არ არის მთხოვნილი (სავაქრო დარბაზში არ არის მყიდველები).

რომ გარანტირებულ იქნეს მომსახურების მაღალი ხარისხი და რიგების არ არსებობა (2-3 კაცზე მეტი), აუცილებელია შევარჩიოთ ისეთი P და m პარამეტრები, რომ $P_{k,m}$ მდებარეობდეს 0,94-0,98 ინტერვალში.

თვითმომსახურების მაღაზიებში საჭიროა გატარდეს შესაბამისი განგარიშებანი (მიღებული გადაწყვეტილებების ცხრილები), რომელთა დახმარებითაც შეიძლება განისაზღვროს მოლარე-კონტროლიორების სამუშაო დღის საათების მიხედვით მყიდველთა ნაკადების ინტენსიურობის შესაბამისი რაოდენობა. ანგარიშსწორების კვანძის გამტარუნარიანობის ამაღლებას ხელს უწყობს თვითმომსახურების მაღაზიების აღჭურვა სწრაფმომქმედი სალაროს აპარატებით, რომელთაც აქვთ შემაჯამებელი და გამომკლები მოწყობილობანი (ხოლო სასურსათო მაღაზიებში მისადგმელებით მყიდველებზე ხურდის გაცემისათვის), რომელნიც ჩეკზე ჩანიშნავენ (ფიქსირებას უკეთებენ) ყოველი საქონლის ღირებულებას, ნაყიდობის მთლიან თანხას, მყიდველისაგან მოლარის მიერ მიღებული კუპიურისა და მისი კუთვნილი ხურდის ოდენობას.

თვითმომსახურების მაღაზიებში საქონლის გაყიდვის პროცესი არ უნდა მოიცავდეს ისეთ ოპერაციებს, რომლებიც თვითმომსახურებისათვის შეუფერებელია (ორმაგი კონტროლი, მყიდველთა პირადი ნივთების შემოწმება, საოჯახო (სამეურნეო) ჩანთებისა და პორთფელის აუცილებელი ჩაბარება თვითმომსახურების დარბაზში შესვლისას შეუთავსებელია თვითმომსახურებისათვის და აღიღებენ ყიდვის დროს და სავაქრო დარბაზში მომუშავეთა რაოდენობას. თვითმომსახურების მე-

თოდით საქონლის გაყიდვის ორგანიზაციის დროს დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს მაღაზიის შიგა რეკლამას და მუნჯ ცნობებს. თვითმომსახურების მაღაზიების სავაჭრო დარბაზში ყველა საქონელს უკეთდება ფასის მაჩვენებლები, რომლებზედაც აღნიშვნები კარგად უნდა ჩანდეს შორი მანძილიდან.

ღ საქონლის გაყიდვა ღია გამოლაგებით. ამ მეთოდით გაყიდვის დროს მყიდველებს აქვთ საქონელთან თავისუფალი მისვლის საშუალება და შეუძლიათ დამოუკიდებლად გაეცნონ საქონელს, რომელიც ღიად არის გამოლაგებული გამყიდველის სამუშაო ადგილზე (დახლზე, გორაკზე, სტენდზე). გამყიდველები კონსულტაციას უწევენ მყიდველებს ფუთავენ და გასცემენ მათ მიერ შერჩეულ საქონელს, რომელზედაც ანგარიშსწორება ხორციელდება უშუალოდ გამყიდველების სამუშაო ადგილებზე (სასურსათო მაღაზიებში), სექციის შეფუთვის მაგიდაზე (არასასურსათო მაღაზიებში) ანდა სავაჭრო დარბაზში მოთავსებულ სალაროებში.

ღია გამოლაგებით საქონლის გაყიდვა, გაყიდვის ტრადიციულ მეთოდთან შედარებით, საშუალებას იძლევა ერთდროულად გაეცნოს საქონელს ბევრი მყიდველი და მნიშვნელოვნად ათავისუფლებს გამყიდველებს საქონლის ჩვენებასა და ასორტიმენტის შესახებ მყიდველთა ინფორმაციასთან დაკავშირებული ვალდებულების შესრულებისაგან. ღია გამოლაგების გამოყენება საშუალებას იძლევა შემციირდეს მყიდველთა დრო საქონლის გაცნობაზე, გაიზარდოს მაღაზიის გამტარუნარიანობა და საქონელბრუნვა, ამალდეს გამყიდველების შრომის ეფექტიანობა, შემციირდეს მიმოქცევის ხარჯები. ღია გამოლაგებით ყიდიან შედარებით არაართული ასორტიმენტის, მცირე ოდენობის არასასურსათო საქონელს და იმას, რომელსაც არ ჰქირდება გადაზომვა, დაქრამოქმედებაში შემოწმება. სასურსათო მაღაზიებში ეს მეთოდი გამოიყენება ზოგიერთი ასაწონი და ცალკეული ცალობრივი საქონლის გაყიდვის დროს.

საქონლის გაყიდვა ღია გამოლაგებით წარმოადგენს გაყიდვის ტრადიციული მეთოდისა და თვითმომსახურების ელემენტების შეხამებას. მაგრამ აქ ჰარბობს გაყიდვის ტრადიციული მეთოდის ოპერაციები, ამასთან დაკავშირებით ღია გამოლაგებით საქონლის გაყიდვის სოციალური და ეკონომიკური ეფექტიანობა მნიშვნელოვნად ნაკლებია ვიდრე თვითმომსახურების საფუძველზე გაყიდვის დროს. ამიტომ ღია გამოლაგებას იყენებენ მხოლოდ იმ საქონლისათვის, რომლებიც იყიდება თვითმომსახურების მაღაზიებში გამყიდველების მიერ მომსახურების დახლებიდან ან რომელთა გაყიდვაც თვითმომსახურების მეთოდით არ ხორციელდება.

ჰ საქონლის გაყიდვა ნიმუშების მიხედვით. გაყიდვის ამ მეთოდის დროს მყიდველს საშუალება აქვს დამოუკიდებლად ან გამყიდველის

დახმარებით აიჩიოს საქონელი სავაჭრო დარბაზში გამოფენილი ნიმუშების მიხედვით და სალაროში ნაყიდობის ღირებულების გადახდის შემდეგ მიიღოს ნიმუშების შესაბამისი საქონელი უშუალოდ მაღაზიაში ან გააფორმოს სახლში მიტანა დამატებითი საფასურის გადახდით.

გაყიდვის ამ მეთოდის განმასხვავებელი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ სავაჭრო დარბაზში გამოფენენ გაყიდვაში არსებული საქონლის მხოლოდ ნიმუშებს, ხოლო მათი სამუშაო მარაგი თავსდება ცალკე. ეს საშუალებას გვაძლევს შედარებით მცირე სავაჭრო ფართობზე წარმოვადგინოთ (ვაჩვენოთ) საქონელი უკრთო ასორტიმენტში, ხოლო მყიდველებს — დაშოუკიდებლად და სწრაფად გაეცნონ მას.

ნიმუშების მიხედვით საქონლის გაყიდვის ორგანიზაცია მოითხოვს, რომ გამოფენილი საქონლის ყველა ნიმუშს ქონდეს კარგად გაფორმებული იარაღები ნაწარმის დასახელების, არტიკულის, ხარისხის, მწარმოებლის ფასის და ზოგი სხვა მონაცემის ჩვენებით, ხოლო გამყიდველებს შეეძლოთ ყველა ნიმუშის მიხედვით მისცენ ამომწურავი კონსულტაცია.

ნიმუშების მიხედვით საქონლის გაყიდვის მეთოდის გამოყენება საშუალებას გვაძლევს რაციონალურად გამოვიყენოთ სავაჭრო ფართობი, ამცირებს სავაჭრო დარბაზის მუშაკთა საჭიროებას და საქონლის შექმნაზე მყიდველთა დროს.

ნიმუშების მიხედვით მიზანშეწონილია გავყიდოთ საქონელი, რომელიც მოითხოვს გადაზომვას და დაქრას, და აგრეთვე ტექნიკურად რთული და დიდგაბარტიანი ნაწარმი.

საქონლის გაყიდვა მოსახლეობის შეკვეთის მიხედვით. შეკვეთა მიიღება მაღაზიების შეკვეთების განყოფილებაში (მაგიდაზე) ტელეფონით ან სპეციალურ პუნქტში, რომელიც მოწყობილია სამარეწველო საწარმოში, მშენებლობაზე, დაწესებულებაში და ა. შ. ეს საშუალებას აძლევს მომუშავეებს მისცენ შეკვეთა მუშაობის დაწყებამდე და მიიღონ იგი მისი დამთავრების შემდეგ. მიზანშეწონილია მოეწყოს ასეთი პუნქტები ვაგზლებშიც. დათქმულ დროს მყიდველი თვითონ ლებულობს საქონელს ან მიუტანენ მას სახლში ან შეკვეთაში ნაჩვენებ სხვა ადგილას. საქონლისა და გაწეული მომსახურების ღირებულების გადახდა ხდება წინასწარ ან საქონლის მიღებისთანავე.

წინასწარი შეკვეთით საქონლის გაყიდვა გამოიყენება, ძირითადად, სასურსათო საქონლით ვაჭრობაში, რაც კვების ბევრ პროდუქტზე მოთხოვნის სიმყარით, კომპლექსურობით და მაღალი სიხშირით არის შეპირობებული.

შეკვეთის განყოფილებები (მაგიდები) მიზანშეწონილია შევქმნათ მსხვილ უნივერსალურ სასურსათო მაღაზიებში, რომელთაც შეკვეთის შიღებისა და დაკომპლექტებისათვის აქვთ სპეციალური სათავსი, შესაძლებლობა საქონლის შეფუთვის მექანიზაციისა და ავტომატიზაციისა-

თვის და შეუძლიათ უზრუნველყონ დღეში არანაკლებ 100—150 შეკვეთის შესრულება.

მსხვილ ქალაქებში მოსახლეობის წინასწარი შეკვეთების მიხედვით სასურსათო საქონლის გაყიდვისათვის იქმნება მაღაზია-ბაზები. ასეთი საწარმოები, დაფასობის, შეფუთვის, შეკვეთების დაკომპლექტებისა და გაფორმების ყველა პროცესების სრული მექანიზაციით, ამჟამად შენდება მოსკოვში, ლენინგრადში და ზოგიერთ სხვა ქალაქებში.

წინასწარი შეკვეთების მიხედვით საქონლის გაყიდვის დროს მყიდველებს შეუძლიათ განახორციელონ კომპლექსური შესყიდვა მაღაზიაში შეუსვლელად და კვების პროდუქტების შექმნაზე დროის ხარჯვა მინიმუმამდე დაიყვანონ. წინასწარი შეკვეთის მიხედვით საქონლის გაყიდვით მაღაზიების ეკონომიკური სარგებლობა შეპირობებულია იმავე სავაჭრო ფართობზე დამატებითი საქონელბრუნვის მიღებით, მყიდველთა ნაკადების სხვადასხვანაირი დაძაბულობის საათებში მაღაზიის მუშაეთა შრომის რაციონალურად გამოყენების შესაძლებლობით და მიმოქცევის ხარჯების შემცირებით.

მოსახლეობის წინასწარი შეკვეთის მიხედვით საქონლის გაყიდვის ეფექტიანობა და მოცულობის გადიდება ბევრად დამოკიდებულია შეკვეთების მიღებისა და მყიდველებზე მისი გაცემის ორგანიზაციაზე. მიღებისა და შესრულების დაჩქარებისათვის შეკვეთები მიზანშეწონილია მივიღოთ პროდუქტების სტანდარტულ ნაკრებებზე, აგრეთვე პრაქტიკაში მივმართოთ ხშირი მოთხოვნის პროდუქტების (პური, რძე, რძის პროდუქტები, ბოსტნეული) მულტივი ნაკრებების გაყიდვას შეკვეთა — აბონემენტის მიხედვით სახლში მიტანით.

წინასწარი შეკვეთით გაყიდვას მიეკუთვნება არასასურსათო საქონლით საფოსტო-საამანათო საცალო ვაჭრობაც, რომელიც ძირითადად ხორციელდება რსფსრ ვაჭრობის სამინისტროს „ამანათვაჭრობის“ ბაზების მიერ. მყიდველები საქონელს ირჩევენ „ამანათვაჭრობის“ კატალოგების მიხედვით, რომლებიც ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დასახელებების კავშირგაბმულობის საფოსტო განყოფილებებშია და უგზავნიან ბაზას შეკვეთას. ბაზა ასრულებს შეკვეთებს და აგზავნის მათ მყიდველთა მისამართებზე ამანათებით, ახდევინებს მათ საქონლის ღირებულებას, შეფუთვისა და საფოსტო ხარჯების ფასდადებით.

საცალო ვაჭრობის პრაქტიკაში წინასწარი შეკვეთები სრულდება იმ შემთხვევაშიც, როცა მყიდველები უგზავნიან სავაჭრო საწარმოს ფულად გზავნილებას თხოვნით, მიუტანონ გარკვეულ მისამართზე კონკრეტული საქონელი, პროდუქტების ნაკრები დღესასწაულისათვის, ქორწილისათვის, დაბადების დღისა და ა. შ.

საქონლის მიყიდვა მყიდველთათვის სახლებში. ამ მეთოდის დროს მყიდველი საქონელს ირჩევს თავის ბინაში გამყიდველ-დამტარებლების

მიერ შიტანილი საქონლიდან, რის შემდეგაც უხდის მას ნაყიდი საქონლისა და გაწეული მომსახურების ღირებულებას.

საქონლის მიყიდვა მყიდველთათვის მათსავე სახლებში საშუალებას იძლევა უკიდურესად შევამციროთ დრო საქონლის ყიდვაზე. ამასთან, მისი სოციალური ეფექტიანობა მით უფრო მაღალი აღმოჩნდება, რაც უფრო ხშირად შეიძლება მყიდველს სახლში საქონელს, რომელსაც იგი მაღაზიაში ყიდულობს. ამიტომ მყიდველებს სახლში მიზანშეწონილია მიეყიდოს მხოლოდ ყოველდღიური, უფრო ხშირი მოთხოვნის სასურსათო საქონელი, რომელთაც შენახვის განსაზღვრული ვადა აქვთ. მყიდველთა სურვილის მიხედვით სახლში შიტანილი პროდუქტების ნაკრების ასორტიმენტში შეიძლება შეეიტანოთ აგრეთვე ბოსტნეული და ზოგიერთი საბაყალო საქონელი.

მყიდველთათვის სახლებში საქონლის მიყიდვის ეკონომიკური ეფექტიანობა ძლიერ მაღალია. იგი ვლინდება იმავე სავაჭრო ფართობზე საქონელბარუნვის გადიდებაში, მიმოქცევის ხარჯების შემცირებაში, მაღაზიების რენტაბელობის ამაღლებაში, სავაჭრო ქსელის საჭიროების შემცირებაში. ამ მეთოდით გაყიდვის დროს მომსახურებისათვის გასამრჯელოს გადახდევინება მყიდველთათვის საძნელო არ არის და მაღაზიებს საშუალებას აძლევს აინაზღაურონ გამყიდველ-დამტარებლების შტატის შენახვის ხარჯები, გადაიხადონ საქონლის სახლში შიტანისათვის გამოყენებული ავტოტრანსპორტის ხარჯები. სახლში საქონლის გაყიდვას აწყობენ უნივერსალური სასურსათო მაღაზიები, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში — პურ-ფუნთუშეულის ნაწარმის, ბოსტნეულისა და ხილის სპეციალიზებული მაღაზიებიც.

საქონლის შიტანის რადიუსი განისაზღვრება საცხოვრებელი მასივებისაკენ მაღაზიების მიზიდულობის გათვალისწინებით და ხელის უიოკების გამოყენებისას არ აღემატება 500 მეტრს.

გამყიდველ-დამტარებლების შტატი მაღაზიებში უნდა დაკომპლექტდეს მყიდველთა რაოდენობის, შენობის სართულიანობისა და ლიფტებით აღჭურვის მიხედვით. საქონლის დატარება ბინებში საჭიროა ყოველდღე და ერთ და იმავე დროს; წინააღმდეგ შემთხვევაში გამყიდველ-დამტარებლების მომსახურებით სარგებლობს შემთხვევითი და არა მუდმივი მყიდველები, რაც ამ მეთოდით გაყიდვის ეფექტიანობას ამცირებს. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ მყიდველებისათვის სახლში მომსახურების უფრო მოხერხებული დროა 7-დან 11 საათამდე და 17-დან 20 საათამდე. დროის ხარჯების შემცირებისათვის საქონლის სახლში გაყიდვის დროს მყიდველებთან ანგარიშის გასწორება მიზანშეწონილია მას შემდეგ, რაც პროდუქტები ერთი სადარბაზოს ყველა მყიდველთან იქნება შიტანილი. ამ შემთხვევაში გამყიდველ-დამტარებელი დატარების დამთავრების შემდეგ ჩამოივლის ბინებს და მყიდველები ნაყიდო-

ზას სწრაფად ანაზღაურებენ, ვინაიდან მათ ჰქონდათ მისი ღირებულების წინასწარი გაანგარიშების საშუალება.

ზალაზიის მუშაკთა საქმიანობა დაკავშირებულია მოსახლეობის მასობრივ მომსახურებასთან. ამასთან დაკავშირებით საცალო გაყიდვის ორგანიზაციის ცალკეული საკითხების გადაწყვეტისას აუცილებელია გამოვიყენოთ მასობრივი მომსახურების თეორია. მისი საშუალებით შეიძლება წარმატებით გადავჭრათ, მაგალითად, მოლარე-კონტროლიორების სამუშაო ადგილების ოპტიმიზაციის (როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები), საქონლის ყიდვაზე მოსახლეობის დროის ერთობლივი ხარჯვის, აგრეთვე სავაჭრო მომსახურებასთან დაკავშირებული შრომისა და საშუალებების შექცირების ამოცანა. მასობრივი მომსახურების თეორია შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქონლის გაყიდვის მეთოდებისა და მყიდველთა მომსახურების ეფექტიანობის შედარების დროსაც. •

§ 4. საქონლის საცალო გაყიდვის პროგრესული მეთოდების ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრის წესები

საქონლის საცალო გაყიდვის პროგრესული მეთოდების დანერგვასთან უნდა ახლდეს საცალო ვაჭრობის სოციალური და ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება. მაგრამ პირველ პლანზე უნდა იყოს უდიდესი სოციალური ეფექტის მიღება, ვინაიდან სოციალისტური ვაჭრობის მთავარ ამოცანას წარმოადგენს მოთხოვნის რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილება მაღალ დონეზე მომსახურებისა და საქონლის შექცენაზე მყიდველთა მიერ უმცირესი დროის დახარჯვის პირობებში. ამასთან ერთად აუცილებელია უფრო სრულად გამოვიყენოთ გაყიდვის პროგრესული მეთოდების გამოყენების პოტენციური შესაძლებლობანი მაღაზიების მუშაობის ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებისათვის, რომელიც გამოიხატება საქონელბრუნვის ერთეულზე შრომისა და საშუალებების ხარჯვის შემცირებაში. ეს მაღაზიების სამეურნეო საქმიანობის ანალიზის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად აყენებს მათ მიერ გამოყენებული საქონლის გაყიდვის პროგრესული მეთოდების ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრას.

საქონლის გაყიდვის პროგრესული და ტრადიციული მეთოდით მოვაჭრე მაღაზიების საქალაქო ქსელის შემადგენლობის, მაღაზიების ახალი მეთოდით ვაჭრობის მუშაობის ხანგრძლიობისა და მათი სასაქონლო პროფილის შეცვლის, ახალი ტიპის თვითმომსახურების მაღაზიების, კერძოდ უნივერსამების გახსნითა და სხვა ფაქტორების მიხედვით საქონლის გაყიდვის პროგრესული მეთოდების ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრის შემდეგი ხერხები გამოიყენება: მაღაზიების მუშაობის მაჩვენებლების შედარება; საქონლის გაყიდვის პროგრესულ მეთოდებზე გადასვლამდე და გადასვლის შემდეგ; მაღაზიებისა, რომლე-

ბიუ იყენებენ საქონლის გაყიდვის პროგრესულ მეთოდებს, მაღაზიებთან, რომლებიც იყენებენ გაყიდვის ტრადიციულ მეთოდებს და რომლებიც თვითმომსახურების მაღაზიების ანალოგიურია, თვითმომსახურების მაღაზიებისა და ტრადიციული მეთოდებით გაყიდვის მაღაზიების მუშაობის რამდენიმე წლის მაჩვენებლების ცვლილებების ტემპების შედარება, თვითმომსახურების მაღაზიების მუშაობის მაჩვენებლების (ან მათი ცვლილებების ტემპების) ერთმანეთთან შედარება.

გაყიდვის ახალ მეთოდზე გადაყვანამდე და გადაყვანის შემდეგ სამეურნეო საქმიანობის მაჩვენებლების შედარების გზით თვითმომსახურების მაღაზიების მუშაობის ეფექტიანობის განსაზღვრა მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს იმ შემთხვევაში, როცა მაღაზიების თვითმომსახურების მეთოდზე გადაყვანის შემდეგ არ შეცვლილა მათი ქვეყნური ასორტიმენტი, მუშაობის რეჟიმი და ვაჭრობის კონიუნქტურა, არსებითი ცვლილება არ მომხდარა მათი მოქმედების რაიონის მოსახლეობის შემაღენლობაში და მაღაზიების ქსელის შემადგენლობაში.

საქონლის გაყიდვის პროგრესული მეთოდების ეკონომიკური უპირატესობა უნდა გამოვლინდეს იმ მაღაზიების სამეურნეო საქმიანობის მაჩვენებელთა გაუმჯობესებაში, რომლებიც მათ იყენებენ; იგი მდგომარეობს მაღაზიის ერთ მუშაკსა და სავაჭრო ფართობის ერთ კვადრატულ მეტრზე საქონელბრუნვის ზრდაში, საქონელბრუნვადობის დაჩქარებაში, მიწოქცევის ხარჯების შემცირებაში, რენტაბელობის ამაღლებაში. ამასთან დაკავშირებით ერთმანეთს უნდა შევადაროთ შესაბამისი პერიოდების (თვე, კვარტალი) რიგი ეკონომიკური მაჩვენებლები მაღაზიებისა თვითმომსახურებაზე მათ გადაყვანამდე და გადაყვანის შემდეგ.

თვითმომსახურების დანერგვის დროს მაღაზიების მუშაობის პირობები, როგორც წესი, იცვლება და მათი სამეურნეო საქმიანობის მაჩვენებლები გადაყვანამდე და გადაყვანის შემდეგ შესადარისი არ იქნება. ამიტომ ასეთი მაღაზიების, აგრეთვე თვითმომსახურების ახალი მაღაზიების ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრისათვის გამოიყენება სხვა ხერხები, რომელიც დამყარებულია მათი სამეურნეო საქმიანობის შეპირისპირებაზე იმ მაღაზიების მაჩვენებლებთან, რომლებიც იყენებენ გაყიდვის ტრადიციულ მეთოდებს, ან საქონლის გაყიდვის პროგრესული და ტრადიციული მეთოდებით მოვაჭრე მაღაზიების რიგი წლების მაჩვენებლების ცვლილებების ტემპების შედარებაზე. გაყიდვის პროგრესული მეთოდების ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრის ასეთი ხერხების გამოყენება მოითხოვს თვითმომსახურების მაღაზიებთან შედარებისათვის გაყიდვის ტრადიციული მეთოდებით მოვაჭრე ისეთი მაღაზიების შერჩევას, რომლებიც იმყოფებიან მათთან ანალოგიურ პირობებში ადგილმდებარეობის, მუშაობის რეჟიმის მიხედვით და აქვთ

ანალოგიური ზომის საეაქრო ფართობი და საქონლის ჯგუფური ასორტიმენტი.

დიდ ქალაქებში ერთნაირი სასაქონლო პროფილის მალაზიები, როგორც წესი, ექვემდებარებიან სხვადასხვა საეაქრო ორგანიზაციებს. მაგალითად, უნივერსალური სასურსათო მალაზიები აქვთ სურსათვაქრობებს, გასტრონომვაქრობებს, მუშათა მომარაგების განყოფილებებს. ამ შემთხვევაში მიზანშეწონილია თვითმომსახურების მალაზიების ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება ტრადიციული მეთოდით მოვაქრე-ანალოგიურ მალაზიებთან ერთი საეაქრო ორგანიზაციის, მუშათა მომარაგების განყოფილების ფარგლებში, რათა მათ ქონდეთ სასაქონლო უზრუნველყოფის (საქონელმომარაგების) ერთნაირი პირობები, კერძოდ წინასწარ დაფასოებული საქონლით.

ქალაქის ყველა მალაზიაში თვითმომსახურების დანერგვით მიღებული ეკონომიკური ეფექტის განსაზღვრა ემყარება მალაზიების დაჯგუფებას თვითმომსახურების მალაზიებად და გაყიდვის ტრადიციული მეთოდით მოვაქრე მალაზიებად; ასეთი ორი ჯგუფის მალაზიების ეკონომიკური მაჩვენებლების გაანგარიშებას და შედარებას.

გაყიდვის ტრადიციული მეთოდით მოვაქრე მალაზიების მიმოქცევის ხარჯების საშუალო დონის შესახებ მონაცემები, საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ საეაქრო ხარჯების ეკონომია (მპ), ზოლო საეაქრო ფართობის ერთ კვადრატულ მეტრზე მათი საქონელბრუნვის შედარება სახსრების ეკონომიას (მც) ახალ მალაზიების მშენებლობაზე, ქალაქის მალაზიებში თვითმომსახურების დანერგვის შედეგად.

ასეთი გაანგარიშებანი შეიძლება შესრულებულ იქნეს ფორმულების მიხედვით:

$$m_p = \frac{H_1 - H_2 \cdot T}{100}$$

სადაც H_1 — მიმოქცევის ხარჯების საშუალო დონე მალაზიებისა, რომლებიც იყენებენ გაყიდვის ტრადიციულ მეთოდს, %-ობით საქონელბრუნვასთან;

H_2 — თვითმომსახურების მალაზიების მიმოქცევის ხარჯების საშუალო დონე, %-ობით საქონელბრუნვასთან;

T — თვითმომსახურების მალაზიების იმ პერიოდის საქონელბრუნვა, რომელზედაც იანგარიშება ეკონომია (კვარტალი, წელი), აბ. მან.-ობით.

$$m_c = \frac{(O_2 - O_1) \cdot S \cdot C}{O_1}$$

სადაც O_1 — საქონელბრუნვა საეაქრო ფართობის ერთ კვადრატულ მეტრზე ჩვეულებრივ მალაზიებში, მან.-ობით;

- O₂ — საქონელბრუნვა სავაჭრო ფართობის ერთ კვადრატულ მეტრზე თვითმომსახურების მალაზიებში, მან-ში;
- S — ქალაქის თვითმომსახურების მალაზიების საერთო სავაჭრო ფართობი მ²-ობით.
- C — ჩვეულებრივი მალაზიების სავაჭრო ფართობის ერთი კვადრატული მეტრის მშენებლობისა და მოწყობის საშუალო ღირებულება, მან-ობით.

თვითმომსახურების მალაზიების მუშაობის ეკონომიკური მაჩვენებლების ურთიერთშეპირისპირება (ანდა მათი მაჩვენებლების ცვლილებების ტემპებისა რამოდენიმე წლის მიხედვით) მიზანშეწონილია, როცა საჭიროა განვსაზღვროთ პროგრესული მეთოდებით საქონლის გაყიდვის ეკონომიკური ეფექტიანობა ახალი ტიპის მალაზიებში (მაგალითად, „უნივერსამებში“), ანდა როცა საჭიროა გამოვავლინოთ გამოუყენებელი რეზერვები თვითმომსახურების მალაზიებში მყიდველთა მომსახურებისა და მათი სამეურნეო საქმიანობის მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის.

საქონლის გაყიდვის პროგრესული მეთოდებით მოვაჭრე მალაზიების ქსელის სწრაფი ზრდისა და მათი სხვადასხვა ეფექტიანობის გამო, ასეთი მალაზიების მუშაობის მაჩვენებლების შედარება მათი სამეურნეო საქმიანობისა და მყიდველთა მომსახურების ორგანიზაციის ანალიზის აუცილებელი პირობა უნდა გახდეს.

ურთიერთშედარებისათვის უნდა შევარჩიოთ თვითმომსახურების მალაზიების ანალოგიური ფართობის, ზომის, საქონლის ჯგუფური ასორტიმენტისა და მუშაობის პირობების მქონე მალაზიები.

თვითმომსახურების სხვადასხვა მალაზიების მუშაობის მაჩვენებლების შეპირისპირება ვაჭრობებს, მუშათა მომარაგების განყოფილებებს, საქალაქო, საოლქო, ვაჭრობის სამმართველოებს საშუალებას აძლევთ გამოავლინონ ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდის უდიდესი რეზერვების მქონე მალაზიები და დააწესონ მათთვის საქონელბრუნვისა და მოგების უფრო დაძაბული საგეგმო დავალება. ამასთან ერთად თვითმომსახურების ცალკეული მალაზიების არასაკმარისი ეკონომიკური ეფექტიანობის შიზეზების დადგენა მოითხოვს, რომ ეკონომიკურთან ერთად შედარებულ იქნეს მუშაობის, პირობების მიხედვით თვითმომსახურების ერთნაირი მალაზიების ტექნოლოგიური მონაცემები: მოწყობილობების დასაყენებელი და სადემონსტრაციო ფართობის კოეფიციენტები; საქონლის მარაგები სავაჭრო დარბაზში დღეებში საქონელბრუნვასთან და პროცენტებში მალაზიის საერთო სასაქონლო მარაგთან სავაჭრო დარბაზის ფართობის სიდიდე, რომელიც მოდის მოლარე-კონტროლიორის ერთ კაბინაზე; საქონლის ნაირსახეობისა და დასახელებების რაოდენობა და ზოგი სხვა.

ეფექტიანობა მალაზიებისა, რომლებიც საქონლის გაყიდვის პროგრესულ მეთოდებს იყენებენ, უშუალოდაა დამოკიდებული საქონლის შექნაზე მყიდველთა დროის შემცირების დონეზე. ამიტომ თვითმომსახურების მოწინავე და ჩამორჩენილი მალაზიების ტექნოლოგიური შაჩვენებლების ანალიზი უნდა შეიქმნოს ერთი ყიდვის განხორციელებაზე მყიდველთა საშუალო დროის ხარჯვის ქრონომეტრიული ჩანაზომების მონაცემებით, რომელნიც დიფერენცირებული იქნება გაყიდვის პროგრესის ძირითადი ოპერაციების მიხედვით; დროის დახარჯვა საქონლის ძებნაზე სავაჭრო დარბაზში, საქონლის დათვალიერებაზე, გადარჩევასა და ამორჩევაზე, კონსულტაციაზე, ანგარიშის გასწორებაზე, ნაყიდობის შეფუთვაზე და გაცემაზე.

თვითმომსახურების ეკონომიკური ეფექტიანობის გამოვლინება, ახალ ტიპურ მალაზიებში (მაგალითად, სსრკ ვაჭრობის სამინისტროს „გეპროტორგის“ ტიპური პროექტების მიხედვით აშენებულ „უნივერსამებში“), შოთხოვს არა მარტო ერთ ქალაქში, არამედ, ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში მდებარე ასეთი მალაზიების მუშაობის ეკონომიკური, ტექნოლოგიური და სოციალური მაჩვენებლების შედარებას.

§ 5. მყიდველთა დამატებითი მომსახურების ორგანიზაცია

თანამედროვე პირობებში საცალო სავაჭრო ორგანიზაციებისა და საწარმოების საქმიანობა სულ უფრო მეტად უნდა იყოს მიმართული მყიდველთა მომსახურების გაუმჯობესების მოსახლეობისადმი გაწეული მომსახურების ინტენსიური განვითარებისა და სრულყოფისაკენ.

ამის ობიექტური აუცილებლობა შეპირობებულია შრომის საზოგადოებრივი განაწილების სისტემაში ვაჭრობის დანიშნულებით და საბჭოთა ხალხის მატერიალური და კულტურული დონის სწრაფი ზრდით. შიმოქცევის სფეროში წარმოების პროცესის გაგრძელების ოპერაციების (საქონლის შენახვა, დაფასოება, შეფუთვა, დახარისხება) არსებობის მიუხედავად ვაჭრობის ძირითადი ფუნქციები დაკავშირებულია საქონლის ღირებულების ფორმის ცვლასთან, ე. ი. მყიდველთა მოთხოვნის დაკმაყოფილებისა და მომსახურების ორგანიზაციასთან, საქონლის გაყიდვის დროს მომსახურების გაწევასთან.

საქონლის გაყიდვის და მყიდველთა მომსახურების პროცესში თავისი მნიშვნელობის მიხედვით მომსახურება საცალო ვაჭრობაში შეიძლება დაეყოთ სამ ჯგუფად: ძირითადი, თანმსლები და დამატებითი.

ძირითადი მომსახურება უშუალოდ დაკავშირებულია საქონლის ყიდვა-გაყიდვის პროცესთან. ასეთი მომსახურების გაწევა მყიდველებს უქმნის საუკეთესო პირობებს და მაქსიმალურ მოხერხებულობას საქონლის ყიდვის განხორციელებისათვის დროის მინიმალური დახარჯვით.

ძირითადი მომსახურების გაწევის სრულყოფა მოითხოვს მალაზიე-

ზის ქსელის განვითარებას და გამსხვილებას, მათი ტექნიკური აღჭურვის დონის ამაღლებას, მაღაზიებში საქონლის გაყიდვის პროგრესული შეთოდებისა და მაღაზიის გარეთ საქონლის გაყიდვის ფორმების ფართო გამოყენებას, საეკპრო რეკლამის გაუმჯობესებას, საქონლის სარგებლობისა და წესის შესახებ მყიდველთათვის სპეციალისტების, აგრეთვე ექიმების — დიეტოლოგებისა, კოსმეტოლოგებისა და ა. შ. კონსულტაციას.

მაღაზიებში გასაყიდ საქონელთან დამოკიდებულების მიხედვით მომსახურებას ყოფენ თანმხლებად, რომელსაც უწევენ საქონლის ყიდვასთან დაკავშირებით და რომელსაც მიზნად აქვს გაათავისუფლოს მყიდველები ზედმეტი შრომისა და დროის ხარჯვისაგან საქონლის მიტანაზე, მათ წერილმან გადაეცემა და რემონტზე, მომზადებისაგან ტრანსპორტირებისათვის, მოხმარებისათვის და ა. შ. და დამატებითად, რომელიც უშუალოდ საქონლის ყიდვასთან არ არის დაკავშირებული და მიმართულია მაღაზიებში შემსვლელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებაზე.

ჩარდენობა და სახეები თანმხლები მომსახურებისა, რომელიც უნდა გაეწიოს მყიდველებს მაღაზიაში, უშუალოდ საქონლის ასორტიმენტზე და საეკპრო ფართობის სიდიდეზეა დამოკიდებული. თანმხლები მომსახურების ვაწევა უფრო ფართოდ ხდება არასასურსათო საქონლის გაყიდვისას მსხვილ უნივერსალებში. საქონლის შინ მიტანა, შეკვეთის მიღება საქონელზე, რომელიც დროებით გაყიდვაში არ არის და არასტანდარტულ ზომებზე; წერილმანი რემონტი, ქსოვილის გამოჭრა, თავსამკაულისა და ფეხსაცმლის გაწევა; საათებზე სამაჯურების მიმაგრება; თხილაშურებზე სამაგრების დაყენება: ტექნიკურად რთული ნაწარმის დაყენება ბინაში; ფოტოსურათების გამომქლავებაზე და ბეჭდვაზე შეკვეთის მიღება; შეფუთვის მაგიდის ორგანიზაცია და ზოგი სხვა.

უფრო დიდ უნივერსალებში აქვთ სადემონსტრაციო დარბაზები, სადაც რეგულარულად ტარდება ახალი მოდელის ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის დემონსტრაციის სეანსები.

პატარა უნივერსალებში, კომპლექსურ და სპეციალიზებულ არასასურსათო მაღაზიებში, თანმხლები მომსახურების წრე მნიშვნელოვნად უფრო ვიწროა, ხოლო მათი ხასიათი დამოკიდებულია მაღაზიის სასაქონლო პროფილზე. მაღაზიებში, რომლებიც ვაჭრობენ ტელევიზორებით, რადიომიმღებებით, სარეცხი მანქანებით ორგანიზებულია ამ საქონლის გაყიდვა მოძველებული მოდელების ანალოგიურ ნაწარმზე გაცვლით, ჩაბარებული ნაწარმის ღირებულების ჩათვლით ახლის ღირებულების ანგარიშში. იმის გათვალისწინებით, რომ ტექნიკურად რთული ნაწარმის პარკი მოსახლეობას განუწყვეტლივ ეზრდება და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის პირობებში საქირობს პერიოდულ განახლებას, ასეთმა მომსახურებამ ფართო განვითარება უნდა მიიღოს.

სასურსათო მალაზიებში თანმხლები მომსახურების რაოდენობა შედარებით მცირეა. უფრო გავრცელებულ მათგანს წარმოადგენს: შეფუთვის მაგიდის ორგანიზაცია, ცალკეული პროდუქტების დანაწილება და პირველადი დამუშავება (ხორცის ფარშის მომზადება, ყავის მარცვლის დაფქვა და ა. შ.); შემკრები სალაროების მოწყობა; მყიდველთა დაკვეთით სასაჩუქრო ნაკრებების დაკომპლექტება.

თანმხლები მომსახურება შეიძლება იყოს ფასიანი და უფასო. ამჟამად ასეთ მომსახურებას მყიდველებს უმეტესად უფასოდ უწევენ. პერსპექტივაში უფასო მომსახურების წრე გაფართოვდება.

დამატებითი სამსახურის გაწევა უზრუნველყოფს მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებას და დაკავშირებულია მალაზიებში კაფეტერიებისა და ბუფეტების, შემნახველი და თეატრალური სალაროების, კავშირგაბმულობის განყოფილებების, საბავშვო ოთახების, ნივთების დროებით შესანახი კამერების, საქალაქო ცნობათა ბიუროებისა და ა. შ. ორგანიზაციასთან.

კომპლექსში ასეთი სამსახური მყიდველებს უნდა გაუწიონ მხოლოდ მსხვილმა უნივერსალებმა, ხოლო ზოგიერთი მათგანი პატარა უნივერსალებმა და მსხვილმა სპეციალიზებულმა სასურსათო და არასასურსათო მალაზიებმა.

საცალო სავაჭრო საწარმოების საქმიანობა, საქონლის გაყიდვისა და მყიდველთა მომსახურების დარგში, რეგლამენტირდება (წესრიგდება) მალაზიის მუშაობის ძირითადი წესებით, რომელიც დამტკიცებულია სახელმწიფო ვაჭრობის მალაზიებისათვის მოკავშირე რესპუბლიკების ვაჭრობის სამინისტროების მიერ, ხოლო სამომხმარებლო კოოპერაციის მალაზიებისათვის რესპუბლიკური სამომხმარებლო კავშირების მიერ. ამ წესების დაცვა ვაჭრობის კულტურის უზრუნველყოფის აუცილებელ პირობას წარმოადგენს და ძირითადად შემდეგში მდგომარეობს.

ჩველა საქონელი მოსახლეობას მიეყიდება თანაბარ პირობებში ნაღდ ანგარიშზე მალაზიის მუშაობის დღეებსა და საათებში, გარდაღვინო-არაყის ნაწარმისა, რომლის გაყიდვის დროც რეგლამენტირებულია განსაკუთრებით. სპირტიანი სასმელებით ვაჭრობის უფლებაზე მალაზიებს უნდა ჰქონდეთ სახალხო დეპუტატების სარაიონო, საქალაქო აღმასკომების ნებართვა. საქონლის გაცემა უნდა წარმოებდეს სუფთა წონითა და სრული ზომით. მყიდველებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა შეამოწმონ მათზე მიყიდული საქონლის მასისა და ზომის სისწორე. ამასთან დაკავშირებით მალაზიების სავაჭრო დარბაზებში უნდა იყოს საკონტროლო სასწორები და საკონტროლო მეტრები. სპირტიანი სასმელების, ლუდის, თაჭბაქოს ნაწარმის, სათამაშო ბანქოს არასრულწლოვანზე მიყიდვა აკრძალულია.

გასტრონომიული, ფხვიერი, სამეტრეო და საცალო საქონელი,

რომელთაც არ აქვს საფაბრიკო შეფუთვა, მყიდველებზე უნდა გაიცეს ქალაქში, პარკებში ან საქონლის თვისებების შესაბამის სხვა შეფუთვაში. მყიდველის თხოვნით გამყიდველი ვალდებულია დაუჭიროს გასტრონომიული საქონელი.

თვითმომსახურების სასურსათო მაღაზიებში (გარდა პურისა და ბოსტნეულის სპეციალიზებული მაღაზიებისა) მყიდველებმა საქონელი უნდა აარჩიონ საინვენტარო კალათებში ან ურიკებზე. თვითმომსახურების არასასურსათო მაღაზიებში საინვენტარო ტარა გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ საგალანტერიო, სამეურნეო-საოჯახო, პარფიუმერიის, წინდა-თათმანის, სასკოლო-საწერი და ზოგიერთი ცალკეული საქონლის არჩევის დროს. თვითმომსახურების მაღაზიების მუშაკებს ეკრძალებათ მოსთხოვონ მყიდველებს სავაჭრო დარბაზში შესვლისას სხვა მაღაზიებში ნაყიდი საქონლის წარდგენა და მათზე შტამპებისა და აღნიშვნების გაკეთება. აკრძალულია ვაიძულოთ მყიდველები დატოვონ ნივთები თვითმომსახურების სავაჭრო დარბაზში შესვლისას. მაგრამ იმ შემთხვევაში თუ მყიდველს აქვს ამის სურვილი, მაღაზია ვალდებულია უზრუნველყოს ნივთების დაცვა. თვითმომსახურების მაღაზიებში მოლარე-კონტროლიორებმა მყიდველებთან ანგარიშსწორების დროს უნდა მისცენ მათ სალაროს ჩეკი, რომელიც ადასტურებს საქონლის ყიდვას მოცემულ მაღაზიაში და რომელიც სასაქონლო რბილ ჩეკს ცვლის.

არასასურსათო მაღაზიებში მყიდველების მიერ შერჩეული საქონელი ნებადართულია შენახულ იქნეს კონტროლში მათი ღირებულების გადახდამდე 30 წუთის განმავლობაში. მაღაზიის ადმინისტრაციის ნებართვით ასეთი საქონლის შენახვის დრო შეიძლება გაგრძელდეს 2 საათით.

დიდგაბარტიანი და მძიმე არასასურსათო საქონელი, რომელიც მყიდველებმა შეიძინეს (გადაიხადეს ღირებულება), მაღაზიაში შესანახად შეიძლება დატოვებულ იქნეს არაუმეტეს ერთი დღე-ღამისა. ამ შემთხვევაში ისინი ინახება გაუყიდავი საქონლიდან განცალკევებით. მყიდველებს ეძლევათ ქვითარი, რომლის წარდგენისას საქონელს მიიღებენ.

**მაღაზიაში სავაჭრო-ტექნოლოგიური
პროცესების ორგანიზაცია
მაღაზიების დაპროექტების საფუძვლები**

§ 1. მაღაზიაში სავაჭრო-ტექნოლოგიური პროცესის შინაარსი

„ტექნოლოგია“¹, ამ სიტყვის ფართო გაგებით, მატერიის, ნედლეულის, ნახევარფაბრიკატების, ნაწარმის, ტვირთების და ა. შ. დამუშავების (ან გადამუშავების) სხვადასხვა ხერხებისა და პროცესების შესახებ ცოდნის ერთობლიობაა.

სავაჭრო-ტექნოლოგიური პროცესი მაღაზიაში წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებული თანმიმდევრული ოპერაციების ერთობლიობას, რომლის მიზანია შეუნარჩუნოს საქონელს სამომხმარებლო თვისებები, მისი სასაქონლო სახე და დაიყვანოს საბოლოო მომხმარებლამდე შრომის უმცირესი დანახარჯებით მომსახურების მაღალი დონის პირობებში.

ეს პროცესი ადგენს და ერთიანად აკავშირებს საქონლის დამუშავების ყველა ოპერაციის შინაარსს, ხანგრძლივობას, ადგილს, დროს და წესს (თანმიმდევრობას), მაღაზიაში საქონლის შემოტანიდან მყიდველის მიერ მის შექენამდე.

მაღაზიაში სავაჭრო-ტექნოლოგიური პროცესის ეფექტიანობა და მოკიდებულია ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებაზე, გაყიდვის პროგრესული მეთოდების დანერგვაზე, ვაჭრობაში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევებზე. შრომატევადი ოპერაციების მექანიზაცია და ავტომატიზაცია, თანამედროვე სავაჭრო მოწყობილობების შექმნა ხელს უწყობს საქონლის გადაადგილებას, შენახვას და გაყიდვაზე შრომითი დანახარჯების, სასაქონლო დანაკარგების შემცირებას. ვაჭრობაში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევების გამოყენება საშუალებას იძლევა ავამაღლოთ მყიდველთა მომსახურების დონე, შევამსუბუქოთ ვაჭრობის მუშაკთა შრომა, გავაუმჯობესოთ

1. სიტვა-სიტყვით ბერძნულად — მეცნიერება ხელობაზე.

მისი საინტარულო-ტექნოლოგიური და ჰიგიენური პირობები, ხელი შეეწყნოთ შრომის ეფექტიანობის ზრდას ვაჭრობაში.


სავაჭრო-ტექნოლოგიური პროცესი მაღაზიაში ცალკეული ოპერაციებისაგან შედგება. ოპერაცია ეწოდება ამ პროცესის ერთგვარ ნაწილს, შესრულებულს ერთი ან რამდენიმე მუშაკის მიერ, რომლებიც ახორციელებენ გარკვეულ მოქმედებას შრომის საგანზე ერთ სამუშაო ადგილზე, ერთი და იმავე მოწყობილობაზე. მაღაზიის სავაჭრო-ტექნოლოგიურ პროცესში გამოიყოფა სასაქონლო ნაკადის გადაადგილებისა და დამუშავების ოპერაციები, რომელშიც შედის მოსული საქონლის გადმოტვირთვა მაღაზიის რამპაზე, რაოდენობრივი და ხარისხობრივი მიღება, გადაადგილება შენახვის ადგილზე, შენახვა, გაყიდვისათვის გამზადება, სავაჭრო დარბაზში მიტანა, სავაჭრო დარბაზში გამოლაგება. გარდა ამისა, გამოიყოფა გაყიდვისა და სავაჭრო მომსახურების ტექნოლოგიური ოპერაციები: სალაროს ოპერაციები, საქონლის შეფუთვა, სახლში მიტანა და სხვა. (იხ. გვ. 191).

სავაჭრო-ტექნოლოგიური პროცესის სრულყოფა დაკავშირებულია მის მექანიზაციასთან. პირველ რიგში მექანიზებულ, ხოლო შემდეგ ავტომატიზებულ უნდა იქნეს უფრო შრომატევადი ოპერაციები: საქონლის გადმოტვირთვა და გადაადგილება, გასაყიდად გამზადება (დახარისხება, დაფასობა, დაკრა). მექანიზმების გამოყენებას ხელს უწყობს მასობრიობა, ერთგვარობა, განმეორებითობა, რაც ამ ოპერაციების დაძახასიათებელია.

სავაჭრო-ტექნოლოგიური პროცესის ორგანიზაცია დაკავშირებულია საქონელმომარაგების სისტემასა და სასაქონლო მარაგების ფორმირების პირობებთან. რაციონალურად ორგანიზებული საქონელმომარაგება საშუალებას იძლევა სავაჭრო-ტექნოლოგიური პროცესიდან გამოირიცხოს ცალკეული ოპერაციები.

მაგალითად, თუ მაღაზია დაფასობებულ საქონელს ღებულობს, სავაჭრო-ტექნოლოგიური პროცესიდან ამოვარდება გასაყიდად საქონლის გამზადების ოპერაციები.

სავაჭრო-ტექნოლოგიური პროცესის ოპტიმიზაციას ბევრად უწყობს ხელს აგრეთვე ტარა-მოწყობილობის დანერგვა. მომარაგების ასეთი სისტემის დროს მრეწველობის საწარმოში, საბითუმო ბაზაში სამომხმარებლო შეფუთვით საქონელს აწარმოებენ სპეციალიზებულ ტარა-მოწყობილობაში კონტეინერებში, ურიკაზე, პოდონებზე, რომელსაც შემდეგ მიიტანენ, როგორც წესი, უშუალოდ თვითმომსახურების მაღაზიების სავაჭრო დარბაზში. საქონლის მიტანისა და გაყიდვის ასეთი სისტემის დანერგვა საშუალებას იძლევა მიმწოდებლებიდან მაღაზიის სავაჭრო დარბაზამდე გზაზე აღმოვეხვრათ ზედმეტი რგოლები, სრულყოფით საქონელმომარაგების ორგანიზაცია, მაქსიმალურად მექანიზდეს დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოები, გამოვითიშოთ საქონლის გა-



საეპრო-ტექნოლოგიური პროცესის ოპერაციების სტრუქტურა და თანმიმდევრობა თვითმომსახურების მალაზიაში.

ამზადდებელი სამუშაოები მაღაზიებში, შევამცირეთ შრომატევად ოპერაციებზე დაკავებული მუშაკების რაოდენობა, გავუშუქობესოთ მაღაზიის სავაჭრო ფართობის გამოყენება.

ბაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ სავაჭრო ქსელი მოიცავს უამრავ პატარა მაღაზიებსაც. აქ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ე. წ. მცირე მექანიზაციის საშუალებათა დანერგვას.

ტექნოლოგიური ოპერაციების თანმიმდევრობის დაცვისათვის, მათ განსახორციელებლად შრომისა და დროის დანახარჯის ეკონომიისათვის გამოიყენება გადმოტვირთვის ადგილიდან სავაჭრო დარბაზამდე ტვირთნაკადების მოძრაობის ტექნოლოგიური რუქა-სქემები, რაც საშუალებას იძლევა დამუშავდეს მაღაზიის შიგნით საქონლის გადაადგილებისა და სამუშაო ძალის გამოყენების ოპტიმალური ვარიანტი.

ასეთი სქემების გამოყენება განსაკუთრებით აუცილებელია მრავალრიცხოვანი მომწოდებლებისაგან შემოსული საქონლის ფართო ასორტიმენტის მქონე დიდ მაღაზიებში.

სატრანსპორტო საშუალებებიდან საქონლის გადმოტვირთვა და მიღება წარმოადგენს მაღაზიაში სავაჭრო ტექნოლოგიური პროცესის საწყის ოპერაციას. მათი სირთულე და ხანგრძლივობა დამოკიდებულია საქონლის ფიზიკურ-ქიმიურ თვისებებზე, მათ გაბარიტზე, ასევე მაღაზიის ფართობის სიდიდეზე და მისი საქონელბრუნვის მოცულობაზე.

*პატარა მაღაზიებში საქონლის გადმოტვირთვა ხორციელდება სპეციალურ მოედანზე. საქონელი, რომელსაც გაყიდვის მინიმალური ვადები აქვს, მიიღება უშუალოდ შესანახ კამერებში. დიდ მაღაზიებში საქონლის გადმოტვირთვა ხორციელდება ბაქანსა და დებარკადერებზე (დახურულ მოედნებზე), ხოლო მიღება-სპეციალურ სათავსებში. გადმოსატვირთავ ბაქნებსა და საქონლის მიღების, შენახვის და გასაყიდად გამზადებისათვის საჭირო სათავსებს შორის კავშირის საუკეთესო სქემას წარმოადგენს ამ სათავსების განლაგება ერთ ჰორიზონტალზე, რაც სატირთო ურიკების, ელექტროკარების შეუფერხებელ მოძრაობას უზრუნველყოფს.

ტარა-მოწყობილობების გამოყენებით სავაჭრო-ტექნოლოგიური პროცესის ორგანიზაციის დროს გადმოსატვირთავი რამები თავსდება ავტომანქანის ძარის დონეზე. კონტეინერებს საქონლით გადმოტვირთავენ ბაქანზე ელექტროდამტვირთავების ან გამოსაწევიანგლიანი ურიკის დახმარებით და მიაქვთ შესანახ ადგილას ან უშუალოდ სავაჭრო დარბაზში.

საქონლის მიღება წარმოადგენს აუცილებელ ოპერაციას მაღაზიაში. იგი ხორციელდება თანმიმდევრულად და საქონლის გადმოტვირთვასთან ერთდროულად. მიღების ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს საქონლის გავლა მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში მცირე დანაკარგებით და მისი ზარისხის სრული შენარჩუნებით. მნიშვნელოვანწილად ეს

დამოკიდებულია მომწოდებლის მიერ საქონლის გასაგზავნად გამზადებაზე, მისი დატვირთვის ორგანიზაციაზე, დოკუმენტაციის გაფორმებაზე. შიშვლოდებელი ვალდებულია გაგზავნოს საქონელი გასაყიდად მაქსიმალურად გამზადებული, გადახარისხებული და შეფუთული სახით. შიშვლოდებლის ვალდებულებაში შედის აგრეთვე სატრანსპორტო ტარაში საქონლის ჩაწყობა იმ ანგარიშით, რომ მიმღებს გაუადვილდეს სატრანსპორტო საშუალების განტვირთვა.

საქონლის მიღება რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით, მათი კომპლექსურობისა და ხარისხის, თანხლებ დოკუმენტებთან ფასების შესაბამისობის სისწორის შემოწმება, დანაკლისის, არაკეთილხარისხოვნების, საქონლის დაბალხარისხიანობისა ან მარკირების ნაკლოვანებების აქტირება, პრეტენზიების შედგენა და მომწოდებლებისადმი წარდგენა წარმოებს მიწოდების განსაკუთრებული პირობებით, ინსტრუქციებით „საწარმო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციისა და სახალხო მოხმარების საქონლის რაოდენობრივად მიღების შესახებ“ და „საწარმო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციისა და სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხობრივად მიღების შესახებ“, რომლებიც სსრკ მიინსტრატა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის მიერ არის დამტკიცებული, აგრეთვე სტანდარტებით, ტექნიკური პირობებით, ხელშეკრულებებით და სხვა ნორმატიული აქტებით.

მალაზიაში მისულ საქონელს იღებენ და შემოსავალში შეაქვთ მატერიალურად პასუხისმგებელ პირებს. შიიღება და შემოსავალში შეიტანება მხოლოდ კეთილხარისხოვანი საქონელი, რომელიც პასუხობს სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების მოთხოვნებს. გადასაზიდი საშუალებების მთლიანობის დარღვევა, რომელმაც გამოიწვია დანაკლისი ან მასში მოთავსებული საქონლის ხარისხის გაუარესება, უნდა ფიქსირებულ იქნეს მალაზიის მიერ და გამოიყენება იმ ავტორიტარსპორტის ორგანიზაციის პასუხისგებაში მიცემისათვის, რომელმაც საქონელი მიიტანა. დაპლომბილი კონტეინერები მათი მთლიანობისა და პლომბის არსებობის შემთხვევაში მიიღება შიგთავსის შეუმოწმებლად. კონტეინერების დაზიანების შემთხვევაში მათში მოთავსებული საქონლის რაოდენობა მოწმდება.

ტარა-მოწყობილობით მიტანილი არასასურსათო საქონლის რაოდენობა მოწმდება დათვლით.

მიღების დროს ტარა-მოწყობილობაში მოთავსებული სასურსათო საქონლის მთლიანი რაოდენობის ზუსტი განსაზღვრისათვის რეკომენდებულია მათი ხელახალი აწონვა საქონლის გაყიდვის შემდეგ. ამასთან მიზანშეწონილია სასურსათო საქონლის მიღების ვადები მისი გაყიდვის ვადებთან თანაბრად დადგინდეს. ტარა-მოწყობილობით საქონლის პროგრესული მიტანისას, საქონლის ამოღების დაუშვებლობა რა-

— ლენობრივი მიღების დროს ათავისუფლებს მაღაზიებს ტარა-მოწყობილობაში მოთავსებული საქონლის ხარისხის შემოწმებისაგან.

იმ საქონლის ხარისხი, რომელიც მიიტანება ტარა-მოწყობილობით, მოწმდება, როგორც წესი, ცენტრალიზებულად ზემდგომი ორგანიზაციების მიერ საქონლის პარტიის ფორმირების ადგილებში. ზოგიერთ შემთხვევაში მიძწოდებლის მიერ ტარა-მოწყობილობით მოტანილი საქონლის ხარისხს მაღაზიები თვითონ ამოწმებენ.

საქონლის მიღების დროს რაოდენობის, ხარისხის ან ხელშეკრულების სხვა პირობების დარღვევის გამოყენებას, თუ იგი აღიარებულია მიძწოდებლის მიერ ან დადგენილია არბიტრაჟის მიერ, თან სდევს მიძწოდებლის ქონებრივი ან სხვა პასუხისმგებლობა.

— მაღაზიაში საქონლის სწორი შენახვის ორგანიზაცია მოითხოვს მის ოპტიმალურ მოთავსებასა და დალაგებას.

მაღაზიაში შენახვის დროს საქონლის ყოველი სახისათვის განკუთვნილია მუდმივი ადგილი მისი გაბარების, გაყიდვის რიგითობის, დამუშავების შრომატევადობისა და სავაჭრო დარბაზში გადაადგილების პირობების გათვალისწინებით. შენახვის მუდმივი ადგილები პირობითად აღნიშნულია ასოებითა და ციფრებით. შენახვის ნორმალური რეჟიმის შექმნისათვის სასურსათო მაღაზიებში გათვალისწინებულია სამაცივრო აგრეგატებით აღჭურვილი სპეციალური სათავეები.

პერსპექტივაში, საქონლმომარაგების სისტემის ოპტიმიზაცია, მწარმოებლიდან მომხმარებლამდე ტარა-მოწყობილობით საქონლის ტრანსპორტირების ორგანიზაცია საშუალებას მოგვცემს მნიშვნელოვნად შევამციროთ საქონლის შენახვის ვადები და, მაშასადამე, მაღაზიებში საკუჭნაოთა ფართობი. უნივერსამებში ტარა-მოწყობილობის გამოყენება საშუალებას იძლევა 40-60%-მდე შემცირდეს საკუჭნაოთა ფართობი და შესაბამისად გაიზარდოს სავაჭრო დარბაზების ფართობი. დიდ ეკონომიკურ ეფექტს იძლევა კონტეინერებით საქონლის შიტანისა და გაყიდვის გამოყენება: მცირდება მაღაზიის მუშაკების დროისა და შრომის ხარჯვა (7-ჯერ და უფრო მეტად), ჩქარდება საქონელბრუნვადობა, მცირდება სასაქონლო მარაგი.

მაღაზიაში საქონლის მუდმივი ასორტიმენტის შენარჩუნებისათვის კონტეინერების რაოდენობა ყოველი სასაქონლო ჯგუფის მიხედვით განისაზღვრება ასე:

$$Q = \frac{K}{E} N,$$

სადაც Q — არის აუცილებელი რაოდენობა კონტეინერებისა;

K — საქონლის გაყიდვა დღეში, კგ-ობით;

E — ერთი კონტეინერის ტევადობა, კგ-ობით;

N — ნორმატივი სასაქონლო მარაგები, კგ-ობით.

ჩამოთვლილი პირობების შესრულება საშუალებას გვაძლევს მაღაზიის საერთო სასაქონლო მარაგების 80 პროცენტს თავი მოვუყაროთ სავაჭრო დარბაზში. მაღაზიის სასაწყობო სათავსებში კი უნდა ინახებოდეს საქონლის საგარანტიო მარაგი, არამყარი მოთხოვნის საქონელი, ანდა საქონელი მიწოდების შეზღუდული ვადებით, აგრეთვე საქონელი, რომლის შენახვაც საუქუნაოებში უფრო ეკონომიკურია.

საქონლის გასაყიდად გამზადებაში შედის გახსნის, დახარისხების, გაწმენდის, დაფასოების, შეფუთვის, ნიშანდების ოპერაციები. იმასთან დაკავშირებით, რომ უმეტესობა ჩამოთვლილი ოპერაციებისა ატარებს საწარმოო ხასიათს, თანამედროვე პირობებში ისინი გადაეცემა მრეწველობის საწარმოებს ან სავაჭრო საწყობებს. საქონლის გასაყიდად გამზადების ოპერაციების ასეთი ცენტრალიზაცია საშუალებას იძლევა გამოვიყენოთ მაღალეფექტიანი მოწყობილობა, უფრო რაციონალურად მოვიხმაროთ ფართობი, შრომითი და მატერიალური რესურსები.

საქონლის გასაყიდად გამზადების ოპერაციების მაქსიმალური შემცირება თვითმომსახურების მაღაზიისათვის წარმოადგენს აუცილებელ პირობას, ხოლო გაყიდვის ტრადიციული მეთოდით მოვაჭრე მაღაზიებისათვის შრომის ნაყოფიერების ამაღლების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს.

გასაყიდად საქონლის გამზადების ოპერაციების შემადგენლობა, დრო და ადგილი რეგლამენტირდება სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს მიერ დამტკიცებული საქონლით საცალო ვაჭრობის წესებით. ამ წესების შესაბამისად ყველა საქონლისათვის, რომელიც იყიდება თვითმომსახურების მეთოდით (გარდა საქონლის გაყიდვისა ტარა-მოწყობილობიდან) და გამყიდველის დახმარებით, საერთო მოსამზადებელ ოპერაციებს წარმოადგენს მისი გახსნა, დახარისხება, გაწმენდა, სავაჭრო დარბაზში მიტანა და გამოლაგება.

სასურსათო ვაჭრობაში დიდი მნიშვნელობა აქვს საქონლის დაფასოების ორგანიზაციას. სასურსათო საქონლის ძირითადი ნაწილის დაფასოება უნდა მოხდეს მრეწველობის საწარმოთა მიერ, სპეციალური დამფასოებელი საამქროებისა და ფაბრიკების მიერ ვაჭრობის სისტემაში. ეს იძლევა მნიშვნელოვან ეკონომიკურ ეფექტს (ხარჯები მცირდება 15-30%-ით), მაგრამ მიუხედავად დაფასოებულის და შეფუთული საქონლის გამოშვების გადიდებისა, საქონლის უმეტესი ნაწილი ამჟამად სავაჭრო ქსელში შედის გაყიდვისათვის გაუმზადებელი, რაც მოითხოვს მაღაზიებში დაფასოების ორგანიზაციას.

მაღაზიებში დაფასოების პროცესის სწორი ორგანიზაცია ითვალისწინებს სამუშაო ადგილის რაციონალურ ორგანიზაციას, დამფასოებლებს შორის შრომის მიზანშეწონილ განაწილებას, მოწყობილობებისა და სპეციალური სამარჯვების გამოყენებას. მოწყობილობებისა და სამუშაო ადგილების განლაგებამ უნდა უზრუნველყოს დაფასოების

განუწყვეტელი პროცესი და ხელი შეუწყოს საქონლის, ტარის, შესაფუთი მასალების მოძრაობის გზების შემცირებას. საქონლის დაფასოებისათვის მაღაზიებში ითვალისწინებენ სპეციალურ სათავსებს, უკეთესია თუ ისინი სავაჭრო დარბაზთან მომიჯნავედ მოთავსდება. მათ, შემდგომში მაღაზიის მთლიანად დაფასოებულნი საქონლით მომარაგებაზე გადასვლის დროს, სავაჭრო ფართობის რეზერვად თვლიან.

დაფასოებული საქონლის ნიშანდება შემდეგ მონაცემებს უნდა შეიცავდეს: მასას, ერთი კილოგრამის ფასს, აწონილის ღირებულებას, დაფასოების თარიღს, დამფასოებლისა და მაღაზიის ნომერს. დაფასოების ეფექტურობა და მყიდველთა მოთხოვნის დაკმაყოფილება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია სხვადასხვა საქონლის წონის სიდიდის სწორ არჩევასა და გაცემის რაოდენობის მიხედვით წონითი ერთეულების ოპტიმალური თანაშეფარდების განსაზღვრაზე. მაგალითად, ხორცის პროდუქტები რეკომენდებულია დაფასოდეს შემდეგი თანაფარდობით: 0,5 კგ. — 15 პროც. 0,7 კგ. — 30 პროც. 1 კგ. — 55 პროც. ყველი — 0, 1კგ. — 15 პროც. 0,2 კგ. — 40 პროც. 93 კგ. — 35 პროც. 0,5 კგ. — 10 პროც. მითითებული პროპორციით რეკომენდებული დოზირების დაცვა საშუალებას მოგვცემს არა მარტო დეაკმაყოფილოთ მყიდველთა მოთხოვნა, არამედ ავამალოთ მაღაზიის გამტარუნარიანობა, თვითმომსახურების ეფექტურობა.

არასასურსათო საქონლის გასაყიდად გამზადება მდგომარეობს ხარისხის საერთო შემოწმებაში, ნაწარმის აწყობასა ან მონტაჟში, წვრილმანი დეფექტების მოცილებაში, გაწმენდაში, დაუთობებაში, გადახვევაში, დაფასობასა და სხვა.

ტარა-მოწყობილობების გამოყენებით, საქონლის მიტანისა და გაყიდვის დროს, მაღაზიებში ტარდება შემდეგი სახის მოსამზადებელი სამუშაო: საქონლის მიღება სხვა ტარაში გადატანის გარეშე, ტარა-მოწყობილობის მიტანა სავაჭრო დარბაზში, კონტეინერების გახსნა, საფასარის მიმაგრება.

შრომატევად ოპერაციებს, რომელიც მოითხოვს ხელით შრომის დიდ ხარჯს, მიეკუთვნება საქონლის მიტანა სავაჭრო დარბაზში და მაღაზიის შიგნით გადაადგილება. ამ სამუშაოების შესრულებაზე, მაგალითად უნივერსამებში ჩაბმულია მუშაკების მნიშვნელოვანი რაოდენობა (მთლიანი რაოდენობის 25%-მდე). ამასთან, მაგალითად ერთი ტონა საქონლის გადმოტვირთვისას და მისი გადაადგილებისათვის იხარჯება 6 კაც/საათი. ერთი მუშა 20 მეტრამდე მანძილზე ტვირთის გადაადგილების დროს ამუშაებს დღეში დაახლოების 9 ტონა ტვირთს.

ამ ოპერაციების მექანიზაცია, თვით სხვადასხვა კონსტრუქციის ხელის ურიკების გამოყენებაც კი საშუალებას მოგვცემს მნიშვნელოვნად შევამციროთ ხელით შრომის ხარჯვა. მაგალითად, 200 კგ. ტვირთმზიდლობის ხელის ურიკების გამოყენება მტვირთავის ნაყოფიერებას ამაღ-

ლებს თითქმის ორჯერ, მის სამუშაოს უფრო მსუბუქსა და უსაფრთხოს ხდის.

საქონლის ტრანსპორტირების შენახვის გასაყიდად გამზადებისა და გაყიდვის დროს წარმოიქმნება დანაკარგები, რომელნიც მინიმალური უნდა იყოს. არჩევენ სასაქონლო დანაკარგების სამ სახეს: ბუნებრივი დანაკლისი, აქტირებული დანაკარგები და ნარჩენები.

ბუნებრივი დანაკლისი წარმოიქმნება საქონლის შენახვის ნორმა-ლური რეჟიმისა და დამუშავების დროს და წარმოადგენს გარდუვალს საქონლის ფიზიკურ-ქიმიური თვისებების გამო. მას მიეკუთვნება: შეშრობა, დაბნევა, გაჟონვა, გაფანტვა, დაფშენა და ა. შ. ბუნებრივი დანაკლისი ინორმება ყოველ საქონელზე დიფერენციალურად წლის პერიოდებისა და კლიმატური ზონების მიხედვით. ცალობრივ საქონელზე და საქონელზე, რომელიც მაღაზიაში დაფასობებული მოდის, ბუნებრივი დანაკლისის ნორმები არ ვრცელდება. ბუნებრივი დანაკლისი გამოისახება პროცენტებში გაყიდული საქონლის თანხასთან, მაღაზიაში მისი შენახვის ვადების მიუხედავად.

აქტირებული დანაკლისები წარმოიქმნება არასწორი ტრანსპორტირების, შენახვის რეჟიმის დარღვევის გამო. ესაა დამსხვრევა, დამტვრევა, გაფუჭება. ამ დანაკარგების წარმოქმნის ყოველ შემთხვევაში დგება აქტი, რომელშიც ნაჩვენებია იქნება წარმოქმნის მიზეზები და დამნაშავენი.

§ 2. მაღაზიის სათავსების უმეადგანელობა, მათი დაბეზმარება და განლაგება

სავაჭრო-ტექნოლოგიური პროცესის ორგანიზაცია მაღაზიაში მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მისი სათავსების სტრუქტურაზე, მათ ურთიერთკავშირზე და ზომებზე. სავაჭრო-ტექნოლოგიური პროცესის ყოველ ეტაპს შეესაბამება ფუნქციონალური ჯგუფი ანუ ზონა სათავსოებისა, რომელნიც თავისი ერთობლიობითა და ურთიერთკავშირით შეადგენენ მაღაზიის ტექნოლოგიურ დაგეგმარებას. არსებული კლასიფიკაციის შესაბამისად არჩევენ მაღაზიების შემდეგ ფუნქციურ სათავსოებს:

1) სავაჭრო, რომლებშიც შედის სავაჭრო დარბაზი და სათავსოები, მყიდველთა დამატებითი მომსახურების განლაგებისათვის შეკვეთის განყოფილება, კაფეტერია, სადემონსტრაციო დარბაზი, მომსახურების ბიურო, შესანახი კამერა, საფუთავი, სათავსი წვრილმანი რემონტის შესრულებისათვის, საქონლის ნისიად გაყიდვის გაფორმებისათვის და სხვა;

2) საქონლის მიღების შენახვისა და გასაყიდად გამზადებისათვის გადმოსატვირთავი, მისაღები, საკუჭნაოები, გასაცემელი კამერები,

სათავის საქონლის გასაყიდად გამზადებისათვის დამხმარე სათავსები, კაფეტერია, დამფასობელი, საკომპლექტებელი და შეკვეთის განყოფილების ექსპედიცია.

3) დამხმარე-ტარის საფუთავი მასალების, ინვენტარის, სპეცტანსაცმლის შესანახი, საქონლის შინ მიტანის ექსპედიცია, ინვენტარისა და მოწყობილობების სარემონტო სახელოსნოები, სარეკლამო დეკორაციული სახელოსნო, სამრეცხაო და სხვა;

4) ადმინისტრაციული და საყოფაცხოვრებო-კანტორის სათავსები, დირექტორის კაბინეტი, სასადილო ან ბუფეტი პერსონალისათვის, დასასვენებელი ოთახი პერსონალისათვის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ოთახი, წითელი კუთხე, მთავარი სალარო, სახანძრო სადარაჯო, დაცვის სათავსი, ჯანაპუნქტი, გასახლდლები, საშხაპე, სანკვანძები;

5) ტექნიკური—სავენტილაციო კამერები, ლიფტებისა და სამაცივრო დანადგარების სამანქანო განყოფილება, ჰაერის კონდიციონერების კამერა, სატელეფონო და რადიო კვანძები, სითბური კვანძი და სხვა.

მაღაზიის პირველი ოთახი ფუნქციური ჯგუფის სათავსების ფართობების ჯამი შეადგენს მის სამუშაო ფართობს. მაღაზიის სათავსების დაგეგმარება გულისხმობს მათ რაციონალურ ურთიერთკავშირს, რომელიც უზრუნველყოფს მაღაზიის საერთო სავაჭრო-ტექნოლოგიური პროცესის ეფექტურობას. ამასთან ერთად სათავსების ყოველი ჯგუფი თავისი ზომებითა და საგეგმო გეომეტრიისა და ურთიერთობებით უნდა შეესაბამებოდეს ტექნოლოგიური ოპერაციების ორგანიზაციის პროგრესულ პრინციპებს და საქონლის გაყიდვის მეთოდებს.

მაღაზიის ძირითადი სათავსების დაგეგმარება უნდა პასუხობდეს შემდეგ ძირითად მოთხოვნებს.

სავაჭრო დარბაზებს უშუალო კავშირი უნდა ქონდეთ შესანახ, საქონლის გასაყიდად გამზადებულ სათავსებთან და ისე უნდა იყოს განლაგებული, რომ აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლებოდეს მათი გაერთიანება.

ძირითადი ჯგუფის სათავსების განლაგებამ უნდა უზრუნველყოს მყიდველთა მაღაზიის პერსონალისა და საქონლის ნაკადის ზუსტი მოძრაობა გადაკვეთის გარეშე. კერძოდ, მაღაზიის სავაჭრო დარბაზზე გავლით სხვა სათავსებში გასვლა არ დაიშვება; საქონლის შესანახი სათავსი არ უნდა იყოს გასავლელი; საქონლის მისაღებები უნდა იყოს მაქსიმალურად მიახლოებული მაღაზიის საკუქნაობებთან.

მაღაზიის ტექნოლოგიური სქემის გადაწყვეტამ უნდა უზრუნველყოს საქონლის გაყიდვის ორგანიზაცია პროგრესული მეთოდებით, აგრეთვე შრომატევადი ოპერაციების კომპლექსური მექანიზაციის შესაძლებლობა. სათავსებმა, რომელნიც შეადგენენ ერთ ფუნქციურ ჯგუფს, უნდა შეადგინონ ერთიანი ბლოკი.

სავაჭრო სათავსები მაღაზიის სათავსის ძირითად ჯგუფს წარმოად-

გენს. მათმა განლაგებამ უნდა უზრუნველყოს მინიმალურ დროში ყიდვის განხორციელება, უმოკლესი გზებით აუცილებელი საქონლის არჩევა, ორიენტაციის მოხერხებულობა სავაჭრო დარბაზში.

სავაჭრო დარბაზის ფართობში შედის დასადგმელი ფართობი, რომელიც დაკავებულია მოწყობილობების ქვეშ, ანგარიშსწორების კვანძებისა და შყიდველთა გასასვლელების ფართობი. სავაჭრო ფართობების დაგეგმარებამ უნდა შექმნას პირობები სავაჭრო მოწყობილობების რაციონალური განლაგებისათვის.

სავაჭრო დარბაზის დაგეგმარების შემდეგ სახეებს არჩევენ: ხაზობრივი, კუნძულისებური, ბოქსური, თავისუფალი.

უფრო მიზანშეწონილს წარმოადგენს ხაზობრივი დაგეგმარება, რომლის დროსაც კუნძულისებური გორაკები სავაჭრო დარბაზში რამდენიმე პარალელური ხაზების მსგავსადაა განლაგებული, რაც საშუალებას იძლევა მყიდველებთან ანგარიშსწორება მოვანდინოთ ხაზის ბოლოში ან ანგარიშსწორების საერთო კვანძში, არჩევენ ხაზობრივ დაგეგმარებას სავაჭრო მოწყობილობების გასწვრივი ან გარდიგარდმო განლაგებით. სწორკუთხედი ფორმის 7-დან 12 მეტრამდე სიგანის სავაჭრო დარბაზებში მიზანშეწონილია გამოვიყენოთ მოწყობილობის განლაგების პირველი სახე, ხოლო 13-24 მეტრი სიგანის დროს — მეორე. მაღაზიაში, სადაც სავაჭრო დარბაზის განი 24 მეტრს აღემატება, მიზანშეწონილია გამოვიყენოთ მოწყობილობების შერეული განლაგება გასწვრივი და გარდიგარდმო განლაგების კომბინირებით.

ხაზობრივი დაგეგმარების დროს იზრდება საქონლის გამოლაგების ფართობი. მაგრამ კუნძულისებური გორაკების ხაზი არ უნდა აღემატებოდეს 20 მ., ვინაიდან გორაკების ხაზის დიდი სიგრძე აძნელებს მყიდველთა მოძრაობას. ხაზების სიგრძის შეცვლით და საქონლის შესახებ ინფორმაციის სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით არეგულირებენ მყიდველთა კონცენტრაციას სავაჭრო დარბაზის სხვადასხვა უბანზე.

კუნძულისებური დაგეგმარება ითვისისწინებს სავაჭრო დარბაზის ცენტრში სწორკუთხოვანი, ოვალური ან მრგვალი ფორმით მოწყობილობების განლაგებას კუნძულების სახით კომბინაციით კედლების გასწვრივ განლაგებულ გორაკებთან კედლების პერიმეტრის მიხედვით.

ბოქსური დაგეგმარება მაღაზიებში გამოიყენება როცა აუცილებელია სავაჭრო დარბაზის ცალკეულ ნაწილებად დაყოფა. ყოველ ბოქსში თავსდება დამოკიდებული სასაქონლო სექცია ანგარიშსწორების ცალკე კვანძით.

თავისუფალი დაგეგმარების დროს მოწყობილობა ლაგდება გარკვეული გეომეტრიული სისტემის გარეშე სავაჭრო დარბაზის ფორმის შესაბამისად.

სავაჭრო დარბაზის დაგეგმარებისა და მოწყობილობების განლაგების კონკრეტული სქემის არჩევა დამოკიდებულია საქონლის გაყიდვის

მეთოდებზე, სავაქრო დარბაზის ფორმასა და ზომებზე. თვითმომსახურების მაღაზიებში სავაქრო დარბაზში მყიდველთა რაოდენობა მოძრაობს საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით. მოწყობილობის რაციონალური განლაგებისას უნდა გავითვალისწინოთ ისეთი მიმართულება, რომ უზრუნველყოთ საქონლის მოხერხებული დათვალიერება და სწრაფი არჩევა. ამასთან ერთად მყიდველები არ უნდა წარემართოთ მკაცრად ვარკვეული მიმართულებით გადამლობი, დეკორაციული მოწყობილობების დახმარებით, მათ უნდა მიეცეთ მოძრაობის მარშრუტის არჩევაში თავისუფლება.

სავაქრო დარბაზში საქონლის გამოლაგების დროს იცავენ მისი შენახვის წესს, ცდილობენ მოაწყონ უფრო ეფექტური დემონსტრაცია, მყიდველებს უქმნიან დათვალიერებისა და არჩევის მაქსიმალურ მოხერხებულობას. საქონლის გამოლაგებას უხამებენ ინფორმაციის სხვადასხვა მეთოდების გამოყენებას საქონლის შესახებ, მისი თვისებების, მოხმარების თავისებურებებზე და სხვ. ცალკეული საქონლისათვის მოწყობილობის სპეციფიკას და მისი განლაგების თავისებურებას შეუძლია აგრეთვე, დაეხმაროს მყიდველებს სავაქრო დარბაზში ორიენტაციაში სასაქონლო ზონაში ინფორმაციის საშუალებად გამოყენებულთა საქონლის შეფუთვა, რომელსაც ამჟამად სერიოზული ყურადღება ექცევა.

რაციონალური დაგეგმარების მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს სავაქრო დარბაზის სხვადასხვა უბანზე (მონაკვეთზე) მყიდველთათვის გასასვლელების ოპტიმალური სიგანე. გასასვლელების სიგანე დამოკიდებულია მოწყობილობების განლაგების სისტემაზე და სავაქრო დარბაზის ზომაზე.

თვითმომსახურების მაღაზიებში (სექციებში) სავაქრო ფართობის გამოყენების რაციონალურობის ხარისხის განსაზღვრისათვის პოულობენ დასაყენებელი, საექსპლოატაციო და მაღაზიის საერთო ფართობის და სხვ. კოეფიციენტს.

მოწყობილობების ქვეშ სავაქრო ფართობის გამოყენების კოეფიციენტი განისაზღვრება დასაყენებელი ფართობის შეფარდებით სავაქრო დარბაზის ფართობთან:

$$K = \frac{C}{C_1},$$

სადაც K მოწყობილობების დასაყენებელი სავაქრო ფართობის გამოყენების კოეფიციენტი;

C — დასაყენებელი ფართობი; მ²-ობით;

C_1 — სავაქრო დარბაზის ფართობი, მ²-ობით;

თვითმომსახურების მაღაზიებში ოპტიმალური სიდიდე 0,30 — 0,32-ს უდრის.

საექსპლოატაციო ვაქრობის კოეფიციენტი განისაზღვრება საქონლის

გამოფენის ქვეშ (გამოლაგების) დაკავშირებული ფართობის სავაჭრო დარბაზის ფართობთან შეფარდებით:

$$K_1 = \frac{C_2}{C_1},$$

სადაც K_1 — სავაჭრო დარბაზის ფართობის საქონლის გამოლაგებისათვის გამოყენების კოეფიციენტი;

C_2 — ფართობი, რომელიც დაკავებულია საქონლის გამოლაგების ქვეშ, მ²-ობით;

C_1 — სავაჭრო დარბაზის ფართობი, მ²-ობით;

მაღაზიებში, რომელნიც ტრადიციული მეთოდით ვაჭრობენ ეს კოეფიციენტი უდრის 0,33 — 0,40, თვითმომსახურების მეთოდის გამოყენებით იგი 0,65—0,75-მდე იზრდება.

ერთი და იმავე დასაყენებელი ფართობის დროს საექსპოზიციო ფართობი შეიძლება იყოს სხვადასხვა, რაც დამოკიდებულია სავაჭრო მოწყობილობების ტიპზე, მის გაბარიტზე, თაროების რაოდენობაზე და ა. შ.

სავაჭრო მოწყობილობების ტუვადობის კოეფიციენტი განისაზღვრება საქონლის გამოლაგების ფართობის შეფარდებით დასაყენებელ ფართობთან (ე. ი. იმ ფართობთან, რომელზედაც მოწყობილობაა დაყენებული).

§ 8. მაღაზიაში სავაჭრო-ტექნოლოგიური პროცესის მექანიზაცია

მექანიზაციის განვითარება, მისით სავაჭრო-ტექნოლოგიური პროცესის ცალკეული ოპერაციების მოცვის დონე დამოკიდებულია მაღაზიის საერთო ფართობის ზომაზე, მისი ძირითადი სათავსების დაგეგმარებაზე, საქონლის თავისებურებებზე, მყიდველთა მომსახურების მეთოდებზე, საქონელმომარაგების სისტემაზე. ამიტომ სავაჭრო ტექნოლოგიური პროცესის მექანიზაცია მაღაზიაში უნდა განხორციელდეს ყოველი საწარმოს კონკრეტული პირობების გათვალისწინებით. ამასთან მექანიზაციის განვითარებას აქვს წინსვლითი ხასიათი. მექანიზაცია პირველად მოიცავს ცალკეულ სამუშაოებს, შემდეგ ურთიერთდაკავშირებულ ოპერაციებს და ბოლოს, მაღაზიის მთელ სავაჭრო-ტექნოლოგიურ პროცესს.

მექანიზაცია შეიძლება იყოს პირველადი და მეორადი. პირველადის დროს ხდება ხელით შრომის მანქანებითა და მექანიზმებით შეცვლა, ხოლო მეორადი მდგომარეობს სამანქანო ტექნიკის მოდერნიზაციაში. მექანიზაცია შეიძლება განვითარდეს თანმიმდევრობით შემდეგი სახით. თავდაპირველად შეიძლება განხორციელდეს ნაწილობრივი მექანიზა-

ცია, რომლის დროსაც მექანიზირდება ცალკეული სამუშაოები და მნიშვნელოვან ნაწილად შენარჩუნებულია ხელით შრომა.

ურთიერთდაკავშირებული ყველა ოპერაციების მექანიზაცია, როდესაც ხელით მხოლოდ მანქანებს ემსახურებიან და მართავენ, ატარებს კომპლექსურის სახელწოდებას. მექანიზაციის გაგრძელებას წარმოადგენს ავტომატიზაცია, რომელიც შეიძლება იყოს ნაწილობრივი და კომპლექსური. ნაწილობრივის დროს — ავტომატიზებულია ცალკეული ოპერაციები მანქანების მართვისა, კომპლექსურის დროს — მანქანის მთელი მართვა ავტომატიზებულია, ადამიანი მხოლოდ აკონტროლებს მათ მუშაობას და ახორციელებს ტექნიკურ მომსახურებას.

ნახევრად ავტომატიზებული და ავტომატიზებული მაღაზიების შექმნა შესაძლებელია ტექნოლოგიური პროცესის ყველა ურთიერთდაკავშირებული ოპერაციების მექანიზაციის დროს.

მაღაზიაში სავაჭრო-ტექნოლოგიური პროცესის მექანიზაციის გეგმის დამუშავების დროს განსაზღვრავენ ოპერაციებისა და სამუშაოების ნუსხას, რომელთა მექანიზაციას მოაქვს ეკონომიკური და სოციალური ეფექტი. წარმოიშვება თვით სავაჭრო-ტექნოლოგიური პროცესის მოწესრიგების აუცილებლობა, მისგან ისეთი გართულებული ოპერაციების გამორიცხვის გზით, როგორცაა საბოლოოდ დამუშავება, დაფასოება, შეფუთვა, საქონლის დიდი პარტიის შენახვა ე. ი. ისეთების, რომლებიც უნდა ხორციელდებოდეს მრეწველობაში ან საბითუმო ვაჭრობაში.

ახდენენ ისეთი ოპერაციების მექანიზაციას, რომელთა გარეშეც გაყიდვის პროცესის განხორციელება შეუძლებელია. ასეთ ოპერაციებს შიეკუთვნება, საქონლის გადმოტვირთვა, მისი გადაადგილება მაღაზიის შიგნით, შტაბელებად დაწყობა და სტელაჟებზე დალაგება, სავაჭრო დარბაზში მიწოდება, ნაყიდობისათვის ანგარიშსწორება, პირველადი აღრიცხვის წარმოება, ტარის გადაადგილება, სათავეების დალაგება. სავაჭრო-ტექნოლოგიური პროცესის ოპერაციების საერთო კომპლექსში არის ისეთები, რომლებიც არ შეიძლება იყვნენ მექანიზებული: საქონლის მიღება რაოდენობრივად და ხარისხობრივად, მისი გაფორმება, დახარისხება, გასაყიდად საქონლის გამოზადება, საქონლის გამოლაგება, სავაჭრო დარბაზის გაფორმება ცალკეული ოპერაციები ტარის მიმართ და თვით მყიდველთა მომსახურების პროცესის ელემენტები.

მამასადამე, სანამ გადაწყდება საკითხი მექანიზაციის შესახებ, გულდასმით აანალიზებენ მაღაზიაში შესრულებული ყოველი ოპერაციის, ყოველი სამუშაოს დანიშნულებასა და ორგანიზაციას.

სავაჭრო-ტექნოლოგიური პროცესის ოპტიმიზაციასა და მისი მექანიზაციის განხორციელებას ითვალისწინებენ მაღაზიის დაპროექტების სტადიაზე. ამასთან ფართოდ გამოიყენება სავაჭრო საწარმოების მოწი-

ნავე გამოცდილება. გამოიყენება სავაჭრო-ტექნოლოგიური პროცესის ტიპური სქემები მექანიზაციის საშუალებების გამოყენებით.

მაღაზიის პროექტებში ითვალისწინებენ სათავსს საქონლის მიღებისათვის (უმოკლესი გზებით მაღაზიის შიგნით საქონლის გადაადგილებისათვის აუცილებელი მოწყობილობების გამოყენებით), დატვირვა-გადმოტვითვის მოედნებს, რომლებზედაც ხელით შრომის გამოყენება შემცირდებოდა მინიმუმამდე, აგრეთვე, სათავსი საქონლის წინასწარი დაფასებისათვის მექანიზაციის საშუალებების გამოყენებით, გარდა ამისა, ყველა განყოფილებაში და სექციაში სამუშაო უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სამუშაო ადგილებზე საქონლის მექანიზებული მიწოდება, აგრეთვე ტარის მიტანა და დატვირთვა.

სავაჭრო-ტექნოლოგიური სქემის დამუშავებას და მისი ცალკეული ოპერაციების მექანიზაციას თან ერთვის შემოთავაზებული ვარიანტების ეკონომიკური ეფექტურობის გაანგარიშებანი. მექანიზაციით მიღწეული ეფექტურობის შედეგები ვაჭრობაში მრავალგვარია და შეიძლება განხილულ იქნეს ეკონომიკური და სოციალური ეფექტის მიღების თვალსაზრისით.

ეკონომიკური ეფექტურობა გამოისახება მაღაზიებში სავაჭრო ტექნოლოგიური პროცესის ცალკეული ოპერაციების შრომატევადობის შემცირებაში, მათი გამტარუნარიანობის გადიდებაში, მაღაზიაში საქონლის მიმტანი ტრანსპორტის მოცდენის შემცირებაში და სხვ.

მექანიზაციის სოციალური ეფექტი გამოისახება მყიდველთა დროის ეკონომიაში, სავაჭრო მომსახურების კულტურის საერთო დონის ამაღლებაში ვაჭრობის მუშაკების შრომის შემსუბუქებაში. მექანიზაციის დანერგვა რენტაბელობის დონეს ამაღლებს, მიმოქცევის ხარჯებს ამცირებს, ამიტომ ეკონომიკური ეფექტის შეფასების კრიტერიუმად გამოყენება მექანიზაციის შედეგად მიღებული მიმოქცევის ხარჯების ეკონომია, რომელიც განისაზღვრება, როგორც განსხვავება ხარჯებისა მექანიზაციის დანერგვამდე და შემდეგ ფორმულით:

$$\Delta M = (H_1 + I_n K_1) - (H_2 + I_n K_2),$$

სადაც H_1 — წლიური მიმოქცევის ხარჯებია სამუშაოების მექანიზაციის დანერგვამდე მან.-ობით;

H_2 — წლიური მიმოქცევის ხარჯები სამუშაოების მექანიზაციის შემდეგ მან.-ობით;

I_n — ეკონომიკური ეფექტიანობის ნორმატიული კოეფიციენტი (ვაჭრობის საწარმოებისათვის $I_n = 0,2$);

K_1 — კაპიტალური დაბანდებანი მექანიზაციის დანერგვამდე, მან.-ში;

K_2 — კაპიტალური დაბანდებანი მექანიზაციის დანერგვის შემდეგ მან., ში;

მექანიზაციის ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრა შეიძლება.

შეესებულ იქნეს შრომატევადობის ნატურალური მაჩვენებლებით, რომელიც შონინახება, როგორც განსხვავება სამუშაოს შრომატევადობისა მექანიზაციის დანერგვამდე და შემდეგ.

$$M_p = \frac{P\Pi}{B_1} - \frac{P_2\Pi}{B_2} \text{ ან } M_p = M_1 - M_2,$$

სადაც M_p — სამუშაოს შრომატევადობის შემცირება, კაც/დღეები 1 კვრ.-ზე;

P_1 — შომუშავეთა რაოდენობა მექანიზაციამდე, კაცი;

P_2 — შომუშავეთა რაოდენობა მექანიზაციის შემდეგ, კაცი;

Π — სამუშაო დღეების რაოდენობა განსაზღვრულ პერიოდში;

B_1 — გასაყიდი (გაყიდული) საქონლის მასა (ბრუტო) მექანიზაციამდე, ტ;

B_2 — გასაყიდი (გაყიდული) საქონლის მასა მექანიზაციის შემდეგ, ტ;

M_1 — შრომატევადობა მექანიზაციის დანერგვამდე, კაც/დღეები 1 ტ-ზე;

M_2 — შრომატევადობა მექანიზაციის დანერგვის შემდეგ, კაც/დღეები 1 ტ-ზე;

შევადარებთ რა ცალკეული ოპერაციების შესრულების შრომატევადობას, შეიძლება განვსაზღვროთ სავაჭრო-ტექნოლოგიური პროცესის ორგანიზაციის ოპტიმალური დონე და ვიპოვოთ რეზერვები.

მაღაზიებში სავაჭრო-ტექნოლოგიური პროცესის მექანიზაციის ღონისძიებების სოციალური ეფექტის რაოდენობრივი დახასიათება შეიძლება მივიღოთ, თუ შევადარებთ მათ სარგებლიანობას ბალური სისტემით. ბალების სისტემის არსი მდგომარეობს შემდეგში: მაღაზიაში გატარებულ ტექნიკურ ღონისძიებებს აქვს გარკვეული ერთობლიობა პირობითი ერთეულებისა (ბალებისა), მაგალითად 100; შრომის მექანიზაციის დანერგვის ცალკეული ელემენტები, მიიღებენ რა გარკვეული რაოდენობის ბალებს, სოციალური ეფექტის მიღწევის დროს უნდა მთლიანად შეესაბამებოდნენ ამ ერთობლიობას. ასეთი შეფასება საშუალებას იძლევა გამოვავლინოთ მექანიზაციის განსხვავებული სარგებლიანობა ერთიან მაჩვენებლად და უზრუნველყოთ მისი დანერგვის სოციალური შედეგის გარკვეულ შეპირისპირებადობა.

სავაჭრო მოწყობილობა თანამედროვე მოთხოვნებს უნდა შეესაბამებოდეს, ხოლო მისმა გამოყენებამ — ხელი შეუწყოს მყიდველთა მომსახურების კულტურის ამაღლებას. მნიშვნელოვანია არა მარტო მოწყობილობების რაოდენობის გადიდება, არამედ მისი ხარისხის გაუმჯობესებაც.

სავაჭრო მოწყობილობას წაყენება გარკვეული მოთხოვნები, რომელთაგან ძირითადს წარმოადგენს: საექსპლოატაციო-ტექნიკური, ეკო-

ნოშიკური, ერგონომეტრიული, ესთეტიკური და სანიტარულ-ჰიგიენური.

საექსპლოატაციო-ტექნიკური მოთხოვნები განსაზღვრავენ მოწყობილობის ტევადობას, მის ოპტიმალურ ზომებს, გამძლეობას, მდგრადობას.

ერგონომიკური მოთხოვნები იმაში მდგომარეობს, რომ სავაჭრო მოწყობილობა იყოს იაფფასიანი და ერგონომიკური ექსპლოატაციაში.

ერგონომეტრიული მოთხოვნები განსაზღვრავენ მოწყობილობების ოპტიმალურ განზომილებათა თანაფარდობას ადამიანის ფიგურის სიმაღლისა და პროპორციის გათვალისწინებით.

ესთეტიკური მოთხოვნდება მდგომარეობს მოწყობილობის კარგ გარეგნულ მოპირკეთებაში, რომლის ფერი და პროპორცია სავაჭრო დარბაზის არქიტექტურულ-მხატვრულ გაფორმებებთან ჰარმონიულად უნდა იყოს, შეეფერებოდეს საქონლის სპეციფიკას.

სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნის გათვალისწინებით სავაჭრო მოწყობილობა უნდა იყოს გლუვი, ადვილად გასარეცხი ზედაპირით, ზედმეტი ჩალრმავებულობის, ნაპრალებისა და გამონაშევერების გარეშე.

§ 4. მალაზიების დაპროექტების საფუძვლები

ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განვითარება უნდა ემყარებოდეს მეცნიერულ საფუძველს მოწინავე სამამულო და საზღვარგარეთული გამოცდილების გამოყენებას. ახალმშენებარე და რეკონსტრუირებული მალაზიების პროექტებში გათვალისწინებულ უნდა იქნეს შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და სავაჭრო-ტექნოლოგიური პროცესების მექანიზაციის მოთხოვნები, მყიდველთათვის მაქსიმალური მოხერხებულობა.

• სავაჭრო საწარმოების პროექტირებას ანხორციელებენ: „გიპროტორგი“ (ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების დაპროექტების სახელმწიფო ინსტიტუტი), სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტრო, რომელსაც რესპუბლიკური ვაჭრობის სამინისტროებთან აქვს ფილიალები; სავაჭრო შენობების ЦНИИЭП (ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო მომსახურების შენობებისა და ტურისტული კომპლექსების ტიპური და ექსპერიმენტალური დაპროექტების ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევო და საპროექტო ინსტიტუტი), „ცენტროსოიუზის“ საპროექტო ინსტიტუტი.

• სავაჭრო შენობების პროექტები შეიძლება იყოს ინდივიდუალური და ტიპური. ინდივიდუალური პროექტები მუშავდება ცალკეულ შემთხვევებში. ძირითადად სავაჭრო საწარმოების მშენებლობა წარმოებს ტიპური პროექტების მიხედვით მალაზიების ტიპების მომქმედო ნომენკლატურის შესაბამისად. მალაზიების ტიპების არჩევასთან ერთად, ტი-

პური პროექტირების დროს, წყდება საკითხი მათი განლაგების შესახებ გარკვეული ტიპის შენობაში: ცალკე მდგომი საცხოვრებელი სახლების პირველი სართულების მთელი ფართობის სექციებში, ჩაშენებულ-მიშენებული უნიფიცირებულ ბლოკებში, აგრეთვე, კოოპერირებულ შენობებში და სავაჭრო ცენტრებში. ტიპური პროექტირების დროს სავაჭრო ორგანიზაციის ამოცანა მდგომარეობს ტიპური პროექტის არჩევაში, მის კორექტირებაში ადგილობრივი პირობების შესაბამისად და კონკრეტულ ადგილთან დაკავშირებით მაღაზიების პროექტირების პროცესი ხორციელდება რამდენიმე სტადიად.

ტექნიკური პროექტი მოიცავს მაღაზიის არქიტექტურულ-დაგეგმარებით გადაწყვეტას, მშენებლობის ხარჯების სრულ მოცულობას, მისი დაშუშავება საშუალებას იძლევა გამოვალინოთ მომავალი ობიექტის მშენებლობის შესაძლებლობა და მიზანშეწონილება.

• ტექნიკური პროექტის შედგენის საფუძველს წარმოადგენს დავალება დაპროექტებაზე. ესაა სავაჭრო ორგანიზაციისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი დოკუმენტი. იგი შეიცავს მომავალი საწარმოს ძირითად მონაცემებს. მაღაზიის ტიპი, მისი სავაჭრო ფართობის ზომა, გაყიდვის მეთოდები, მაღაზიაში მყიდველთა დამატებითი მომსახურების ორგანიზაციისადმი მოთხოვნა, დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების ორგანიზაციისა და შრომატევადი ოპერაციების შექანიზაციის პირობები და სხვ.

• დამტკიცებული ტექნიკური პროექტის საფუძველზე მუშავდება სამუშაო ნახაზები — დაპროექტების საბოლოო სტადია. სამუშაო ნახაზები — ესაა ძირითადი დოკუმენტი მშენებლობის დროს ყველა სამუშაოთა წარმოებისათვის.

დაპროექტებამ უნდა უზრუნველყოს მშენებლობაში კაპიტალური დაბანდების უფრო ეფექტური გამოყენება.

მაღაზიების მშენებლობა ხორციელდება ძირითადად სამი საშუალებით: საიჯარო, შინასაიჯარო და სამეურნეო წესით.

საიჯარო წესს საფუძვლად უდევს ხელშეკრულებები სავაჭრო ორგანიზაციებს — დამკვეთ და სამშენებლო ორგანიზაციებს — მოიჯარადრეებს შორის. ამასთან მთელ საპროექტო დოკუმენტაციას უზრუნველყოფს დამკვეთი. შინასაიჯარო მშენებლობის დროს მშენებლობას აწარმოებენ შინასაუწყებო დაქვემდებარების სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტები. პატარა მაღაზიების მშენებლობა შეიძლება განხორციელდეს სამეურნეო წესით, ე. ი. თვითონ სავაჭრო ორგანიზაციის მიერ.

სავაჭრო შენობების აშენებისა და მათი ექსპლოატაციაში ჩაბარების ვადები რეგლამენტირდება სსრკ სახმშენის მიერ. მშენებლობის ვადების შემცირების მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდის ფართო დანერგვა. უნიფიცირებული სამშენებლო კონსტრუქციების გამოყენებით. კაპიტალური დაბანდების

ეფექტური გამოყენება დამოკიდებულია მალაზიების დაპროექტების პროცესის სრულყოფაზე.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მალაზიების პერსპექტიული ტიპების — უნივერსამებისა და უნივერსამლების პროექტების სრულყოფას.

უნივერსამების ტიპურ პროექტებს წაეყენება შემდეგი მოთხოვნები:

საქონლის გაყიდვა უნდა განხორციელდეს თვითმომსახურების მეტოდით მყიდველებისადმი დაძაბებითი მომსახურების გაწევით;

მალაზია უნდა მოთავსდეს ერთსართულიან შენობაში სარდაფის გარეშე (სავაჭრო ფართობით 1500 მ²-მდე) ან ორსართულიან შენობაში 1500 მ²-ზე მეტი სავაჭრო ფართობით;

მალაზიას უნდა ჰქონდეს დათბუნებული გადმოსატვირთი დეპარკადერი და გადმოსატვირთი ბაქანი ავტომანქანის ძარის დონეზე;

სავაჭრო დარბაზი, საკუჭნაოები, საქონლის გასაყიდად გასამზადებელი სათავსი. გადმოსატვირთი ბაქანი განლაგებულ უნდა იქნეს ერთ დონეზე ვარდნილობების გარეშე;

მალაზიებში ტარა-მოწყობილობებით საქონლის მიტანის სისტემის გაფართოების პირობებში გათვალისწინებულ უნდა იქნეს სავაჭრო დარბაზის გაფართოების შესაძლებლობა შენახვისა და საქონლის გასაყიდად გამზადების ფართობების შენეების ხარჯზე;

გეგმაში სავაჭრო დარბაზის ფორმა უნდა წარმოადგენდეს კვადრატს ან უნდა იყოს მასთან მიახლოებული;

ეს საშუალებას იძლევა რაციონალურად განვალაგოთ ანგარიშსწორების კვანძები, მოწყობილობა, მოვაწყოთ მყიდველთათვის გასასვლელები;

მალაზიას უნდა ჰქონდეს ერთიანი ანგარიშსწორების კვანძი და შესასვლელ-გასასვლელი. მოლარე-კონტროლიორების კაბინების რაოდენობა უნდა განისაზღვროს სავაჭრო დარბაზის 80—90 მ² ფართობი ერთ სამუშაო ადგილზე;

სავაჭრო დარბაზში შესასვლელებისა და დარბაზის შიგნით გასასვლელების განლაგებამ მყიდველთა ნაკადი უნდა წარმართოს საათის ისრის საწინააღმდეგოდ. ანგარიშსწორების კვანძების ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს მალაზიის მაღალი გამტარუნარიანობა;

მალაზიის სავაჭრო-ტექნოლოგიური პროცესის შემადგენელი ყველა ოპერაციის კომპლექსური შექანიზაცია.

უნივერსამების სავაჭრო ფართობის სანიმუშო განაწილება მოყვანილია ცხრილში.

უნივერსამის სავაქრო ფართობის , განაწილება

სავაქრო ფართობი მ ²	სასურსათო საქონლისათვის	არასასურსათო საქონლისათვის	შეკვეთის განყოფილება	კაფეტერია
400	244	120	18	18
650	360	200	64	36
1000	572	390	72	36
1500	894	450	90	36
2000	1216	640	108	36

უნივერსიტეტის საპროექტო გადაწყვეტის სრულყოფასთან და მათგან ყველაზე უფრო პროგრესული სავაქრო-ტექნოლოგიური პროცესის დანერგვასთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრაზე დიდ მუშაობას აწარმოებს ქვეყნის რიგი საპროექტო ინსტიტუტები.

ამჟამად დამუშავებულია ტიპური პროექტები უნივერსიტეტისა 1650, 2200, 3600, 5500 და 9340 მ² სავაქრო ფართობით. საქონლის გაყიდვა, ამ უნივერსიტეტში, გათვალისწინებულია თვითმომსახურების მეტოღობით — მყიდველთა კომპლექსური მოთხოვნის დაკმაყოფილებისა და სავაქრო დარბაზში უფრო ტევადი სავაქრო მოწყობილობის გამოყენების გათვალისწინებით. პროექტებში გათვალისწინებულია პერსპექტივაში მომიჯნავე დამხმარე სათავსების ხარჯზე — სავაქრო დარბაზის გაფართოება.

შრომის მენეჯერული ორგანიზაცია ვაჭრობაში

§ 1. შრომის ორგანიზაციის თავისებურებანი ვაჭრობაში

ვაჭრობას თავისი ეკონომიკური არსით ახასიათებს არაერთნაირი ფუნქციები. ერთნი დაკავშირებული არიან წარმოების პროცესის გაგრძელებასთან მიმოქცევის სფეროში (საქონლის ტრანსპორტირება, შენახვა, დაფასობა, შეფუთვა), ხოლო სხვა — ყიდვა-გაყიდვის პროცესის მომსახურებასთან, ე. ი. ღირებულების ფორმების ცვლასთან.

ვაჭრობის მუშაკთა შრომა, რაც დახარჯულია ოპერაციებზე, რომელიც დაკავშირებულია წარმოების პროცესის გაგრძელებასთან მიმოქცევის სფეროში, წარმოადგენს მწარმოებლურ შრომას, რამდენადაც მის შედეგად იწარმოება ზედმეტი პროდუქტი, იზრდება საქონლის ღირებულება.

ვაჭრობის მუშაკები, რომლებიც უშუალოდ არიან დასაქმებული საქონლის ყიდვა-გაყიდვის პროცესის განხორციელებასთან და მყიდველთა მომსახურებასთან, არ ქმნიან ახალ ღირებულებას და არ ზრდიან საზოგადოებრივ სიმდიდრეს, ამიტომაც მათი შრომა წარმოადგენს არამწარმოებლურს.

სოციალიზმის დროს წარმოებს შრომის საზოგადოებრივი დანაწილების გაღრმავება. მრეწველობის საწარმოები სულ უფრო მეტად ახდენენ საქონლის დაფასობას, შეფუთვის და ტრანსპორტირებას, ათავისუფლებენ რა ვაჭრობის მუშაკებს მათთვის უჩვეულო საწარმოო ფუნქციებისაგან. ეს განაპირობებს შრომის დანახარჯების შემცირებას, რომლებიც დაკავშირებული არიან წარმოების პროცესების გაგრძელებასთან მიმოქცევის სფეროში, რის გამოც პერსპექტივაში მწარმოებლური შრომის წილი ვაჭრობაში მცირდება.

ამასთან ერთად საჭიროა მხედველობაში იქნეს მიღებული, რომ სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობების ვაჭრობის მუშაკთა არამწარმოებლური შრომა, საქონლის გაყიდვის და მყიდველთა მომსახურების ხაზით, წარმოადგენს საზოგადოებრივად აუცილებელ და

სასარგებლო შრომას, რომელიც ხელს უწყობს მოთხოვნის უფრო სრულად დაკმაყოფილებას, მოსახლეობის მოხმარების ხარჯების შემცირებას, სერიოზულ ზეგავლენას ახდენს თავისუფალი დროის სრულყოფილი გაუმჯობესებაზე და მატერიალური სფეროს მუშაკთა შრომის ნაყოფიერების ამაღლებაზე.

სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების მოცულობის, საცალო საქონელბრუნვის მუდმივმა გადიდებამ მაღაზიების ქსელის გაფართოებამ და მყიდველთა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებამ, ხელი შეუწყო ვაჭრობის მუშაკთა რაოდენობის სწრაფ ზრდას. მარტო 10 წლის მანძილზე (1966-1975 წ.წ.) მათი რაოდენობა ქვეყნის სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში გაიზარდა 2086,6 ათასი კაცით. ამასთან ერთად ვაჭრობაში მუშაკთა მატების ტემპი მატერიალური წარმოების დარგებთან შედარებით უფრო მაღალი იყო.

ქვეყანაში შრომითი რესურსების ნაკლებობის პირობებში ვაჭრობის და მატერიალური წარმოების დარგების მუშაკთა რაოდენობა ზრდის ტემპების დაახლოება ერთ-ერთი აუცილებელი პირობა ხდება მთელი სახალხო მეურნეობის ეფექტური განვითარებისათვის, რადგანაც ვაჭრობის მუშაკთა რაოდენობის შეფარდებითი შემცირება ზრდის შესაძლებლობას შრომისუნარიანი მოსახლეობის მატერიალური წარმოების სფეროში ჩასაბმელად, ხელს უწყობს საზოგადოებრივი სიმდიდრის ზრდას და ხალხის ცხოვრების მატერიალური დონის ამაღლებას.

ამასთან ერთად არამწარმოებლური შრომის დანახარჯების შემცირება საქონელბრუნვის ერთეულზე, ზრდის სახელმწიფოს წმინდა შემოსავალს, რამდენადაც ვაჭრობის მუშაკთა შრომა ნაზღაურდება მხოლოდ ზედმეტი პროდუქტის ხარჯზე.

ამრიგად, განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში მწარმოებლური და არამწარმოებლური შრომის ყოველმხრივი ეკონომია ვაჭრობაში იქნის მნიშვნელოვან სოციალურ და ეკონომიკურ მნიშვნელობას.

შრომის დანახარჯების შეფარდებითი შემცირება ვაჭრობაში უშუალოდ დაკავშირებულია ვაჭრობის მუშაკთა შრომის ნაყოფიერებისა და ეფექტიანობის ამაღლებასთან.

ვაჭრობაში მუშაკთა შრომის ნაყოფიერება, რომლებიც დასაქმებულნი არიან ტექნოლოგიური ოპერაციებით ე. ი. წარმოების პროცესების გაგრძელებით მიმოქცევაში, შეიძლება გაიზომოს ნატურალურ და ფულად გამოსახვლებათაში. მაგრამ ფიზიკური შრომის მოცულობის გაზომვა, რომელიც შრომის ვაჭრობის ერთ მუშაკზე, რიგ შემთხვევაში პრაქტიკულად ძალზე რთულია. ნატურალურ მაჩვენებლებში შეიძლება გაიზომოს მხოლოდ ცალკეული მაღაზიების, საწყობების მუშაკთა შრომა, რომლებიც დაფასობას, დაწუნებას, შეფუთვას, საქონლის გადაა-

დგილებს და ზოგიერთ სხვა ოპერაციებს ასრულებენ. ამიტომ შრომის ხაყოფიერება ვაქრობაში გაშლინატება უმთავრესად ღირებულებით მაჩვენებლებში (საქონლებრუნვის მოცულობა ფულად გამოხატულებაში ერთ მუშაკზე დროის ერთეულში).

ძლიანად არამწარმოებლური და ვაქრობის მუშაკთა შრომის ნაყოფიერების შეფასებისათვის გამოყენებულ უნდა იქნეს რიგი სოციალური და ეკონომიკური მაჩვენებლები, რომლებიც ერთობლიობაში ასახავს ვაქრობაში შრომის ეფექტურობას. ეფექტურობა, ისევე როგორც შრომის ნაყოფიერება, ხასიათდება მიღებული შედეგების დანახარჯებთან თანაფარდობით. როგორც კომპლექსური ცნება, იგი ითვალისწინებს საქონლის გაყიდვაზე შრომისა და სახსრების დანახარჯების შეთანხმებებს, მყიდველთა მომსახურების და დროის დონეს, რომელსაც ისინი ხარჯავენ მის შექმნაზე.

ამრიგად, შრომის ეფექტურობა ვაქრობაში — ეს უფრო ფართო ცნებაა ვიდრე ნაყოფიერება.

შრომის ეფექტურობის ამაღლება ვაქრობაში ვლინდება მოსახლეობაზე საქონლის გაყიდვისას შრომის დანახარჯების შემცირებაში მყიდველთა მომსახურების იმავდროული გაუმჯობესებისა და მათი დროის ეკონომიის პირობებში.

საცალო ვაქრობაში შრომის ეფექტურობის ამაღლებაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მაღაზიაში შრომატევადი პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია, დაფასოებული და ცალობრივი საქონლის გაყიდვის გადიდება, გაყიდვის პროგრესული მეთოდების დანერგვა.

უმნიშვნელოვანეს ფაქტორთა რიცხვს, რომელიც ზეგავლენას ახდენს საცალო ვაქრობაში შრომის ეფექტურობაზე, მიეკუთვნება აგრეთვე, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობა; ტარა-მოწყობილობის გამოყენება, საქონლის ცენტრალიზებული დაფასოების და შეფუთვის ორგანიზაცია მრეწველობის საწარმოებისა და საბითუმო ბაზების საწყობების მიერ; ვაქრობის მუშაკთა ზოგადსაგანმანათლებლო, კულტურული და ტექნიკური დონე, მათი პროფესიონალური დახელოვნება, სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაცია.

ამ და რიგი სხვა ფაქტორების ურთიერთზემოქმედება განსაზღვრავს საცალო ვაქრობაში საზოგადოებრივი შრომის დანახარჯებს და მოხმარების ხარჯებს, რომლებიც საქონლის ყიდვასთან არიან დაკავშირებული. ამგვარი ერთობლივი დანახარჯის შემცირება, რომელიც განისაზღვრება შრომის მექანიზაციის დონით, გაყიდვის მეთოდებით, საქონელმომარაგების სისტემით და სხვა საზოგადოებრივად აუცილებელი დანახარჯების დონემდე, მუშაობის კონკრეტულ პირობებში, უშუალოდ დამოკიდებულია ვაქრობის მუშაკთა შრომის ორგანიზაციაზე.

საცალო ვაქრობაში შრომის ორგანიზაციის ძირითად ამოცანას წარმოადგენს მყიდველებისათვის საქონლის შესყიდვისას დროის მინიმა-

ლური დანახარჯებით საუკეთესო პირობების შექმნა. ამიტომ მალაზიის მუშაკები მაქსიმალურად უნდა იყვნენ განთავისუფლებული იმ ოპერაციებიდან, რომლებიც დაკავშირებული არიან წარმოების პროცესის გაგრძელებასთან მიმოქცევის სფეროში.

მალაზიებში შრომის ორგანიზაციის არსებით თავისებურებას წარმოადგენს პროფესიების შეთავსების ფართოდ დანერგვა. სამრეწველო-საწარმოებისაგან განსხვავებით მალაზიების მუშაობა მნიშვნელოვნად ნაკლებ რითმულ ხასიათს ატარებს, რადგანაც საქონლის გაყიდვის მოცულობა უშუალოდ არის დამოკიდებული მყიდველთა ნაკადის ინტენსივობაზე, რომელიც ხასიათდება დიდი უთანაბრობით დღის საათებისა და კვირის ცალკეული დღეების მიხედვით. ერთ შემთხვევაში იგი იწვევს მალაზიების მუშაკთა მოცდენას, ხოლო სხვა შემთხვევაში მუშაობაში ზედმეტ დაძაბულობას. ამ გარემოებათა გათვალისწინებით მალაზიებში შრომის ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს შეუფერხებლობა და პერსონალის შედარებით თანაბარზომიერი დატვირთვა.

საცალო ვაჭრობაში შრომის ორგანიზაციაზე არსებით ზეგავლენას ახდენს შედარებით მცირე მალაზიების სიჭარბე. ეს ამწელებს მათ ტექნიკურ აღჭურვას, ხელს უშლის შრომის პირობების გაუმჯობესებას, იწვევს ვაჭრობაში ცოცხალი შრომის დანახარჯების და მყიდველთა დროის გადიდებას საქონლის შექმნაზე.

საცალო ვაჭრობაში შრომის ორგანიზაციის თავისებურებანი გამომწვეულია იმითაც, რომ მუშაობა მყიდველთა მომსახურებაზე, დაკავშირებულია მალაზ ნერვიულ-ფსიქოლოგიურ დაძაბულობასთან და ამგვარ სამუშაოს ძირითადად ახორციელებენ ძალები.

§ 2. ვაჭრობაში შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ძირითადი მიმართულებანი

მალაზიების გამსხვილება და უნივერსალიზაცია, მათი ტექნიკური აღჭურვილობის დონის ამაღლება, გაყიდვის პროგრესული მეთოდების დანერგვა, განსაკუთრებით თვითმომსახურება, შრომის ანაზღაურების სისტემის სრულყოფა, ვაჭრობის მუშაკთა ზოგადსაგანმანათლებლო, კულტურული და პროგრესული დონის ამაღლება, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ განვითარება კმნიან ობიექტურ წინაპირობებს საცალო ვაჭრობაში შრომის ორგანიზაციის სრულყოფისათვის.

მაგრამ ამ დროს ყველაზე დიდი ეფექტი შეიძლება მიღწეულ იქნეს მხოლოდ იმ პირობით, თუ ღონისძიებანი შრომის ორგანიზაციისათვის დაძაბულებულ იქნება მეცნიერულ საფუძველზე მოწინავე გამოცდილების გათვალისწინებით.

თანამედროვე პირობებში მეცნიერულად შეიძლება ჩაითვალოს

შრომის ისეთი ორგანიზაცია, რომელიც ემყარება რა მეცნიერების მიღწევებს და მოწინავე გამოცდილებას, სისტემატურად ინერგება წარმოებაში, საშუალებას იძლევა საუკეთესოდ შეაერთოს ტექნიკა და ადამიანები ერთიან წარმოებით პროცესში, უზრუნველყოფს მატერიალური და შრომითი რესურსების ყველაზე უფრო ეფექტურ გამოყენებას, შრომის ნაყოფიერების განუწყვეტელ გადიდებას, ხელს უწყობს ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნებას.

ვაკრობაში უპირატესად შრომის მეცნიერული ორგანიზაცია წარმოადგენს ორგანიზაციული, ტექნოლოგიური, ფსიქოლოგიური, ესთეტიკური და სანიტარულ-ჰიგიენური ღონისძიებების ერთობლიობას, რომელიც ემყარება მეცნიერების, ტექნიკის, მოწინავე გამოცდილების უახლეს მიღწევებს, და რომლებიც უზრუნველყოფენ შრომის ოპტიმალურ პირობებს, ვაკრობის მუშაკთა სამუშაო დროის ყველაზე უფრო ეფექტურ გამოყენებას, მომსახურების მაღალ დონეს და მყიდველთა დროის მინიმალურ დანახარჯებს.

შრომის მეცნიერული ორგანიზაცია წარმოადგენს შრომის ორგანიზაციის განუწყვეტელ პროცესს. მისი დანერგვა ვაკრობაში უნდა ითვალისწინებდეს სამი ამოცანის ერთდროულ გადაჭრას: ეკონომიკური, ფსიქოლოგიურსა და სოციალურს.

შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ეკონომიკური ამოცანა მოასწავებს ცოცხალი შრომის ეკონომიას და შრომითი, მატერიალური და ფულადი რესურსების რაც შეიძლება ეფექტურ გამოყენებას.

შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ფსიქოლოგიური ამოცანის გადაჭრა ვაკრობაში მიმართულია ადამიანის ჯანმრთელობისა და მისი შრომისუნარიანობის შენარჩუნებისაკენ, შრომის ესთეტიკური, სანიტარულ-ჰიგიენური და ფიზიოლოგიური პირობების გაუმჯობესებისაკენ.

შრომის მეცნიერული ორგანიზაციის სოციალური ამოცანა ვაკრობაში გულისხმობს ვაკრობის მუშაკთა ზოგადსაგანმანათლებლო, კულტურული და პროფესიული ღონის ამაღლებას, მათ აღზრდას შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით, მყიდველთა თავისუფალი დროის გადიდებას.

შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ღონისძიებების დამუშავება და დანერგვა ვაკრობის პრაქტიკაში მიმდინარეობს შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

შრომის ფორმების დანაწილება და კოოპერაციის სრულყოფა; სამუშაო ადგილების ორგანიზაციისა და მომსახურების სრულყოფა; შრომის ხერხების და მეთოდების რაციონალიზაცია; შრომის ნორმირების სფეროს გაუმჯობესება და გაფართოება; კადრების მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება;

მუშაკთა აღზრდა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებით, ჭახელმწიფო და შრომითი დისციპლინის მკაცრი დაცვა.

შრომის დანაწილებისა და კოოპერაციის ფორმები. შრომის დანაწილება წარმოადგენს შრომითი საქმიანობის სხვადასხვა სახეების გამოცალკევების პროცესს და მუშაკთა სპეციალიზაციას ცალკეული ურთიერთდაკავშირებული ოპერაციების და სამუშაოს სახეების შესასრულებლად.

საცალო ვაჭრობაში შრომის დანაწილების ძირითადი ფორმებია: ფუნქციონალური, სასაქონლო-დარგობრივი სპეციალიზაცია საკვალიფიკაციო.

მალაზიაში შრომის ფუნქციონალური დანაწილების შესაძლებლობა განპირობებულია სავაჭრო ტექნოლოგიური პროცესის ცალკეული ოპერაციების ურთიერთკავშირით. მალაზიებში, მაგალითად, გამყიდველების ძირითად ფუნქციას წარმოადგენს მყიდველთა მომსახურება; მოლარეების და კონტროლიორ-მოლარეების — მყიდველებთან ანგარიშსწორება; დირექტორების — სავაჭრო-ტექნოლოგიური პროცესებისა და მალაზიის მუშაკთა კოლექტივების მართვა.

შრომის დანაწილება ფუნქციონალური ნიშნის მიხედვით, მალაზიის მუშაკებს შორის უპირველეს ყოვლისა ხორციელდება მართვის ფუნქციის გამიჯვნის ხაზით, აგრეთვე, ძირითადი სამუშაოს (მყიდველთა მომსახურება) გამოცალკევებით დამხმარესაგან.

ამის გათვალისწინებით მალაზიის მთელი პერსონალი შეიძლება დაჯგუფდეს შემდეგ სამ ძირითად კატეგორიად:

1) ძირითადი ანუ სავაჭრო-ოპერატიული პერსონალი, რომელიც შოიციავს მუშაკებს, რომლებიც უშუალოდ ემსახურებიან მყიდველებს (გამყიდველები, მოლარეები, მოლარე-კონტროლიორები, სექციის გამგეები და მათი მოადგილეები); მუშაკები, რომლებიც უზრუნველყოფენ საქონლის გასაყიდად მომზადებას და მის შეუფერხებლობას (საქონელმცოდნეები, წუნმდებლები, შეკუქნავეები, მუშები); მუშაკები, რომლებიც უწყვენ მყიდველებს დამატებით მომსახურებას;

2) დამხმარე პერსონალი, რომელიც მოიციავს მუშაკებს, რომლებიც ემსახურება ძირითად პერსონალს და უზრუნველყოფს მალაზიის სანი-მუშო ტექნიკურ და სანიტარულ ჰიგიენურ მდგომარეობაში ყოფნას (დამლაგებლები, მეგარდირობეები, შემკეთებელი მუშები, მექანიკოსები და სხვა).

3) აღმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალი (მალაზიის დირექტორი და მისი მოადგილეები, განყოფილების გამგეები, ეკონომისტები, ბუღალტრები, აღმინისტრატორები და ზოგიერთი სხვა მუშაკები).

მუშაკთა სასაქონლო დარგობრივი სპეციალიზაცია დაკავშირებულია შრომის დანაწილებასთან საქონლური ნიშნის მიხედვით. ამ შემთხვევაში მალაზიის მუშაკები სპეციალდებიან რამდენიმე ან ცალკეული

ჯგუფის საქონლის გაყიდვაზე, რაც შესაძლებლობას იძლევა უკეთ აითვისონ სამუშაო, შეასრულონ იგი უფრო კვალიფიციურად და ნაყოფიერად.

შრომის საკვალიფიკაციო დანაწილება მოითხოვს მოვალეობათა განაწილებას მუშაკთა კვალიფიკაციის შესაბამისად. ამასთან დაკავშირებით სხვადასხვა კვალიფიკაციის მუშაკთა მოვალეობის წრე, რომლებიც ერთგვაროვან ფუნქციებს ასრულებენ (მაგალითად, უფროსი გამყიდველი, გამყიდველი, უმცროსი გამყიდველი და ა. შ.), განსხვავებულია. ვაჭრობაში შრომის საკვალიფიკაციო დანაწილება ხელს უწყობს კვალიფიციური კადრების რაციონალურ გამოყენებას და მყიდველთა მომსახურების გაუმჯობესებას.

შრომის რაციონალური დანაწილება იძლევა მნიშვნელოვან ეფექტს, რამდენადაც ამ შემთხვევაში მცირდება დროის დანაკარგები ერთი სახის სამუშაოდან (ოპერაციიდან) მეორეზე გადასვლისას.

შრომის დანაწილება ითვალისწინებს მის კოოპერაციას, რომელიც გამოისახება პროფესიების და სპეციალობების შეთავსებაში. რაც უფრო ღრმა არის შრომის დანაწილება, მით უფრო ფართოა მისი კოოპერაციის შესაძლებლობები.

მაღაზიების მუშაკთა შრომის კოოპერაციის ობიექტური აუცილებლობა განპირობებულია მყიდველთა და საქონლის ნაკადების არათანაბარზომიერებით. ეს მოითხოვს ცალკეულ პერიოდებში მუშაობის უმცირეს მოცულობას მყიდველთა მომსახურებისათვის და სავაჭრო დარბაზის მუშაკების გამოყენებას სამუშაოს შესასრულებლად, რომელიც დაკავშირებულია საქონლის გასაყიდად მომზადებასთან, დაკვეთების დაკომპლექტებასთან, ვიტრინის გაფორმებასთან და სხვა. პიკის საათებში სავაჭრო დარბაზში სამუშაოდ მიზანშეწონილია მოზიდულ იქნენ დამფასოებლები, წუნმდებლები, ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის მუშაკები.

შრომის კოოპერაციისათვის საცალო ვაჭრობაში დიდი მნიშვნელობა აქვს მაღაზიის მუშაკების მიერ შერეული სპეციალობების და მეორე პროფესიის დაუფლებას (მაგალითად, ფენსაცმლის გამყიდველის მიერ მოლარის პროფესია და ტანსაცმლის გამყიდველის სპეციალობა; დამფასოებლის მიერ გამყიდველის პროფესია და ა. შ.).

მუშაკების მიერ პროფესიებისა და სპეციალობების რაციონალური შეთავსება უზრუნველყოფს მათ უფრო სრულ და თანაბარზომიერ დეტირთვას სამუშაო დღის მანძილზე, ხელს უწყობს მყიდველთა მომსახურების დაჩქარებას და გაუმჯობესებას.

შრომის ამოცანები საცალო ვაჭრობაში შრომის დანაწილებისა და კოოპერაციის ხაზით მდგომარეობს მაღაზიებისათვის შრომის დანაწილების და კოოპერაციის რაციონალური ფორმების განსაზღვრაში; მუშაკთა, რაც შეიძლება მიზანშეწონილად, განაწილების უზრუნველყოფაში.

მათ ფუნქციების სწორად განსაზღვრაში; სამუშაო დროის ეფექტურად გამოყენებაში მუშაკთა სპეციალიზაციის გზით განსაზღვრული ფუნქციების შესრულებაზე მთელი სამუშაო დღის მანძილზე სრული დატვირთვის ჰერობებში და პროფესიების შეთავსებით მათი არასრულად დატვირთვის შემთხვევაში.

შრომის დანაწილებისა და კოოპერაციის ფორმების შერჩევა მოითხოვს რიგი ფაქტორების გათვალისწინებას: მაღაზიის სიდიდე და სასაქონლო სპეციალიზაცია, მისი საქონელბრუნვის მოცულობა და სტრუქტურა, სავაჭრო-ტექნოლოგიური პროცესების თავისებურებანი და მისი მექანიზაციის ხარისხი, საქონლის გაყიდვის მეთოდი და მომსახურების სახეები, რომელსაც მომხმარებელს უწევენ.

მაღაზიების გამსხვილება და უნივერსალიზაცია, მათი ტექნიკური აღჭურვის გაუმჯობესება, თვითმომსახურების დანერგვა, ხელს უწყობენ მუშაკთა შრომის ფუნქციონალური დანაწილების გაღრმავებას და განაპირობებენ მის უფრო ფართო კოოპერაციას.

მაღაზიებში შრომის ფუნქციონალური დანაწილებისას პროფესიების შეთავსების ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს მუშაკთა გაერთიანება ბრიგადებში, რომლებიც შეიძლება იყვნენ კომპლექსური, შეასრულონ სამუშაოთა სხვადასხვა სახე, და სპეციალიზებულნი ცალკეული სახის სამუშაოზე (დატვირთვა, გადმოტვირთვა, განფუთვა და საქონლის გადაადგილება; წუნდება, საქონლის მომზადება გასაყიდად და მარაგის შევსება სავაჭრო დარბაზში; კონტროლი და მყიდველებთან ანგარიშსწორება და სხვა). ყველაზე უფრო მიზანშეწონილია კომპლექსური ბრიგადების შექმნა, კერძოდ თვითმომსახურების მაღაზიებში სავაჭრო-დარბაზში ერთიანი ბრიგადები, რომლებშიც შედიან გამყიდველები, მოლარე-კონტროლიორები, ჩამლაგებლები, ადმინისტრატორები, დამფასოებლები. კომპლექსური ბრიგადების შექმნა საშუალებას იძლევა შრომის კოოპერაციის ფართოდ გამოსაყენებლად.

მაღაზიების მუშაკთა ფუნქციების განსაზღვრისას მხედველობაში იღებენ მათი დატვირთვის ხარისხს ძირითად სამუშაოზე დროის განმავლობაში. ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილია გავანთავისუფლოთ გამყიდველები დამხმარე სამუშაოებიდან მხოლოდ მსხვილ მაღაზიებში, რომელთაც საქონელბრუნვის დიდი მოცულობა აქვთ, ხოლო პატარა მაღაზიებში — გავითვალისწინოთ მათი დირექტორების (გამგებების) ნაწილობრივი მონაწილეობა მყიდველთა მომსახურებაზე.

შრომის დანაწილებისა და კოოპერაციის ღონისძიებანი იწვევს სამუშაო დროის ფონდის სტრუქტურის ცვლილებას. შრომის მეცნიერული დანაწილება და კოოპერაცია უზრუნველყოფს, ამასთან ერთად, მოცდენების მაქსიმალურ შემცირებას და ძირითად სამუშაოზე დროის დანახარჯების წილის ამალლებას მაღაზიის სამუშაო დროის საერთო ხარჯებში.

მალაზიებში სამუშაო ადგილების ორგანიზაცია და მომსახურება. სამუშაო ადგილი — ესაა მალაზიის ფართის ნაწილი, რომელიც განკუთვნილია განსაზღვრული ოპერაციების შესასრულებლად, ერთი ან რამდენიმე მუშაკის შრომისათვის და აღკურვლია აუცილებელი მოწყობილობებით და ინსტრუმენტებით.

სამუშაო ადგილების ორგანიზაციამ (დამფასებლების, წუნმდებლების, მოლარეების და ა. შ.) კუნდა უზრუნველყოს მუშაკებისათვის საუკეთესო პირობები სამუშაო დროისა და მოწყობილობების ეფექტური გამოყენებისათვის, ჯანმრთელობის და შრომისუნარიანობის შენარჩუნება.

შრომის მეცნიერული ორგანიზაცია სამუშაო ადგილების ორგანიზაციას და მომსახურებას შემდეგ მოთხოვნებს უყენებს: ტექნიკური აღკურვლობის მაღალი დონე; მოწყობილობის შესაბამისობა მოთხოვნილებებისადმი ერგონომიკის (ადამიანის ფსიქოლოგიურ და ანტროპოლოგიურ შესაძლებლობებთან შრომის პროცესში). მოწყობილობების, ინსტრუმენტების, საქონლის შესაფუთი მასალების განლაგება მუშაობისათვის მოხერხებულ ადგილზე; შრომის უსაფრთხოების და ხელსაყრელი სამუშაო პოზიის უზრუნველყოფა; საქონლის მარაგის და შესაფუთი მასალების, შეუფერხებელი შევსება, მოწყობილობებისა და ინვენტარის დროული შეკეთება.

სამუშაო ადგილების განლაგება ხორციელდება მალაზიის სავაჭრო-ტექნოლოგიური პროცესის თანმიმდევრობის შესაბამისად. მათი დაგეგმვისას საქონელს, ინსტრუმენტებს, შესაფუთ მასალებს განლაგებენ იმ პრინციპით, რომელიც გამოუმუშავებს მუშაკებს ავტომატიზმს მოძრაობაში და ამით ამცირებს მათ დაღლილობას და ამაღლებს შრომის ეფექტურობას. სამუშაო ადგილის მოწყობამ უნდა უზრუნველყოს შრომის მოწინავე ხერხებისა და მეთოდების გამოყენების შესაძლებლობა.

სამუშაო ადგილების რაციონალური ორგანიზაცია უნდა ერწყმოდეს მათ შეუფერხებელ უზრუნველყოფას ყველა აუცილებელი საშუალებებით, შრომის პროცესისათვის. ეს მოითხოვს მალაზიის ძირითად და დამხმარე მუშებს შორის ფუნქციების ზუსტ გამიჯვნას და საქონლის მარაგისა და შესაფუთი მასალების რითმულ შევსებას.

შრომის ნორმირება. შრომის ეფექტურობის ამაღლების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მისი ნორმირება. იგი საშუალებას იძლევა დავადგინოთ რიცხოვნობა და განვსაზღვროთ მუშაკთა შტატების სტრუქტურა მუშაობის რეჟიმის, საქონელბრუნვის მოცულობისა და სტრუქტურის შესაბამისად, აგრეთვე რაციონალურად გამოვიყენოთ მოწყობილობანი და მუშაკთა სამუშაო დრო, ავამაღლოთ შრომის შედეგებით მათი მატერიალური დაინტერესება. ამგვარად შრომის ნორმირება ხელს უწყობს ვაჭრობაში საზოგადოებრივად აუცილებელი

შრომითი დანახარჯების უფრო სწორად განსაზღვრას საქონელბრუნვის გეგმების შესრულებისათვის მომხმარებელთა მაღალ დონეზე მომსახურების პირობებში.

ვაკრობაში შშმ-ს ძირითად ამოცანებს შრომის ნორმირების დარგში წარმოადგენს: ნორმირებულ სამუშაოთა წრის გაფართოება; შრომის ნორმირების ტექნიკურ-ეკონომიკური დონის დასაბუთების ამაღლება; შრომის ნორმირების დამტკიცების წესის სრულყოფა და გადასინჯვა; შრომის სანარდო ანაზღაურების უფრო ფართოდ გამოყენება მისი ნორმირების საფუძველზე.

შრომის ნორმირების სფეროს გაფართოებას ვაკრობაში ხელს უწყობს მისი ტექნიკური აღჭურვილობის ამაღლების დონე და მაღაზიების ქსელის გაფართოება, რომელნიც გაყიდვის პროგრესულ მეთოდებს იყენებენ, რამდენადაც ამ დროს იზრდება მუშაკთა რაოდენობა, რომელთა შრომაც შეიძლება გაზომილ იქნეს გამომუშავების ინდივიდუალური ნორმებით (დამფასებლები, ჩამწყობნი, დაკვეთების დამკომპლექტებლები, მოლარე-კონტროლიორები და სხვ.).

ვაკრობის მუშაკთა სამუშაო დრო იყოფა მუშაობისა და შესვენების დროდ. მუშაობის დრო მოიცავს მოსამზადებელ-დასკვნით დროს, რომელიც იხარჯება სამუშაო ადგილის მომზადებისათვის მაღაზიის გახსნაზე და მისი დაკეტვის შემდეგ; ძირითადი დრო და დამხმარე დრო, რომელიც იხარჯება მუშაკის მიერ ძირითადი სამუშაოს უზრუნველსაყოფად.

შესვენებანი მუშაობისას იყოფა რეგლამენტირებულ (დრო დასვენებისა და პირადი საჭიროებისათვის, აგრეთვე დროის დანაკარგები მუშაკისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო) და არარეგლამენტირებულად, რომელიც გამოწვეულია შრომის დისციპლინის დარღვევის გამო.

მოსამზადებელ-დასკვნით, ძირითადი და დამატებითი სამუშაო შედგება ცალკეული ელემენტებისაგან (ოპერაციებისაგან). მაგალითად, მოლარე-კონტროლიორის ძირითადი სამუშაოს ელემენტებს წარმოადგენს ნაყიდობის დათვალიერება, საქონლის ღირებულების ფიქსაცია სალაროს აპარატზე, ნაყიდობის ღირებულების დაანგარიშება, ფულის მიღება და მყიდველისთვის ხურდის დაბრუნება.

შრომის ტექნიკურ-ეკონომიკური ნორმირება ითვალისწინებს სამუშაო დროის შესწავლას, მისი სტრუქტურის და სამუშაოს ცალკეული სახეების შესრულების ხანგრძლივობის განსაზღვრას ელემენტების მიხედვით, ძირითადი და დამხმარე სამუშაოს რაციონალიზაციას და ნორმირებას, შესვენებების ნორმირებას. სამუშაო დროის შესასწავლად ტარდება სამუშაო დროის ფოტოგრაფია, ქრონომეტრაჟი, ანკეტური გამოკითხვა.

სამუშაო დროის ფოტოგრაფიის ჩატარებისას აღირიცხება მუშაკთა

დროის დანახარჯები ძირითად და დამხმარე სამუშაოს შესრულებაზე და შესვენებებზე. მუშაობის დროს ვლინდება მათი თანმიმდევრობა და წილი შრომის მთლიან დანახარჯებში. მუშაკთა დროის დანახარჯების აღრიცხვა ძირითადი და დამხმარე სამუშაოს ცალკეული ელემენტების და მიზეზების მიხედვით, რომელიც იწვევს მუშაობაში შეჩერებებს, ტარდება ქრონომეტრაჟის დახმარებით. ქრონომეტრაჟის მონაცემები საშუალებას იძლევა გამოვლინდეს მუშაკები, რომლებიც იყენებენ მუშაობაში რაციონალურ და მოწინავე მეთოდებს და დადგინდეს შრომის ოპტიმალური დანახარჯები ცალკეული სახის ოპერაციების და სამუშაოს შესრულებაზე, რომლებიც მრავალჯერ ვლინდება სამუშაო დროის განმავლობაში.

ფოტოგრაფია, ქრონომეტრაჟი და სამუშაო დროის შესწავლის სხვა მეთოდები ხელს უწყობს შრომის ორგანიზაციაში არსებული ნაკლოვანებებისა და მისი ეფექტურობის ამაღლების რეზერვების გამოვლენას.

ვაკრობის მუშაკთა შრომის თავისებურებათა გამო ზოგიერთი მათგანისათვის (გამყიდველები, ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის მუშაკები) გამომუშაების ინდივიდუალური ნორმების დადგენა რთულია. ამიტომ მუშაკთა რიცხოვნობის ნორმები, რომლებიც დასაქმებულნი არიან მყიდველთა უშუალო მომსახურებით, და ადმინისტრაციულ სამმართველო პერსონალის ნორმები დგინდება ცენტრალიზებულად სსრ კავშირის ვაკრობის სამინისტროსა და ცენტროსოიუზის მიერ განსაზღვრული ტიპის მაღაზიებისათვის. მუშაკთა რიცხოვნობის ნორმები დგინდება სტატისტიკური მონაცემების ანალიზის საფუძველზე და საქონელბრუნვის მოცულობის, სავაჭრო ფართობის, სასაქონლო პროფილის, მაღაზიის მუშაობის რეჟიმის და რიგი სხვა ფაქტორებისაგან დამოკიდებულებით, რომელნიც ზეგავლენას ახდენენ ცალკეული კატეგორიის მუშაკთა შრომის დანახარჯებზე.

შრომის პირობები და მათი გაუმჯობესების ღონისძიებანი. შრომის ოპტიმალური პირობები ხელს უწყობენ მუშაკთა ჯანმრთელობისა და შრომისუნარიანობის შენარჩუნებას, მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებას. განსაკუთრებით ეს ეხებათ მაღაზიის მუშაკებს, რომლებიც მყიდველებს ემსახურებიან და მათი შრომაც დაკავშირებულია დიდ ნერვულ-ემოციურ დაძაბულობასთან.

შრომის სანიმუშო პირობების უზრუნველყოფა მაღაზიებში ხდება ღონისძიებათა კომპლექსით: მუშაკთა შრომისა და დასვენების ფიზიოლოგიურად დასაბუთებული რეჟიმისა და სამუშაოზე გამოსვლის რაციონალური გრაფიკების დადგენით; მძიმე და შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციით; შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის ნორმებისა და წესების დაცვით; შრომის სანიტარულ-ჰიგიენური და ესთეტიკური პირობების სრულყოფით.

შრომისა და დასვენების პერიოდების სწორი მონაცვლეობა გადამწე-

ყვეტ ზეგავლენას ახდენს ფიზიკურ და ნერვიულ დაძაბულობაზე. მუშაკთა დაღლილობის დონეზე და შრომის ნაყოფიერებაზე. ამასთან დაკავშირებით შშმ-ს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას საცალო ვაჭრობაში წარმოადგენს მუშაკებისათვის სამუშაოზე გამოსვლის გრაფიკების დადგენა შრომისა და დასვენების ფიზიოლოგიურად ოპტიმალური რეჟიმის შესაბამისად.

მაღაზიაში სამუშაოზე გამოსვლის რაციონალური გრაფიკების შედგენისას აუცილებელია: დატულ იქნეს შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული სამუშაო დროის ხანგრძლივობა (41 საათი კვირაში); უზრუნველყოფილ იქნეს მუშაკთა შრომისა და დასვენების დროის რითმული ცვლა დღისა და სამუშაო კვირის მანძილზე; გათვალისწინებულ იქნეს დრო მოსამზადებელ-დასკვნით სამუშაოზე საქონლის ჯგუფისა და მაღაზიაში მუშაობის პირობების შესაბამისად მუშაკთა სამუშაო დროში მისი შეტანით; დადგენილ უნდა იქნეს მუშაობის დაწყებისა და დამთავრების დრო, აგრეთვე, შესვენების დრო სადილისა და დასვენებისათვის, გამოსასვლელი დღეები მყიდველთა ნაკადების ინტენსივობის გათვალისწინებით სამუშაო დღის საათებისა და კვირის დღეების მიხედვით.

გამყიდველების სამუშაოზე გამოსვლის სანიმუშო გრაფიკები, რომლებიც რეკომენდებულია რსფსრ ვაჭრობის სამინისტროს, ცენტროსოიუზის, სახელმწიფო ვაჭრობის და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირების ცკ-ის მიერ, შეიძლება გაერთიანებულ იქნეს შემდეგ სამ ჯგუფში: სამუშაოზე ერთდროული გამოსვლის გრაფიკები; სამუშაო დროის შემაჯამებელი აღრიცხვის გრაფიკები;

გამყიდველთა სამუშაოზე გამოცხადების ერთდროული გრაფიკები ითვალისწინებს ხუთდღიან სამუშაო კვირას ორი გამოსასვლელი დღით გამოსვლის ლენტური გრაფიკები; სამუშაო დროის შემაჯამებელი აღრიცხვის გრაფიკები;

მაღაზიებში, რომლებიც მუშაობენ ერთნახევარ და ორ ცვლაში, მყიდველთა ნაკადის არსებითი ცვლილების შემთხვევაში დღის საათების მიხედვით მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს ლენტური გრაფიკი, რომლის მიხედვითაც სავაჭრო დარბაზის მუშაკები სამუშაოზე ცხადდებიან ჯგუფებად ან ცალ-ცალკე სხვადასხვა საათებში სამუშაო დღის მანძილზე. ეს საშუალებას იძლევა პიკის საათებში გვეყავდეს ერთდროულად მომუშავე გამყიდველების უდიდესი რიცხვი და გავაუმჯობესოთ მყიდველთა მომსახურება.

გამყიდველთა სამუშაოზე გამოცხადების მეთოდის, რომელიც გულისხმობს სამუშაო დროის შეჯამებულ აღრიცხვას, გამოიყენება დაიშვება პროფკავშირულ ორგანიზაციებთან შეთანხმებით, როცა შეუძლებელია ნორმალური ხანგრძლივობის სამუშაო დროის დადგენა. მაგალითად, გამყიდველების, მოლარეების, მოლარე-კონტროლიორების

და ზოგიერთი სხვა მუშაკების სამუშაო დრო, როცა მაღაზია მუშაობს ერთნახევარ ცვლაში (11 საათი). ამ შემთხვევაში სამუშაო დღის მაქსიმალური ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 11 სთ. და 30 წუთს, მომდევნო დღეს დასვენების მიცემის აუცილებლობით და თვიური სამუშაო საათების ნორმის გამომუშავების ან გამოუმუშავებლობის კომპენსაციით იმავე სააღრიცხვო თვეში.

მაღაზიაში მყიდველთა არათანაბარზომიერი ნაკადების შემთხვევაში მიზანშეწონილია გათვალისწინებულ იქნეს სხვადასხვა რაოდენობის გამყიდველთა გამოცხადება კვირის სხვადასხვა დღეებში.

შრომის ნორმალური პირობების უზრუნველყოფა მაღაზიებში მოითხოვს ოპტიმალური მიკროკლიმატის შექმნას, რომლის ძირითად ელემენტებსაც წარმოადგენს: მუშაობისათვის ხელსაყრელი ტემპერატურა და განათება, ჰაერის სისუფთავე, მკაფიო ხმაურის არარსებობა, სამუშაო ადგილების დაცვა ისეთ მდგომარეობაში, რომელიც პასუხობს სანიტარულ-ჰიგიენურ მოთხოვნებს.

კადრების მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება. ვაჭრობის მუშაკთა კვალიფიკაციისა და ზოგადსაგანმანათლებლო დონის ამაღლება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს დანახარჯების დონეზე ვაჭრობაში და მყიდველთა მომსახურებაში. კვალიფიციური მუშაკი სწრაფად და უკეთითვისებს შრომის მოწინავე მეთოდებს, ითვისებს ახალ ტექნიკას და მონათესავე პროფესიებს, სრულად და ეფექტურად იყენებს თავის სამუშაო დროს.

საბჭოთა ვაჭრობაში მუშაკთა რიცხოვნობა უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლებით წლიდან წლამდე იზრდება, ხოლო შესაბამისი სასწავლებლების ქსელი — მატულობს. ვაჭრობის დარგის უმაღლესი და საშუალო კვალიფიკაციის კადრების მომზადებას ახორციელებს 30-ზე მეტი უმაღლესი სასწავლებელი და 250 ტექნიკუმი.

საევაკრო განათლების სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მასიური პროფესიის მუშაკთა მომზადებას — გამყიდველები, მოლარე-კონტროლიორები და სხვა. ამჟამად დამკვიდრდა მათი მომზადების სამი ძირითადი ფორმა: პროფესიულ საევაკრო სასწავლებელში, სკოლა-მაღაზიებში და სპეციალურ კურსებზე.

პროფესიული საევაკრო სასწავლებლები უმთავრესად ამზადებენ მაღალკვალიფიციურ კონტროლიორ-მოლარეებს თვითმომსახურების მაღაზიებისათვის, რომელთაც შეუძლიათ იმუშაონ თანამედროვე სალაროს აპარატებთან და ფლობენ გამყიდველის მომიჯნავე პროფესიებს.

მაღაზია-სკოლებში ამზადებენ გამყიდველთა კადრებს მყიდველთა მომსახურების მეთოდების პრაქტიკული სწავლებით მაღაზიაში თეორიული მომზადების შერწყმით.

ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განუწყვეტელი სრულყოფის და მისი ტექნიკური აღჭურვილობის გაუმჯობესების პირობებში

კადრებთან მუშაობა უნდა ითვალისწინებდეს მათ სისტემატურ გადა-
მზადებას, ისე რომ ყოველ მუშაკს, არა უმცირეს ხუთ წელიწადში ერ-
თხელ, შეეძლოს კვალიფიკაციის ამაღლება.

ვაჭრობის ხელმძღვანელი მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლების
ძირითად ფორმას წარმოადგენს: კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულ-
ტეტები უმაღლეს სავაჭრო სასწავლებლებთან; ვაჭრობის ხელმძღვანე-
ლი მუშაკებისა და სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლების ინსტი-
ტუტში და კვალიფიკაციის ამაღლების კურსები ვაჭრობის სამმართვე-
ლოებთან.

მასობრივი პროფესიის ვაჭრობის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღ-
ლება ძირითადად ხორციელდება კურსებზე პროფესიულ სავაჭრო სას-
წავლებლებთან. აგრეთვე სავაჭრო დაოსტატების სკოლებში საცალო
სავაჭრო სასწავლებლებთან.

ვაჭრობაში ორგანიზებულია ეკონომიკური სწავლება სახალხო უნი-
ვერსიტეტებში, ეკონომიკური განათლებისა და კომუნისტური შრომის
სკოლებში.

კადრების აღზრდა და სწავლება, შრომის მოწინავე ხერხებისა და
მეთოდების გავრცელება, შრომის პირობების გაუმჯობესება და ამის
შედეგი, ვაჭრობის მუშაკთა შრომის ეფექტურობის ამაღლება განუყ-
რელადაა დაკავშირებული ვაჭრობაში სოციალისტური შეჯიბრების
ორგანიზაციასა და განვითარებასთან.

ვაჭრობაში სოციალისტური შეჯიბრების მიზანს წარმოადგენს საქო-
ნელბრუნვის გეგმების რითმული შესრულება, შრომისა და სახსრების
დანახარჯების მაქსიმალური შემცირება, მყიდველთა მომსახურების
ხარისხის განუწყვეტელი ამაღლება, ვაჭრობის მუშაკებში შრომისადმი
კომუნისტური დამოკიდებულების გამომუშავება.

ვაჭრობის მუშაკების სოციალისტურ შეჯიბრებაში მონაწილეობის
ყველაზე უფრო ეფექტურ ფორმებს წარმოადგენს:

ინდივიდუალური შეჯიბრება, რომელიც ორგანიზდება ურთიერთ-
ხელშეკრულებათა გაფორმებით ცალკეულ მუშაკებს შორის შეჯიბრე-
ბაზე, აგრეთვე, პროფესიული დაოსტატების კონკურსების ჩატარება
ცალკეული პროფესიის მუშაკებს შორის;

კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრება, რომლის ორგანიზაციაც
ხდება ურთიერთხელშეკრულების გაფორმებით ორ კოლექტივს შორის
(ბრიგადები, სექციები, მალაზიები და ა. შ.);

მეგობრობის ხელშეკრულებანი, რომელიც იღება ვაჭრობისა და
მრეწველობის საწარმოთა კოლექტივებს შორის სახალხო მოხმარების
საქონლის წარმოების ორგანიზაციის და ვაჭრობის გაუმჯობესების
მიზნით.

სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციაში უაღრესად დიდი მნიშ-
ვნელობა აქვს შრომითი შეჯიბრების ლენინური პრინციპების დაცვას—

საჯაროობას, შედეგების შესაღარიისობას, მოწინავე გამოცდილებების განმეორების შესაძლებლობას.

შეჯიბრების წარმატებით განვითარებას და მისი ქმედითობის ამალ-ლებას ხელს უწყობს აგრეთვე სწორად გამომუშავებული შეჯიბრების პირობები, შეჯიბრებაში ჩაბმულთა დაძაბული, მაგრამ რეალური ვალ-დებულებანი და მიმდინარე კონტროლი მათი შესრულების მსვლელო-ბაზე, შეჯიბრების შედეგების რეგულარული და თავისდროული შეჭა-შება, მატერიალური და მორალური სტიმულირების სწორი შეხამება გამარჯვებულთათვის.

შეჯიბრებაში გამარჯვებულთათვის ფულადი პრემიების და სამახ-სოვრო საჩუქრების გაცემა უნდა ერწყმოდეს მადლობათა გამოცხა-დებას, ვიმპელებისა და საპატიო სიგელების გადაცემას, გამარჯვებულთა სახელების საპატიო დაფებში, შრომითი მამაცობის წიგნებში შეტანას.

ვაჭრობის მუშაკები, რომლებმაც მიაღწიეს უმაღლეს შედეგებს სო-ციალისტურ შეჯიბრებაში, ჯილდოდებიან საპატიო ნიშნით „სოცია-ლისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული“, სსრკ ორდენებითა და მედ-ლებით. საუკრო საწარმოთა კოლექტივებს — სოციალისტურ შეჯიბ-რებაში გამარჯვებულებს გადაეცემა გარდამავალი წითელი დროშები და ეძლევა ფულადი პრემიები.

სოციალისტური შეჯიბრების განვითარების უმაღლეს ეტაპს წარ-მოადგენს მოძრაობა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისა-თვის, რომელიც მიმართულია კომუნისტური წარმოებითი ურთიერთო-ბის ფორმირებისაკენ, ამხანაგური ურთიერთდახმარების ყოველმხრივ განვითარებისაკენ, კოლექტივიზმისა და უმაღლესი შედეგების მიღწე-ვისაკენ შრომისა და სახსრების უმცირესი დანახარჯების პირობებში.

ვაჭრობის საუკეთესო მუშაკებს, რომლებიც არაერთხელ არიან სო-ციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულნი და გამომუშავებული აქვთ შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ნიმუშები, ენიჭებათ წოდება „კომუნისტური შრომის დამკვრელი“.

კომუნისტური შრომის კოლექტივების წოდება ენიჭება ბრიგადებს, სექციებს, მალაზიებს, თუ მათი წევრების, ქვეგანყოფილებების არა-უმცირეს ორი მესამედი არის კომუნისტური შრომის დამკვრელი.

§ 3. მალაზიის მუშაობის რეჟიმი, უბატამის რაოდენობა და სტრუქტურა

მალაზიის მუშაობის რეჟიმი განისაზღვრება დღის მანძილზე მისი მუშაობის ხანგრძლივობით, სადილობის შესვენების დროით, კვირაში გამოსასვლელი დღეების ოდენობით და დგინდება სახალხო დეპუტატე-ბის ადგილობრივი საბჭოების მიერ.

მალაზიის მუშაობის ოპტიმალურმა რეჟიმმა უნდა უზრუნველყოს

მყიდველთა მომსახურების საუკეთესო პირობები დროში. ამიტომ ძირითადი ფაქტორები, რომელიც განაპირობებს მაღაზიის მუშაობის რეჟიმს, წარმოადგენს მისი საქმიანობის რაიონში მყიდველთა ნაკადის მოცულობა და მათი განაწილება დღის მანძილზე.

მაღაზიის მუშაობის რეჟიმზე ადგილობრივი პირობებისაგან დამოკიდებულებით შეიძლება იყოს ერთცვლიანი (მუშაობის დრო — 7 სთ. 30 წ. — 8 საათი), ცვლანახევრიანი (მუშაობის დრო 11 საათი) და ორცვლიანი (მუშაობის დრო — 14-16 საათი). ერთცვლიან და ცვლანახევრიან მაღაზიებში შესვენების არსებობის შემთხვევაში მათი მუშაობის ხანგრძლივობა იზრდება ერთი საათით. ორცვლიანი მაღაზიები, როგორც წესი, უნდა მუშაობდნენ შესვენების გარეშე. მყიდველთა დიდი ნაკადების პირობებში მაღაზიის ორცვლიანი მუშაობის რეჟიმი ყველაზე უფრო მიზანშეწონილია, რამდენადაც ხელს უწყობს მყიდველთა ნაკადების ინტენსივობის შემცირებას პიკის საათებში, მომხმარებელთა მომსახურებისა და მუშაკთა შრომის უკეთ ორგანიზებას (არ გამოიყენება სამუშაო დროის ჭამობრივი აღრიცხვა).

მაღაზიის მუშაობის ხანგრძლივობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება მისი ადგილმდებარეობა, მყიდველთა კონტინგენტი, მეზობელი მაღაზიების მუშაობის დრო. ამასთან, მექანიკურად არ უნდა გახანგრძლივდეს ან შემცირდეს მაღაზიის მუშაობის საათები მყიდველთა ნაკადების წინასწარი შესწავლისა და რეჟიმის შეცვლის მიზანშეწონილობის გაანგარიშების გარეშე.

გამოსასვლელი დღეების ოდენობა დგინდება მაღაზიის სავაჭრო დარბაზისა და სასაქონლო პროფილის მხედველობაში მიღებით, აგრეთვე, მყიდველთა ნაკადების ინტენსივობის გათვალისწინებით. ამასთან, საშუალო და მსხვილი სასურსათო მაღაზიების უმეტესობისათვის გაითვალისწინება მუშაობაში უწყვეტობა მთელი კვირის მანძილზე.

არასასურსათო მაღაზიები, როგორც წესი, მუშაობენ ერთი გამოსასვლელი დღით.

გაყიდვის პროგრესული მეთოდების დანერგვა, შრომის მეცნიერული ორგანიზაცია, მექანიზაციის დონის ამაღლება და მაღაზიებში მუშაობის რაციონალური რეჟიმის დადგენა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს წინაპირობას საცალო ვაჭრობის მუშაკთა რიცხოვნობის შეფარდებითი შემცირებისათვის, შტატების სტრუქტურის სრულყოფისა და მაღაზიის პერსონალის ოპტიმალური რაოდენობის განსაზღვრისათვის.

ამჟამად შტატების დამტკიცების უფლება (გარდა ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის მუშაკებისა, რომელთა შტატებიც ლიმიტირებულია) მინიჭებული აქვთ საცალო ვაჭრობის საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს მათდამი დამტკიცებული შრომის გეგმის ფარგლებში.

მაღაზიების მუშაკთა რაოდენობა განისაზღვრება მათი სასაქონლო

პროფილის. სავაჭრო ფართობის სიდიდის, საქონელბრუნვის მოცულობისა და სტრუქტურის, მოწყობილობებით და მექანიზმებით აღჭურვის-გაყიდვის მეთოდის და მუშაობის რეჟიმის მხედველობაში მიღების საფუძველზე.

სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს მიერ დამტკიცებულია სხვადასხვა სპეციალიზაციის მაღაზიების სანიმუშო შტატები, რეკომენდაციები შტატების სტრუქტურისა და პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესის შესახებ თვითმომსახურების არასასურსათო მაღაზიებისათვის. რსფსრ ვაჭრობის სამინისტროს მიერ დამუშავებულია ცალკეული კატეგორიის მუშაკთა სანიმუშო რიცხოვნობა თვითმომსახურების სასურსათო მაღაზიებისათვის 950 მ² ფართობამდე მუშაობის სხვადასხვა რეჟიმის პირობებში და უნივერსალის სანიმუშო შტატი საქონელბრუნვის საშუალოთვიური მოცულობით 1000 ათას მანეთამდე, სავაჭრო ფართობით 1200 მ² და ორ ცვლად მუშაობით, შესვენების გარეშე, ერთი გამოსასვლელი დლით.

მუშაკთა რაოდენობის ნორმების გამოყენება საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ მაღაზიების შტატების ტიპიზირება და თავიდან ავიცილოთ მათი ეკონომიკურად დაუსაბუთებელი გადიდება, განსაკუთრებით ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალისა, რომლის რიცხოვნობა და სტრუქტურა დაახლოებით თანაბარ პირობებში მომუშავე მაღაზიებისათვის არსებითად არ უნდა განსხვავდებოდეს. მაგალითად, თვითმომსახურების სასურსათო მაღაზიებში რიცხოვნობის ნორმების მიხედვით, რომელიც რეკომენდებულია რსფსრ ვაჭრობის სამინისტროს მიერ, დირექტორის თანამდებობა წესდება 250 მ²-ზე მეტი სავაჭრო ფართობის პირობებში, ხოლო უფრო მცირე სავაჭრო ფართობის დროს — მაღაზიის გამგის თანამდებობა. მაღაზიებში, რომლებიც მუშაობენ ერთნახევარ და ორ ცვლად, ასევე ერთცვლიან მაღაზიებში, რომლებიც არ იყოფიან სექციებად და მუშაობენ გამოსასვლელი დღეების გარეშე, შეიძლება შემოღებულ იქნეს დირექტორის (გამგის) მოადგილის თანამდებობა, თუ სავაჭრო ფართობი 250 მ² აღწევს. ჯგუფური ასორტიმენტისა და მუშაობის მოცულობის მიხედვით შეიძლება შემოღებულ იქნეს სექციის გამგისა და მისი მოადგილის თანამდებობა. უფროსი ბუღალტრის თანამდებობა დგინდება მაღაზიებში, რომელთაც აქვთ დამოუკიდებელი ბუღალტრული ანგარიშგება. ეკონომისტის, საქონელმცოდნის, სავაჭრო დარბაზის ადმინისტრატორის თანამდებობები რეკომენდებულია საქონელბრუნვის განსაზღვრული მოცულობის მქონე მაღაზიისათვის.

მაღაზიების მუშაკთა რაოდენობის ტიპობრივი ნორმირება სანიმუშოა და ზუსტდება ცალკეული მაღაზიებისათვის მათი მუშაობის კონკრეტული პირობების გათვალისწინებით.

მაღაზიების ტიპობრივი შტატების ეკონომიკურად დასაბუთებულ

დაზუსტება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუშაკთა კატეგორიების მიხედვით, რომლებიც უშუალოდ ემსახურებიან მყიდველებს. მოლარე-კონტროლიორების რიცხოვნობის გაანგარიშება, მაგალითად, სწარმოებს ყოველი თვითმომსახურების მაღაზიებისათვის ორ ეტაპად. პირველად საზღვრავენ მაღაზიისათვის აუცილებელი მოლარე-კონტროლიორების სამუშაო ადგილების რაოდენობას:

$$K = \frac{T_M}{C \cdot \Pi}, \quad \Pi = \frac{2600}{t},$$

სადაც K არის მოლარე-კონტროლიორების სამუშაო ადგილების (კაბინების რიცხვი) აუცილებელი რაოდენობა;

T_M — მაღაზიის მაქსიმალური საათობრივი საქონელბრუნვა, მანეთებში;

C — ერთი ნაყიდობის საშუალო ღირებულება, მანეთებში.

Π — მოლარე-კონტროლიორის კაბინის გამტარუნარიანობა, მყიდველთა რაოდენობა საათში;

t — ერთ მყიდველთან ანგარიშსწორების საშუალო დრო, წამებში.

ამასთან, მყიდველთან ანგარიშსწორებისათვის შრომის საშუალო დანახარჯები განისაზღვრება სხვადასხვა კვალიფიკაციის მოლარე-კონტროლიორის მუშაობის ქრონომეტრაჟული გაზომვის მონაცემებით განსაზღვრული ტიპის აპარატზე. და ბოლოს, საზღვრავენ მაღაზიისათვის მოლარე-კონტროლიორების აუცილებელ რიცხოვნობას;

$$r = \frac{K \cdot B}{\Phi},$$

სადაც r არის მოლარე-კონტროლიორების საშუალოსიობრივი რიცხვი;

K — მოლარე-კონტროლიორების სამუშაო ადგილების ოდენობა;

B — მოლარე-კონტროლიორის ერთი სამუშაო ადგილის ფუნქციონირების დრო წელიწადში, საათებში;

Φ — მოლარე-კონტროლიორის სამუშაო დროის გეგმური ფონდი წელიწადში, საათებში;

მოლარე-კონტროლიორის სამუშაო დროის გეგმური ფონდი შედგება წლის სამუშაო დღეების რაოდენობისაგან ავადმყოფობის დღეებისა და სამუშაოზე სხვა საბატიო მიზეზებით არყოფნის გამოკლებით.

ცალკეული თვითმომსახურების მაღაზიებისათვის გამყიდველების ტიპობრივი შტატების დაზუსტებისას დამატებით იღებენ მხედველობაში სავაჭრო დარბაზის ფორმას, გამოსაფენი მოწყობილობის ფრონტს, მყიდველთა ნაკადის ინტენსივობას და ცალკეული საქონლის გაყიდვის

მიზანშეწონილობას გამყიდველების მეშვეობით მომსახურების დახ-
ლიდან.

თვითმომსახურების ბევრ სასურსათო მაღაზიაში აუცილებელია პროდუქტების დაფასოება, რაც მოითხოვს დამფასებელთა რიცხოვნობის სწორ განსაზღვრას. დამფასებელთა რაოდენობის გაანგარიშება წარმოებს დასაფასებლად განკუთვნილი საქონლის მოცულობისა და დამფასებლის გამომუშავების ნორმებიდან გამომდინარე მაღაზიაში დაფასოების კონკრეტული პირობების გათვალისწინებით, აგრეთვე, გაითვალისწინება მაღაზიის სხვა მუშაკების მიერ დაფასოების სამუშაოს ნაწილის შესრულების შესაძლებლობა შრომის კოოპერაციის წესით.

მაღაზიის მუშაკთა ტიპობრივი რიცხოვნობის კორექტირებისას თანამდებობები, რომელნიც განეკუთვნება ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალს, შეიძლება შემოღებულ იქნეს მხოლოდ ამ აპარატის შენახვისათვის დადგენილი ასიგნობების ფარგლებში. მუშაობის განსაზღვრული მოცულობისა და სამეურნეო მიზანშეწონილობის პირობებში მაღაზიისათვის შეიძლება დადგინდეს თანამდებობანი, რომელიც გათვალისწინებული არ არის ტიპობრივი შტატებით, კერძოდ, მექანიკოსები სალაროს აპარატების, სამაცივრო მოწყობილობების და სხვათა რემონტის და მომსახურების ხაზით.

§ 4. შრომის მეცნიერული ორგანიზაციის სამსახურები ვაჭრობაში

შრომის მეცნიერული ორგანიზაცია ვაჭრობაში დაკავშირებულია ეკონომიკური და სოციალური ხასიათის მთელი რიგი ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებასთან. ამისათვის სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში შექმნილია შრომის მეცნიერული ორგანიზაციის სამსახურები.

სახელმწიფო ვაჭრობაში შშმ-ს სამსახურის სტრუქტურას აქვს შემდეგნაირი აგებულება: მოკავშირე (რსფრ-ს გამოკლებით), ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროებთან და საოლქო, სამხარეო, ქალაქის ვაჭრობის სამმართველოებთან ორგანიზებულია შშმ-ს ლაბორატორიები ან განყოფილებანი. სავაჭრო საწარმოებში (სავაჭრო ორგანიზაციებში, საცალო ფირმებში, მსხვილ უნივერსიტეტებში, მუშათა მომარაგების განყოფილებებში, საბითუმო ბაზებში (დაშვებულია საშტატო თანამდებობა ინჟინრისა (ეკონომისტისა) — შშმ-ს ორგანიზატორისა. საშტატო მუშაკების პარალელურად სავაჭრო ორგანიზაციებში შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საკითხებით დაკავებულნი არიან საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი შშმ-ს საბჭოები, ხოლო მსხვილ მაღაზიებში-შშმ-ს შემოქმედებითი ჯგუფები.

ამჟამად სახელმწიფო ვაჭრობაში მუშაობას შრომის მეცნიერული

ორგანიზაციის ხაზით ახორციელებს 180 ლაბორატორია, შშმ-ს განყოფილებანი და 1500-ზე მეტი ენჯინერი (ეკონომისტი) — შშმ-ს ორგანიზატორი, საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობს 25 ათასამდე საბჭო და შემოქმედებითი ჯგუფი, რომლებიც აერთიანებს 140 ათასზე მეტ ვაჭრობის მუშაკს. მათ საქმიანობას ვაჭრობის დარგის მასშტაბით კოორდინაციას უწევს და წარმართავს სსრკ ვაჭრობის სამინისტროს შრომისა და ხელფასის განყოფილება, აგრეთვე ტექნიკურ-ეკონომიკური საბჭო.

სახელმწიფო ვაჭრობაში შშმ-ს სამსახურის სისტემის ძირითად რგოლს წარმოადგენენ ლაბორატორიები, საოლქო, სამხარეო, ქალაქის ვაჭრობის სამმართველოების შრომის მეცნიერული ორგანიზაციის განყოფილებანი. ასეთი სამსახურები იქმნება მოკავშირე რესპუბლიკების ვაჭრობის სამინისტროთა გადაწყვეტილებით. მათ ამოცანებს წარმოადგენს რეკომენდაციების შემუშავება და დანერგვა პრაქტიკაში საცალო ვაჭრობის საწარმოებში შრომის ორგანიზაციის სრულყოფის ხაზით; მოწინავე გამოცდილების განზოგადება და გავრცელება, მეთოდური ხელმძღვანელობა, შშმ-ს ინჟინერ-ორგანიზატორების საბჭოების და შემოქმედებითი ჯგუფების სამუშაოთა კონტროლი და კოორდინაცია, მათდამი პრაქტიკული დახმარების აღმოჩენა შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ხაზით დაგეგმვისა და ღონისძიებათა ჩატარების საქმეში. ამ ამოცანებიდან გამომდინარე, ლაბორატორიები, ვაჭრობის სამმართველოს შშმ-ს განყოფილებანი ასრულებენ შემდეგს:

ამუშავებენ წინადადებებს შრომის დანაწილებისა და კოოპერაციის ფორმების სრულყოფის, სამუშაო ადგილების ორგანიზაციისა და მომსახურების, შრომის ხერხებისა და მეთოდების რაციონალიზაციის, ვაჭრობის მუშაკთა კვალიფიკაციისა და ზოგადსაგანმანათლებლო დონის ამაღლების და სხვათა ხაზით.

სწავლობენ მყიდველთა ნაკადებს დღის საათებისა და კვირის ცალკეული დღეების მიხედვით, ასაბუთებენ რეკომენდაციებს მაღაზიებისათვის მუშაობის რაციონალური რეჟიმისა და ამ რეჟიმის შესაბამისი, სამუშაოზე გამოცხადების ოპტიმალური გრაფიკების შედგენის შესახებ.

სწავლობენ სავაჭრო საწარმოების მუშაკთა ძირითადი კატეგორიების სამუშაო დროის სტრუქტურას, ავლენენ სამუშაო დროის დანაკარგების მიზეზებს და ამუშავებენ რეკომენდაციებს მათი შემცირებისა და შრომის ეფექტიანობის ამაღლების ხაზით.

მონაწილეობას ღებულობენ ვაჭრობის სამმართველოების მიერ ახალი მაღაზიების საპროექტო დავალებების პროექტირებასა და დამტკიცებაში ამ მაღაზიებში მუშაობის პირობების შექმნის მიზნით, რაც უპასუხებს შრომის მეცნიერული ორგანიზაციის მოთხოვნებს;

აზოგადებენ და ავრცელებენ მუშაობის მოწინავე გამოცდილებას.

შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების ხაზით და ატარებენ სემინარებს შმმ-ს დარგში მუშაობის გამოცდილებათა გაცვლის ხაზით.

საზღვრავენ ეკონომიკურ და სოციალურ ეფექტიანობას საცალო სავაჭრო საწარმოებში შმმ-ს ღონისძიებათა დანერგვიდან.

აწარმოებენ სავაჭრო საწარმოთა სამმართველო აპარატის შრომის ორგანიზაციის რაციონალიზაციას, სრულყოფას და მათ დანერგვას გამოთვლითი ტექნიკის მუშაობაში.

შრომის მეცნიერული ორგანიზაცია უზრუნველყოფს უდიდეს ეფექტს იმ შემთხვევაში, როცა მისი დანერგვა ერწყმის მაღაზიების ტექნიკური აღჭურვილობის გაუმჯობესებას და მათში საქონლის თვითმომსახურების მეთოდით გაყიდვის ორგანიზაციას. ამასთან დაკავშირებით ვაჭრობის სამმართველოების შმმ-ს ლაბორატორიები მონაწილეობას ლეზულობენ მაღაზიების თვითმომსახურებაზე გადაყვანის პროექტის დამუშავებასა და დასაბუთებაზე, დახმარებას უწყევენ საცალო ვაჭრობის საწარმოებს შტატების ოპტიმალური სტრუქტურის და მუშაკთა რიცხვის დადგენაში, სავაჭრო დარბაზის დაგეგმარებისა და სავაჭრო-ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფაში.

საცალო ვაჭრობის საწარმოებში შრომის ორგანიზაციის სრულყოფის ღონისძიებებს ამუშავებენ და ნერგავენ პრაქტიკაში შმმ-ს საბჭოები, რომლებშიც შედიან ეკონომისტები, საქონელმცოდნეები, ბუღალტრები, ინჟინრები, სექციის გამგეები, გამყიდველი-კონსულტანტები, მოლარე-კონტროლიორები და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. შმმ-ს საბჭო მუშაობს საცალო საწარმოს დირექტორის ხელმძღვანელობით და ეყრდნობა მოწინავეებს, ნოვატორებს და საწარმოს აქტივს. საბჭოს სხდომა ტარდება, როგორც წესი, კვარტალში ერთხელ.

მსხვილ სავაჭრო საწარმოებში შრომის მეცნიერული ორგანიზაციის მიმდინარე სამუშაოს ასრულებს ინჟინერი (ეკონომისტი) — შმმ-ს ორგანიზატორი.

შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ჯგუფი იქმნება სავაჭრო საწარმოს ხელმძღვანელის ბრძანებით. მის ფუნქციაში შედის შმმ-ს ცალკეული მიმართულებების მიხედვით გამოკვლევათა ჩატარება და კონკრეტული წინადადებების დამუშავება. მის შემადგენლობაში შედიან ეკონომისტები, საქონელმცოდნეები, ინჟინრები, ყველაზე უფრო გამოცდილი გამყიდველ-კონტროლიორები, მოლარე-კონტროლიორები და ზოგიერთი სხვა მუშაკები.

შმმ-ს სამსახურები, საბჭოები და შემოქმედებითი ჯგუფები თავიანთ მუშაობას ახორციელებენ წლიური და კვარტალური გეგმების მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო ორგანიზაციის, საწარმოს ხელმძღვანელის მიერ. ასეთი გეგმები დგება შმმ-ს პერსპექტიული გეგმის საფუძველზე.

საბითუმო ვაჭრობის ორგანიზაციული ფორმები

§ 1. საბითუმო ვაჭრობის ფუნქციები და ამოცანები

სოციალისტურ საწარმოთა პროდუქციის წარმოების სფეროდან მოხმარების სფეროში გადაადგილების პროცესი მიმდინარეობს საქონლის ბითუმად გაყიდვის ფორმით. ასე აღმოცენდება საბითუმო ვაჭრობა, რომლის განხორციელებაში მონაწილეობს სპეციალური საშუაშემავლო აპარატი, იგი წარმოდგენილია გამსაღებელი, დამამზადებელი და სავაჭრო ორგანიზაციებისა და საწარმოების სახით.

საბითუმო ვაჭრობა სოციალისტურ საზოგადოებაში მონაწილეობს რა საქონლის გეგმაზომიერ მოძრაობაში, ერთმანეთთან აკავშირებს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებს, ქვეყნის ეკონომიკურ რაიონებს, სახელმწიფო და კოლპერაციულ საწარმოებს.

ახორციელებს რა სასაქონლო კავშირებს წარმოებისა და მიმოქცევის სფეროებს შორის საბითუმო ვაჭრობა მოწოდებულია მინიმალური დანახარჯებით საქონელი დაიყვანოს საცალო ვაჭრობის საწარმოებამდე ან საწარმო-მომხმარებლამდე საცალო საქონელბრუნვისა და სახალხო მეურნეობის დარგების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო გეგმების შესაბამისად, მოსახლეობის მოთხოვნების გათვალისწინებით.

სოციალიზმის დროს საბითუმო საქონელბრუნვის განვითარებაზე გარკვეულ გავლენას ახდენს შრომის საზოგადოებრივი დანაწილება. სოციალისტური წარმოების განვითარება მიმდინარეობს სპეციალიზაციისა და კოლპერირების გზით, რაც ამაღლებს შრომის ნაყოფიერების დონესა და უზრუნველყოფს პროდუქციის გამოშვების მაღალ ტემპებს. შერეწველობასთან ერთად ამავე გზას ადგას სასოფლო სამეურნეო წარმობაც. ასეთ პირობებში არსებითად იზრდება საბითუმო ვაჭრობის როლი, რომელიც მოწოდებულია თავი მოუყაროს და დააკომპლექტოს სასაქონლო მასა ფართო ასორტიმენტში საცალო სავაჭრო ქსელის რეგულარული მომარაგებისათვის უზრუნველყოს აგრეთვე წარმოების

სფეროს მოთხოვნილებები მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმების საფუძველზე.

• სოციალიზმის დროს საბითუმო ვაჭრობა მოიცავს სასაქონლო რესურსების მთელ ერთობლიობას — წარმოების საშუალებებსა და მოხმარების საგნებს.

წარმოების საშუალებათა ბითუმად გაყიდვა, რომელსაც საფუძვლად უდევს სოციალისტური საწარმოებისათვის აუცილებელი მოწყობილობების, მასალებისა და ნახევარფაბრიკატების გეგმური განაწილება, წარმოებს საბითუმო ვაჭრობის გზით, რომელსაც მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანოები ასრულებენ. საბითუმო ბრუნვის ეს სახე ემყარება წარმოების საშუალებებზე საწარმოთა მოთხოვნილების ზუსტ აღრიცხვასა და დაგეგმვას, ამიტომ მისი სიდიდე და სტრუქტურა მკვეთრ ცვლილებებს არ განიცდის.

სამომხმარებლო საქონლის საბითუმო ბრუნვა წარმოადგენს აგრეთვე სახელმწიფო დაგეგმვის ობიექტს, მაგრამ მისი მოცულობა და განსაკუთრებით სტრუქტურა განიცდის მნიშვნელოვან კონიუნქტურულ ზემოქმედებასა და ცვლილებებს. ეს აიხსნება იმით, რომ საბითუმო ბრუნვის ეს სახე დაკავშირებულია საცალო საქონელბრუნვასთან, რომელზეც გავლენას ახდენს პირადი მოხმარების სფეროში წარმოშობილი მსყიდველობითი მოთხოვნის ცვლილებები.

• მამასადამე, სახალხო მოხმარების საქონლის საბითუმო ვაჭრობა წარმოადგენს ვაჭრობის მეტად დინამიურ დარგს, რომელიც განუწყვეტლივ განიცდის არსებით ცვლილებებს. ეს ცვლილებები აიხსნება საქონლის წარმოების, საბითუმო და საცალო საქონელბრუნვის მოცულობათა შორის ცვალებად თანაფარდობაში.;

ქვეყნის სხვადასხვა რაიონებში სამომხმარებლო საქონლის წარმოების განვითარებით, საცალო ვაჭრობის ორგანიზაციებისა და საწარმოების საქმიანობის მასშტაბების გადიდებით წარმოიქმნება ხელსაყრელი პირობები მწარმოებელ და საცალო ვაჭრობის საწარმოებს შორის პირდაპირი კავშირების დამყარებისათვის.

• აღნიშნულს ხელს უწყობს აგრეთვე საქონელმოძრაობის რაციონალური ორგანიზაცია, საქონლის ტრანსპორტირების სრულყოფა, კონტეინერებით გადაზიდვის დანერგვა და სხვ. ყოველივე ეს კი იწვევს საბითუმო საქონელბრუნვის შეფარდებით შემცირებას. საქონელმიმოქცევის პროცესის ნორმალიზაციის აუცილებლობასთან დაკავშირებულ რიგ მომენტებთან ერთად საბაზრო წონასწორობის მიღწევა და მოთხოვნისა და მიწოდების დაბალანსება, სამომხმარებლო საქონლის ასორტიმენტის სტაბილურობისა და სიმყარის პირობების შექმნა განაპირობებს საბითუმო ვაჭრობის როლის ამაღლებას და საბითუმო საქონელბრუნვის მოცულობის გადიდებას..

საბითუმო ვაჭრობა სოციალიზმის პირობებში პრინციპულად, ძირე-

ულად განსხვავდება კაპიტალისტური საბითუმო ვაჭრობისაგან როგორც თავისი სოციალურ-ეკონომიკური ბუნებით, ისე მასზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების ხასიათით.

მეურნეობის კაპიტალისტური სისტემის პირობებში საბითუმო ვაჭრობა წარმოადგენს კაპიტალის დაბანდების ერთ-ერთ სფეროს. მისთვის დამახასიათებელია საქონლის მრავალჯერადი გაყიდვა, რომელსაც ხშირ შემთხვევაში თან არ ახლავს საქონლის რეალური მოძრაობა და ხორციელდება სპეკულაციური მიზნებით. გადასცემენ რა ერთიმეორეს საქონლის ფლობის უფლებას, კაპიტალისტები ცდილობენ მიიღონ მაქსიმალური მოგება თითოეული საბითუმო გარიგებიდან.

კაპიტალისტური საბითუმო ვაჭრობისათვის დამახასიათებელია ფიქტიური გარიგებანი და საბირჟო ოპერაციები, არარსებული საქონლის გაყიდვა (მაგალითად, მომავალი წლის მოსავალი, გამოკვლეული, მაგრამ ჯერ მოუპოვებელი სასარგებლო წიაღისეული და ა. შ.). საბითუმო ფირმები საქმიანობას, უწინარეს ყოვლისა, წარმართავენ მოგებისაკენ და ყველაზე ნაკლებად აინტერესებთ საბაზრო საჭიროებათა დაკმაყოფილება თუ საქონელმოძრაობის რაციონალური ორგანიზაცია.

საქონელმოძრაობის ზედმეტი გზებისა და დიდი საშუაშალო აპარატის არსებობა იწვევს საზოგადოებრივი შრომის უდიდეს დანახარჯებს, რომელნიც საბოლოოდ მძიმე ტვირთად აწევება მომხმარებლებს.

ხაზს უსვამდა რა საბითუმო და საცალო ვაჭრობას შრომის არსებით წინააღმდეგობას კაპიტალიზმის დროს კ. მარქსი წერდა: „ვაჭრებსა და მომხმარებლებს შორის მიმოქცევა, გაცვლა, თუნდაც ბოლოს და ბოლოს ისინი ერთიმეორეს განაპირობებენ, განისაზღვრებიან სრულიად სხვადასხვა კანონებითა და მოტივებით და შეიძლება ერთიმეორეს მიმართ აღმოჩნდნენ უდიდეს წინააღმდეგობაში“¹.

ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ კაპიტალისტური ქვეყნების მსხვილი საცალო სავაჭრო ფირმები ცდილობენ უარი თქვან ბითუმად მოვაჭრეთა მომსახურებაზე, განთავისუფლდნენ მათზე დამოკიდებულებისაგან და შექმნან საკუთარი საბითუმო ვაჭრობა თავისი მალაზიების საქონლით მომარაგებისათვის. მაგრამ ეს შეუძლიათ მხოლოდ მსხვილ სავაჭრო ფირმებს. ცალკობით მოვაჭრეების უმრავლესობა იძულებულია ისარგებლოს საბითუმო ფირმების მომსახურებით ყველა მისგან გამომდინარე შედეგით.

სოციალისტური საბითუმო ვაჭრობა, რომელიც ხელმძღვანელობს სულ სხვა პრინციპებით, ფართოდ შლის თავის საქმიანობას. მის ამოცანებში შედის სასაქონლო რესურსების გეგმაზომიერი განაწილებისა და რეალური გადანაცვლების ორგანიზაცია. ის მოწოდებულია უზრუნველყოს საცალო საქონელბრუნვის განვითარების მაღალი ტემპები და

1. Архив К. Маркса и Ф. Энгельса, т. IV, М., Партиздат, 1935, с. 71.

ჯეროვანი დახმარება გაუწიოს საცალო სავაჭრო საწარმოებს საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საქმეში.

შლის რა თავის საწარმოთა საქმიანობას სხვა სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში, გეგმიანი ორგანიზაციის საფუძველზე, საბითუმო ვაჭრობას სოციალიზმის დროს არ გააჩნია მფლანგველური ხარჯები. მისი მიმოქცევის ხარჯების დონე რამდენჯერმე ნაკლებია კაპიტალისტური ქვეყნების საბითუმო ფირმების ხარჯების დონეზე.

საბითუმო ვაჭრობა, რომელიც საქონელმიმოქცევის განუყოფელი და მნიშვნელოვანი ნაწილია, წარმოადგენს აქტიურ შუამავალს წარმოებასა და საცალო ვაჭრობას შორის, რომელიც დიდ გავლენას ახდენს საქონლის წარმოების განვითარებასა და საცალო საქონელბრუნვის გაფართოებაზე.¹

საბითუმო ვაჭრობის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს სოციალისტურ წარმოებაში შექმნილი საქონლის დაყვანა საცალო სავაჭრო საწარმოებამდე, მოხმარების რაიონებში საქონლის დროული შეზიდვის ორგანიზაცია მოსახლეობის მოთხოვნების შესაბამისად.

ჩვენი ქვეყნის დიდი ტერიტორიული მასშტაბები, წარმოების განვითარებისა და განლაგების სპეციფიკური პირობები იწვევენ სახალხო მოხმარების საქონლის შეზიდვა-გაზიდვის აუცილებლობას ოლქებსა და რესპუბლიკებს შორის. საბითუმო ვაჭრობა, აკავშირებს რა წარმოების პუნქტებს მოხმარების რაიონებთან, ხელს უწყობს პროდუქციის სწორად განაწილებას.

ხელმძღვანელობს რა უმცირესი დანახარჯებით უმაღლესი შედეგების მიღწევის პრინციპით, საბითუმო ვაჭრობამ საქონელი მოხმარების რაიონებში უნდა დაიყვანოს უმოკლესი გზებით, რაც შეიძლება მცირე რაოდენობის შუალედური სასაწყობო რგოლების გავლით, ე. ი. განახორციელოს საქონელმოძრაობის ორგანიზაცია რაციონალურ საფუძველზე.

მწარმოებელ საწარმოთა სპეციალიზაციის გაღრმავების პირობებში საბითუმო რგოლები მოწოდებული არიან ცალკეული საწარმოების მიერ გამოშვებული საქონლის ვიწრო საწარმოო ასორტიმენტი გარდაქმნან ფართო სავაჭრო ასორტიმენტად. ეს მოითხოვს გაბნეული სასაქონლო რესურსების კონცენტრაციის, მიმდინარე, მიზნობრივი და სეზონური სასაქონლო მარაგების ძირითადი ნაწილის თავმოყრის აუცილებლობას საბითუმო საწარმოებში. ამასთან ერთად საბითუმო ვაჭრობა მოწოდებულია გამოძებნოს საქონლის ადგილობრივი წარმოების წყაროები, ხელი შეუწყოს მის განვითარებას და საქონელბრუნვაში ჩართოს დამატებითი სასაქონლო რესურსები. საბითუმო ვაჭრობის საწყობებში შესაბამისი საქონლის მარაგის არსებობა საშუალებას გვაძლევს გავაუმჯობესოთ ბითუმ მყიდველთა მომარაგება.

საბითუმო ვაჭრობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქონლის ხა-

რისხის ამაღლებაში. ლებულობენ რა წარმოებიდან საქონელს დიდი პარტიობით, საბითუმო საწარმოები ახორციელებენ კონტროლს მის ზარისხზე, არ უშვებენ, რომ უხარისხო საქონელმა შეაღწიოს საცალო ქსელში.

ასრულებს რა წარმოებაზე ზემოქმედების მნიშვნელოვან ფუნქციას საბითუმო ვაჭრობა იმავე დროს დიდ გავლენას ახდენს საცალო ვაჭრობის საწარმოთა საქმიანობის განვითარებასა და სრულყოფაზე. საბითუმო რგოლები ვალდებულნი არიან მუდმივი დახმარება გაუწიონ საცალო ვაჭრობას მოთხოვნის შესწავლაში და საქონელზე შეკვეთების დამუშავებაში. ახალი საქონლის პრობაგანდისა და საქონლის ასორტიმენტის განახლებაში, რეკლამის ორგანიზაციაში, საქონლის გაყიდვის პროგრესული მეთოდების დანერგვაში, ვაჭრობის კულტურის საერთო დონის ამაღლებაში.

სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებში, რომლითაც განსაზღვრა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებები 1976-1980 წლებში, საბითუმო ვაჭრობის ორგანიზაციებსა და საწარმოებს დაეკისრა განსაკუთრებული პასუხისმგებლობა მალაზიების შეუფერხებელი უზრუნველყოფისათვის აუცილებელი რაოდენობისა და ასორტიმენტის საქონლით.

საბითუმო ვაჭრობის შემდგომი სრულყოფისათვის, მისი წარმოებაზე ზემოქმედების გაძლიერებისათვის, აგრეთვე საბითუმო აპარატის საქმიანობის საცალო ვაჭრობის ინტერესებისადმი, საბოლოო ჯამში მოსახლეობის მოთხოვნილებებისადმი მთლიანი დამორჩილებისათვის, აუცილებელია უზრუნველყოთ:

საქონელზე მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნის გულმოდგინე შესწავლა, მისი მოცულობისა და სტრუქტურის სწორად განსაზღვრა;

საქონლის წარმოებაზე ეკონომიკურად დასაბუთებული შეკვეთებისა და განაცხადების წარდგენა;

სწორი ასორტიმენტული პოლიტიკის გატარება, რომელიც უზრუნველყოფს საქონლის ოპტიმალური ასორტიმენტის ფორმირებას საცალო სავაჭრო ქსელში;

საცალო სავაჭრო ქსელის საქონლით რიტმული და შეუფერხებელი მომარაგება;

საბითუმო ბაზრობების ჩატარების პრაქტიკის სრულყოფა; საქონლის შესყიდვისა და მიწოდების ხელშეკრულებათა როლის ამაღლება და სახელშეკრულებო დისციპლინის განმტკიცება;

საცალო ვაჭრობის საწარმოებისადმი გაწეული მომსახურების გაფართოება და სრულყოფა;

საცალო სავაჭრო ქსელში მისაწოდებელი საქონლის ზარისხზე მკაცრი კონტროლის დაწესება.

ზემოჩამოთვლილი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა შეუძლებელია საბითუმო ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და გაფართოების გარეშე, რომელიც უნდა მოხდეს მსხვილი ერთიანებული საწყობების, მაცივრების, ხილ-ბოსტნეულის საცავების მშენებლობათა ხარჯზე, რომელთაც ექნებათ მექანიზაციის მაღალი დონე და ტექნოლოგიური ოპერაციების რაციონალური ორგანიზაციის შესაძლებლობა. საბითუმო საწარმოთა არსებული ქსელის შესწავლა და სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და ვაჭრობის განვითარების პერსპექტივების გათვალისწინება, აგრეთვე საქონელმომძრაობის რაციონალური ორგანიზაციის მოთხოვნები კარნახობს საბითუმო საწარმოთა ქსელის შემდგომი განვითარების, მათი ტიპიზაციის და ქვეყნის ყველა ეკონომიკურ რაიონებში სწორი განლაგების აუცილებლობას.

— არანაკლებ მნიშვნელოვანია საბითუმო ვაჭრობაში კომერციული მუშაობის დონის ამაღლება, წარმოების, საბითუმო და საცალო ვაჭრობის ურთიერთობათა სრულყოფა მათი ინტერესების ერთიანობის საფუძველზე, საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნილებების უფრო სრულად დაკმაყოფილების მიზნით.

სოციალისტური მეურნეობის პირობებში საქონელმომოქცევა ხორციელდება სამი ფორმით: მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვა და სახალხო მოხმარების საქონლით ვაჭრობა. ეს განაპირობებს მათი საბითუმო ვაჭრობის შესაბამისი აპარატის თავისებურებებს.

რადგან საბითუმო რგოლების საქმიანობის ძირითადი მიზანი საცალო ვაჭრობის მომარაგებაა, ამიტომ საბითუმო აპარატი უნდა იმყოფებოდეს ერთიან სისტემაში, ვაჭრობის ხელმძღვანელ ორგანოთა დაქვემდებარებაში, რომლებიც პასუხს აგებენ საცალო საქონელბრუნვის განვითარებაზე და სავაჭრო ქსელის საქონლით დროულ და შეუფერხებელ მომარაგებაზე. ამ პრინციპის დაცვა უზრუნველყოფს საბითუმო და საცალო ვაჭრობის ინტერესთა ერთიანობას. *

ქვეყანაში ვაჭრობის განვითარების მრავალწლიანი გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მყიდველობითი მოთხოვნის უფრო სრული დაკმაყოფილება მიიღწევა საქონლის სამომხმარებლო კომპლექსების მიხედვით გაყიდვის გზით. ეს იწვევს სავაჭრო ქსელის საქონლით კომპლექსური მომარაგების საჭიროებას გარკვეული სასაქონლო დარგების ფარგლებში. მაგრამ საბითუმო აპარატის აგების საფუძველად ხანგრძლივი დროის განმავლობაში სპეციალიზაციის პრინციპი დამკვიდრდა, რომელიც შეესაბამება სამრეწველო წარმოების ტექნოლოგიურ ნიშანს.

საბითუმო აპარატის აგება განსაზღვრულ პირობებში მიზანშეწონილია საქონლის დანიშნულების მიხედვით, მყიდველობითი მოთხოვნის კომპლექსურობის პრინციპის მიხედვით.

ისტორიულად ჩამოყალიბებული და ამჟამად მოქმედი საბითუმო ვაჭრობის აპარატი მთლიანად პასუხობს მუდმივად მზარდი საქონელ-ბრუნვის მოთხოვნებს, მაგრამ ეკონომიკური მიზანშეწონილობის პოზიციებიდან მისი ცალკეული რგოლების არსებობა ყველა შემთხვევაში არ არის გამართლებული.

ცალკეული საბითუმო ორგანიზაციებისა და საწარმოების სისტემების არსებობის მიზანშეწონილობის ეკონომიკური დასაბუთება წარმოადგენს საბითუმო აპარატის არა მარტო აგების მნიშვნელოვან პრინციპს, არამედ მათი სრულყოფის, დუბლირებისა და პარალელიზმის ლიკვიდაციისა და მათი შენახვის ხარჯების შემცირების აუცილებელ ღონისძიებასაც.

საბითუმო ვაჭრობის უფრო მძლავრი საწარმოებისა და გაერთიანებების ჩამოყალიბებამ, საბითუმო რგოლების გამსხვილებამ უნდა მოეყვანოს ისინი მრეწველობის მართვის სისტემაში გატარებულ გარდაქმნებთან შესაბამისობაში. ყოველივე ეს დადებით გავლენას ახდენს ვაჭრობასა და მრეწველობას შორის ურთიერთობაზე, რომელიც თანასწორი პარტნიორობის საფუძველზე აიგება.

საბითუმო რგოლების გამსხვილების პრინციპი ხელს შეუწყობს საბითუმო ვაჭრობაში მართვის ავტომატიზებული სისტემების სწრაფ დანერგვას, ელექტრონულ-გამომთვლელი ტექნიკის ფართოდ გამოყენებას, საქონელმოძრაობის მართვაში, მოთხოვნის შესწავლის სფეროში ინფორმაციული ნაკადების დამუშავებას და ა. შ.

ჩვენს ქვეყანაში სახალხო მოხმარების საქონლით საბითუმო ვაჭრობის საერთო ხელმძღვანელობა დაკისრებული აქვს სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს და მოკავშირე რესპუბლიკების ვაჭრობის სამინისტროებს. სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტრო თავისი სასაქონლო-დარგობრივი და ფუნქციონალური სამმართველოების საშუალებით საბითუმო ვაჭრობის ხელმძღვანელობის დარგში ასრულებს საბაზრო ფონდების განაწილების, რესპუბლიკათა შორის მიწოდების დაგეგმვისა და საბაზრო და არასაბაზრო მომხმარებლებისათვის საქონლის ცალკეული ჯგუფების მიწოდების სამუშაოთა კოორდინირების ფუნქციებს. აღნიშნულ სამუშაოებს სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს აპარატში ასრულებენ: სასურსათო საქონლით ვაჭრობის მთავარი სამმართველო — გლავპროდტორბ; ქსოვილებით, ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით ვაჭრობის მთავარი სამმართველო — გლავტექსტილმშვიპრობტორბ; კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა, სამეურნეო საქონლითა და გალანტერიით ვაჭრობის მთავარი სამმართველო — გლავკულ-ტბიტტორბ.

აღნიშნული მთავარი სამმართველოების შემადგენლობაში შედის იმპორტული საქონლით, ვაჭრობის ორი კანტორა — პროდიმპორტორგ და პრომიმპორტორგ, რომლებიც ახდენენ საზღვარგარეთის ქვეყნე-

ბიდან საგარეო ვაჭრობის საფუძველზე შემოზიდული იმპორტული საქონლის მიწოდებას საბითუმო საწარმოებზე. ხილ-ბოსტნეულის პროდუქციის დამზადების, შენახვისა და ბითუმად გაყიდვის საქმიანობას ხელმძღვანელობს კარტოფილითა და ხილ-ბოსტნეულით ვაჭრობის სამმართველო.

სახალხო მოხმარების საქონლის საბითუმო ვაჭრობის უშუალო ხელმძღვანელობას ახორციელებს მოკავშირე რესპუბლიკების ვაჭრობის სამინისტროები, რომელთა დაქვემდებარებაშიც იმყოფება საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური საბითუმო ბაზები და კანტორები. რესპუბლიკის მასშტაბით ვაჭრობის სამინისტროები თავისი დარგობრივი და ფუნქციური აპარატისა და რესპუბლიკური საბითუმო კანტორების მეშვეობით გეგმავენ საქონლის მიწოდებას, ამყარებენ სამეურნეო კავშირებს მრეწველობასთან, შეაქვთ საქონელი ბაზებში და ამარაგებენ საქონლით საცალო სავაჭრო საწარმოებს.

რესპუბლიკური ვაჭრობის სამინისტროები დიდ მუშაობას ეწევიან წარმოების გეგმების კოორდინაციისა და სამომხმარებლო საქონლის რესურსების საქონელბრუნვაში ჩართვის, მისი ასორტიმენტის განახლებისა და ხარისხის გაუმჯობესების სფეროში. აღნიშნული ამოცანების პრაქტიკულად გადაწყვეტას აღწევენ საქონლის წარმოებასა და მოთხოვნაზე განაცხადების დამუშავების, შეკვეთების წარდგენისა და შეთანხმების, საბითუმო ბაზრობების მოწყობის, საქონლის ნიმუშების განხილვის, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გეგმების შესრულებაზე კონტროლის განხორციელების გზით.

რესპუბლიკური ვაჭრობის სამინისტროები საბითუმო ორგანიზაციების საშუალებით ეწევიან საქონლის შეზიდვასა და გაზიდვას რესპუბლიკათაშორისო მიწოდების გეგმების საფუძველზე, რომელიც სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს მიერაა დამტკიცებული.

§ 2. სახალხოში საბითუმო ვაჭრობის ორგანიზაციულ ფორმები

საბითუმო ბრუნვის ორგანიზაციაში მონაწილეობას ლებულობს არსებითად ეკონომიკის ყველა დარგი, ყველა სამეურნეო ორგანიზაცია და საწარმო, რომლებიც დაკავშირებული არიან მატერიალურ წარმოებასთან და საქონელმიმოქცევასთან.

სახალხო მოხმარების საქონლის ბითუმად გაყიდვას ეწევიან სხვადასხვა სისტემის სახელმწიფო საწარმოები შემდეგი ფორმებით:

მსუბუქი და კვების მრეწველობის პროდუქციის გასაღება წარმოებითი გაერთიანებებისა და საწარმოების მიერ უშუალოდ საცალო სავაჭრო ორგანიზაციებსა და საწარმოებზე;

მძიმე მრეწველობის დარგების ნაწარმის გასაღება სსრ კავშირის სა-

ხელმწიფო მომარაგების მთავარ მომარაგება-გასაღებისა და მოკავშირე რესპუბლიკების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სამმართველოების მიერ;

პურპროდუქტების გასაღება რესპუბლიკური სამინისტროების სარეალიზაციო კანტორების, ბაზებისა და სამრეწველო საწარმოების მიერ, ხოლო კარტოფილის, ხილისა და ბოსტნეულის დამზადება სხვა დამამზადებელი ორგანიზაციების მიერ;

მოკავშირე რესპუბლიკების ვაჭრობის სამინისტროების სისტემის საბითუმო ვაჭრობა.

სახალხო მოხმარების საქონლის სახელმწიფო საბითუმო ვაჭრობაში განსაზღვრული ადგილი უკავია სხვადასხვა სამინისტროებისა და უწყებების საბითუმო-გამსაღებელ ორგანოებს (ასრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების საფთვითა-ქო სამმართველოები, სოიუზენიგა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამომცემლობის, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტის რესპუბლიკური გაერთიანებები და სხვ.).

მრეწველობის საწარმოებისა და გაერთიანებების მიერ პროდუქციის უშუალო საბითუმო გასაღებას საცალო სავაჭრო ორგანიზაციებსა და საწარმოებზე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მთლიან საბითუმო ბრუნვაში. მისი განვითარება განპირობებულია საქონლის ან სამეურნეო ურთიერთობის სპეციფიკურობით. ისეთი პროდუქტები, როგორცაა პური და პურფუნთუშეულის ნაწარმი, რძე და რძის მყავე პროდუქტები, ლიქიორ-არაყის ნაწარმი, ლუდი და უალკოჰოლო სასმელები, მცენარეული ზეთი და ზოგიერთი სხვა საქონელი ფაბრიკებთან არსებული საწყობებიდან და ექსპედიციებიდან პირდაპირი ხელშეკრულების საფუძველზე შეიზიდება უშუალოდ მალაზიებში.

ანალოგიურ ფორმას ღებულობს მთელი რიგი არასასურსათო საქონლის (შეკერილი ნაწარმი, ფეხსაცმელი, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების საქონელი) საბითუმო გასაღება, როდესაც პირდაპირი კავშირების საფუძველზე სამრეწველო საწარმოები მიწვედიან მსხვილ სავაჭრო საწარმოებს.

მძიმე მრეწველობის საწარმოთა პროდუქციის გარკვეული ნაწილის რეალიზაცია ხდება მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სისტემის მეშვეობით. სსრ კავშირის სახელმწიფო მომარაგების საკავშირო მომარაგება-გასაღების მთავარი სამმართველოები საწარმოების, მშენებლობების და სხვა სამეურნეო ორგანიზაციების გეგმაზომიერ მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებასთან ერთად უზრუნველყოფენ საბაზრო ფონდების მიხედვით პროდუქციის მიწოდებას ვაჭრობაში. ამ ორგანოების საშუალებით ხდება ბაზარზე მოსახლეობის პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის განკუთვნილი ლითონის ნაწარმის, ნავთობპროდუქტების, აქიმიკატების, ელექტროსაქონლის, სამშენებლო

მასალების და სხვა ნაწარმის სავაჭრო ორგანიზაციებზე ბითუმად მიყი-
დვა.

სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებების შესაბამისად მძიმე მრე-
წველობის საწარმოებში ფართოდ გაიშალა სახალხო მოხმარების სა-
ქონლის წარმოება, რის გამოც ამ დარგების ხვედრითი წონა სამომხმარებლო
საქონლის მთლიან საბითუმო ბრუნვაში იზრდება.

მარცვლეულის, ფქვილის და ბურღულების პროდუქტებით საბითუ-
მო ვაჭრობას ახორციელებს სსრ კავშირის დამზადების სამინისტრო.
მის დაქვემდებარებაში იმყოფება პურის მიმღები პუნქტების, საწყობე-
ბისა და ელევატორების, წისქვილკომბინატებისა და ბურღულეულის
ქარხნების ფართო ქსელი. მათ მიერ დამზადებული და გადამუშავებულ-
ი პროდუქტია საბითუმო გაყიდვის წესით სარეალიზაციო ბაზებიდან
მიეწოდება საცალო სავაჭრო ორგანიზაციებსა და საწარმოების საწყობე-
ბებს ან უშუალოდ მაღაზიებს.

კარტოფილის, ხილისა და ბოსტნეულის და ზოგიერთი სხვა პრო-
დუქტების საბითუმო გაყიდვა წარმოებს სამომხმარებლო კოოპერაციის
დამამზადებელი სისტემის და სახელმწიფო ვაჭრობის საბითუმო-საცა-
ლო ორგანიზაციების საშუალებით. მთელ რიგ შემთხვევებში ვაჭრო-
ბები დამამზადებელი აპარატის გვერდის ავლით პირდაპირ კავშირებს
ამყარებენ ქალაქებთან ახლოს მდებარე კოლმეურნეობებთან და საბ-
ჭოთა მეურნეობებთან. აღნიშნული პროდუქტებით საცალო ქსელის
ზამთარში მომარაგებას მსხვილ ქალაქებში ახორციელებენ ხილბოსტ-
ნეულის ვაჭრობების კანტორები და ბაზები, ხოლო მცირე და საშუალო
ქალაქებში — ადგილობრივი დაქვემდებარების შერეული ვაჭრობე-
ბი და კვებავაჭრობები.

სახალხო მოხმარების საქონლის ძირითადი მასის საბითუმო ბრუნ-
ვა ქვეყანაში ხორციელდება მოკავშირე რესპუბლიკების ვაჭრობის სა-
მინისტროების სისტემის საბითუმო ორგანიზაციების საშუალებით,
რომლებსაც ექვემდებარება რესპუბლიკური, საოლქო და სამხარეო
საბითუმო კანტორები და საბითუმო ბაზები, მაცივარკომბინატები და
მაცივრები.

რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე საბითუმო საქმიანობას წარ-
მართავს რსფსრ-ს ვაჭრობის სამინისტროს შემდეგი რესპუბლიკური
საბითუმო კანტორები (იხ. სქემა 1 და 2):

რუსბაბაღში—საბაყლო საქონლით საბითუმო ვაჭრობის კანტო-
რა. მის ნომენკლატურაში შედის: შაქარი, საკონდიტრო ნაწარმი, ჩაი, მა-
რილი, ხილბოსტნეულის კონსერვები, მაკარონის ნაწარმი, კვების კონ-
ცენტრატები, თამბაქოს ნაწარმი, მინერალური წყლები, სანელებელი
და სხვა საბაყლო საქონელი;

რუსხორცრძმვაჭრობა (როსხორცროლტორბ)—ხორციით, რძით,
კარაქით საბითუმო ვაჭრობის კანტორა. იგი ახდენს ხორცის, ფრინვე-

ლის, ძეხვის ნაწარმის, შაშხის, კვერცხის, კარაქის, ყველის, ხორც-მცენარეულის და რძის კონსერვების გაყიდვას;

რუსსანოვილვაპრობა (როსტამსტილტორბი) — ქსოვილებით საბითუმო ვაჭრობის კანტორა. ყიდის ბამბის, მატყლის, აბრეშუმისა და სელის ქსოვილებს, ქსოვილის ცალობით ნაწარმსა და ძაფებს;

რუსტანსაცმილვაპრობა (როსტორბოლმუდა) შეეკერილი ნაწარ-მით, ტრიკოტაჟით, წინდა-თათმანის ნაწარმით, ბეწვითა და თავსაბურა-ვებით საბითუმო ვაჭრობის კანტორა;

რუსფხსაცმილვაპრობა (როსოგუშტორბი) — ტყავის, რეზი-ნის მოთელილი ფეხსაცმლითა და ქეჩა-ნაბდის ნაწარმით საბითუმო ვაჭრობის კანტორა;

რუსსამეურნომოვაპრობა (როსსოჭტორბი) — ლითონის სამეუ-რნეო და ქიმიურ-მოსკატელური საქონლით, სილიკატური ნაწარმით, ავეჯით, შპალერით, საოჯახო მანქანებით, ელექტრო-საყოფაცხოვრებო და სხვა საქონლით საბითუმო ვაჭრობის კანტორა;

რუსსაშლტვაპრობა (როსსაშლტტორბი) — მუსიკალური ინსტ-რუმენტებით, ფოტოსაქონლით, რადიომიმღებებითა და ტელევიზორე-ბით, სასკოლო-საწერი ნივთებით, სათამაშოებით, სპორტული საქონ-ლით, ავტომობილებით, მოტოციკლებით, ველოსიპედებით საბითუ-მო ვაჭრობის კანტორა;


რუსბალანტირება (როსბალანტირება) — გალანტერეით, პარფი-უმერია-კოსმეტიკის ნაწარმითა და საპნით საბითუმო ვაჭრობის კან-ტორა.

ჩამოთვლილ კანტორებთან ერთად საქონლის ბითუმად გაყიდვას ახორციელებს საიუველირო ნაწარმის ვაჭრობის მთავარი სამმართველო — მთავარიუველირვაპრობა (გლავიუველიტორგ).

რსფსრ ვაჭრობის სამინისტროს სისტემის საბითუმო ვაჭრობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს უკიდურეს ჩრდილოეთ რაიონებში და შორეულ ადგილებში ვაჭრობის მთავარ სამმართველოს — მთავარ-ჩრდილოეთვაპრობა (გლავსევერსტორგ). ეს სამმართველო თავისი საავტო-შემსყიდველი და გადამტვირთველი ბაზების საშუალებით ძირითადად საბითუმო ფუნქციებს ასრულებს, შეისყიდის, ვადამდე შეზიდავს და საქონლით ამარაგებს იაკუტიის ასსრ-ის, კამჩატკის, სახა-ლინისა და უკიდურესი ჩრდილოეთი რაიონების ადგილობრივ ვაჭრო-ბებს.

შესაბამისი სასაქონლო პროფილის საბითუმო კანტორები ან რეს-პუბლიკური საბითუმო ბაზები გააჩნიათ სხვა მოკავშირე რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროებსაც (შარკობტმინსომოლტორგ, ბალმბ-ტბატალენი, კაჭტორბოლმუდა და ა. შ.). საოლქო დაყოფის არ მქონე რესპუბლიკებში საბითუმო კანტორების ფუნქციები დაკისრებული აქვთ რესპუბლიკურ საბითუმო ბაზებს.

რუსურ ვაჭრობის სამინისტრო



სქემა 1. რუსურ ვაჭრობის სამინისტროს ანაქსააქსენსა საქონლოთ საბიოთუო ვაჭრობის ორგანიზაციული სისტემა

ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში არ არის „ხორცითა და რძით ვაჭრობის“ სისტემის კანტორები და საწარმოები. მათი ნომენკლატურის საქონლით საბითუმო ვაჭრობას ახორციელებს მრეწველობის შესაბამისი დარგების გამსაღებელი ორგანოები. ამ რესპუბლიკებში ხორცის, რძის და ცხიმოვანი ნაწარმით მალაზიებს ამარაგებენ უშუალოდ სამრეწველო საწარმოები და მწარმოებელი მაცივრები.

საბითუმო ვაჭრობის წინაშე დასმული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის მიზნით რესპუბლიკური კანტორები ამუშაებენ კრებისთაგანაცხადებსა და შეკვეთებს საქონელზე და წარუდგენენ მრეწველობას, ადგენენ საქონელბრუნვის მიმდინარე და პერსპექტიულ გეგმებს, აგრეთვე საფინანსო გეგმებს და დასამტკიცებლად წარუდგენენ მოკავშირე რესპუბლიკების ვაჭრობის სამინისტროებს.

ახორციელებენ რა ოპერატიულ-სამეურნეო და ფინანსურ ხელმძღვანელობას დაქვემდებარებული ორგანიზაციებისა და საწარმოების ქსელზე, რესპუბლიკური კანტორები საქვეუწყებო კანტორებსა და ბაზებს უმტკიცებენ სავაჭრო-საფინანსო გეგმებს და აკონტროლებენ მათ მიერ საგეგმო დავალებათა შესრულების მიმდინარეობას.

რესპუბლიკური კანტორების მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს მიმწოდებლების მიმაგრება მყიდველებზე საქონელმოდრობის რაციონალური ორგანიზაციისა და მოხმარების რაიონებში საქონლის შერჩევისა და ასორტიმენტის სწორი ფორმირებისათვის პირობების შექმნის აუცილებლობის გათვალისწინებით. ამის საფუძველზე რესპუბლიკური კანტორები ადგენენ საქონლის შეზიდვა-გაზიდვის გეგმებს ოლქების, მხარეებისა და ავტონომიური რესპუბლიკების მიხედვით; სამრეწველო საწარმოებს აძლევენ (თავიანთი ბაზების საშუალებით) განაწესებს საქონლის გაგზავნასა და ჩაბარებაზე მომხმარებლებისათვის და არეგულირებენ საქონლის მიწოდების მიმდინარეობას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს თანაბარზომიერი შეზიდვა მოხმარების რაიონებში.

საქონლის ბითუმად გაყიდვის საქმიანობის გაშლისათვის რესპუბლიკური კანტორების გამგებლობაშია საბითუმო საწარმოების (ბაზები, მაცივრები, კომბინატები) განშტოებული ქსელი როგორც საქონლის წარმოების ადგილებში, ისე მისი მოხმარების რაიონებში.

1976 წლის 1 იანვრისათვის სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს სისტემას ქონდა 1450 საბითუმო საწარმო, მათ შორის საბაკალეო საქონლის იყო 218, ხორცის, რძისა და თევზის საქონლის — 318, ქსოვილების — 175, ტანსაცმლის, ტრიკოტაჟის, ბეწვისა და თავსაბურავების — 167, ფეხსაცმლის — 168, გალანტერეა-პარფიუმერიის — 131, კულტურულ საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლის — 139, სამეურნეო საქონლის — 134.

იმავე თარიღისათვის მარტო რსფსრ ვაჭრობის სამინისტროს სის-

ტემაში იყო 540 საბითუმო ბაზა, რომელთაგან 458 იყო სამრეწველო საქონლის და 82 კი სასურსათო საქონლის.

გარდა ამისა არსებობდა სასურსათო საქონლით საბითუმო ვაჭრობის 84 კანტორა და 213 მაცივარი და მაცივარკომბინატი.

სხვა რესპუბლიკური კანტორებისაგან განსხვავებით „როსბაკალეას“ და „როსმიასომოლტორაგს“ მაცივრებისა და ბაზების გარდა აქვთ საშუალო რგოლი — საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური (ასსრ) კანტორები.

მაგალითად, „როსბაკალეას“ თითქმის ყველა ავტონომიური რესპუბლიკის, ოლქის და მხარის ცენტრებში აქვს თავისი კანტორები.

„როსმიასომოლტორაგის“ სისტემაში არის მთელი რიგი ოლქთაშორისო, სამხარეო და რესპუბლიკური კანტორები და მაცივარ კომბინატები (კანტორის უფლებებით მომქმედნი), რომელთა დაქვემდებარებაში იმყოფებიან საბითუმო ბაზები, საწყობები, მაცივრები, სხვადასხვა საწარმოები, რომლებიც ამზადებენ ნაყინსა და მშრალ ყინულს, აფასობენ კარაქს.

1977 წელს თევზითა და თევზის პროდუქტებით საბითუმო ვაჭრობა გადაეცა სსრ კავშირის თევზის მეურნეობის სამინისტროს სისტემას.

ადგილობრივი წარმოების საქონლით საბითუმო ოპერაციების განხორციელებისათვის ზოგიერთ საოლქო და სამხარეო ვაჭრობის სამმართველოებთან შექმნილია საბითუმო-შემსყიდველი ბაზები, რომლებიც ახდენენ სამეურნეო საქონლის შესყიდვასა და გაყიდვას.

ადგილობრივ საბითუმო ორგანიზაციებს მიეკუთვნებიან ხილბოსტნეულვაჭრობები, რომლებიც მსხვილ ქალაქებში და სამრეწველო ცენტრებში ეწევიან კარტოფილის, ხილისა და ბოსტნეულის შეზიდვას, შენახვას, გადამუშავებას და ბითუმად გაყიდვას.

§ 8. სამომხმარებლო კოოპერაციის საბითუმო ვაჭრობის ორგანიზაციული ფორმები

სამომხმარებლო კოოპერაცია წარმოადგენს ქვეყნის ერთ-ერთ მსხვილ სავაჭრო და დამამზადებელ სისტემას, რომელსაც ამ მიზნისათვის ისტორიულად ჩამოყალიბებული აპარატი აქვს. სსრ კავშირის ცენტროსოიუზი, რესპუბლიკური, საოლქო, სამხარეო და რაიონული მომხმარებელთა კავშირები თავიანთი სისტემის ორგანიზაციებთან და საწარმოებთან ერთად ახორციელებენ სასურსათო და არასასურსათო საქონლით საბითუმო ვაჭრობას, რომელსაც შეისყიდიან სახელმწიფო მრეწველობისაგან და ვაჭრობისაგან. სამომხმარებლო კოოპერაციის საბითუმო ბრუნვაში არის ზოგიერთი ისეთი საქონელიც, რომლის წარმოება ორგანიზებულია თვით სისტემაში. ამრიგად სამომხმარებლო კოოპერაციის საბითუმო ბრუნვას აქვს შიდასისტემური ხასიათი.

დამზადებისა და შესყიდვების დიდი მასშტაბებით წარმოება სამომ-

ხმარებლო კოოპერაციას აქცევს სახელმწიფო მრეწველობისა და ვაჭრობისათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის ერთ-ერთ ძირითად მიმწოდებლად. სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებიდან და საწარმოებიდან მრეწველობა ღებულობს მატყლს, ტყავეულისა და ქურჭბეწვეულის ნედლეულს, სამკურნალწამლო ბალახებს, შავი და ფერადი ლითონების ჭარბს და სხვ., სახელმწიფო ვაჭრობა — კარტოფილის, ხილის, ბოსტნეულის, ბალღეული კულტურების, გარეული კენკრისა და ნაყოფის მთლიანი რესურსების უდიდეს ნაწილს.

საბითუმო ვაჭრობისა და დამზადება-გასაღების ოპერაციებს სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში ასრულებს სამეურნეო ანგარიშზე მყოფი ცენტროსოიუზის მთავარი სამმართველოები და მათ დაქვემდებარებაში მყოფი სავაჭრო-შემსყიდველი საბითუმო ბაზები. საქმიანობის ხასიათის მიხედვით სამეურნეო ანგარიშზე მყოფი ცენტროსოიუზის მთავარი სამმართველოები იყოფა სავაჭროდ და დამამზადებლად.

სავაჭრო სამმართველოების რიცხვს მიეკუთვნებიან ლითონსამეურნეო საქონლითა და სამშენებლო მასალებით ვაჭრობის მთავარი სამმართველო — ბლავპკომპსოზტომრბ და საბითუმო და წვრილსაბითუმო საამბანათო ვაჭრობის მთავარი სამმართველო — ბლავპკომპკოსილტომრბ.

გლავკოოპზოზტორგი მრეწველობისაგან შეისყიდის და კოოპერაციულ ორგანიზაციებსა და საწარმოებზე ბითუმად ყიდის ლითონის ნაკეთობებს, ხე-ტყესა და სამშენებლო მასალებს, ქურჭელ-სამეურნეო საქონელს, სათბობს, სტანდარტულ სახლებს, ელექტრო-საყოფაცხოვრებო მანქანებსა და ხელსაწყოებს, ელექტროსაქონელს, მსუბუქ ავტომობილებს, ქიმიურ-მოსკატელურ საქონელს, სააღალო და ტყეჩის საქონელს, ავეჯს, საწარმოო და სამეურნეო დანიშნულების სხვა საქონელს. აღნიშნული საქონლის ბითუმად შესყიდვასა და გაყიდვას გლავკოოპზოზტორგი ახორციელებს წარმოების ადგილებში განლაგებული თავისი სავაჭრო-შემსყიდველი ბაზების მეშვეობით.

გლავკოოპპოსილტორგი ახორციელებს საბითუმო და წვრილსაბითუმო ვაჭრობას გალანტერეით, პარფიუმერეით, ტრიკოტაჟით, შეკერილი ნაწარმით, ქსოვილების ცალობითი ნაწარმით, საათებით, სანიტარიისა და ჰიგიენის საგნებით, მუსიკალური და სპორტული საქონლით, სასკოლო-საწერი ნივთებით, სათამაშოებით, რადიომიმღებებით, ტელევიზორებით, ფოტო-აპარატებით, სახვითი ხელოვნების ნაწარმით, ველოსიპედებით, მოტოციკლებით და სხვა.

გლავკოოპპოსილტორგი მრეწველობისაგან მისი ნომენკლატურის საქონლის შესყიდვას ახდენს თავისი საბითუმო ბაზების საშუალებით. სამმართველოს გააჩნია კულტსაქონლის მწარმოებელი ფაბრიკები.

ცენტროსოიუზის საბითუმო ვაჭრობის მთავარი სამმართველოები ახორციელებენ რესპუბლიკათაშორის საბითუმო ვაჭრობას, ღებენ ხელ-

შეკრულებებს სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საწარმოებთან საქონლის შესყიდვაზე და მის გაყიდვაზე სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებთან, საბითუმო ბაზებთან და საცალო საწარმოებთან; სწავლობენ მსყიდველობით მოთხოვნას, ამუშავებენ მრეწველობისათვის განაცხადებსა და შეკვეთებს, კონტროლს უწევენ სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებსა და საწარმოებზე საქონლის მიწოდებას. გლავკოოპოსილტორგის ბაზები და გლავკოოპოზტორგის ზოგიერთი ბაზა საბითუმო ვაჭრობასთან ერთად ახორციელებს მთელი რიგი საქონლის საფოსტო ამანათებით გაყიდვას მომხმარებელთა საზოგადოებისა და სოფლის მალაზიების შეკვეთების საფუძველზე აგრეთვე მოსახლეობის ინდივიდუალური შეკვეთების მიხედვით ეწევიან საცალო საამანათო ვაჭრობას გალანტერეისა და ქსოვილების ცალობით საქონლით, ტრიკოტაჟით, წინდა-თათმანით, შეკერილი ნაწარმით, ლითონსამეურნეო და სპორტული საქონლით, რადიოს სათადარიგო ნაწილებით და ზოგიერთი სხვა სახის კულტსაქონლით.

ვაჭრობის მთავარი სამმართველოების გარდა ცენტროსოიუზის შემადგენლობაში შედის ორი საბითუმო კანტორა: სასურსათო საქონლით ვაჭრობის საკავშირო საბითუმო კანტორა — ცენტროკოოპპროდკონტორა და საკავშირო საბითუმო წიგნითვაჭრობის კანტორა — ცენტროკოოპკნიგა.

ცენტროკოოპპროდკანტორის ამოცანებში შედის ზოგიერთი საბაკალო და საკონდიტრო საქონლის, ღვინის, მინერალური წყლებისა და სხვა სახის საქონლის დამატებითი რესურსების გამოვლენა, შესყიდვა და მათი საბითუმო ვაჭრობის ორგანიზაცია. მასვე აქვს დაკისრებული ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებისათვის სპეციალური ნაკრებით საფოსტო ამანათების გაგზავნა.

ცენტროკოოპკნიგა ახორციელებს ბითუმად ვაჭრობას ცენტრალური და ცალკეული რესპუბლიკური გამომცემლობების მიერ გამოშვებული წიგნებითა და ბეჭდური პროდუქციით.

სამომხმარებლო კოოპერაციის მთლიან საბითუმო ბრუნვაში ცენტროსოიუზის საბითუმო ვაჭრობის მთავარი სამმართველოების და კანტორების ხვედრითი წონა შედარებით მცირეა და ბოლო წლებში შეადგინა 3,5—5%. მიუხედავად ამისა რესპუბლიკათაშორისო საბითუმო ვაჭრობის და მომხმარებელთა კავშირების საოლქო და სარაიონო ბაზების მრავალი რთული ასორტიმენტის საქონლის მომარაგების ორგანიზაციაში ისინი საკმაოდ დიდ როლს ასრულებენ.

საბითუმო ვაჭრობის მთავარი სამმართველოები გააჩნიათ მსხვილ რესპუბლიკურ მომხმარებელთა კავშირებსაც, მაგალითად, რუსეთის მომხმარებელთა კავშირში თავისი სისტემის შიგნით საბითუმო ვაჭრობას ახორციელებენ როსგლავკოოპოზტორგი და როსგლავკოოპპრომ-

ტორგი, რომლებსაც თავიანთ დაქვემდებარებაში აქვთ სავაჭრო შემს-
ყიდველი ბაზები და მწარმოებელი საწარმოები.

უკრაინის მომხმარებელთა კავშირში საბითუმო ვაჭრობას ახორციე-
ლებენ: უკოპტორგვალანტერეია, უკოპკულტტორგი, უკოპზოზ-
ტორგი და უკოპლესსტროიტორგი.

ცენტროსოიუზის დამამზადებელი სამმართველოებია: გლავკოოპპ-
ლოდოოვოშჩი, გლავკოოპივისსირიო, ცენტრკოოპპუშნინა და გლავკოო-
პლექტეხსირიო.

გლავკოოპპლოდოოვოშჩი სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის
ქვემდგომი რგოლების მეშვეობით ახორციელებს კარტოფილის, ხი-
ლის, ბოსტნეულის, კენკრის, მეფუტკრეობის პროდუქტების დამზადე-
ბას და შესყიდვას, ახდენს ამ პროდუქტების გადამუშავებასა და გასა-
ღებას კარტოფილის, ხილისა და ბოსტნეულის დამზადებისა და გამო-
ყენების სახელმწიფო გეგმების შესაბამისად.

აღნიშნული სამმართველოს დაქვემდებარებაში არის შემსყიდველ-
გამსაღებელი ბაზები, კომბინატები და ხილბოსტნეულის გადასამუშა-
ვებელი და დასაკონსერვებელი სხვადასხვა საწარმოები:

გლავკოოპივისსირიო ახდენს ტყავეულის ნედლეულის, მატყლის,
ბალანის, ჭაგარის, ბუმბულის, ფრინველის, ხორცის, რძის, კვერცხის,
ნანადირევის, თევზის, სელის, ქერელის, ლითონის ჯართის, მეორადი-
ნედლეულის დამზადებას. ახდენს რა აღნიშნული ნედლეულის დამზა-
დებას მომხმარებელთა საზოგადოებებისა და რაიკოოპკავშირების და-
მამზადებელი პუნქტებისა და კანტორების მეშვეობით, სამმართველოს
თავის დაქვემდებარებაში აქვს მეცხოველეობის და მეორადი ნედლე-
ულის გადამამუშავებელი და ტარის საწარმოები.

ცენტრკოოპპუშნინა აწარმოებს ბეწვის ნედლეული სშესყიდვას.

გლავკოოპლექტეხსირიო აწარმოებს ნანადირევის, ველურად მზარ-
დი კულტურების, სამკურნალწამლო ბალახეულისა და მეორადი ნედ-
ლეულის დამზადებას.

ანალოგიური დამამზადებელი სამმართველოები გააჩნია რუსეთის.
მომხმარებელთა კავშირს და ზოგიერთ სხვა მომხმარებელთა საზოგა-
დოების რესპუბლიკურ კავშირებს.

სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემა სახელმწიფო დამზადებასა-
და შესყიდვასთან ერთად აწარმოებს კოლმეურნეობებიდან და კოლმე-
ურნეებიდან სოფლის მეურნეობის ნამეტი სასაქონლო პროდუქციის
საკომისიო შესყიდვასა და გასაღებას ურთიერთშეთანხმებულ ფასებში.
ამ მიზნით ცენტროსოიუზთან არის სოფლის მეურნეობის პროდუქტე-
ბით რესპუბლიკათაშორისო ვაჭრობის მთავარი სამმართველო—გლავკო-
ოპმეეტორგი, რომელიც ახორციელებს შიდასაოლქო, რესპუბლიკურ-
და რესპუბლიკათაშორისო საბითუმო ბრუნვას სოფლის მეურნეობის-

პროდუქტებით ვაჭრობის საოლქო და რესპუბლიკური განყოფილებებისა და სამმართველოების მეშვეობით.

სამომხმარებლო კოოპერაციის საბითუმო ვაჭრობაში ძირითადი ადგილი უჭირავს საოლქო (სამხარეო) საბითუმო ბაზებს და მომხმარებელთა კავშირების საბითუმო ბაზებს ისეთ რესპუბლიკებში, რომელთაც საოლქო დაყოფა არ აქვთ.

ამყარებენ რა სამეურნეო კავშირებს და ყიდულობენ საქონელს მომწოდებელ-დამამზადებლებისაგან და სახელმწიფო ვაჭრობის საბითუმო ბაზებიდან, ოლქის (მხარის) მომხმარებელთა კავშირების საბითუმო ბაზები ამარაგებენ საქონლის უმეტესი მასით რაიონისა და სოფლის მომხმარებელთა საზოგადოებებსა და მათ საცალო ქსელს. ეს ბაზები მოქმედების რაიონების მიხედვით იყოფიან საოლქოდ (სამხარეო) და სარაიონოთაშორისოდ.

სამომხმარებლო კოოპერაციის სარაიონოთაშორისო ბაზები წარმოადგენენ ცენტრალურ რგოლებს.¹ ამ ბაზებს თავიანთი საქმიანობა გაშლილი აქვთ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე და ეწევიან საბითუმო გაყიდვას და სოფლის სავაჭრო ქსელს ამარაგებენ სასურსათო და არასასურსათო საქონლის ფართო ასორტიმენტით.

უნივერსალურ სარაიონთაშორისო ბაზებზე, როგორც სამომხმარებლო კოოპერაციის საბითუმო ვაჭრობის ძირითად რგოლებზე, ორიენტაცია ხელს უწყობს რგოლიანობის შემცირებას და საქონელმოძრაობის გზების შემოკლებას სოფლის ვაჭრობაში.

კოოპერაციული სარაიონთაშორისო ბაზების ქსელის განვითარებამ საშუალება მოგვცა თავი მოგვეყარა მათში სამომხმარებლო კოოპერაციის მთელი საბითუმო-სასაწყობო ბრუნვის ნახევარზე მეტისათვის, მთელ რიგ ადგილებში გაგვეუქმებინა საბითუმო რაიკავშირები და საქონელმოძრაობა გაგვეხორციელებინა შემდეგი სქემით: ფაბრიკა-სარაიონთაშორისო ბაზა-მალაზია.

ოლქის (მხარის) მომხმარებელთა კავშირები სარაიონთაშორისო ბაზებთან ერთად სოფლის სავაჭრო ქსელის საქონლით მომარაგებაში ჯერ კიდევ არსებით როლს ასრულებენ რაიკოოპკავშირების სამეურნეო ანგარიშზე მყოფი ბაზები.²

საბითუმო ვაჭრობის ორგანიზაციული სტრუქტურის შემდგომი სრულყოფა დაკავშირებულია სამომხმარებლო კოოპერაციის საბითუმო ვაჭრობის განვითარების ძირითად მიმართულებებთან, რომლის არსი მდგომარეობს საბითუმო საწარმოთა გამსხვილებასა და ცენტრალიზაციაში, მსხვილი, თანამედროვე მექანიზირებული საბითუმო სავაჭრო

¹ 1976 წლის 1 იანვრისათვის ქვეყანაში იყო 574 უნივერსალური სარაიონთაშორისო ბაზა.

² 1976 წლის 1 იანვრისათვის ქვეყანაში ითვლებოდა 355 ასეთი ბაზა.

ბაზების მშენებლობაში, მათი როლის ამაღლებაში საცალო ვაჭრობის ორგანიზაციაში.

§ 4. საბითუმო საწარმოების კლასიფიკაცია და მათი განლაგების პრინციპები


საბითუმო ვაჭრობისათვის დაკისრებული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა ორგანულადაა დაკავშირებული საბითუმო საწარმოების ფართო ქსელის არსებობაზე, წარმოების პუნქტებსა და მოხმარების რაიონებში მათ რაციონალურ განლაგებაზე.

საბითუმო ვაჭრობის საწარმოები, რომლებიც აწარმოებენ საქონლის ბითუმად შესყიდვას და გაყიდვას, წარმოადგენენ საბითუმო ვაჭრობის ძირითად რგოლებს. სახალხო მეურნეობის გეგმების შესაბამისად, სამეურნეო ანგარიშიანობის საფუძველზე ისინი ახორციელებენ საქონლის ყიდვა-გაყიდვას და მომსახურებას უწევენ საცალო ვაჭრობას. საბითუმო ვაჭრობის საწარმოები სარგებლობენ გარკვეული უფლებებით, აქვთ დამოუკიდებელი ბალანსი, ანგარიში ბანკში და წარმოადგენენ იურიდიულ პირებს. 1976 წლის დასაწყისისათვის სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში ითვლებოდა 2800-ზე მეტი საბითუმო სავაჭრო საწარმო.

საბითუმო ვაჭრობის საწარმოების კლასიფიკაცია ხდება საკუთრების ფორმების მიხედვით, საქმიანობის ხარისხისა და უფლებრივი მდგომარეობის მიხედვით, საქონელმოძრაობის პროცესში დაკავშირებული ადგილისა და შესრულებული როლის მიხედვით, ჩატარებული ოპერაციების მასშტაბების მიხედვით, სასაქონლო-დარგობრივი პროფილისა და უწყებრივი კუთვნილების მიხედვით (სქემა 3).

საკუთრების ფორმების მიხედვით — ყველა საბითუმო საწარმო იყოფა სახელმწიფოდ, რომელთა საქმიანობას საფუძვლად უდევს სახელმწიფო, საერთო-სახალხო საკუთრება, და კოოპერაციულად, რომელნიც დაფუძნებულნი არიან სამომხმარებლო კოოპერაციის ცალკეული კავშირებისა და საზოგადოებების საშუალებებზე. სოციალისტური საკუთრების ფორმები წინასწარვე განსაზღვრავენ გარკვეულ განსხვავებას სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საბითუმო საწარმოების აგებასა და ხელმძღვანელობაში.

საქმიანობის ხასიათისა და უფლებრივი მდგომარეობის მიხედვით განასხვავებენ საბითუმო ბაზების ორ ჯგუფს: ბაზები, რომლებიც სრულ სამეურნეო-ანგარიშზე იმყოფებიან და სრული სამეურნეო დამოუკიდებლობის არმქონე ბაზები.



სქემა 3. საბითუმო ბაზების კლასიფიკაცია

სრულსამეურნეო ანგარიშზე მყოფი საწარმოები არის საბითუმო-ბაზები, მაცივრები, რომლებთაც აქვთ საკუთარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და მინიჭებული აქვთ იურიდიული პირის ყველა უფლება. ეს საწარმოები ახდენენ საქონლის ბითუმად შესყიდვის და გაყიდვის-ოპერაციებს, დამოუკიდებლად აწარმოებენ ანგარიშსწორებას ყველა სამეურნეო ორგანოსთან და სახელმწიფო ბიუჯეტთან, პასუხს აგებენ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის სასამართლოს და არბიტრაჟის ორგანოების წინაშე.

არასრული სამეურნეო დამოუკიდებლობის მქონე საბითუმო ბაზები, მაცივრები და საწყობები იმყოფებიან სავაჭრო ორგანიზაციების ბალანსზე (საბითუმო კანტორა, ქალაქის ვაჭრობის სამმართველო, მმს, რაიკოოპკავშირი) ან აქვთ დამოუკიდებელი ბალანსი, მაგრამ არ ფლობენ ბანკში საკუთარ ანგარიშს. ისინი არ ეწევიან საქონლის დამოუკიდებელ შესყიდვას და გაყიდვას, არ წარმოადგენენ იურიდიულ პირებს, მაგრამ ასრულებენ საბითუმო რგოლის ყველა დანარჩენ სავაჭრო ფუნქციებს და იმავე დროს წარმოადგენენ საქონელმოძრაობის რგოლებსაც.

საქონელმოძრაობის პროცესში დაკავებული ადგილისა და შესრულებული როლის მიხედვით საბითუმო ბაზები ორი სახისაა. პირველსახეს მიეკუთვნება გამოსასვლელი და შემსყიდველი ბაზები, მაცივრები და სხვა საწარმოები განლაგებულნი წარმოების ადგილებში; მეორეს — საბითუმო სავაჭრო ბაზები, გამანაწილებელი მაცივრები, რომლებიც ასრულებენ ბაზებისა და სხვა საბითუმო საწარმოების ფუნქციებს და მოქმედებენ მოხმარების რაიონებში.

წარმოების ადგილებში განლაგებული გამოსასვლელი, შემსყიდველი ბაზები და სხვა საბითუმო საწარმოები თავს უყრიან თავიანთ საწყობებში სამრეწველო საწარმოების მიერ გამოშვებულ პროდუქციას და გადატვირთავენ მას სხვა ოლქებში, მხარეებში, რესპუბლიკებში. გამოსასვლელი და შემსყიდველი ბაზები თავიანთი მოქმედების ზონებში განლაგებული საცალო ვაჭრობის ორგანიზაციებთან და საწარმოებთან ურთიერთობისას ასრულებენ ერთდროულად საბითუმო სავაჭრო საწარმოთა ფუნქციებსაც. სამრეწველო საწარმოებთან არსებული გამოსასვლელი ბაზები წარმოადგენენ დამოუკიდებელ საწარმოებს და მათთან სამეურნეო-ხელშეკრულებებით ურთიერთობაში იმყოფებიან.

ერთ სამრეწველო საწარმოებთან არსებული ბაზისაგან განსხვავებით არსებობენ ისეთი გამოსასვლელი ბაზები, რომლებიც თავს უყრიან ერთი რაიონის რამოდენიმე საწარმოს პროდუქციას. ასეთი სახის ბაზებს მიეკუთვნება, მაგალითად, ივანოვოს, მოსკოვის ბაზები, რომლებიც ახდენენ ბამბისა და მატყლის ქსოვილების გასაღებას.

საბითუმო ბრუნვაში დიდი ადგილი უკავია სავაჭრო-შემსყიდველ-

ბაზებს, რომლებიც განლაგებულნი არიან ადგილობრივი მრეწველობის საქონლის წარმოების რაიონებში. მრავალი საგალანტერიო, სამეურნეო, სპორტული და მუსიკალური საქონლის, სათამაშოების და ა. შ. შესყიდვას აწარმოებენ როსგალანტერიის, როსსოზტორგის, როსკულტტორგის ბაზები და ცენტროსოიუზის, პოსპორტრებსოიუზის და უკოოპსოიუზის საბითუმო სამმართველოები მოსკოვში, ლენინგრადში, გორკში, როსტოვში, ვორონეჟში, კიროვში, ოკის პავლოვში, ტულაში, კიევიში, ოდესაში, ლვოვში და სხვა ქალაქებში.

სავაჭრო შემსყიდველი ბაზები შესყიდულ პროდუქციას აგზავნიან მოხმარების რაიონებში სავაჭრო ბაზებისა და საცალო ორგანიზაციების მისამართით. ადგილობრივი ნედლეულიდან საქონლის წარმოების განვითარების პირობებში იზრდება სავაჭრო-შემსყიდველი ბაზების როლი.

საბითუმო საწარმოების ყველაზე გავრცელებული ტიპია სავაჭრო ბაზები. მათი სამოქმედო ზომებია მოხმარების რაიონები. სავაჭრო ბაზები ყიდულობენ და შემოაქვთ საქონელი წარმოების რაიონებიდან, თავს უყრიან საქონლის მარაგს ფართო ასორტიმენტით და ყიდიან მას საცალო ვაჭრობის ორგანიზაციებზე და საწარმოებზე.

სავაჭრო ბაზები საქონელს სხვადასხვა წყაროებიდან ღებულობენ. მათთვის საქონლის მომწოდებლები შეიძლება იყვნენ შიდასაოლქო და ოლქის გარეთ მდებარე სამრეწველო საწარმოები, გამოსასვლელი და სავაჭრო შემსყიდველი ბაზები. რიგ შემთხვევებში, როცა სავაჭრო ბაზების მოქმედების ზონაში არსებობენ მსხვილი სამრეწველო საწარმოები, რომელთა პროდუქცია გაიტანება მოცემული ოლქის, მხარის ფარგლებს გარეთ, სავაჭრო ბაზები ასრულებენ სავაჭრო-გამოსასვლელი ბაზების ფუნქციებს, რომლებიც თავიანთი კანტორების განრიგების მიხედვით საქონელს უგზავნიან სხვა ოლქის სავაჭრო ბაზებს ან საცალო ორგანიზაციებს.

ჩატარებული ოპერაციების მასშტაბების მიხედვით ანუ მოქმედების რაიონის მიხედვით საბითუმო საწარმოები შეიძლება იყოს საერთო საკავშირო, რესპუბლიკათაშორისო, რესპუბლიკური, ოლქთაშორისო, საოლქო (სამხარეო), სარაიონთაშორისო, საქალაქო და სარაიონო.

სახელმწიფო საბითუმო ვაჭრობისათვის უფრო ტიპურს წარმოადგენს რესპუბლიკური და საოლქო (სამხარეო) საბითუმო ბაზები. მოკავშირე რესპუბლიკების ვაჭრობის სამინისტროთა სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ოლქთაშორისო საბითუმო ბაზებს, რომლებიც რამოდენიმე ოლქს ემსახურებიან. სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში მასიურ ტიპს წარმოადგენს საოლქო (მხარის) მომხმარებელთა კავშირების უნივერსალური სარაიონთაშორისო ბაზები და რიკოოპკავშირების სავაჭრო ბაზები.

სასაქონლო-დარგობრივი პროფილის მიხედვით განარჩევენ უნივერ-

საღურ, შერეულ, სპეციალიზებულ და ვიწროდსპეციალიზებულ საბითუმო საწარმოებს.

უნივერსალური და შერეული საბითუმო ბაზები დამახასიათებელია სამომხმარებლო კოოპერაციისათვის, მმს-თვის, სამხედროვაჭრობისათვის და მსგავსი სხვა სისტემებისათვის.

სპეციალიზაციის პრინციპმა გავრცელება პოვა სახელმწიფო ვაჭრობაში. სპეციალიზებულს წარმოადგენენ კანტორები და ბაზები, არსებული მოკავშირე რესპუბლიკების ვაჭრობის სამინისტროების სისტემაში, სოიუზნიგას, მთავარ სააფთიაქო სამმართველოში და სხვ.

როგორც წესი, ვიწროდსპეციალიზებულია სამრეწველო საწარმოებთან არსებული ყველა გამოსასვლელი ბაზები, მაგალითად, რეზინის ფეხსაცმლების ფაბრიკა „ტრეუგოლნიკთან“, პარფიუმერიის ფაბრიკა „სკობოდასთან“, ფეხსაცმლების ფაბრიკა „სკოროხოლთან“ და ა. შ. არსებული გამოსასვლელი ბაზები.

საბითუმო ბაზების სპეციალიზაცია ყველა პროგრესულობასთან ერთად უნდა გატარდეს მოფიქრებულად ძირითადად რთული ასორტიმენტის საქონელზე ან სპეციფიკურ სასურსათო საქონელზე (ხორცი, ბოსტნეული) საქონელბრუნვის საკმარისი მოცულობის პირობებში.

გარკვეულ პირობებში საბითუმო ბაზების სპეციალიზაცია შეიძლება შეერწყას კოოპერირებას, როცა რომელიმე სპეციალიზებული კანტორის (მაგალითად რუსტანსაცმელვაჭრობის) ბაზას ევალება სხვა კანტორების (მაგალითად რუსგალანტერიის, რუსსამეურნეოვაჭრობის) ნომენკლატურის საქონლის საბითუმო გაყიდვა. ასეთი კოოპერირების მიზანშეწონილობა წარმოიშობა ცალკეული სასაქონლო ჯგუფების შედარებით მცირე მოცულობის ბრუნვის დროს ან განსაკუთრებულ გეოგრაფიულ პირობებში. მაგრამ საბაზრო ფონდებისა და საცალო საქონელბრუნვის მოცულობის განუხრელი გადიდება ქმნის საბითუმო ვაჭრობის შემდგომი სპეციალიზაციისათვის წინაპირობებს და ამცირებს საბითუმო ბაზების კოოპერირების აუცილებლობას.

უწყებრივი კუთვნილების მიხედვით საბითუმო ბაზები განსხვავდებიან გარკვეული სამეურნეო სისტემის მიმართ დაქვემდებარების მიხედვით.

მოკავშირე რესპუბლიკების ვაჭრობის სამინისტროთა სისტემის არასასურსათო საბითუმო ბაზების უმრავლესობა ექვემდებარება რესპუბლიკურ კანტორებს. მათგან განსხვავებით სასურსათო საქონლით საბითუმო ვაჭრობის საწარმოებს გააჩნიათ საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური (ასსრ) კანტორების საშუალო რგოლი, რომელთა დაქვემდებარებაშიაც თვითონ იმყოფებიან.

დამამზადებელ-მიმღები პუნქტები და სარეალიზაციო ბაზები იმყოფებიან მოკავშირე რესპუბლიკების დამზადების სამინისტროების პურ-

პროდუქტების საოლქო და სამხარეო სამმართველოების დაქვემდებარებაში.

სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის საბითუმო ბაზები ექვემდებარებიან ცენტროსოიუზისა და რესპუბლიკური კოოპკავშირების საბითუმო ვაჭრობის მთავარ სამმართველოებს (მთ შორის ისეთ რესპუბლიკებშიც, რომლებსაც არ აქვთ საოლქო დაყოფა). აგრეთვე მომხმარებელთა საზოგადოების საოლქო, სამხარეო და რაიონულ კავშირებს.

საბითუმო ბაზების შედარებით მცირე ნაწილი იმყოფება ქალაქების, ოლქებისა და მხარეების ვაჭრობის სამმართველოებისა და ადგილობრივი სავაჭრო ორგანიზაციების დაქვემდებარებაში.

საბითუმო საწარმოების განლაგების პროცესი განპირობებულია რიგი ფაქტორებით — სამრეწველო წარმოების განვითარებით, სახალხო მოხმარების საქონლის მწარმოებელი ახალი საწარმოების შექმნით. ამასთან ერთად ქვეყანაში მიმდინარეობს ახალი რაიონების ათვისება და შესაბამისად ყალიბდება მოხმარების ახალი რაიონები. წარმოიშობა ახალი საბითუმო საწარმოების შექმნის აუცილებლობა.

საქმიანობის ხასიათის მიხედვით საბითუმო საწარმოების მრავალსახეობა იწვევს საქონლის წარმოების პუნქტებში და მოხმარების რაიონებში მათი განლაგების პრობლემის დიფერენციალური გადაწყვეტის აუცილებლობას. მაგრამ არსებობს საერთო პრინციპები, რომლებიც დაკულ უნდა იქნეს ყველა საბითუმო საწარმოს განლაგების დროს. ასეთ პრინციპებს მიეკუთვნება: დუბლირებისა და პარალელიზმის გამორიცხვა საბითუმო საწარმოთა ქსელის განლაგების დროს; საქონლის მოძრაობის უზრუნველყოფა უმოკლესი გზებით; ფუნქციების კანონზომიერი განაწილება საბითუმო საწარმოებს შორის; მწარმოებელ საწარმოებთან უშუალო კავშირების დამყარების შესაძლებლობა საბითუმო საწარმოების მიერ; საცალო ვაჭრობის საწარმოებზე ფართო მომსახურებისათვის პირობების შექმნა; სავაჭრო საწარმოებისათვის რენტაბელური მუშაობის პირობების უზრუნველყოფა.

გამოსასვლელი და სავაჭრო-შემსყიდველი ბაზების განლაგება დაკავშირებულია მრეწველობის გაადგილებასთან წარმოების რაიონებში, მის კონცენტრაციის ხარისხზე და სპეციალიზაციისა და კოოპერირების დონეზე.

რთული ასორტიმენტის საქონლის დიდი მოცულობით წარმოება და მოხმარების რაიონებში მისი გაგზავნის აუცილებლობა წარმოადგენს ისეთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს, რომელიც განსაზღვრავს სავაჭრო-შემსყიდველი ან გამოსასვლელი ბაზების შექმნის აუცილებლობას. ასეთი ბაზების განლაგების ადგილი შეიძლება იყოს ფაბრიკების, ქარხნების ტერიტორიები ან რამოდენიმე სამრეწველო საწარმოს განლაგების რაიონის ცენტრი.

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საბითუმო ბაზების გან-

ლაგების შესახებ საკითხის გადაწყვეტისას მნიშვნელოვან პრინციპს წარმოადგენს მათი დაახლოება მოხმარების რაიონებთან, მათი მომსახურების ზონაში მყოფი საცალო ვაჭრობის საწარმოთა ქსელთან.

სავაჭრო ბაზების განლაგების ოპტიმალურ ვარიანტად ითვლება ისეთი, რომლის დროსაც ბითუმადმყიდველებს — საცალო ორგანიზაციებს და საწარმოებს — საშუალება ეძლევათ საავტომობილო ტრანსპორტით გაიტანონ საქონლის დაკომპლექტებული პარტიები. გაანგარიშება გვიჩვენებს, რომ კარგი გზატკეცილების არსებობისას საბითუმო ბაზებიდან საქონლის მიწოდება საცალო ქსელში 250-300 კმ-ის რადიუსში ავტომობილებით უფრო ეკონომიურია ვიდრე რკინიგზით.

ამა თუ იმ რაიონში სავაჭრო ბაზების შექმნის არანაკლებ მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს მისი საქონელბრუნვის მოცულობა და რენტაბელური მუშაობის უზრუნველყოფა. საქონლის წარმოების ადგილებიდან მისი დიდი პარტიობით მიღების შესაძლებლობა, საბითუმო დათმობით საჭირო აპარატის შენარჩუნება, მიმოქცევის ხარჯების დაფარვა და ნორმალური მოგების მიღების შესაძლებლობა — აი რითაა განპირობებული საბითუმო სავაჭრო ბაზების შექმნისა და ფუნქციონირების ეკონომიკური მიზანშეწონილობა.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო ვაჭრობის სავაჭრო ბაზები იქმნება, როგორც წესი, საოლქო და სამხარეო ცენტრებში, ხოლო რიგ შემთხვევებში იქ სადაც საქონლის ცალკეული ჯგუფებით საქონელბრუნვის მოცულობა შესაძლებლობას იძლევა, იქმნება ბაზების ფილიალები, რომლებიც განლაგებულნი არიან ოლქების მსხვილ ქალაქებში.

საოლქო და ოლქთაშორისო სავაჭრო ბაზები, როგორც წესი, თავიანთი ქვესაუწყებო შიდასაოლქო, ან ახლომდებარე სხვა პატარა ოლქების ბაზების მიმართ ასრულებენ სათაო ბაზების როლს. ასე მაგალითად, რუსტანსაკმეღავაჭრობის მოსკოვის ცენტრალური ბაზა წარმოადგენს სათაოს ტრიკოტაჟის ნაწარმის მიხედვით კალინინის, ვლადიმირის, რიაზანისა და სმოლენსკის საბითუმო ბაზებს შორის. სათაო ბაზების ძირითად ამოცანებს წარმოადგენს საქონელზე კრებისითი განაცხადებისა და შეკვეთების შედგენა და საქონლის წარმოებისა და მიწოდების საკითხების გადაწყვეტა.

თუ საოლქო (სამხარეო) ცენტრი მდებარეობს ოლქის შუაში, მაშინ საოლქო (სამხარეო) ბაზებში საქონლის შეზიდვა იწვევს საქონლის ნაწილის უკანდამბრუნებით გადაზიდვას, როცა იგი ოლქში შემავალ რაიონებში იგზავნება. ოლქის შიგნით შემხვედრი და უკანდამბრუნებითი გადაზიდვების თავიდან აცილების მიზნით მიზანშეწონილია ოლქში შესასვლელ ერთ-ერთ საკვანძო სარკინიგზო პუნქტში საოლქო ბაზას ქონდეს ფილიალი, სადაც მოხვედრა შეუძლია წარმოების პუნქტებიდან მომავალ საქონლის პარტიას. ეს გამორიცხავს უკანდამბრუნებით გადაზიდვებს და აჩქარებს საქონლის მიწოდებას ასეთ რაიონებში.

ოლქთაშორისო ბაზები განლაგებული არიან რომელიმე ოლქის ცენტრში, რომელიც მდებარეობს ძირითადი სასაქონლო ნაკადების მოძრაობის გზის დასაწყისში და გაივლის მიცემული ოლქების ტერიტორიაზე. ცენტროსოიუზისა და მომხმარებელთა რესპუბლიკური კავშირების სავაჭრო-შემსყიდველი ბაზები განლაგებული არიან საქონლის წარმოების რაიონებში. მომხმარებელთა კავშირების საოლქო სავაჭრო ბაზები განლაგებული არიან საოლქო ცენტრებში. სამომხმარებლო კოოპერაციის სარაიონთაშორისო ბაზების განლაგებისათვის არჩევენ უფრო მსხვილ რაიონულ ცენტრებს, რომლებსაც კარგი სატრანსპორტო კავშირები აქვთ მიმდებარე რაიონებთან.

§ 5. საბითუმო საწარმოების ფუნქციები და მათი აპარატის სტრუქტურა

საბითუმო საწარმოების უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს საქონლის გეგმაზომიერი და შეუფერხებელი მიწოდების უზრუნველყოფა საცალო სავაჭრო ქსელში. საბითუმო საწარმოები ვალდებული არიან თვალყური ადევნონ, რომ საცალო ქსელს ყოველთვის ქონდეს აუცილებელი რაოდენობისა და საჭირო ასორტიმენტის საქონელი — შეუფერხებელი ვაჭრობისათვის, მოსახლეობის მოთხოვნილებების სრულად დაკმაყოფილებისა და საცალო საქონელბრუნვის გეგმების შესრულებისათვის.

საბითუმო ბაზები ასრულებენ ორი სახის — სავაჭრო და ტექნოლოგიურ ანუ სასაწყობო ფუნქციებს.

სავაჭრო ფუნქციები წარმოადგენენ საბითუმო ბაზების კომერციული საქმიანობის საფუძველს — გაშლილ სამეურნეო ანგარიშიანობის საწყისებზე. ასეთ ფუნქციებს მიეკუთვნება:

მოსახლეობისა და ბითუმი მყიდველების — საცალო ორგანიზაციების და საწარმოების მოთხოვნის შესწავლა; თავიანთ სამოქმედო ზონაში სავაჭრო კონიუნქტურაზე უწყვეტი დაკვირვება;

განცხადებისა და შეკვეთების დამუშავება ბითუმი მყიდველების მოთხოვნილებების გათვალისწინებით, მათი ანალიზი, განზოგადება და კრებისითი სახით წარდგენა მრეწველობის საწარმოებისა და რესპუბლიკური საბითუმო კანტორებისადმი; დახმარების გაწევა საცალო ვაჭრობის ორგანიზაციებისა და საწარმოების მიერ ეკონომიკურად დასაბუთებული შეკვეთების დამუშავებასა და შედგენაში;

სპეციფიკაციების შეთანხმება და ხელშეკრულებებისა და გარიგებების დადება მწარმოებელ საწარმოებთან და გამოსასვლელ ბაზებთან საქონლის შესყიდვაზე, და თავიანთ ბითუმ მყიდველებთან — საბითუმო გაყიდვაზე;

შეკვეთებისა და განაცხადების შესაბამისად საქონლის დროული

შეზიდვის ორგანიზაცია საწყობებში და თავისი მყიდველების მისამართზე — საქონელმომძრაობის რაციონალური ფორმებისა და გზების გამოყენებით; საქონლის აუცილებელი მარაგის შექმნა ფართო და მყარი ასორტიმენტის მიხედვით თავის საწყობებში;

ახალი, გაუმჯობესებული ნიმუშების ნაწარმის წარმოებაში დანერგვის, მისაწოდებელი საქონლის ასორტიმენტის გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ზემოქმედება საქონლის მიმწოდებლებზე, აუცილებლობის შემთხვევაში ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანქციების გამოყენება;

ადგილობრივი მწარმოებლების სტიმულირება და მათი პროდუქციის ჩართვა საქონელბრუნვაში, ნამეტი საქონლის გაცვლის ორგანიზაცია სხვა ოლქების საბითუმო საწარმოებთან;

მკაცრი კონტროლის გაწევა მყიდველების წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის, დროული სატრანზიტო გადატვირთვებისათვის, საწყობებიდან საქონლის შერჩევისა და გაყიდვის სათანადო პირობების უზრუნველყოფისათვის;

მრეწველობასთან ერთად საქონლის გამოფენა-დათვალიერებებისა და გამოფენა-გაყიდვების, საოლქო და ოლქთაშორისო ბაზრობების ორგანიზაცია;

დანმარების გაწევა საცალო ვაჭრობის საწარმოებისადმი ვაჭრობის განვითარებისა და საქონლის გაყიდვის მოწინავე მეთოდების დანერგვაში, სარეკლამო ღონისძიებების განხორციელებაში.

საბითუმო ბაზების ტექნოლოგიური ფუნქციები დაკავშირებულია საქონლის სასაწყობო დამუშავების განხორციელებასა და სატრანსპორტო საექსპედიციო ოპერაციების ორგანიზაციასთან. მათ შესრულებას საფუძვლად უდევს, აგრეთვე, სამეურნეო ანგარიშიანობის პრინციპი:

სავაჭრო ფუნქციებს ჩვეულებრივ ასრულებს ბაზის სავაჭრო-ოპერატიული ანუ კომერციული აპარატი. საქონლის სასაწყობო დამუშავებასთან, მის ექსპედიციასთან და ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ტექნოლოგიური ფუნქციები სრულდება ბაზის სასაწყობო პერსონალისა და სპეციალური მუშაკების მიერ.

საბითუმო ბაზის აპარატის სტრუქტურა დამოკიდებულია მათი საქმიანობის ხასიათზე, მოცულობაზე და შესასრულებელ ფუნქციებზე. აქ გადამწყვეტ პირობას წარმოადგენს თანაფარდობა სასაწყობო და სატრანზიტო ოპერაციებს შორის ბაზის საერთო ბრუნვაში. სასაწყობო ბრუნვის ხვედრითი წონის გადიდებით იზრდება სასაწყობო და სატრანსპორტო-საექსპედიციო ოპერაციების მოცულობა, რაც იწვევს მოთხოვნას დამატებით და საექსპლოატაციო პერსონალზე.

საბითუმო ბაზების ტიპებში და სახეებში არსებული განსხვავების მიუხედავად მათი აპარატის სტრუქტურას და აგებულებას გარკვეული იდენტურობა აქვთ. ზოგიერთ განსხვავებას აქვს ადგილი ხელმძ-

ღვანელობის ფორმების მიხედვით სამომხმარებლო კოოპერაციის საბითუმო ბაზებში.

სახელმწიფო საბითუმო ვაჭრობაში საბითუმო საწარმოთა მუშაობის საერთო ხელმძღვანელობა დაკისრებული აქვთ მმართველებს (დირექტორებს). მმართველი (დირექტორი) ასრულებს ბაზის საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობას. სავაჭრო-ოპერატიულ (კომერციულ) საქმიანობას უშუალოდ ხელმძღვანელობს მმართველის (დირექტორის) მოადგილე კომერციულ ნაწილში. საქონლის ასორტიმენტისა და ხარისხის საკითხებით დაკავებულია ბაზის მთავარი საქონელმცოდნე.

საბითუმო საწარმოს აპარატის ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენს სავაჭრო განყოფილება, რომელსაც ხელმძღვანელობს კომერციული დირექტორი (ბაზის დირექტორის მოადგილე). სავაჭრო განყოფილებაში შედის სასაქონლო სექტორები ან ჯგუფები საქონელმცოდნეებითურთ, რომლებიც ეწევიან შესყიდვისა და გაყიდვის სამუშაოებს ცალკეული საქონლის მიხედვით. მსხვილ ბაზებში სავაჭრო განყოფილებებთან ერთად იქმნება სასაქონლო განყოფილებები საქონლის ცალკეული ჯგუფების მიხედვით.

ბრუნვის საკმაო მოცულობისას სპეციალიზებულ ბაზებში მიზანშეწონილია გამოიყოს საქონლის შემსყიდველი საქონელმცოდნეების აპარატი, და იმ საქონელმცოდნეების აპარატი, რომლებიც დაკავებულნი არიან მხოლოდ საქონლის გაყიდვითა და ბითუმ მყიდველთა მომსახურებით. ამიტომ სავაჭრო განყოფილება შედგება ორი ურთიერთდაკავშირებული ნაწილისაგან: შესყიდვისა და შემოზიდვის სექტორი და გაყიდვის სექტორი. შემოზიდვის სექტორი დაკავშირებულია საქონლის მომწოდებლებთან, ხოლო გაყიდვის სექტორი კი — ბითუმ მყიდველებთან.

სავაჭრო ან სასაქონლო განყოფილებებში სწავლობენ მყიდველთა მოთხოვნებს, ანზოგადებენ საქონელზე განაცხადებსა და შეკვეთებს, ადგენენ მომწოდებლებზე წარსადგენ კრებისთი შეკვეთებსა და განაცხადებს, ამუშავებენ ხელშეკრულებათა პროექტებს, ათანხმებენ გაშლილ სპეციფიკაციებს მომწოდებლებთან და ბითუმ მყიდველებთან, გასცემენ განწყობებს საქონლის ტრანზიტით გადატვირთვებზე, საწყობებიდან გაცემაზე და სავაჭრო ქსელში ცენტრალიზებულ შეზიდვაზე.

საქონელმცოდნეები აღრიცხავენ ხელშეკრულებების შესრულებას მყიდველებთან და მომწოდებლებთან, ადვენებენ თვალყურს სასაქონლო მარაგების არსებობასა და მოძრაობას.

საბითუმო ბაზაში დიდ მუშაობას ეწევა მთავარი საქონელმცოდნე. იგი უშუალოდ ექვემდებარება ბაზის მმართველს (დირექტორს). მუშაობს რა ბაზის კომერციულ დირექტორთან და საქონელმცოდნეებთან მჭიდრო კავშირში, მთავარი საქონელმცოდნე ახდენს მოწოდებულ

საქონლის ასორტიმენტისა და ხარისხის შემოწმებას, სწავლობს ბითუმ მყიდველთა მოთხოვნებს ამ მიმართულებით.

საქონლის მომწოდებელ-დამამზადებლებთან კავშირში ყოფნისას მთავარი საქონელმცოდნე აღწევს ახალი, გაუმჯობესებული ნაწარმის წარმოებაში დანერგვას, მონაწილეობას ლეზულობს სამხატვრო საბჭოების მუშაობაში, ახალი პროდუქტების ნიმუშების განხილვასა და დეგუსტაციაში, შეაქვს წინადადებები საქონელზე სახელმწიფო სტანდარტების ტექნიკური პირობებისა და რეცეპტურის შეცვლის შესახებ, ახდენს საქონლის ხარისხზე დაკვირვებას მისი მიღების შენახვისა და ტრანსპორტირების პროცესში.

საბითუმო ბაზების გამგებლობაში იმყოფება სასაქონლო პროფილისა და საქმიანობის მოცულობის შესაბამისი სასაწყობო მეურნეობა, რომელიც ერთი ან რამოდენიმე სპეციალიზებული საწყობისაგან შედგება. საწყობებს გააჩნიათ სპეციალიზებული სასაქონლო სექციები ან საკუქნაოები, რომლებსაც ხელმძღვანელობენ გამგეები ან მეკუქნავეები და წარმოადგენენ მატერიალურად პასუხისმგებელ პირებს.

საწყობის თითოეული სექცია ექვემდებარება ბაზის სავაჭრო განყოფილების განსაზღვრულ სასაქონლო სექტორს, ხოლო სექციის აპარატი მისი გამგის, უფროსი მეკუქნავეების, მეკუქნავეების, საქონელმცოდნე-წუნმდებლების, გადამრიგელების, შემფუთავების შემადგენლობით წარმოადგენს ბაზის შესაბამისი საქონლის სექტორის ან განყოფილების საწყობის აპარატს.

საექსპედიციო და სატარო ოპერაციების ჩატარებისათვის ბაზებსა ან მის საწყობებში შექმნილი ტვირთის მიღების, მისი გაგზავნის და საცალო ქსელში მიტანის ექსპედიციები, აგრეთვე, ტარის შემკეთებელი სახელოსნო.

სამომხმარებლო კოოპერაციის სარაიონთაშორისო ბაზებთან არჩევითობის საფუძველზე იქმნება საბჭოები, რომლებშიც შედიან რაიკო-ოპკავშირებისა და მომხმარებელთა საზოგადოებების თავმჯდომარეები და მათი მოადგილეები, საქონელმცოდნეები, სავაჭრო გაერთიანებებისა და უნივერსიტეტების დირექტორები, მაღაზიათა გამგეები. ბაზის საბჭო რომელიც წარმოადგენს კოლექტიურ ორგანოს, იკრიბება კვარტალში ერთხელ და წყვეტს ბაზის სამეურნეო-ოპერატიული საქმიანობის ძირითად საკითხებს.

ნებისმიერი სავაჭრო საწარმოს საქმიანობა განისაზღვრება სავაჭრო-საფინანსო გეგმით. ასეთი გეგმის მაჩვენებლების საფუძველზე ბაზა ამუშავებს ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების გეგმას, რომლის დანიშნულებაცაა ბაზის მუშაობის გაუმჯობესების უზრუნველყოფა: საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის დაჩქარება, სასაწყობო ფართობისა და მოწყობილობების რაციონალური გამოყენება, შრომის

მექანიზაციისა და მოწინავე მეთოდების დანერგვა, საქონლის დანაკარგების შემცირება.

§ 6. საბითუმო ბაზრობები და მათი როლი საბითუმო საქონელბრუნვაში

მრეწველობასა და ვაჭრობას შორის სამეურნეო კავშირების დამყარების ერთ-ერთ ეკონომიკურად მიზანშეწონილ და გამართლებულ ფორმას საბითუმო ბაზრობები წარმოადგენს.

მრავალწლიანმა პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ საბითუმო ბაზრობების ჩატარება ხელს უწყობს საქონელზე გადახდისუნარიანი მოთხოვნისა და მის წარმოებას შორის სწორი პროპორციების დადგენას რესპუბლიკების ცალკეული ოლქებისა და მთელი ქვეყნის მასშტაბით, სასაქონლო რესურსების განაწილებაში ცენტრალიზებული საწყისების შეხამებას ცალკეულ სამრეწველო და სავაჭრო საწარმოთა ინიციატივასთან, შეკვეთების შეთანხმებისა და მოწოდების ხელშეკრულებათა დადების პროცესის გამარტივებასა და დაჩქარებას.

საბითუმო ბაზრობები განსხვავდებიან სავაჭრო ოპერაციების ხასიათისა და მონაწილეთა შედგენილობის მიხედვით, აგრეთვე ტერიტორიული ნიშნის მიხედვით. სავაჭრო ოპერაციების ხასიათსა და მონაწილეთა შედგენილობის მიხედვით განარჩევენ საბითუმო ბაზრობის ორ სახეს: ახალ სამეურნეო წელს წარმოებისა და მიწოდებისათვის დაგეგმილი საქონლის გაყიდვისა და შესყიდვის საბითუმო ბაზრობა; საცალო და საბითუმო ორგანიზაციებსა და საწარმოებში არსებული ნამეტი საქონლის სარეალიზაციო საბითუმო ბაზრობა.

ტერიტორიული ნიშნის მიხედვით საბითუმო ბაზრობები იყოფა: საოლქოდ, ოლქთაშორისოდ, რესპუბლიკურად და რესპუბლიკათაშორისოდ.

პირველი სახის საბითუმო ბაზრობის ძირითადი ამოცანებია:

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საბითუმო და საცალო საწარმო-ორგანიზაციების, აგრეთვე არასაბაზრო მომხმარებლების მიერ საქონლის შესყიდვა საწარმოო გაერთიანებებისა (საწარმოებისა) და იმ საბითუმო ორგანიზაციებისაგან, რომლებსაც დაკისრებული აქვთ თავიანთი მოქმედების რაიონში დამზადებული საქონლის გაყიდვა;

მრეწველობის მიერ გამოშვებული საქონლის ასორტიმენტის გაფართობა, მისი ხარისხისა და გარეგანი ვაჭორუმების გაუმჯობესება, ახალი სახის ნაწარმის წარმოებაში დანერგვა;

სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გეგმების ფორმირება. ასეთ ბაზრობებში მონაწილეობენ როგორც საქონლის მიმწოდებლები — მრეწველობის საწარმოო გაერთიანებები (საწარმოები) და საბითუმო ვაჭრობის საწარმო-ორგანიზაციები, ისე საქონლის მყიდვე-

ლები საბითუმო და საცალო ვაჭრობის საწარმო-ორგანიზაციები, მრეწველობის საწარმოო გაერთიანებები (საწარმოები) და სხვა არასაბაზრო მომხმარებლები. ბაზრობის მონაწილეთა შედგენილობას განსაზღვრავს საბაზრო კომიტეტი მისი მუშაობის დაწყებამდე.

ბაზრობის მომწყობი კომიტეტი იქმნება მრეწველობისა და ვაჭრობის წარმომადგენლებისაგან პარიტეტის საწყისებზე. რესპუბლიკათაშორისი და რესპუბლიკური საბითუმო ბაზრობების კომიტეტების შემადგენლობაში შედიან აგრეთვე სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და დაინტერესებული სამინისტროების წარმომადგენლები.

საბაზრო კომიტეტი ამტკიცებს ბაზრობის მონაწილეთათვის ხელშეკრულებათა დადებისა და სპეციფიკაციების შეთანხმების გრაფიკს, წყვეტს ხელშეკრულების წინა დავას მიმწოდებლებსა და მყიდველებს შორის და ახდენს ხელშეკრულებებისა და სპეციფიკაციების რეგისტრაციას.

საბაზრო კომიტეტს უფლება აქვს რეკომენდაცია გაუწიოს წარმოებაში დანერგვისათვის სამამულო და საზღვარგარეთული საქონლის საუკეთესო ნიმუშებს, დასვას საკითხი მრეწველობის მართვის შესაბამისი ორგანოების წინაშე საქონლის ხარისხის გაუმჯობესებისა და ასორტიმენტის გაფართოების შესახებ, მოსახლეობის მოთხოვნის არმქონე საქონლის წარმოებიდან მოხსნის თაობაზე და სხვ.

ბაზრობის მუშაობის უშუალო ხელმძღვანელობისათვის იქმნება დირექცია, რომელიც ზრუნავს ბაზრობის კომიტეტის გადაწყვეტილებების ცხოვრებაში გატარებაზე, ღებულობს ზომებს ბაზრობაზე დაკისრებული ამოცანების შესრულებისათვის და პასუხს აგებს ბაზრობის სამუშაო გეგმის შესრულებისათვის, სამეურნეო საქმიანობის წარმოებისათვის.

გასული წლების პრაქტიკისაგან განსხვავებით, ქსოვილების, ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და მთელი რიგი სხვა საქონლის ბითუმად გაყიდვის ბაზრობები ეწყობა ყოველწლიურად, მიწოდების წინა წლის მაის-ივნისში, რაც საშუალებას აძლევს მრეწველობას, შეიტანოს აუცილებელი ცვლილებები საქონლის წარმოების მოცულობასა და ასორტიმენტულ სტრუქტურაში ვაჭრობის მოთხოვნების გათვალისწინებით.

საბითუმო და საცალო ვაჭრობის განვითარებაში არსებით როლს ასრულებს ნამეტი საქონლის გასაყიდი ბაზრობები. ვაჭრობის არხებში წარმოქმნილი ნამეტი საქონლის სარეალიზაციო საბითუმო ბაზრობების ჩატარება ხელს უწყობს საქონლის ზენორმატიული მარაგის შემცირებას და სასაქონლო რესურსების გადანაწილებას ქვეყნის სხვადასხვა რაიონებს შორის მსყიდველობითი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით. ეს ბაზრობები ტარდება საქიროების მიხედვით. მას აწყობენ სავაჭრო-სამუშაო კანტორები, რომლებიც არსებობს სსრ კავშირის ვაჭრო-

ბის სამინისტროსთან და მოკავშირე რესპუბლიკების ვაქრობის სამინისტროებთან.

საეკრო-საშუამავლო კანტორები, რომლებიც უშუალოდ არ მონაწილეობენ საბითუმო ბრუნვაში, წარმოადგენენ მხოლოდ შუამავლებს საქონლის გამყიდველსა და მყიდველ საეკრო ორგანიზაციებს შორის, აკავშირებენ მათ ერთმანეთთან და აფორმებენ ერთჯერად გარიგებებს.

საეკრო-საშუამავლო კანტორის აპარატი სისტემატურ მუშაობას ეწევა ერთი რაიონის საეკრო საწარმოებში არსებული ნამეტი საქონლის გამოსავლინებლად (სადაც ამ საქონელზე, სხვადასხვა მიზეზების გამო, არ არის მოთხოვნა) და ადგენს მათზე მოთხოვნას სხვა საეკრო ორგანიზაციებში.

საქონლის მიწოდების სისტემა და საქონელმოძრაობის ორგანიზაცია

§ 1. საქონლის მიწოდების რეგულირების საფუძვლები

„სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებებით 1976-1980 წლებში“ დასმულია ამოცანა: „განვამტკიცოთ და სრულვყოთ მრეწველობისა და ვაჭრობის სამეურნეო კავშირი, ამასთან გავითვალისწინოთ, რომ ვაჭრობის შეკვეთები სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების მოცულობისა და ასორტიმენტის განსაზღვრის საფუძველი უნდა გახდეს, ავამაღლოთ სამრეწველო და სავაჭრო საწარმოთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულებათა შესრულებისათვის“¹.

მრეწველობასა და ვაჭრობას შორის და თვით ვაჭრობაში ცალკეულ დარგებს შორის სამეურნეო კავშირების ორგანიზაცია ითვალისწინებს სყიდვითი მოთხოვნისა და ბაზრის კონიუნქტურის შესწავლას, საქონელზე განაცხადებისა და დაკვეთების დამუშავებას, საბითუმო ვაჭრობის მრეწველობაზე ზემოქმედებას საქონლის ასორტიმენტის განახლებისა და ხარისხის ამაღლების მიზნით, სახელშეკრულებო ურთიერთობის განმტკიცებას და მხარეთა პასუხისმგებლობის ამაღლებას საქონლის მიწოდების პროცესში.

დოკუმენტებს, რომლებიც არეგულირებენ მრეწველობისა და ვაჭრობის კავშირურთიერთობას საქონლის მიწოდების საკითხში, წარმოადგენენ: დებულება სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების შესახებ, ცალკეული საქონლის მიწოდების განსაკუთრებული პირობები, დებულება დაკვეთის ფორმირების, წარმოების გეგმის, ბაზრობების ორგანიზაციის და ჩატარების, ინსტრუქცია სახალხო მოხმარების საქონლის მოთხოვნილებისა და წარმოების შესახებ განაცხადის შედგენისა და წარდგენის ვადების შესახებ და სხვა.

1. სკვპ XXV ყრილობის მასალები, 1976, გვ. 295.

სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების დებულება მიზნად ისახავს სამრეწველო საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის რეალიზაციას და სავაჭრო ორგანიზაციების მიერ საცალო საქონელბრუნვის გეგმების წარმატებით შესრულებას. ამავე დროს იგი ხელს უწყობს მიწოდების ხელშეკრულების როლის ამღლებას, სახელშეკრულებო გეგმური დისციპლინის, სამეურნეო ანგარიშობის განმტკიცებას, საქონლის წარმოების ეკონომიკური სტიმულირების გაძლიერებას.

საქონლის მიწოდების დებულება ათავისუფლებს მხარეთა სახელშეკრულებო ურთიერთობებს ზედმეტი ადმინისტრაციული რეგულირებისა და წვრილმანი მეთვალყურეობისაგან, ცვლის მათ ურთიერთმატერიალურ პასუხისმგებლობაზე დამყარებული მატერიალური ურთიერთობებით, რაც ხელს უწყობს როგორც წარმოებაზე, ასევე საქონლის გაყიდვაზე ზემოქმედების გაძლიერებას.

ხელშეკრულების მიხედვით მხარეთა მნიშვნელოვანი თავისთავადობის შექმნა ხელს უწყობს მათი ოპერატიულობის, აგრეთვე, ნედლეულის რესურსებისა და შუა პროდუქციის გამოყენების მანევრირების ამღლებას (არსებული კონიუნქტურისა და წარმოების მოთხოვნასთან დაბალანსების აუცილებლობიდან გამომდინარე).

საქონლის მიწოდების დებულებაში რეგლამენტირებულია ყველა მიმწოდებლის და მყიდველის ნორმები და წესები სამეურნეო ურთიერთობისა, რომელიც მიწოდების პროცესში წარმოიშობა.

მიწოდების დებულების მოქმედება ვრცელდება საბაზრო და არა-საბაზრო დანიშნულების სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდებაზე, რომლებიც ნაწილდება როგორც გეგმური, ასევე არაგეგმური წესით განურჩევლად საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციებისა — მიმწოდებლებისა და მყიდველების დაქვემდებარებისა. მიწოდების დებულებაში სამრეწველო და სავაჭრო საწარმოებისადმი რეკომენდებულია განამტკიცონ ხანგრძლივი სამეურნეო კავშირი, დადონ მიწოდების ხელშეკრულებანი რამდენიმე წლის ვადით, რომლის ვანმავლობაშიც დამტკიცებულია სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტიული გეგმა.

* დადებულ მიწოდების ხელშეკრულებაში მხარეებს შეუძლიათ გაითვალისწინონ საქონლის გაშლილი ასორტიმენტი, კერძოდ, მ. შ. შიდა-თვიური მიწოდების ვადები მყიდველთა საქონლით შეუფერხებელი უზრუნველყოფის გათვალისწინებით, საქონლის ცენტრალიზებული შეზიდვის გრაფიკების შეთანხმება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ვაჭრობის და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში საქონლის რითმული შეზიდვა, მათ შორის სწრაფფუჭებადი საქონლის არაუმცირეს ორჯერადი შეზიდვა დღე-ღამეში.

მიწოდების ხელშეკრულება სავაჭრო ორგანიზაციებს უფლებას აძლევს ხელშეკრულების დადებისას გაითვალისწინონ უფრო მაღალი

ზარისხის საქონლის მიწოდება სახელმწიფო სტანდარტებთან შედარებით, რომელიც დამტკიცებულია ტექნოლოგიური პირობებით ან ნიმუშებით, აგრეთვე, დააწესონ ხელშეკრულებებში საგარანტიო ვადები საქონელზე, თუ ეს ვადები არ არის დადგენილი სახელმწიფო სტანდარტებით და ტექნიკური პირობებით, ამავე დროს დააწესონ უფრო ხანგრძლივი საგარანტიო ვადები იმასთან შედარებით, რაც გათვალისწინებულია სახელმწიფო სტანდარტებით და ტექნიკური პირობებით.

საქონლის მიწოდების ერთიან დებულებასთან ერთად წარმოებასთან ვაჭრობის ურთიერთობის პრაქტიკაში გამოიყენება საქონლის მიწოდების განსაკუთრებული პირობები, რომელიც დამუშავებულია სსრკ ვაჭრობის სამინისტროს მიერ ცენტროსოიუზთან ერთად სსრკ სახმომარაგების, ასევე დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით.

აუცილებელ შემთხვევაში სსრკ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო არბიტრაჟთან შეთანხმებით მიწოდების განსაკუთრებული პირობები შეიძლება დამუშავდეს საკავშირო სამინისტროს (უწყების) — ძირითადი მიმწოდებლის მიერ სსრკ ვაჭრობის სამინისტროსთან, ცენტროსოიუზთან, სხვა დაინტერესებულ სამინისტროებთან (უწყებებთან) ერთად.

განსაკუთრებულ პირობებში გაითვალისწინება ცალკეული სახის საქონლის მიწოდების სპეციფიკა, აგრეთვე საქონლის მიწოდების თავისებურებანი უკიდურესი ჩრდილოეთისა და ქვეყნის სხვა დაშორებული რაიონებისადმი, კონკრეტულ საქონელზე განსაზღვრულია ტრანზიტულ გზავნილებათა მინიმალური ნორმები, ტარაზე საგირაო ფასების ამოღების, მისი დაბრუნების წესები და ვადები, დაკვეთების, განაწესებისა და სხვა წარდგენის ვადები.

მიწოდების განსაკუთრებულ პირობებში არ შეიტანება ნორმები, რომელიც ზღუდავს მხარეებს, დამოუკიდებლად განსაზღვრონ მიწოდების ისეთი პირობები, რომლებიც, დებულების მიხედვით, მათ შორის შეიძლება დადგინდეს ხელშეკრულებაში.

§ 2. წარმოებასთან ვაჭრობის სამეურნეო კავშირების ფორმები

მიმწოდებლებსა და მყიდველებს შორის სამეურნეო კავშირების ორგანიზაციულ-სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს საქონლის მიწოდების ხელშეკრულება.

მიწოდების ხელშეკრულება საშუალებას იძლევა მონაწილეებისადმი ორგანიზაციებისა და საწარმოებისადმი, რომლებმაც დაარღვიეს მისი პირობა, გამოყენებულ იქნეს ეკონომიკური ზემოქმედების ღონისძიებანი: გადაახდევინოს მათ ფულადი ჭარბები, საურავეები, პირგასამტეხლოები. მაგრამ პრაქტიკაში საბითუმო და საცალო სავაჭრო საწარ-

შოები და ორგანიზაციები ხშირად არ უყენებენ მკაცრ მოთხოვნებს მიმწოდებლებს, რომლებმაც დაუშვეს საქონლის მიუწოდებლობა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ასორტიმენტიდან გადახრა, ხოლო მიმწოდებლები, თავის მხრივ, არ ახდენენ მათ ჯარიმებს საქონლის მოთხოვნილების განსაზღვრისას დაშვებულ ნაკლოვანებებზე, მის დროულ მიღებასა და ანაზღაურებაზე. პარტნიორების ასეთი არაპრინციპული მოქმედება, ურთიერთამინუსტია დიდ ზიანს აყენებს საქმეს და აშკარად ეწინააღმდეგება მეურნეობის გაძლოლის ძირითად სოციალისტურ მეთოდს — სამეურნეო ანგარიშიანობას.

ამჟამად მიღებული წესის შესაბამისად, მრეწველობის საწარმოები (საწარმოო გაერთიანებანი) — მიმწოდებლები ღებენ მიწოდების ხელშეკრულებებს:

სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის საცალო ვაჭრობის საწარმოებთან (ორგანიზაციებთან), რომლებიც იმყოფება მიმწოდებლებთან ერთად იმავე ქალაქში, მხარეში, რესპუბლიკაში;

მსხვილ და სპეციალიზებულ საცალო სავაჭრო საწარმოებთან (ორგანიზაციებთან) მათი ადგილსამყოფელის მიუხედავად;

სახელმწიფო ვაჭრობის და სამომხმარებლო კოოპერაციის საბითუმო საწარმოებთან (ორგანიზაციებთან), შესაბამის მომარაგება-გასაღების ორგანიზაციებთან, რომლებიც ახორციელებენ საქონლის შეზიდვას მათი დახარისხებისა და მოხმარების რაიონებში ცენტრალიზებულ მიტანისათვის;

სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის საბითუმო საწარმოებთან (ორგანიზაციებთან), შესაბამისი მომარაგება-გასაღების ორგანიზაციებთან, რომელთა მოქმედების რაიონშიც იმყოფებიან მრეწველობის საწარმოები იმ შემთხვევაში, როცა მოცემული საქონლის მიწოდების თავისებურებათა გამო ისინი არ შეიძლება გაიგზავნონ მოხმარების ადგილზე წინასწარი დახარისხების ან შენახვის გარეშე;

საწარმოებთან (ორგანიზაციებთან) — ბაზრის გარეშე მომხმარებლებთან.

მყიდველებს და მიმწოდებლებს მინიჭებული აქვთ უფლება, მოიზიდონ ხელშეკრულებაში მონაწილეობისათვის თავიანთი სისტემის სამეურნეო ანგარიშზე მყოფი საწარმოები მონაწილის უფლებით. ეს უკანასკნელნი ამ შემთხვევაში მონაწილეობას ღებულობენ ხელშეკრულების ყველა პირობის დამუშავებაში და პასუხისმგებელნი არიან თავიანთი წილის ფარგლებში ვალდებულებათა შესრულებაზე.

ხელშეკრულებანი, როგორც წესი, იდება ერთი წლით, ხოლო მიმწოდებლებსა და მყიდველებს შორის მუდმივი სამეურნეო კავშირების შემთხვევაში — უფრო ხანგრძლივი ვადით ხუთი წლის ფარგლებში. იდება, აგრეთვე, მოკლევადიანი (ერთ წელზე ქვევით) სეზონური ხელშეკრულებანი და ერთჯერადი გარიგებანი.

საქონლის მიწოდების ხელშეკრულებანი შეიძლება დადებულ იქნეს საბითუმო ბაზრობებზე ან ბაზრობების გარეშე.

საბითუმო ბაზრობებზე ხელშეკრულებათა დადებისას მისაწოდებელი საქონლის რაოდენობისა და ასორტიმენტის შეთანხმება მხარეების მიერ წარმოებს დაკვეთებისა და სამრეწველო გაერთიანებების (საწარმოების) მიერ წარმოდგენილი ნიმუშების, კატალოგების, პროსპექტების და სხვა მასალების საფუძველზე, რომლებიც ახასიათებენ საქონელს. ბაზრობების ჩატარებამდე მრეწველობისა და ვაჭრობის ხელმძღვანელი ორგანოების, მრეწველობის საწარმოო გაერთიანებების (საწარმოების), სავაჭრო საწარმოებისა და სამომხმარებლო კოოპერაციების კავშირთა მიერ ტარდება.

სავაჭრო საწარმოების და ორგანიზაციების დაკვეთების განხილვა და ღონისძიებათა დამუშავება ამ დაკვეთების დასაკმაყოფილებლად, ახალი სახის საქონლის ნიმუშების დასამზადებლად და წარმოებიდან იმ საქონლის მოსახსნელად, რომლებიც მოსახლეობის მოთხოვნით არ სარგებლობს.

ბაზრობებზე გასაყიდად რეკომენდებული საქონლის ნიმუშების შერჩევა და მათი განხილვა სამხატვრო საბჭოებზე, გამოფენა-გაყიდვებისა და ა. შ. ამ საქონელზე კატალოგების, ალბომების, პროსპექტების და სხვა სარეკლამო მასალების მომზადება და მყიდველებისათვის გაგზავნა.

სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხის გაუმჯობესების და ასორტიმენტის გაფართოების ღონისძიებათა დამუშავება, წარმოებაში ახალი სახის საქონლის დანერგვა.

ბაზრობების გარეშე ხელშეკრულებათა დადება შემდეგნაირად წარმოებს: მრეწველობის საწარმოო გაერთიანებანი (საწარმოები) 20 დღის ვადაში, ხოლო სახელმწიფო ვაჭრობის და სამომხმარებლო კოოპერაციის საბითუმო საწარმოები და ორგანიზაციები მათთან მიმავრებული მყიდველებისაგან დაკვეთების მიღების შემდეგ ერთი თვის ვადაში ამ უკანასკნელთ უგზავნიან ხელშეკრულების პროექტს ორ ეგზემპლარად საქონლის სპეციფიკაციის დართვით, რომელიც უნდა მიეწოდოს მომავალ წელს. მიწოდების განსაკუთრებულ პირობებში შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მყიდველთა ხელშეკრულების პროექტის შედგენა და მისი გაგზავნა ფომწოდებლისადმი. მყიდველი ხელს აწერს ხელშეკრულების პროექტს მიღებიდან არაუგვიანეს 10 დღისა და ხელშეკრულების ერთ ეგზემპლარს სპეციფიკაციების დართვით უბრუნებს მიმწოდებელს. მყიდველის მიერ ხელშეკრულების პროექტის ცალკეული პირობებისადმი უთანხმოების ან სპეციფიკაციისადმი წინააღმდეგობის შემთხვევაში მყიდველი იმავე ვადაში ვალდებულია შეადგინოს უთანხმოების ოქმი და გაუგზავნოს იგი მიმწოდებელს

ხელმოწერილ ხელშეკრულებასთან და მასში გაკეთებულ შენიშვნებთან ერთად.

მიმწოდებელი ვალდებულია 20 დღის ვადაში განიხილოს უთანხმოების ოქმი და მიიღოს ზომები მყიდველთან ხელშეკრულების, წინა უთანხმოების მოსაშორებლად. თუ არ მოხერხდა შეთანხმების მიღწევა, საქმე გადაეცემა არბიტრაჟს განსახილველად.

ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის მანძილზე სპეციფიკაციის შეთანხმების შეუძლებლობის შემთხვევაში მიმწოდებელი უდგენს მას მხოლოდ ერთი კვარტალით, ნახევარი წლით ან სხვა პერიოდით. თუ ხელშეკრულებით ან მიწოდების განსაკუთრებული პირობებით სპეციფიკაციის შეთანხმების ვადები არ არის დადგენილი, მაშინ მყიდველს შეუძლია ასორტიმენტის დაზუსტების შესახებ წინადადებანი გაუგზავნოს საბითუმო სავაჭრო და მომარაგება-გასაღების ორგანიზაციას (საწარმოს) არაუგვიანეს 45 დღით ადრე, ხოლო სამრეწველო საწარმოს — 35 დღით ადრე კვარტალის დაწყებამდე.

მყიდველს უფლება აქვს მთლიანად ან ნაწილობრივ უარი თქვას მისთვის გამოყოფილ ზედმეტ ან არასაკმარის საქონელზე და ამ საქონლის მიწოდების ხელშეკრულების დადებაზე, აცნობებს რა ამის შესახებ მიმწოდებელს და საქონლის გამოყოფა ორგანოს განაწესის და შეტყობინებს მიღებიდან არაუგვიანეს 10 დღისა შესაბამის მიმწოდებელზე მიმავრების შესახებ. მიმწოდებელს უფლება აქვს მოახდინოს საქონლის რეალიზაცია, თავისი შეხედულებისამებრ, მყიდველისაგან საქონლის მიწოდების ხელშეკრულების დადებაზე უარისთქმის მომენტიდან 30 დღის განმავლობაში, ხოლო მალფუჭებადი საქონლის მიმართ — 10 დღის განმავლობაში, თუ მიმწოდებელს შესაბამისი ორგანო არ მოუთითებს ახალ მყიდველს.

სახელშეკრულებო ურთიერთობანი საქონლის მიწოდებაზე, რომელიც არ ნაწილდება ცენტრალიზებული წესით, აგრეთვე, საქონელი, რომელიც რეალიზდება მიმწოდებლის მიერ თავისი ხელშეკრულებისამებრ, უფრო გამარტივებულია.

საქონლის მიწოდება ერთი რომელიმე სავაჭრო სისტემის შიგნით ფორმდება აგრეთვე ხელშეკრულებებით.

შიდასისტემურმა სახელშეკრულებო ურთიერთობებმა ფართო გავრცელება პოვა სამომხმარებლო კოოპერაციაში მის ცალკეულ საბითუმო და საცალო ორგანიზაციებსა და საწარმოებს შორის. ინერგება ეს ურთიერთობანი სახელმწიფო საბითუმო ვაჭრობაშიც, სადაც ხელშეკრულებების დადება ხდება რესპუბლიკური საბითუმო კანტონების გამოსასვლელ და სავაჭრო ბაზებს შორის. შიდასისტემური სახელშეკრულებო კავშირების დამყარების მიზანია ვაჭრობის ყველა რგოლის პასუხისმგებლობის ამოღება საქონლის მიწოდებაზე, საბი-

თუმცა და საცალო ორგანიზაციების და საწარმოების სამეურნეო ანგარიშობის და ეკონომიკური თავისთავადობის განმტკიცება.

60-იანი წლების შუა პერიოდიდან ჩვენს ქვეყანაში წარმოების დაგეგმვის ახალი წესის დანერგვასთან დაკავშირებით განხორციელდა ეკონომიკური ექსპერიმენტი მრეწველობასთან საცალო ვაჭრობის პირდაპირ კავშირებზე გადაყვანის ხაზით. რიგი სამრეწველო გაერთიანებანი და საწარმოები თავიანთ საწარმოო პროგრამას ადგენდა ვაჭრობის პირდაპირი დაკვეთის საფუძველზე.

სავაჭრო საწარმოების მრეწველობასთან პირდაპირი კავშირების პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ისინი ძირითადად წარმოადგენენ მრეწველობასა და ვაჭრობას შორის კავშირუბრთობის სასარგებლო ფორმას, რომელიც საშუალებას იძლევა უფრო სრულად და ოპერატიულად იყოს გათვალისწინებული სყიდვითი მოთხოვნის ცვლილებები, ხშირად იქნეს განახლებული საქონლის ასორტიმენტი, ამადლდეს გამოსაშვები ნაწარმის ხარისხი.

სასაწყობო სათავსების უქმარობა და მზა ნაწარმის მარაგის შეზღუდული ნორმატივები საშუალებას არ აძლევს ფაბრიკა-ქარხნებს განახორციელონ საქონლის აუცილებელი ასორტიმენტის დახარისხება და დაკომპლექტება. ამის გამო უმსხვილეს უნივერსალურებსაც კი არ შეუძლიათ მუდმივად ჰქონდეთ გასაყიდად ყველა ზომის, სიმაღლის, ფერის, მოდელისა და ფასონის ნაწარმი.

პირდაპირი კავშირები უნდა დავამყაროთ სამრეწველო გაერთიანებებსა და მსხვილ სავაჭრო საწარმოებს შორის, რომელთაც გააჩნიათ საკმარისი რაოდენობის სასაქონლო ფონდები და საცალო საქონელბრუნვა.

საცალო ვაჭრობის საწარმოების მრეწველობასთან პირდაპირი კავშირების სისტემაზე გადაყვანის საკითხის გადაწყვეტისას მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნეს საქონლის ოპტიმალური ასორტიმენტის ფორმირების შესაძლებლობა და მათი შემოზიდვის სინშირის თუ პარტიობის მიზანშეწონილობა.

ამისათვის აუცილებელია მინიმალური საქონელბრუნვის გაანგარიშება, რომლის ფარგლებშიც სავაჭრო საწარმომ შეიძლება შეისყიდოს საქონელი პირდაპირი კავშირების დაწყებისას. ეს გაანგარიშება შეიძლება შესრულდეს შემდეგი ფორმულით:

$$Q_{\min} = \sum_{i=1}^n N_i \cdot P_i,$$

სადაც Q_{\min} - მინიმალური საქონელბრუნვაა, რომლის დროსაც შესაძლებელია საქონლის შესყიდვა პირდაპირი კავშირების საფუძველზე, ათას მანეთობით;

N_i — საქონლის გაგზავნის მინიმალური ნორმა, რომელსაც აწოდებს მიმწოდებელი;

$P_i - i$ — მიმწოდებლისაგან მინიმალურად დასაშვები საქონლის შეზიდვის პერიოდულობა, ჯერებში;

რამდენადაც მოსაწოდებელი საქონლის მოცულობა განსხვავებულია, გაანგარიშება საჭიროა განხორციელდეს ყოველი მიმწოდებლისათვის ცალ-ცალკე. მინიმალური საქონელბრუნვის მოცულობა ამასთან ერთად უნდა იყოს ისეთი, რომ განხორციელდეს შემდეგი პირობა:

$$\frac{O_i}{N_i} \geq P_i,$$

სადაც O არის საქონლის მოცულობა, რომლის მიწოდება ხდება i მიმწოდებლის მიერ.

საქონლის მიწოდების სიხშირე შეიძლება გავიანგარიშოთ ასე:

$$R = \frac{\sum D_i N_i}{Q_i},$$

სადაც R არის საქონლის შეზიდვის საძიებელი სიხშირე;

D_i — პერიოდის დღეთა რიცხვი, რომლის განმავლობაშიც უნდა მოხდეს საქონლის მიწოდება, რომელიც i მიმწოდებლისაგან არის შესყიდული;

$N_i - i$ მიმწოდებლისაგან საქონლის გაგზავნის მინიმალური ნორმა. მიმწოდებლისაგან შესყიდული საქონლის მოცულობა, რომელიც მოცემულ პერიოდში უნდა მიეწოდოს.

§ 3. საქონელზე შეკვეთები და განაცხადები

ძირითადი დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს ვაჭრობის ურთიერთობას მრეწველობასთან, არის სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების დებულება. ამ დოკუმენტის დამატებად 1972 წლიდან ძალაში შევიდა სახალხო მოხმარების საქონლის მოთხოვნილებისა და წარმოებაზე განაცხადის შედგენის ახალი წესი, რომელიც წარედგინება საბითუმო რგოლების მიერ სამინისტროებს, უწყებებს, საგეგმო ორგანოებს.

1974 წელს მიღებულ იქნა ზომები, მსუბუქი მრეწველობის საქონლის წარმოების დაგეგმვის და ეკონომიკური სტიმულირების სრულყოფის შესახებ. საწარმოო გაერთიანებებს (საწარმოებს) მინიჭებული აქვთ უფლება, თვითონ განსაზღვრონ საქონლის წარმოების მოცულობა, რომელიც განკუთვნილია მოსახლეობისათვის მისაყიდად ნატურალურ გამოსახულებაში (ქსოვილების და საბავშვო ასორტიმენტის საქონლის გარდა) სავაჭრო ორგანიზაციების შეკვეთების და საქონლის მიწოდების ხელშეკრულების საფუძველზე გამოყოფილი ნედლეულის

რესურსებისა და საქონლის მიწოდების დადგენილი მოცულობის ფარგლებში საცალო ფასებით.

სსრკ ვაჭრობის სამინისტრო, მოკავშირე რესპუბლიკების ვაჭრობის სამინისტროები და მათი ადგილობრივი ორგანოები მოწოდებულნი არიან განახორციელონ კონტროლი მასობრივი მოთხოვნის არაძვირადღირებული საქონლის საემარსი რაოდენობით გამოშვებაზე და საქირობის შემთხვევაში შეიტანონ შესწორებანი სავაჭრო ორგანიზაციების შეკვეთებში წარმოების გეგმების შესაბამისი შეცვლით. განაცხადება და შეკვეთების სისტემა საფუძვლიანად დამკვიდრდა მრეწველობასთან ვაჭრობის ურთიერთობის პრაქტიკაში, რამაც ბევრად შეუწყობ ხელი მის რაციონალიზაციას.

განაცხადსა და შეკვეთას შორის არსებობს არსებითი განსხვავება. განაცხადები დგება საბითუმო საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ, რათა მრეწველობა დროულად და სწორად იქნეს ინფორმირებული სახალხო მოხმარების საქონლის მოთხოვნილების შესახებ. განაცხადები დგება ჯგუფურ ასორტიმენტზე.

შეკვეთები საქონლის მიწოდებაზე დგება გაშლილი ასორტიმენტით მყიდველების — სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის საცალო და საბითუმო ორგანიზაციების მიერ მიმწოდებლებისადმი — სამრეწველო საწარმოების ან საბითუმო ბაზებისადმი შეტყობინების საფუძველზე მომარაგების წესის და ვადების შესახებ, რომელიც გათვალისწინებულია სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების დებულებით, აგრეთვე, ცალკეული საქონლის მიწოდების განსაკუთრებული პირობებით.

განაცხადები დგება:

სახალხო მოხმარების საქონელზე, რომელიც ნაწილდება სსრკ ვაჭრობის სამინისტროს მიერ — იმ ნომენკლატურაზე, რომელიც მის მიერ მტკიცდება;

საქონელზე, რომელიც ნაწილდება გეგმურად მოკავშირე რესპუბლიკებს შესაბამისი ორგანოების მიერ — იმ ნომენკლატურაზე, რომელიც ამ ორგანოების მიერ დგინდება;

საქონელზე, რომელიც არ ნაწილდება გეგმური წესით, იმ ჩამონათვლის მიხედვით, რომელიც განისაზღვრება მოკავშირე რესპუბლიკებს ვაჭრობის სამინისტროების მიერ. მთელი მუშაობა საქონლის მოთხოვნილებაზე განაცხადის შედგენისა იწყება საბითუმო ბაზებში.

საბითუმო კანტორები (ბაზები) განაცხადებს ადგენენ მოსახლეობის და ბაზრის გარეშე მომხმარებლების მოთხოვნილებათა გათვალისწინებით. განაცხადები დგება მოსახლეობის მოთხოვნის და ვაჭრობის კონიუნქტურის შესწავლის საფუძველზე სეზონურობის, ნაციონალური, საყოფაცხოვრებო, კლიმატური და სხვა თავისებურებების, მოსახლეობის რიცხოვნობისა და შემადგენლობის, ფულადი შემოსავლების

დონის, საქონლს გაყიდვის მონაცემების, საქონლს მარაგის მდგომარეობის და ზხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

საბითუმო ორგანოების განაცხადების დამუშავებაში მონაწილეობას ლებულობენ სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის მსხვილი საეკპრო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

განაცხადებში საქონლის რაოდენობის ასაღრიცხავად, რომელიც განკუთვნილია შემოსაზიდად ან გასაზიდად რესპუბლიკათაშორის მიწოდების გეგმით, სამრეწველო გადამუშავების ფონდით და საერთო-საკავშირო საჭიროებისათვის, წინასწარი მოცულობის ჭგუფურ ასორტიმენტში სსრკ ვაჭრობის სამინისტროს მთავარი სამმართველოები აცნობებს მოკავშირე რესპუბლიკების ვაჭრობის სამინისტროებს 5 აპრილამდე.¹

საბითუმო კანტორები რესპუბლიკებში, რომელთაც აქვთ საოლქო დაყოფა, აცნობებენ შესაბამის ბაზებს რესპუბლიკათაშორისი, ოლქთაშორისი შემოზიდვის, გაზიდვის მოცულობებს და საერთო-საკავშირო საჭიროებისათვის მიწოდებას. ეს მონაცემები გათვალისწინებულ უნდა იქნეს რესპუბლიკური კანტორების და მათი ბაზების მიერ მრეწველობისადმი წარსადგენი კრებლისთი დაკვეთების ფორმირების დროს.

განაცხადებში საქონლის წარმოებაზე საბითუმო ბაზები გამოდიან საქონლის მოთხოვნილებიდან ადგილობრივი საჭიროებისათვის, რესპუბლიკათაშორისი, ოლქთაშორისო და საკავშირო ფონდში მიწოდებებიდან ე. ი. მთლიანი მოთხოვნილების განაცხადიდან, იმ საქონლის გამოკლებით, რომელიც გათვალისწინებულია მოცემულ ოლქში ან რესპუბლიკაში შესაზიდად.

საბითუმო ბაზები უდგენენ განაცხადებს საქონლის წარმოებასა და მოთხოვნილებაზე რესპუბლიკურ საბითუმო კანტორებს არა უგვიანეს 1 აპრილისა (ქსოვილებზე, შეკერილ ტრიკოტაჟის ნაწარმზე და ფეხსაცმელზე არა უგვიანეს გეგმურის წინამდებარე წლის 10 იანვრისა). საბითუმო კანტორები აზოგადებენ ამ განაცხადებს, აზუსტებენ და უგზავნიან რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს. საქონლის მოთხოვნილების განაცხადში ნაჩვენებია საქონლს ჭგუფური ასორტიმენტი, მიწოდების გეგმა მიმდინარე წლის, განაცხადებული რაოდენობა და ჯამი გეგმური წლისათვის, მ. შ. ადგილობრივი მოხმარებისათვის.

მოკავშირე რესპუბლიკების ვაჭრობის სამინისტროებს—გააჩნიათ რა მონაცემები შესაბამისი საქონლის მოთხოვნილების შესახებ გეგმურის წინამდებარე წლის 15 აპრილამდე² უდგენენ განაცხადებს საქონლის

¹ ქსოვილებზე, შეკერილ და ტრიკოტაჟის ნაწარმზე, ფეხსაცმელზე — 5 იანვრამდე.

² შეკერილი ნაწარმის წარმოებაზე განაცხადის წარდგენა ხდება არა უგვიანეს 15 იანვრისა; ქსოვილებზე, ტრიკოტაჟის ნაწარმსა და ფეხსაცმელზე — 20 იანვრისა.

წარმოებაზე საკავშირო-რესპუბლიკურ და რესპუბლიკურ სამრეწველო სამინისტროებს და უწყებებს (მათი ნომენკლატურის საქონელზე), მოკავშირე რესპუბლიკების საგეგმო კომიტეტებს, სსრკ ვაჭრობის სამინისტროს. საქონლის წარმოების განაცხადში ნაჩვენებია მათი ჯგუფური ასორტიმენტი, მიმდინარე წლის წარმოების გეგმური ოდენობა, განცხადებული რაოდენობა და ჯამი, რომელიც გამიზნულია საწარმოებლად; მომავალ წელს.

სსრკ ვაჭრობის სამინისტროს მიერ შედგენილი კრებისით დაკვეთები საგეგმო წლისათვის საქონლის მოთხოვნილებაზე მისი წარმოებისა და მიწოდებისათვის ქვეყნის მასშტაბით წარედგინება სსრკ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრკ მთავარმომარაგებას, სსრკ სამინისტროებს და უწყებებს, რომელთა საწარმოებიც უშვებენ სახალხო მოხმარების. საქონელს, 1 მაისამდე (ქსოვილებზე, შეკერილ, ტრიკოტაჟის ნაწარმზე და ფეხსაცმელზე — 1 თებერვლამდე).

საქონლის მოთხოვნილებასა და წარმოებაზე განაცხადების ასეთი სისტემა საშუალებას აძლევს საგეგმო ორგანოებს და სამრეწველო სამინისტროებს, განსაზღვრონ წარმოების გეგმის პროექტები ბაზრის ფაქტობრივი მოთხოვნის გათვალისწინებით, დაადგინონ მიწოდების აუცილებელი მოცულობა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ საწარმოო გაერთიანებებს (საწარმოებს) დავალებები ეძლევათ წარმოების მოცულობის მიხედვით და ლიმიტების გამოყოფა ხდება საეპრო ორგანიზაციების განაცხადების გათვალისწინებით.

საგეგმო წლისათვის წარმოებისა და მიწოდების სავარაუდო მოცულობის მონაცემები დაიყვანება სამრეწველო სამინისტროების მიერ საწარმოო გაერთიანებებამდე (საწარმოებამდე), სსრკ ვაჭრობის სამინისტროს და მოკავშირე რესპუბლიკების ვაჭრობის სამინისტროების მეშვეობით — საბითუმო კანტორებამდე და ბაზებამდე.

საბითუმო ბაზები მიწოდების მიღებული მოცულობის შესაბამისად ამუშავებენ წინასწარ შეკვეთას, რომელსაც ვაჭრობის ხელმძღვანელო ორგანოების მიერ განხილვის შემდეგ უდგენენ საწარმოო გაერთიანებებს (საწარმოებს).

ზემდგომი ორგანიზაციებისაგან მიღებული წინასწარი დავალებების საფუძველზე პროდუქციის წარმოების მოცულობის, ნედლეულისა და მასალების ლიმიტის, საბითუმო ბაზებისა და საეპრო ორგანიზაციების წინასწარი შეკვეთების გათვალისწინებით საწარმოო გაერთიანებები (საწარმოები) ამუშავებენ და უდგენენ საქონლის წარმოების გეგმებს. ამ საქონელთა ნომენკლატურა მტკიცდება სსრკ ვაჭრობის სამინისტროს მიერ ნატურალურ და ფულად გამოსახულებაში წლიურად კვარტალური დაყოფით საბითუმო ბაზებისათვის, რომლის მოქმედების რაიონშიც ისინი იმყოფებიან, აგრეთვე ზემდგომი ორგანიზაციებისა და მოკავშირე რესპუბლიკის შესაბამისი კანტორებისათვის.

მყიდველთა დაკვეთებთან შეპირისპირებული წარმოების გეგმის პროექტი საწარმოო გაერთიანების (საწარმოს) და საბითუმო ბაზის ხელმძღვანელთა ხელმოწერით წარედგინება რესპუბლიკის მსხუქვი მრეწველობის სამინისტროს, რსფსრ ტექსტილური მრეწველობის სამინისტროს, სსრკ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსთან არსებულ სრულიად საკავშირო გაერთიანებას და მოკავშირე რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს.

აღნიშნული სამინისტროები და უწყებები საწარმოო გაერთიანებების (საწარმოების) და საბითუმო ბაზებისაგან წარმოების გეგმის პროექტის და სავაჭრო ორგანიზაციების დაკვეთების მიღების საფუძველზე დებულობენ დამატებით ღონისძიებებს მათ შესასრულებლად, აუცილებლობის შემთხვევაში შეაქვთ შესწორებანი წარმოების გეგმის პროექტებში და უგზავნიან საქონლის წარმოების დაზუსტებულ გეგმებს სსრკ ვაჭრობის სამინისტროს, სსრკ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს და მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს.

ამის შემდეგ დგება მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი ეტაპი მრეწველობასთან ვაჭრობის კავშირის დამყარებისა.

რესპუბლიკური, საბითუმო კანტორები უზრუნველყოფენ მყიდველების მიმწოდებლებთან მიმაგრების გეგმის პროექტის დამუშავებას. საბაზრო და არასაბაზრო ფონდების მიხედვით, მოკავშირე რესპუბლიკების, მხარეების და ოლქების მიხედვით და დაყავთ შეტყობინება მომარაგების შესახებ საწარმოო გაერთიანებებამდე (საწარმოებამდე) და მყიდველებამდე. ეს ხდება იმისათვის, რომ შეთანხმებულ იქნეს შეკვეთები გაშლილ ასორტიმენტში მიწოდების დებულებისა და მიწოდების განსაკუთრებული პირობების შესაბამისად.

მიმწოდებლებისადმი მიმაგრების შეტყობინების მიღებისას მყიდველები უდგენენ მათ შეკვეთებს საქონელზე, რომელიც გათვალისწინებულია მისაწოდებლად მომავალ წელს. შეკვეთებში მითითებულია საქონლის გაშლილი ასორტიმენტი დასახელებებით, სახეებით, არტიკულებით და სხვა სასაქონლო ნიშნებით, აგრეთვე რაოდენობა, საქონლის ხარისხი და მიწოდების კერძო ვადები.

საცალო და საბითუმო სავაჭრო და მომარაგება-გასაღების ორგანიზაცია-საწარმოები, აგრეთვე ბაზრის გარეშე მომხმარებლები უდგენენ მრეწველობის საწარმოებს დაკვეთებს 20 დღის ვადაში მიმაგრების შესახებ შეტყობინების მიღების მომენტიდან.

საბითუმო ვაჭრობის და მომარაგება-გასაღების ორგანიზაციებს (საწარმოებს) — მიმწოდებლებს შეკვეთები წარედგინებათ მყიდველებისაგან 10 დღის ვადაში მიმაგრების შესახებ შეტყობინების მიღების მომენტიდან. მყიდველებს შეუძლიათ წარუდგინონ მიმწოდებლებს შეკვეთები იმ საქონელზეც, რომელიც გეგმურად არ ნაწილდება.

მიმწოდებელ-დამამზადებლისათვის შეკვეთა წარმოადგენს წარმო-

ების გეგმის საფუძველს, მყიდველის დავალებას, დაამზადოს მისთვის საქონლის განსაზღვრული რაოდენობა შესაბამისი ასორტიმენტით. საწარმოო გაერთიანებას (საწარმოს) და სავაჭრო ორგანიზაციას შორის შეთანხმებული შეკვეთა და მის საფუძველზე დადებული ხელშეკრულება ავალდებულებს მყიდველ შემკვეთს, მიიღოს და გაანაღდოს საქონელი, რომელიც მისი შეკვეთით არის დამზადებული.

წარმოების გეგმების დამტკიცების შემდეგ საწარმოო გაერთიანებებს (საწარმოებს) უფლება აქვთ სავაჭრო ორგანიზაციების მოთხოვნით შეიტანონ ცვლილებანი სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების ხელშეკრულებაში ასორტიმენტისა და წარმოების მოცულობის მიხედვით ნატურალურ გამოსახულებაში.

შეკვეთების სისტემაზე, როგორც ვაჭრობის მრეწველობასთან ურთიერთობის ძირითად ფორმაზე, გადასვლა აკისრებს სავაჭრო ორგანიზაციებს გაზრდილ პასუხისმგებლობას შეკვეთების ეკონომიკური დასაბუთებისათვის. ამასთან დაკავშირებით ვაჭრობაში შეკვეთების დამუშავებისას აუცილებელია მხედველობაში იყოს მიღებული მოსახლეობის რიცხოვნობა და შედგენილობა, სყიდვითი ფონდების სიდიდე, ცალკეული საქონლის გაყიდვის და მარაგის მონაცემები, მოსახლეობის მოთხოვნის შესწავლის მასალები ცალკეული ფაქტორების გათვალისწინებით, რომელნიც ზეგავლენას ახდენს მის ფორმირებაზე. ყოველივე ეს დაკავშირებული უნდა იყოს წარმოების განვითარების პერსპექტივებთან სამრეწველო საწარმოთა საქონლის მწარმოებლების რეალურ შესაძლებლობებთან.

§ 4. საქონელმომძრაობის რაციონალური ორგანიზაციის ამოცანები

საქონლის სივრცობრივი გადაადგილება ქმნის ე. წ. საქონელმომძრაობას, რომელიც მოიცავს საქონლის გადაზიდვას სხვადასხვა სახის ტრანსპორტით, საქონლის მასის გატარებას განსაზღვრულ სასაწყობო რგოლებში და საქონლის მიტანის საცალო სავაჭრო ქსელში — საქონელმომძრაობის ბოლო პუნქტს. საქონლის გადაადგილება მოითხოვს დროისა და სახსრების მნიშვნელოვან დანახარჯებს.

საქონელმომძრაობის ორგანიზაცია და მისი ფორმები უშუალოდ არის დაკავშირებული საწარმოო ურთიერთობების ხასიათთან, რომელიც მყარდება განსაზღვრულ საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის პირობებში. საწარმოო ძალთა არაგეგმური განლაგება, საქონლის წარმოებისა და მიმოქცევის განვითარებაში ცნობილი სტიქიურობა, კონკურენტული ბრძოლა კაპიტალისტურ ქვეყნებში ხელს უწყობენ საქონელმომძრაობის პროცესის გართულებას.

განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პირობებში იქმნე-

ბა ყველაზე უფრო ხელსაყრელი შესაძლებლობანი საქონელმომძრავობის რაციონალური ორგანიზაციისათვის. სოციალისტური ეკონომიკის პირობებში საქონლის მოძრავობის პროცესი წარმოადგენს სახელმწიფოებრივი დაგეგმვის ობიექტს და შეიძლება ორგანიზებულ იქნეს შრომის უმცირესი დანახარჯებით.

მაგრამ წინაპირობებმა, რომლებიც ქმნიან რაციონალურ საწყისებზე საქონელმომძრავობისათვის ხელსაყრელ პირობებს, არ შეიძლება ავტომატურად უზრუნველყონ ეს პროცესი. ამისათვის აუცილებელია განსაზღვრული ზომების მიღება მრეწველობის გამსაღებელი აპარატის მხრივ, საბითუმო ვაჭრობის აპარატიდან, სატრანსპორტო სისტემიდან და ამ პროცესის მონაწილე სხვა უწყებებისა და ორგანიზაციებიდან.

საქონელმომძრავობის რაციონალური ორგანიზაცია ითვალისწინებს: საქონლის მოძრავობის უმოკლესი გზების უზრუნველყოფას წარმოების პუნქტებიდან მოხმარების რაიონებამდე; საქონლის მოძრავობის ყველაზე უფრო მიზანშეწონილი ფორმების გამოყენებას; ყველაზე მოხერხებული და ეკონომიური ტრანსპორტის სახეების გამოყენებას.

მოძრავობის უმოკლესი გზების არჩევა ითვალისწინებს, რომ საქონელი, რომელიც იგზავნება წარმოების ადგილიდან სავაჭრო ქსელში, გაივლის რაც შეიძლება მოკლე მანძილს და არ ექნება ანალოგიური საქონლის ასორტიმენტის შემხვედრი ნაკადი. შემხვედრ გადაზიდვებთან ერთად, რომელსაც უნდა ვერიდოთ, არარაციონალური გადაზიდვების რიცხვს მიეკუთვნება აგრეთვე ზედმეტად შორეული და განმეორებითი გადაზიდვები. ზედმეტად შორეულად ითვლება გადაზიდვა, რომელიც სცილდება ზონის ფარგლებს, რომელიც დადგენილია ტრანსპორტზე ტვირთნაკადების ნორმალური მიმართულების სქემებით იმ პირობით, როცა არის შესაძლებლობა საქონელი გაიგზავნოს უფრო ახლო რაიონებიდან ამა თუ იმ დანიშნულების პუნქტებისაკენ.

საქონელმომძრავობის რაციონალური ორგანიზაციის არანაკლებ მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს საქონლის მოძრავობის ეკონომიკურად მიზანშეწონილი ფორმების გამოყენება. საქონელმომძრავობის პრაქტიკაში გამოიყენება ორი ფორმა — სატრანზიტო და სასაწყობო.

სატრანზიტოდ ითვლება საქონლის გაგზავნა ან შეზიდვა მწარმოებელი საწარმოებიდან უშუალოდ საცალო ქსელში, სავაჭრო საწყობების გვერდის ავლით. ბევრი სასურსათო საქონელი (პური და პურფუნთუშეულის ნაწარმი, ძეხვეულის ნაწარმი, ხორცისა და თევზის ნახევარფაბრიკატები, რძის პროდუქტები, ლუდი, უალკოჰოლო სასმელები) სავაჭრო ქსელში შეიზიდება ტრანზიტით. ტრანზიტული წესით შეიზიდება მსხვილ სავაჭრო საწარმოებში ცალკეული არასასურსათო საქონელიც (შეკერილი და ტრიკოტაჟის ნაწარმი, ქსოვილები, ფეხსაცმელი, ტელევიზორები, მაცივრები, ავეჯი) უმთავრესად მრეწველობის ადგილობრივი საწარმოებიდან.

საქონლის მოძრაობის ტრანზიტული ფორმის განვითარებაზე ხელსაყრელ ზეგავლენას ახდენს მოხმარების რაიონებში მსუბუქი და კვების მრეწველობის ახალი საწარმოების აღმოცენება, სავაჭრო საწარმოების გამსხვილება, საცალო ვაჭრობის წარმოებასთან პირდაპირი კავშირების დანერგვა, საავტომობილო და კონტეინერული გადაზიდვების განვითარება და სხვა ფაქტორები.

. მიუხედავად ამისა, საქონლის დიდი ნაწილის გადაადგილებისათვის რაციონალურად ითვლება საქონელმოძრაობის სასაწყობო ფორმა.. საქონლის მსხვილი პარტიების დანაწილების აუცილებლობა, რომელიც მრეწველობიდან მიიღება, რთული ასორტიმენტის საქონლის დახარისხების განხორციელება, საბითუმო რგოლში მყარი გარდამავალი მარაგის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს საცალო ქსელის რეგულარულ და შეუფერხებელ მომარაგებას, — ყოველივე ეს იწვევს შუალედი სასაწყობო რგოლების საჭიროებას, რომლებიც წარმოიქმნება საქონლის მოძრაობის გზაზე. საქონელმოძრაობის რგოლები გულისხმობს საბითუმო და საცალო სავაჭრო ორგანიზაციებისა და საწარმოების საწყობებს, რომლებიც ახორციელებენ საქონლის მიღებას, შენახვას, დახარისხებას, დაკომპლექტებას და გავზავნას მაღაზიებში.

. რაციონალური საქონელმოძრაობა მიმდინარეობს წარმოებასა და საცალო ვაჭრობას შორის ზედმეტი რგოლების აღმოფხვრის გზით. საქონელმოძრაობის სასაწყობო ფორმის გამოყენების დროს იმისკენ ისწრაფვიან, რომ წარმოებიდან საცალო ქსელამდე საქონლის მოძრაობის გზაზე იყოს არაუმეტეს ერთი სასაწყობო რგოლი, რომელიც ტერიტორიულად მიახლოებული იქნება მომარაგების პუნქტებთან. ერთრგოლოვანი საქონელმოძრაობა ამჟამად დამახასიათებელია ჩვენი ქვეყნის რიგი მსხვილი ქალაქებისათვის. მსხვილი ზონალური საწყობების მშენებლობა უახლოეს პერსპექტივაში ხელს შეუწყობს საქონელმოძრაობის ამ ფორმის ფართოდ გავრცელებას.

ორრგოლოვანი საქონელმოძრაობა ჯერ კიდევ ფართოდ არის გავრცელებული პატარა ქალაქების სავაჭრო ქსელის ან სასოფლო დასახლების პუნქტების მომარაგებისას.

საქონელმოძრაობის რაციონალობის დადგენისათვის გაინგარიშება საქონელმოძრაობის რგოლადობის კოეფიციენტი — საწყობების საშუალო რიცხოვნობის მაჩვენებელი, რომელთა გავლენითაც მოძრაობს საქონელი მწარმოებელი საწარმოდან მაღაზიამდე. რგოლადობის კოეფიციენტი განისაზღვრება როგორც მთლიანი (სასაწყობო და საცალო) ზრუნვის ფარდობა საცალო ბრუნვასთან, ერთის გამოკლებით:

$$K_{\text{რგოლ.}} = \frac{O_{\text{საწ.}} + O_{\text{მაღ.}}}{O_{\text{მაღ.}}} - 1.$$

სასაწყობო ბრუნვა განისაზღვრება საქონლის მიღებით საბითუმო

და საცალო ორგანიზაციების საწყობებში, ხოლო საცალო — მაღაზიებში. ერთის გამოკლება დაკავშირებულია იმასთან, რომ ბრუნვაში არ შეიტანება მათი გავლა მაღაზიების საკუქნაობებში. ტრანზიტული საქონელმომძრაობისას სასაწყობო რგოლადობის კოეფიციენტი ნულის ტოლია.

საქონლის მოძრაობის ფორმების შერჩევა განპირობებულია ეკონომიკური მიზანშეწონილობით, რომელიც გამოვლინდება საქონელმომძრაობის დანახარჯების კონკრეტული გაანგარიშებით.

§ 6. მიმწოდებლისადმი მიმდევლთა მიმავრების წესი

საქონელმომძრაობის რაციონალური ორგანიზაციის დარგში ამოცანების პრაქტიკული გადაწყვეტა ხორციელდება მყიდველთა მიმწოდებლისადმი მიმავრების პროცესში. მყიდველების მიმავრება მიმწოდებლებისადმი ხდება ერთი წლით ან უფრო ხანგრძლივი პერიოდით იმ ვადის ფარგლებში, რომლის განმავლობაშიც დამტკიცებულია სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტიული გეგმა.

ორგანოები, რომლებიც აწარმოებენ მომარაგებას, განისაზღვრება შესაბამისი ნომენკლატურის საქონელზე სსრკ ვაჭრობის სამინისტროს, სსრკ მთავარმომარაგებისა და სხვა სამინისტროებისა თუ უწყებების მიერ, რომლებსაც ევალებათ საქონლის განაწილება.

მყიდველთა მიმწოდებლებისადმი მიმავრების წესი და ვადები გათვალისწინებულია საქონლის მიწოდების განსაკუთრებულ პირობებში. იმ საქონელზე, რომლებზეც განსაკუთრებული პირობები არ არის დამტკიცებული, მიმავრების წესი და ვადები დგინდება სსრკ ვაჭრობის სამინისტროს მიერ ცენტროსოიუზთან, დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან, სსრკ მთავარმომარაგებასთან ერთად (მისი ნომენკლატურის საქონელზე).

საქონლის მიმწოდებლებს და მათდამი მყიდველთა მიმავრებას განსაზღვრავენ:

მხარის, ოლქის, რესპუბლიკის (რომელსაც საოლქო დაყოფა არა აქვს), შიგნით მიწოდების დროს — საოლქო, სამხარეო, რესპუბლიკური საბითუმო ვაჭრობის კანტორები (ბაზები) შესაბამისი სამომხმარებლო კავშირების მონაწილეობით. ისინი მომარაგებას ახორციელებენ თავისი ნომენკლატურის საქონელზე. ადგილობრივი წარმოების სხვა საქონელზე მომარაგებას ახდენენ საოლქო (სამხარეო) აღმასკომების ვაჭრობის სამმართველოები და მოკავშირე რესპუბლიკების ვაჭრობის სამინისტროები, რომელთაც საოლქო დაყოფა არა აქვთ.

მოკავშირე რესპუბლიკაში საქონლის ოლქთაშორისი მიწოდების დროს — საბითუმო ვაჭრობის რესპუბლიკური კანტორები მრეწველობის და სამომხმარებლო კოოპერაციის სამმართველო ორგანოების მონაწილეობით.

საქონლის რესპუბლიკათაშორის და საკავშირო ფონდში მიწოდებისას მომწოდებლებს განსაზღვრავს მოკავშირე რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტრო, რომლისგანაც ხდება საქონლის მიწოდება სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს შესაბამის მთავარ სამმართველოსთან შეთანხმებით სამინისტრო-მომწოდებლებისა და ცენტროსოიუზის მონაწილეობით.

მყიდველთა მიმაგრებას მიმწოდებლებისადმი საქონლის რესპუბლიკათაშორისი მიწოდებისას ახორციელებს მოკავშირე რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტრო, რომელსაც მიაწოდებენ საქონელს რესპუბლიკური სამომხმარებლო კავშირის მონაწილეობით.

მყიდველთა მიმწოდებლებისადმი მიმაგრების მთელი სამუშაო, მისი მასშტაბის და ტურისტული საზღვრების მიუხედავად, უნდა ჩატარდეს საქონლის მიწოდების ყველაზე უფრო რაციონალური და ეკონომიკურად ხელსაყრელი სამეურნეო კავშირების განვითარების აუცილებლობიდან გამომდინარე ტვირთნაკადების ნორმალური მიმართულების სქემების გათვალისწინებით.

ტვირთნაკადების ნორმალური მიმართულების ერთიანი სქემები, დამუშავებული და დამტკიცებული გზათა სამინისტროს მიერ, რკინიგზის გაგზავნისა და დანიშნულების სადგურების ჩვენებით, არსებობს რიგ საქონელზე (ქსოვილები, ავეჯი, საპონი და სარეცხი საშუალებანი, თაბაქოს ნაწარმი, ასანთი, შაქარი, ჩაი, მარილი და ზოგიერთი სხვა), რომელთა მასობრივი გადაზიდვები ყველაზე უფრო სტაბილურია.

ბევრ რთული ასორტიმენტის და მალფუჭებად საქონელზე ასეთი სქემები არ არსებობს. ის ავალდებულებს საბითუმო ორგანიზაციებს, ყურადღებით მოეკიდონ საქონლის შემოზიდვა-გაზიდვის გეგმების შესრულების და გაგზავნის გეგმების შედგენას. ასეთი გეგმები მუშავდება მატერიალური ბალანსების საფუძველზე მთლიანად კავშირის და ცალკეული მოკავშირე რესპუბლიკების ოლქებისა და მხარეების მიხედვით. მაგალითად, ქსოვილების, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, ხორცის, თევზის, კარაქის, ჩაისა და რიგი სხვა საქონლის რესურსების და რესპუბლიკათაშორისი შემოზიდვა-გაზიდვის გეგმებს ამუშავენ სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს შესაბამისი სასაქონლო-დარგობრივი მთავარი სამმართველოები. ფქვილისა და ბურღულის სსრ კავშირის დამზადების სამინისტრო, ავტომობილების, ნავთობპროდუქტების, საშენებლო მასალების მძიმე მრეწველობის სხვა ნაწარმის — სსრ კავშირის სახმომარაგება. ასეთი გეგმის მიზანია საქონლის საერთო მიწოდების მოცულობის განსაზღვრა და მოკავშირე რესპუბლიკებს შორის საქონელგაცვლის ორგანიზება, ხოლო ამ უკანასკნელთა შიგნით — ცალკეულ ოლქებსა და მხარეებს შორის მოხმარების რაიონების მიმაგრება წარმოების პუნქტებთან.

ამ შრომატევადი სამუშაოს დამამთავრებელ სტადიას წარმოადგენს საქონლის გაგზავნის გეგმების შედგენა.

საბითუმო კანტორები და ბაზები გაგზავნის გეგმებს აღგენენ ტვირთების გარბენის რაც შეიძლება მოკლე მანძილის და მათ გადაზიდვებზე დანახარჯების მაქსიმალურად შესაძლებელი შემცირების ვარაუდით.

§ 6. საქონლმომძროშის რაციონალური გზების დაგეგმვის მეთოდები

მოხმარების რაიონების წარმოების პუნქტებისადმი მიმავრების გეგმების ოპტიმალური ვარიანტების დამუშავებისა და საქონლმომძროშის ყველაზე უფრო რაციონალური გზების განსაზღვრისათვის გამოიყენება სხვადასხვა მეთოდები. მარტივი მეთოდების რიცხვს მიეკუთვნება: გრაფიკული მეთოდი და მანძილთა სხვაობის შეპირისპირების მეთოდი.

უფრო უნივერსალურია ე. წ. სატრანსპორტო ამოცანების წრფივი პროგრამების მათემატიკური გადაწყვეტა. სატრანსპორტო ამოცანის მოდელის გადაწყვეტის დროს, თავის მხრივ, გამოიყენება რიგი მეთოდები (ალგორითმები): პოტენციალები, მონოფიციკრებული განმანაწილებელი, ამოხსნადი შესაკრებები და სხვა. უმეტეს გამოთვლით ცენტრებს, რომელნიც ემსახურებიან სავაჭრო ან სატრანსპორტო ორგანიზაციებს, გააჩნიათ პროგრამები, რომელთა საშუალებითაც შეიძლება გადაწყდეს სატრანსპორტო ამოცანები პრაქტიკულად უსაზღვრო რაოდენობის მიმწოდებლების და საქონლის მომხმარებლებით.

გადაზიდვების მარტივი გეგმის შედგენისათვის საქონლის მიმწოდებელთა შეზღუდული რაოდენობისა და არართული სატრანსპორტო ქსელის პირობებში შეიძლება გამოყენებულ იქნეს გრაფიკული მეთოდი. მისი გამოყენების დროს რკინიგზის სადგურების საქმეზე გრაფიკულად აღნიშნავენ შეზიდვისა და გაზიდვის პუნქტებს, აერთებენ მათ უმოკლესი სარკინიგზო გზებით. იწყებენ მოხმარების პუნქტების მიმავრებას მიმწოდებლებისადმი შეზიდვა-გაზიდვის პუნქტების და მათი დამაკავშირებელი სატრანსპორტო გზების განლაგების ანალიზს. გრაფიკული მეთოდით. საზღვრავენ ყოველი წარმოების პუნქტის მიმავრების სანიმუშო რაიონებს და ტვირთნაკადების ძირითად მიმართულებებს შესაზიდი და გასაზიდი ტვირთების რაოდენობის გათვალისწინებით იმგვარად, რომ არ იქნეს დაშვებული შემხვედრი და სხვა სახის არარაციონალური გადაზიდვები.

მიმავრებას იწყებენ გადაზიდვის პუნქტიდან, რომელიც განაპირა რკინიგზის სქემაზე. პირველ რიგში მიმწოდებლებს ამავრებენ იმ პუნქტებს, რომლებიც უდავოდ იზიდავენ ამა თუ იმ მიმწოდებელს. შემდეგ ავლენენ მოხმარების პუნქტებს, რომლებიც იზიდავენ მხოლოდ გაზი-

დვის ორ პუნქტს და იყენებენ მანძილთა სხვაობის შეპირისპირების მეთოდს. ამის შემდეგ კვლავ პოულობენ მოხმარების პუნქტებს, რომელნიც უდავოდ იზიდავენ მხოლოდ ერთ მიმწოდებელს და ა. შ.

მაგრამ გრაფიკული მეთოდის მეშვეობით არ შეიძლება საშუალოდ შედგეს საქონლის შეზიდვა-გაზიდვის გეგმა იმ შემთხვევებში, როცა არსებობს სადავო მომენტები მოხმარების პუნქტების მიმავლების ურთიერთობაში ამა თუ იმ მიმწოდებელთან და საჭირო ხდება ტვირთების გარბენის შედარება გეგმის რამდენიმე შესაძლო ვარიანტის პირობებში. ამ შემთხვევებში გრაფიკულის გვერდით ან მის მაგივრად იყენებენ მანძილთა სხვაობის შეპირისპირების მეთოდს.

ამ მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მყიდველები მიმავლებიან მიმწოდებლებს არა მხოლოდ აბსოლუტური მანძილიდან გამომდინარე, არამედ მანძილთა სხვაობის შეპირისპირების მეთოდის საფუძველზეც, რის შედეგადაც უმცირესი ჯამური ვარბენის გვერდით მიიღწევა ტვირთების გადაზიდვის ღირებულების უმცირესი მაჩვენებელიც.

სავაჭრო ორგანიზაციების მიერ უმცირესი სატრანსპორტო ხარჯების მისაღწევად, მათი მიმავლების რიგითობის დადგენის პირობებში, აუცილებელია მხედველობაში იქნეს მიღებული ტარიფების სხვაობა ერთი ვაგონი საქონლის გადაზიდვისათვის.

მოხმარების პუნქტების წარმოების რაიონებისადმი მიმავლების საკითხი მანძილთა სხვაობის შეპირისპირების მეთოდით წყდება, როგორც წესი, ორი მიმწოდებლის არსებობის პირობებში. თუ ჩნდება ვარიანტი, რომლის დროსაც არსებობს ორასზე მეტი გაზიდვის პუნქტი, მაშინ საჭიროა გადაწყდეს საკითხი მოხმარების სადავო პუნქტების მიმავლებისა პირველი წყვილის მეორე მიმწოდებელსა და გაზიდვის ახალ (მესამე) პუნქტს შორის.

მანძილთა სხვაობის შეპირისპირების მეთოდი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ტვირთების გადაზიდვის დროს მხოლოდ ერთი რომელიმე სახის ტრანსპორტის გამოყენების პირობებში.

ისეთ პირობებში, როცა არსებობენ დიდი რაოდენობის მიმწოდებლები და მომხმარებლები, ყველაზე უფრო რაციონალური საქონელმოდრობის გზების პოვნა წარმოადგენს რთულ ამოცანას, რომელიც შეიძლება გადაიჭრას სატრანსპორტო ამოცანის წრფივი პროგრამირების ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდის გამოყენებით.

მათემატიკური ამოცანა გამოისახება შემდეგი სახით: არსებობს ორი მიმწოდებელი (სამრეწველო საწარმოები, საბითუმო ბაზების საწყობები) — $A_1, A_2, \dots, A_i, \dots, A_m$ და n მყიდველები (საბითუმო და საცალო საწარმოები) $B_1, B_2, \dots, B_i, B_n$; ცნობილია საქონლის რესურსები, რომელიც განკუთვნილია გასაზიდად ყოველი მიმწოდებლისაგან, $a_1, a_2, \dots, a_i, \dots, a_n$ და საქონლის შეზიდვის მოცულობა ყოველი მყიდველისა-

თვის (საქონლის მიწოდების შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად)— $x_1, x_2, \dots, x_1 \dots x_n$; შერჩეულია გადაზიდვის გეგმების ოპტიმალური კრიტერიუმები C_{ij} ყოველი i მიმწოდებლისაგან ყოველ j მიმღებამდე.

საჭიროა განისაზღვროს საქონლის მიწოდების სიდიდე $X_{ij} \geq 0$ ყოველი i მიმწოდებლისაგან ყოველ j მყიდველისადმი და შედგეს ისეთი მიმაგრების გეგმა, რომლის დროსაც ტვირთის გარბენის ჯამი ვაგონ-კილომეტრებში ან დანახარჯები გადაზიდვაზე იყოს მინიმალური

$$\sum_{i=1}^m \sum_{j=1}^n C_{ij} X_{ij} \rightarrow \min. \quad (1)$$

ამასთან, საჭიროა დაცულ იქნეს შემდეგი პირობები: ყოველი მიმწოდებლისგან მიწოდების მოცულობა უნდა იყოს შესაბამისობაში მის რესურსებთან

$$\sum_{j=1}^n X_{ij} = a_i \quad (i=1, 2, \dots, m). \quad (2)$$

მიწოდების მოცულობა ყოველი მომხმარებლისადმი უნდა უდროდეს მის მოთხოვნილებას

$$\sum_{i=1}^m X_{ij} = b_j \quad (j=1, 2, \dots, n). \quad (3)$$

ამ პირობებიდან გამომდინარეობს აუცილებლობა ბალანსური კავშირის უზრუნველყოფისა საქონლის გაზიდვის და შემოზიდვის გეგმაში

$$\sum_{i=1}^m a_i \geq \sum_{j=1}^n b_j \quad (4)$$

ბალანსი მოცემული გამოსახულებით შეიძლება დაირღვეს მიმწოდებელთა რესურსების მეტობით (ნიშანი „ $>$ “) მყიდველთა თანხობრივი მოთხოვნილებების მიმართ იმის ბაზაზე, რომ პროდუქციის ნაწილი შიდის სამრეწველო გადაამუშავებაზე, ექსპორტზე ან ბაზრის გარეშე მომხმარებლების მომსახურებაზე. ამ შემთხვევაში სატრანსპორტო ამოცანის მოდელს ეწოდება ღია. მის გადასაწყვეტად ამოცანა დაიყვანება დახურულ მოდელზე (ე. ი. როცა არის ბალანსი) ფიქტობრივი მყიდველის შეყვანით, რომლის მოთხოვნილებანიც მიმწოდებელთა რესურსებისა და მყიდველთა თანხობრივ მოთვნილებას შორის სხვაობის ტოლია.

$$ე. ი. b_{j+1} = \sum_{i=1}^m a_i - \sum_{j=1}^n b_j.$$

დანახარჯები საქონლის მიტანისათვის ფაქტობრივ მყიდველამდე (ანუ— მანძილი) ყველა მიმწოდებლისათვის ერთნაირად მიიღება.

მონხარჯების რაიონების საქონლის წარმოების პუნქტებთან მიმაგრების გეგმის შედგენის ოპტიმალურ სახედ გამოიყენება:

ტონა (ვაგონ) კილომეტრების გარბენის მინიმუმი (C_{ij} — მანძილი- მიმწოდებლიდან მყიდველამდე),

გადაზიდვის გადასახადის მინიმუმი (C_{ij} — საქონლის გადაზიდვის ტარიფები).

წარმოებული დანახარჯების მინიმუმი (C_{ij} მაჩვენებელი ითვალისწინებს ტარიფებს, მოძრავი შემადგენლობის კაპიტალდაზანდების წილს, გზაში მყოფი საქონლის საბრუნავი საშუალებების ნორმატივი).

საქონლის მიტანის დროის მინიმუმი (მალფუჭებადი ტვირთის გადაზიდვისას).

ზემოჩამოთვლილი მაჩვენებლების გამოყენებისას საქონლის გადაზიდვის ეფექტურობა ხშირად დამოკიდებულია ტრანსპორტის სახეზე.

ამოცანების გადაწყვეტის დაწყებისას, მისი ამოსავალი მონაცემები (A_i, B_i და a_i, b_i, C_{ij}) მუდმივ სიდიდეებს აფორმებენ გაანგარიშებით. მატრიცაში და ადგენენ მიწოდების გეგმის პირველდაწყებით ვარიანტს უპირატესობის მეთოდით. ე. ი. დანახარჯებს ათავსებენ მატრიცის უჯრებში, რომელშიც დანახარჯები წარმოადგენს უმცირესს მიმწოდებლებთან და მყიდველებთან შედარებით. მიწოდების დარჩენილი გაუნაწილებელი მოცულობა იგზავნება ბალანსის (4) შესაბამისად.

გეგმის ამოსავალი ვარიანტი უმჯობესდება სატრანსპორტო ამოცანის ერთი რომელიმე მეთოდის (ალგორითმის) დახმარებით ოპტიმალური ვარიანტის მიღებაზე. ყველაზე უფრო გავრცელებულია პოტენციალების მეთოდი ან მისი მოდიფიკაცია — მოდიფიცირებული განმანაწილებელი მეთოდი. გეგმა ითვლება ოპტიმალურად (პოტენციურად), თუ გაზიდვის და შეზიდვის პუნქტები დაკავშირებულია პოტენციალებთან იმგვარად, რომ გაზიდვის (iii) და შეზიდვის (Vi) პუნქტების პოტენციალების სიდიდეთა სხვაობა, რომელთა შორისაც გათვალისწინებულია მიწოდება, მათ შორის მანძილის ტოლია (C_{ij}) ე. ი. $u_i - v_j < C_{ij}$ ანუ $u_i + v_j < C_{ij}$. მოდიფიცირებული განმანაწილებელი მეთოდისათვის, ხოლო მათი სხვაობა — გადაზიდვის (ui) და შეზიდვის (vj) ნებისმიერი პუნქტისათვის რომელთა შორისაც არ არის გათვალისწინებული მიწოდება, არ აღემატება მათ შორის მანძილს (C_{ij}) ე. ი. $u_i - v_j \leq C_{ij}$ ანუ $u_i + v_j \leq C_{ij}$ — მოდიფიცირებული განმანაწილებელი

მეთოდისათვის. თანმიმდევრულ გაუმჯობესებათა ჯაჭვი, რომელიც ტარდება მოცემულ პირობათა დაცვისას, საშუალებას იძლევა შედეგად მივიღოთ გეგმის საბოლოო ოპტიმალური ვარიანტი, რომლის გაუმჯობესება პრაქტიკულად შეუძლებელია.

პრაქტიკაში საქონლის გადაზიდვის ამოცანების გადაწყვეტის დროს გამოიყენება სატრანსპორტო ამოცანების გადაჭრის სხვა მეთოდები. მაგალითად, ხუთასი სიდიდის (მაგალითად, 10 მიმწოდებელი და 50 მყიდველი) ამოცანის გადაწყვეტისას ხელით ანგარიშის პირობებში მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს ფორმულის აპროქსიმაციის მეთოდი ან დელტას მეთოდი გეგმის მიღებისათვის, რომელიც ახლოა ოპტიმალურთან. შემდგომი მისი დაყვანა ოპტიმალურამდე შეიძლება განხორციელდეს პოტენციალის მეთოდის დახმარებით. ამოცანის გადაწყვეტის საერთო დრო ამ შემთხვევაში აღწევს 2—3 საათს.

დიდი მოცულობის ამოცანებს წყვეტენ ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანებზე უფრო ეფექტური მეთოდების დახმარებით (დიფერენციალური ჩენტების მეთოდი, უნგრული მეთოდი). საკმაოდ დიდი მოცულობის ამოცანების გადაწყვეტა ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანებზე (მაგალითად, $m.n > 2000—20$ მიმწოდებელი, 100 მყიდველი) იჭერს 1—2 საათს.

სატრანსპორტო ამოცანის განხილული ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი აღწევს ერთი (ან ერთგვაროვანი) საქონლის გადაზიდვას, რასაც ბუნებრივია, შეუძლია შეამციროს მისი პრაქტიკული გამოყენების სფერო. მაგრამ ვითვალისწინებთ რა, რომ რკინიგზის ტრანსპორტით ჩვეულებრივ გადაიზიდება მნიშვნელოვანი წილი ერთგვაროვანი ან ურთიერთშემცვლელი სახალხო მოხმარების საქონლისა, მისი მიწოდება შეიძლება დაყვანილ იქნეს ერთპროდუქტოვნამდე პირობითი მაჩვენებლის მეშვეობით (ვაგონები, კონტეინერები, ტონები).

იმისგან დამოუკიდებლად, თუ რომელი მეთოდთაგანი გამოიყენება საქონლის შემოზიდვა-გაზიდვის გეგმების შედგენისას, აუცილებელია დავიცვათ წესი, რომლის დროსაც შეირჩევა ვარიანტი ერთი მისამართით საქონლის გაგზავნის მინიმალური ოდენობის პუნქტებისა საქონლის გასაგზავნი ასორტიმენტის დაუზიანებლად, ეს საშუალებას იძლევა მიღწეულ იქნეს გზავნილობათა გამსხვილება მთელი ვაგონობით ერთი მყიდველის მისამართით და გამოიყენება შედარებით ნაკლებად დატვირთული რკინიგზის მიმართულება.

ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების გამოყენება საშუალებას იძლევა დამუშავდეს ცალკეული საქონლის მოძრაობის მულტიმომკმედი საქმეები ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების მიხედვით. გადაზიდვების ოპტიმალური გეგმა, რომელიც ნავარაუდევია ზემომოტანილი ეფექტურობის ერთ-ერთი კრიტერიუმის შესაბამისად, იძლევა და-

ნახარჯების ეკონომიას საქონლის გადაზიდვისას 10-15 პროცენტის ფარგლებში ფაქტობრივად მოქმედ გეგმებთან შედარებით.

ზუსტ გაანგარიშებაზე აგებული ეკონომიკურად დასაბუთებული საქონელმოძრაობის ასეთი სქემების ყველაზე უფრო რაციონალური ვარიანტები საფუძველს უყრის გასაღების დარაიონებას, უზრუნველყოფს ტვირთნაკადების ნორმალურ მიმართულებას და დანახარჯების მომკირნეობას, რომლებიც დაკავშირებულია საბალხო მოხმარების საქონლის გადაზიდვასთან.

საქონლის ბითუმად შესყიდვის ორგანიზაცია

§ 1. საქონლის ბითუმად შესყიდვის მნიშვნელობა და ძირითადი მოთხოვნები მისი ორგანიზაციისადმი

საბითუმო სავაჭრო საწარმოების საქმიანობის საფუძველს წარმოადგენს საქონლის საბითუმო შესყიდვები.

მათ სწორ და მკაფიო ორგანიზაციაზეა დამოკიდებული საბითუმო რგოლის მუშაობის წარმატება და, უპირველეს ყოვლისა, საცალო სავაჭრო საწარმოების საქონლით გეგმაზომიერი და დროული მომარაგება.

საქონლის საბითუმო შესყიდვები კომერციული საქმიანობის რთული პროცესია, რომლის განხორციელება მიმდინარეობს მრავალი ფაქტორის ზემოქმედებით. მათ შორის უმნიშვნელოვანესთა რიცხვს მიეკუთვნება სახალხო მოხმარების საქონლის სამამულო წარმოების მდგომარეობა, საგარეო სავაჭრო კავშირების განვითარება, მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნის მოცულობა და სტრუქტურა, ტენდენციები და მიმართულებები საქონლის მოხმარების სფეროში, სასაქონლო მარაგის მდგომარეობა, სასაქონლო რესურსების დაგეგმვისა და რეგულირების სისტემა, სამეურნეო კავშირების ხასიათი წარმოებასა და ვაჭრობას შორის.

საბითუმო შესყიდვების წარმატებით განხორციელება დაკავშირებულია საბითუმო საწარმოთა აპარატის დაძაბულ კომერციულ მუშაობასთან, რომელიც ვალდებულია შეისწავლოს საქონლის წყაროები და მიმწოდებლები, მსყიდველობითი მოთხოვნა და სავაჭრო კონიუნქტურა, დაამუშაოს განაცხადები და შეკვეთები საქონლის წარმოებასა და მიწოდებაზე, დადოს ხელშეკრულებები, უზრუნველყოს საქონლის გეგმაზომიერი შეზიდვა და შექმნას თავის საწყობებში ფართო ასორტიმენტის მყარი სასაქონლო მარაგი, ჩაატაროს შესყიდვის ოპერატიული აღრიცხვას და კონტროლი სასაქონლო მარაგების მოძრაობისა და მდგომარეობისადმი. საბითუმო აპარატის მიერ ამ ფუნქციების შესრულება უნდა მიმდინარეობდეს იმგვარად, რომ საბოლოო ჯამში მიღწეულ

ჩვენს როგორც თვით საბითუმო, ასევე საცალო სავაჭრო საწარმოების მუშაობის მაღალი ეკონომიკური ეფექტიანობა. ეს მიიღწევა შესყიდვის მთელი პროცესის დაგეგმვის დროს.

საქონლის საბითუმო შესყიდვის ჩატარება მკიდროდაა დაკავშირებული საქონლის საბაზრო ფონდების დაგეგმვისა და განაწილების მოქმედ სისტემასთან. არსებული წესის თანახმად, მთელი სასაქონლო რესურსების დაყოფის დროს ფონდირებულ და რეგულირებულ (არაფონდირებული) რესურსებად განასხვავებენ საქონლის ცენტრალიზებულ და დეცენტრალიზებულ შესყიდვებს.

ცენტრალიზებული შესყიდვები ხორციელდება იმ საქონელზე, რომლის ფონდებიც გამოიყოფა საკავშირო და რესპუბლიკური საგეგმო (სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საგეგმო კომიტეტების) და ვაჭრობის ხელმძღვანელი ორგანოების მიერ. ცენტრალიზებული წესით დაგეგმილი ფონდების დიდი ნაწილი შესაბამისი სავაჭრო სისტემების საცალო და საბითუმო ორგანიზაციებამდე დაიყვანება რესპუბლიკური, საოლქო და სამხარეო ვაჭრობის სამმართველოების მიერ.

საბითუმო ბაზები, მიიღებენ რა განაწილების გეგმებს და საფონდო შეტყობინებას მიმაგრებისა და მიწოდების მოცულობის შესახებ, იწყებენ შესყიდვის სამუშაოების პირველი ეტაპის განხორციელებას — მიმწოდებლებთან ხელშეკრულების დადებას, საქონლის ასორტიმენტის, მათი მიწოდების ვადებისა და სხვა პირობების დაზუსტება-შეთანხმებას ადრე წარდგენილი შეკვეთების საფუძველზე.

დეცენტრალიზებული შესყიდვები ხორციელდება არაფონდირებულ საქონელზე მიმწოდებლებთან—სამრეწველო საწარმოებთან, გამოსასვლელ და სავაჭრო-შემსყიდველ ბაზებთან—უშუალო კონტაქტის გზით. ამ საქონლის რესურსები რეგულირდება ადგილობრივი ორგანოების მიერ საქონელბრუნვაში მათი რაც შეიძლება მეტად ჩართვის მიზნით, ან მიმწოდებლების მიერ ბითუმში მყიდველებისათვის თავისუფალი შესყიდვის შეთავაზების გზით. არაფონდირებული საქონლის ნუსხა ყოველწლიურად ფართოვდება და ივსება როგორც ახალი საქონლის გამოშვების არაფონდირებული ნედლეულიდან, ასევე ადრე ფონდირებული ნაწარმის ამ კატეგორიაში გადასვლით.

რესურსების გადიდებისა და ბაზრის გაჭერების კვალობაზე საბაზრო ფონდების ცენტრალიზებული განაწილება მცირდება. ამით დიდი შესაძლებლობანი იქმნება საბითუმო და საცალო საწარმოების ფართო კომერციული საქმიანობისათვის, რათა თავისუფლად შეუქვეთონ და შეისყიდონ მიმწოდებლებისაგან იმ რაოდენობისა და ასორტიმენტის საქონელი, რომელიც შეესაბამება ბაზრის მოთხოვნებს. ეს ასევე ამაღლებს საბითუმო რგოლის პასუხისმგებლობას სწორედ იმ საქონლის შესასყიდად, რომელიც სარგებლობს მოთხოვნით.

შესყიდვის სამუშაოების ორგანიზაციისადმი წაყენებულ მნიშვნელოვან მოთხოვნას წარმოადგენს სასაქონლო რესურსების წარმოქმნის წყაროებისა და საქონლის მიმწოდებლების ცოდნა.

სასაქონლო რესურსების უმეტესი ნაწილი ვაჭრობაში ხედება მსუბუქი, კვების, ხორცისა და რძის მრეწველობის, თევზის მეურნეობის საკავშირო-რესპუბლიკურ დაქვემდებარებაში მყოფი სახელმწიფო საწარმოებიდან. სასაქონლო რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი უკანასკნელ წლებში შემოდის ფართო მოხმარების საქონლის მწარმოებელი მძიმე მრეწველობის დარგებიდან. საქონლის მიწოდებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებს, რომელთა მიერ გამოშვებული პროდუქციის საქონელბრუნვაში რაც შეიძლება მეტად ჩართვისთვისაა მოწოდებული საბითუმო ვაჭრობა.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი საბითუმო ბაზებსა და საწყობებში უშუალოდ მიიღება საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობებისაგან, დამამზადებელი ორგანოების სისტემის მეშვეობით. ზოგიერთი საქონელი საბითუმო საწარმოების საწყობებში და საცალო სავაჭრო ქსელში შემოიტანება როგორც სახელმწიფო, ასევე კოოპერაციულ ვაჭრობაში არსებული საკუთარი საწარმოებიდან.

ვაჭრობაში სასაქონლო რესურსების ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს საბჭოთა კავშირის უწყვეტად განვითარებადი საგარეო სავაჭრო კავშირები.

განზოგადებული სახით საქონლის ყველა მიმწოდებელი შეიძლება დაეყოს ორ კატეგორიად: მიმწოდებელ-დამამზადებლად, რომელიც უშუალოდ ახდენს თავისი პროდუქციის რეალიზაციას საბითუმო გაყიდვის წესით, და მიმწოდებელ-შუამავლად, რომელიც შეისყიდის პროდუქციას მწარმოებლებისაგან და მიჰყიდის ბითუმ მყიდველებს — საცალო სავაჭრო საწარმოებს.

მიმწოდებელ-დამამზადებლებს ძირითადად წარმოადგენენ მწარმოებელი საწარმოები, ხოლო მიმწოდებელ შუამავლებს — სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის გამოსასაღებელი, სავაჭრო-შემსყიდველი და სავაჭრო საბითუმო საწარმოები.

ტერიტორიული ნიშნის მიხედვით არიან საქონლის ადგილობრივი (შიდასაოლქო), ოლქისგარეშე და რესპუბლიკისგარეშე მიმწოდებლები.

საბითუმო საწარმოებს ხშირ შემთხვევაში საქმე აქვთ ოლქისა და რესპუბლიკის გარემიმწოდებლებთან, რადგან ყველგან არ არის განვითარებული ბევრი სახის საქონლის წარმოება და მათი შემოზიდვა აუცილებელია. საბითუმო შესყიდვების მცირე მოცულობა მოდის ადგილობრივი მიმწოდებლების წილად და ადგილობრივი სამრეწველო საწარმოების იმ საცალო სავაჭრო საწარმოებთან პირდაპირი კავშირების

განვითარებასთან დაკავშირებით, რომლებიც განლაგებულია მოცემულ ქალაქებსა და რაიონებში.

მიმწოდებლებს განასხვავებენ აგრეთვე ამა თუ იმ სამეურნეო სისტემასთან მიკუთვნების მიხედვით. მიმწოდებლები, რომლებიც მიეკუთვნებიან იმავე სისტემას, რომელშიც შედიან ბითუმად მყიდველები, იწოდებიან შიდასისტემურ, დანარჩენები — სისტემისგარეშე მიმწოდებლად.

გამოსასვლელი და სავაჭრო-შემსყიდველი ბაზების მიერ საქონლის მიწოდება მოკავშირე რესპუბლიკების ვაჭრობის სამინისტროს რესპუბლიკური კანტორების სავაჭრო ბაზებზე და ცენტროსოიუზის მთავარი სამმართველოებისა თუ რესპუბლიკური კავშირების ბაზების მიერ სამომხმარებლო კოოპერაციის საოლქო და სარაიონთაშორისო ბაზებზე ატარებს შიდასისტემურ ხასიათს.

საბითუმო საწარმოების სავაჭრო აპარატი მიმწოდებლების შესწავლის პროცესში ავლენს მათი წარმოებისა და საქონლის საბითუმო შესყიდვების მოცულობის შესაძლებლობებს თავისი მოქმედების ზონაში, დახმარებას უწევს მიმწოდებლებს ახალი ნაწარმის წარმოების გამართვაში, ასორტიმენტის განახლებასა და პროდუქციის ხარისხის ამაღლებაში.

საბითუმო საწარმოების საქონელმცოდნეები, რეგულარულად მონახულებენ რა სამრეწველო, დამამზადებელ საწარმოებს, საბჭოთა მეურნეობებს და აგროსამრეწველო კომპლექსებს, ავლენენ მოსახლეობისათვის საჭირო საქონლის წარმოების შესაძლებლობებს, აღწევენ მათი ხარისხის გაუმჯობესებას და დაფასებული საქონლის მოცულობის გადიდებას.

სასაქონლო წყაროების შესწავლის აქტიურ ფორმას წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობის მუშაკთა მონაწილეობა სამრეწველო საწარმოების სამხატვრო და სადღეგუსტაციო საბჭოების მუშაობაში, ვაჭრობის მუშაკთა ერთობლივი თათბირების ჩატარება ადგილობრივი მიმწოდებლების წარმომადგენლებთან ახალი საქონლის ნიმუშებისა და მათი მასობრივი გამოშვების შესაძლებლობების განხილვის მიზნით. არსებითი დახმარების გაწევა ამ მხრივ შეუძლია გამოფენის მოწყობას — სასაქონლო ნიმუშების დათვალიერებას, საბითუმო ბაზრობებზე შეხვედრებს, ადგილობრივ პრესაში მასალების პუბლიკაციას და ა. შ.

ამ სამუშაოთა შედეგები ფიქსირდება წიგნებში, უურნალებში ან მიმწოდებლების ოპერატიული აღრიცხვის ბარათებში. ყოველ ფაქტობრივ ან პოტენციურ საქონლის მიმწოდებელ-დამამზადებელზე შემოიღება პირადი ბარათი, რომელშიც შეიტანება განსაზღვრული საქონლის წარმოებისა და საბითუმო შესყიდვის ფაქტობრივი მონაცემები წლების მიხედვით ჭამობრივ ან ნატურალურ მაჩვენებლებში, აგრეთვე მონაცემები საწარმოო და სანედლეულო რესურსების შესახებ, გამოსაშ-

ვები პროდუქციის მოცულობის გაფართოებისა და ახალი ნაწარმის ათვისების შესაძლებლობანი.

ამ მასალების განზოგადება და ანალიზი საშუალებას იძლევა გამოვავლინოთ წარმოების რეზერვები, დავადგინოთ პროდუქციის გამოშვების გადიდების მიახლოებითი ზომა და ოლქისგარეთ გასატანი სასაქონლო რესურსების მოცულობა.

სასაქონლო წყაროების ასეთი დეტალური შესწავლა, ცხადია, შესაძლებელია იმ საქონლის მიხედვით, რომელიც მიიღება შიდასაოლქო მიმწოდებლებიდან. ოლქთაშორისი და რესპუბლიკისგარე მიწოდების წესით მიღებულ საქონელზე ასეთი შესაძლებლობები მნიშვნელოვნად შეზღუდულია. მაგრამ ამ პირობებშიც საბითუმო საწარმოებს და კანტორებს შეუძლიათ ჩაატარონ განსაზღვრული სამუშაოები მისაწოდებელი საქონლის ასორტიმენტისა და ხარისხის შესასწავლად, მოახდინონ ზემოქმედება ოლქისგარე მიმწოდებლებზე. ასეთი გავლენის ქმედითობა ბევრადაა დამოკიდებული მათი სამეურნეო ურთიერთობების ხანგრძლიობაზე.

§ 2. მოთხოვნის შესწავლა საბითუმო ვაჭრობაში

მოთხოვნისა და ვაჭრობის კონიუნქტურის შესწავლის ორგანიზაციის სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი მიეკუთვნება საბითუმო რგოლს, რომელიც წარმოადგენს უშუალო შემკვეთს და მრეწველობისაგან საქონლის შემსყიდველს.

საბითუმო სავაჭრო საწარმოებმა და ორგანიზაციებმა, რომლებიც ადგენენ განაცხადებსა და შეკვეთებს საქონლის წარმოებასა და მიწოდებაზე, კარგად უნდა იცოდნენ თავისი ნომენკლატურის საქონლის ბაზრის მდგომარეობა, საქონლის ასორტიმენტისა და ხარისხის შესაბამისობა მყიდველთა მოთხოვნებთან. ვაჭრობის მიმდინარე კონიუნქტურისა და მოთხოვნის მოკლევადიანი პროგნოზის შესწავლისას საბითუმო ვაჭრობა იყენებს ამ შესწავლის მასალებს მომავალ პერიოდში (წელი, სეზონი) მოთხოვნის მოცულობის, ჯგუფური და შიდაჯგუფური ასორტიმენტის განსაზღვრის, შეკვეთების ეკონომიკური დასაბუთებისათვის.

მოთხოვნის ასორტიმენტული სტრუქტურის განსაზღვრისათვის საბითუმო ბაზები სწავლობენ ბითუმი მყიდველების (საცალო სავაჭრო საწარმოებისა და ორგანიზაციების) მოთხოვნებს, აგრეთვე უშუალოდ მოსახლეობის მოთხოვნებსაც. ბაზრის ნამდვილ მოთხოვნილებათა სრულად და ზუსტად აღრიცხვისათვის არასაკმარისია მარტო ბითუმი მყიდველების მოთხოვნაზე ორიენტირება. მნიშვნელოვანია შეივსოს და გარკვეული ზომით შემოწმდეს მათი მოთხოვნილებანი, მიღებული პირველადი წყაროებისაგან, ე. ი. საქონლის უშუალო მომხმარებლებისაგან.

ბითუმი მყიდველების მოთხოვნის შესასწავლად გამოიყენება შემ-

დეგი მეთოდები: საბითუმო საწყობებში სასაქონლო მარაგის მოძრაობაზე სისტემატური დაკვირვება; საქონლის ბითუმად გაყიდვის პროცესში მოთხოვნის ცვლილებათა აღრიცხვა და რეგისტრაცია; საცალო სავაჭრო საწარმოებისა და ორგანიზაციების განაცხადებისა თუ შეკვეთების ანალიზი; ასორტიმენტული და კონიუნქტურული თათბირების ჩატარება; საბითუმო ბაზრობების შედეგების მასალების ანალიზი.

ოპერატიული, სტატისტიკური და საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემები საშუალებას იძლევა დადგინდეს საწყობებში არსებული სასაქონლო მასის მოძრაობის დინამიკა. საქონლის შემოსულობისა და გაყიდვის აღრიცხვა, მარაგის განახლების სინშირე წარმოდგენას გვაძლევს ბითუმი მყიდველების მიერ ამა თუ იმ საქონელზე წარდგენილი მოთხოვნის რხევადობასა და ინტენსივობაზე.

სასაქონლო მარაგების მოძრაობის დამახასიათებელი საინვენტარიზაციო უწყისებისა და სხვა დოკუმენტების მონაცემთა გამოყენებით შეიძლება გამოვავლინოთ ჩაწოლილი და გაუსავლიანი საქონელი, რომელთა შესყიდვა საბითუმო ბაზამ უნდა შეამციროს, ხოლო საქონელი, რომელმაც დაკარგა თავდაპირველი ღირებულება — რეალიზდეს ფასდაკლებით.

საბითუმო ბაზის საქონელმცოდნეების აპარატმა ბითუმად მყიდველთა მოთხოვნის შესწავლისათვის საუკეთესო მასალა შეიძლება მიიღოს საქონლის მიმდინარე გაყიდვის მსვლელობისას. ყოველდღიური ურთიერთობა საცალო სავაჭრო საწარმოების მუშაკებთან, საქონლის პირადი შერჩევისა და შესყიდვის დროს, საშუალებას იძლევა გამოვავლინოთ მათი დამოკიდებულება ამა თუ იმ საქონლისადმი, მათი ასორტიმენტის, ხარისხისა და გარეგანი გაფორმებისადმი. აქვე გამოვლინდება არარსებული საქონლის ნუსხა, რისთვისაც ბაზის საქონელმცოდნეებს შემოღებული აქვთ დაუქმყოფილებელი მოთხოვნის რეგისტრაციის ყურნალი.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საცალო სავაჭრო საწარმოებისა და ორგანიზაციების განაცხადებისა და შეკვეთების ანალიზს.

მიმდინარე განაცხადები და განსაკუთრებით ბითუმად მყიდველთა საქონელზე წინასწარი შეკვეთები ემყარება ბაზრის ჩამოყალიბებულ კონიუნქტურას და გვევლინება მოთხოვნის ცვლილებებში მიმდინარე რხევებისა და ტენდენციების ამსახველ „ბარომეტრად“.

შეკვეთების შედგენისას რომ არ იქნეს დაშვებული შეცდომები და უზუსტობანი, საბითუმო ბაზები, საცალო სავაჭრო საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკებთან ერთად, აწყობენ სემინარებს.

სავაჭრო კონიუნქტურისა და მოთხოვნის შესწავლის საუკეთესო მეთოდს წარმოადგენს საბითუმო ბაზების მიერ საასორტიმენტო და კონიუნქტურული თათბირების პერიოდულად ჩატარება, სადაც მიიწვევიან საცალო ვაჭრობისა და მრეწველობის წარმომადგენლები. ამ თათბირებზე განიხილება ცალკეული საქონლით ვაჭრობის და მოთხოვ-

ნის ცვლილების მდგომარეობა, წარმოებიდან მოსახსნელი და ასათვისებლად გამიზნული საქონლის ნიმუშები, გამოითქმება მოსაზრებებთა ასორტიმენტის განახლებისა და ნაწარმის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ასეთი თათბირების ქმედითობა მიიღწევა სასაქონლო ნიმუშების გამოფენის მოწყობით, ალბომების, კატალოგების დემონსტრაციით და ა. შ. მათი მოწყობა უკავშირდება საქონლის მიწოდებაზე წლიური და სეზონური შეკვეთების შედგენას, ასორტიმენტული სტრუქტურის დამუშავებას და ხელშეკრულების დადების მომზადებას.

საბითუმო ბაზებისა და მსხვილი საცალო სავაჭრო ორგანიზაციებისა თუ საწარმოების მონაწილეობა საბითუმო ბაზრობებზე საშუალებას აძლევს მათ, შეაგროვონ მდიდარი მასალა და შეუდარონ მომავალი წლის საქონლის მიწოდებისა და მოთხოვნის მონაცემებს.

საქონლის ბითუმად გაყიდვის ბაზრობების მასალების შესწავლა შესაძლებლობას გვაძლევს შევადაროთ მრეწველობის მიერ წარდგენილი საქონლის რაოდენობა სავაჭრო ორგანიზაციების შეკვეთებთან და ჩატარებულ შესყიდვებთან, ამასთანავე, დავადგინოთ დაუკმაყოფილებელი მოთხოვნის დონე ცალკეული სახეობისა და დასახელების საქონლის გასასყიდად წარდგენილ ან ასორტიმენტის შეუსაბამობას ვაჭრობის შეკვეთასთან.

ბითუმად მყიდველების მიერ მოთხოვნის შესწავლის ჩამოთვლილ მეთოდებთან ერთად საბითუმო საწარმოები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ აგრეთვე მოსახლეობის მოთხოვნის შესწავლის ორგანიზაციაში. ამ მიზნით საბითუმო ბაზების წარმომადგენლები მიდიან მაღაზიებში, ატარებენ დაკვირვებებს საქონლის გაყიდვის მსვლელობაზე, ესაუბრებიან მყიდველებს, ეცნობიან მომხმარებელთა კონფერენციების მასალებს, სწავლობენ და აანალიზებენ მყიდველობითი მოთხოვნის აღრიცხვის მასალებს. საბითუმო ბაზების საქონელმცოდნეები საცალო სავაჭრო საწარმოების მუშაკებთან ერთად ატარებენ საქონლის გამოფენა-გაყიდვებს, მყიდველთა გამოკითხვებს, აგროვებენ შეფასებას ცალკეული საქონლის ასორტიმენტისა და ხარისხის შესახებ.

საბითუმო ბაზებისათვის დიდ ინტერესს იწვევს მაღაზია-საყარდენი პუნქტების ქსელში საქონლის მარაგისა და გაყიდვის შიდაჯგუფური სტრუქტურის ცვლილების შესახებ შერჩევითი გამოკვლევების მონაცემები. ასეთი დაკვირვებები სასურველია ჩატარდეს სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის მაღაზიების მთელ ქსელში, დაკვირვების პროგრამის შინაარსის არსებითად შეცვლით.

მაღაზია-საყარდენ პუნქტებში დაკვირვებები უნდა განხორციელდეს არა მარტო რეალიზებულ, არამედ დაუკმაყოფილებელ მოთხოვნაზე, რაც გამოავლენს მოთხოვნის რეალურ მოცულობას. საქონლის ნუსხა-რომლის მიხედვითაც საჭიროა ჩატარდეს დაკვირვება, საბითუმო ბაზამ უნდა შეათანხმოს საოლქო (სამხარეო) ვაჭრობის სამმართველოსა ან

აგტონომიური რესპუბლიკის ვაქრობის სამინისტროსთან. ეს ნუსხა მკიდრო კავშირში უნდა იყოს საბაზრო ფონდების გეგმა-განაცხადების ნომენკლატურის პოზიციებთან და საქონლის მოთხოვნილების განაცხადებთან იმ ასორტიმენტული ნიშნების ჩვენებით, რომლის მიხედვითაც ტარდება ინფორმაციის დაჯგუფება და აღრიცხვა.

მალაზია-საყრდენ პუნქტებში ჩატარებული დაკვირვების შედეგები, ყოველთვიური კონიუნქტურული ცნობების სახით, წარედგინება სავაჭრო ორგანიზაციებს და საბითუმო ბაზებს, რაც საქონლის მიმდინარე შემოსულობისა და შესყიდვის გეგმების კორექტირების საშუალებას იძლევა. კონიუნქტურული ცნობა შეიცავს საქონლის შემოსულობის, გაყიდვისა და მარაგის შესახებ მონაცემებს დადგენილი ნომენკლატურის მიხედვით, შეზღუდული მოთხოვნის საქონლის ნუსხას, აგრეთვე მოთხოვნის ცვლილებების გამომწვევი მიზეზების ახსნას.

მოთხოვნის შესწავლის მეთოდებისა და ხერხების ერთობლიობის გამოყენება საბითუმო საწარმოებს საშუალებას აძლევს ჰქონდეს უტყუარი ინფორმაცია მოთხოვნის მოკლევადიანი პროგნოზირებისა და საქონელზე მოთხოვნილებათა გაანგარიშებისათვის.

საქონელზე მოთხოვნილებათა გაანგარიშება, განაცხადებისა და შეკვეთების დასაბუთება და მათი მიწოდება წარმოადგენს საბითუმო ბაზის კომერციული მუშაობის ერთ-ერთ ფუნქციას, ამ მიზნით ამჟამად ფართო გავრცელება პოვა მოთხოვნის სტრუქტურის მოკლევადიანი პროგნოზირების მეთოდებმა, მათ შორის ეკონომიკურ-მათემატიკურმა მეთოდმა.

განვიხილოთ საქონლის მოთხოვნილებათა გაანგარიშების მეთოდების გამოყენების ძირითადი მიმართულებანი მოხმარების ძირითადი საგნების მოთხოვნის განვითარებისა და ფორმების თავისებურებათა გათვალისწინებით.

მოსახლეობის მოთხოვნის ფორმირება, მოცემულ შემთხვევაში საბითუმო ბაზის მოქმედების რაიონში, წარმოადგენს კომპლექსურად მოქმედ მთელ რიგ ფაქტორებზე დამოკიდებულ რთულ სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენას, მაგრამ ცალკეულ საქონელზე მოთხოვნის ხასიათისაგან დამოკიდებულებით პროგნოზის შედგენა ეყრდნობა ანალიზსა და შეზღუდული რიცხვის ფაქტორების გამოყენებას.

კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და სამეურნეო-საოჯახო საქონელზე მოთხოვნის სტრუქტურის განსაზღვრისას შეიძლება გამოიყოს შემდეგი ძირითადი ფაქტორები: მოსახლეობის ფულადი შემოსავლები (გასავლები) და მათი განაწილება სოციალურ-ეკონომიკური ჯგუფების მიხედვით; ცალკეულ საქონელზე საცალო ფასების დონე; საბითუმო ბაზის მოქმედების რაიონის მყიდველთა ოჯახების რაოდენობა, სიდიდე და შემადგენლობა, საბითუმო ბაზის მოქმედების

რაიონის მოსახლეობის ხანგრძლივი მოხმარების ცალკეული საქონლით უზრუნველყოფა.

მოთხოვნისა და მასზე მოქმედი ფაქტორების რაოდენობრივი ურთიერთკავშირი მხედველობაში მიიღება ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის დახმარებით. პრაქტიკაში გამოიყენება მათი შემდეგი სახეები:

$$y = a_0 + a_1 x_1 + a_2 x_2 + \dots + a_n x_n \text{ — ხაზობრივი,}$$

$$y = a_0 \cdot x_1 \cdot x_n \text{ — ხარისხობრივი,}$$

სადაც y არის მოთხოვნა განსაზღვრულ საქონელზე;

x_1, x_2, \dots, x_n მოთხოვნის ფორმირების ფაქტორები;

a_0, a_1, \dots, a_n მოდელის პარამეტრები, მოთხოვნაზე თითოეული ფაქტორის მოქმედების ხარისხის მაჩვენებელი.

მოდელის ასაგებად და მისი პარამეტრების გასაანგარიშებლად გამოიყენება უმცირეს კვადრატთა მეთოდი, რომელიც რიგ ამოსავალ ხარისხობრივ წინაპირობათა და შესაბამისი მეთოდებით შეფასების დროს იძლევა პრაქტიკაში დამაკმაყოფილებელ შედეგებს.

გაითვალისწინება რა ხანგრძლივი გამოყენების რიგ საქონელზე მოთხოვნის ფორმირების თავისებურებანი და მოსახლეობის არასაკმარისი უზრუნველყოფის ხარისხი, მოთხოვნის პროგნოზირებისათვის გამოიყენება ეგრეთ წოდებული ლოგიკური სახის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი:

$$H = \frac{a_0}{a_1 + e^{-a_2 t}},$$

სადაც H ხანგრძლივი გამოყენების საქონლით მოსახლეობის (100 ოჯახზე ან 1000 კაცზე) გაჯერების დონეა.

a_0, a_1, a_2 — მრუდის პარამეტრები, ხანგრძლივი გამოყენების საქონლით გაჯერების ზრდის ტემპი და შესაბამისი ზღვრული დონის განმსაზღვრელი;

$e^x = 2,71$ — ნატურალური ლოგარითმების საფუძველი.

მოცემული სახის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი გამოიყენება პირველდარწეებითი მოთხოვნისა და მოთხოვნის შეცვლის წინასწარი გამოვლენის გათვალისწინებით. ამიტომ არსებითია ამ საქონლით მოსახლეობის უზრუნველყოფის დონის განსაზღვრა. მაგალითად, 1975 წლის ბოლოს სსრ კავშირის მოსახლეობის ყოველი 100 ოჯახი დაკმაყოფილებულ იყო: რადიომიმღები — 78 ცალი, ტელევიზორებით — 74, მაცივრებით — 62 ცალი. ამრიგად, არის მისი გაზრდის შესაძლებლობა როგორც მთელს ქვეყანაში, ასევე ცალკეული რაიონების მიხედვით.

მოთხოვნის შიდაჯგუფური სტრუქტურის გაანგარიშებისას კულტუ-

რულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და სამეურნეო საოჯახო საქონლის შექვეთების დასასაბუთებლად გამოიყენება:

საქონლის გაყიდვის სტრუქტურა მარკებისა და ტიპების მიხედვით მიმდინარე და საანგარიშო პერიოდში კორექტირებული ანკეტური გამოკითხვის შედეგებით, მოთხოვნის დაკმაყოფილების კოეფიციენტები; ცალკეული მარკების მიხედვით, მოთხოვნის პროგნოზირებისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს ავტორეგრესიული ტიპის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელები (იხ. თავის 111, § 3).

მოთხოვნის ასორტიმენტული სტრუქტურის საბოლოო პროგნოზი უნდა განისაზღვროს მოთხოვნის შესაძლო შემთხვევით და სეზონურ რხევათა გათვალისწინებით.

ფეხსაცმელსა და ტანსაცმელზე მოთხოვნის სტრუქტურის განსაზღვრისას შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი ფაქტორები: საბითუმო ბაზის მოქმედების რაიონის მოსახლეობის ფულადი შემოსავლები (გასაველები) ან საქონელბრუნვის მთლიანი მოცულობა; ამ რაიონის მოსახლეობის რაოდენობა; შესაბამისი საქონლის საშუალო ფასები; მოხმარებაში ურთიერთშემცვლელი საქონლის გაყიდვა.

მოთხოვნის პროგნოზის გაანგარიშებისას, განაცხადების დასასაბუთებლად, შეიძლება გამოყენებული იყოს მოთხოვნის ერთფაქტორიანი მოდელი, რომელშიც ფაქტორის სახით გამოდის ზემოჩამოთვლილიდან ერთ-ერთი. ფაქტორის მოქმედება უფრო მონერხებულია გავითვალისწინოთ ეგრეთ წოდებული მოთხოვნის ცვლილების კოეფიციენტის დახმარებით, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენი პროცენტით იცვლება მოთხოვნა რომელიმე სასაქონლო ჯგუფზე (ქვეჯგუფზე) რომელიმე ფაქტორის (მაგალითად საქონელბრუნვის) ერთი პროცენტით ცვლილების დროს, ე. ი.

$$K_u = \Delta x(t+1) \cdot \frac{\Delta \bar{y}(t)}{\Delta \bar{x}(t)}$$

სადაც K მოთხოვნის ცვლილების კოეფიციენტია;

$\Delta x(t+1)$ — საქონელბრუნვის საერთო მოცულობის მატება საგეგმო წელს;

$\Delta \bar{y}(t)$ — სასაქონლო ჯგუფებზე (ქვეჯგუფებზე) მოთხოვნის საშუალო მატება საანგარიშო პერიოდში (ჩვეულებრივ სამი წლის);

$\Delta \bar{x}(t)$ — საქონელბრუნვის საერთო მოცულობის საშუალო მატება საანგარიშო პერიოდში.

მოთხოვნის პროგნოზი საგეგმო წელს განისაზღვრება ფორმულით:

$$y(t+1) = y(t) \cdot (1 + K_u),$$

სადაც $y(t+1)$ მოთხოვნის პროგნოზია საგეგმო წელს;

y (t) — ფაქტობრივი მოთხოვნა საანგარიშო (მიმდინარე) წელს.

ცალკეული სახის საქონელზე მოთხოვნის ასორტიმენტული სტრუქტურის განსაზღვრისათვის ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის შესაბამისი ჯგუფის მიხედვით გაიანგარიშება გაყიდვის შესაძლო სტრუქტურა (წილი) საგეგმო წელს. ის განისაზღვრება გაყიდვის სტრუქტურის საფუძველზე საანგარიშო წელს მალაზია-საყრდენ პუნქტებში მიმდინარე წელს სასაქონლო მარაგის, გაყიდვის სტრუქტურული ძვრებისა და დაუკმაყოფილებელი მოთხოვნის მონაცემების გათვალისწინებით.

სასურსათო საქონლის მოთხოვნის სტრუქტურის პროგნოზირებისას აუცილებელია გავითვალისწინოთ შემდეგი ფაქტორები:

შესაბამისი ჯგუფის საქონლის საცალო გაყიდვის მოცულობა საანგარიშო წელს;

შესაბამისი ჯგუფის საქონლის დაუკმაყოფილებელ მოთხოვნის სიდიდე საანგარიშო წელს;

საბითუმო ბაზის მოქმედების რაიონის მოსახლეობის რაოდენობა;

მოხმარებაში ურთიერთშემცვლელი საქონლის გაყიდვა;

კვების პროდუქტების გაყიდვის საშუალო სულადობრივი სიდიდე საანგარიშო წელს და მათი მოხმარების რეკომენდებული ნორმები.

მოთხოვნის პროგნოზის გაანგარიშებისათვის განაცხადების ნომენკლატურით შეიძლება გამოყენებული იყოს მოთხოვნის მრავალფაქტორიანი ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი, ანალოგიური ზემოგანხილულსა. ამავე დროს, ვითვალისწინებთ რა, რომ უმეტესი სასურსათო საქონელი წარმოადგენს საკმაო მოთხოვნის საქონელს, მოთხოვნის პროგნოზი შეიძლება გაანგარიშებულ იქნეს გაყიდვის ზრდის საშუალო ტემპის გამოყენებით, რომელშიც გაითვალისწინება ზემოჩამოთვლილი ფაქტორები, ე. ი.

$$y(t+1) = y(t) \cdot (1 + \Delta T),$$

სადაც ΔT ცალკეული ჯგუფის (ქვეჯგუფის) საქონლის გაყიდვის საშუალო მატება საანგარიშო წელს (ჩვეულებრივ, სამი წლის მანძილზე).

ცალკეული სახის სასურსათო საქონლის მოთხოვნის ასორტიმენტული სტრუქტურის გაანგარიშებისათვის განისაზღვრება ცალკეული საქონლის გაყიდვის შესაძლო სტრუქტურა (წილი) საგეგმო წელს. ჩვეულებრივ, მის საფუძველად იღებენ მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გაყიდვის შესაძლო სტრუქტურას. სასურსათო საქონლის წარმოებისა და მოხმარების სეზონურობის, სასაქონლო მარაგის ცვლილებათა გათვალისწინებით ის კორექტირდება და ვრცელდება მოცემული სასაქონლო ჯგუფის მოთხოვნის მოცულობაზე.

საქონლის მოთხოვნილებათა გაანგარიშების მეთოდების გამოყენება განაცხადებისა და შეკვეთების დასასაბუთებლად საჭიროებს კომერციულ მუშაკთა შრომის მნიშვნელოვან დანახარჯებს მონაცემების შეგ-

როვებასა და დამუშავებაზე. ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების გამოყენება ზრდის მოთხოვნას პროგნოზირებისათვის ამოსავალი ინფორმაციის მოცულობასა და ხარისხზე. ამიტომ დამუშავებული მეთოდის პრაქტიკული გამოყენება, ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების ბაზაზე საჭიროებს თანამედროვე ელექტრონულ-გამომთვლელი ტექნიკის აქტიურ დანერგვას მოახსლეობის მოთხოვნის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისა და დამუშავებისათვის, მის გამოყენებას მოთხოვნის პროგნოზის გასაანგარიშებლად.

§ 8. საბითუმო შესყიდვების ოპერატიული დაგეგმვა და შესყიდული საქონლის შემოსულობის ორგანიზაცია

საქონლის საბითუმო შესყიდვები სხვადასხვა პირობებში მიმდინარეობს. საბითუმო ბაზრობებზე შესყიდული საქონლის მოცულობა უკანასკნელ წლებში იზრდება. მიუხედავად ამისა, საბითუმო ბაზრობებზე გარეშე მიმწოდებლებისაგან შესყიდვების ხვედრითი წონა ჯერ კიდევ საგრძნობლად მაღალია. საბითუმო და საცალო ორგანიზაციები განსაზღვრული მოცულობის საქონელს შეისყიდიან სავაქრო-საწეშამავლო კანტორების მეშვეობით.

მაგრამ როგორც უნდა იყოს შესყიდვის პირობები და ფორმები, მისი ოპერატიული დაგეგმვის ზაფუძველია საბითუმო საქონელბრუნვის გეგმა.

საბითუმო სავაქრო საწარმოების შესყიდვის ოპერატიული დაგეგმვის პირველდაწყებით ეტაპს წარმოადგენს საქონლის შემოსულობის გეგმის შედგენა. ეს გეგმა მუშავდება დადგენილი სასაქონლო ნომენკლატურის მიხედვით თითოეული საქონლია ჯგუფის საქონელბრუნვის მოცულობის ჩვენებით საგეგმო პერიოდში წლის დასაწყისსა და ბოლოს ნორმირებული სასაქონლო მარაგების გათვალისწინებით. ქვემოთ მოცემულია ასეთი გეგმის ფორმა.

საქონლის შემოსულობის გეგმა
საბითუმო ბაზის

198—წ
(ათას მანეთობით)

სასაქონლო ჯგუფების დასახელება	საბითუმო საქონელბრუნვის გეგმა, ათას მანეთობით	სასაქონლო მარაგი საგეგმო პერიოდში		დოკუმენტ. ხარჯ	საქონლის შემოსულობის გეგმა	მათ შორის შესყიდვის მიხედვით	
		დასაწყისისათვის (მოსალოდნელი)	ბოლოს (საგეგმო)			ცენტრალური	დეცენტრალიზებული

ეს გეგმა დგება წლისა და ყოველი ცალკეული კვარტალისათვის. საქონლის შემოსულობის გეგმის საფუძველზე საბითუმო ბაზა ამუშავებს შესყიდვის ოპერატიულ გეგმას მიმწოდებლების მიხედვით. ამ გეგმაში ნაჩვენებია შესასყიდი საქონლის ჯამი, ხელშეკრულებების დადების, სპეციფიკაციების დაზუსტების, შეთანხმებისა და საქონლის გაგზავნის ვადები. გეგმაში გაითვალისწინება პირნი, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ყველა დოკუმენტაციის გაფორმებისა და საქონლის შესყიდვის ჩატარებისათვის. შესყიდვის ოპერატიული გეგმის დამუშავებისა და საქონლის შიდაჯგუფური ასორტიმენტის რაოდენობრივი თანაფარდობის საფუძველად გამოდის წინასწარი შეკვეთები საბითუმო ბაზების მიერ, ადრე წარდგენილი და შეთანხმებული მიმწოდებლებთან.

შესყიდვის ოპერატიული დაგეგმვისათვის გამოიყენება განსაზღვრული დოკუმენტაცია. საქონლის შესყიდვის ოპერატიული გეგმის ყველაზე მოხერხებულ ფორმას წარმოადგენს პირადი ბარათი, შემოღებული თითოეულ მიმწოდებელზე, რომელთანაც დადებულია ხელშეკრულება. პირად ბარათში ფიქსირდება თითოეული სახის მისაწოდებელი საქონლის რაოდენობა წლის განმავლობაში, დაყოფილი კვარტალებისა და თვეების მიხედვით. ცალკეული საქონლის მიწოდების საერთო სიდიდე იყოფა ბარათებში ტრანზიტულ და ბაზის საწყობში მიწოდებად.

ტრანზიტული გადაზიდვის მოცულობა, გათვალისწინებული ხელშეკრულებით, დადებული ბაზის მიერ მიმწოდებლებთან, უნდა შეესაბამებოდეს სატრანზიტო მიწოდებათა სიდიდეს, განპირობებულს ბაზის ხელშეკრულებით მის ბითუმად მყიდველებთან — საცალო სავაჭრო საწარმოებსა და ორგანიზაციებთან.

საქონლის სატრანზიტო გადაზიდვების მიხედვით უშუალოდ ბითუმად მყიდველების მისამართით, რომელიც გათვალისწინებულია მიწოდებათა გეგმაში, საბითუმო ბაზამ დროულად უნდა გაუგზავნოს მიმწოდებლებს განწესები გამომდინარე საქონლის გადატვირთვის მინიმალური ნორმებიდან, რომლებიც დადგენილია მიწოდების განსაკუთრებული პირობებით.

მიმწოდებლების მიერ ტრანზიტად, საბითუმო ბაზის საწყობების გვერდის ავლით გაგზავნილი საქონლის შესყიდვის ჩატარებამ არ უნდა გამოიწვიოს საცალო სავაჭრო საწარმოებში საქონლის ჩაწოლა.

მიმწოდებლებთან ხელშეკრულების დადების შემდეგ საქონლის შესყიდვის შესახებ, საბითუმო ბაზის აპარატის მთელი შემდგომი მუშაობა მდგომარეობს სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების თაობაზე დებულებისა და დადებული ხელშეკრულების შესაბამისად საქონლის ზუსტი შემოსულობის ორგანიზაციაში.

მიმწოდებლებისაგან საქონელი შეიძლება შემოვიდეს: საბითუმო ბაზის მიერ ადგილზე გაცემის გზით ან სხვა ერთჯალაქობრივი მიწოდებისათვის მათი განრიგებისა და განწესების მიხედვით. საქონლის გადა-

ტვირთვით ბაზის სხვა ქალაქის მიმღებთა მისამართით მათი მითითებით; მიმწოდებლების საშუალებებით საცალო სავაჭრო საწარმოებისა და ორგანიზაციების საწყობებში ან ბაზის საწყობში საქონლის მიტანის გზით.

ყველა გაცემულ ან გაგზავნილ საქონელზე მიმწოდებლები გამოწერენ ანგარიშ-ფაქტურას და უგზავნიან მათ გადამხდელ მყიდველს. ხელშეკრულებაში გათვალისწინებული დანართებით (რკინიგზის ზედღებულები, სერტიფიკატები და ა. შ.).

როცა გაგზავნილი ან მიღებული საქონელი შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, ბაზის საქონელმცოდნე ვიზას აძლევს შემოსულ ანგარიშებს. შემდეგ ანგარიშები განაღდება. ანგარიშების გადახდაზე უარისთქმა შეიძლება წარმოიშვას შეუკვეთავი საქონლის მიწოდების ან ვადაზე ადრე შემოზიდვის შემთხვევაში, აგრეთვე, ცუდი ხარისხის პროდუქციის მიწოდებისას.

ანგარიშების განაღდებაზე ნაწილობრივი უარისთქმა შეიძლება ზედმეტი რაოდენობის საქონლის მიწოდებისას, ფასების მომატების შემთხვევაში, სავაჭრო დათმობების დაღვენილი ნორმის მიუცემლობით და ა. შ. ანგარიშების სრული ან ნაწილობრივი განაღდებისას საბითუმობაზე აცნობებს ამის შესახებ მიმწოდებლებს, ხოლო გაუნაღდებელი საქონელი მიიღება პასუხისმგებლობის ქვეშ შესანახად.

§ 4. საბითუმო შესყიდვების ოპერატიული აღრიცხვა და სასაქონლო მარაგის მდგომარეობისადმი კონტროლი

უზრუნველყოფილია რა პირობები ხელშეკრულებების საფუძველზე საქონლის რეგულარული მიწოდებისათვის, საბითუმო საწარმოების სისტემატურად აღრიცხვენ ფაქტობრივად შესყიდულ საქონელს და აკონტროლებენ მის გაგზავნას, შემოსულობასა და მიღებას.

საქონლის მიწოდების შესახებ მიმწოდებლების ვალდებულებათა შესრულებას აკონტროლებენ საბითუმო ბაზებში ყველა სახის ანგარიშგების მონაცემთა უცილობლად გამოყენებას. იყენებენ რა პერიოდულად შემოსული ბუღალტრული და სტატისტიკური ანგარიშგებების მონაცემებს, ბაზის სავაჭრო აპარატი ახდენს დაკვირვებას საქონლის შემოსულობის და შესყიდვის გეგმის შესრულების მიმდინარეობაზე, ძირითადად ოპერატიული აღრიცხვის მასალებზე დაყრდნობით. ოპერატიულმა აღრიცხვამ უნდა მოიცვას საგეგმო-საკონტროლო მაჩვენებლების აუცილებელი რაოდენობა, რომლებშიც აისახება მიმწოდებლების მიხედვით საქონლის შემოსულობის სტრუქტურა.

ოპერატიული აღრიცხვის ბარათში ფიქსირდება თითოეული მიმწოდებლის ხელშეკრულების ნომერი და თარიღი, ცნობები საქონლის მიწოდების გეგმის შესახებ თანხაში, რაოდენობასა და ასორტიმენტში.

მთელი წლის და კვარტალური დაყოფის მიხედვით. ბარათებში ნაჩვენებია აგრეთვე განწესების, გაგზავნისა და განრიგების გაცემის ვადები.

საქონლის ფაქტობრივი გაგზავნისა და შეზიდვის შესახებ ცნობები შეიტანება ბარათებში მიმწოდებლებისაგან მიღებულ ანგარიშ-ფაქტურებისა და სატრანსპორტო საბუთების საფუძველზე. ამ მონაცემების მიხედვით, მოწმდება შემოსულობის შესაბამისობა ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ რაოდენობასთან, აგრეთვე მიწოდების კერძო ვადები, ვლინდება მიმწოდებლების სახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევის შემთხვევები. მიღებული ცნობები წარმოადგენს მიმწოდებლებისათვის შეტყობინებისა და აუცილებლობის შემთხვევაში პრეტენზიების წაყენების საფუძველს.

საქონლის შემოსულობის აღრიცხვის ბარათი იწარმოება ქვემოთ მოტანილი ფორმის მიხედვით.

ხელშეკრულება № 108 წ.

(მიმწოდებელი)

ხელშეკრულების თანხა ათას მანეთობით

საქონლის შუ. სხეულები	ექვემდებარება მიწოდებას წე- ლიწადში (კვარ- ტალში) ათას მანეთო- ბით	ტვირთის გაგზავ- ნის კვირის კე- ლები	გაიგზავნა ათას მან. ბა- ზის საწყობში	შემოიღა ათას მან. ბაზის საწყ.	ანგარიშ ფაქტურ- ის ნომერი და თარიღი	მიღების აქტის ან ბუღალტრის ნომერი და თა- რიღი

აღრიცხვის სიზუსტე და საქონლის მიწოდების ვალდებულებათა ურთიერთშემოწმების შესაძლებლობა მიიღწევა მიმწოდებლების მიერ საბითუმო ბაზისათვის განრიგებითა და განწესებით საქონლის გაგზავნის შესახებ ცნობების პერიოდული წარმოდგენისას.

საბითუმო ბაზების საშემსყიდველო მოღვაწეობა და საქონლის შემოსულობაზე კონტროლი განუყოფლად უკავშირდება საწყობებში არსებული საქონლის მარაგის მართვასა და საქონლის ნაკადების დაკვირვებას.

საქონლის განსაზღვრული ნაწილი ყოველთვის იმყოფება გზაში და საქონლის შემოსულობის მიხედვით საბითუმო ბაზის საწყობების მარაგს ავსებს. ამ სასაქონლო ნაკადების მოძრაობაზე უნდა ხორციელდებოდეს მუდმივი კონტროლი. ამასთან დაკავშირებით საბითუმო ბაზის აპარატის მუშაკები ვალდებული არიან იცოდნენ ტვირთის გარბენის

საშუალო ვადები გაგზავნის პუნქტებიდან დანიშნულების სადგურამდე. გზაში ტვირთის ყოფნის საშუალო ვადების გათვალისწინებით რეგულირდება გაგზავნის პერიოდულობა, მიმწოდებლებზე ზემოქმედება, მიიღება ზომები გაგზავნის დასაჩქარებლად, გამოიყენება განსაზღვრული სახის ტრანსპორტი.

სასაქონლო მარაგის ძირითადი მასა მუდმივად უნდა იმყოფებოდეს საბითუმო ბაზის საწყობებში. ამ მარაგის რაოდენობრივმა და ხარისხობრივმა მდგომარეობამ უნდა უზრუნველყოს საცალო ქსელის გეგმაზომიერი მომარაგება და ხელი შეუწყოს საცალო საქონელბრუნვის განვითარებას.

სასაქონლო მარაგის დაგეგმვისა და ნორმირების პრაქტიკაში გამოყენებული საცდელ-სტატისტიკური და ტექნიკურ-ეკონომიკური გაანგარიშების მეთოდები ვერ უზრუნველყოფს ბაზებში მარაგის რეგულირებას და ოპტიმალურ დონეზე შენარჩუნებას. მათი მთავარი ნაკლია მკაცრი და, როგორც წესი, მარაგის მინიმალური ნორმატივები, რომლებიც დადგენილია გარკვეული პერიოდისათვის (კვარტალი, წელი) მიწოდება-მოთხოვნის გავლენის შედეგად საქონელბრუნვაში მომხდარი ცვლილებების გათვალისწინებლად. ამ პირობებში შეუძლებელია მივალწიოთ სათანადო დაკავშირებას მარაგის სტატისტიკურ ნორმებსა და საქონელბრუნვის დინამიკურ ცვლილებებს შორის. ამის შესაბამისად, აუცილებელია რეგულირდეს სასაქონლო მარაგები საბითუმო რგოლში მსყიდველობითი მოთხოვნისა და მოსალოდნელი საქონელბრუნვის მოცულობის პროგნოზირების მეთოდების გამოყენების საფუძველზე, სასაქონლო მარაგის ოპტიმალური მართვის თეორიასთან შეთანაწყობით.

საბითუმო ბაზებში მარაგის ოპტიმალიზაცია შეიძლება მიიღწეს სასაქონლო ნაკადის მართვის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელების გამოყენების საფუძველზე. მოდელების საფუძველს წარმოადგენს ფუნქციონალური დანახარჯები მარაგის წარმოქმნასა და შენარჩუნებაზე, ან მოგება, გამოსახული მართვადი ცვლადების (Fi) და არამართვადი ცვლადების ფუნქციების სახით (Li).

ეფექტიანობის კრიტერიუმში ამ შემთხვევაში განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$\min (\max) K=f (F_i L_j).$$

მართვადი ცვლადების მნიშვნელობებს შეიძლება ჰქონდეთ ტოლობების ან უტოლობების დამატებითი სისტემის სახით (მაგალითად, სასაქონლო რესურსები, სასაწყობო ფართობი, ამწე-სატრანსპორტო მოწყობილობათა სიმძლავრე) გამოსახული შეზღუდვები.

რამდენადაც მარაგის მართვის ამა თუ იმ მათემატიკური მოდელის შერჩევა დაკავშირებულია ეფექტიანობის კრიტერიუმის დადგენასთან, მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ დანახარჯების შემცირება მარაგის

წარმოქმნაზე განხილულ უნდა იქნეს სახალხო მეურნეობრივი პოზიცი-
იდან. ეს ნიშნავს, რომ საქონლის შემოსულობის სიხშირე და მათი
მარაგის ზომები ბაზებში ხელს უნდა უწყობდეს არა მარტო თვით ბა-
ზების დანახარჯების, არამედ ტოლფასოვნად მიმწოდებლების — სა-
ქონლის დამამზადებლების და ბითუმად მყიდველების — საცალო სა-
ვაჭრო ორგანიზაციების დანახარჯების შემცირებასაც.

საბითუმო ვაჭრობაში სასაქონლო მარაგის მართვის მეცნიერული
მეთოდები მოიცავს გარკვეული ოპერაციების კომპლექსს, რომელთა
რიცხვშიც შედის მარაგების მდგომარეობისა და მოძრაობის მიმდინა-
რე აღრიცხვა, აგრეთვე, მართვადი ცვლადების მნიშვნელობის გამოთვ-
ლა და კორექტირება, მათი გამოყენება გადაწყვეტილების მიღების მო-
მენტში, რაც დაკავშირებულია მარაგის დონის განსაზღვრასთან ცალ-
კეული საქონლის მიხედვით.

ვითვალისწინებთ რა იმ გარემოებას, რომ მარაგის მართვის სფერო-
ში ჩატარებული მუშაობა, რომელიც დაკავშირებულია შეკვეთის მო-
ცულობასა და ვადის განსაზღვრასთან, მომავალი პერიოდის მოთხოვ-
ნის მოცულობის გაანგარიშებასთან, არსებული მარაგისა და მათი მოძ-
რაობის აღრიცხვასთან, მათი განლაგების კონტროლთან, ფრიად შრო-
მატევადია, წარმოიქმნება ელექტრონულ-გამომთვლელი ტექნიკის გა-
მოყენების აუცილებლობა.

ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების გამოყენება ელექტრო-
ნულ-გამომთვლელი მანქანების საფუძველზე სასაქონლო მარაგის მარ-
თვის პროცესში შესაძლებელი ხდება შესაბამისი საინფორმაციო ბაზის
პირობებში, რომელიც შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. ამ მიზ-
ნით, თანამედროვე პირობებში ტარდება მუშაობა სავაჭრო-ეკონომი-
კური ინფორმაციის კოდიფიკაციისა და მათი ტექნიკური მატარებლე-
ბის ერთიანი სისტემის შესაქმნელად, რომლის საფუძველზეც დახასია-
თდება მარაგის მდგომარეობა ყოველი კონკრეტული მომენტისათვის
ვაჭრობის მართვის დარგობრივი ავტომატიზებული სისტემის ნების-
მიერ რგოლში.

საქონლის ბითუმად გაყიდვის ორგანიზაცია

**§ 1. საქონლის ბითუმად გაყიდვის ფორმები და მათი
გამოყენების პირობები**

ბითუმად გაყიდვის ფორმები კონკრეტულ პირობებზეა დამოკიდებული, მაგრამ მათი გამოყენება უნდა იყოს ეკონომიკურად გამართლებული. საქონლის ბითუმად გაყიდვის პროცესის ორგანიზაციაზეა დამოკიდებული საბითუმო ბრუნვის ფორმები, მისი მოცულობა და სტრუქტურა.

საბითუმო საქონლებრუნვის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს საბაზრო ფონდების მიხედვით საცალო ორგანიზაციისა და საწარმოებისადმი საქონლის მიყიდვა, აგრეთვე ნედლეულისა და მასალების მიყიდვა ვაჭრობის სისტემის საწარმოებისათვის, საზოგადოებრივი კვების ჩათვლით, გადამუშავებისა და დამზადებული პროდუქციის შემდგომი რეალიზაციისათვის.

საბითუმო საწარმოების ბრუნვაში არსებითი ადგილი უჭირავს არასაბაზრო ფონდების მიხედვით სამრეწველო საწარმოებისა და სხვა არასაბაზრო მომხმარებლებისათვის საქონლის გაყიდვას. უკანასკნელ წლებში საბითუმო საქონლებრუნვის ეს სახე მოკავშირე რესპუბლიკების ვაჭრობის სამინისტროების ბაზების მიერ განხორციელებულ ბითუმად გაყიდვის საერთო მოცულობაში თანდათან მცირდება.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მრავალი საქონლის შესყიდვა შეიძლება ორგანიზებულ იქნეს სამრეწველო საწარმოების მიერ ერთმანეთისაგან საბითუმო რგოლის მონაწილეობის გარეშე. სამრეწველო საწარმოებსა და გაერთიანებებს შორის პირდაპირი კავშირის დამყარება ხელსაყრელ გავლენას ახდენს მიწოდების ხელშეკრულებების შესრულებაზე, აჩქარებს ნედლეულის, მასალების ბრუნვადაობას და მივეყვართ დანახარჯების შემცირებამდე. ამავე დროს ეს გარკვეული ზომით ანთავისუფლებს საბითუმო საწარმოებს მომარაგების ფუნქციისაგან მრეწველობის მიმართ და საშუალებას აძლევს ბაზებს თავისი ღონისძიებებს თავი

მოუყარონ თავიანთ ძირითად საქმიანობაზე — საცალო სავაჭრო ქსელის საქონლით მომარაგებაზე.

ბითუმად გაყიდვის საერთო მოცულობაში საკმაოდ მნიშვნელოვან-ია ოპერაციები შიდასისტემური ბრუნვის მიხედვით. საქონელმომძრაო-ბის პროცესში აუცილებელი ხდება სახელმწიფო ვაჭრობის გამოსასვ-ლელი და შემსყიდველი ბაზების მიერ საქონლის მიყიდვა სავაჭრო ბაზებისათვის, რომლებიც მომხმარებელთა რიცხვში იმყოფებიან.

ერთი ბაზის მიერ მეორისათვის საქონლის ბითუმად მიყიდვა ხდება სამომხმარებლო კოოპერაციაშიც, ე. ი. ხორციელდება საქონლის ბი-თუმად ხელახალი გაყიდვა ერთი სავაჭრო სისტემის ფარგლებში. ამას-თან დაკავშირებით უნდა განვასხვაოთ საქონლის მიყიდვის საბითუმო ბრუნვა საბოლოო ბითუმად მყიდველებისადმი — საცალო სავაჭრო საწარმოებისა და არასაბაზრო მომხმარებლებისადმი — ხელახალი სა-ბითუმო გაყიდვისაგან, რომელიც შეადგენს შიდასისტემურ ბრუნვას. მათი ერთობლიობა კი ქმნის საბითუმო სავაჭრო საწარმოს საერთო ბრუნვას.

კონკრეტული პირობების მიხედვით, საბითუმო ბაზა მყიდველები-სადმი საქონლის მიყიდვას აწყობს ტრანზიტით, ე. ი. უშუალოდ მრეწ-ველობის საწარმოდან — მიმწოდებლიდან ან თავისი საწყობებიდან. ამის შესაბამისად არსებობს საბითუმო ბრუნვის ორი ფორმა — სატრან-ზიტო და სასაწყობო.

სატრანზიტო ბრუნვის დროს საქონელი სამრეწველო საწარმო-მიმ-წოდებლებისაგან საცალო სავაჭრო ქსელში მიიტანება საბითუმო ვაჭ-რობის საწყობების გვერდის ავლით, რასაც გარკვეული მნიშვნელობა აქვს: ჩქარდება საქონლის მიტანა საცალო სავაჭრო ქსელში, მცირდება სატრანსპორტო-საექსპლოატაციო ოპერაციების მოცულობა, საბითუ-მო რგოლში სასაწყობო ფართობის საკიროება.

მოკავშირე რესპუბლიკების ვაჭრობის სამინისტროების სისტემის საბითუმო კანტორებისა და ბაზების პრაქტიკაში რიგი მიზეზების გამო 60-იან და 70-იან წლებში საბითუმო საქონელბრუნვის ტრანზიტული ფორმა საკმაოდ დიდ ხვედრით წილს შეადგენდა, ცალკეული საქონლის მიხედვით 50-დან 80%-მდე აღწევდა.

ამასთან, ტრანზიტით გატარებას თან სდევს სავაჭრო ასორტიმენტის ფორმირების პრინციპების დარღვევა, ზენორმატული მარაგის წარმოქ-მნა და გაუსავლიანი საქონლის ჩაწოლა საცალო სავაჭრო საწარმოებში.

საბითუმო ბრუნვის ტრანზიტული ფორმა მიზანშეწონილია რიგ საქონელზე მსხვილი სავაჭრო საწარმოებისათვის (უნივერსალებისა და სავაჭრო ფირმებისათვის, უნივერსამებისათვის და ა. შ.), აგრეთვე მარ-ტივი ასორტიმენტის საქონელზე, რომელსაც არ სჭირდება დახარისხე-ბა და კომპლექტაცია, არსებობს ტრანზიტული ბრუნვის ორი სახე: სა-

ბითუმო რგოლის სახსრების დაბანდებით (მტკიცე ანგარიშიანი ტრანზიტ) და სახსრების დაბანდების გარეშე (ორგანიზებული ბრუნვა).

საბითუმო რგოლის სახსრების დაბანდებით ტრანზიტული ბრუნვის დროს ბაზა უხდის მიმწოდებელს გამოგზავნილი საქონლის ღირებულებას, რომელსაც შემდეგ ახდენენ მყიდველს.

სახსრების დაბანდების გარეშე ტრანზიტის ამარტივებს საბითუმო ბრუნვის მონაწილეთა ურთიერთობას. ამ სახის საბითუმო ბრუნვის დროს საბითუმო რგოლის როლი წმინდა ორგანიზაციულია (მიმწოდებლებთან ხელშეკრულების დადება, მათთვის განწესების გაგზავნა, საქონლის გამოგზავნის მსვლელობაზე კონტროლი და ა. შ.).

საცალო სავაჭრო ქსელის საქონლით რიტმული მომარაგების თვალსაზრისით უპირატესობა უნდა მივიანიჭოთ საბითუმო ბრუნვის სასაწყობო ფორმას, მიუხედავად იმისა, თუ ვის დაქვემდებარებაშია საბითუმო საწყობები. სასაწყობო ფორმა საშუალებას იძლევა ვაწარმოოთ საქონლის კომპლექტაცია-დახარისხება საჭირო ასორტიმენტში და მცირე პარტიებით ცენტრალიზებული წესით შევზიდოთ ის მაღაზიებში. საბითუმო ბრუნვის ამ ფორმის გამოყენებისას მაღლდება მომმარაგებელი ორგანიზაციის პასუხისმგებლობა საქონლის არსებობაზე და შეუფერხებელ გაყიდვაზე იმ სავაჭრო ქსელში, რომელსაც ისინი ემსახურებიან.

თუ გავითვალისწინებთ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების სპეციალიზაციის გაფართოებას, საცალო ქსელის უნივერსალიზაციას ვაჭრობის განვითარებას სამომხმარებლო კომპლექტების მიხედვით, ამჟამად საბითუმო ბრუნვის სასაწყობო ფორმა უფრო აუცილებელი ხდება.

რა თქმა უნდა, სასაწყობო ბრუნვის დროს ხარჯები რამდენადმე იზრდება, რომელიც დაკავშირებულია სატრანსპორტო-საექსპლოატაციო და სასაწყობო ოპერაციებთან და ერთი შეხედვით ნელდება საქონელმოძრაობა. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ დროს ხდება სასაქონლო მარაგის კონცენტრაცია და იქმნება შესაძლებლობა უფრო ოპერატიულად მოვახდინო მათი მანევრირება, უზრუნველყოფილია მაღაზიების რიტმული საქონელმომარაგება, ბრუნვის სასაწყობო ფორმის ეკონომიკური ეფექტიანობა ტრანზიტულზე ნაკლები არაა.

§ 2. საქონლის საბითუმო გაყიდვის ოპერატიული დაგეგმვა

საბითუმო ბაზებში საქონლის გაყიდვის ოპერატიული დაგეგმვის მიზანს წარმოადგენს საბითუმო მყიდველებისათვის საქონლის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებების წარმატებით შესრულება, რიტმული მომარაგება, სასაქონლო რესურსების მოხერხებული მანევრირება.

საბითუმო ბაზების (კანტორების) ოპერატიულ გეგმებში გაითვალისწინება:

ბაზის მომსახურების ზონაში შემავალი საცალო სავაჭრო საწარმოებისა და ორგანიზაციებისადმი საქონლის მიყიდვა;

სამრეწველო მოხმარებისა და სამრეწველო გადამუშავების ფონდების მიხედვით არასაბაზრო მომხმარებლებისადმი საქონლის მიწოდება; თავისი რესპუბლიკის სხვა ოლქებში მდებარე თავისივე სისტემის სხვა ბაზებისადმი საქონლის გაგზავნა;

რესპუბლიკათაშორისი მიწოდების გეგმის შესაბამისად თავისი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ საქონლის გაზიდვა;

საქონლის გაყიდვის ოპერატიულ გეგმებს საბითუმო საწარმოებმა საფუძვლად უნდა დაუდონ: საბითუმო საქონელბრუნვის მოცულობა და სტრუქტურა, რომელიც დაგეგმილია შესაბამის პერიოდში და გასული პერიოდის საქონლის გაყიდვის გეგმის შესრულებისა და სასაქონლო მარაგების ანალიზის მონაცემები; გასული და საგეგმო პერიოდში საცალო სავაჭრო ქსელში ცალკეული საქონლის გაყიდვისა და მარაგების მოცულობა და სტრუქტურა; საცალო ვაჭრობისა და სხვა ბითუმად მყიდველების მოთხოვნილება საქონელზე.

ბითუმად გაყიდვის ოპერატიული გეგმის დამუშავების დროს გაითვალისწინება აგრეთვე საბითუმო საწარმოს შეკვეთების დაკმაყოფილების დონე მიმდინარე მიწოდებით, საგეგმო წელს მომწოდებლებისაგან საქონლის ნავარაუდები შემოსვლის მოცულობა და სტრუქტურა.

საბითუმო ბაზებს აღნიშნული მიზნისათვის აქვთ აუცილებელი მასალები. მაგალითად, საქონელზე საცალო სავაჭრო საწარმოების მოთხოვნილება განისაზღვრება მათი განაცხადებისა და შეკვეთების საფუძველზე, მიმწოდებლებისაგან საქონლის შემოსვლა ფიქსირდება შესყიდვების ოპერატიული აღრიცხვის მონაცემების მიხედვით და ა. შ.

გეგმური და რეგულირებული ყველა საქონლის მიხედვით გაყიდვის მოცულობის განსაზღვრისათვის საფუძველს წარმოადგენს სავაჭრო ორგანიზაციებს შორის რესურსების განაწილების გეგმა. ეს გეგმები საბითუმო საწარმოებებამდე დაიყვანება საოლქო (სამხარეო) ვაჭრობის სამმართველოების მიერ (სახელმწიფო ვაჭრობაში) და მომხმარებელთა საზოგადოებების კავშირების მიერ (სამომხმარებლო კოოპერაციაში).

ბაზების მიერ თავისუფლად სარეალიზაციო საქონლის გაყიდვის მოცულობა, რომელიც გათვალისწინებულია ოპერატიულ გეგმაში, განისაზღვრება მყიდველებთან შეთანხმებული შეკვეთიდან გამომდინარე.

ეს მონაცემები საშუალებას აძლევს საბითუმო საწარმოს დააკონკრეტოს თავის ოპერატიულ გეგმაში შესაბამისი საქონლის ბითუმად გაყიდვის მოცულობა ყოველი მყიდველის მიხედვით მთელ წელიწადში მიწოდების შიგაწლიური ვადების გათვალისწინებით.

გაყიდვის ოპერატიული გეგმის შედგენისას გაითვალისწინება ბითუმად მყიდველთა მოთხოვნის სეზონური ცვალებადობა, საქონლის შესყიდვის მოცულობის გადიდების აუცილებლობა წინასაღწევისასააუ-

ლო ვაქრობის მომზადების დროს, ახალი სასწავლო წლის დასაწყისისათვის, ვადაზე ადრე საქონლის შეზიდვასთან დაკავშირებით და სხვ.

ოპერატიულ გეგმაში საქონლის გაყიდვის საერთო მოცულობა იყოფა საბითუმო ბრუნვის ფორმების მიხედვით. საქონლის მიწოდება არასაბაზრო მომხმარებლებზე, გადატვირთვა შიგასისტემური ბრუნვის მიხედვით და რესპუბლიკათაშორისო მიწოდების წესით, გაითვალისწინება ტრანზიტით.

გაყიდვის სასაწყობო და სატრანზიტო ბრუნვას შორის თანაშეფარდების განსაზღვრისას გაითვალისწინება რიგი ეკონომიკური და ორგანიზაციულ-ტექნიკური ფაქტორები: მიწოდების მიზნობრივი დანიშნულება (საბაზრო, არასაბაზრო ფონდები); ბითუმად მყიდველთა ადგილმდებარეობა საქონელმოძრაობის გზებთან დაკავშირებით; საქონლის ასორტიმენტის სირთულე და მისი სასაწყობო დახარისხების აუცილებლობა; სატარო ადგილების გაბარიტები და სატარო ადგილში საქონლის ერთეულების რაოდენობა; ერთ ქალაქში მყოფ რამდენიმე მყიდველისათვის ნაკრები ვაგონებისა და კონტეინერებიანი ბაქნების შედგენის შესაძლებლობა და სხვა.

საქონლის ბითუმად გაყიდვის ოპერატიული გეგმის აუცილებელ ატრიბუტებს, რომელნიც უზრუნველყოფენ საბითუმო ბაზის მუშაობის რიტმულობას, წარმოადგენს მყიდველთა მიერ მოთხოვნებისა და შეკვეთების წარდგენის ვადების, სპეციფიკაციების დაზუსტების, ასორტიმენტისა და საქონლის მორიგი პარტიის რაოდენობის შეთანხმებისათვის სავაჭრო ორგანიზაციების ბაზაში მისვლის გრაფიკისა და ბაზის საწყობებიდან საქონლის გეგმისა და გაგზავნის გრაფიკის რეგლამენტირება.

განსხვავებით სავაჭრო ბაზებისა გამოსასვლელი და სავაჭრო შემსყიდველი ბაზები ადგენენ გაზიდვის ოპერატიულ გეგმებს თავისი საბითუმო მყიდველებისადმი. კონკრეტული პირობების მიხედვით გაზიდვის ოპერატიულ გეგმებში გაითვალისწინება საქონლის მსხვილი პარტიის გაგზავნა ან სავაჭრო ბაზის საწყობებში, ან უშუალოდ მისი მყიდველებისათვის ტრანზიტით.

ოპერატიული კონტროლი საქონლის გაყიდვაზე. საქონლის ბითუმად გაყიდვის ორგანიზაციაში მნიშვნელოვანი ადგილი მიეკუთვნება ოპერატიულ აღრიცხვას, როგორც კონტროლის საშუალებას საბითუმო საწარმოების მიერ მყიდველების წინაშე თავისი ვალდებულების შესრულებაზე. ამ მიზნით საბითუმო ბაზებში წარმოებს ყველა საქონლის გაყიდვის ოპერატიული აღრიცხვა.

აღრიცხვის მიზნისათვის გამოიყენება წიგნები ან პირადი საგეგმოსაკონტროლო ბარათები, რომელიც შემოღებულია ყოველ მყიდველზე, ვისთანაც დადებულია ხელშეკრულება. ბარათებში იწერება მყიდველთა რეკვიზიტები, ბაზის მიერ ხელშეკრულებით აღებული ვალდებულება და მათი ფაქტობრივი შესრულება დოკუმენტებზე მითითებით (ანგარი-

შები, სატრანსპორტო ზედებულები და ა. შ. აუ მყიდველს ხელშეკრულების თანახმად ყავს მოწილადეები, რომლებიც მისი განწესით ბაზისათვის ჩაბარებულ საქონელს უშუალოდ ღებულობენ. ყოველ მოწილადეზე შემოღებულა ცალკე ბარათი. დაჯამებული მონაცემები ყველამიმღების მიხედვით ნაერთის სახით შეიტანება მყიდველის პირად ბარათში.

საქონლის მიღების ბარათებში აღრიცხვა წარმოებს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილში — სპეციფიკაციაში გათვალისწინებული საქონლის მთელი ნომენკლატურის მიხედვით.

ბარათებში მითითებულია მიწოდების საერთო მოცულობა და მიწოდების მოცულობა კერძო ვადების მიხედვით (დეკადა, თვე, კვარტალი) სასაწყობო და სატრანზიტო ფორმებად დაყოფით.

საბითუმო ბაზაში წარმოებული გაყიდვის ოპერატიული აღრიცხვის შეჯამებულ მონაცემებს პერიოდულად უდარებენ საქონლის მყიდველების, ან მიმღებების მიერ წარმოებულ აღრიცხვის მონაცემებთან, რაც აადვილებს კონტროლს მხარეების მიერ ხელშეკრულების მიხედვით ვალდებულებების შესრულებაზე. საბითუმო ბაზებში გამოთვლითი ტექნიკის თანამედროვე საშუალებების დანერგვა აღრიცხვის ოპერაციებსაც ბევრად ამსუბუქებს, ხოლო საქონლის გაყიდვაზე კონტროლს უფრო ქმედითს ხდის.

§ 3. საწყობიდან საქონლის ბითუმად გაყიდვის მეთოდები

ბრუნვის ფორმები და ბითუმად გაყიდვის მეთოდები საბითუმო ვაჭრობის სხვადასხვა რგოლში სხვადასხვანაირად ყალიბდება. ცენტრალურ საბითუმო რგოლებში ბრუნვის ძირითადი წილი მოდის ტრანზიტზე. საშუალოსა და ძირეულში ვაჭრობს სასაწყობო ფორმა. ასეთივე განსხვავება არსებობს საქონლის ბითუმად გაყიდვის ოპერაციებში გამოსასვლელ და სავაჭრო ბაზებს შორის, სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საბითუმო ბაზებს შორის. მიუხედავად ამისა ძირითადად საქონლის დიდი ნაწილი საღდება საბითუმო საწარმოების საწყობებიდან.

სასაწყობო ბრუნვის დროს საქონლის გაყიდვის უფრო გავრცელებულ მეთოდებს წარმოადგენს: გაყიდვა პირადი შერჩევით, წერილობითი შეკვეთით და ტელეფონით გადაცემული განაცხადით. საამანათო ოპერაციებით; მიმომსვლელი საქონელმცოდნეების საშუალებით და საზიდი ვაჭრობის გზით.

მეთოდის არჩევა განისაზღვრება ბითუმად მყიდველების საქმიანობის მასშტაბით და მათი დაშორებით საბითუმო ბაზიდან, საქონლის სპეციფიკურობით და მისი შიგაჯგუფური ასორტიმენტის სიფართოვით, შესყიდვის პერიოდულობით და შესასყიდი საქონლის პარტიის სიდი-

დით, საბითუმო საწარმოების სასაწყობო მეურნეობის მდგომარეობით, სატრანსპორტო კავშირების განვითარებით და ა. შ.

საქონლის ბითუმად გაყიდვის არჩეული მეთოდის მიუხედავად, აუცილებლად უნდა შესრულდეს შემდეგი მოთხოვნები: ბითუმად მყიდველთა მომსახურების კულტურის საერთო დონის ამაღლება და მათთვის საქონლის შესყიდვის დროს უდიდესი მონერჩებულობის შექმნა; მკაფიოდ დამუშავება ოპერაციების იმ სისტემისა, რომელიც უზრუნველყოფს საბითუმო საწარმოების პერსონალისა და მათი კლიენტურის დროის უმცირეს დახარჯვას; შესყიდული საქონლის დანიშნულების მიხედვით მიტანის მაქსიმალურად შესაძლო დაჩქარება და რა თქმა უნდა მაღალი ეკონომიკური ეფექტიანობის მიღწევა.

საქონლის გაყიდვა პირადი შერჩევით გამოიყენება უმთავრესად რთული ასორტიმენტის საქონელზე. ბითუმად მყიდველებად აქ გამოდიან, როგორც წესი, მსხვილი საცალო სავაჭრო ორგანიზაციები და საწარმოები. მათ წარმომადგენლებს შესაძლებლობა ეძლევათ დეტალურად გაეცნონ ბაზაში არსებულ საქონელს ყველა საასორტიმენტო პოზიციის სახეებისა და ნაირსახეობის, მოდელებისა და ფასონების, ფერებისა და სურათების, ზომებისა და სიმაღლეების მიხედვით და დარწმუნდეს საქონლის ხარისხში, მის გარეგნულ სახესა და გაფორმებაში.

პირადი შერჩევა მიზანშეწონილია ქსოვილების, შეკერილი და ტრიკოტაჟის ნაწარმის, თავსამკაულისა და ბეწვეულის, ბევრი საგალანტერიო და პარფიუმერიის საქონლის, საკონდიტრო ნაწარმის, ყურძნის, სამარკო ღვინოების, ლიქიორ-კონიაკის ნაწარმისა და რიგი სხვა, განსაკუთრებით ახალი და ნაკლებად ცნობილი, საქონლის გაყიდვის დროს.

ბაზაში არსებული საქონლის ნიმუშების მყიდველთათვის გაცნობა შეიძლება მოხდეს უშუალოდ სასაქონლო სექციებში და საკუქნაოებში. მაგრამ ბაზის კლიენტებისათვის ეს ყოველთვის მოხერხებული არ არის და სასაწყობო პერსონალს მუშაობაში ხელს უშლის. ამიტომ უკეთესია ამ მიზნებისათვის გამოვიყენოთ და სათანადოდ მოვაწყოთ საქონლის ნიმუშების სპეციალური ოთახები, საასორტიმენტო კაბინეტები, ხოლო მსხვილ ბაზებში შეიქმნას სადემონსტრაციო დარბაზები.

ასეთი სახის სათავსებში ეწყობა ბაზის საწყობებში არსებული ყველა საქონლის ნიმუშების გამოფენა. სასაქონლო ნიმუშების განლაგების დროს დაცული უნდა იყოს გარკვეული სისტემა. საქონელს განლაგებენ ჯგუფებისა და ქვეჯგუფების წამყვანი საასორტიმენტო ნიშნების, ფასების თანრიგის მიხედვით და ა. შ., ამგვარად შეიქმნება სექციები, რომელნიც შეესაბამება ან სამომხმარებლო კომპლექსებს, ან ბაზის სტრუქტურულ აგებულებასა და არსებულ სასაქონლო განყოფილებებს.

სასაქონლო ნიმუშს მიმავრებული აქვს ბარათი, რომელშიც მითითებულია საქონლის დასახელება და სახე, მისი სორტი, ფასი, ნაირსახეობა, წარმოება, რომელმაც იგი დაამზადა, გაცემისა და გაგზავნის

პირობები. საასორტიმენტო კაბინეტებში მსხვილგაბარიტიანი საქონლის ნიმუშების გამოფენა არ არის რეკომენდებული. საკმარისია ვიქონიოთ კატალოგებიანი პროსპექტები.

განსაკუთრებულ სტენდებზე ან ვიტრინებში ეწყობა ჩვენება ახალი საქონლის ნიმუშებისა, რომელიც შემოსულია ან მოსალოდნელია და მითითებულია მათზე შეკვეთის მიღების წესი.

საასორტიმენტო კაბინეტის ან სადემონსტრაციო დარბაზის სექციებში მუშაობენ საქონელმცოდნე-გამსაღებლები, რომლებიც აცნობენ მყიდველებს საქონელს, მის ასორტიმენტსა და ხარისხს და ღებულობენ შეკვეთას საქონლის გაყიდვაზე.

პირადი შერჩევის საფუძველზე გაყიდვის ვაფორმება მთავრდება შესარჩევი ფურცელ-ზედებულის გამოწერით, რომელიც საქონელმცოდნეების მიერ იგზავნება საწყობის სასაქონლო სექციაში შეკვეთის გადაჩევისა და კომპლექტაციისათვის შემდგომში ბაზის ბუღალტერიის მიერ ანგარიშფაქტურისა და საგადასახადო მოთხოვნის გამოწერით, რომელიც იგზავნება მყიდველის მინამართზე საქონელთან ერთად.

საქონლის პირადი შერჩევის დროს მყარდება უშუალო კონტაქტი საბითუმო საწარმოს მუშაკებისა და მიღი კლიენტურის—საცალო ვაჭრობის წარმომადგენლებს შორის. ეს საშუალებას იძლევა გამოვავლინოთ მყიდველთა დამოკიდებულება საქონელთან, მის ასორტიმენტთან, ხარისხთან, გარეგნულ ვაფორმებასთან, დადგინდეს ტენდენცია მოსახლეობის მოთხოვნის ცვლილებებში, გათვალისწინებულ იქნეს შენიშვნები და სურვილები, რომელნიც საბითუმო საწარმოების მიერ გამოიყენება მათ მიერ მრეწველობისაგან საქონლის შესყიდვების ჩატარების დროს.

ბაზების მიერ თავისუფლად გასაყიდ საქონელზე, რომელიც არ მოითხოვს მყიდველთა განსაკუთრებულ კონსულტაციას, პირადი შერჩევა შეიძლება წარმოებდეს თვითმომსახურების საფუძველზე. ამისათვის საქონლის ნიმუშები მარაგდება ბარათებით, რომელნიც შეიცავენ საქონლის უფრო დაწვრილებით დახასიათებას და მონაცემებს ბაზაში მისი არსებობის შესახებ შესაბამისი თარიღის მიხედვით. საქონლის ყოველ ნიმუშთან უნდა იყოს შეკვეთის ბლანკები, რომელსაც მყიდველი დამოუკიდებლად ავსებს სასაქონლო ნიმუშების გაცნობის შემდეგ და ჩაუშვებს ყუთში. საასორტიმენტო კაბინეტის მუშაკები დღის განმავლობაში შეაგროვებენ შეკვეთის შევსებულ ბლანკებს და სათანადო დამუშავების შემდეგ (დახარისხება, რეგისტრაცია) აგზავნიან შესასრულებლად საწყობების სასაქონლო სექციებში.

მყარი, აგრეთვე, მარტივი ასორტიმენტის მნიშვნელოვანი წრის საქონლის გაყიდვა შეიძლება მოეწყოს საწყობიდან მყიდველთა წერილობითი შეკვეთით (მათი წარმომადგენლის საბითუმო ბაზაში მოსვლის გარეშე).

შეკვეთების მიხედვით საქონლის გაყიდვის უფრო მკაფიო ორგანიზაციისათვის და მიღებაში, შესრულებაში და აღრიცხვაში ერთგვაროვნების უზრუნველყოფისათვის საბითუმო ბაზებში შემოღებულია შეკვეთის ერთიანი ბლანკი, რომელიც წინასწარ ეგზავნება მყიდველებს. შეკვეთის ხასიათისა და დანიშნულების მიხედვით ბლანკები შეიძლება იყოს სხვადასხვა ფერის.

შეკვეთის ბლანკს მიზანშეწონილია ჰქონდეს მოსახვევი ნაწილი საქონლის ცალკეული ჯგუფის ან ბაზის სასაქონლო სექციების შესაბამისად. ბლანკის ფორმა არ უნდა იყოს მეტისმეტად დიდი. იგი შეიძლება შეიცავდეს საქონლის დასახელებას, ზომის ერთეულს, სორტულობას, ფასს, შეფუთვისა და დოზირების (სასურსათო საქონლისათვის) სახეს, შეკვეთილი საქონლის ერთეულების რაოდენობას, მიღების სასურველ ვადებს.

შეკვეთის ბლანკებს ხელს აწერს მყიდველის პასუხისმგებელი პირი საცალო სავაჭრო ორგანიზაციის კომერციული დირექტორი, სავაჭრო განყოფილების უფროსი, მაღაზიის დირექტორი. ბაზაში შემოსული ყველა წერილობითი შეკვეთა ტარდება შეკვეთების წიგნში და დაუყოვნებლივ გადაეცემა საწყობის სექციას შესასრულებლად.

საბითუმო საწარმოების მიერ მყიდველთა წერილობითი შეკვეთების შესრულება ორგანიზებულ უნდა იქნეს რიგი მოთხოვნების დაცვით, კერძოდ, საქონლის გაგზავნა მყიდველისათვის მის მიერ შეკვეთილი ასორტიმენტით და რაოდენობით, რომელიც შეესაბამება მასთან დადებულ ხელშეკრულებას, შეკვეთის შესრულების უზრუნველყოფა რაც შეიძლება მოკლე დროში. თუ ბაზას მყიდველის შეკვეთის მთლიანი ან ნაწილობრივი დაკმაყოფილების საშუალება არა აქვს, იგი ვალდებულია აცნობოს მას შეკვეთის შესრულების ვადის შესახებ ან შესთავაზოს საქონლის ურთიერთშემცვლელით.

საქონლის გაყიდვა ტელეფონით შეკვეთით თავისი არსით ცოტა რამით განსხვავდება წერილობითი შეკვეთებისაგან. მაგრამ ასეთი მეთოდი გაყიდვისა უფრო ოპერატიულია. ამასთან შესაძლებელია მყიდველთან მაშინვე იქნეს შეთანხმებული ბაზის საწყობებში შეკვეთის ძირითადი პოზიციები არსებული საქონლის გათვალისწინებით და ინფორმირებული იქნეს მყიდველი ახალშემოსული ან მოსალოდნელი საქონლის შესახებ.

სხვა ქალაქში მყოფი მყიდველებისათვის მოხერხებულია საქონლის გაყიდვის მეთოდი საფოსტო-საამანათო ოპერაციების გზით. ამ მეთოდით იყიდება საგალანტერიო საქონელი, პარფიუმერია, ტრიკოტაჟი და წინდა-თათმანის ნაწარმი, საკანცელარიო და საწერი ქაღალდის საქონელი, საკვების კონცენტრატები და ზოგი სხვა საქონელი.

საბითუმო ბაზები აღნიშნული საქონლისაგან აკომპლექტებენ ტიპურ ნაკრებებს და აგზავნიან მას განაცხადების მიხედვით საფოსტო.

ამანათებით საცალო სავაჭრო ორგანიზაციების მომხმარებელთა საზოგადოებების, მაღაზიების მისამართით. სათანადო საქონლის ნაკრებით ამდაგვარი ამანათების მიღება საცალო სავაჭრო საწარმოებს საშუალებას აძლევს შეავსონ საქონლის ასორტიმენტი შედარებით მოკლე დროში.

საფოსტო-საამანათო ოპერაციების გზით საქონლის შესყიდვა ეკონომიკურად ხელსაყრელია საცალო ვაჭრობისათვის, რომელიც დიდ დათმობას ღებულობს საცალო ფასიდან და აქვს ნაკლები ხარჯები საქონლის მიტანაზე, რომელიც საცალო ქსელში ხედება შუალედი სასაწყობო რგოლების გვერდის ავლით.

საფოსტო-საამანათო ოპერაციებს იყენებენ სახელმწიფო საბითუმო ვაჭრობის საგალანტერიო საქონლის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების და სამეურნეო საოჯახო საქონლის ბაზები. საქონლის ბითუმად გაყიდვის ამ სახემ უფრო ფართო განვითარება მიიღო სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში, რომელსაც აქვს საბითუმო-საამანათო ბაზების ქსელის მქონე სპეციალური საბითუმო მთავარი სამმართველო — „მთავარკოოპამანათვაჭრობა“. მასთან ერთად გაყიდვას ამანათებით „ცენტროსოიუზის“ სისტემაში ახორციელებენ „მთავარკოოპსამეურნეოვაჭრობა“ და „ცენტროკოოპსურსათკანტორა“.

საქონლის ბითუმად გაყიდვის აქტიურ მეთოდს წარმოადგენს მისი მიყიდვა საცალო სავაჭრო ორგანიზაციებსა და საწარმოებისადმი მიმომსვლელი საქონელმცოდნეების საშუალებით და დატარებითი გაყიდვა სავაჭრო ქსელში.

მიმომსვლელი საქონელმცოდნეები, რომლებიც სისტემატურად მიემგზავრებიან საბითუმო ბაზის მომსახურების ქალაქებში და რაიონულ ცენტრებში, ეცნობიან ადგილობრივი სავაჭრო ქსელს საქონლის ასორტიმენტს და შესასყიდად სთავაზობენ თავის ბაზის საქონელს. საქონელმცოდნეებს აქვთ საქონლის ნიმუშების კოლექცია, ალბომები, კატალოგები, პროსპექტები. ადგილზე მიღებული შეკვეთები ფორმდება და გადაეგზავნება ბაზას შესასრულებლად.

მიმომსვლელი საქონელმცოდნეების დახმარებით შეიძლება წარმატებით გაიყიდოს ქსოვილები და საფარდე-სალეჩაქე ნაწარმი, მუშაობა და შპალიერი, საგალანტერიო საქონელი, პარფიუმერია; ლითონის ნაწარმი და ნაწარმი პლასტიკური მასებისაგან, საკვები კონცენტრატები, ბავშვთა კვების პროდუქტები და სხვა.

ამ მეთოდის ნაირსახეობას წარმოადგენს რიგი საქონლის დატარებითი გაყიდვა. ამ შემთხვევაში საქონელმცოდნე-გამსაღებელი ან ექსპედიტორი, განსაზღვრული საქონლით დატვირთული მანქანით მიემგზავრება და ჩამოივლის რა მაღაზიებს, რომელსაც ემსახურება, ადგილზე აფორმებს გაყიდვის ოპერაციას და ტოვებს გაყიდულ საქონელს. ასეთი მეთოდი უფრო ხშირად გამოიყენება სამომხმარებლო კოოპერა-

ცაში დაშორებულ რაიონებში მყოფი სოფლის მალაზიებისადმი საქონლის მიყიდვის დროს.

შეუფერხებელი ვაჭრობის უზრუნველყოფა, განსაკუთრებით ყოველდღიური მოთხოვნისა და საკმაო ასორტიმენტის საქონლით, აგრეთვე, საქონლის შეზიდვის ორგანიზაციისაგან საცალო სავაჭრო საწარმოების ხელმძღვანელთა განთავისუფლებას, ბევრად უწყობს ხელს საბითუმო ვაჭრობის საწარმოებში სადისპეტჩერო სამსახურის შექმნა.

სადისპეტჩერო სამსახურის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს: ხელშეკრულებების, შეკვეთებისა და შეზიდვის გრაფიკის შესაბამისად საცალო ვაჭრობის საწარმოებში საქონლის რიტმული შეზიდვის ორგანიზაცია; ოპერატიული კონტროლის განხორციელება ყოველდღიური მოთხოვნისა და საკმაო რაოდენობის ასორტიმენტის საქონლით საცალო სავაჭრო საწარმოების უზრუნველსაყოფად, ამ საქონლის გაყიდვაში შესაძლებელი შეფერხებების აცილების მიზნით.

აღნიშნული ამოცანების შესრულებისათვის სადისპეტჩერო სამსახურს ევალება ყოველდღიურად შეაგროვოს მალაზიებისა და საცალო სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელებისაგან ოპერატიული ინფორმაციები ყოველდღიური მოთხოვნისა და საკმაო ასორტიმენტის საქონლის გაყიდვაში არსებობის, მარაგების შესავსებად მისი შეზიდვის აუცილებლობის შესახებ და პრაქტიკული ზომების მიღება საცალო ქსელში საქონლის უფრო რაციონალური შეზიდვისათვის.

სადისპეტჩერო სამსახური მუშაობს ბაზის (კანტორის) მმართველის მოადგილის ხელმძღვანელობით.

§ 4. საქონლის გითუმად გაყიდვა სატრანზიტო ბრუნვის დროს

საბითუმო ბაზების მიერ ტრანზიტით გასაყიდი საქონლის ხვედრითი წონა გაითვალისწინება ხელშეკრულებებში, რომელიც იდება საქონლის მიმწოდებელსა და მყიდველს შორის. ტრანზიტით გასაგზავნი საქონლის რაოდენობა, ასორტიმენტი და გაგზავნის ვადები, რომელიც მიმწოდებლებისა და მყიდველების ხელშეკრულებებშია აღნიშნული, იდენტური უნდა იყოს.

იმის გამო, რომ სატრანზიტო ბრუნვის დროს საქონლის გაგზავნა ან გაცემა ხორციელდება მიმწოდებლების მიერ საქონლის მიმღებლებზე, რომლებიც მათთან არ არიან სახელშეკრულებო ურთიერთობაში, საჭიროა განკარგულება ხელშეკრულების მიხედვით, მყიდველისა, როგორცაა საბითუმო ბაზა წარმოადგენს. ასეთ განმკარგულებელ დოკუმენტად გამოიყენება განაწესები ან განრიგები. მათი გაცემის საფუძველს მიმწოდებლისათვის, საქონლის ტრანზიტით გამოგზავნაზე, წარმოადგენს ხელშეკრულებაზე თანდართული და სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილეებთან შეთანხმებული სპეციფიკაცია.

„განრიგების ან განწესების წარდგენის წესი და ვადები გაითვალისწინება მიწოდების განსაკუთრებულ პირობებში ან მიმწოდებლებთან ხელშეკრულებით. თუ განწესების გაგზავნის ვადები მიწოდების განსაკუთრებულ პირობებში, ან ხელშეკრულებებში არ არის გათვალისწინებული, ისინი უნდა გაიგზავნოს ყოველკვარტალურად, ერთი თვით ადრე მორიგი კვარტალის დადგომამდე.

განწესებში მითითებულია: საქონლის დასახელება, რაოდენობა და მიწოდების ვადები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ასორტიმენტში; ხელშეკრულების ნომერი და თარიღი; მიმღების სრული დასახელება, მისი საფოსტო და სატელეგრაფო მისამართი; რკინიგზა და დანიშნულების სადგური (წყლით მიმოსვლის გზების გამოყენებისას — ნაოსნობა და დანიშნულების ნავმისადგომი, ნავსადგური); გადამხდელის ზუსტი სახელწოდება, მისი საფოსტო და სატელეგრაფო მისამართი; სახელწოდება და ადგილსამყოფელი ბანკისა, რომელიც მას ემსახურება, ანგარიშსწორების ანგარიშის ნომერი ბანკში. მხარეების მიერ ხელშეკრულებაში შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს განწესების დამატებითი რეკვიზიტები.

• ტრანზიტით გათვალისწინებულთ გამოგზავნი საქონლის პარტიისა და მისი შემოსვლის განსაზღვრული ვადების შესახებ, საბითუმო ბაზა საქონლის მიმღებებს თავის დროზე აცნობებს.

საბითუმო საწარმოების ფუნქციები სატრანზიტო ბრუნვის დროს ამით, ცხადია არ მთავრდება. სატრანზიტო მიწოდების შესრულება მიმწოდებლის მიერ საქონლის სრული და თავის დროზე გამოგზავნა, საქონლის მიღება და გადახდა მიმღებების მიერ საბითუმო საწარმოს კონტროლის ქვეშ უნდა იყოს.

• ტრანზიტით საქონლის გაყიდვის ვალდებულების შეუსრულებლობაზე საბითუმო საწარმოები თავისი მყიდველების წინაშე, ხელშეკრულების მიხედვით ისეთივე პასუხისმგებლობაში არიან, როგორც საწყობიდან საქონლის გაყიდვის დროს.

სახსრების დაბანდების გარეშე სატრანზიტო გამოგზავნაზე კონტროლი წარმოებს ყოველთვის (ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა ვადებში) ანგარიშების ასლების ან რეესტრების მიხედვით, რომელსაც მიმწოდებლები უგზავნიან საბითუმო საწარმოებს.

საქონლის საბითუმო გაყიდვის ზემოთ განხილულ მეთოდებთან ერთად, უკანასკნელ წლებში, ფართო გავრცელებას ღებულობს საქონლის გაყიდვა საბითუმო ბაზრობებზე.

საქონლის გაყიდვა საბითუმო ბაზრობებზე თავისი ხასიათით განსხვავდება მხოლოდ მოცულობით, რამდენადაც დასაგვემი საქონლის მიხედვით მას თან ახლავს წლიური ხელშეკრულებების დადება. დანარჩენში გაყიდვის ოპერაციები ზემოთ განხილული მეთოდების ანალოგიურია.

რ ე კ ლ ა მ ა ვ ა ზ რ ო ბ ა უ ი

§ 1. სავაჭრო რეკლამის არსი და ამოცანები

• სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გაფართოებასა და ვაჭრობის განვითარებაში დიდ როლს თამაშობს რეკლამა. სავაჭრო რეკლამა ხელს უწყობს ვაჭრობის კულტურის დონის ამაღლებას, მომხმარებლებს უქმნის მოხერხებულობას, აადვილებს საქონლის შესყიდვის პროცესს და ამცირებს დროის დანახარჯებს მაღაზიებში მისვლაზე. მას ახასიათებს მიწოდებული ცნობების უტყუარობა და სიზუსტე. ის ემყარება მომხმარებლის დარწმუნების მეთოდებს, ავითარებს მის გემოვნებას, აყალიბებს მოთხოვნას ახალ ნაწარმზე აწყვეტს რა ამ ამოცანებს, სავაჭრო რეკლამა გამოდის სოციალისტური წარმოების მიღწევათა, სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების, განვითარებაში მოპოვებული წარმატებათა პროპაგანდისტად.

სავაჭრო რეკლამა აჩქარებს საქონლის გაყიდვას, ხელს უწყობს საცალო საქონელბრუნვის გადიდებას. კაშკაშა, ფერადოვანი რეკლამა ამშვენებს ჩვენი ქალაქების ქუჩებს.

• იზრდება სავაჭრო რეკლამის მნიშვნელობა თვითმომსახურების და საქონლის გაყიდვის სხვა პროგრესული მეთოდების ფართოდ დანერგვის პირობებში. აქ რეკლამა მოწოდებულია აღმოუჩინოს დახმარება მყიდველებს მათი დამოუკიდებლობის ამაღლების საქმეში საქონლის ყიდვის დროს. ¹

• ამგვარად, სოციალისტური სავაჭრო რეკლამა წარმოადგენს საორგანიზაციო-ტექნიკური, ეკონომიკური, ესთეტიკური და ფსიქოლოგიური საშუალებებისა და მეთოდების ერთობლიობას, რომელიც გამოიყენება მოსახლეობის ფართოდ და ობიექტური ინფორმაციისათვის საქონლის თვისებებსა და ხარისხზე, სავაჭრო ქსელის განლაგებაზე და მყიდველთა სავაჭრო მომსახურების ფორმებზე. ²

თავისი ხასიათითა და მიზნებით სოციალისტური სავაჭრო რეკლამა პრინციპულად განსხვავდება კაპიტალისტური ვაჭრობის რეკლამისაგან. კაპიტალისტურ ქვეყნებში რეკლამა, ემსახურება რა მონაპოლისტურ

კაპიტალს, მოწოდებულია ყოველნაირი საშუალებებით ხელი შეუწყოს საქონლის გაყიდვას და მაქსიმალური მოგების მიღებას. ამ მიზნით ის იყენებს სხვადასხვაგვარ, მათ შორის არაკეთილსინდისიერ ხერხებსა და მეთოდებს.

კონკურენტული ბრძოლის პირობებში საქონლის გასაღების სიძნელებები იწვევს რეკლამაზე უდიდეს დანახარჯებს. ხარჯები რეკლამაზე ამშ, იაპონიაში და დასავლეთ ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებში აღწევენ კოლოსალურ ოდენობას, შეადგენს რა ამ ქვეყნების ეროვნული შემოსავლის 1-დან 3%-მდე. განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში ინტენსიურად განვითარდა სარეკლამო მრეწველობა მრავალრიცხოვანი კონცერნებით, კომპანიებითა და სააგენტოებით.

სარეკლამო სააგენტოები სწავლობენ კლიენტის საქონელს და მის შეგუებულობას ბაზართან, ირკვევენ თვით ბაზარს, პოულობენ საქონლის გაყიდვის ხელშემწყობ პირობებს და გზებს. ამ გამოკვლევათა საფუძველზე ამუშაებენ სარეკლამო ღონისძიებათა გეგმებს და ახორციელებენ მათ.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რეკლამის ორგანიზაციის საქმეში ეგრეთ წოდებულ „პაბლიკ რელიეიშზ“ — პროპაგანდისტულ ღონისძიებებს, რომლებიც ხელს უწყობენ საზოგადოებრივი აზრის შექმნას და კეთილმოსურნე დამოკიდებულებას ამა თუ იმ კომპანიებსა და ფორმებისადმი და მათ მიერ რეალიზებულ საქონელს ან გაწეულ სამსახურს.

ჩვენი რეკლამა ჯერ კიდევ მთლიანად ვერ პასუხობს ვაჭრობის მაღალი კულტურის მოთხოვნებს. ეს აღძრავს აუცილებლობას მისი როლის ამღლებისა საცალო და საბითუმო სავაჭრო საწარმოებისა და ორგანიზაციების პრაქტიკულ საქმიანობაში და, აგრეთვე, მრეწველობის დარგებში, რომლებიც უშვებენ სახალხო მოხმარების საქონელს.

კაპიტალისტური სავაჭრო რეკლამის ცალკეული ორგანიზაციულ-ტექნიკური და სამხატვრო ხერხების გამოყენება, მოწინავე მშობლიური გამოცდილების და სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების მიღწევათა განზოგადება და გავრცელება ხელს შეუწყობენ სავაჭრო რეკლამის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას. ყოველივე ეს მოითხოვს ხარჯების რამდენადმე გადიდებას. მაგრამ რეკლამაზე ხარჯების ნაწილობრივი გადიდება მისი კარგი ორგანიზაციის პირობებში მოიტანს სათანადო სოციალურ და ეკონომიკურ ეფექტს.

§ 2. სავაჭრო რეკლამის სახეები და საშუალებანი

სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების მოცულობის გადიდება და მათი ასორტიმენტის გაფართოება ზრდის სავაჭრო რეკლამის როლს. ათეული და ასეული ათასი დასახელების საქონლის კოლოსალურ ნა-

კადში, რომელიც განლაგებულია მრავალრიცხოვან სავაჭრო საწარმოებში საიმედო თანაშემწის გარეშე, როგორცაა სავაჭრო რეკლამა, თანამედროვე მყიდველს გარკვევა უკვე არ შეუძლია.

სავაჭრო რეკლამის საშუალებათა მთელი ერთობლიობა მიზანშეწონილია კვალიფიცირებულ იქნეს შემდეგი ნიშნებით: დანიშნულების, მათი გამოყენების ადგილისა და ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების ხასიათის მიხედვით.

დანიშნულების მიხედვით სარეკლამო საშუალებანი შეიძლება იყოს გაანგარიშებული საბითუმო და საცალო მყიდველებზე, გარკვეული ჯგუფისა და კატეგორიის მოსახლეობაზე (პირნი, რომლებიც ეწევიან. საოჯახო მეურნეობას, გონებრივ და ფიზიკურ შრომას, სპორტსმენები და ტურისტები, მოწაფეები, ის პირნი, რომლებიც საჭიროებენ დიეტურ კვებას და ა. შ.).

გამოყენების ადგილის მიხედვით სარეკლამო საშუალებანი იყოფა შინაგანად, რომელიც გამოიყენება თვით სავაჭრო საწარმოში, და გარეგანად, რომელიც მიმართულია მოსახლეობისადმი, საცალო სავაჭრო ორგანიზაციებსა და საწარმოებისადმი.

ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების ხასიათის მიხედვით ასხვავებენ რეკლამის შემდეგ სახეებსა და საშუალებებს:

სავიტრინო-გამოფენითი — ფანჯრისა და მალაზიის შიდა ვიტრინები, საქონლის გამოფენები მალაზიებში, ბაზებსა და საბითუმო ბაზრობებზე;

სადემონსტრაციო — მოდების დემონსტრაცია, საქონლის ჩვენება მოქმედებაში, პროდუქტების დეგუსტაცია;

სამხატვრო-გრაფიკული — მალაზიების აბრები, სარეკლამო წარწერები, განცხადებები და მაჩვენებლები, მალაზიებში კედლის პრეისკურანტები და ფასის მაჩვენებლები, პანოები, ტრანსპარანტები და პლაკატები ქუჩებში, პარკებსა და სტადიონებზე, სატრანსპორტო საშუალებათა სარეკლამო მოხატვა;

მრავალტირაჟიანი ბეჭდვითი — განცხადებები გაზეთებსა და ჟურნალებში, სარეკლამო წერილები, აფიშები და ფურცლები, სამახსოვროები და ჩანართები, სასაქონლო იარლიყები, ეტიკეტები, სარეკლამო ტექსტები შესაფუთ მასალებზე, კატალოგები, ალბომები და პროსპექტები;

სინათლისა—გაზსინათლოვანი აბრები და წარწერები მალაზიებში, სახლების ფრინტონებზე, სინათლოვანი პლაკატები და გაზეთები, ელექტრული ტაბლო;

კინო-დიაპოზიტური-სარეკლამო კინოფილმები და დიაპოზიტები; სატელევიზიო გადაცემები სტუდიებიდან, ტელერეპორტაჟები მალაზიებიდან, სამრეწველო საწარმოებიდან და ა. შ.

რადიორეკლამა, მრავალმაუწყებელი რადიოგადაცემები, გადაცემა მაღაზიის ადგილობრივი რადიოკვანძიდან. Ⴁ

რეკლამის ამა თუ იმ საშუალებათა არჩევა და გამოყენება დაკავშირებულია სავაჭრო საწარმოთა საქმიანობის ხასიათსა და პირობებზე, რეკლამირების ობიექტზე და შესაბამის საარეკლამო ღონისძიებათა გატარების მიზანშეწონილობაზე. ყველაზე მაღალი ეფექტურობა მიღწეული იქნება გარკვეულ საარეკლამო საშუალებათა კომპლექსურად გამოყენების დროს.

§ 3. რეკლამა მაღაზიებში

• რეკლამის ყველაზე მეტად გავრცელებული საშუალება, რომელსაც იყენებენ მაღაზიებში, ფანჯრის ვიტრინებია. მათი დანიშნულებაა გააცნოს მყიდველებს საქონლის ასორტიმენტი, მათი გარე სახე და ფასები. ვიტრინენი მოწოდებული არიან გარკვეული ზომით ჩამოაყალიბონ მსყიდველობითი მოთხოვნა და უპასუხონ იმ კითხვებს, რომლებიც აინტერესებს პოტენციურ მყიდველს. Ⴁ

ფანჯრის ვიტრინები ამშვენებენ მაღაზიებსა და ქალაქის ქუჩებს. ვიტრინების არქიტექტურული იერი უკანასკნელ წლებში არსებითად გარდაიქმნა. ახლად აგებულ შენობებში პატარა ზომის ფანჯრის კრილის ნაცვლად აკეთებენ დიდი ზომის ვიტრინებს. მაღაზიის ფასადი ხშირად წარმოადგენს მთლიან მინის კედელს, რომლის იქით კარგად ჩანს მთელი სავაჭრო დარბაზი. Ⴁ

თვითმომსახურების დიდ მაღაზიებში აწყობენ მაღაზიის შიდა გამოფენებს, რომლებიც კარგად ჩანს შემინული ფასადიდან. რიგ შემთხვევებში სავაჭრო დარბაზში შემინულ ფასადთან ახლოს დგამენ მრავალრიცხოვანი ორმხრივ ვიტრინა-სტელაჟებს. ასეთი ვიტრინა-სტელაჟის ერთი მხრიდან, რომელიც შებრუნებულია სავაჭრო დარბაზისაკენ, მყიდველები ირჩევენ საქონელს. Ⴁ

ვიტრინებს შეიძლება ჰქონდეთ მთლიანი მინა ან გაყოფილი შენობის კონსტრუქციული ელემენტებით (საყრდენებით, შუაკედლებით). ვიტრინების გაბარიტები უნდა უზრუნველყოფდნენ სავაჭრო დარბაზების ინტერიერების დანახვას ქუჩიდან და აკმაყოფილებდეს სასაქონლო ექსპოზიციის მოთხოვნებს. ამ მოთხოვნებს პასუხობენ ფანჯრის ვიტრინები, რომელთა განი 3—4 მ, სიმაღლე 2,5—3 მ, ხოლო საექსპოზიციო მოედნის სიღრმე 1—2,5 მ. ვიტრინის იატაკი და გვერდითი კედლები უნდა მოპირკეთდეს ისეთი მასალებით, რომლებიც კარგად ექვემდებარება ჰიგიენურ დამუშავებას (კაფელის ფილები, ფენოვანი პლასტიკატები და ა. შ.).

ვიტრინას შეიძლება ჰქონდეს ერთმავი მინა შეთბობით ცივ დროს

ან ორმაგი, ევრეთ წოდებული მინაპაკეტი. მინაპაკეტი — ეს წყვილი ლითონის ჩარჩოა რეზინის ქვესადებით, რომელშიც ჩასმულია მინა.

• დიდი მნიშვნელობა აქვს ვიტრინების განათებას. სინათლის წყაროს ათავსებენ ვიტრინის კოლოფის ზედა ნაწილში, რომელიც მოწყობილია ლიუვერსული გისოსით ან სხვა დამაბნელებელი სამარჯვით. თუ ვიტრინის კოლოფის სიმაღლე 2,5 მ აღემატება, შეიძლება გამოიყენონ დასაკიდი სანათები, რომლებიც სინათლის წყაროს მიუახლოვებენ საქონლის ექსპოზიციას. არსებობს ვიტრინის განათების ნორმები.

მალაზიის ფანჯრის ვიტრინა კომპლექტდება მოწყობილობისა და ინვენტარის ნაკრებით (დახლები, სტელაჟები, კრონშტეინები, ქვესადგამები, მანეკენები და სხვ.). მსუბუქი და ნაკლებშესამჩნევი ინვენტარი საშუალებას იძლევა იმგვარად გავაფორმოთ ვიტრინა, რომ მყიდველთა მხედველობის არეში აღმოჩნდეს უმთავრესად საქონელი.

• მალაზიების ვიტრინებს ასხვავებენ სასაქონლო ნიშნის, ტექნიკური მოწყობილობისა და გაფორმების ელემენტების გამოყენების მიხედვით.

სასაქონლო ნიშნით ასხვავებენ ვიწრო სპეციალიზებულ ვიტრინებს — გამოიფინება ერთი რომელიმე სახის საქონელი; სპეციალიზებულ გამოფენას — ერთი ჯგუფის საქონელს; კომბინირებულს — რამდენიმე ჯგუფის საქონელს: შერეულს სხვადასხვა ჯგუფების საქონელს.

ტექნიკური მოწყობილობის მიხედვით ვიტრინები იყოფა სტატიკურად—უძრავი სავიტრინო მოწყობილობითა და ინვენტარით, ელექტრო-დინამიკურად — რომელშიც მოწყობილობის ცალკეული ელემენტები საქონლის ნიმუშებით მოძრაობს. ზოგჯერ ვიტრინებში გამოიყენება სინათლის ეფექტი. სასურსათო მალაზიებში განსაკუთრებული ადგილი უკავია გაციებულ ვიტრინებს.

გაფორმების ელემენტების გამოყენების მიხედვით ასხვავებენ სასაქონლო, სასაქონლო-დეკორაციულ და სიუჟეტურ ვიტრინებს.

უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველგვარ ვიტრინაში გაფორმების ძირითადი ელემენტი უნდა იყოს საქონლის ნატურალური ნიმუშები, რომელიც არის მალაზიის ასორტიმენტში.

მალაზიის ვიტრინა უპირველესად უნდა აცნობდეს პოტენციურ მყიდველებს საერთოდ ცნობილ ასორტიმენტის საქონელს, რომლებიც აქვთ გასაყიდად. რიგ შემთხვევაში შეიძლება დაისახოს სხვა მიზნებიც — ახალი პროდუქტების რეკლამირება, ცალკეული სახის საქონელზე მოთხოვნის გადიდება და ა. შ.

მაგრამ, დამოუკიდებლად მიზნობრივი დანიშნულებისა, ყოველგვარი ვიტრინის გაფორმება უნდა დაექვემდებაროს კომპოზიციის ძირითად წესებს, რომლებიც მიღებულია სამხატვრო-დეკორაციულ ხელოვნებაში.

მალაზიის ვიტრინაში საქონლისა და დეკორაციული ელემენტების

განლაგების ძირითადი პრინციპებია წონასწორობა, მდგრადობა და რიტმი.

წონასწორობას მივალწევთ ერთნაირი ზომის საქონლის ვიტრინის ცენტრალური ხაზის ორივე მხარეს თანაბარი მანძილით სიმეტრიული განლაგებით ან საქონლის ასიმეტრიული წესით განლაგებით, რასაც ამჟამად უპირატესად მიმართავენ.

მდგრადობას ვიტრინის გაფორმებაში მივალწევთ საქონლის გამოფენის ფუძეში უფრო დიდი ზომის საგნების განლაგებით.

რიტმი გამოიხატება გაფორმების ელემენტების თანმიმდევრობით გამეორებაში, რომლებიც მოთავსებულია თანაბარ ან პროპორციულ მანძილებზე.

ვიტრინების გაფორმებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფერადი გამების გამოყენებას, რაც დამოკიდებულია რეკლამირებულ საქონელსა და წლის დროზე. გაზაფხულსა და ზაფხულში, მაგალითად, ვიტრინებში უნდა სჭარბობდეს მწვანე, წითელი, ნარინჯისა და ცისფერი ფერები; შემოდგომასა და ზამთარში — ყვითელი, ღია — ყავისფერი, ლურჯი და თეთრი.

ვიტრინებში გამოდგმულ ყველა საქონლის ნიმუშს უნდა ჰქონდეს ფასის მაჩვენებელი. საქონლის ნიმუშების შეცვლა და განახლება უნდა მოხდეს რეგულარულად (არანაკლებ ორ-სამჯერ თვეში).

რეკლამას ემსახურება არა მარტო ფანჯრის ვიტრინები, არამედ მაღაზიაშიც საქონლის გამოფენაც.

მაღაზიაში საქონლის განლაგება უნდა იყოს დათვალეირებისა და არჩევისათვის მოხერხებული, ზრდიდეს მყიდველის დამოუკიდებლობას, ეხმარებოდეს მათ უმცირესი დროის დახარჯვით შეიძინონ საქონელი.

‘ საქონლის ტრადიციული მეთოდით მოეაქრე მაღაზიებში შიდა გამოფენა ეწყობა კედლისპირა და დახლმოწყობილობაზე, რომლებიც წარმოადგენენ გამყიდველთა სამუშაო ადგილების საფუძველს. ’

განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იღებს თვითმომსახურების მაღაზიებში საქონლის სარეკლამო გამოფენა. ასეთი მაღაზიის მთელი სავაჭრო დარბაზი უნდა წარმოადგენდეს საქონლის გამოფენას. თვითმომსახურების მაღაზიაში სარეკლამო ღონისძიებათა კომპლექსი უნდა ასრულებდეს „მუხჯი გამყიდველის“ როლს, ორიენტაციას აძლევდეს მყიდველებს, ეხმარებოდეს მათ საჭირო სექციის მონახვაში და უადვილებდეს საქონლის არჩევას.

მაღაზიების სარეკლამო ღონისძიებებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სადემონსტრაციო რეკლამას.

დიდ უნივერსალურ და სპეციალიზებულ მაღაზიებში პერიოდულად ტარდება შვა-ტანსაცმლის, თავსაბურავების და ფეხსაცმლის ახალი მოდელების დემონსტრაცია. მიზანშეწონილია მოდელების ჩვენება შე-

ვუფარდოთ სეზონის დაწყებას, წინასწარ თავი მოვეუყაროთ ამ საქონელს საცალო ქსელში. ტექნიკურად რთული ნაწარმის ჩვენებას უნდა ახლდეს სპეციალისტების კონსულტაცია.

სადემონსტრაციო რეკლამის ერთ-ერთ ყველაზე მეტად ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს დეგუსტაცია. მაგრამ ვაჭრობის პრაქტიკაში რეკლამის ამ საშუალებამ ჯერ კიდევ ვერ პოვა ფართო გამოყენება. დეგუსტაცია უდავოდ ხელს უწყობს მოსახლეობისათვის ნაკლებად-ცნობილ საქონელს, კვების ბიოლოგიურად ძვირფასი პროდუქტების გაყიდვის გაფართოებას.

დეგუსტაციის ჩატარებისას იწვევენ კვალიფიცირებულ კულინარებს. რეკლამირებული პროდუქტებიდან ისინი ამზადებენ კერძებს ფართო ასორტიმენტში და უწევენ ამომწურავ კონსულტაციას. დეგუსტაციის ჩატარების დროს მალაზია წინასწარ აცნობებს მყიდველებს, დეგუსტაციის შედეგები ფორმდება ოქმით მათი მონაწილეთა მოსაზრებებისა და საექსპერტო შეფასებების ჩანაწერებით.

დეგუსტაციაზე გაწეული ხარჯები მიეკუთვნება სარეკლამო ხარჯებს. დეგუსტაცია ემსახურება არა მარტო რეკლამას, არამედ ეხმარება მყიდველთა მოთხოვნის შესწავლას.

სამხატვრო-გრაფიკულ საშუალებათა რიცხვს უპირველესად უნდა მიეკუთვნოს მალაზიის აბრა, რომლის მიხედვით მყიდველი მსჯელობს მის სასაქონლო პროფილზე. აბრაზე ძირითადი ადგილი უნდა დაიკავოს მალაზიის ლაკონურმა დასახელებამ. გარდა ამისა, აბრა უნდა შეიცავდეს მალაზიის ნომერსა და იმ ორგანიზაციის მარკას, რომელშიც ის შედის. აბრის ზომა, ფერი და მხატვრული გაფორმება უნდა შეეფარდებოდეს ამ ტიპის მალაზიებისათვის დამტკიცებულ სტანდარტულ ნიმუშს. მალაზიის კარგ მეგზურს, რომელიც ეხმარება მყიდველებს სწრაფად და სწორად გაერკვნენ, წარმოადგენს რელიეფურად შესრულებული და სავაჭრო დარბაზში მოხერხებულად განლაგებული მაჩვენებლები და განცხადებები, კედლის პრეისკურანტები და ფასების მაჩვენებლები. რეკლამის ამ საშუალებებს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თვითმომსახურების მალაზიებში.

საქონლის და სავაჭრო მომსახურების პოპულარიზაციის საქმეში არსებით როლს თამაშობს ბეჭდვითი რეკლამა. საქონლის რეკლამირებაში მას დიდი ხვედრითი წონა უკავია.

შესაფუთ მასალებსა და ფურცლებზე მოთავსებულ ბეჭდვით ტექსტებს შეუძლიათ მიაწოდონ მყიდველებს მრავალი სასარგებლო ცნობა (მალაზიის მუშაობის საათებზე, საქონლის გაყიდვის მეთოდებზე, ტელეფონების ნომრებზე, რომლითაც შეიძლება წინასწარ დაუკვეთოთ საქონელი სახლში მიტანით და სხვა).

მალაზიები იყენებენ სინათლის ტაბლოებს და ადგილობრივ რადიო-გადაცემებს მყიდველთა ინფორმაციისათვის საქონლის ასორტიმენტსა

და იმ მომსახურებაზე, რომელსაც მათ გაუწევს მაღაზია. არანაკლებ მნიშვნელოვან როლს თამაშობს მაღაზიის მუშაკთა ზეპირი ინფორმაცია. ამ ინფორმაციის ხასიათი შეიძლება იყოს მეტად სხვადასხვაგვარი, დაწყებული უბრალო ცნობით და დამთავრებული დაწერილებითი კონსულტაციით. •

§ 4. სავაჭრო რეკლამის მაღაზიის გარეშე საშუალებანი

საქონლის რეკლამა მაღაზიების ფარგლებს გარეთ შეიძლება აწარმოონ სხვადასხვა საშუალებათა გამოყენებით. ამ საშუალებებს მიეკუთვნება: ქუჩისა და საგზაო პლაკატები; აფიშები და განცხადებები, წარწერები სავაჭრო ავტოტრანსპორტზე; პრესაში გამოქვეყნებული განცხადებები, სინათლის, კინო-დიამოზიტური, სატელევიზიო და რადიორეკლამა.

თითოეულ ჩამოთვლილ საშუალებას აქვს სპეციფიური თავისებურებანი. მისი არჩევა დამოკიდებულია კონკრეტულ ამოცანებსა და სარეკლამო ღონისძიებების მიზნობრივ დანიშნულებაზე.

თუ მაღაზიის პირობებში რეკლამის ძირითად ელემენტს წარმოადგენს საქონელი, გარეშე რეკლამის დროს — მისი მხატვრული გამოსახულება, სატექსტო მასალა, რომლებიც ამჟღავნებენ საქონლის თვისებებსა და ხარისხს.

დიდი ზომის ქუჩის პლაკატები და პანო, ჩვეულებრივ, რეკლამას უკეთებენ ერთ რომელიმე საქონელს. მათ გამოფენენ შენობების კედლებზე ან აყენებენ ყველაზე ხალხმრავალ ადგილებში — ვაგზებზე, ნავმისადგომებზე, აეროპორტებში, პარკებსა და ბულვარებში. ამ პლაკატებზე ტექსტი უნდა იყოს ლაკონური — არაუმეტეს 50—60 ასოსი.

რკინიგზის ან საავტომობილო ტრანსპორტის მგზავრთათვის გათვალისწინებული პლაკატები იდგმება მაგისტრალის გასწვრივ. ისინი გათვალისწინებულია წამიერ აღქმასზე და ამიტომ უნდა ჰქონდეთ ნათელი, მაგრამ მარტივი ნახატი, 20—30 ასოსაგან შემდგარი მოკლე ტექსტი.

ქუჩებისა და გზების პლაკატები შეიძლება დამზადდეს პოლიგრაფიული გზით. ასეთ შემთხვევაში ყოველი სარეკლამო პლაკატი შედგება სხვადასხვა ზომის (3-დან 5 მ²-მდე) რამდენიმე ცალკეული ფურცლისაგან. ნაბეჭდ ფურცლებს აწებებენ ხის ფარებზე და მიამაგრებენ ლითონის საყრდენებს ან გამოფენენ სახლების კედლებზე. ამ პლაკატების ღირსება მდგომარეობს იმაში, რომ მასობრივი ტირაჟის დროს ისინი შედარებით იაფია და შეიძლება მათი ხშირად განახლება.

რეკლამის ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს სარეკლამო გამოსახულებანი და წარწერები სავაჭრო ავტოტრანსპორტზე. ქალაქების ქუჩებში მოძრავი ავტომობილები სარეკლამო ნახატებითა და ტექსტ-

პით უნებლიეთ იზიდავენ გამვლელთა ყურადღებას, აცნობენ მათ ცალკეულ საქონელს, მყიდველთა მომსახურების ფორმებს და ა. შ.

რეკლამის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ საშუალებას წარმოადგენს პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული განცხადებები. საგაზეთო და საეურნალო განცხადებები საშუალებას იძლევა ფართოდ და დაწვრილებით ჩამოთვალონ საქონლის თვისებები და ხარისხი, ყველაზე სრულად გააცნონ მყიდველებს სავაჭრო საწარმოთა მუშაობის წესი და მოსახლეობის სავაჭრო მომსახურებაში მათ მიერ გამოყენებული მეთოდები. მაგრამ რეკლამა პრესაში სავაჭრო ორგანიზაციების მიერ ჯერ კიდევ არასაკმარისად გამოიყენება. ბევრი პოპულარული ეურნალი, რომელიც მილიონიანი ტირაჟით გამოდის, არ აქვეყნებს სარეკლამო განცხადებებს, ანდა რეკლამას მეტად უმნიშვნელო ადგილს უთმობს.

ეურნალში მოთავსებული რეკლამა გაანგარიშებულია ხანგრძლივ დროზე და ამიტომ მისი ობიექტი უნდა იყოს შედარებით სტაბილური ხასიათის მასალები.

სარეკლამო მასალების მიწოდების ფორმა შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი: რომელიმე საქონლის გამოსახულება ტექსტის თანხლებით: მაღაზიის ინტერიერის ფოტო განმარტებითი წარწერით; წარმოებითი ან სავაჭრო საწარმოს ხელმძღვანელის ინტერვიუ ახალ საქონელზე. რომელსაც უშვებენ და იღებენ გასაყიდად: სპეციალისტის მოკლე სტატია ან ჩანაწერი სხვადასხვა ნაწარმის ყოფაცხოვრებაში გამოყენების შესახებ.

რეკლამის კიდევ უფრო მასობრივ და მეტად ოპერატიულ საშუალებას წარმოადგენს საგაზეთო განცხადებები. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ გაზეთში სარეკლამო მასალის ორ-სამჯერ გამოქვეყნების შემდეგ მოთხოვნა რეკლამირებულ საქონელზე იზრდება. საგაზეთო განცხადების ქმედითობა უმთავრესად დამოკიდებულია უნარზე, მიაწოდო მკითხველს ნათელი, შთამბეჭდავი სურათი და კარგად დასამახსოვრებელი ტექსტი. უკეთ აღიქმება გასართობი ტექსტები იუმორით, ლექსად.

რეკლამის სხვა საშუალებებთან შედარებით საგაზეთო განცხადებები ყველაზე ხელმისაწვდომი და იაფია. ისინი გათვალისწინებულია ცენტრალური და ადგილობრივი გაზეთების ათეულ და ასეულ ათას მკითხველზე და, მიუხედავად მათი ზემოქმედების მცირე დროისა, იძლევა გარკვეულ ეკონომიკურ ეფექტს.

საღამოთი ეფექტურია შუქრეკლამა. შუქრეკლამის ელემენტებია ინერტული გაზეთით ავსებული (გვერდები, არგონით, ნეონით და სხვ.) მინის მილაკები, რომელთა შორის გაიშვება ელექტრული დენი. თითოეული გაზი ამასთანავე იძლევა გარკვეულ ფერს, ხოლო ინერტული გაზეთის შესამებით ვერცხლის წყლის ორთქლთან წარმოიქმნება დამატებითი ფერების იერი.

მნათი წარწერები და სურათები, რომლებიც რეკლამირებას უწევენ

ცალკეულ საქონელს ან სავაჭრო საწარმოს, მაგრდება შენობების სახურავზე და ფრონტონზე. ელექტროდინამიური დანადგარების დახმარებით აღწევენ სხვადასხვა სინათლის ეფექტს. მბრუნავი, მოციმციმე სინათლის წარწერებისა და სურათების მონაცვლეობა ფეხით მოსიარულეთა და მგზავრთა ყურადღებას იპყრობს.

დიდ ქალაქებში მიზანშეწონილია ცენტრალური პროსპექტები და ქუჩები გაშუქრეკლამით გავაფორმოთ ერთიანი მხატვრული ჩანაფიქრითა და სტილით, არ დაუშვათ ზედმეტი სიკრელე და დახორავება.

სარეკლამო განცხადებათა გადაცემა რადიოთი ტრადიციული გახდა. რადიომაუწყებლობის საშუალებით მყიდველებს აწვდიან დეტალურ ცნობებს ახლად მიღებულ საქონელზე, მაღაზიების მუშაობის საათებზე, მისამართებზე, ტელეფონებზე და ა. შ. სარეკლამო განცხადებების გადაცემები, ჩვეულებრივ, მიდის მუსიკალური თანხლებით, რაც ხელს უწყობს მათ უკეთ აღქმას. რადიოთი სარეკლამო განცხადებების გადაცემისას არ უნდა დაგუშვათ მრავალსიტყუაობა, მოსაწყენი ტექსტები, მნიშვნელოვანია ასეთი გადაცემებისათვის დროის სწორად შერჩევა.

მრავალმწიონიან აუდიტორიაზე გათვალისწინებული სარეკლამო გადაცემები ტელევიზიით. სარეკლამო გადაცემა ტელევიზიით ზეგავლენას ახდენს ერთდროულად მხედველობასა და სმენაზე, ახამებს ბექდვითი, სამხატვრო, კინოლიაპოზიტური და რადიორეკლამის უპირატესობებს. ამ სახის რეკლამის გამოყენებით შეიძლება მაცურებლებს ვაჩვენოთ ნატურალური საქონელი მოვუთხროთ მის სარგებლობასა და გამოყენების წესებზე, მოვაწყოთ ტექნიკურად რთული ნაწარმის დემონსტრირება. იყენებენ რა ტელევიზიის ოპერატულობას, სარეკლამო გადაცემას აწყობენ რეპორტაჟების სახით სამრეწველო საწარმოს საამქროებიდან, მაღაზიის სავაჭრო დარბაზიდან.

მასობრიობისა და ზემოქმედების ძალის მიხედვით კინორეკლამა ერთ რიგში დგას პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებულ და რადიოთი თუ ტელევიზიით გადაცემულ რეკლამასთან. სავაჭრო რეკლამის მიზნებისათვის კინოს გამოყენებას დიდი შესაძლებლობანი გააჩნია. პატარა ფილმს, რომლის დემონსტრირება 3—5 წუთს წარმოებს, შეუძლია მოგვეცეს სრული წარმოდგენა ყოველ საქონელზე, მისი წარმოების ტექნოლოგიაზე, კვებითი მნიშვნელობაზე, გამოყენების წესებსა და მოხმარების ნორმებზე. კინოს საშუალებით შეიძლება თვალნათლივ ვაჩვენოთ საქონლის გაყიდვის და მყიდველთა მომსახურების პროგრესული მეთოდების უპირატესობანი. გასართობი სახით, მულტიპლიკაციის გამოყენებით გაკეთებულ ფერად კინორეკლამას მაცურებელი კარგად აღიქვამს და დიდი ხნით ამახსოვრდება.

§ 5. საბითუმო ვაჭრობაში რეკლამის თავისებურებანი

საბითუმო ვაჭრობაში რეკლამის მიზანია ინფორმაცია მიაწოდოს საქონლის ბითუმად მყიდველებს საქონლის შესყიდვის შესაძლებლობებზე, უზრუნველყოს მყიდველებისათვის ყველაზე მოხერხებული პირობები შესყიდვითი ოპერაციებისა და საცალო ქსელის საქონლით მომარაგებისათვის.

საბითუმო რგოლებში სარეკლამო-საინფორმაციო მუშაობამ ხელი უნდა შეუწყოს ახალი საქონლის დანერგვას, მათ სწრაფ დაყვანას მომხმარებლამდე.

სარეკლამო ღონისძიებათა ორგანიზაცია, განსაკუთრებით ახალ საქონელზე, ტარდება საბითუმო საწარმოების მიერ მრეწველობასთან ერთად. სახალხო მომხმარებლის საქონლის გამომშვებმა ქარხნებმა და ფაბრიკებმა უნდა უზრუნველყონ ისინი ნათელი და ფერადოვანი შეფუთვით სარეკლამო ტექსტებით, ფურცლებითა და დანართებით, რომლებიც ახასიათებს ნაწარმის თვისებებსა და ხარისხს, აგრეთვე მოპყრობის წერებსა და გამოყენების ხერხებს.

საბითუმო ბაზები მიმწოდებელ-გამკეთებლებთან ერთად ატარებენ საქონლის გამოფენა-დათვალიერებებსა და დემონსტრაციებს და კვების პროდუქტების გამოფენა-დეგუსტაციებს. სამრეწველო საწარმოთა და საბითუმო ბაზების დაკვეთით უშვებენ სარეკლამო კინოფილმებს და ატარებენ სატელევიზიო გადაცემებს.

საბითუმო ვაჭრობაში რეკლამა მიმართულია არა მარტო ბითუმად მყიდველებისადმი, არამედ მოსახლეობის მიმართაც, რაც მის თავისებურებას წარმოადგენს. უშუალოდ მოსახლეობისადმი მიმართული სარეკლამო საშუალებებიდან საბითუმო ორგანიზაციები და საწარმოები იყენებენ ქუჩის სარეკლამო პლაკატებს, პლაკატებსა და განცხადებებს საქალაქო ტრანსპორტზე, სატვირთო ავტომანქანების (რომლებსაც გადააქვთ საქონელი) სარეკლამო მონატულობას, განცხადებებს რადიოთი, გაზეთებსა და ჟურნალებში.

განსაკუთრებულ ჯგუფს შეადგენს რეკლამისა და ინფორმაციის საშუალებანი, რომელსაც იყენებს საბითუმო ვაჭრობა და მიმართულია სავაჭრო ორგანიზაციებისა და ვაჭრობის მუშაკებისადმი. ამ საშუალებათა არსენალშია სარეკლამო წერილები და საინფორმაციო ბიულეტენები, კატალოგები და ალბომები, საქონლის ნიმუშების კოლექციები და ნაკრებები, განცხადებები პერიოდულ სავაჭრო პრესაში.

საბითუმო მყიდველებისადმი მიმართული სარეკლამო წერილები შეიცავს ცნობებს იმ ახალ საქონელზე, რომელიც მიღებულია საბითუმო ბაზებში და მასზე შეკვეთების მიღებისა თუ შესრულების შესაძლებლობებზე.

საინფორმაციო ბიულეტენებში ათავსებენ ცნობებს საქონლის გა-

მოგზავნის მსვლელობაზე, გადმოსცემენ მასალებსა და კონიუნქტურულ მიმოხილვებს გარკვეული სახის საქონლის ვაჭრობის მდგომარეობაზე.

კატალოგები და ალბომები, რომლებიც შეიცავენ საქონლის ილუსტრაციასა და მოკლე აღწერას ფასის მითითებით, რეკლამის ნამდვილი საშუალებაა და, ჩვეულებრივ, გამოიყენება სავაჭრო ორგანიზაციების მიერ შეკვეთების შედგენის, ასორტიმენტის შეთანხმების დროს და ა. შ.

ნიმუშების კოლექციები და ნაკრებები, კატალოგებისა და ალბომებისაგან განსხვავებით, მყიდველებს საშუალებას აძლევს გაეცნოს ნატურალურ საქონელს და შეუკვეთოს ისინი საბითუმო ბაზებს. ნიმუშების კოლექციები ზოგჯერ იგზავნება „რიგით“. ერთ ორგანიზაციაში კოლექციის დათვალიერების შემდეგ მას გაუგზავნიან მეორე მყიდველს მისამართით, რომელიც მითითებულია მასზე დართულ სიაში.

რეკლამისა და ინფორმაციის მნიშვნელოვანი საშუალებაა სამრეწველო და საბითუმო საწარმო-ორგანიზაციების განცხადებები, გამოქვეყნებული სამრეწველო და სავაჭრო პრესაში. ისინი გათვალისწინებულია ვაჭრობის მუშაკებისათვის, რომლებიც კითხულობენ სავაჭრო და სამრეწველო გაზეთებსა და ჟურნალებს. განცხადებები სპეციალურ პერიოდულ გამოცემებში მყიდველთა ყურადღებას მიაპყრობენ საქონლის ასორტიმენტსა და მათი ბითუმად გაყიდვის პირობებზე.

საბითუმო ვაჭრობაში კარგად ორგანიზებული და სისტემატურად განხორციელებული რეკლამა და ინფორმაცია წარმოადგენს საცალო სავაჭრო ქსელის მომსახურებისა და მოსახლეობის მოთხოვნათა დაკმაყოფილების ფუნქციების შესრულების მნიშვნელოვან პირობას.

§ 6. რეკლამის ორგანიზაცია და დაგეგმვა

სავაჭრო რეკლამის ორგანიზაცია აგებულია სარეკლამო საშუალებათა გეგმიანობის, ოპერატულობის, ქმედითობისა და ეკონომიკური ეფექტურობის პრინციპებზე.

მიზანმიმართულება და სარეკლამო ღონისძიებათა სისტემატური გატარება დაკავშირებულია სარეკლამო საქმიანობის დაგეგმვასთან, რომელიც ხორციელდება ცენტრალიზებულად ადმინისტრაციულ-ტერიტორიული საზღვრების მასშტაბში (ქალაქი, ოლქი, რესპუბლიკა) და ცალკეულ სავაჭრო საწარმო-ორგანიზაციათა ფარგლებში.

სარეკლამო სამუშაოთა გეგმები დგება ერთი წლის დაყოფით კვარტალების, სეზონების, თვეების სახით თითოეული სავაჭრო ორგანიზაციის მიხედვით, მისი საქმიანობის მასშტაბების მიუხედავად. ამასთანავე, განისაზღვრება მისდამი დაქვემდებარებული საწარმოებისა და ცალკეული დანაყოფების მონაწილეობის ადგილი და ხარისხი.

წლიური გეგმა სარეკლამო საქმიანობაზე საჭირო მატერიალურ-

ტექნიკური საშუალებების და შრომითი დანახარჯების განსაზღვრის საფუძველია. მასში, ჩვეულებრივ, დაისახება საგეგმო წელს სარეკლამო სამუშაოთა ძირითადი მიმართულება.

რამდენადაც სარეკლამო ღონისძიებათა გატარება იმყოფება პირდაპირ კავშირში ბაზრის კონიუნქტურის მდგომარეობასთან, ამდენად წლიური გეგმის დეტალიზაცია ხორციელდება კვარტალურ და თვიურ გეგმებში, რომლებშიც გაითვალისწინება ცვლილებები ცალკეული საქონლის ვაჭრობაში.

სახალსო მოხმარების საქონლის გამომშვეებ მრეწველობას, საბითუმო რგოლებს და საცალო ვაჭრობას აქვთ თავიანთი სპეციფიკა რეკლამის ორგანიზაციის საქმეში. მიუხედავად ამისა, ყველა მითითებული დარგის სარეკლამო საქმიანობის გეგმები უნდა იყოს კოორდინირებული და ურთიერთშეპირობებული.

საბითუმო ორგანიზაციების სარეკლამო ღონისძიებები რიგ შემთხვევაში შეიძლება გატარდეს მრეწველობასთან და საცალო ვაჭრობასთან ერთად, რის გამოც საბითუმო და საცალო ორგანიზაციების გეგმებში საკუთარ სარეკლამო საშუალებათა დამუშავების გარდა, შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მრეწველობის მიერ მიწოდებაც რეკლამის ცალკეულ საშუალებათა გამოყენება.

სავაჭრო ორგანიზაციების სარეკლამო საქმიანობის გეგმები უნდა ითვალისწინებდნენ კონკრეტული საქონლის, სავაჭრო საწარმოთა საქმიანობის და მყიდველებისადმი მათ მიერ გაწეული მომსახურების რეკლამირებას.

რეკლამის გეგმის შედგენისას ამოსავალ წინაპირობას წარმოადგენს: საცალო საქონელბრუნვის ვეგმური მოცულობა და სტრუქტურა, მონაცემები სასაქონლო მარაგის მდგომარეობაზე, მასალები მსყიდველობითი მოთხოვნაში მომხდარ ძვრებსა და ცვლილებებზე, მონაცემები საქონლის წარმოებაზე, ცნობები მოსახლეობის შედგენილობაზე, ანგარიში სარეკლამო საქმიანობასა და წინა პერიოდში სარეკლამო საშუალებათა ეფექტიანობის შესახებ.

სარეკლამო საქმიანობის გეგმის შედგენისას რეკომენდებულია გაითვალისწინოთ შემდეგი მოთხოვნები:

საქონლის რეკლამა უნდა იყოს სისტემატური;

რეკლამის პერიოდულად განმეორება საქონლის გახსენების მიზნით საჭიროა არა მარტო იმ საქონლისათვის. რომელიც ახლახან გამოჩნდა ბაზარზე, არამედ იმ საქონლისთვისაც, რომელიც მყიდველისათვის დიდი ხანია ცნობილია;

ახალი საქონლის რეკლამა უნდა იყოს უფრო ინტენსიური;

რეკლამა გამოყენებულ უნდა იქნეს ერთი საქონლიდან მეორეზე მოთხოვნის გადართვისათვის;

ინტენსიური რეკლამა აუცილებელია ახალ საწარმოთა გახსენისას,

ან ძველი საწარმოების პროგრესული მეთოდებით ვაქრობაზე გადაყვანის შემდეგ.

სარეკლამო საქმიანობის საერთო გეგმის განვითარების მიზნით სავაჭრო ორგანიზაციები ამუშავებენ საქონლის, სავაჭრო საწარმოთა და გაყიდვის, მომსახურების გაწევის მეთოდების რეკლამირების მიმდინარე ოპერატიულ გეგმებს.

მიმდინარე სარეკლამო სამუშაოთა გეგმებში, რომლებიც, ჩვეულებრივ, დგება კვარტალის, სეზონის ან სხვა მცირე ხანგრძლიობის დროზე, აუცილებელია გათვალისწინება რეკლამის ობიექტის სახელწოდებისა (საქონლის ან მომსახურების ნუსხა), რეკლამის მიზნისა, გამოყენებული სარეკლამო საშუალებებისა, მათი რაოდენობისა, დამზადებისა და გავრცელების ღირებულებისა, შესრულებაზე პასუხისმგებელ პირთა მითითებით.

სარეკლამო საქმიანობის მიმდინარე გეგმების დამუშავებისას რეკომენდებულია ზუსტად განისაზღვროს ყველა კალენდარული თარიღი (დღესასწაულები, სეზონის დაწყება და დამთავრება, სპორტული ღონისძიებანი, სასკოლო და სტუდენტთა არდადეგები და ა. შ.), რომლებსაც უნდა დაუკავშირდეს ესა თუ ის სარეკლამო ღონისძიება.

სარეკლამო მუშაობის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს დიდი სარეკლამო კამპანიების ჩატარება, რომელთა განხორციელებაც უნდა გატარდეს სპეციალური გეგმების საფუძველზე. სარეკლამო კამპანია გულისხმობს ღონისძიებათა ერთობლიობას, რომლებიც გატარდება ცალკეული საქონლის ან მომსახურების რეკლამირების მიზნით გარკვეული დროის მანძილზე (დეკადა, თვე, კვარტალი, სეზონი), სარეკლამო საშუალებათა კომპლექსის გამოყენებით. თავისი მასშტაბებით სარეკლამო კამპანიამ შეიძლება მოიცვას ქალაქის, ოლქისა და რესპუბლიკის ტერიტორიაც კი. უფრო ხშირად ის ატარებს ლოკალურ ხასიათს (ერთა სავაჭრო ორგანიზაციის დიდი მაღაზიის ფარგლებში).

სარეკლამო კამპანიის მიზანია გაადიდოს საქონლის გაყიდვის მოცულობა, რომელიც დიდი რაოდენობითაა სავაჭრო ქსელსა და საწყობებში, მოხმარებაში მოსახლეობისათვის ახალი, ნაკლებადცნობილი ნაწარმისა და პროდუქტების დანერგვა, მყიდველთა მოთხოვნის გადატანა ერთი საქონლიდან მეორეზე.

სარეკლამო კამპანიის გატარება მოითხოვს გულდასმით მომზადებას და ყველა დაინტერესებული ორგანიზაციისა და დაწესებულების აქტიურ მონაწილეობას (სამრეწველო საწარმოების, საბითუმო ორგანიზაციების, კულტურულ-საგანმანათლებლო, სამედიცინო დაწესებულებების, სპორტული საზოგადოების და სხვ.).

სარეკლამო კამპანიის გაშლილი გეგმა უნდა მოიცავდეს შემდეგ განყოფილებებს: მისი ჩატარების მიზანი და პერიოდი; სარეკლამო საშუალებანი და ყოველი მათგანის მოქმედების სფერო; რეკლამის ყოველი

საშუალების წინაშე მდგარი კონკრეტული ამოცანები და მათი გამოყენების ხერხები; მასალები, რომლებიც აუცილებელია სარეკლამო კამპანიის განსახორციელებლად; სპეციალისტებზე მოთხოვნა და მათი გადაღლება სამუშაოთა სახეების მიხედვით; დანახარჯების დაფინანსება და მათი დაფარვის წყაროები.

გეგმის დასკვნითი განაყოფებია: ყველა ეტაპის ჩატარების კალენდარული გრაფიკი, მისი ჩატარებისადმი კონტროლის სისტემა და ფორმები, შეჯამება და შედეგები.

სარეკლამო კამპანიის ჩატარებისას წყდება რიგი საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საქონლის წარმოებასთან, მათი ხარისხისა და გარეგანი სახის გაუმჯობესებასთან, საეპროქსი ქსელში საქონლის შეუფერხებელი შეზიდვის ორგანიზაციასთან, საქონლის გაყიდვის ხერხებისა და მეთოდების სრულყოფასთან.

სარეკლამო მუშაობის ორგანიზაციის განუყრელ ნაწილს წარმოადგენს მისი ქმედითობისა და ეფექტიანობის შეფასება. ასხვავებენ რეკლამის ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას და ეკონომიკურ ეფექტურობას. სარეკლამო საშუალების ზემოქმედების ფსიქოლოგიური ეფექტი მკლავდება მის მიერ საინფორმაციო და აღმზრდელი ფუნქციების შესრულებაში. სარეკლამო საშუალების ეკონომიკური ეფექტურობა გამოისახება საქონელბრუნვის გადიდებაში, საქონლის ბრუნვადობის დაჩქარებაში, სასაქონლო მარაგის მოწესრიგებაში, ძირითადი და საბრუნავი ფონდების გამოყენების გაუმჯობესებაში, ვაჭრობის მუშაკთა შრომის ნაყოფიერების ამაღლებაში, საერთო მიმოქცევის ხარჯების შემცირებაში.

იმის გამო, რომ ეკონომიკური ეფექტის მიღწევა ხშირად სცილდება ფსიქოლოგიურს დროსა და სივრცეში. ფსიქოლოგიური ეფექტი გარეგნულად დამოუკიდებლად გამოიყურება. ამასთანავე, ფსიქოლოგიური ეფექტის მიღწევის ხარისხი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი სისწრაფითაა მიღწეული ეკონომიკური ეფექტი და იქნება თუ არა ის საერთოდ მიღწეული. ფსიქოლოგიური და ეკონომიკური ეფექტი ერთი პროცესის შედეგია, ადაქიანის შეგნებასა და გრძობაზე სარეკლამო საშუალების ზემოქმედების პროცესისა.

როგორც წესი, ამა თუ იმ სარეკლამო საშუალების გამოყენების ეკონომიკური ეფექტი უნდა იყოს დადებითი (ე. ი. ხარჯები რეკლამაზე უნდა იყოს ნაკლები ან თანაბარი მოგებისა, რომელიც მიღებულია სარეკლამო საშუალების გამოყენების შედეგად), თუმცა ცალკეულ შემთხვევებში ის შეიძლება უარყოფითი იყოს. უარყოფითი ეკონომიკური ეფექტი ყოველთვის ვერ გამოდგება რეკლამის მიზანშეუწონლობის საფუძვლად, ვინაიდან სოციალისტურ საზოგადოებაში მოგების მიღწევა თვითმიზანს არ წარმოადგენს. ასრულებს რა საგანმანათლებლო და აღმზრდელი ფუნქციებს, ნერგავს კარგ გემოვნებას, ეხ-

მარება შოდის მიმართულებებში გარკვევაში, აყალიბებს მოთხოვნას და ამით უახლოვდება მეცნიერულ პროპაგანდას, რეკლამა იძლევა დიდ სოციალურ ეფექტს, რომელიც თავისი საზოგადოებრივი მნიშვნელობით არანაკლებ საყურადღებოა, ვიდრე ეკონომიკური ეფექტი.

მყიდველებზე რეკლამის საშუალებათა ფსიქოლოგიური ზემოქმედების განსაზღვრისათვის რეკომენდებულია შემდეგი მეთოდების გამოყენება: დაკვირება, ექსპერიმენტის ჩატარება, გამოკითხვა.

რეკლამის საშუალებასთან მყიდველთა დამოკიდებულების გარკვევის ყველაზე მარტივი და ხელმისაწვდომი მეთოდია დაკვირება, რომელიც წარმართება ბუნებრივ პირობებში, მყიდველებისათვის შეუმჩნეველად. ეს მეთოდი ყველაზე მეტად გამოსადეგია ამოსავალი მონაცემების მისაღებად მყიდველებზე მალაზიის შიდა რეკლამის საშუალებათა ფსიქოლოგიური ზემოქმედების შეფასების დროს.

მალაზიების მიერ გამოყენებული ინფორმაციისა და რეკლამის ცალკეული საშუალებების ქმედითობის შეფასებისას პირველ რიგში უნდა დადგინდეს, აღწევს თუ არა ეს საშუალება მის წინაშე დასმულ მიზანს. ამისათვის საშუალებები უნდა ფლობდნენ საკმაო სიმკვეთრეს, ე. ი. მიიპყრონ ყურადღება (ფასის და სხვა მაჩვენებლები, ტაბლო). ისინი უნდა იყვნენ საკმაოდ დამაჯერებელნიც (სარეკლამო ფასმაჩვენებლები, პლაკატები, განცხადებები რადიოთი და ა. შ. ყოველივე ამას ითვალისწინებენ ზოგიერთი საშუალების ქმედიანობის შეფასებისას, შეიძლება შემოვიფარგლოთ მათდამი მყიდველთა ყურადღების მიპყრობის წარისხის განსაზღვრით, სხვათა შეფასებისას — საჭიროა განისაზღვროს მათი დარწმუნების ხარისხი.

საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ, რომ სარეკლამო საშუალების ასეთი სახით შეფასება შეიძლება გამოვიყენოთ მხოლოდ ახლად გამოსულ ან მყიდველებისათვის ნაკლებად ცნობილ საქონელზე, ვინაიდან სხვა შემთხვევებში აღამიანთა რიცხვი, რომლებმაც იყიდეს რეკლამირებული საქონელი, შეიძლება აღმოჩნდეს მეტი, სარეკლამო საშუალებაზე ყურადღების მიპყრობთა რიცხვზე.

მყიდველებზე რეკლამის მალაზიის შიგა საშუალებათა მთელი ერთობლიობის ზემოქმედების ეფექტურობის კომპლექსური შეფასებისათვის (კონკრეტულ მალაზიისათვის) რეკომენდებულია ისეთი მაჩვენებლის გამოყენება, როგორცაა დროის საშუალო ხანგრძლივობა, რომელიც იხარჯება საქონლის დათვალიერებაზე და შერჩევაზე.

მიღებული მონაცემების ანალიზის დროს უნდა გამოვდიოდეთ იმ წანამძღვარებიდან, რომ მალაზიის შიგა რეკლამის ახალ საშუალებათა შემოღებით (მაჩვენებლები, ფასის მაჩვენებლები, შეფუთვა, სარეკლამო გამოლაგება) ან მათი შინაარსის გაუმჯობესებით, გაფორმებით, მყიდველსათვის საჭირო საქონლის გამოლაგების ადგილის მოძებნაზე დახარჯული დრო შემცირდება. მყიდველის მიერ საქონლის დათვალიერე-

ბაზე და შერჩევაზე დახარჯული საშუალო დროის შეფარდება სარეკლამო საშუალებათა გამოყენებამდე ან მათ მოდერნიზაციამდე და შემდეგ. საშუალებას მოგვცემს შევაფასოთ მაღაზიის შიგა რეკლამის ქმედიანობის ხარისხი.

რადიოთი, ტელევიზიით, გაზეთებსა და ჟურნალებში საქონელზე განცხადებების ქმედითობა შეიძლება შეფასდეს მომსვლელთა რიცხვის (რომლებმაც იყიდეს რეკლამირებული საქონელი) შეპირისპირებით. მყიდველთა საერთო რიცხვთან, რომლებმაც რაიმე შეიძინეს მაღაზიაში.

საშუალებათა ქმედითობის მაჩვენებელი, რომლებიც რეკლამას უწევენ თავის სავაჭრო ქსელს ან მის ცალკეულ საწარმოებს, გამოისახება მაღაზიის რეკლამირების პერიოდში მიმსვლელთა საშუალოდლიური რიცხვის შეფარდებით მომსვლელთა საშუალოდლიურ რიცხვთან რეკლამის პერიოდამდე. მონაცემები ამის შესახებ შეიძლება მიღებულ იქნეს დამკვირვებელ-აღმრიცხველებისაგან ან მაღაზიის ' შესასვლელში ფოტოლემენტის დაყენებით.

დაკვირვების მეთოდის გამოყენების დროს ყველა შემთხვევაში უნდა დავიცვათ რამდენიმე პირობა. უპირველესად დაკვირვება უნდა ვაწარმოოთ სამუშაო დღეებში, რომლებიც არ განსხვავდებიან მყიდველთა ნაკადის ინტენსივობით (სასურველია კვირის შუაში, მაგალითად, სამშაბათს ან ხუთშაბათს). დაკვირვების და მონაცემების შეკრების დროს რომელიც აუცილებელია რეკომენდებული მაჩვენებლების გასაანგარიშებლად რეკლამამდე და რეკლამის შემდგომ პერიოდში, ირჩევენ რეკლამის საშუალებათა ხარისხის მიხედვით.

დაკვირვების მეთოდი მიღებულია ჩაითვალოს პასიურად, ვინაიდან დამკვირვებელი არ ერევა მყიდველზე სარეკლამო საშუალებით ზემოქმედების ბუნებრივი პროცესის მსვლელობაში და ინარჩუნებს პირობებს, რომელშიც ეს ზემოქმედება წარმოებს მუდმივად.

რიგ შემთხვევაში დაკვირვების მეთოდი მიზანშეწონილია შევუთავსოთ ექსპერიმენტის ჩატარებას, რის გამოც ზემოქმედების პროცესი დამკვირვებლის მიერ ხელოვნურად წესრიგდება და წარიმართება. ექსპერიმენტის პირობებში დაკვირვების დახმარებით შეიძლება უფრო სწრაფად გამოვამყლავნოთ და შევაფასოთ სარეკლამო საშუალების ფსიქოლოგიური ზემოქმედება, ვინაიდან ოპტიმალურ პირობებში აცილებული იქნება არაძირითადი ფაქტორების შესაძლებელი უარყოფითი გავლენა.

მონაცემები სარეკლამო საშუალებათა მყიდველებზე ზემოქმედების შესაფასებლად შეიძლება მიღებულ იქნეს გამოკითხვის დახმარებით. ეს მეთოდი უფრო შრომატევადია დაკვირვებასთან შედარებით, მაგრამ ის საშუალებას იძლევა გამოვაეცინოთ უშუალოდ მყიდველთან.

მისი დამოკიდებულება არა მარტო სარეკლამო საშუალებასთან მთლიანად, არამედ მის ცალკეულ ელემენტებთანაც.

გამოკითხვის ჩატარებისათვის აუცილებელია წინასწარ შედგეს ანკეტები, კითხვებით, რომლებიც უნდა დაეფუძვას მყიდველებს პირად საუბარში, წერილობით, რადიოთი ან ტელევიზიით. მიღებული პასუხების ანალიზის საფუძველზე კეთდება განზოგადოებები და დასკვნები.

რეკლამის ეკონომიკური ეფექტიანობა მეტად პირობითი ცნებაა, რამდენადაც საქონლის ყიდვაზე, გარდა რეკლამისა, გავლენას ახდენს მთელი რიგი ფაქტორები (ხარისხი, შეფუთვა, დოზირება, მყიდველთა ნაკადების ინტენსიობა, მაღაზიაში მომსახურების ხარისხი და ა. შ.) მიუხედავად ამისა, რეკლამის ეკონომიკური ეფექტურობის სანიმუშო განგარიშება მაინც იძლევა იმის საშუალებას, რომ გამოვავლინოთ ცალკეულ სარეკლამო ღონისძიებათა ჩატარების და რეკლამის შესაბამის საშუალებათა გამოყენების მიზანშეწონილობა.

ჩვეულებრივ, მიღებულია რეკლამის ეფექტურობის განსაზღვრა საქონლის გაყიდვის საშუალოდღიური მოცულობის შეპირისპირებით რეკლამის ორგანიზაციამდე და მის შემდეგ. ანალიზი და შეპირისპირება საშუალოდღიური საქონლის ბრუნვის მონაცემებისა რეკლამამდე, სარეკლამო და რეკლამის შემდგომ პერიოდებში საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ რეკლამის გავლენა გაყიდვის მოცულობაზე. რეკლამის ეკონომიკურ ეფექტურობაზე შეიძლება ვიმსჯელოთ რეკლამაზე გაწეული ხარჯების სიდიდის შეპირისპირებით დამატებითი მოგების სიდიდესთან, რომელიც მიღებულია რეკლამის ზემოქმედებით საქონელბრუნვის ზრდის შედეგად.

მეთოდების ცნობილი არასრულყოფა და განსაზღვრის პირობითობა არ უარყოფს სავაჭრო რეკლამის ეფექტურობის მუდმივ შესწავლას, როგორც ვაჭრობაში რეკლამის საქმის ორგანიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს.

ვაჭრობაში რეკლამის სათანადო დაყენება და განვითარება ბევრად და დამოკიდებული სავაჭრო ორგანიზაციებსა და საწარმოებში სარეკლამო დანაყოფებისა და სამსახურების შექმნასა და აქტიურ მუშაობაზე, სპეციალური ორგანიზაციების საქმიანობაზე, რომლებიც მოწოდებული არიან მისდიონ რეკლამას. მსხვილ სავაჭრო საწარმოებში შტატში ჰყავთ მხატვარ-დეკორატორები, მუშაკები, რომლებიც ქმნიან რეკლამის ცალკეულ საშუალებებს, აწყობენ ვიტრინებსა და გამოფენებს.

სავაჭრო რეკლამის ორგანიზაციის ძირითად საქმიანობას აწარმოებს „როსტორგრეკლამის“ რესპუბლიკური კანტორა რსფსრ-ში, „უკრტორგრეკლამა“ უკრაინაში, სარეკლამო კანტორები და ტრესტები სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში. მათ გამგებლობაშია სარეკლამო საწარმოთა და კომბინატების ქსელი, რომლებიც ასრულებენ საცალო და საბითუმო სავაჭრო საწარმო-ორგანიზაციების დაკვეთებს სარეკლამო მოწყო-

ბილობისა და ინვენტარის დამზადებაზე, მალაზიების სარეკლამო გაფორმებაზე, საქონლის გამოფენაზე საბითუმო ბაზრობებში და ა. შ.

უდიდეს ქალაქებში ვაჭრობის სამმართველოებთან შექმნილია სავაჭრო რეკლამის ბიურო, მუშაობს აგრეთვე ადგილობრივი აღმასკომების ქალაქის გაფორმებისა და რეკლამის სამმართველოები. სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში სარეკლამო მუშაობას ხელმძღვანელობს სამეურნეო ანგარიშზე მყოფი მთავარი სამმართველო „გლავკოოპტორგრეკლამა“, რომელსაც ადგილებზე აქვთ თავიანთი საწარმოთა ქსელი.

სარეკლამო საქმიანობაზე საერთო ხელმძღვანელობას ჩვენს ქვეყანაში ახორციელებს სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროსთან არსებული სავაჭრო რეკლამის საკავშირო გაერთიანება — „სოიუზტორგრეკლამა“, რომელსაც მოკავშირე რესპუბლიკებში აქვს სარეკლამო კომბინატები და სააგენტოები. სარეკლამო სამსახურები შექმნილია სახალხო მოხმარების საქონლის მწარმოებელ სამინისტროებსა და უწყებებში.

სარეკლამო საქმიანობის კოორდინაციისათვის სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროსთან შექმნილია რეკლამის უწყებათაშორისი საბჭო. მის შემადგენლობაში შედიან აგრეთვე სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს, სსრკ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტის, სსრკ სახმშენის სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტის, სსრკ მხატვართა კავშირის, სსრკ არქიტექტორთა კავშირის, სსრკ მწერალთა კავშირის, სსრკ სახკინოს და სსრკ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის წარმომადგენლები. უწყებათაშორისი საბჭო განსაზღვრავს ჩვენს ქვეყანაში რეკლამის განვითარების მთავარ მიმართულებებს, მის მუშაობაში მონაწილე სამინისტროებისა და უწყებებისათვის ამუშავებს რეკომენდაციებს რეკლამის დარგში, ამტკიცებს რეკომენდაციებს რეკლამის ღონისძიებათა დარგში ვაჭრობისა და მრეწველობის საწარმოებისათვის.

სასაქონლო საწყობები

§ 1. საწყობების როლი და ფუნქციები

მიმოქცევის პროცესის და, მაშასადამე, წარმოების პროცესის, უწყვეტობის უმნიშვნელოვანესი პირობაა მიმოქცევის არხებში საქონლის მარაგის შექმნა.

სოციალისტურ საზოგადოებაში საქონლის მარაგის შექმნისა და შენახვის ძირითად ფაქტორებს სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარების კანონის მოთხოვნები წარმოადგენს. საქონლის მარაგმა, რომელიც სახალხომეურნეობრივი დაგეგმვის ობიექტს წარმოადგენს, უნდა უზრუნველყოს საქონელბრუნვა და საქონლის მოძრაობის პროცესის უწყვეტობა წარმოების სფეროდან მოხმარების სფეროში.

საქონლის მარაგის შექმნა, მისი წარმოქმნისა და განლაგების ფაქტორები განაპირობებს შენახვის სახალხომეურნეობრივ ფუნქციას. ამასთან დაკავშირებით საქონლის მასის შენახვისა და გადაადგილების უზრუნველყოფისათვის აღიძვრება სათანადო მატერიალურტექნიკური ბაზის საჭიროება.

„როგორც არ უნდა იყოს პროდუქტთა მარაგის საზოგადოებრივი ფორმა, მისი შენახვა მოითხოვს ხარჯებს: შენობებს, ქურქულს და სხვ., რაც პროდუქტის საცავენს შეადგენს“¹.

ვაჭრობის არხებში საქონლის მარაგის წარმოქმნისა და შენახვის ფუნქციას სავაჭრო საწყობები ასრულებენ. მათი ძირითადი დანიშნულებაა საქონლის მარაგის შენახვა და საქონლის ნაკადების გარდაქმნა მოხმარების რაიონებში მათი რაციონალური მოძრაობის მიზნით, საცალო სავაჭრო საწარმოებისა და ორგანიზაციების უწყვეტი მომარაგების უზრუნველყოფა. ყველა სავაჭრო სისტემებისა და ორგანიზაციების საწყობების ერთობლიობა შეადგენს საბჭოთა ვაჭრობის სასაწყობო მეურნეობას.

საქონლის რაციონალური განლაგება და დაწყობა, შენახვის სათანად-

1. კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 11, გვ. 179.

ლო რეჟიმის შექმნა და საქონლის მოვლის ღონისძიებების გატარება უზრუნველყოფს საწყობებში საქონლის რაოდენობრივ და ხარისხობრივ შენახვას. .

საქონლის შენახვის ფუნქციებს ასრულებენ აგრეთვე საცალო სავაჭრო საწარმოები. მაგრამ მალაზიებში უნდა ინახებოდეს მხოლოდ საქონლის მიმდინარე (სამუშაო) მარაგი იმ ზომით, რომელიც უზრუნველყოფს გაყიდვის უწყვეტობას. . -

საწყობები, რომლებშიც საქონელი გადის მოძრაობის გზაზე წარმოებიდან საცალო ქსელამდე, საქონელმოძრაობის რგოლებს წარმოადგენენ. საქონლის გავლა საწყობებში იწვევს ცოცხალი და განივთებული შრომის დანახარჯებს. ამასთან დაკავშირებით საწყობების რაოდენობა, მათი ზომები, სპეციალიზაცია, განლაგების ადგილი არსებით გავლენას ახდენს საქონელმოძრაობის პროცესის რაციონალიზაციაზე, სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებაზე, მიმოქცევის ხარჯების დონეზე.

საქონელმოძრაობის პროცესში მათი ადგილის მიხედვით საწყობები საქონლის ნაკადებს გადრაქმნის ორი გზით: ერთ შემთხვევაში რამდენიმე საწარმოსაგან მიწოდებული საქონლის მცირე პარტიებისაგან ადგენენ მსხვილ პარტიებს მოხმარების რაიონებში გასაგზავნად, სხვა შემთხვევებში კი — საქონლის მსხვილი პარტიებისაგან ქმნიან მცირე პარტიებს სავაჭრო საწარმოთა მოთხოვნილების შესაბამისად. ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით საწყობები იღებენ საცალო ქსელში საქონლის ცენტრალიზებული შეზიდვის მეთოდით მიწოდების ვალდებულებას. ყოველივე ეს ხელს უწყობს საქონლის მარაგის ოპტიმიზაციას, საქონელმოძრაობის რაციონალიზაციას, საქონელმომარაგების რეგულარულობასა და რიტმულობას. გარდაქმნიან რა საწარმოო ასორტიმენტს სავაჭროდ, საწყობები ახდენენ საქონლის დახარისხებას, საბოლოო დამუშავებას, დაფასობას და დაკომპლექტებას. ამით იქმნება პირობები საცალო სავაჭრო საწარმოებში გაყიდვის პროცესების სრულყოფისა და მყიდველთა მომსახურების კულტურის ამაღლებისათვის.

სასაქონლო საწყობები წარმოადგენს საფარს წარმოებიდან საცალო ქსელში არაკეთილხარისხოვანი საქონლის შეღწევისათვის. საწყობების კვალიფიციურ წუნმდებელ-საქონელმოცოდნეები და სათანადო ლაბორატორიული მოწყობილობა უზრუნველყოფს საქონლის ხარისხობრივი მიღების დროს შემოწმების დიდ ობიექტურობას. საწყობებში საქონლის საბოლოოდ დამუშავება განაპირობებს მისი ხარისხისა და გარეგანი სახის შენარჩუნებას.

სასაწყობო მეურნეობის ორგანიზაციული ფორმების სრულყოფასა და მსხვილი მექანიზებული თუ ავტომატიზებული საწყობების შექმნასთან ერთად გაიზარდა მისი როლი სასაქონლო მიმოქცევის პროცესში. მსხვილი მექანიზებული საწყობების შექმნა განაპირობებს მართვისა და სამუშაოთა ორგანიზაციის მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდე-

ზის უფრო ფართოდ გამოყენებას, ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდებისა და ელექტრონულ-გამომთვლელი ტექნიკის საშუალებების, აგრეთვე სასაწყობო ოპერაციების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ტექნიკური საშუალებების გამოყენებას. ეს ხელს შეუწყობს საწყობების უფრო ეფექტურ ექსპლოატაციას და ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფას, ახალ სასაწყობო მშენებლობისათვის გამოყოფილ კაპიტალდაბანდებათა გონივრულ გამოყენებას და მიმოქცევის ხარჯების დონის შემცირებას.

§ 2. სასაქონლო საწყობების სახეები და ტიპები

ყოველი საწყობის ძირითადი ფუნქციები, რომელიც განსაზღვრავს მის როლს სასაქონლო მიმოქცევის პროცესში, დამოკიდებულია ტექნოლოგიური, ტექნიკური და ორგანიზაციული ხასიათის თავისებურებებზე. ეს განაპირობებს ფუნქციურ ნიშნებს, რომლებიც საშუალებას იძლევა საწყობები გავაერთიანოთ ცალკეულ ჯგუფებად და სახეებად.

საწყობების დაჯგუფებისა და კლასიფიკაციის ძირითად ნიშანთა რიცხვს შეიძლება მიეკუთვნოს: საქონელმოდრაობის პროცესში საწყობების ადგილმდებარეობა, მათ მიერ შესასრულებელი ოპერაციების ხასიათი, საქონლის ასორტიმენტი, საქონლის ფიზიკურ-ქიმიური თვისებები, მართვის ორგანიზაციული ფორმები.

საქონელმოდრაობის პროცესში მათი ადგილმდებარეობის მიხედვით განასხვავებენ საწყობებს წარმოებისა და დამზადების რაიონებში და საწყობებს მოხმარების რაიონებში.

წარმოების რაიონებში განლაგებული საწყობების ძირითადი ფუნქციებია: მათი მოქმედების რაიონში განლაგებულ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა საქონლის კონცენტრაცია, დახარისხება, დამუშავება და მსხვილ პარტიებად დაკომპლექტება მოხმარების რაიონებში გასაგზავნად. ესაა გამოსასვლელი და სავაჭრო-შემსყიდველი ბაზების საწყობები, სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საბითუმო ორგანიზაციების საბაზისო მაცივრები, სამომხმარებლო კოოპერაციის დამამზადებელი ორგანიზაციების საწყობები.

მოხმარების რაიონებში განლაგებული საწყობები ახორციელებენ სხვაქალაქელი მიმწოდებლისაგან მიღებული საქონლის პარტიების დაწვრილერთეულებას ან მცირე სასაქონლო მასების კონცენტრაციას, რომელთა წარმოებაც გაფანტულია მათი მოქმედების რაიონში განლაგებულ მრავალრიცხოვან საწარმოთა შორის. მათ მიეკუთვნება საბითუმო სავაჭრო ბაზების საწყობები, განმანაწილებელი მაცივრები და საცალო სავაჭრო ორგანიზაციების საწყობები.

საქონელმოდრაობის რგოლიანობის შემცირებისა და საქონელმომარაგების პროცესის რაციონალიზაციისათვის მოხმარების რაიონებში

იქმნება ზონალური (რეგიონალური) და საერთოსაქალაქო საბითუმო სასაწყობო საწარმოთა ქსელი, როგორც საცალო ქსელში საქონლის მიწოდებისა და შემოტანის ძირითადი წყარო.

- შესასრულებელი ოპერაციების ხასიათის მიხედვით სასაქონლო საწყობები იყოფა დამხარისხებელ-გამანაწილებელ, ტრანზიტულ-გადამტვირთველ, სეზონური და ხანგრძლივი შენახვის საწყობებად. -

დამხარისხებელ-გამანაწილებელ საწყობებში თავმოყრილია საქონლის მიმდინარე მარაგი, სადაც იგი ხანმოკლე დროით ინახება. ამიტომ ასეთი საწყობებისათვის შენახვის ფუნქცია დამხმარე ფუნქციას წარმოადგენს. აქ ძირითად ადგილს იკავებს საქონლის მიღება, დახარისხება, გასაცემად მომზადება და უშუალო გაცემა.

ღებულობენ რა სამრეწველო საწარმოებიდან ან გამოსასვლელი საბითუმო ბაზებიდან რთული ასორტიმენტის საქონელს, ასეთი საწყობები ახორციელებენ მათ რაოდენობრივ და ხარისხობრივ მიღებას, მიმდინარე შენახვას და მარაგის (ფეხსაცმელი, ტანსაცმელი) დაგროვებას მოხმარების სეზონისათვის; ახდენენ სავაჭრო ასორტიმენტის ფორმირებას და აკომპლექტებენ შეკვეთებს საქონლის მიმღებთა მოთხოვნილების შესაბამისად (საბოლოოდ დამუშავება, დახარისხება, ხელახლა შეფუთვა, შეფუთვა, დაფასოება და ა. შ.); გასცემენ საქონელს სავაჭრო ქსელზე.

მარტივი ასორტიმენტის საქონლის ოპერაციები დაიყვანება საქონლის რაოდენობრივ მიღებაზე, ხარისხის შერჩევით შეიმოწმებაზე, შენახვაზე, მთელ ადგილებად (ყუთები, ტომრები) დახარისხებასა და მყიდველებისათვის შემდგომ გაგზავნაზე.

დამხარისხებელ-გამანაწილებელ საწყობებს საბითუმო და საცალო ვაჭრობის სასაქონლო საწყობებს შორის ძირითადი ხვედრითი წონა უკავია.

უშუალოდ რკინიგზის სადგურებზე და ნავსადგურებში ან მათთან ახლოს იქმნება ტრანზიტულ-გადამტვირთველი საწყობები. მათი ძირითადი დანიშნულებაა საქონლის მიღება, ხანმოკლე შენახვა, პარტიების დაკომპლექტება მთელ სასაქონლო ადგილებად და მათი გაგზავნა. ამ საწყობებში სასაწყობო დამუშავების პროცესს საქონელი განფუთვის გარეშე გადის.

ტრანზიტულ-გადამტვირთველი საწყობები იქმნება უმეტესად სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში და გამოიყენება საქონლის გადატვირთვისათვის ერთი სახის ტრანსპორტიდან მეორეზე, ისეთ საწყობებში გასაგზავნად, რომლებიც განლაგებულია მოხმარების შორეულ ან სიღრმისეულ რაიონებში.

სეზონური შენახვის საწყობებში ხორციელდება სეზონური წარმოების ან მოხმარების საქონლის (კარტოფილი, ბოსტნეული) დამუშავება და შენახვა.

საქონლის ხანგრძლივი შენახვა წარმოებს ვადამდე შეზიდვისა და სარეზერვო საწყობებში. ამ საწყობების სათანადო მოწყობა და მოწყობილობა უზრუნველყოფს საქონლის რაოდენობრივ და ხარისხობრივ შენახვას ხანგრძლივი დროის განმავლობაში. მათი შექმნა განპირობებულია ცალკეული რაიონების და უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონების ეკონომიკურ-გეოგრაფიული და კლიმატური თავისებურებებით, რის გამოც საქონლის შეზიდვა წლის განსაზღვრულ პერიოდებში გაძნელებულია.

საწყობის ნომენკლატურაში შემავალი საქონლის ასორტიმენტი განსაზღვრავს მის სასაქონლო პროფილსა და სპეციალიზაციას. სასაქონლო სპეციალიზაციის მიხედვით განასხვავებენ საწყობების ორ ჯგუფს: სპეციალიზებულსა და არასპეციალიზებულს.

სპეციალიზებულ საწყობებს შორის გამოყოფენ ვიწროსპეციალიზებულს. ასეთ საწყობებში ინახავენ ერთი სახის, როგორც წესი, მარტივი ასორტიმენტის საქონელს (მარილი, ნავთი, მცენარეული ზეთი).

სპეციალიზებული საწყობები ახორციელებენ ერთი რომელიმე ჯგუფის საქონლის (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, საბაკალეო საქონელი) მიღებას, შენახვასა და გაცემას. ასეთი საწყობები იქმნება ძირითადად სპეციალიზებული საცალო სავაჭრო ორგანიზაციებისა და საბითუმო ორგანიზაციების მიერ.

სპეციალიზებულ საწყობებს აქვთ საქონლის ფართო შიდაჯგუფური ასორტიმენტი. საწყობის საქმიანობის შემოფარგვლა, ერთი ან რამდენიმე ჯგუფის საქონლის დამუშავებით, იძლევა შენახვის პირობებისა და სასაწყობო ოპერაციების ორგანიზაციის გაუმჯობესების საშუალებას. მაგრამ ასეთი საწყობების ზომები მცირეა და მათმა შემდგომმა ზრდამ სპეციალიზაციის გაღრმავებასთან ერთად შეიძლება სასაწყობო ქსელის დაქუცმაცება გამოიწვიოს. ასეთი მდგომარეობა შეაფერხებს ელექტრონულ-გამომთვლელი ტექნიკის გამოყენებით სასაწყობო ოპერაციების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საფუძველზე დამყარებული თანამედროვე ტექნოლოგიის ყველგან დანერგვას, ძირითადი ფონდების ეფექტიან გამოყენებას, საწყობების ექსპლოატაციის სრულყოფას.

არასპეციალიზებულ საწყობებს გააჩნიათ რამდენიმე სახესხვაობა: უშუალოდ არასპეციალიზებული, უნივერსალური და შერეული. უშუალოდ არასპეციალიზებული საწყობები განკუთვნილია რამდენიმე ჯგუფის საქონლის შენახვისა და დამუშავებისათვის. უნივერსალური საწყობები ახორციელებენ სასაწყობო ოპერაციებს ფართო ასორტიმენტის არასასურსათო ან სასურსათო საქონელზე. ამჟამად ასეთი ტიპის საწყობები საკმაოდ ფართო გავრცელებას პოულობენ, რადგან საწყობების უნივერსალიზაცია, განსაკუთრებით საბითუმო ვაჭრობაში, იძლევა სასაწყობო საწარმოთა გამსხვილებისა და მთლიანად სასაწყობო მეურნეობის რაციონალიზაციის შესაძლებლობას. შერეულ საწყობებში წარმო-

ებს სასურსათო და არასასურსათო საქონლის ძირითადი სახეების შენახვა. ეს საწყობები ფუნქციონირებენ შერეულ საცალო სავაჭრო ორგანიზაციებთან, მშპ-ებთან, რაიკოოპერატივებთან, რაიკოოპკავშირებთან.

მათში შესანახი საქონლის ფიზიკურ-ქიმიური თვისებებისაგან დამოკიდებულებით განასხვავებენ საერთო-სასაქონლო და სპეციალურ საწყობებს.

საერთო-სასაქონლო საწყობებში ინახავენ არასასურსათო და სასურსათო საქონლის ძირითად მასას. ისინი ვაჭრობაში საწყობების ძირითად ტიპს წარმოადგენენ.

სპეციალური საწყობები განკუთვნილია ისეთი საქონლისათვის, რომელიც შენახვის განსაკუთრებულ პირობებს მოითხოვს. ასეთ საწყობებში იქმნება სპეციალური კონსტრუქციები და მოწყობილობა. სპეციალურ საწყობებს შეიძლება მიეკუთვნოს მაცივრები, ხილბოსტნეულსაცავეები, მარილის საწყობები, მცენარეული ზეთის, სილიკატურ-სამშენებლო მასალების საწყობები და სხვა.

მართვის ორგანიზაციული ფორმების მიხედვით განასხვავებენ ინდივიდუალურ, საზიარო და საერთო სარგებლობის საწყობებს.

ინდივიდუალური სარგებლობის საწყობები იმყოფება ერთი რომელიმე სავაჭრო ორგანიზაციის მფლობელობაში. ეს საწყობები შეიძლება იყოს საკუთარი ან იჯარით აღებული. ინდივიდუალური სარგებლობის საწყობების შექმნას სასაწყობო მეურნეობის დაქუცმაცებამდე და მის არაეფექტიან გამოყენებამდე მივყავართ.

საწყობების ექსპლოატაციის ეფექტიანობის ამაღლება მიიღწევა საზიარო სარგებლობის საწყობების შექმნით. ეს საწყობები ვაჭრობის სასაწყობო მეურნეობის მსხვილ საწარმოთა რიცხვს ეკუთვნის.

საზიარო სარგებლობის საწყობები, თავის მხრივ, იყოფა კოოპერირებულ და გაერთიანებულ საწყობებად.

კოოპერირებული საწყობები ეკუთვნის რამდენიმე სავაჭრო ორგანიზაციას, რომელთაგან თითოეულს მის მშენებლობაზე გაწეული კაპიტალდაბანდების სიდიდის შესაბამისად გამოეყოფა განსაზღვრული სასაწყობო შენობა ან ფართობი. ასეთი საწყობის მართვა და სამეურნეო მომსახურება ცენტრალიზებულად ხორციელდება, რაც უზრუნველყოფს ექსპლოატაციის ხარჯების შემცირებას.

კოოპერირებულისაგან განსხვავებით გაერთიანებული საწყობი ეკუთვნის ერთ რომელიმე სავაჭრო ორგანიზაციას, მაგრამ გამოიყენება რამდენიმე ორგანიზაციის მიერ იჯარის უფლებით. მასში იქმნება ერთიანი ადმინისტრაციული ხელმძღვანელობა ექსპლოატაციის, ამწე-სატრანსპორტო მოწყობილობათა გამოყენებისა და სატრანსპორტო-საექსპედიციო ოპერაციების ცენტრალიზებულად შესრულებისათვის.

საერთო სარგებლობის საწყობები წარმოადგენს შენობას და ფარ-

თობს, სადაც საქონლის შენახვა შეუძლია ნებისმიერ სავაჭრო ორგანიზაციას სათანადო ანაზღაურების ფასად. ისინი მოქმედებენ სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე და ეკუთვნიან ძირითადად სატრანსპორტო ორგანიზაციებს.

საერთო სარგებლობის საწყობების ძირითად ფუნქციას საქონლის შენახვა წარმოადგენს. იმის გამო, რომ ასეთ საწყობებში საქონელს ინახავენ სხვადასხვა ორგანიზაციები და საწარმოები, საქონელი მიიღება უმეტესად ხანმოკლე დროით შესანახად განსაზღვრული რაოდენობით. საერთო სარგებლობის საწყობები მათი კლიენტების მითითებათა შესაბამისად აკომპლექტებენ საქონლის პარტიებს მთელ სასაქონლო ადგილებად (წინასწარი დახარისხებისა და საბოლოოდ დამუშავების გარეშე) და გზავნიან დანიშნულების პუნქტებში. არსებითად ასეთი საწყობები სავაჭრო ორგანიზაციებისათვის დამატებით შენახვის ფართობს წარმოადგენს.

სავაჭრო ორგანიზაციების საქმიანობის შინაარსი და ხასიათი, მათი საქონელბრუნვის მოცულობა და ასორტიმენტული სტრუქტურა არსებით გავლენას ახდენს მათ მიერ საწყობის ამა თუ იმ სახის შერჩევაზე. ერთი კი უეჭველია, რომ გაერთიანებული საწყობები უნდა გახდეს ფართო ასორტიმენტის საქონლით საცალო სავაჭრო საწარმოთა მომარაგების ძირითადი წყარო და სასაქონლო მარაგის ძირითადი მასის კონცენტრაციის ადგილი. ამას ხელს შეუწყობს გაერთიანებული სასაწყობო მეურნეობების ექსპლუატაციის სისტემის გარდაქმნა საქონელმომარაგების რაციონალიზაციისა და საწყობებში მუშაობის პროგრესული ორგანიზაციის მოთხოვნათა შესაბამისად.

საწყობების ტიპიზაცია. სასაწყობო ქსელი შედგება მრავალფეროვანი საწარმოებისაგან, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სასაქონლო პროფილით, ზომებით (ფართობით ან მოცულობით), სართულების რაოდენობით, ტექნოლოგიური პროცესების ხასიათით, გარე სატრანსპორტო კავშირებით და სხვა. მოქმედთა რიცხვიდან საუკეთესოების გამოვლენას და შერჩევას და აღნიშნული ნიშნების ერთობლიობის საფუძველზე საწყობების ყველაზე რაციონალური ტიპების შემუშავებას საქონელმომარაგების პროცესში მათი ადგილის გათვალისწინებით, სასაწყობო ქსელის ტიპიზაცია ეწოდება.

მაგრამ პრაქტიკაში საწყობების ტიპიზაცია ხორციელდება მხოლოდ მშენებლობის ტიპობრივი პროექტების დამუშავების სახით. საწყობების ქსელის სწორად აგებისათვის, მათი მეტისმეტი მრავალფეროვნების აღმოფხვრისათვის, სასაწყობო პროცესების ორგანიზაციაში მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელ მიღწევათა დანერგვისათვის საჭიროა საწყობების რაციონალური ტიპების უფრო ღრმად დამუშავება.

ტიპიზაცია სასაქონლო პროფილის მიხედვით დაკავშირებულია საწყობებისათვის სასაქონლო ჯგუფების სხვადასხვა სახის ტიპური ნო-

მენკლატურის განსაზღვრასთან. საწყობის სასაქონლო პროფილზე გავლენას ახდენს სასაწყობო საქონელბრუნვის მოცულობა და სტრუქტურა, საწყობის ტექნიკური მოწყობილობა, მისი მოქმედების რაიონი. ეს ფაქტორები სასაქონლო პროფილის მიხედვით ტიპიზაციის ძირითად მიმართულებად აყენებენ საქონლის უნივერსალური ასორტიმენტის მქონე მსხვილი გაერთიანებული საერთოსასაქონლო საწყობების შექმნას.

საწყობების ტიპიზაცია ზომების მიხედვით მიზანშეწონილია გატარდეს ფართობის ან მოცულობის მაჩვენებლების მიხედვით. ამასთან, ერთი და იმავე სახის საწყობებს შეიძლება რამდენიმე ტიპოზომა ჰქონდეს. ზომების მიხედვით საწყობის სათანადო ტიპის შერჩევა ხორციელდება მოსამსახურებელი რაიონის სპეციფიკისა და მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით. საწყობის ტიპოზომის ოპტიმალობის კრიტერიუმად შეიძლება გამოდგეს შენობის 1 კვ. მ. ფართობის მშენებლობის ღირებულება.

სართულების რაოდენობის მიხედვით განასხვავებენ ერთსართულიან და მრავალსართულიან საწყობებს. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ყველაზე რაციონალურ ტიპს ერთსართულიანი საწყობი წარმოადგენს. საწყობის სიმაღლეზე გავლენას ახდენს მისი სასაქონლო პროფილი, ტექნოლოგიური პროცესების ხასიათი, ამწე-სატრანსპორტო მექანიზმების სისტემა. მიჩნეულია, რომ ეკონომიკურად და ტექნოლოგიურად მიზანშეწონილია 16 მეტრამდე სიმაღლის საწყობები.

ტექნოლოგიური პროცესების ხასიათის მიხედვით საწყობები იყოფა ორ ტიპად: საწყობები ყველა ოპერაციის კომპლექსური მექანიზაციით ან ავტომატიზაციით და ცალკეული ოპერაციების მექანიზაციით.

მოქმედი საწყობების უმეტესი ნაწილი მეორე ტიპს ეკუთვნის. თუმცა უკანასკნელ ხანებში ხორციელდება კომპლექსურად მექანიზებული სასაწყობო საწარმოების დაპროექტება და მშენებლობა ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზებული მართვის ჩართვით.

გარე სატრანსპორტო კავშირების მიხედვით განასხვავებენ საწყობების შემდეგ ტიპებს: საწყობები ნავმისადგომითა და სალიანდაგო მისასვლელი გზებით; ნავმისადგომებთან ან რკინიგზის სადგურებთან ახლომდებარე პუნქტებში არსებული საწყობები თავიანთი ნავმისადგომებისა და სალიანდაგო მისასვლელი გზების გარეშე და საწყობები ნავმისადგომებისა და რკინიგზის სადგურისაგან დაშორებულ სიღრმისეულ პუნქტებში.

მსხვილი ზონალური და საერთოსაქალაქო მნიშვნელობის საწყობების მშენებლობასთან დაკავშირებით ნავმისადგომიან და სალიანდაგო მისასვლელი გზების მქონე საწყობებს გადაწყვეტი მნიშვნელობა ექნებათ. სიღრმისეულ პუნქტებში საწყობები, როგორც წესი, აქვთ რაიკოპკავშირებს. საქონლის ძირითადი მასის საბითუმო საწყობებში შე-

სანახად გადატანასა და რაიონთაშორის ბაზებთან უფრო მსხვილი საწყობების მშენებლობის გაფართოებასთან ერთად ამ საწყობების მნიშვნელობა შემცირდება.

საწყობების ტიპიზაცია იძლევა დიდ სახალხომეურნეობრივ ეფექტს, რადგან საშუალებას გვაძლევს სწორად მოვასდინოთ სასაწყობო საწარმოთა განლაგება და სასაწყობო ქსელის განვითარების დაგეგმვა, ვაწარმოოთ უფრო ზუსტი სტატისტიკური აღრიცხვა.

§.3. სასაწყობო მშენებლობის მდგომარეობა და განვითარების გზები

უკანასკნელ წლებში გაიზარდა ვაჭრობაში სასაწყობო მშენებლობის ინტენსივობა. ამასთან, სასაწყობო ქსელის ზრდის ტემპი საცალო ვაჭრობაში უფრო მაღალია საბითუმოსთან შედარებით. აღინიშნება საწყობების საშუალო ფართობის რამდენადმე ზრდა. ეს იმით აიხსნება, რომ სასაწყობო ფონდის გადიდება მიმდინარეობს ძირითადად მსხვილი სასაწყობო ნაგებობების მშენებლობის ხარჯზე. 1976 წლის დასაწყისითათვის მარტო რსფსრ ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში მოქმედებდა 20 გაერთიანებული საბითუმო ბაზა 500 ათასი მ² ფართობით. გარდა ამისა, ამჟამად შენდება კიდევ 15 გაერთიანებული ბაზა დაახლოებით 350 ათასი მ² საერთო ფართობით. მეცხრე ხუთწლეულში მწყობრში შესული საწყობების საშუალო ზომა გაიზარდა და საცალო ვაჭრობაში საშუალოდ 650 მ², ზოლო საბითუმოში 2 500 მ² შეადგინა.

საქონლის შესანახ საერთო ფართობებში ძირითადი ადგილი უკავია საცალო სავაჭრო ორგანიზაციების საწყობებს, რომელთა წილად მოდის 48%, მაღაზიების დანხმარე სათავსებს უკავია 31% და საბითუმო ორგანიზაციების საწყობებს — 21%. საქონლის მარაგის საერთო რაოდენობის 55% ამჟამად იმყოფება საცალო საწარმოებში, დაახლოებით 25% — საცალო ვაჭრობის განმანაწილებელ საწყობებში და მხოლოდ 10—11% — საბითუმო საწარმოთა საწყობებში. (მარაგის დანარჩენი ნაწილი იმყოფება მრეწველობის საწყობებში და გზაში). ასეთი განაწილება გამორიცხავს მანევრირების შესაძლებლობას და მნიშვნელოვანი ზენორმატიული მარაგის წარმოქმნის სერიოზულ ფაქტორს წარმოადგენს. ამიტომ საქონელმომარაგების რაციონალიზაციის აუცილებელი პირობაა საქონლის მარაგის მნიშვნელოვნად შემცირება საცალო რგოლში და მისი ძირითადი მასის კონცენტრაცია საბითუმო საწყობებში. ეს მოითხოვს სასაწყობო ქსელის გაფართოებაზე კაპიტალდაბანდებათა დამატებით ზრდას.

საწყობების ახალმშენებლობის ძირითადი მიმართულებაა მსხვილი მაღალმექანიზებული და ავტომატიზებული საწარმოების მშენებლობა. ზვედრითი დანახარჯები ასეთი საწარმოების მშენებლობაზე მნიშვნელო-

ვნად ნაკლებია, ვიდრე წერილი საწყობების მშენებლობის დროს. ასე მაგალითად, 1000—1500 მ² ფართობის მქონე საწყობის მშენებლობისას კაპიტალდაბანდებათა მოცულობა ფართობის ერთეულზე ორჯერ აღემატება 25 ათასი მ² ზომის საწყობის მშენებლობის ხარჯებს.

საწყობების ზომების ზრდასთან ერთად მცირდება საქონლის მარაგის შეფარდებითი დონე, რაც განაპირობებს საქონლის მიმოქცევის პროცესის დაჩქარებას და ამასთან დაკავშირებით მიმოქცევის ხარჯების შემცირებას. ასე მაგალითად, მიმოქცევის ხარჯები საქონელბრუნვის 100 მანეთზე 25 ათასი მ² ფართობის მქონე საწყობებში 14%-ით ნაკლებია 2,5 ათასი მ² ფართობის მქონე საწყობებთან შედარებით.

მსხვილი საწყობები, როგორც წესი, შენდება ერთსართულიანი, დაწყობის გზარდილი სიმაღლით. ეს არსებითად ამცირებს კაპიტალდაბანდებათა მოცულობას. ასე მაგალითად, 7,5 და 13 მ სიმაღლის საწყობების მშენებლობის ღირებულება 16 მ სიმაღლის საწყობის მშენებლობის ხარჯებთან შედარებით შესაბამისად 162 და 122%-ს შეადგენს. მაღალი ერთსართულიანი საწყობების მშენებლობა იძლევა სასაწყობო ოპერაციების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ყველაზე უფრო სრულყოფილი საშუალებების გამოყენების შესაძლებლობას.

სასაწყობო საწარმოებში ტექნოლოგიური პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის თანამედროვე საშუალებების დანერგვის უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა ვაჭრობის სისტემაში უწყვეტი სატრანსპორტო ჯაჭვების, როგორც საქონლის ტრანსპორტირების, გადატვირთვის და საწყობში მოთავსების პროცესების ინტენსიფიკაციისა და რაციონალიზაციის ძირითადი მიმართულებების შექმნა. »

სატრანსპორტო ჯაჭვის ქვეშ ივლისსხმება ეკონომიკური, ორგანიზაციულ-ტექნიკური, ტექნოლოგიური და ინფორმაციული პროცესების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს სატვირთო ერთეულების სახით პაკეტირებული საქონლის მიწოდებას სამრეწველო საწარმოებიდან. მაღაზიის სავაჭრო დარბაზამდე მინიმალური დანახარჯებით და მექანიზაციის მაქსიმალური ხარისხით. ცალკეული რგოლების უწყვეტ სატრანსპორტო ჯაჭვად შეერთების საშუალებად უნდა გახდეს კონტეინერები და ქვესადგამები, რომელთა მეშვეობით ხდება საქონლის პაკეტირება-სატვირთო ერთეულების სახით, რომლებიც ტრანსპორტირების, გადატვირთვის, დაწყობისა და საცალო გაყიდვის ყველა პროცესს გადიან ხელახალი ფორმირების გარეშე. სავაჭრო მანქანათმშენებლობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მონაცემებით, ტვირთების გამჭოლი გადაზიდვები კონტეინერებითა და ქვესადგამებით საშუალებას იძლევა გამოირიცხოს მრავალჯერადი დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოები, 6-8-ჯერ გაიზარდოს ამ სამუშაოებზე შრომის ნაყოფიერე-

ბა და 4-5-ჯერ შემცირდეს ტვირთების გადამუშავების ღირებულება. ასეთი გადაზიდვის დანერგვა საწყობებში ტექნოლოგიური პროცესების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის გადამწყვეტი პირობაა.

სასაწყობო მეურნეობაში ტექნიკური პროგრესის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს საქონელმომარაგების რაციონალური სისტემის, მოწყობილობის მაღალმწარმოებლური კომპლექსების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფენ საწყობში დაწყობის ტექნოლოგიის მაღალ დონეს და შესაძლებლობას იძლევიან დაკომპლექტდეს სავაჭრო ასორტიმენტი და რიტმულად შეიზიდოს საქონელი მაღაზიებში.

სასაწყობო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციას, გაფართოებასა და ხელახალ ტექნიკურ შეიარაღებას. საწყობების რეკონსტრუქცია და უახლესი ამწე-სატრანსპორტო მოწყობილობით აღჭურვა საშუალებას მოგვცემს მოკლე ვადაში გაიზარდოს მათი სასაქონლო ტევადობა და ამაღლდეს მისი გამოყენების ეფექტიანობა.

მეათე ხუთწლედის ბოლოსათვის ნავარაუდევია მნიშვნელოვნად გაიზარდოს ვაჭრობაში 6 მეტრი სიმაღლის საერთო სასაქონლო საწყობების მოცულობა შედარებით მცირე კაპიტალდაბანდების პირობებში. ეს შეიძლება მიღწეულ იქნეს მხოლოდ სასაწყობო მეურნეობის მოდერნიზაციის ხარჯზე.

სასაწყობო მეურნეობის სრულყოფა და რაციონალიზაცია განაპირობებს მისი განვითარების სწორად დაგეგმვის აუცილებლობას. ქსელის კომპლექსური განვითარებისათვის მიმდინარე და ხუთწლიანი გეგმების შედგენასთან ერთად განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს გრძელვადიანი დაგეგმვა. სასაწყობო მეურნეობის აგებისა და განვითარების ერთიანი გეგმა მოიცავს საერთო-სასაქონლო საწყობების, მაცივრებისა და კარტოფილ და ხილბოსტნეულსაცავების მშენებლობასა და მოქმედებაში შეყვანას.

საერთო-სასაქონლო საწყობების განვითარებისა და განლაგების პერსპექტიული გეგმის შემუშავება ხორციელდება ისეთი პრინციპებიდან გამომდინარე, როგორცაა: საქონელმომარაგების რაციონალური სისტემის უზრუნველყოფა, მიმოქცევის სფეროში არსებული საქონლის მარაგის ძირითადი მასის თანდათანობით თავმოყრა საწყობებში; უპირატესად მსხვილი სასაწყობო ნაგებობების მშენებლობა; ახალ სასაწყობო მშენებლობაზე კაპიტალდაბანდებათა გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება; სასაწყობო მეურნეობის განვითარების მიმართულებათა შეთანხმება ქალაქის მშენებლობისა და რეკონსტრუქციის გენერალურ გეგმებთან.

საწყობების განვითარების დაგეგმვა იწყება სასაწყობო ქსელის

ფაქტობრივი მდგომარეობის დეტალური შესწავლით, იმ საწყობების რაოდენობისა და ფართობის განსაზღვრით, რომელიც ვარგისია შემდგომი გამოყენებისათვის. ამასთან, უნდა გამოვლიოდეთ არსებული სასაწყობო ფონდის მაქსიმალური გამოყენების აუცილებლობიდან. სასაწყობო ქსელზე მოთხოვნილების განსაზღვრის საფუძველს წარმოადგენს სასაქონლო მარაგი (საცალო საქონელბრუნვა დღეებში), რომელიც უნდა ინახებოდეს საერთო-სასაქონლო საწყობებში; მოსახლეობის რაოდენობის პროგნოზი და საერთო-სასაქონლო საწყობების ფართობზე მოთხოვნილების ნორმატივი ქალაქის 1000 მცხოვრებზე, მარაგის ერთ დღეზე გაანგარიშებით, გამოთვლილი საცალო საქონელბრუნვის მიმართ.

საერთო-სასაქონლო საწყობების ფართობი (P) კონკრეტული ეკონომიკური რაიონისათვის საგეგმო პერიოდში გაანგარიშება ფორმულით:

$$P = \frac{NW(m_1 - m_2)}{1000},$$

სადაც N — არის საცალო საქონელბრუნვის მიმართ გამოთვლილი საქონლის მარაგის ნორმა ერთ დღეზე, მ².

W — ეკონომიკური რაიონის (ქალაქის) მოსახლეობის რაოდენობა, ათასი კაცი;

m₁ — ყველა სასურსათო ან არასასურსათო საქონლის მარაგის ნორმატივი მთლიანი ეკონომიკური რაიონისათვის (ქალაქისათვის), დღეებში;

m₂ — ყველა სასურსათო ან არასასურსათო საქონლის მარაგის ნორმატივი ეკონომიკური რაიონის (ქალაქის) საცალო ქსელისათვის, დღეებში;

(m₁—m₂) — სასურსათო ან არასასურსათო საქონლის მარაგის ნორმატივი ეკონომიკური რაიონის (ქალაქის) საერთო-სასაქონლო საწყობებისათვის, დღეებში.

სასაწყობო მეურნეობის განვითარების პერსპექტიული გეგმის შედგენისათვის უმნიშვნელოვანეს მაჩვენებელს წარმოადგენს საქონელმომცრობის რგოლების მიხედვით დიფერენცირებული საქონლის მარაგის დონე (ნორმატივი). გაანგარიშებისას გამოდიან საწყობებსა და საცალო ვაჭრობის საწარმოთა შორის მარაგის რაც შეიძლება რაციონალური განლაგების აუცილებლობიდან.

საქონელმომარაგების სისტემის გარდაქმნა და საერთო-სასაქონლო საწყობების გადაქცევა ფართო ასორტიმენტის საქონლით საცალო ვაჭრო ქსელის უშუალოდ უზრუნველმყოფელ ძირითად რგოლად განა-

¹ შალფუჟებადი პროდუქტებისა და ხილბოსტნეულის გამოკლებით.

პირობებს მათი მოქმედების რაიონის განსაზღვრისადმი სხვაგვარ მიდგომას.

ქალაქებში საერთო-სასაქონლო საწყობების განლაგების ძირითად პრინციპს წარმოადგენს მათი განლაგება სამრეწველო-სასაწყობო ზონებში. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ზონალური (რეგიონალური) საწყობის მოქმედების რაიონი განისაზღვრება ქალაქების განლაგების, მოსახლეობის რაოდენობის, სატრანსპორტო კავშირებისა და საქონლის გადაზიდვის სქემების ადგილობრივი თავისებურებებიდან გამომდინარე.

სამომხმარებლო კოოპერაციის საწყობების ძირითადი სახის — სარაიონთაშორისო ბაზების საწყობების განლაგება წარმოებს ზონებში, რომლებიც აერთიანებენ რამდენიმე ცალკეულ რაიონს (რაიონულ მომხმარებელთა საზოგადოებებს ან რაიკოოპკავშირებს). ზონაში, რომლებიც არ ეკერის სარაიონთაშორისო ბაზებს, იქმნება სავაჭრო ბაზების საწყობები, რაიკოოპკავშირებში. სოფელ ადგილებში საწყობების განლაგების ასეთი სქემა მიზნად ისახავს მომხმარებელთა საზოგადოებების განმანაწილებელი საწყობების აღმოფხვრას და რაიკოოპკავშირებისა და რაიკოოპერატივების საწყობების შეზღუდვას.

ყოველ ზონაში საზღვრავენ საწყობების განლაგების შესაძლო პუნქტებს, რომელთა შერჩევაზე გავლენას ახდენს მათი ეკონომიკური მნიშვნელობა, სატრანსპორტო კავშირების მოხერხებულობა.

საწყობის განლაგების ოპტიმალური პუნქტის შერჩევა ხდება საცალო ქსელში საქონლის მიწოდების საშუალოშეწონილი მანძილების შედარების საფუძველზე. ეს მანძილები გამოითვლება შესაზიდი საქონლის რაოდენობიდან და უმოკლესი მანძილიდან გამომდინარე შემდეგი ფორმულით:

$$R_b = \frac{\sum_{i=1}^m R_i O_i}{\sum_{i=1}^n O_i}$$

სადაც R_b არის საშუალოშეწონილი მანძილი;

R_i — მანძილი ბაზიდან i -ურ მაღაზიამდე, კმ;

O_i — i -ურ მაღაზიაში შესაზიდი საქონლის მასის მოცულობა;

საწყობების მშენებლობისათვის ზონების განსაზღვრა და მიწის ნაკვეთების (განლაგების პუნქტების) გამოყოფა ხორციელდება რკინიგზის ხაზების, საავტომობილო მისასვლელი გზების, თბოფიკაციური და ელექტროენერგეტიკული კომუნიკაციებისა და სხვათა ყველაზე ეკონომიური მშენებლობის გათვალისწინებით.

ყოველი ახალი საწყობის ან მისი ნაწილის მშენებლობა უნდა წარ-

მოადგენდეს მთელი სასაწყობო კომპლექსის განვითარების პერსპექტიული გეგმის განხორციელების ორგანულ ნაწილს. სექციური მშენებლობა, რომელიც სულ უფრო ფართო გავრცელებას პოულობს, აგრეთვე, მოგვეცემს მშენებლობის რეგულირებისა და საწყობების მოქმედებაში შეყვანის საშუალებას ყოველი ცალკეული პერიოდის მოთხოვნილებებისაგან დამოკიდებულებით.

საერთო-სასაქონლო საწყობების განვითარებისა და განლაგების პრინციპები, განხილული ამოსავალი ეტაპები ასახულია სპეციალურ მეთოდიაში და წარმოადგენს საბითუმო ვაქრობის და მისი სასაწყობო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ოპტიმალური განვითარების პერსპექტიული (გრძელვადიანი და საშუალოვადიანი) გეგმების შედგენის საფუძველს. მისი კომპლექსური რეალიზაცია შესაძლებელია ვარიანტული ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზის საფუძველზე ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდებისა და ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების გამოყენებით.

განვიხილოთ საერთო-სასაქონლო საწყობების განვითარებისა და განლაგების პერსპექტიული სქემის ოპტიმიზაციის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის აგება.

ზოგადი სახით სასაწყობო მეურნეობის ოპტიმალური განვითარებისა და განლაგების ამოცანის ფორმულირება შეიძლება შემდეგნაირად: ცნობილია საგეგმო პერსპექტივაში საქონელზე მოთხოვნის (მოთხოვნილების) ფიქსირებული პროგნოზები, დიფერენცირებული საბითუმო და საცალო სავაჭრო საწარმოთა მოქმედების რაიონების მიხედვით, სასაწყობო მეურნეობის მდგომარეობა საგეგმო პერიოდის დასაწყისში, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების (მიწოდების) და საბითუმო ვაქრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების ტემპები, საჭიროა მოიძებნოს ახალი საერთოსასაქონლო საწყობების მშენებლობისა და მოქმედის რეკონსტრუქციის ვარიანტი (მშენებლობის ადგილი, ფართობი), რომლის დროსაც საწყობებში საქონლის ტრანსპორტირების, შენახვისა და საცალო სავაჭრო ქსელში მიწოდების ერთობლივი ხარჯები (როგორც მიმდინარე, ისე ერთდროული ხარჯების გათვალისწინებით) მინიმალური იქნება მომსახურებაში მყოფი მოსახლეობის მოთხოვნის ყველაზე სრულად დაკმაყოფილების პირობებში.

ამოცანის ამოხსნის ოპტიმალურობის კრიტერიუმად გამოყენება დაყვანილი ერთობლივი ხარჯების მაჩვენებელი შემდეგი სახით:

$$\min Z(x) = \sum_{i=1}^T \left[\sum_{i=1}^m \sum_{r_i=1}^{K_i} \left(S_{it}^{(r)} + E \cdot K_{it}^{(r)} \cdot x_{i,t}^{(r)} \right) d_{it} + \sum_{i=1}^m \sum_{j=1}^m t_{ij} x_{ij} \right]. \quad (1)$$

ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის შემდეგი შეზღუდვების პირობებში:

$$\sum_{i=1}^m x_{ij,t} = q_j \quad (2)$$

$$\sum_{j=1}^n x_{i,j,t} \leq \sum_{r_i=1}^{R_i} x_{it}^{(r)} \cdot d_{it}^{(r)} \quad (3)$$

$$\sum_{r_i=1}^{R_i} x_{it}^{(r)} \leq 1 \quad (4)$$

$$x_{it}^{(r)} = \begin{cases} 0 \\ 1 \end{cases} \quad (5)$$

$$\sum_{r_i=1}^{R_i} x_{i,t+1}^{(r)} d_{i,t+1}^{(r)} = 1 \leq \sum_{r_i=1}^{R_i} x_i^{(r)}(t+2) d_{i,t+2}^{(r)} = 2 \leq \dots$$

$$\dots \leq \sum_{r_i=1}^{R_i} x_{i,t+T}^{(r)} d_{i,t+T}^{(r)} = T \quad (6)$$

$$\sum_{j=1}^n x_{i,j,t} \geq m_{it} \quad (7)$$

ამოცანაში უცნობებია:

$x_{ij,t} \geq 0$ — ამოხსნიდან განსასაზღვრავი i -ური საწყობიდან

j — ურ მოთხოვნის ზონაში შეკვეთების შესაბამისად საქონლის მიწოდების მოცულობა;

$x_{it}^{(r)} \geq 0$ — მოდელის ამოხსნიდან განსასაზღვრავი სასაწყობო მეურნეობის განვითარების r -ული ვარიანტის სიმძლავრე i -ურ პუნქტებში მშენებლობის ან რეკონსტრუქციის ტიპობრივი პროექტის შესაბამისად.

(1) — (7) — ფორმულებში პირობითი აღნიშვნები შემდეგია:

1, 2... m — საერთო-სასაქონლო საწყობების მშენებლობის (რეკონსტრუქციის) პუნქტები;

$j=1, 2 \dots n$ - საბითუმო საწარმოთა მოქმედების რაიონში საცალო სავაჭრო მყიდველთა მოთხოვნის ზონები;

$t=1, 2, \dots T$ - სასაწყობო მეურნეობის განვითარებისა და განლაგების საგეგმო პერიოდი;

$r=1, 2, \dots R$ - i -ურ პუნქტში სასაწყობო მეურნეობის განვითარების შე-

საძლო ვარიანტი ტიპობრივი პროექტის შესაბამისად და-
საშვებია ასეთი ვარიანტების შეზღუდული რიცხვი —
რიცხვი — R_t);

q_{jt} — საბითუმო ბაზის (საწყობის) მომსახურების j -ურ ზონაში
მოთხოვნის პროგნოზები;

$d_{jt}^{(r)}$ — i -ური საწყობის ტევადობა (გამტარუნარიანობა) სასაწყო-
ბო ბრუნვის მოცემული სტრუქტურის პირობებში განვი-
თარების r -ული ვარიანტის რეალიზაციის დროს;

M_{jt} — მშენებლობის i -ურ პუნქტში საწყობის ტევადობის მინიმა-
ლურად დასაშვები სიდიდე;

$S_{jt}^{(r)}$ — r -ული ვარიანტის შესაბამისად მშენებლობის i -ურ პუნქტ-
ში საწყობის შეფარდებითი მიმდინარე მიმოქცევის ხარ-
ჯები;

$K_{it}^{(r)}$ — ხვედრითი კაპიტალური დაბანდებანი i -ურ პუნქტში საწყ-
ობის მშენებლობასა და რეკონსტრუქციაზე r -ული ვარი-
ანტის თანახმად;

$E=O,12$ — კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის კოეფიციენტი-
ვაქრობის დარგისათვის;

t_{ijt} — შეკვეთების მოცემული სტრუქტურის დროს i -ური საწყ-
ობიდან მოთხოვნის j -ურ ზონაში საქონლის მიწოდების
სატრანსპორტო ხარჯები.

განხილულ მოდელში შეზღუდვების (2) — (7) სისტემას აქვს შემ-
დეგი ეკონომიკური აზრი. (2) პირობა განსაზღვრავს აუცილებლობას
რომ მომსახურების j -ურ ზონაში მოცემული მოთხოვნა საანგარიშო-
პერიოდის თითოეულ წელს კმაყოფილდებოდეს საბითუმო რგოლიდან
მიწოდების ხარჯზე. (3) პირობა გვიჩვენებს, რომ i -ური საწყობიდან მი-
წოდების ერთობლივი მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს განვითარე-
ბის r -ული ვარიანტით განსაზღვრულ მის ტევადობას (გამტარუნარია-
ნობას). (4) და (5) პირობები მთელირიცხვიანობის პირობებია, ე. ი. ვა-
რიანტი მთლიანად უნდა შედიოდეს გეგმაში ან არ აშენდება. (6) პირო-
ბა გვიჩვენებს, რომ საგეგმო პერიოდის წლების მიხედვით დაცული
უნდა იყოს გარკვეული თანაბარზომიერება სასაწყობო მეურნეობის
სიმძლავრის ზრდაში. (7) პირობა ზღუდავს i -ური საწყობის დასაშვებ
მოცულობას.

განხილული ამოცანა შეიძლება ამოიხსნას წრფივი პროგრამირების
სატრანსპორტო ამოცანის ერთ-ერთი ალგორითმის გამოყენებით.

სამაცივრო მეურნეობის განვითარების პერსპექტივებთან დაკავ-
შირებით არსებით მნიშვნელობას იძენს საწყობ-მაცივრებზე მოთხოვ-

ნიღების სწორად განსაზღვრა და მათი ეკონომიკურად დასაბუთებელი განლაგება.

განმანაწილებელ სამაცივრო ტევადობაზე საერთო მოთხოვნილება განისაზღვრება ფორმულით:

$$W = \frac{V_m \cdot B}{K_{ucn}},$$

სადაც V_m არის მაქსიმალურად საჭირო ტევადობა მიმდინარე და სეზონური მარაგების ერთდროულად შესანახად, ტ;

B — კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ტევადობას შიგა-სისტემური ბრუნვის ტვირთებისა და გარდამავალი მარაგებისათვის;

K_{ucn} — სასარგებლო ტევადობის გამოყენების კოეფიციენტი, რომელიც 80-90%-ს შეადგენს.

ამრიგად, სამაცივრო ტევადობაზე მოთხოვნილების განსაზღვრის ძირითად მაჩვენებელს წარმოადგენს მიმდინარე და სეზონური მარაგების სიდიდე, რომელიც გამოითვლება შესანახი მალფუქტებადი პროდუქტების მოხმარების მოცულობისა და სტრუქტურის საფუძველზე.

განმანაწილებელი მაცივრების ახალი მშენებლობის მოცულობისა და პუნქტების განსაზღვრისას მიზანშეწონილია შესასწავლი რაიონი დაიყოს რიგ „სამომხმარებლო ზონებად“ (მომსახურების ზონებად). ამასთან აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს, რომ განმანაწილებელი მაცივრების მშენებლობის ადგილს დიდი ქალაქი უნდა წარმოადგენდეს. განმანაწილებელი სამაცივრო ტევადობების გამოვლენილი დეფიციტის საფუძველზე დგება განსაზღვრული რაიონის ცალკეულ პუნქტებში (ზონებში) მაცივრების მშენებლობის შესაძლო ვარიანტები.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს კარტოფილის, ხილისა და ბოსტნეულის საცავეების განვითარებისა და განლაგების მიმართულებათა განსაზღვრა. ამ საცავეებზე მოთხოვნილება კონკრეტული ეკონომიკური რაიონისათვის პერსპექტივაში გამოითვლება მოსახლეობის (ქალაქის, სოფლის) რაოდენობის პროგნოზიდან ბოსტნეულკარტოფილსაცავეებზე მოთხოვნილების ნორმატივიდან გამომდინარე, რომელიც გამოიანგარიშება მოცულობით კილოგრამებში 1000 მცხოვრებზე.

ბოსტნეულისა და კარტოფილის საცავეების ტევადობის განსაზღვრისას უნდა გამოვლიოდეთ იქიდან, რომ უზრუნველყოფილი იქნეს ამ პროდუქტების 7-9 თვის მარაგის შენახვა. ტევადობა საცავეებისა, რომლებიც უნდა განლაგდეს კარტოფილისა და ბოსტნეულის მოყვანის რაიონებში, მიზანშეწონილია განისაზღვროს იმ ანგარიშით, რომ პერს-

პექტივაში მათში შენახული უნდა იქნეს ხანგრძლივად შესანახი პროდუქციის მარაგის არანაკლებ 60%.

ხილისათვის სეზონური მარაგების სიდიდე უნდა დგინდებოდეს 4-6 თვის მარაგიდან გამომდინარე. ამასთან მოხმარების რაიონებში ხილსა-ცაყებისა და ხილბოსტნეულის კომბინატების მშენებლობასთან ერთად პერსპექტივაში ფართოდ გავრცელდება ხილისა და ზოგიერთი ძვირფასი ბოსტნეულისათვის სპეციალიზებული გასაცივებელი საცავების მშენებლობა მათი წარმოების რაიონებში. მათ ააშენებენ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, დამამზადებელი და საეაქრო ორგანიზაციები, აგრეთვე, კვების მრეწველობის საწარმოები.

სასაწყობო ქსელის პერსპექტიული დაგეგმვა ქვეყნისა და ცალკეული რაიონების მასშტაბით დაკავშირებული უნდა იყოს საცალო ქსელისა და საზღვების საწარმოთა ზრდის გეგმებთან. ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დაგეგმვისადმი ასეთი კომპლექსური მიდგომა უზრუნველყოფს მის გეგმაზომიერ განვითარებას.

საწყობებში ოპერატიულ და ტექნოლოგიური პროცესების ორგანიზაცია

§ 1. საწყობების მოწყობა და დაგეგმარების საფუძვლები

საწყობების მოწყობასა და დაგეგმარებაზე გავლენას ახდენს მთელი რიგი ტექნოლოგიური, საექსპლოატაციო და სამშენებლო ხასიათის ფაქტორები. უპირველეს ყოვლისა ესაა საწყობების სასაქონლო პროფილი და მის მიერ შესრულებული ფუნქციების ხასიათი, ტექნოლოგიური პროცესების გამოყენებული ტიპი, სასაწყობო სათავსების ფართობისა და ტევადობის გამოყენების ოპტიმალობა, ექსპლოატაციის მოხერხებულობა, ინდუსტრიული მეთოდებით საწყობების აშენების შესაძლებლობა და მისი ძირითად კონსტრუქციულ გადაწყვეტილებათა ეკონომიურობა.

საქონლის ასორტიმენტი, მისი ფიზიკურ-ქიმიური თვისებები განსაზღვრავენ შენახვის პირობებს. სასაწყობო შენობების შერჩევის ძირითად კრიტერიუმს, მისი სასაქონლო პროფილის გათვალისწინებით წარმოადგენს საქონლის შენახვის ეკონომიკური მიზანშეწონილობა ამა თუ იმ სასაწყობო ნაგებობაში. მაგალითად: მალფუჭებადი საქონლის შენახვისა და დამუშავებისათვის აუცილებელია გამაცივებელი სათავსები. უმეტეს არასასურსათო და სასურსათო საქონელს ინახავენ საერთო-სასაქონლო ტიპის საწყობებში. ზოგიერთი არასასურსათო საქონელი მათი განსაკუთრებული ფიზიკურ-ქიმიური თვისებების გამო შეიძლება შენახული იქნეს საწყობებში ან მარტივი კონსტრუქციის ნაგებობებში. სასაქონლო მარაგების ასორტიმენტული სტრუქტურა განსაზღვრავს ოპერატიული პროცესების აგების თავისებურებებსა და თანმიმდევრობას, რომელიც გავლენას ახდენს საწყობების კონსტრუქციაზე, მათი სათავსების დაგეგმარებაზე და საერთო ტექნიკურ აღჭურვილობაზე.

სასაწყობო შენობის დაგეგმარების გადაწყვეტა დამოკიდებულია საწყობების ფუნქციურ თავისებურებებზე. დამხარისხებელ-განმანაწი-

ლებელ საწყობებში ძირითადი ადგილი უკავია მიღების, დახარისხების, საქონლის გასაცემად მომზადების ოპერაციებს. ამიტომაც ასეთ საწყობებში ძირითადი ფართობი განკუთვნილია საქონლის განსაფუთ, წუნდების და დამკომპლექტებელ სათავსებისათვის. გარდა ამისა, ასეთი სათავსები მოითხოვენ შესაბამის განლაგებას. სეზონური შენახვისა და ვადაზე ადრე შესაზიდი საქონლის საწყობებში სათავსების მოწყობამ და მოწყობილობამ უნდა უზრუნველყოს უპირველეს ყოვლისა, საქონლის რაოდენობრივი და ხარისხობრივი შენახვა ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

სასაწყობო შენობებისა და ნაგებობათა ძირითადი ხაზები. სასაწყობო შენობებისა და ნაგებობათა კლასიფიკაცია ხდება შემდეგი ძირითადი ნიშნების მიხედვით: შენობათა ტიპი ან მისი ტექნიკური აღჭურვილობა; დათბუნება; კედლების მასალა და ცეცხლმედეგობა, სართულების რაოდენობა.

შენობათა ტიპისა და მისი ტექნიკური მოწყობის მიხედვით სასაწყობო ნაგებობები იყოფა ღია მოედნებად, ნახევრადდახურულ და დახურულ სასაწყობო სათავსებად და სპეციალურ ნაგებობებად.

ღია მოედნებზე დასაშვებია ცალკეული სახის ხე-ტყის მასალების, სამშენებლო მასალების, კერამიკული ნაწარმის და ტარის შენახვა. მოედნებს გააჩნიათ საფარი და წალეკვის თავიდან აცილების მიზნით გარკვეულ სიმაღლეზე ამართული გადახრილი წყალსადინარი. ასეთ ნაგებობებს მიეკუთვნება გრუნტის მოედნები, მოედან-ესტაკადები და მოედან-ბაქნები.

ნახევრადდახურულ სასაწყობო სათავსებს მიეკუთვნება ფარდულეები, აგრეთვე, ნაგებობები ერთი ან რამოდენიმე პერიმეტრისებურად განლაგებული გვერდითი კედლებით. ასეთი ფარდულეების ძირითადი დანიშნულებაა — დაიცვას საქონელი ატმოსფერული ნალექების ზემოქმედებისაგან. ისინი უმეტესწილად გამოიყენებიან სილიკატური მასალების, დახერხილი ხე-ტყის, აგრეთვე, კონტინერებში და სხვა გარე ტარაში მოთავსებული სასურსათო საქონლის შესანახავად.

დახურული სასაწყობო ნაგებობები წარმოადგენენ საერთო-სასაქონლო საწყობების შენობების ძირითად კონსტრუქციულ ტიპს. ასეთ შენობებს გააჩნიათ დიდი რაოდენობით სხვადასხვა დანიშნულების სასაწყობო სათავსები.

საერთო სარგებლობის მსხვილი საწყობები მოიცავენ სასაწყობო შენობებისა და ნაგებობათა კომპლექსს.

სპეციალურ სასაწყობო მოწყობილობას მიეკუთვნება ბურტები და ტრანშეები ბოსტნეულის შესანახად, რეზერვუარის ტიპის მოწყობილობა მცენარეული ზეთის შესანახავად და სხვა.

გათბობის მიხედვით სასაწყობო შენობები იყოფა გაუთბობელ, დამთბარ, გასათბობელ და გაციებულ, ხოლო კედლებისა და გადახურუ-

ლი მასალის მიხედვით — ცხელგამძლე, ძნელადწვად და წვად ნაგებობებად. საწყობის სათავსების ცეცხლგამძლეობის ხარისხი გავლენას ახდენს საწყობების ზომაზე და სართულების რაოდენობაზე.

სასაწყობო შენობათა მოცულობა-დაგეგმარებითი და საერთო-ტექნიკური გადაწყვეტა. თანამედროვე სასაწყობო შენობების მოცულობა-დაგეგმარებითი გადაწყვეტა განისაზღვრება ტექნოლოგიური პროცესების რაციონალიზაციის ძირითადი მიმართულებებით. ამ მიმართულებათა შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია კომპლექსური მექანიზაცია და ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზაცია, რომელთა წარმატებით განხორციელებას ხელს შეუწყობს პაკეტებში პოდონებზე და კონტეინერებში მოთავსებული ტვირთების გადამუშავების პროგრესული სისტემის დანერგვა საქონლის გადაზიდვისა და დაწყობის ყველა ეტაპზე.

უმეტესი სასაწყობო შენობების მშენებლობა ხორციელდება უნიფიცირებული ტიპური სექციების საფუძველზე. ეს აიაფებს საწყობების მშენებლობას და საშუალებას იძლევა შეყვანილ იქნენ ისინი ექსპლუატაციაში ნაწილ-ნაწილ მოთხოვნის მიხედვით. თანამედროვე პირობებში საწყობების მშენებლობისას გამოიყენებენ მაღალი ინდუსტრიული მზადყოფნის გამარტივებული კონსტრუქციის ტიპის მოდელს, ხოლო კედლებისა და ზედა საფარისათვის ლითონის სტელაჟებს.

საწყობების მშენებლობისა და დაპროექტების თანამედროვე მიმართულებათა — ერთსართულიანი სასაწყობო შენობების აგება შენახვის გადიდებული სიმაღლით. ასეთ საწყობებში საქონლის შენახვა ხდება უჭრედოვან სტელაჟებზე პოდონებზე პაკეტირებით და სატვირთო ერთეულების შტაბელური დაწყობით, რომლის დროსაც გამოიყენება მაღალი წარმადობის მქონე ამწე-შტაბელერები და სტელაჟებში შტაბელერები. ასეთი მოწყობილობის გამოყენება საშუალებას იძლევა გაზრდილ იქნეს შენახვის სიმაღლე 16 მ და მეტად.

გადიდებულ სიმაღლეზე საქონლის შესანახ ერთსართულიანი საწყობების ძირითად უპირატესობას შეადგენს: სასაწყობო ფართობისა და მოცულობის მაქსიმალური გამოყენება, მშენებლობის ღირებულებისა და საქონლის შიგა სასაწყობო გადამუშავებისას საექსპლოატაციო ხარჯების შემცირება, სასაწყობო და საექსპლოატაციო სამუშაოების უფრო ეფექტურად ორგანიზების შესაძლებლობა დატვირთვა-განტვირთვის ფრონტის სიგრძის გადიდების ხარჯზე.

საწყობების საექსპლოატაციო მაჩვენებლებზე და სასაწყობო ოპერაციების რაციონალურ ორგანიზებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კოლონების ბადე გეგმაში დამყოფ ღერძთა სისტემა, რომლის ცენტრში იდგება შენობის ჩონჩხის კოლონები. საერთოდ მიღებულია 6×6, 6×9, 9×9, 9×12 მ კოლონის ბადე. რკინა-ბეტონის ახალი კონსტრუქციის საწყობებს შეიძლება ქონდეთ კოლონის უჭრედი 12×12 მ., ხოლო ამწე-

შტაბელურების გამოყენებისას კოლონის ბიჯი განივი მიმართულებით 12-დან 30 მ-მდე.

ერთსართულიანი საწყობების დაპროექტებისას ისწრაფვიან უკოლონო ერთსართულიანი სასაწყობო სათავსების და კამერების დაგეგმარებისაკენ. ეს აღიღებს სასაწყობო ფართობისა და მოცულობის ეფექტური გამოყენების შესაძლებლობას და ქმნის პირობებს საქონლის სასაწყობო დამუშავების ოპტიმიზაციისათვის.

სასაწყობო შენობის გაცილებით უფრო მიზანშეწონილ ფორმას წარმოადგენს სწორკუთხედი. სასაწყობო სათავსების გაბარიტები დგინდება საწყობის სიგანისა და სიგრძის გაანგარიშების გათვალისწინებით. საწყობის სიგანე უნდა შეადგენდეს მისი სიგრძის $1/1,5$ —და $1/4$ ფარგლებში. სასაწყობო შენობის სიგრძე არ შეიძლება ნაკლები იყოს დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოთა აუცილებელ ფრონტთან შედარებით.

ბაქნები ან რამპები აკრავს სასაწყობო შენობებს და მიზნად ისახავს დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოთა მოხერხებულ ორგანიზაციას. ბაქნის სიმაღლე რკინიგზისა და ავტოტრანსპორტის მხრიდან უნდა იყოს მიწიდან ან ლიანდაგის ზედაპირიდან $1,1=1,2$ მ. ბაქანზე სატრანსპორტო საშუალებების შესასვლელად აწყობენ დახრილ სიბრტყეებს, ე. წ. პანდუსებს. რამპის სიგანე განისაზღვრება სატრანსპორტო საშუალებების თავისუფალი მისვლის გაანგარიშებით და იგი ჩვეულებრივ უტოლდება 2,5-6 მ.

საწყობებში კარების რაოდენობა განისაზღვრება საქონლის დამუშავების, ტექნოლოგიური პროცესების და ტვირთის გადაადგილების მიხედვით. მათი ზომები, როგორც წესი, ტოლია $2,4 \times 2,5$ მ.

თანამედროვე საწყობების საერთო-ტექნიკური აღჭურვილობა ითვალისწინებს საგუშაგო-სახანძრო სიგნალიზაციის მოწყობას ხანძარჩასაქრობ ავტომატურ სისტემებს, საპაერო გათბობას შემწოვ-ამომწოვი ვენტილაციით, ცხელი წყლით მომარაგებას, ტექნიკური ხასიათის სხვადასხვა მოწყობისა და მოწყობილობების ავტომატურ მართვას და სხვა.

სასაწყობო სათავსები და მათი ურთიერთკავშირი. საწყობების მოწყობა და დაგეგმარება დამოკიდებულია სასაწყობო ტექნოლოგიური პროცესების ხასიათზე. სასაქონლო საწყობებში ტექნოლოგიური პროცესების შინაარსი და თანმიმდევრობა განპირობებულია საწყობების სპეციალიზაციის ფორმით — სასაქონლო ან ტექნოლოგიური.

საწყობების ძირითადი მასა ემყარება სასაქონლო სპეციალიზაციას. რომლის დროსაც თითოეულ საწყობში მიმდინარეობს სრული ტექნოლოგიური ციკლი, დაწყებული საქონლის მიღების მომენტიდან მის გაცემამდე. ყველა სასაწყობო ოპერაციები ხორციელდება ერთ ადგილზე—სათავსში, სადაც ინახება საქონელი, ამასთან თითოეული მაღაზიისათვის გადარჩევა მიმდინარეობს ცალ-ცალკე. სასაწყობო სამუშაოების

ასეთი ორგანიზაციისას შრომის ნაყოფიერება არ არის მაღალი, არაეფექტურად გამოიყენება სათავსის ფართობი და მოცულობა.

საწყობების ტექნოლოგიური სპეციალიზაციისას ხდება ცალკეულ სამუშაოთა გამოცალკევება მათი შესრულების ხასიათის მიხედვით. სპეციალიზაციის ასეთი ფორმა ქმნის ნაკადური მეთოდით საქონლის სასაწყობო დამუშავების ორგანიზაციის პირობებს. ასეთი მეთოდის დროს იქმნება საქონლის პირდაპირი (გამკოლი) ნაკადი მიღებიდან მის გაგზავნამდე, რაც საშუალებას იძლევა ცალ-ცალკე იქნეს მოთავსებული საქონლის მიღებისა და გაცემის ექსპედიციები, უკეთ იქნეს გამოყენებული საქონლის დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოთა ფრონტი.

საწყობების სპეციალიზაცია ტექნოლოგიური ნიშნის მიხედვით ქმნის ტექნოლოგიური პროცესების რაციონალიზაციის სათანადო პირობებს. საწყობების ფართობი ნაწილდება გარკვეულ ზონებად: საქონლის მიღების; სარეზერვო და აქტიური შენახვის; შეკვეთების დაკომპლექტებისათვის საქონლის შერჩევის; საქონლის გაგზავნის. საწყობების შიგა დაგეგმარებისას „ზონალური“ პრინციპი უზრუნველყოფს სასაწყობო ოპერატიული პროცესების ნაკადურობას და უწყვეტობას და მის განხორციელებას უმცირესი შრომითი დანახარჯებით.

ყველა სასაწყობო სათავსები ოპერატიულ-სამეურნეო საქმიანობაში მათი დანიშნულებისა და როლის მიხედვით იყოფა 4 ჯგუფად: ოპერატიული, დამხმარე, დამხმარე-ტექნიკური და ადმინისტრაციულ-საყოფაცხოვრებო.

ოპერატიული სათავსები განკუთვნილია ძირითადი ტექნოლოგიური პროცესების შესრულებისათვის. მათ მიეკუთვნება საკუჭნაოები და საკნები. საქონლის განლაგების, დაწყობისა და შენახვისათვის; საქონლის მიღებისა და გაცემის ექსპედიციები; დამახარისხებელი და დამკომპლექტებელი; სადისპეტჩერო, სატრანსპორტო ღერეფნები, საავტომობილო და სარკინიგზო ბაქნები.

ოპერატიული სათავსების განლაგებამ უნდა უზრუნველყოს საწყობების ფართობისა და ტევადობის მაქსიმალური გამოყენება, საქონლის გადაადგილების პროცესში შემხვედრი და მკვეთი ნაკადების აღმოფხვრა, საქონლის სწორი მეზობლობის და მატერიალური პასუხისმგებლობის პრინციპების დაცვა; მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებათა გამოყენების შესაძლებლობა.

საექსპედიციო სათავსები უშუალოდ უნდა ეკეროდეს საწყობის დატვირთვა-განტვირთვის ფრონტს. მათ გვერდში ჩვეულებრივ ათავსებენ მისაღებ, განმფუთავ, დამხარისხებელ და დამკომპლექტებელ სათავსებს. მცირე ზომის საწყობებში საქონლის მიღება და გაცემა წარმოებს მხოლოდ ექსპედიციებსა ან შენახვის საკანებში.

დამხმარე სათავსებს მიეკუთვნება მოედნები და სათავსები ცარიელ-ტარის, პოდონებისა ან მრავალჯერადი ბრუნვის კონტეინერების შენა-

ზვისათვის; ტარის შემკეთებელი სახელოსნოები, საკარანტინო საკნები, საქონლის ნიმუშების ოთახი, ლაბორატორია.

საწყობის შენობის სამეურნეო და საექსპლოატაციო მომსახურებისათვის გამოიყენება დამხმარე-ტექნიკური სათავსები — სამანქანო განყოფილებები; სავენტილაციო კამერები, საქვაბე, სათბობის, სამეურნეო ინვენტარისა და მოწყობილობის შესანახი საკუქნაო, სარემონტო სახელოსნო, დამმუხტავი სადგური, სატრანსპორტო ქვესადგური; მექანიზმებისა და სატრანსპორტო საშუალებების სათავსები; საყარაულო და სახანძრო საგუშაგობი.

ადმინისტრაციულ-საყოფაცხოვრებო სათავსებს მიეკუთვნება კანტორის სათავსი, საგარდირობო, სანიტარული კვანძი, საშხაპე, დასვენებისა და საკმლის მისაღები სათავსი, წითელი კუთხეები და სხვა.

მართვის და ინფორმაციის აღრიცხვის ავტომატიზებული სისტემის დროს საწყობებში გამოყოფენ სათავს გამოთვლითი ცენტრისათვის. მსხვილ საწყობებში ვათვალისწინებულია დოკუმენტაციის მექანიზირებულ და მუშავეებისათვის გამოთვლითი მანქანების დანადგარების სათავსი. საწყობის კანტორა და საყოფაცხოვრებო სათავსები რეკომენდირებულია იზოლირებულ იქნეს ოპერატიული სადგომებისაგან და განლაგებულ იქნეს სასაწყობო შენობის გვერდში რამბაზე აუცილებელი გასასვლელით. ზოგჯერ ადმინისტრაციულ სათავსებს ათავსებენ ცალკე შენობაში.

სპეციალური საწყობების მოწყობისა და დაგეგმარების თავისებურებანა. ზოგიერთი საქონლის სპეციფიკური ფიზიკურ-ქიმიური თვისებები და მისი შენახვის შესაბამისი რეჟიმი განაპირობებენ შენახვისა და ტექნოლოგიური დამუშავებისათვის სასაწყობო შენობებისა და ნაგებობების მოცულობა-დაგეგმარებისა და კონსტრუქციული გადაწყვეტის თავისებურებებს.

მალფუქებადი საქონლის შესანახად გამოიყენება მაცივარი, რომელიც წარმოადგენს სწორკუთხოვანი ან კვადრატისებური ფორმის სასაწყობო ნაგებობას. მაცივრების ძირითად ოპერატიულ სათავსებს წარმოადგენენ გასაციებელი და გამყინავი კამერები, დეფროსტერი (პროდუქტების გამლღობი კამერა), ექსპედიცია, დამფასოებელი და დამხარისხებელი კამერები და სხვა.

მაცივრების შიდა დაგეგმარების თავისებურებას წარმოადგენს ერთნაირი შენახვის რეჟიმის მქონე კამერების ჯგუფური განლაგება. მრავალსართულიან მაცივრებში იდენტური ტემპერატურული რეჟიმის მქონე სამაცივრო სათავსები განლაგებულია ერთმანეთის ქვეშ.

საავტომობილო და საარკინიგზო ბაქნები (დებერკადერები) ეწყობა დახურულ და მსხვილ მაცივრებში, აღიჭურვება გასაციებელი მოწყობილობებით.

ბოსტნეულის შესანახად გამოიყენება სპეციალური საცავები სტა-

ციონალური (საწყობ-შენობა) და დროებითი (ბურტეები და ტრანშე-ები) ტიპისა.

მსხვილ ხილბოსტნეულის ბაზებში გამოიყენება შენახვის კონტეინერული სისტემა. მისი გამოყენება საშუალებას იძლევა კომპლექსურად იქნეს მექანიზირებული დატვირთვა-განტვირთვის ოპერაციები, აგრეთვე, პროდუქციის საქონლური დამუშავებისა და დაფასების პროცესი. ამისათვის გამოიყენება სპეციალური ნაკადური მექანიზირებული ხაზები.

საწყობების დაპროექტება ძირითადად ხორციელდება როგორც ტიპური. ინდივიდუალური და ექსპერიმენტული დაპროექტება გამოიყენება მხოლოდ მსხვილ სასაწყობო ობიექტებზე. „გიპროტორგის“ და „გიპროხოლოდის“ ინსტიტუტებთან ერთად სასაწყობო ნაგებობების დაპროექტებას ეწევიან ცენტროსოიუზის საპროექტო ინსტიტუტი, „პრომტრანსნიიპროექტი“, „ცნიიპრომზდანიი“ და სხვა.

საწყობების დაპროექტება ხორციელდება იმ ნორმებისა და წესების საფუძველზე, რომელიც დამტკიცებულია სსრკ-ის სახშშენის მიერ. მათ შორის ძირითადია СНИП II-M „სამრეწველო საწარმოთა საწარმოო შენობები“ და СНИП II-II I-62 „საერთო დანიშნულების სასაწყობო შენობები და ნაგებობები“, ასევე СНИП II-A7 5—10 „ხანძარსაწინააღმდეგო ნორმები და შენობებისა და ნაგებობების დაპროექტება“.

საწყობების დაპროექტების ამოსავალ დოკუმენტს წარმოადგენს საპროექტო დავალება, რომელსაც ადგენენ დამკვეთები — მოკავშირე რესპუბლიკების ვაჭრობის სამინისტრო ან ადგილობრივი სავაჭრო ორგანიზაციები და საწარმოები.

საპროექტო დავალება მოიცავს: საწყობების ეკონომიკურ დახასიათებას; ტვირთბრუნვის მოცულობას; სასაქონლო ჯგუფების მიხედვით დიფერენცირებულ საქონლის მარაგის დონეს; ოპერატიული პროცესების სქემებს; მექანიზაციის სისტემას; მონაცემებს ელექტროენერგიით, სითბოთი და წყლით მომარაგების წყაროების შესახებ; ასევე სასაწყობო შენობების არქიტექტურულ-სამშენებლო ნაწილზე მოთხოვნებს. საპროექტო დავალება საფუძველად ედება ტექნიკური პროექტის დამუშავებას.

დაპროექტების დამამთავრებელ სტადიაზე დამტკიცებული ტექნიკური პროექტების საფუძველზე მუშავდება სამუშაო ნახაზები.

სამუშაო ნახაზების დამუშავების პროცესში ზუსტდება სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოებისათვის განკუთვნილ საპროექტო დავალებათა გადაწყვეტა.

ინდივიდუალური და ტიპური დაპროექტებისას წარმოებს საწყობის მოცულობისა და ფართობის ტექნიკურ-ეკონომიკური გაანგარიშება. ამ გაანგარიშებათა საფუძველზე განისაზღვრება მათი საერთო ფართო-

ბი, როგორც ჯამი ოპერატიული, საექსპედიციო, დამხმარე სათავსების, სატრანსპორტო გასასვლელებისა და დერეფნებისა.

საწყობის ფართობის გაანგარიშება ხდება სასაქონლო მარაგის მაჩვენებლების მიხედვით, რომელიც გამოხატულია პირობით ორდერძიან ვაგონებში (საერთო-სასაქონლო საწყობებისათვის), კუბურ მეტრებში და პირობით ტონებში (მაცივრებისა და ხილბოსტნეულის საცავებისათვის).

საერთო სარგებლობის საწყობებში სასაქონლო მარაგის მაქსიმალური სიდიდის განსაზღვრა ხდება ცალკეული სასაქონლო ჯგუფების მიხედვით პირობით ვაგონებში, შემდეგი ფორმულით:

$$Q = \frac{O_i q_i k}{365 c_i},$$

სადაც Q_i — საქონლის მაქსიმალური i სასაქონლო ჯგუფისათვის, პირობით ვაგონებში;

O_i — სასაწყობო საქონელბრუნვის წლიური მოცულობა i სასაქონლო ჯგუფისათვის, ათას მან.

q_i — საქონლის მარაგი i სასაქონლო ჯგუფისათვის, ბრუნვადღეებში;

C_i — i სასაქონლო ჯგუფის ერთი ვაგონის საშუალო ღირებულება, მან.

K — საქონლის მარაგის წარმოების უთანაბრობის კოეფიციენტი, რომელიც ტოლია 1,2—1,3.

შესანახი ფართობის გასაანგარიშებლად იყენებენ ფართობის ნორმას 1 პირობით ვაგონზე, რომელიც დიფერენცირებულია შენახვის წესის მიხედვით (25 მ² შტაბელურად დაწყობილი საქონლისათვის, და 40 მ² განფუთული საქონლის შესანახავად სტელაჟებზე 2,5 მ სიმაღლის წყობის დროს).

საქონლის სხვადასხვა სიმაღლეზე დასაწყობი საწყობების დაპროექტებასა და მშენებლობასთან დაკავშირებით დიდ მნიშვნელობას იძენს საწყობების სიმძლავრეების განსაზღვრა მოცულობით მაჩვენებლებში. ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილია საერთო-სასაქონლო საწყობების ფართობის გაანგარიშება მოხდეს ერთი პირობითი ვაგონისათვის გათვალისწინებული მოცულობითი ნორმების საფუძველზე, რომელიც გამოხატული იქნება კუბურმეტრებში და საქონლის მიღებულ სიმაღლეზე დასაწყობად.

საწყობებში შენახვის ფართობის (S_{xp}) გაანგარიშებისათვის შეიძლება გამოვიყენოთ ფორმულა:

$$S_{xp} = \frac{\sum_{i=1}^m O_i N_{m.c}}{h_y},$$

სადაც $\sum_{i=1}^m O_i$ — ყველა საქონლის მაქსიმალური მარაგი, პირობით

ვაგონებში;

m — ვაგონების რაოდენობა;

i — თითოეული საქონლის ინდექსი;

$N_{m.c}$ — ერთი პირობითი ვაგონი საქონლის ტევადობის ნორმა (შტაბელური შენახვისათვის — 62,5 მ³, სტელაური შენახვისათვის 100 მ³), მ³;

h_y — საქონლის დაწყობის სიმაღლე, მ.

მსხვილ საწყობებში გაიანგარიშება მისაღებ-განმფუთვათა ფართობი ერთდღიური ბრუნვის სასაქონლო მარაგისა და ერთ ვაგონზე 40 მ² ფართობის ნორმიდან გამომდინარე.

ექსპედიციის ფართობი საავტომობილო ბაქნის მხრივ განისაზღვრება ერთნახევარი დღის საქონლის მარაგიდან გამომდინარე, ხოლო სარკინიგზო ექსპედიციის მხრივ — ნახევარდღიურის გაანგარიშებით. ორივე შემთხვევაში 1 ვაგონის ფართობის ნორმად მიღებულია 40 მ² ტოლად.

სამომსახურეო და დამხმარე სადგომის გაანგარიშების ძირითად მაჩვენებელს წარმოადგენს სასაწყობო პერსონალის რიცხოვნობა. სასაწყობო შენობის საერთო ფართობის განსაზღვრისათვის ადგენენ ყველა სასაწყობო სათავსების ფართობის ბალანსს.

საქონლის დატვირთვა-განტვირთვისათვის ნორმალური პირობების შესაქმნელად აუცილებელია გაანგარიშებულ იქნეს დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოთა ფრონტის სიგრძე (სარკინიგზო და საავტომობილო ბაქნის სიგრძე). დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოებისათვის აუცილებელი ფრონტის სიგრძე ($L_{ფრ}$) განისაზღვრება ფორმულით:

$$L_{ფრ} = m l + (m i - 1) l_i,$$

სადაც m — საწყობებში ერთდროულად მიწოდებულ სატრანსპორტო საშუალებათა რაოდენობა;

l — სატრანსპორტო ერთეულის სიგრძე, მ;

l_i — დაცილება სატრანსპორტო ერთეულებს შორის, მ.

მაცივარში შენახვის ფართობის განსაზღვრის საფუძველს წარმოადგენს მალფუქებადი პროდუქტების მარაგის მაჩვენებელი, გამოხატული მ³-ში, შენახვის ფაქტობრივ და პირობით ტონებში.

შენახვის ფართობის გაანგარიშებინს ნორმატივს წარმოადგენს თითოეული საქონლის მიხედვით მაცივრის დატვირთვის ნორმა ტ/მ³ და 1 ტონა პირობითი ტევადობის ფართობის ნორმა.

მაცივრის დასატვირთავი ფართობი შეიძლება განისაზღვროს ფორმულით

$$S_{rp} = \sum_{i=1}^m \frac{F_i}{n_i \cdot h},$$

სადაც F_i — საქონლის მარაგი i სასაქონლო ჯგუფისათვის, ფაქტობრივ ტონებში;

n_i — მაცივრის დატვირთვის ნორმა i სასაქონლო ჯგუფისათვის, ტ/მ³;

h — საქონლის დასაწყობი სიმაღლე, მ.

შესანახი კამერის (საკნის) ფართობი გაიანგარიშება სატვირთო ფართობის S_{rp} გაყოფით სატვირთო ფართობის კოეფიციენტ K_{rp} -ზე $_{rp}$ გვიჩვენებს შენახვის კამერის სატვირთო და საერთო ფართობის თანფარლობას).

კარტოფილისა და ხილბოსტნეულის შესანახი ფართობი განისაზღვრება საქონლის მარაგების მოცულობის საფუძველზე ტონებში, რომელიც გაიანგარიშება შესანახად პროდუქტების ერთდროულად მოთავსებისათვის საჭირო მოცულობიდან გამომდინარე. გაანგარიშების შეთოდის განსაზღვრისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება პროდუქციის სახეს, შენახვის წესს, საქონლის დასაწყობ სიმაღლეს. ასე მაგალითად, კარტოფილის კონტეინერებში (S_{xp}) (ან სხვა პროდუქციის) შენახვისათვის საჭირო ფართობის გასაანგარიშებლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი ფორმულა:

$$V_{xp} = \frac{V \cdot P}{EM \cdot K},$$

სადაც V არის შესანახად პროდუქციის ერთდროული მოთავსებისათვის საჭირო ტევადობა, ტ;

P — ერთი კონტეინერის ფართობი, მ²;

E — ერთი კონტეინერის გაანგარიშებითი ტევადობა, ტ;

M — იარუსების რაოდენობა შტაბელებში;

K — სატვირთო ფართობის გამოყენების კოეფიციენტი (შტაბელის ფართობი).

§ 2. საწყობების ტექნოლოგიური მოწყობილობა და მისი ეფექტური გამოყენების პირობები

სასაწყობო ტექნოლოგიური პროცესების მომსახურებისათვის გამოიყენება სხვადასხვა სახის მოწყობილობა, რომელთაც მიეკუთვნება საქონლის დაწყობისა და შენახვისათვის საჭირო მოწყობილობა; დატვირთვა-განტვირთვისა და სატრანსპორტო-სასაწყობო სამუშაოთა მექანიზაცია-ავტომატიზაციის საშუალებანი; საქონლის წუნდების, შეფუთვისა და დაფასებისათვის საჭირო მოწყობილობა.

პროგრესულია კომპლექსური მექანიზაციის დანერგვა, რომლის დროსაც დატვირთვა-განტვირთვისა და სატრანსპორტო-სასაწყობო სამუშაოები ტექნოლოგიური პროცესის ყველა ეტაპზე სრულდება სხვადასხვა მანქანებისა და მოწყობილობათა დახმარებით. კომპლექსური მექანიზაციის შემდგომ განვითარებას წარმოადგენს ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზაცია, რომლის ძირითადი ოპერაციები სრულდება ავტომატური მართვის მაღალი წარმადობის მქონე მექანიზმების დახმარებით.

მექანიზაციისა და ავტომატიზაციის სისტემებისა და საშუალებათა განსაზღვრაზე არსებით გავლენას ახდენს გადასამუშავებელი ტვირთის თავისებურებანი, ტარის ერთეულის ფორმა, გაბარიტი და მასა, დაწყობის წესი.

ცალობრივი და ტარის გარეშე ტვირთის შენახვის ძირითად მოწყობილობას წარმოადგენს საქონლის ქვესადები. ისინი გამოიყენება დიდგაბარიტიანი საქონლის შტაბელებად დაწყობისათვის, რომელიც შეფუთულია გარე ტარაში ტომრებში, ყუთებში.

საქონლის ქვესადების ნაირსახეობას წარმოადგენს პოდონი. ტრანსპორტირებისა და დაწყობის პროცესში საქონლისა და გამოიყენებულ ტარის მრავალსახეობასთან დაკავშირებით გამოიყენება სხვადასხვა კონსტრუქციის პოდონები, განკუთვნილი როგორც ტარა-ცალობრივ, ისე პირველადი შეფუთვის, ტარისგარეშე ტვირთებისათვის.

განასხვავებენ პოდონების 3 სახეს: ბრტყელს, მდგარს და ყუთისებურს. ტარაში მოთავსებული საქონლის შტაბელებად შესანახად საჭირო პოდონების ძირითად სახეს წარმოადგენს ორსაფენიანი ოთხშესასვლიანი, ზომით 800×1200 მმ და 1000 კგ ტვირთამწეობის პოდონი. ერთსაფენიანი ბრტყელი პოდონები გამოიყენება სტელაჟებზე პაკეტების დაწყობისა ან ერთ იარუსზე შენახვისათვის.

ტარისგარეშე და რბილ ტარაში შეფუთული წვრილცალობრივი საქონლისათვის გამოიყენება მდგარი და ყუთისებური პოდონები. მდგარ პოდონებს გააჩნიათ ვერტიკალური მოსახსნელი ანდა მოუხსნელი შესანახი ბრჭენები, ხოლო ყუთისებური მზადდება დასაკეცი ცხვისებური კედლებისაგან.

მძიმე ტვირთის ტრანსპორტირებისა და შენახვისათვის ფართოდ გამოიყენება 0,8 მ³ ტევადობის პალეტი დახურული კედლებით, რომელიც საშუალებას იძლევა გაიზარდოს დაწყობის შესაძლებლობა 5 იარუსამდე. შედარებით მსუბუქ და მოცულობით საქონელს აწყობენ 1 მ³-მდე ტევადობის ცხავისებურ პალეტებში.

თითოეული პოდონი მასზე დატვირთული საქონლით იქცევა ერთ ადგილად-პაკეტად, ტვირთის ერთეულად.

ტარისგარეშე საქონლის გადატანისა და შენახვისათვის გამოიყენება სპეციალიზებული და უნივერსალური მტკერ და სინოტივე გაუმტარი მრავალჯერადი ბრუნვის კონტეინერები. მათი გამოყენება ქმნის პირობებს სატრანსპორტო და სატვირთო ოპერაციების მექანიზაციისათვის, ამცირებს საქონლის დანაკარგებს, ტარის და შესაფუთი მასალების დანახარჯებს, აჩქარებს მიღება-ჩაბარების ოპერაციებს.

სასაწყობო მოცულობისა და ფართობის გამოყენებაში დიდ ეფექტს იძლევა სხვადასხვა სტელაჟების გამოყენება საქონლის შენახვისა და საქონლის დასაწყობ მოწყობილობად. პატარა საწყობებში სტელაჟებზე, როგორც წესი, ინახავენ საქონელს გარე შეფუთვის გარეშე. მსხვილ საწყობებში პოდონებზე ან სპეციალურ ტარაში სტელაჟებზე დაწყობილი საქონლის შენახვისას იქმნება შესაძლებლობა სასაწყობო ოპერაციების ორგანიზაციის მექანიზებული და ავტომატიზებული სისტემის დანერგვისა.

უკანასკნელ ხანებში ტარა-ცალობრივი ტვირთების შესანახად ფართოდ გამოიყენება გამავალი სტელაჟები, რომელიც წარმოადგენს ბლოკების წარმომქმნელ ერთიმეორეზე განლაგებულ როლგანგებს. ასეთ სტელაჟებს გააჩნიათ დასატვირთი და განსატვირთი მხარეები. სტელაჟებზე დაწყობილი ტვირთიანი პოდონები მოძრაობენ სიმძიმის ძალის მოქმედებით. შეკერილი კაბებისა და საგალანტერიო საქონლის შენახვისა და გადაადგილებისათვის გამოიყენება მოძრავი სტელაჟები, რომლებშიც ძირითად კონსტრუქციულ ელემენტებად გამოიყენება საკიდო ტვირთმზიდი ბიძგის მიმცემი კონვეიერები, აკვანი-ელევატორები და ა. შ.

ფართოდ გამოიყენება აგრეთვე ასაწყობ-დასაშლელი სტელაჟები. მათი სიმაღლე დგინდება საწყობის სათავის სიმაღლისა და მასში გამოყენებულ ამწე-სატრანსპორტო საშუალებათა მიხედვით.

საწყობებში საქონლის წუნდების, დახარისხების, შეფუთვისა და დაფასოების მოწყობილობებს მიეკუთვნება სასწორები, მოძრავი ურიკები, წუნდებისა და სპეციალური მაგიდები, გამოსაცდელი სტენდები, გადასადგილებელი კონსტრუქციები, გამზომი და ლაბორატორიული მოწყობილობა, პაკეტის მაკეთებელი მანქანები, დამფასობელი ავრეგატები. პატარა ზომის საწყობებში, სადაც გამოიყენება სასაწყობო ოპერაციების ორგანიზაციის ერთეული ტიპი, არ არსებობს ტექნოლოგიუ-

რი პროცესების ნაკადურობა და უწყვეტობა, გამოიყენება მცირე მექანიზაციის საშუალებანი — ხელის ურიკები და ტალი, გორგოლაქიანი და დისკოიანი ღარი, მცირე გაბარიტიანი ტრანსპორტიორები.

საშუალო ზომის საწყობებში ტვირთების დამუშავების მექანიზაციისათვის გამოიყენება ჩარგლიანი მტვირთავები, ელექტროშტაბელები, თვითმავალი ურიკები, კონვეიერები. ცალკეული სახის სამუშაოთა შესასრულებლად გამოიყენება მცირე მექანიზაციის საშუალებანი.

დიდი ზომის, გადიდებული სიმაღლის შენახვის საწყობებში გამოიყენება რთული მანქანები და მექანიზმები, რომლებიც თითქმის მთლიანად გამორიცხავენ ხელით შრომას. მაგალითად, ვიწრო გასასვლელებში სტელაჟებს შორის გამოიყენება ხელით ან ავტომატური მართვით მომუშავე სტელაჟებშორისი ამწე-შტაბელერები. ასეთი საწყობების ექსპედიციამი გამოიყენება იატაკზე მავალი ტრანსპორტი სხვადასხვა კონსტრუქციის კონვეირებთან შეთანაწყობით. ამწე-შტაბელერის დახმარებით შეიძლება დაწყობილ იქნეს საქონელი დიდ სიმაღლეზე, მინიმალური სიფართის გამოსასვლელების პირობებში, რაც საშუალებას იძლევა ეფექტურად იქნეს გამოყენებული სასაწყობო სათავსის მოცულობა და ფართობი. სასაქონლო საწყობებში გამოიყენება საყრდენი და ამწე-შტაბელერები 100-დან 1000 კგ-მდე ტვირთამწეობით.

საწყობებში ტექნოლოგიური პროცესების რაციონალიზაციის მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს მაღალმექანიზებულ და ავტომატიზირებულ მოწყობილობათა კომპლექსების დანერგვა, რომელთა გამოყენება საშუალებას მოგვცემს მთლიანად გამოვრიცხოთ ხელით შრომა ყველაზე უფრო შრომატევადი სასაწყობო ოპერაციების დროს — საქონლის მიღების, დაწყობის, შერჩევის, დაკომპლექტებისა და გაცემისას.

მოწყობილობათა ავტომატიზირებული კომპლექსების შექმნაში ძირითადი მიმართულება — ეს არის ტიპურ მოწყობილობათა შემუშავება 100-დან 500 კგ-მდე ტვირთამწეობით სასაწყობო სათავსებისათვის სიმაღლით 5-დან 16 მეტრამდე.

მოწყობილობათა სერიული კომპლექსების გამოყენების მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს მათი დაკავშირება საწყობების ავტომატიზირებული მართვის ტიპურ სქემებთან.

მრეწველობის მიერ ვაჭრობისათვის დაფასოებული საქონლის არასაკმარისი ოდენობით გამოშვება განაპირობებს, უპირველეს ყოვლისა, საწყობებში სხვადასხვა დამფასოებელ-შემფუთავ მოწყობილობათა შექმნისა და გამოყენების მიზანშეწონილობას.

დაფასოებული ხილ-ბოსტნეულის მოცულობის ზრდა და ასორტიმენტის გაფართოება განაპირობებს ხილ-ბოსტნეულის ბაზაში ტექნოლოგიური პროცესების, განსაკუთრებით დაფასოებისა და შეფუთვის ოპერაციებზე მექანიზებული და ავტომატიზებული სისტემების დანერგვას.

ამჟამად დიდ საწყობებში, ხილ-ბოსტნეულის დასამუშავებლად ფუნქციონირებს სხვადასხვა სახის ნაკადურ-მექანიზებული ხაზები.

იმ ტექნოლოგიური პროცესების გამოსავლენად, სადაც განსაკუთრებით დიდია ცოცხალი შრომის დანახარჯები, სასაწყობო ოპერაციების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის მიმართულებათა განსაზღვრისათვის. მიზანშეწონილია გაანგარიშებულ იქნეს შრომის მექანიზაციის დონე.

საწყობებში ტექნოლოგიური პროცესის შრომის მექანიზაციის დონე განისაზღვრება ფორმულით:

$$u_m = \frac{t_r - t_m}{t_r} 100 \%,$$

სადაც t_r არის ერთი ტონა ტვირთის ხელით გადამუშავებისათვის საჭირო შრომითი დანახარჯები, კაც-სთ/ტ;

t_m — ერთი ტონა ტვირთის გადამუშავებისათვის საჭირო ცოცხალი შრომითი დანახარჯები მექანიზაციის დანერგვის შემდეგ, კაც-სთ/ტ;

ასეთი გაანგარიშება შესაძლებელია მხოლოდ ისეთ პირობებში, როდესაც შრომითი დანახარჯების ნორმები იანგარიშება დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოებზე, რომელიც ყველა სახეობის ტვირთების მიხედვით ხორციელდება ხელით.

§ 8. ოპერატიული და ტექნოლოგიური პროცესები საწყობებში

საწყობებში ოპერატიული პროცესი მოიცავს საქონლის მიღების, შენახვისა და გაცემის ოპერაციებს.

ეს ოპერაციები სრულდება ყველა საწყობში და შეადგენს მათი ოპერატიული მუშაობის საფუძველს. საწყობების სახეობისა და ტიპის მრავალგვარობა განაპირობებს მათი ოპერატიული საქმიანობის სხვადასხვა შინაარსს. საწყობების მიერ შესასრულებელი ფუნქციების ხასიათი (საქონლის დაფასობა, გაყინვა და სხვა) და საქონლის თავისებურებანი განსაზღვრავენ დამხმარე ოპერაციების სახეს, რომლებიც გავლენას ახდენენ ოპერატიული პროცესების სტრუქტურაზე.

ოპერატიულ პროცესებთან ერთად საწყობებში ხორციელდება დატვირთვა-განტვირთვის და სატრანსპორტო სამუშაოები. ზოგიერთ საწყობში ხდება პროდუქტების გადამუშავება და ახალი საქონლის შექმნა.

ოპერატიული, დატვირთვა-განტვირთვისა და სატრანსპორტო ოპერაციების ერთობლიობა ქმნის ტვირთის (საქონლის) სასაწყობო დამუშავების ტექნოლოგიურ პროცესს.

ტექნოლოგიური პროცესების რაციონალურმა ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს ცალკეული ოპერაციის შესრულება მინიმალურ დროში, სასაწყობო სათავსების ფართობისა და მოცულობის ოპტიმალური გამოყენება, მექანიზაციის ან ავტომატიზაციის დანერგვა, შრომის მაღალი

ნაყოფიერება; მინიმალური მიმოქცევის ხარჯები; საცალო სავაჭრო ქსელის უწყვეტი მომარაგება საქონლით.

საქონლის შემოსულობისა და მიღების ოპერაციები. საქონლის შემოსვლისა და მიღების ოპერაციების რითმული ორგანიზაციის მიზნით, დგება ტვირთის შემოზიდვის კალენდარული გეგმები, რომლებშიც აღინიშნება საწყობის ტვირთების შემოტანის სიხშირე და თარიღი. ასეთი გეგმების შედგენა საშუალებას იძლევა წინასწარ განისაზღვროს შესასრულებელ სამუშაოთა ნუსხა და თანმიმდევრობა, რომელიც დაკავშირებულია საქონლის მიღებასთან, სამუშაო ძალის გამოყოფასთან, აგრეთვე მომზადდეს განსატვირთავი მოედნები, შენახვის ადგილები და შესაბამისი ამწე-სატრანსპორტო მექანიზმები.

საქონლის შემოსულობასა და მიღებასთან დაკავშირებული ოპერაციების რაოდენობა და სტრუქტურა დამოკიდებულია ტვირთის მიღების ადგილსა და სახეზე. საქონლის მიღება შეიძლება განხორციელდეს მიმწოდებლის საწყობში, რკინიგზის სადგურში, ნავმისადგომზე და მიმღების საწყობში.

საქონლის მიღება საწყობში, რკინიგზის სადგურში ან ნავმისადგომზე ხორციელდება მყიდველის წარმომადგენლის მიერ. ტარაში მოთავსებული საქონელი მიიღება წინასწარ სატვირთო (ტარის) ადგილების რაოდენობისა და მასის მიხედვით, ხოლო მათი საბოლოო მიღება (რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით) წარმოებს მიმღების საწყობში. ტარისგარეშე, ჩასაყრელი, ჩამოსასხმელი და დასაყრელი ტვირთის საბოლოოდ მიღება რაოდენობრივად და ხარისხობრივად ხდება ერთ ეტაპად.

მიმწოდებლების საწყობებიდან, რკინიგზის სადგურებიდან და სამდინარო მისადგომებიდან საქონლის გატანა მიმღების ძალებითა და საშუალებით აძნელებს საქონლის მოძრაობის ტექნოლოგიას, იწვევს დიდძალ დანახარჯებს და ქმნის მიმღების საწყობში საქონლის შემოსვლის არარიტმულობას. მიმწოდებლების ან სატრანსპორტო-საექსპედიციო კანტორების მიერ ტვირთის ცენტრალიზებული შეტანის ორგანიზაცია, აგრეთვე მიმღებთან ლიანდაგის და სამდინარო მისადგომების პირას სათანადო მეურნეობების არსებობა საშუალებას იძლევა საქონლის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მიღება ჩატარდეს უშუალოდ მიმღების საწყობში.

მიმღების ფრანკო-საწყობებში ტვირთის შეტანა ქმნის საქონლის შემოსულობისა და მიღების დროს ტექნოლოგიური პროცესების რაციონალიზაციის პირობებს. საქონელი მიიღება საწყობის ექსპედიციის ან უშუალოდ სპეციალიზებული საწყობების (საკუჭნაოების) მიერ, ექსპედიციის მიერ საქონლის მიღება ხორციელდება მხოლოდ მსხვილ მექანიზებულ საწყობებში, რომელთაც გააჩნიათ სპეციალური სათავსები და მიმდინარეობს სამუშაოთა გამოცალკევება ტექნოლოგიური სპეციალიზაციის ნიშნის მიხედვით. სხვა დანარჩენ საწყობებში ექსპედიცი-

ები ღებულობენ ვაგონებს ან კონტეინერებს, თუ მათში მოთავსებულია სხვადასხვა სასაქონლო ჯგუფის საქონელი, აგრეთვე ტვირთი შემოსული ღამით ან არასამუშაო დროს. საწყობებში საბითუმო შეფუთვით საქონლის მიღებისას, მიმღების მისამართზე მათი გაუხსნელად და დაუხარისხებლად შემდგომი გაგზავნის მიზნით, საქონლის მიღებისა და გაცემის ოპერაციები, შესაბამისი საწყობების საკუქნაობების მითითებით, შეიძლება განახორციელონ ექსპედიციებმა.

მთლიანი ვაგონით საქონლის მიღებისას ათვალეირებენ ვაგონს, ამოწმებენ პლომბს, ვაგონისა და პლომბის წესრიგში ყოფნისას ხსნიან ვაგონს და საქონელს ღებულობენ გადაუწონავად.

მცირე სავაგონო გაგზავნისას მიღება ხორციელდება ჩვეულებრივი მეთოდით — მიღებული ტვირთის რაოდენობისა და მასის მიხედვით.

საქონლის კონტეინერებით მიღებისას, ვაგონების მსგავსად, ხდება მათი გულმოდგინე დათვალეირება. კონტეინერების სრულ წესრიგში ყოფნის შემთხვევაში მას იღებენ გაუხსნელად. ვაგონებისა და კონტეინერების არაწესიერ მდგომარეობაში ყოფნის დროს ახორციელებენ მასში მოთავსებული საქონლის მთლიან შემოწმების რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით კომერციული აქტის აუცილებელი შედგენით, რომელიც წარმოადგენს მიმწოდებლის ან სატრანსპორტო ორგანიზაციისადმი პრეტენზიის წარდგენის ძირითად დოკუმენტს.

ვაგონებიდან ტვირთის ჩამოტვირთვისათვის გამოიყენება სხვადასხვა ტიპის ამწე-სატრანსპორტო მოწყობილობები: კონვეიერები, ელექტრომტვირთავები, ტრანსპორტიორები, ხოლო მცირე მოცულობის საწყობებში — მცირე მექანიზაციის საშუალებები. საქონელს, რომელიც მოთავსებულია ტომრებში, კიბებში და ყუთებში, ტრანსპორტიორების დახმარებით გადაადგილებენ ვაგონებიდან და აწყობენ პოდონებზე, რომლებიც ელექტრომტვირთავს მიაქვს სასწორზე, ხოლო აწონის შემდეგ — მიღების ადგილზე. განტვირთვის ოპერაციები უფრო ეფექტურად ხორციელდება საქონლის წინასწარი დაპაკეტებისა და მათი პოდონებზე დაწყობის შემდეგ.

საწყობებში საქონლის კონტეინერებით შემოსვლის დროს მათ ჩამოტვირთავენ სატრანსპორტო საშუალებებიდან და ხიდისებური ონკანებით ანდა მტვირთავების დახმარებით მიაქვთ ექსპედიციაში ან საწყობებში გასახსნელად. კონტეინერების გახსნა და შემოსული საქონლის მიღება ხორციელდება რამპაზე მათთვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე.

ზოგიერთ შემთხვევებში ეს ოპერაციები ხორციელდება უშუალოდ შენახვის საკანში. კონტეინერებიდან ჩამოტვირთულ საქონელს აწყობენ პოდონებზე და გადასცემენ მიღების ზონას. ცარიელ კონტეინერებს უბრუნებენ მიმწოდებლებს ან რკინიგზის სადგურს (ნავმისადგომს).

ჩასაყრელი, ჩამოსასხმელი და დასაყრელი ტვირთების მასას გან-

საზღვრავენ სატრანსპორტო საშუალებების აწონვით, მათში მოთავსებულ საქონელთან ერთად. დასაშვებია ასეთი ტვირთის მასის გაანგარიშება მოცულობისა და ხვედრითი წონის მიხედვით.

ექსპედიციიდან საწყობში საქონლის გადაცემის დროს დაცული უნდა იყოს ყველა ის წესი და პირობა, რაც გათვალისწინებულია საქონლის ადგილების რაოდენობისა და ბრუტო წონით მიღება-ჩაბარების დროს. ასეთივე წესია დაცული ექსპედიტორისა, აგენტის და სხვა თანამდებობის პირის მიერ უშუალოდ საქონლის საწყობში ჩაბარებისას იმ სატრანსპორტო საშუალებებით, რომლით მიღებულ იქნა მიმწოდებლებიდან ან რკინიგზის სადგურიდან (ნავისადგომიდან).

• შემოსული საქონლის ხარისხობრივი შემოწმება წარმოადგენს საწყობებში ტვირთის დამუშავებისათვის საჭირო ტექნოლოგიური პროცესის მნიშვნელოვან ოპერაციას. ჩვეულებრივ, საქონლის ხარისხობრივი მიღება წარმოებს მთლიანი შემოწმების გზით, საქონლის შერჩევითი შემოწმება შედეგების გავრცელებით მთელ მიღებულ პარტიაზე შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გათვალისწინებულია სათანადო სახელმწიფო სტანდარტებით, ტექნიკური პირობებით და სხვა ნორმატიული დოკუმენტებით, ასევე ხელშეკრულების პირობებით. საქონელთან ერთად ხდება ტარის მიღება.

• საქონელი, რომელიც არ პასუხობს დაწესებულ ხარისხობრივ დაზასიათებას ან კონდიციებს, გადააქვთ ექსპედიციაში ან საკარანტინო კამერაში დროებით პასუხისმგებლობის ქვეშ შესანახავად, შემდგომში მიმწოდებლებისადმი დაბრუნების მიზნით. ცალკეული საქონელი გადაყავთ დაბალ ხარისხში, ხოლო ზოგიერთი უხარისხო სასურსათო საქონელი სანიტარული ზედამხედველობის ორგანოებთან შეთანხმებით შეიძლება განადგურდეს.

დანაკლისის ან გაფუჭებული საქონლის აღმოჩენის შემთხვევაში დგება აქტი და წარედგინება პრეტენზია მიმწოდებელს.

საქონლის განტვირთვისა და მიღების ოპერაციების დროულად და სწრაფად განხორციელება ამცირებს ტრანსპორტის მოცდენებს, აჩქარებს საქონლის ბრუნვადობას და ამცირებს საწყობის ხარჯებს.

• საქონლის შენახვისა და განლაგების ოპერაციები. საქონლის შენახვა და განლაგება წარმოადგენს სასაწყობო ტექნოლოგიური პროცესის მნიშვნელოვან ნაწილს. საქონლის შენახვა და განლაგება შეიძლება დაეყოს რიგ ცალკეულ ოპერაციებად: განლაგება, შენახვის ტექნიკა, საქონელზე კონტროლი და მოვლა.

• საქონლის სწორი განლაგების მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს: ცალკეული დასახელების საქონლის შენახვა საკუქნაოში ან საკანში, რომლის ტემპერატურული რეჟიმი პასუხობს მათ ფიზიკურ-ქიმიურ და სხვა თავისებურებებს; განსაზღვრული სასაქონლო მეზობლობის დაცვა; სასაწყობო სათავსებში საქონლის განლაგება მათი შენა-

ხვის ვადების, შემოსულობისა და გაცემის სიხშირის, აგრეთვე მათი შრომატევადობისა და ტრანსპორტაბელურობის მხედველობაში მიღებული. -

საქონლის მოვლისა და კონტროლის განხორციელებისათვის, აგრეთვე მათი სწრაფი ამორჩევისა და გაცემისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს თითოეული სასაქონლო ჯგუფებისათვის განსაზღვრული შენახვის ადგილის მიკუთვნებას, რომელსაც აქვს ინდექსი. ასეთი ვარიანტით განლაგებისას საგრძნობლად მარტივდება საქონლის ოპერატიული აღრიცხვის სისტემა, ჩქარდება მათი სასაწყობო დამუშავების პროცესები.

ფიქსირებულ ადგილებზე საქონლის შენახვისათვის უპირატესობის მინიჭება აუარესებს სასაწყობო ფართობისა და მოცულობის გამოყენებას, რამდენადაც შენახვის სპეციალიზებულ ადგილების ფართობის გარკვეული ნაწილი საქონლის მარაგის დროებითი შემცირების შედეგად რჩება დაუკავებელი.

შენახვის ადგილების თავისუფალი შერჩევა საშუალებას იძლევა ეფექტურად იქნეს გამოყენებული საწყობის ტევადობა, თუმცა ამ დროს გარკვეულად რთულდება საქონლის აღრიცხვა და გადარჩევა. ამიტომ საქონლის ამგვარი პრინციპით განლაგებისას მსხვილ მექანიზებულ საწყობებში მიზანშეწონილია აღრიცხვითი ოპერაციების ავტომატიზაცია.

შენახვის ტექნიკა წარმოადგენს საქონლის დაწყობისა და შენახვის წესების ურთიერთშერწყმას. საქონლის დაწყობის რაციონალური წესების გამოყენება უზრუნველყოფს საქონლის შენახვას, გამორიცხავს დანაკარგებს, ქმნის ხელსაყრელ პირობებს საქონლის მდგომარეობაზე კონტროლისა და სწორი შერჩევისათვის, ხელს უწყობს სასაწყობო მოცულობისა და ფართობის გაცილებით ეფექტურ გამოყენებას.

საქონლის დაწყობისა და შენახვის წესების შერჩევა დამოკიდებულია საქონლის სპეციფიკასა და ფიზიკურ-ქიმიურ თვისებებზე, მათი შენახვის პირობებზე (ტარაში, გახსნილ მდგომარეობაში, დაყრილი), ასორტიმენტის სირთულეზე, სასაწყობო სათავსების ტევადობაზე. ერთმანეთისაგან განასხვავებენ საქონლის დაწყობის 2 ძირითად წესს: შტაბელურს და სტელაჟურს.

შტაბელური დაწყობა გამოიყენება იმ საქონლისათვის, რომელიც მოთავსებულია ყუთებში, პაკეტებში და დაწყობილია საქონლის ქვესადგამებზე. შტაბელის ფორმა და სიმაღლე განისაზღვრება ტარის სახის, მასის, ტარაში მოთავსებული საქონლის თავისებურებათა მიხედვით. იატაკის ან საქონლის ქვესადგამის 1 მ²-ზე დასაშვები დატვირთვით, სასაწყობო სათავსის სიმაღლით და გამოყენებული ამწე-სატრანსპორტო მოწყობილობათა ტიპით. საქონლის შტაბელად დაწყობისას გაცილებით უფრო მეტ მდგომარეობას უზრუნველყოფს მათი მოთავსება მდგარ ან

უჯრედოვან პოდონებზე. ეს საშუალებას იძლევა საგრძნობლად გაიზარდოს წყობის სიმძლავრე.

საქონელი, რომელიც მოითხოვს დახარისხებას, ინახება გახსნილი სახით სტელაჟებზე. სტელაჟური დაწყობა ქმნის პირობებს მცირე პარტიობით გასაცემი საქონლის სწრაფი შერჩევისათვის.

სტელაჟური შენახვა ყველაზე უფრო ეფექტურია, როდესაც ის დალაგებულია პოდონებზე. ასეთი შენახვა უზრუნველყოფს ამწე-სატრანსპორტო მექანიზმების ფართოდ გამოყენებას.

ძირითად ტექნიკურ-ეკონომიურ მაჩვენებელს, რომელიც ახასიათებს საქონლის რაციონალური განლაგებისა და დაწყობის ხარისხს, მიეკუთვნება: სასაწყობო ფართობის გამოყენების კოეფიციენტი, სასაწყობო მოცულობის გამოყენების კოეფიციენტი, 1 მ² სასარგებლო (სატვირთო) ფართობის საშუალო ხვედრითი დატვირთვა, აგრეთვე საწყობის ძირითადი ფართობის 1 მ² ტვირთდაძაბულობა.

სასაწყობო ფართობის გამოყენების კოეფიციენტი (K_F) წარმოადგენს საწყობის სატვირთო (სასარგებლო) ფართობის (F_{rg}) შეფარდებას საწყობის ძირითად ფართობთან ($F_{o\kappa}$).

მოქმედ საწყობებს გააჩნიათ საქონლის დაწყობისა და სათავსების სხვადასხვა სიმძლავრე.

ამასთან დაკავშირებით საწყობის გამტარუნარიანობის გაანგარიშებისათვის მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს მოცულობითი მაჩვენებელი — კუბური მეტრი. ამიტომ სასაწყობო მოცულობის გამოყენების კოეფიციენტი წარმოადგენს უფრო სინთეზურ მაჩვენებელს, ვიდრე სასაწყობო ფართობის გამოყენების კოეფიციენტი.

სასაწყობო მოცულობის გამოყენების კოეფიციენტი (K_v) განისაზღვრება სასარგებლო (სატვირთო) მოცულობის (V_{pol}) შეფარდებით საწყობის საერთო (ძირითად) მოცულობასთან ($V_{o\kappa}$).

$$K_v = \frac{V_{pol}}{V_{o\kappa}}$$

საწყობის მოცულობის გამოყენების ნორმატიული კოეფიციენტი ჯერ კიდევ არ არსებობს, მაგრამ ამოცდილების საფუძველზე დადგენილია, რომ სასაწყობო ფართობის ნორმალურად გამოყენებისას $K_v = 1$ მინიმალური მნიშვნელობა არ უნდა იყოს 0,2-ზე ნაკლები.

საქონლის განლაგების ვარიანტთა შერჩევისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება 1 მ² სატვირთო ფართობზე საშუალო ხვედრით დატვირთვას.

საწყობის ძირითადი ფართობის 1 მ² ტვირთდაძაბულობა გვიჩვენებს, თუ რა რაოდენობის ტვირთი ინახება წლის განმავლობაში. ეს მაჩვენებელი საშუალებას იძლევა სასაწყობო ფართობის გამოყენების ინტენსიობა შეუდარდეს მის გამტარუნარიანობას დროის განსაზღვრულ პერიოდში.

შენახვის სწორი რეჟიმი განაპირობებს სასაწყობო სათავსში განსაზღვრული ტემპერატურისა და ჰაერის ტენიანობის შექმნას. საქონლის შენახვის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს საწყობში პროფილაქტიკურ და სანიტარულ-ჰიგიენური ღონისძიებების ჩატარება.

შენახვის პროცესში საწყობებში წარმოიქმნება საქონლის დანაკარგები. ბუნებრივია, ზოგიერთ საქონელზე დანაკარგები წარმოიქმნება გაშრობის, დაფანტვის, გაჟონვის შედეგად და ა. შ. დასაშვებ დანაკარგებზე დგინდება ბუნებრივი დანაკლისის ნორმები. საქონლის დანაკარგები ამ ნორმების ფარგლებში ჩამოიწერება მიმოქცევის ხარჯებზე.

ბუნებრივი დანაკლისების ნორმები დიფერენცირებულია საწყობების სათავსების სახეების (გამაციებელი ან არაგამაციებელი), წლის, პერიოდების და კლიმატური პირობების მიხედვით.

საქონლის ბუნებრივი დანაკლისის ზომა განისაზღვრება ინვენტარიზაციის პერიოდში და გაიანგარშება კონკრეტული საწყობებისათვის შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$$E = \frac{(Q + O) \cdot n}{T \cdot 100},$$

სადაც Q — საქონლის გასავალი საანგარიშო პერიოდში (ინვენტარიზაციებს შორის პერიოდში);

O — საქონლის ნაშთი კონკრეტული რიცხვისათვის;

t — საქონლის შენახვის საშუალო დრო, დღეებში;

n — მოცემული საქონლის ბუნებრივი დანაკლისის ნორმა, %;

T — შენახვის ვადა, რომლისთვისაც დადგენილია დანაკლისის ნორმა, დღეებში.

ბუნებრივ დანაკლისს გარდა საწყობებში წარმოქმნილია აგრეთვე სხვა, ე. წ. აქტირებული დანაკარგები, რომლებიც დაკავშირებულია საქონლის შენახვის არადამაკმაყოფილებელ პირობებთან ან საქონლის გაუფრთხილებელ მოპყრობასთან (გაფუჭება, დამსხვრევა, მტვრევა და სხვა).

საწყობიდან საქონლის დაკომპლექტებისა და გაცემის ოპერაციები.

საწყობებიდან საქონლის გეგმაზომიერი გაცემისათვის მუშავდება კვირეული, დღიური და საათობრივი ოპერატიული გეგმა-გრაფიკები, რომლებიც ითვალისწინებენ მუშაკთა აუცილებელ განლაგებას ცალკეულ სამუშაოთა შესრულებისათვის, ექსპლოატაციაში შეკვეთების დაკომპლექტების ვადებს, აგრეთვე საქონლის დატვირთვისათვის სატრანსპორტო საშუალებათა მიწოდების დროს.

ასეთი გრაფიკები დგება საქონლის მიმღებთა განწყობებისა და შეკვეთების საფუძველზე. თითოეულ საწყობზე სამუშაოთა ნუსხის გარკვევისათვის, მათი შესრულებისათვის საჭირო დროისა და თანმიმ-

დევრობის განსაზღვრისათვის შეიძლება დამუშავდეს ტექნოლოგიური რუქა.

• საქონლის გაცემა მიმდინარეობს 2 ეტაპად: საქონლს მომზადება-გასაცემად; გაცემა და გაგზავნა. •

საბითუმო შეფუთვაში მოთავსებულ საქონელს არჩევენ უშუალოდ სასაწყობო სათავსებში და გადააქვთ ექსპედიციაში, სადაც მათ მიმღებიდან მიღებული შეკვეთების შესაბამისად აკომპლექტებენ პარტიებად სატრანსპორტო საშუალებებზე მათი შემდგომი დატვირთვისათვის.

• შეუფუთავი საქონლს გადაარჩევა და დაკომპლექტება იყოფა მთელ რიგ ელემენტებად. საქონელს გადაარჩევენ საკუქნაოებში ან შესანახ კამერებში და ახდენენ მათ დახარისხებას მცირე პარტიებად ცალკეული მყიდველებისათვის. ამასთან, გადაარჩევა შეიძლება განხორციელდეს ორი მეთოდით: თითოეული შეკვეთის თანმიმდევრული დაკომპლექტება და ყველა შეკვეთების მიხედვით ერთი პარტია საქონლის ერთდროული გადაარჩევა. •

• პირველ შემთხვევაში გადამრჩევი აკომპლექტებს თითოეულ შეკვეთას ცალკე, თანმიმდევრულად შენახვის ადგილის შემოვლითა და საქონლის არჩევით. საწყობების შემოვლის რაოდენობა, რომელსაც ასრულებს გადამრჩევი, შეესაბამება დაკომპლექტებული შეკვეთების რიცხვს.

მეორე შემთხვევაში გადამრჩევი არჩევს თითოეული შენახვის ადგილიდან ერთი პარტიის საქონელს ერთდროულად ყველა შეკვეთისათვის. გადამრჩევის მიერ საწყობის შემოვლის რაოდენობა ამ შემთხვევაში განისაზღვრება შენახვის ადგილების (სპეციალიზებული სექციების) რაოდენობით. შემდეგ გადამრჩეული საქონლის პარტიებს ახარისხებენ ცალკეული შეკვეთების მიხედვით.

გადამრჩევის მეთოდის შერჩევა განპირობებულია საქონლს სახით, საწყობის ტვირთბრუნვის მოცულობით, შენახვის პირობებით, შესრულებული შეკვეთების რაოდენობით, საწყობის მოწყობით, დაგეგმარებით და სხვა.

მეორე მეთოდი მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს ისეთ საწყობებში, სადაც შეკვეთების დაკომპლექტებისათვის გამოყოფილია სპეციალური სადგომი. ამასთანავე, უფრო ეფექტურად ხორციელდება დაკომპლექტების ყველა ოპერაცია: იზრდება შრომის ნაყოფიერება; მარტივდება მყიდველის მიერ საქონლის მიღების წესი, რამდენადაც შეკვეთილი საქონლის პარტიას აგზავნის ერთი გამგზავნი ერთი თანმხლები საბუთით (სასაქონლო სატრანსპორტო ზედნაღები) და ერთი სატრანსპორტო საშუალებით.

გაცილებით მოხერხებულია შეკვეთების დაკომპლექტების ბოქსური სისტემა, როდესაც შენახვის სხვადასხვა ადგილებიდან შემოსულ საქონელს აწყობენ განსაზღვრულ, საქონელშიმღებისათვის განკუთვ-

ნილ ბოქსებში. ასეთ შემთხვევაში საქონელი ერთი შეკვეთის ოდენობის გათვალისწინებით შეიძლება მოთავსდეს კონტეინერში, რომელიც შემდეგ მიიტანება კონკრეტულ სავაჭრო საწარმოს მისამართზე.

მცირე მოცულობის საწყობებში საქონლის შერჩევა, შეფუთვა და ნიშნდება ხორციელდება შენახვის ადგილზე, ამასთან თითოეული მიმღებისათვის ცალ-ცალკე.

ყველა შემთხვევაში შეკვეთების დაკომპლექტების საფუძველს წარმოადგენს შესასრულებელი საბუთის ამონაწერი საქონლის გაცემის შესახებ — ანგარიშფაქტურა, ზედნაღები და ა. შ. საქონელი გაიცემა მხოლოდ მინდობილობით.

საქონლის გაცემის რაციონალური ორგანიზაცია ხელს უწყობს საწყობსა და საქონელმიმღებს შორის მჭიდრო კავშირის დამყარებას. ასეთი კავშირი მყარდება ძირითადად საწყობის მიერ საქონელმიმღებიდან წერილობით ან ტელეფონით მიღებული შეკვეთების ოპერატიული შესრულების გზით, აგრეთვე მყიდველების მიერ საქონლის პირადი შერჩევის დროს.

საბითუმო საწარმოებისა და მათი საწყობების მართვის სისტემის სრულყოფა მიმდინარეობს მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფის, მართვის თანამედროვე მეთოდებისა და საშუალებების დანერგვის, საქონლის მოძრაობის ტექნოლოგიური პროცესის ორგანიზაციისა და ავტომატიზაციის სრულყოფის მიმართულებით.

თანამედროვე მსხვილ მექანიზებულ საწყობებში და მაკივრებში ტექნოლოგიური პროცესების მართვა ხორციელდება სადისპეტჩერო სამსახურით, რომელიც აღჭურვილია საწარმოო სატელევიზიო დანადგარებით, სადისპეტჩერო კავშირით, პნევმატური ფოსტით. დამუშავებულია ამოცანა ავტომატიზებული სისტემით საქონლის მოძრაობის აღრიცხვისა და სასაწყობო ოპერაციების მართვის, საბითუმო საწარმოების ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანებით აღჭურვის საფუძველზე. მისი დახმარებით ხორციელდება საწყობებში მყოფი საქონლის მისამართების დადგენისა და მოძებნის პროცესი. საწყობში შემოსული საქონლის ანგარიშ-ფაქტურები მუშავდება და გადაეცემა გამოთვლით ცენტრს. ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების მეხსიერებაში ინახება საქონლის განლაგების სქემა საწყობების, სტელაჟებისა და ფაქტიურად არსებული საქონლის მიხედვით. მის შესაბამისად მიღებული საქონელი იგზავნება განსაზღვრული სტელაჟის უჯრედში. მართვის პულტიდან ბრძანების მიღების შემდეგ ექსპედიციის მუშაკი აერთებს ურიკას პოდონებზე მოთავსებული საქონლით ჯაჭვურ კონვეიერს. ურიკა იწყებს მოძრაობას დანიშნულების ადგილისაკენ კონვეიერისათვის მიცემული პროგრამის მიხედვით.

ელექტროხულ-გამომთვლელი ტექნიკის დანერგვა საშუალებას იძლევა უფრო აქტიურად იქნეს გამოყენებული ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდებისა და საბითუმო საწარმოების, მათი სასაწყობო მეურნეობის მართვის მოდელების კომპლექსი. მათი დახმარებით შეიძლება გადაწყდეს სასაწყობო ტევადობის ოპტიმალური გამოყენების, სასაქონლო მარაგის მართვის, საქონლის გაცემისა და დაკომპლექტების პროცესების მოდელირების ამოცანები.

შრომის ორგანიზაცია საწყობებში

§ 1. საწყობის აპარატის სტრუქტურა და მუშაობა ფუნქციები

სასაწყობო მეურნეობაში ჩამოყალიბდა შრომის დანაწილებისა და კოოპერაციის რამდენიმე დონე, რომელთა ფორმები და სიღრმე განისაზღვრება საწყობის სასაქონლო პროფილით, შესასრულებელი ოპერაციების ხასიათით, საქონლის სასაწყობო დამუშავების გამოყენებული ტექნოლოგიით, ტვირთის ნაკადის სიმძლავრითა და სასაწყობო სამუშაოთა მექანიზაციის ხარისხით.

საწყობებში შრომის დანაწილების ძირითადი ფორმებია ფუნქციონალური, საქონლურ-დარგობრივი და ტექნოლოგიური.

შესასრულებელი სამუშაოს ხასიათის მიხედვით სასაწყობო საწარმოს პერსონალი იყოფა რიგ ფუნქციურ ჯგუფებად. ძირითადი და ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფია ოპერატიულ-სასაწყობო მუშაკები, რომლებიც უშუალოდ დასაქმებული არიან საქონლის პარტიების მიღების, შენახვის, საბოლოოდ დამუშავების, დახარისხებისა და დაკომპლექტების ოპერაციებზე. მუშაკები, რომლებიც ემსახურებიან საქონლის შემოტანასა და გაგზავნას, სატრანსპორტო საექსპედიციო ჯგუფს შეადგენენ.

მუშაკებს, რომლებიც უზრუნველყოფენ საწყობის ნორმალურ ფუნქციონირებას (შენობის, კომუნიაციების მომსახურება, სარემონტო სამუშაოები), აკუთვნებენ დამხმარე მუშაკთა ჯგუფს.

მუშაკთა საქონლურ-დარგობრივი სპეციალიზაცია წარმოადგენს შრომის დანაწილებას სასაქონლო ნიშნის მიხედვით. ამ შემთხვევაში მუშაკთა საქმიანობა შემოფარგლულია საქონლის მასის დამუშავებით. სპეციალიზებული საწყობის ჩარჩოებში. შრომის ასეთი დანაწილება დამახასიათებელია საწყობების უმრავლესობისათვის.

შრომის ტექნოლოგიური დანაწილება გულისხმობს ცალკეულ სა-

მუშაოთა გამოცალკევებას მათი ტექნოლოგიური ერთგვაროვნების კვალობაზე. შრომის დანაწილების ასეთი ფორმა ითვალისწინებს საწყობში მთელი ტექნოლოგიური პროცესის დანაწილებას ოპერაციათა ჯგუფებად და საწყობის მუშაკთა სპეციალიზაციას თითოეული ჯგუფის შესაბამისი ოპერაციების შესრულებაზე. ასეთი სახის სპეციალიზაციის დროს წარმოიშობა ერთიანი ტექნოლოგიური ციკლი, რაც იძლევა თითოეული მუშაკის ყველაზე ეფექტიანად გამოყენების შესაძლებლობას მისი პროფესიისათვის დამახასიათებელი ფუნქციების შესაბამისად.

შრომის სრული (ოპერაციების მიხედვით) დანაწილება საშუალებას გვაძლევს შემცირდეს ტექნოლოგიური ციკლის ხანგრძლივობა, ამალდეს ოპერატიული დროის წილი და შეიქმნას პირობები მექანიზმების გამოყენებისათვის. შრომის ასეთი დანაწილება გამოიყენება მსხვილ მაღალმექანიზებულ სასაწყობო საწარმოებში და, რა თქმა უნდა, უფრო პერსპექტიულია.

საწყობებში მუშაკთა შრომის ეფექტიანობის ამაღლებას ხელს უწყობს შრომის დანაწილების შემდგომი გაღრმავება მისი ორგანიზაციის კოლექტიური ფორმის, ე. ი. კოოპერირების ჩარჩოებში. იგი განსაკუთრებით ეფინდება მსხვილ საწყობებში, სადაც შრომის სრული დანაწილების საფუძველზე იქმნება კომპლექსური ბრიგადები, რომლებიც აერთიანებენ საწყობის, სექციების, ექსპედიციის, საქონლის დასაკომპლექტებელ და სხვა მუშაკებს.

შრომის კოოპერაცია გამოიყენება აგრეთვე მცირე და საშუალო მოცულობის ტვირთბრუნვის მქონე საწყობებში. ასეთ საწყობებში შრომის ნაწილობრივი დანაწილების საფუძველზე იქმნება კომპლექსური ბრიგადები, რომლებიც ემსახურებიან საწყობის მთელ ტექნოლოგიურ პროცესს საქონლის მიღებიდან გაგზავნამდე.

შრომის დანაწილებისა და კოოპერირების ღონისძიებათა გატარება საწყობებში უნდა განაპირობებდეს ტექნოლოგიური პროცესის სრულყოფას, შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, საწყობის აპარატის რაციონალურ აგებას და მუშაკთა ნომენკლატურის სწორად განსაზღვრას.

საწყობის მუშაკთა კატეგორიები და ორგანიზაციული სრუქტურა იცვლება მისი სასაქონლო პროფილის, საქონელბრუნვის მოცულობისა და სასაწყობო ოპერატიული პროცესის მასშტაბების მიხედვით. საწყობები შეიძლება იყოფოდეს სასაქონლო სექციებად ან საკუქუნაობად, ჰქონდეს ექსპედიცია, ტარის სარემონტო სახელოსნო, საწარმოო საამქროები და სხვა ქვედანაყოფები.

საწყობის უშუალო ხელმძღვანელობას ახორციელებს დირექტორი (გამგე). მსხვილი საწყობების რთული შიდასტრუქტურის დროს შტატებში გაითვალისწინება მოადგილეების ან თანაშემწეთა (უფროსი მეკუქუნაეების) თანამდებობები, რომლებიც განაგებენ ცალკეულ საცა-

ვებს ან დახმარებას უწევენ საწყობის გამგეს სასაწყობო ტექნოლოგიური პროცესის უმნიშვნელოვანესი ოპერაციების ორგანიზაციაში.

საწყობში საპასუხისმგებლო როლს ასრულებენ საქონელმცოდნეები, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ საქონლის ხარისხობრივ მიღებაში, თვალყურს ადევნებენ საქონლის შენახვის შესაბამისი რეჟიმის უზრუნველყოფას, მონაწილეობენ საქონლის ასორტიმენტის შერჩევაში მყიდველთა შეკვეთების შესაბამისად.

სპეციალურ და მსხვილ საწყობებში შტატში ითვალისწინებენ ინჟინრების, მექანიკოსების, ეკონომისტებისა და სხვა სპეციალისტთა თანამდებობებს.

ოპერატიულ-სასაწყობო მუშაკებს შორის წამყვანი ადგილი უკავიათ მეკუჭნავეებს, რომლებიც განაგებენ ცალკეულ საქუჭნაოებს, სექციებს ან კამერებს. ისინი უზრუნველყოფენ შესანახად საქონლის განლაგების, შენახვის რეჟიმის შექმნის ოპერაციებს, პასუხს აგებენ საქონლის დაცვაზე, თვალყურს ადევნებენ საქონლის მიღებისა და გაცემის ლოკუმენტური გაფორმების სისწორეს.

საქონლის შიდასასაწყობო გადამუშავებაზე დასაქმებულ ძირითად მუშაკებს დამხარისხებლები და გადამრჩეველ-შემფუთავები წარმოადგენენ. დამხარისხებლები ღებულობენ საქონელს რაოდენობისა და დასახელების მიხედვით და აწყობენ შესანახად. გადამრჩეველ-შემფუთავები აწარმოებენ საქონლის შერჩევას, შეფუთვას, ტარაში მოთავსებას და გასაცემად მომზადებას. საწყობებში, სადაც ხორციელდება სასაწყობო ოპერაციების ავტომატიზებული მართვა, საქონლის დაწყობას, შერჩევასა და შეკვეთების დაკომპლექტებას განაგებს ოპერატორი. საწყობში საქონლის დაფასოების ორგანიზაციის დროს შტატში ითვალისწინებენ დამფასებლებს.

საქონლის გადაადგილების, გადატანისა და დაწყობის ოპერაციებს ასრულებენ მტვირთავები, სატრანსპორტო მექანიზმების (დამტვირთველების, შტაბელდამწყობების) მძღოლები.

საწყობის მუშაკთა განსაკუთრებულ ჯგუფს შეადგენენ ექსპედიტორები, აგენტები, მწონავები, რომლებიც ახორციელებენ საწყობში საქონლის მოტანასა და მიღებასთან, მის შემდგომ გაგზავნასთან დაკავშირებულ სატრანსპორტო-საექსპედიციო ოპერაციებს. მსხვილ საწყობებში იქმნება ტარის ჯგუფი, საგემო-საადრიცხვო ჯგუფი, საყარაულო და სახანძრო დაცვა.

საწყობის აპარატის რაციონალური სტრუქტურა, მუშაკებს შორის შოვალეობათა გამიჯვნა ხელს უწყობს მატერიალური პასუხისმგებლობის სისტემის სწორად შერჩევას. ინდივიდუალური მატერიალური პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს საწყობის გამგეებს და მათ მოადგილეებს, მეკუჭნავეებს, ექსპედიტორებს, აგენტებს.

საწყობში დატაცებათა ლიკვიდაციისა და საქონლის დანაკარგების

შემცირების მნიშვნელოვანი საშუალებაა ბრიგადული მატერიალური პასუხისმგებლობის დანერგვა. საწყობის კოლექტივის წევრები ურთიერთნდობის საფუძველზე ნებაყოფლობით შედიან ბრიგადებში, რომლებიც საქონლის სასაწყობო დამუშავების პროცესში ერთობლივად აწარმოებენ საქონლის მიღებას, შენახვას და სხვა მუშაებისათვის გადაცემას.

§ 2. საწყობის მუშაობა შრომის ორგანიზაცია

საწყობის ტექნოლოგიური პროცესის სრულყოფისა და მუშაკთა შრომითი საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას მუშაობის ოპერატიული დაგეგმვა წარმოადგენს.

სხვადასხვა პირობები, რომლებშიც საწყობები ახორციელებენ თავიანთ საქმიანობას, მოქმედებენ მიმოქცევის ხარჯების დონეზე. საწყობის ხარჯების დონეზე დიდ გავლენას ახდენს ტვირთბრუნვის სიდიდე და მუშაკთა ნომენკლატურა, ოპერატიულ-საწარმოო და სატრანსპორტო-საექსპედიციო სამუშაოს ხასიათი, რომელიც დაკავშირებულია საქონლის მიღებასთან, შენახვასთან, საბოლოოდ დამუშავებასა და გადაცემასთან და მათ ტრანსპორტირებასთან შემოტანისა და გაგზავნის პროცესში.

საწყობის ოპერატიული სამეურნეო საქმიანობის გეგმის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა გეგმა, რომელიც მიმართულია ტექნოლოგიური პროცესების რაციონალიზაციის, სასაწყობო ფართობების, მოწყობილობისა და მექანიზაციის, საშუალებების ეფექტიანად გამოყენების, ხარჯებისა და საქონლის დანაკარგების შემცირების, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვისაკენ.

საქონლის სასაწყობო დამუშავების რაციონალური ტექნოლოგიური ოპერაციების შემუშავება შესაძლებლობას გვაძლევს მოვახდინოთ სასაწყობო ოპერაციების ორგანიზაციის ოპტიმიზაცია ტექნოლოგიური რუკებისა და გრაფიკების შედგენის გზით. ტექნოლოგიური რუკები მუშავდება მსხვილ საწყობებში იმის გათვალისწინებით, რომ მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული მაღალმწარმოებლური ამწე-სატრანსპორტო მანქანები და მოწყობილობა შრომის მაღალი ორგანიზაციისა და მინიმალური შრომითი დანახარჯების პირობებში. ტექნოლოგიური რუკების შედგენას თან უნდა ახლდეს ზუსტი დოკუმენტაცია სასაწყობო სამუშაოთა ცალკეულ ეტაპებად და ელემენტებად დაყოფით. ამ მონაცემების საფუძველზე იქმნება მუშაობის ოპერატიული გეგმები საგეგმო პერიოდში და ცულის (დღე-ღამის) განმავლობაში ან სხვა ვადებში ცალკეული სახის სამუშაოთა ჩატარების გრაფიკები.

საწყობის მუშაკთა შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა და ხარჯების დონის შემცირების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს დატვირთვა-გადმოტვირთვისა და სატრანსპორტო-სასაწყობო სამუშაოთა სწორი ორგანიზაცია წარმოადგენს. ამწე-სატრანსპორტო მექანიზმების ეფექტიანი გამოყენება შესაძლებელია მათი მუშაობის რაციონალური დაგეგმვის პირობებში. ქრონომეტრაჟის მონაცემების ან გაანგარიშებთა საფუძველზე დგინდება დატვირთვა-განტვირთვისა და სატრანსპორტო მექანიზმების გამოყენების ხარისხი საწყობის ცალკეული სექციებისა და ზონების მიხედვით. ტექნოლოგიური პროცესის მიღებული სქემის გათვალისწინებით მიზანშეწონილია მექანიზმების მუშაობის ცვლის (სა-დღეღამისო) გრაფიკის შედგენა.

• შრომის ორგანიზაციის პრაქტიკული აკითხვების გადაწყვეტა საწყობებში უნდა ემყარებოდეს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს, რომლებიც უზრუნველყოფენ შრომის პროცესების ყველაზე რაციონალურ, ეფექტიან ორგანიზაციას. ამას ხელს უწყობს საწყობებში შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვა.

• შრომის მეცნიერული ორგანიზაცია საწყობებში გულისხმობს უპირველეს ყოვლისა შრომის ინტენსიური მეთოდებისა და ხერხების გამოყენებას, რომლებიც განაპირობებენ მისი ნაყოფიერების ამაღლებას.

საწყობებში შრომის ნაყოფიერების ამაღლების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს ნორმირების გაუმჯობესება და შრომით რესურსებზე მისი გავლენის გაფართოება. შრომის ნორმა, წარმოადგენს რა მისი ზომის კონკრეტულ გამოხატულებას, განსაზღვრავს სასაწყობო მეურნეობის სფეროში საზოგადოებრივად აუცილებელ დანახარჯებს. იგი გვევლინება ბაზად სხვადასხვა კატეგორიის მუშაკთა რაოდენობის, შრომის ნაყოფიერებისა და ხელფასის ფონდის განსაზღვრისათვის. თავის მხრივ, შრომის ნორმების დადგენა ნამდვილად მეცნიერულ საფუძველზე შესაძლებელია მხოლოდ შრომის დანაწილებისა და კოოპერაციის ფორმების სწორად შერჩევის, სამუშაო ადგილების თანაბარი დატვირთვის პირობებში.

სატრანსპორტო-სასაწყობო ოპერაციები, რომლებიც წარმოადგენენ წარმოების პროცესების გაგრძელებას მიმოქცევის სფეროში, განაპირობებენ საწყობებში შრომის მწარმოებლურ ხასიათს. ეს შესაძლებლობას გვაძლევს გამოვიყენოთ გამომუშავებისა და დროითი ნორმები, რომლებსაც მიმართავენ წარმოებაში ტექნიკური ნორმირებისათვის მათი შესრულების ორგანიზაციულ-ტექნიკური პირობებისაგან დამოკიდებულებით.

საწყობებში გამომუშავებისა და დროითი ნორმები დგინდება სტატისტიკური გზით გასულ პერიოდში საწყობის ერთ მუშაკზე საქონელბრუნვის ან ნატურალურ გამოსახულებაში გამომუშავების მაჩვენებელთა საფუძველზე.

გამომუშავების ტექნიკური ნორმები საწყობებში შეიძლება დადგინდეს ისეთი მუშაკებისათვის, როგორცაა მტკირთავეები, მექანიზმების მძღოლები, წუნმდებლები, დამხარისხებლები, გადამრჩეველ-შემფუთავები, დამფასობლები და საწარმოო საამქროთა მუშები. მაგალითად, მტკირთავეებისა და მექანიზმების მძღოლების შრომის დანახარჯების განსაზღვრისათვის გამომუშავების ნორმები მიზანშეწონილია დადგინდეს ტონებში ან გადასამუშავებელი ტვირთის სხვა წონით ერთეულებში, ტარაში მოთავსებულ ცალკეობათან მუშაობის დროს კი შეიძლება გამოყენებულ იქნეს დროის ნორმები ტარაში მოთავსებულ ერთ ცალზე.

გადამრჩეველ-შემფუთველების შრომის ნორმირების დროს შეიძლება გამოყენებულ იქნეს დროის ნორმები ერთ ერთეულზე.

სასაწყობო პროცესის ორგანიზაციის სხვადასხვა ტიპები, საწყობების სპეციალიზაციის ფორმები, შრომის დანაწილებისა და კოოპერაციის სიღრმე განაპირობებენ განსხვავებებს მის ნორმირებაში.

საწყობების მუშაკთა სხვადასხვა კატეგორიებისათვის გამომუშავების ტიპობრივი ტექნიკური ნორმები დგინდება ცალკეული ოპერაციების (ელემენტების) შესრულებაზე დახარჯული დროის ქრონომეტრული გაზომვების საშუალებით. დროითი ნორმების შემუშავებისას მთელ პროცესს (ოპერაციას) ანაწევრებენ მას შემადგენელ საწარმოო ეტაპებად (ელემენტებად) და ადგენენ მათ თანამიმდევრობას. შემდეგ საზღვრავენ ოპერაციის თითოეული ელემენტის ხანგრძლივობაზე დაკვირვების (გაზომვების) რაოდენობას. ოპერაციის თითოეული ელემენტის გაზომვების საერთო ხანგრძლივობა, გაყოფილი მათ რაოდენობაზე, გვაძლევს ოპერაციის მოცემული ელემენტის შესრულებაზე დროის საშუალო ნორმას. მთლიანად ოპერაციის შესრულების საშუალო ხანგრძლივობას საზღვრავენ როგორც მისი ყველა ელემენტის საშუალო ხანგრძლივობათა ჯამს.

საწყობში ტექნოლოგიური პროცესის რომელიმე ოპერაციის საშუალო ხანგრძლივობის (დროითი ნორმის) გაანგარიშება შეიძლება გამოისახოს ფორმულით:

$$N_0 = \sum_{i=1}^m n_i \cdot t_i$$

სადაც m არის ოპერაციის ელემენტთა რაოდენობა;

i — ოპერაციის ელემენტის ინდექსი;

n_i — ოპერაციის i -ური ელემენტის საშუალო ხანგრძლივობა, რომელიც გამოითვლება თანაფართობიდან,

$$\frac{\sum_{a=1}^k n_a}{k}$$

სადაც no არის ოპერაციის ელემენტის ხანგრძლივობა;

a — გაზომვის დრო;

k — გაზომვათა რაოდენობა;

a — გაზომვის ინდექსი.

დაკვირვებათა (გაზომვების) საფუძველზე ქრონომეტრული რუკების შედგენა მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს დროითი ნორმების განსაზღვრისათვის ისეთი ოპერატიულ-საწარმოო ოპერაციების შესრულებაზე, როგორცაა საქონლის დაწყოება, საბოლოოდ დამუშავება, დაფასოება, გადარჩევა, დაკომპლექტება. ამასთან დროითი ნორმების სიდიდეზე არსებით გავლენას ახდენს საქონლის ფიზიკურ-ქიმიური თვისებების ზრდის რეზერვების განსაზღვრისათვის რეკომენდებულია სხვადასხვაობის წესები და სიმაღლე, გამოყენებული მოწყობილობა, საქონლის მოძრაობის გზები და სხვა. ქრონომეტრული დაკვირვებების საფუძველზე განხორციელებული ნორმირება ემყარება შრომის მოწინავე მეთოდებისა და ხერხების დანერგვას.

სამუშაო დროის დანახარჯების გამოვლენისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის რეზერვების განსაზღვრისათვის რეკომენდებულია სხვადასხვა კატეგორიის მუშაკთა სამუშაო დღის ფოტოგრაფიის ჩატარება. სამუშაო დღის ფოტოგრაფიის შედეგების მიხედვით დგება მუშაკთა სამუშაო დღის ფაქტობრივი ნაკრები ბალანსი, რომლის ანალიზი საშუალებას იძლევა განისაზღვროს შრომითი ოპერაციების შესრულებისათვის აუცილებელი დროის დანახარჯები, შემუშავდეს ღონისძიებანი სამუშაო დღის შემკიდროვებისათვის და განისაზღვროს მუშაკთა რაოდენობის გაანგარიშებისათვის აუცილებელი ნორმები.

შრომის მეთოდებისა და ხერხების შესწავლა და ანალიზი, შრომის ნაყოფიერების ზრდის რეზერვების გამოვლენა გვაძლევს საწყობებში შრომის მეცნიერული ორგანიზაციის გეგმის შედგენის შესაძლებლობას. საწყობში შრომის გეგმები მოიცავს შრომის დანაწილებისა და კოოპერირების რაციონალური ნორმების დამუშავებას, შრომის ყველაზე მწარმოებლური მეთოდებისა და ხერხების გამოყენებას, სასაწყობო ოპერაციების ორგანიზაციის ოპტიმალური სქემების შექმნას, მექანიზაციის საშუალებებისა და გამოთვლითი ტექნიკის დანერგვასა და ეფექტიან გამოყენებას, შრომის სანიტარულ-ჰიგიენური და ფსიქოფიზიოლოგიური პირობების გაუმჯობესებას.

საწყობის მუშაკთა აქტივობის ზრდის, მათი ინიციატივის განვითარების მნიშვნელოვან საშუალებას, რომელიც მიმართულია შრომის ორგანიზაციის სრულყოფისა და დისციპლინის განმტკიცებისაკენ, სო-

ციალისტური შეჯიბრება წარმოადგენს. კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრების პირობებს ამტკიცებენ სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირების კომიტეტები და მოკავშირე რესპუბლიკების ვაჭრობის სამინისტროები. შეჯიბრების მსვლელობაში საწყობების კოლექტივები იღებენ ვალდებულებებს ისეთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებებით, როგორცაა საქონლის მიმღებთა საქონლით გეგმაზომიერი (რიტმული) მომარაგების ორგანიზაცია; საქონლის დანაკარგებისა და გაფუჭების შემცირება; ტრანსპორტის მოცდენის შემცირება; საქონელბრუნვის გეგმების შესრულება და გადაჭარბება; პროგრესული ტექნოლოგიისა და შრომის მოწინავე მეთოდებისა და ხერხების დანერგვა, მიმოქცევის ხარჯების შემცირება. საწყობებში ვითარდება სოციალისტური შეჯიბრების სხვადასხვა ფორმა: ინდივიდუალური, ბრიგადული, საწყობების უბნებსა და კოლექტივებს შორის. ფართო გაქანებას პოულობს შეჯიბრება პროფესიების მიხედვით.

სოციალისტურ შეჯიბრებაში გაპარჩევებულთა წახალისების ფორმებს წარმოადგენს მაღლობის გამოცხადება, დიპლომებითა და სიგელუბით დაჯილდოება, ფულადი პრემიების გაცემა, საპატიო დაფაზე შეტანა და ა. შ.

სოციალისტური შეჯიბრების უმაღლეს საფეხურს საწყობებში წარმოადგენს მოძრაობა შრომისაღმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის, კომუნისტური შრომის დამკვრელის, კომუნისტური შრომის ბრიგადის, კომუნისტური შრომის კოლექტივის სახელის მოსაპოვებლად.

სოციალისტურ შეჯიბრებაში საწყობის მუშაკთა მონაწილეობის უმნიშვნელოვანესი პირობაა მათი კვალიფიკაციის, ეკონომიკური და კულტურულ-ტექნიკური განათლების ამაღლება, რაციონალიზატორობისა და გამომგონებლობის განვითარება. შრომის ორგანიზაციის ეფექტიანობა, შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსების რაციონალური გამოყენება და შრომის ნაყოფიერების ამაღლება საწყობებში დამოკიდებულია შრომის დისციპლინის დონეზე.

§ 3. შრომის დაცვა და უსაფრთხოების ტექნიკა საწარმოებში

შრომისა და უსაფრთხოების ტექნიკის წესების დაცვაზე პასუხისმგებლობა აკისრია საწყობის ადმინისტრაციას. პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად, რომლებიც ახორციელებენ ყოველდღიურ კონტროლს საწყობებში შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის მდგომარეობაზე, ზედამხედველობას ახორციელებენ, აგრეთვე, პროფკავშირების საბჭოს ტექნიკური ინსპექცია, ჯანმრთელობის დაცვის სა-

მინისტროს სახელმწიფო სანიტარული ინსპექცია, სახელმწიფო საქალაქო ტექნიკური-ზედამხედველობა, შსს-ს სახანძრო დაცვის სამმართველო, საზოგადოებრივი ინსპექტორები.

საწყობის მუშაობის ძირითად უბნებს, რომლებიც მოითხოვს შრომისა და უსაფრთხოების ტექნიკის წესების გულმოდგინე დაცვას, მიეკუთვნება: სიმძიმეთა აწევა და გადატანა, საქონლის დაწობა და გადარჩევა, მუშაობა ელექტროდანადგარებთან და მექანიზმებთან, აგრეთვე, განსაკუთრებით საშიშ ტვირთებთან (მყავებთან, ქიმიკატებთან, ცეცხლსაშიშ ტვირთებთან).

მექანიზმებზე (ლიფტებზე, ამწეებზე, დამტვირთველებზე) სამუშაოდ დაიშვებიან მხოლოდ პირები, რომელთაც შეუსრულდათ 18 წელი და ჩააბარეს ტექნიკურში მექანიზმების მოწყობილობასა და ექსპლოატაციაში, გაიარეს ყოველწლიური სწავლება და აქვთ მოწმობა მუშაობის უფლების შესახებ.

საწყობში დაცული უნდა იყოს უსაფრთხოების ტექნიკის წესები, რომლებიც ითვალისწინებენ ტვირთების გადაზიდვის ზღვრული ნორმებისა და დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოებზე ქალებისა და მოზარდების შრომის გამოყენების პირობების დაცვას.

საწყობებში შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის გაუმჯობესებას ხელს უწყობს ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც მიმართულია შრომის უსაფრთხო და მაღალმწარმოებლური პირობების შექმნისაკენ და თავიდან გვაცილებს პროფესიულ დაავადებებსა და საწარმოო ტრავმატიზმს. ასეთ ღონისძიებათა რიცხვს ეკუთვნის სასაწყობო ოპერაციების აღრიცხვის მექანიზაცია და ავტომატიზაცია, შრომისა და დასვენების მეცნიერულად დასაბუთებული რეჟიმის დანერგვა, მუშაობის მოწინავე მეთოდების გავრცელება, უსაფრთხო ამწე-სატრანსპორტო და სხვა მექანიზმების გამოყენება, სამუშაო ადგილების რაციონალური მოწყობისა და მოწყობილობის, მათი სწორი განათებისა და კენტილაციის უზრუნველყოფა და ა. შ.

ტარის მეურნეობა ვაჭრობაში

§ 1. ტარის როლი და მნიშვნელობა საქონელბრუნვაში

1 ტარა ეწოდება სამრეწველო ნაწარმს, რომლის დანიშნულებაა უზრუნველყოს მზა ნაწარმის ხარისხობრივი და რაოდენობითი დაცვა მისი შენახვისა და ტრანსპორტირების დროს, და აგრეთვე, უზრუნველყოს დატვირთვა-განტვირთვის ოპერაციები.

ტარა მნიშვნელოვან როლს თამაშობს საქონელბრუნვის განვითარებაში, რამდენადაც საქონლის ძირითადი მასა შემოდის საცალო ქსელში ტარაში შეფუთული. ერთ-ერთ ძირითად მიზეზს, რომელიც აბრკოლებს თვითმომსახურების ფართოდ განვითარებას, წარმოადგენს დაფასოებული პროდუქციის ნაკლებობა.

ტარის ოპტიმალური ზომების შერჩევა პოდონებზე გამსხვილებული სატვირთო ცალების ფორმირების საშუალებას იძლევა, უფრო მკვიდროდ შეიძლება გამოვიყენოთ სასაწყობო სათავსების ტევადობა, გამოვიყენოთ სასაწყობო ოპერაციების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებანი.

სახალხო მეურნეობის საკიროება ტარაზე და შესაფუთავ მასალაზე იზრდება. ამ მიზნებზე იხარჯება უდიდესი რაოდენობის ხე-ტყე, ქსოვილები, ლითონი და პოლიმერული მასალა. მხოლოდ კვების მრეწველობის საკიროებისათვის ყოველწლიურად მზადდება 18 მ-რდი ერთეული მინის ტარა, დასაბრუნებელი ხისა და მუყაოს ტარის შეგროვების, რემონტის, გადამუშავებისა და მიწოდების ორგანიზაცია, ტარის მეურნეობის ტექნიკური სრულყოფის ღონისძიებათა განხორციელება, ახლის აშენება და რეკონსტრუქცია მოქმედ ტარის სარემონტო საწარმოთა კონტრალი, ახალი გარე ტარის მიწოდების გეგმის შესრულებაზე და მისი საწარმოებში გამოყენებაზე, და აგრეთვე, ტარის განმეორებითი გამოყენების გადიდების ღონისძიებათა განხორციელება დაკისრებული აქვს ტარის განმეორებით გამოყენების, მომარაგებისა და გასაღების

მთავარ სამმართველოს — სოიუზგლავტარას, რომელიც არსებობს სსრ კავშირის სახმომარაგებასთან.

სსრ კავშირის სახმომარაგებასთან შექმნილია ტარის მეურნეობის უწყებათაშორისო საბჭო. ამ საბჭოს გადაწყვეტილებები სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საქონსტრუქტორო სამუშაოთა მხრივ და ტარის მეურნეობის განვითარების დარგში ტექნიკური პოლიტიკის განსაზღვრისას სავალდებულოა ქვეყნის ყველა სამინისტროებისა და უწყებებისათვის.

• მიუხედავად იმისა, რომ ტარის შეკრება, რემონტი და მიწოდება, აგრეთვე, საკონტროლო ფუნქციები იმყოფება სსრ კავშირის სახმომარაგების სისტემაში, ვაჭრობაში ტარის მეურნეობის ორგანიზაცია წარმოადგენს ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას. ვაჭრობა წარმოადგენს ტარაში შეფუთული საქონლის მოძრაობის პროცესის საბოლოო რგოლს. ტარის მიღების, განთავისუფლების, შენახვის, აღრიცხვისა და დაბრუნების შედეგებზე მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული საქონელბრუნვის ხარჯების დონე, რაც გავლენას ახდენს სავაჭრო ორგანიზაციებისა და საწარმოთა საქმიანობის მოგების სიდიდეზე და სხვა ფინანსურ მაჩვენებლებზე. ტარის ხარჯები ვაჭრობაში ჯერ კიდევ მეტად მაღალია. მაგალითად, რსფსრ-ში მეცხრე ხუთწლეულის ბოლოს ისინი შეადგენდნენ საქონელბრუნვის 0,15%, ხოლო ცალკეულ რესპუბლიკებსა, მხარეებსა და ოლქებში — რამდენიმეჯერ მეტს.

§ 2. ტარის კლასიფიკაცია

• ტარის კლასიფიკაცია წარმოებს მისი დანიშნულების, ფიზიკური თვისებების, კონსტრუქციული თავისებურებითა, ბრუნვის რაოდენობის და დასამზადებელი მასალების მიხედვით — და ა. შ. თუმცა „ტარის“ ცნებაში არ ითვლება კონტინერები, პოდონები, სპეციალიზებული სატრანსპორტო საშუალებათა სხვადასხვა სახეები, ისინი გარკვეული ზომით იღებენ თავისთავზე მის ფუნქციებს.

• დანიშნულების მიხედვით ტარას ყოფენ მოხმარებითი (შინაგანი) და სატრანსპორტო (გარეგანი).

მოხმარებითს უწოდებენ ტარას, რომელშიდაც აფასობენ საქონელს მოხმარებლებზე მისაწოდებლად და მისაყიდად, — ბოთლები, ქილები, ფლაკონები, ტუბები, კოლოფები, პაკეტები და სხვა. ამ სახის ტარის ღირებულება შედის საქონლის საცალო ფასში. თვითმომსახურების პირობებში მოხმარებით ტარას აქვს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა. ის უნდა იყოს მოხერხებული, მსუბუქი, იაფი, ლამაზი და მყიდველს უნდა აწვდიდეს საქონელზე ამომწურავ ინფორმაციას.

• სატრანსპორტო ტარა ემსახურება სხვადასხვა საქონლის ტარაში მოთავსებას, რომლებიც წინასწარ შეფუთული ან შეუფუთავი არიან მოხმარებით ტარაში. ის უზრუნველყოფს აუცილებელ დაცვას მექა-

ნიკური დაზიანებისაგან, განსაკუთრებით ტრანსპორტირებისა და გადატვირთვების დროს. სატრანსპორტო ტარის ყველაზე გავრცელებულ სახეებს მიეკუთვნება ხის, მუყაოს, ლითონისა და პოლიმერული მასალების ყუთები, კასრები, დოლები, მათარები, ბალონები და ტომრები.

ასხვავებენ უნივერსალურ სატრანსპორტო ტარას — სხვადასხვა საქონლის ტარაში მოსათავსებლად და სპეციალიზებულს, რომელიც დანიშნულია ერთი სახის საქონლისათვის (მაგალითად, ბოთლებით ან პაკეტებით რძის გადასაზიდი ლითონის ყუთები).

1. ფიზიკური თვისებების მიხედვით, ე. ი. კონსტრუქციის სიმაგრის, წინააღმდეგობისა და თავისი ჩვეულებრივი ფორმის შენარჩუნების უნარის მიხედვით ტარას ყოფენ მაგარი, ნახევრადმაგარი და რბილი.

მაგარი ტარა მზადდება ლითონის, პლასმასის, ხის, მუყაოს, ხის ბურბუშელისა და მერქნის ბოჭკოს მასალებისაგან, მინის და ქაღალდის მასისაგან მათი ჩამოსხმის ან დაწნეხის გზით. ნახევრად მაგარი ტარის წარმოებისათვის გამოიყენება ცალკეული სორტის მუყაო, პოლიმერული მასალები და ქაღალდი. რბილი ტარა მზადდება ქსოვილის, ქაღალდის, პოლიმერული და კომბინირებული მასალებისაგან.

2. კონსტრუქციული თვისებებზეთა მიხედვით ტარა იყოფა დაუშლელი, დასაშლელი, დასაკეცი და დასაშლელ-დასაკეცი. პრაქტიკაში ყველაზე ფართო გავრცელება პოვა დაუშლელმა სატრანსპორტო ტარამ. ტარის დასაშლელად თანამედროვე მასალების გამოყენება საშუალებას იძლევა ფართოდ გამოიყენონ ისეთი კონსტრუქციები, რომლებიც ამცირებენ მის მოცულობას ცარიელი სახით გადაზიდვების დროს.

3. გამოყენების ჭეირადობის მიხედვით ტარას ყოფენ ერთხელ ბრუნვის და მრავალბრუნავი. ტარის ძირითადი ნაწილი დანიშნულია განმეორებითი გამოყენებისათვის და საქონლისაგან განთავისუფლების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს მიმწოდებლებს ან ტარის საკემონტო საწარმოებს. მრავალბრუნავი სატრანსპორტო ტარის სახესხვაობას წარმოადგენს საინვენტარო ტარა, რომელიც ეკუთვნის მიმწოდებლებს ან საეპრო საწარმოებს. ასეთ ტარას უნდა ქონდეს ნიშანდობა მისი მფლობელის მონაცემებით და საინვენტარო ნომერი. საინვენტარო ტარით საქონლის გაგზავნისას მიმწოდებელი ახდევინებს მყიდველს მის საგირავნო ღირებულებას.

4. დაშლადების მასალის მიხედვით ტარა შეიძლება იყოს ხის, მუყაოსა და ქაღალდის, ქსოვილის, ლითონის, მინისა და სინთეტიკური მასალების.

სახალხო მოხმარების საქონლის შესაფუთავად ხის ტარა წარმოადგენს ჭერჭეორობით ტარის ძირითად სახეს. ხის ტარის დასაშლელად (ყუთების, კასრების, უჭრედების, ცხაურების) საქონლის თვისებების მიხედვით გამოიყენება წიწვიანი და ფოთლოვანი ჯიშის მერქანი.

ხის ყუთები ფორმითა და მოცულობით მრავალი სახისაა. ისინი შესაძლებელია იყოს ფიცრის, ფირფიცრის და ფიცარ-ფირფიცრის (კომბინირებული). ფიცრისაგან განსხვავებით ფირფიცრის ყუთები ბევრად მსუბუქია, უფრო მეტად ტევადია ერთნაირი გარეგანი ზომების დროს, უფრო ჰიგიენურია და ხელსაყრელია მსუბუქი წონის ტვირთების შესაფუთავად.

• ხის ყუთებს უშვებენ დაუშლელი, დასაშლელი, დასაკეცი, მჭიდრო ან გისოსისებურს მათში ჩასატვირთავი საქონლის თავისებურებათა გათვალისწინებით. დასაკეცი და დასაშლელი ყუთები მოხერხებულია დასაბრუნებლად განმეორებითი გამოყენებისა და რემონტისათვისაც, შეცვლიან რა ცალკეულ დაზიანებულ დეტალებს ან კვანძებს.

• რდიდგაბარტიანი და მძიმეწონიანი ტვირთების ტრანსპორტირებისა და შენახვისათვის იყენებენ შემოლარტყვას და უჯრედებს.

ხის კასრები ფართოდ გამოიყენება თხევადი, ნახევრად თხევადი და ფხვიერი საქონლის შესაფუთავად. მათ უშვებენ რვა ნომრად, 15-დან 250 ლიტრამდე ტევადობით და იყოფა ჩასასხმელად და მშრალტარიანად.

ქალაღისა და მუყაოს ტარა ყუთების, კასრების, კოლოფების, პაკეტების და ტომრების სახით მიეკუთვნება ტარის პროგრესულ სახეებს. მისი დამზადებისათვის იყენებენ მუყაოსა და ქალაღს — საფუძველს, რომელიც მიიღება მერქნის, ცელულოზის, მაკულატურის, ლულქაშის და ა. შ. გადამუშავების შედეგად. მუყაოსაგან სატრანსპორტო ტარის წარმოება, განსაკუთრებით გოფირებულის, ფართოდაა გავრცელებული მსოფლიოს პრაქტიკაში.

• მუყაოს ტარას აქვს მრავალი დადებითი თვისებები და თანდათანობით მიმოქცევაში ცვლის ხის ტარას. ის საკმაოდ მტკიცეა, მდგრადია შეკუმშვისადმი, ვიბრაციისადმი და დარტყმისადმი, მსუბუქია, რამოდენიმეჯერ იაფია ხის ტარასთან შედარებით, მისი წარმოების პროცესი აასიათდება მექანიზაციისა და ავტომატიზაციის მაღალი დონით.

ქსოვილების ტარას მიეკუთვნება ტომრები, კულები, რომლებიც დამზადებულია სელის, ნახევრადსელის, ბამბის, სელი-ჯუტ-კენაფის ქსოვილისაგან. ქსოვილების, შეკერილის, ტრიკოტაჟის, ხალიჩებისა და რიგი სხვა საქონლის შესაფუთავად გამოიყენება შესაფუთი ქსოვილი. • ლითონის ტარა გამოიყენება სპეციფიური თვისებების მქონე საქონლის გადასაზიდად და შესანახად — თხევადი, აქროლადი, ცეცხლ-აშიში და ა. შ. ეს შეიძლება იყოს კასრები, ბალონები, დოლები, ბიდონები, ქილები, რომლებიც მზადდება ფურცლოვანი ფოლადის, სპეციალური ჟესტისა და ალუმინისაგან. კვების პროდუქტებზე ტარის ბევრე ურთიერთგაველენისაგან დასაცავად მის შიგა ზედაპირს ფარავენ სპეციალური სანდალოზით ან ნეიტრალური ლითონით. •

მინის ტარა — ფორმითა და მოცულობით განსხვავებული ქილები, ბოთლები, ბალონები, ფლაკონები — ფართოდ გამოიყენება კვების, პარფიუმერია-კოსმეტიკის, ქიმიური და მრეწველობის სხვა დარგების პროდუქციის შესაფუთავად. ემას აქვს მრავალი დადებითი თვისებები, მაგრამ არამდგრადია მექანიკურ ზემოქმედებისადმი და გადაზიდვის და შენახვის დროს საჭიროებს მაგარ სატრანსპორტო ტარას და რბილ შესაფუთავ მასალებს.

წინთეზური მასალებისაგან დამზადებული ტარა მიეკუთვნება ტარის მეტად პერსპექტიულ სახეებს. ქიმიური მრეწველობის წარმატებითმა განვითარებამ ხელი შეუწყო მოხმარებითი და სატრანსპორტო ტარის დანერგვას ქილების, ბოთლების, კოლოფების, ფლაკონების, ტუბების პაკეტებისა და ყუთების სახით, რომლებიც დამზადებულია სხვადასხვა პოლიმერებისაგან (პოლიეთილენი, პოლისტიროლი, პოლიენილქლორიდი, პროპილენი, პენოპლასტი და სხვა). პოლიმერული მასალები საშუალებას იძლევა დამზადდეს სხვადასხვა ტარა სასურსათო და არასასურსათო საქონლის შეფუთვის მოთხოვნასთან, მათი გადაზიდვებისა და შენახვასთან შესაბამისად. ერთი და იმავე ამოსავალ მასალისაგან შემავსებელ, პლასტიკატორებისა და მღებავ ნივთიერებათა დამატებით შეიძლება მივიღოთ ტარა ვათვალისწინებული თვისებებით. წინთეთიკური მასალებისაგან დამზადებული ტარა გამოირჩევა სიმსუბუქით და მაღალი გამძლეობით, მათი მრავალი სახეები შეიძლება გამოიყენონ განმეორებით.

კომბინირებული ტარა მზადდება სხვადასხვა მასალების შეხამების გზით, რაც საშუალებას გვაძლევს მივიღოთ ხანგრძლივი, მტკიცე და მიმოქცევაში მოხერხებული ნაწარმი. ამ სახის ტარას მიეკუთვნება მცირეგაბარიტოანი და სპეციალური კონტეინერები, დასაკეცი კანისტრები და ცისტერნები, ხის ყუთები და კასრები პლასტმასის ჩანართებით და სხვა.

უკანასკნელ წლებში ფართოდ ინერგება ტარა-მოწყობილობა. ეს სხვადასხვა კონსტრუქციისა და ტევადობის კონტეინერებია, კასეტებია, რომლებშიც მიმწოდებლებთან საქონელი ჩაიტვირთება სახმარი შეფუთვაში და მიიტანება ავტომატურად მალაზიებში.

კონტეინერები მზადდება ლითონის წნელისა და მილებისაგან და დამონტაჟდება ბორბლებზე ან კავზე. ისინი გამოიყენება როგორც სავაქრო მოწყობილობაც.

ტარის სტანდარტიზაცია და უნიფიცირება. სტანდარტიზაცია წარმოადგენს წარმოების რეზერვების გამოყვანების, გამოყენებისა და სახალხო მეურნეობის ყველა დარგებში ეკონომიის მიღების და მთელი საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის ამაღლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროს.

არაჩვეულებრივად დიდია სტანდარტიზაციის მნიშვნელობა ქვეყნის

ტარის მეურნეობაში. საქონლის სხვადასხვა ფიზიკურ-ქიმიური თვისებები, ტარაში მოთავსებული საქონლის სიდიდე და ტრანსპორტირების პირობები განაპირობებენ გამოყენებული ტარის მრავალსახეობას. მხოლოდ მოქმედი სტანდარტების საფუძველზე იწარმოება 8 ათასზე მეტი ტიპოზომის ტარა. ტარას აწარმოებენ სხვადასხვა სამინისტროებისა და უწყებების 10 ათასზე მეტი საწარმო.

საბუნებისმეტყველო საფუძველზე საქონლის წარმოების, შეფუთვის, ტრანსპორტირების და გასაყიდად გამზადების პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვის პირობებში ტარას წარედგინება განსაკუთრებული მოთხოვნები. ამასთანავე, დიდი მნიშვნელობა აქვს საქონლის შენახვას, ტარის მრავალჯერ გამოყენების შესაძლებლობას და მის მცირე ღირებულებას. ამ მოთხოვნების შესრულებისათვის მოწოდებულია სტანდარტები.

თანამედროვე პირობებში ტარის უნიფიკაცია და კომპლექსური სტანდარტიზაცია შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ერთიანი მოდულის ბაზაზე ზომების სისტემის შექმნით: ტარის გადამტვირთველი მექანიზმების, სატრანსპორტო საშუალებებისა და შენახვის მოწყობილობისა. ამასთან დაკავშირებით სატრანსპორტო ტარის ოპტიმალური ზომები მიღებულია განისაზღვროს პოდონის ზომებისა და ფართობის გათვალისწინებით.

სატრანსპორტო ტარის უნიფიკაციის მოდულად (ბაზად) მიღებულია საერთაშორისო ბრტყელი პოდონი ზომით 800×1200 მ. მ. და 0,96 მ² ფართობით, რომელიც დამტკიცებულია სახელმწიფო სტანდარტით 9078-53. ამ პოდონის ბაზაზე დამუშავებულია ყუთის შინაგანი და გარეგანი უნიფიცირებული ზომების ბადე. ამის საფუძველზე შემოღებულია მოქმედებაში სახელმწიფო სტანდარტი 11320-65 „სახალხო მოხმარების საქონლის ყუთების და სამომხმარებლო ტარის ზომების სისტემა, რომელიც საშუალებას იძლევა არა მარტო მკვეთრად შემცირდეს ქვეყანაში ტარის ტიპოზომების რაოდენობა, არამედ ხელს უწყობს ტარის მასალის ფორმატის, ტარის მწარმოებელი და გასახსნელ-შემფუთავ მანქანების სამუშაო ორგანოების, სავაჭრო და სხვა მოწყობილობის უნიფიკაციას. ამის შედეგად იქმნება წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის პირობები, სატრანსპორტო საშუალებათა ტვირთამწეობის უფრო სრულად გამოყენებისა და მუყაოსა და ქაღალდის გარეშე ტარის გამოყენების გაფართოების შესაძლებლობა.

შემდგომში ტარის ტიპოზომების შეზღუდვა შესაძლებელი გახდება მასის მიხედვით შეფუთვიდან, რაც ამყარებს ფართოდაა გავრცელებული მოცულობის მიხედვით შეფუთვაზე გადასვლასთან დაკავშირებით. ამასთანავე შეფუთული საქონლის როდენობა განისაზღვრება ტარის წინასწარ ცნობილი ზომების მიხედვით, ხოლო მისი მასა შეიძლება არ იყოს დამრგვალებული. შეფუთვის ასეთი სახე საშუალებას იძლევა

უფრო ფართოდ გამოვიყენოთ სხვადასხვა საქონლისათვის ტარის გარკვეული ტიპობა ე. ი., ის გავაკეთოთ უფრო უნივერსალური. ეს მნიშვნელოვანია თვითმომსახურების პირობებში და საქონლს ავტომატების მეშვეობით გაყიდვის დროს.

ჩვენი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებანი აწარმოებენ ტარის სტანდარტიზაციისა და უნიფიკაციის დამუშავებას არა მხოლოდ ქვეყნის შინაგანი მოთხოვნილებებისათვის.

სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებს შორის საქონელგაცვლის მოცულობის გაზრდასთან დაკავშირებით კვებისა და მსუბუქი მრეწველობის ეულს-ს მუდმივმა კომისიამ განსაზღვრა სსრ კავშირი, როგორც ქვეყანა ტარის უნიფიკაციის ორგანიზატორი ყველა იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც მონაწილეობენ ეულს.

§ 3. ტარის ბრუნვის ორგანიზაცია

ტარის ბრუნვა — ერთობლიობაა ოპერაციებისა, რომლებიც დაკავშირებულია მიღებასთან, საქონლის გაყიდვის მიხედვით ტარის განთავსებულ მდგომარეობასთან, მის წესრიგში მოყვანასთან, სწორ შენახვასა და თავის დროზე დაბრუნებასთან, სავაჭრო საწარმოები აგროვებენ და აბრუნებენ დაახლოებით განმეორებით გამოყენებული ტარის 96%. ეს სავაჭრო საწარმოთა კოლექტივებს აკისრებს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას მისი დაცულობისათვის.

საწყობებსა და მაღაზიებში შემოსული საქონლის მიღებისას ერთდროულად მოწმდება ტარის ხარისხობრივი მდგომარეობა, მისი ნიშანდების სისწორე, სტანდარტებთან, ტექნიკურ პირობებთან და პრეისკურანტებთან შესაბამისობა. მატერიალურად პასუხისმგებელ პირთა მიერ ტარის შემოსავალში აღება და მისი აღრიცხვა წარმოებს საქონლისაგან განცალკევებით.

მიმწოდებლები ვალდებული არიან საქონლის ღირებულების ასანაზღაურებელ ანგარიშებში ცალკე სტრიქონით გამოყონ საქონლით დაკავებული ტარის რაოდენობა) და მისი საპრეისკურანტო ღირებულება.

მიღების დროს ტარის რაოდენობის, ხარისხის, ნიშანდების და ფასის გამოვლინებულ გადახრებზე მიმწოდებლის დოკუმენტებში მითითებულ მონაცემებთან, სდგება აქტი: საქონლის მიმღებნი ვალდებული არიან სხვადასხვა სახის ტარა და შესაფუთი მასალა დაუბრუნონ მიმწოდებლებს ან ტარის შემგროვებელ საწარმოებს, რომლებიც განმეორებით შეიძლება გამოიყენონ. სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების დებულებაში, ტარისადმი წაყენებული ძირითადი მოთხოვნების გარდა, განსაზღვრულია მისი მიმოქცევის საერთო წესი საქონლის მწარმოებლებსა, სავაჭრო და ტარის შემყვთებელ საწარმოებსა და

ორგანიზაციათა შორის. უფრო კონკრეტული სახით ცალკეული სახის ტარის ბრუნვის წესები გადმოცემულია საქონლის მიწოდების განსაკუთრებულ პირობებსა და სპეციალურ ინსტრუქციებში.)

სსრ კავშირის სახმომარაგების ინსტრუქცია ხისა და მუყაოს ტარის ჩაბარების, დაბრუნებისა და განმეორებით გამოყენების წესზე სავალდებულოა ყველა სახელმწიფო, კოოპრაციული და საზოგადოებრივი საწარმოთა, ორგანიზაციებისა და შშენებლობებისათვის მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა. ეს ინსტრუქცია აწესრიგებს ურთიერთდამოკიდებულებას ტარის ჩამბარებელთა, ტარის შემკეთებელ საწარმოთა, ორგანიზაციათა და ტარის მომხმარებელთა შორის ხისა და მუყაოს სატრანსპორტო ტარის ჩაბარების დაბრუნებისა და განმეორებით გამოყენების საკითხებს (გარდა მრავალბრუნავი და მისი ზოგიერთი სხვა სახეებისა).

ამ ინსტრუქციაში გათვალისწინებულია ტარის ჩამბარებელთა მიერ განთავისუფლებული ტარის გამოყენება (გამოყოფილი ფონდების ფარგლებში) პირველ რიგში მათ მიერ გამოშვებული პროდუქციის შესაფუთად, დანარჩენი წილისა და მუყაოს ტარა უნდა დაუბრუნდეს უშუალოდ მიმწოდებელ პროდუქციის დამამზადებელ საწარმოებს, გადაეცეს განრიგით სხვა მომხმარებლებს ან გაეგზავნოს მახლობელ ტარის შემკეთებელ საწარმოს, რომელიც ტარის ჩამბარებლისაგან მდებარეობს 70 კმ რადიუსში, ხოლო კასრების ტარაზე — 80 კმ-მდე. გამოთვლილია, რომ მაგალითად, ხის ტარის განმეორებით გამოყენებისათვის ჩატარებულ რემონტზე იხარჯება საშუალოდ 6-ჯერ ნაკლები მასალა, ვიდრე ახლის დამზადებაზე.)

საქმის უნარიანი გაძლოლისას სავაჭრო ორგანიზაციებისათვის ტარის ოპერაციები მომგებიანია. სტანდარტული ხის ყუთები, მაგალითად, საქონლის მიმღების მიერ ანაზღაურდება, როგორც წესი, მათი ღირებულების მხოლოდ 40% ოდენობით (11 სარტყლის ფასებით). ჩამბარებული ტარის ფასები მთლიანად დამოკიდებულია მათ ხარისხზე, ასე, ხის ყუთები დაუზიანებელი დეტალებით ჩამბარებელს აუნაზღაურდება 1,3-1,5-ჯერ მეტად იმ ღირებულებისა, რომლითაც ისინი აღებული იყვნენ შემოსავალში საქონელთან ერთად. ყუთები კი, რომლებიც გამოუყენებელნი არიან შემდგომ ექსპლოატაციისათვის, ანაზღაურდება როგორც მერქანი 16 მანეთი ერთ კუბურ მეტრში, ე. ი. ჩამბარებისათვის დიდი ზარალით.)

(მუყაოს ტარა საქონლის მიმღების მიერ ანაზღაურდება მისი საპრენსკურანტო ფასის მხოლოდ 20% ოდენობით. მუყაოს ყუთების დაბრუნებისას, რომლებიც ვარგისნი არიან შეკეთების გარეშე განმეორებით გამოყენებისათვის, ტარის ჩამბარებელი ღებულობს მათ ღირებულებაზე 2,2-2,5-ჯერ მეტს, ხოლო ვარგის ყუთების, რომლებიც მოითხოვენ შეკეთებას — 1,3-1,5-ჯერ იმაზე მეტს, რაც იყო გადახდილი სა-

ქონლის მიმწოდებლებზე. კვების მრეწველობის საწარმოები მოსახლეობაში ტარის შეგროვებისათვის ვაჭრობას უხდიან მათი ღირებულების 3,5%-მდე.

ტარის შემკეთებელ საწარმოებად ითვლება ხე-ტყით მოვაჭრე ტარის ბაზები და საწყობები, აგრეთვე, შემკეთებელ-შემკრები საწარმოები. სსრ კავშირის სახმომარაგების სისტემაში 1975 წ. ითვლებოდა 1750-მდე სამეურნეო ანგარიშზე მყოფი ტარის საწარმოები და ორგანიზაციები.

სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებს, „სოიუზგლავტარას“ დაწესებულებებთან შეთანხმებით, აგრეთვე, აქეთ უფლება შექმნან ტარის ბაზები და საწყობები, რომლებიც შეკრებენ და გაარემონტებენ თავისი სისტემის საწარმოთა ტარას.

უკიდურესი ჩრდილოეთისა და დაშორებულ ადგილებში არსებული სავაჭრო ორგანიზაციები, როგორც წესი, თავისუფლდებიან ხისა და მუყაოს ტარის სავალდებულო დაბრუნებისაგან.

ხისა და მუყაოს ტარა უბრუნდება მიმწოდებლებს ან ბარდება ტარის სარემონტო საწარმოებს მათი განთავსულებისა და დაგროვებისა მანქანაზე, კონტეინერებში, ვაგონში, ბარჯაზე ჩატვირთვის ნორმამდე, მაგრამ არაუგვიანეს 30 დღისა საქონლის მიღების დღიდან, სსრ კავშირის სახმომარაგების (ტარის სარემონტო საწარმოებში ხისა და მუყაოს ტარის დაბრუნება ხორციელდება ტარის ჩამბარებელთა ძალე-ბითა და საშუალებებით და მათ ანგარიშზე.)

ხარისხის გარკვევის დროს ხის, მუყაოს და ქსოვილის ტარას ყოფენ: ახალ და ნახმარ ტარად.

წის ფირფიცრის ყუთები იყოფა ოთხ კატეგორიად, მუყაოსი — ორ, ხოლო ხის კასრები — სამ კატეგორიად. მუყაოს ყუთები, რომლებიც თავისი ხარისხით არ შეიძლება მიეკუთვნოს პირველ ან მეორე კატეგორიას, აგრეთვე ყუთები, რომლებიც დამზადებულია სტანდარტის დარღვევით და იმპორტული, რომლებიც არ გასაღდება როგორც ტარა, ჩაბარდება ტარის სარემონტო საწარმოებს, როგორც მაკულატურა.

სტანდარტების მიხედვით ხისა და მუყაოს ტარაზე უნდა აღინიშნოს ტარის დამახასიათებელი ნიშანდება. ასეთი ნიშანდების არქონის შემთხვევაში ტარა მიიღება მიმწოდებლებისაგან და ტარის ჩამბარებლებისაგან, როგორც ტარა მასალა.

ტარის ბრუნვის მოქმედი წესის დარღვევისათვის დადგენილია ქონებრივი პასუხისმგებლობა. ხის და მუყაოს ტარის, ტარის სარემონტო საწარმოებზე ჩაუბარებლობისათვის ან უშუალოდ მიმწოდებლებისადმი დაუბრუნებლობისათვის, როდესაც ასეთი დაბრუნება შეთანხმებული იყო, ტარის სარემონტო საწარმოები ან მიმწოდებლები სავაჭრო ორგანიზაციებს ახდენენ ჩარიმას ამ ტარის ღირებულების ორმაგი

რაოდენობით, გამომდინარე მოქმედი პრეისკურანტით ახალ ტარაზე დადგენილი ფასებიდან. სავაჭრო ორგანიზაციებსაც უფლება აქვთ გადაახდევინონ ჭარიმა ამავე ოდენობის ჭარიმა ტარის სარემონტო საწარმოებს ან მიმწოდებლებს იმ შემთხვევაში, თუ ისინი უარს განაცხადებენ ხისა და მუყაოს ტარის მიღებაზე. ჭარიმების გადახდა არ ათავისუფლებს სავაჭრო ორგანიზაციებს ტარის დაბრუნებისაგან, ხოლო ტარის სარემონტო საწარმოებს მათი მიღებისაგან. 3

ქსოვილის ტარა (ტომრები, ქსოვილი) უბრუნდება საქონლისაგან განთავისუფლების შემდეგ მიმწოდებლებს და ტარის შემგროვებელ საწარმოებს.

ქსოვილის ტომრები პურპროდუქტებისათვის მათი ხარისხობრივი მდგომარეობის მიხედვით იყოფა ხუთ კატეგორიად. ისინი უნდა დაუბრუნდეს პურპროდუქტების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოების საწარმოებს. შაქრის ტომრები იყოფა ოთხ კატეგორიად და უნდა დაუბრუნდეს საბაკალეო საქონლით მოვაჭრე საბითუმო ბაზების საწყობებს ან მათი მითითებით შაქრის ქარხნებს. 3

მინის ტარის — ბოთლების, ქილების, სხვადასხვა ტევადობის ბალონების ბრუნვის წესი წესრიგდება ცალკეული სახის საქონლის მიწოდების განსაკუთრებული პირობებით. სავაჭრო საწარმოები მოსახლეობისაგან იღებენ პრაქტიკულად კვების პროდუქტების ყველა სახის მინის ტარას, რომლებზედაც დადგენილია საგირაო ფასები. მაღაზიების ან სპეციალური საწყობების მიერ მოსახლეობისაგან ტარის მიღების წესები დადგენილია ქსრკ რეპრობის სამინისტროს მიერ კსრკ რეპრობის შრეწველობის სამინისტროსა და ცენტროსოიუზთან ერთად. ამ წესების შესაბამისად არ შეიძლება შეიზღუდოს მაღაზიების მიერ მოსახლეობისაგან მინის ტარის მიღება, ხოლო სამრეწველო საწარმოების მიერ სავაჭრო ორგანიზაციებისა და საწარმოებისაგან. მიმწოდებლებისადმი მინის ტარის დაბრუნებასთან ერთდროულად ბრუნდება ყუთებიც, რომლებშიდაც მოვიდა ის მყიდველთან საქონელთან ერთად. მინის ტარის დაბრუნების ვადებისა და ნორმების, აგრეთვე, მიღების შეუსრულებლობისათვის დადგენილია მნიშვნელოვანი ქონებრივი პასუხისმგებლობა. 3

ქლითონის ტარა საქონლისაგან განთავისუფლების შემდეგ, აუცილებლად უბრუნდება მიმწოდებლებს.

ტარის ბრუნვის მომწესრიგებელ ინსტრუქციებსა და სხვა დოკუმენტებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ტარისადმი ფრთხილი შოპყრობის აუცილებლობას მისი მოძრაობის მთელ გზაზე. ეს კეთდება იმისათვის, რომ უფრო აქტიურად მოვიზიდოთ სახალხო-მეურნეობრივ ბრუნვაში რეზერვები, აგრეთვე, მიმწოდებლებისა და საქონლის მიმღებთა პასუხისმგებლობის გადიდებისათვის ტარის დაცვისა და მისი ბრუნვის რიცხვის გადიდებისათვის.

შხედველობაში უნდა გვქონდეს, ის, რომ ხის, მუყაოს და რიგი სხვა სახის ტარის ოპერაციები, როგორც წესი, მომგებიანია სავაჭრო ორგანიზაციებისათვის.

მიმწოდებლებისადმი და ტარის სარემონტო საწარმოებისათვის ტარის დროული დაბრუნება წახალისდება მატერიალურად. სავაჭრო ორგანიზაციებსა და საწარმოებში იქმნება პრემიალური ფონდები. პრემიას იღებენ ის მუშაკები, რომლებიც უშუალოდ დასაქმებულნი არიან ტარის შეგროვებაზე, მის ჩაბარებაზე, განმეორებით შეკეთებაზე და დაბრუნებაზე.

ვაჭრობაში სხვადასხვა დანიშნულების მრავალმხრუნავი საინვენტარო ტარის გამოყენების ეფექტიანობა მაღალია. ტარა-მოწყობილობის ფართოდ დანერგვა იძლევა შრომატევადი პროცესების კომპლექსური მექანიზაციის საშუალებას და ერთიან ტექნოლოგიურ ჯაჭვში აკავშირებს მიმწოდებელს, ტრანსპორტსა და ვაჭრობას. ვაჭრობაში ტარა-მოწყობილობის გამოყენების გამოცდილება საშუალებას იძლევა გავაკეთოთ დასკვნა შრომის, მასალებისა და ფულადი საშუალებების დიდო ეკონომიის, ვაჭრობის კულტურის ამაღლებისა და საცალო სავაჭრო ქსელში საქონლის მოძრაობის დაჩქარების შესახებ.

საქონლის გადაზიდვებისა და სატრანსპორტო საემსახურებო მომსახურების ორგანიზაცია

მზა საქონლის ნახევარფაბრიკატებისა და ნედლეულის ტრანსპორტირება საქონელმომოქცევის პროცესის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს. ტრანსპორტის გამოყენება საშუალებას იძლევა არა მარტო მიიტანოს მოხმარებისათვის გათვალისწინებული მზა პროდუქცია, არამედ მნიშვნელოვნად შეამციროს მიმოქცევის პროცესში საქონლის ყოფნის დრო მათი მიტანის დაჩქარების გზით. გადაადგილების პროცესში ჩვენს ქვეყანაში მუდმივად იმყოფება 35—40 მლნ. ტონა 10 მლრდ მანეთის ღირებულების სხვადასხვა მატერიალური ფასეულობანი. მხოლოდ ერთ დღელამით დაჩქარება ტვირთების მიტანისა საშუალებას მოგვცემს შევამციროთ სახალხო მეურნეობის საბრუნავი საშუალებანი გზაში დაახლოებით 1,7 მლრდ მანეთით.

ქვეყნის რაიონებს შორის ეკონომიკური კავშირების გაფართოების პირობებში იზრდება დანახარჯები ტვირთების გადაზიდვაზე. ქვეყნის სატრანსპორტო დანახარჯები შეადგენენ საშუალოდ სახალხო მეურნეობის მთელი პროდუქციის 12-13% და უკვე აღემატება 50 მლრდ მანეთს. ცალკეულ დარგებში სატრანსპორტო ხარჯები შეადგენენ წარმოებაზე გაწეული ყველა ხარჯის ნახევარს.

საქონლის გადაზიდვის ხარჯებს ვაჭრობაში უკავია მეორე ადგილი ხელფასის შემდეგ. ამიტომ ამ ხარჯების შემცირებას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება, მით უმეტეს, რომ რეზერვები არა სრულადაა გამოყენებული. მაგალითად, ყოველწლიურად 50 კილომეტრამდე მანძილზე რკინიგზით გადაზიდება თითქმის 200 მლნ ტ ტვირთი. აღნიშნული ტვირთების გადაზიდვა ავტოტრანსპორტით 100 მლნ. მანეთის ეკონომიას მოგვცემს, ამასთანავე, მრავალჯერ შემცირდება მიტანის ვადები, სახალხო მოხმარების საქონლის გადასაზიდად გამოიყენება ტრანსპორტის ყველა სახეები. ყოველ მათგანს აქვს თავისი სპეციფიკა და შესაბამისად გამოყენების განსაზღვრული სფერო.

ტვირთების გადაზიდვის ძირითადი მოცულობა, მათ შორის სახალხო მოხმარების საქონლისაც, მოდის რკინიგზის ტრანსპორტზე, რომე-

ლიც იყო და პერსპექტივაშიც დარჩება ქვეყნის ერთიანი სატრანსპორტო სისტემის საფუძვლად.

საქონლის გადაზიდვაში მნიშვნელოვანი როლი მიეკუთვნება წყლის ტრანსპორტს. ქვეყნის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთის მრავალ რაიონებისათვის საზღვაო ფლოტი წარმოადგენს ტრანსპორტის ერთადერთ სახეს.

სამდინარო ტრანსპორტიც აგრეთვე გამოიყენება ქვეყნის ჩრდილოეთ და შორეულ რაიონების მომარაგებისათვის. სამდინარო ტრანსპორტის გამოყენების სფერო ფართოვდება მისი ტექნიკური ხელახლა აღჭურვის, ნავიგაციის ვადების გახანგრძლივებისა და სამდინარო გზების გაუმჯობესების მიხედვით. ლენაზე, ობზე, ენისეიზე შენდება მსხვილი, მექანიზებული ნავსადგურები, იზრდება ფლოტი და წარმოებს მისი შევსება მსხვილტონაჟიანი გემებით, მათ შორის „მდინარე-ზღვა“ ტიპის გემებით.

ქვეყნის საერთო ტვირთბრუნვაში საპაერო ტრანსპორტის წილი შედარებით მცირეა — დაახლოებით 0,06%. საპაერო ტრანსპორტს სავაჭრო ორგანიზაციები იყენებენ ყველაზე უფრო ძვირფას, ძვირადღირებულ და სასწრაფო ტვირთების გადასაზიდლად, აგრეთვე ძნელადმისაწვდომ რაიონების საქონლით მომარაგებისათვის.

გადაზიდული ტვირთების მოცულობაში პირველი ადგილი უკავია ავტოტრანსპორტს, თუმცა მისი წილი საერთო ტვირთბრუნვაში შედარებით მცირეა, ვინაიდან სკარბობს მოკლე მანძილზე გადაზიდვები.

თავისი მაღალი მანევრირების გამო ის შეუცვლელია, როგორც ტრანსპორტის მაგისტრალურ სახეებს შორის დამაკავშირებელი რგოლი. ავტოტრანსპორტის მეშვეობით ტვირთები მიიტანება ტვირთის გამგზავნიდან ტვირთის მიმღებამდე.

ავტოტრანსპორტით ტვირთების გადაზიდვების საშუალო მანძილი ჰატარაა — დაახლოებით 16 კმ, მაგრამ უკანასკნელ წლებში სწრაფად ვითარდება ტვირთების საქალაქთაშორისო და საერთაშორისო გადაზიდვები.

§ 1. საქონლის გადაზიდვების დაგეგმვა

სატრანსპორტო ორგანიზაციები ყველა ტვირთების გადაზიდვას ახრულებენ გეგმების საფუძველზე. სატრანსპორტო ორგანიზაციები ამუშავებენ პერსპექტიულ, ხუთ და მეტ წელზე გაანგარიშებულ, აგრეთვე წლიურ და ოპერატიულ გეგმებს.

პერსპექტიულ გეგმებში, რომლებიც მუშავდება ერთიანი სატრანსპორტო სისტემაზე მთლიანად ან ტრანსპორტის ცალკეული სახეების მიხედვით, ითვალისწინებენ სახალხო მეურნეობის საჭიროებას ტვირთების გადაზიდვაზე და ადგენენ დავალებებს მათ გაგზავნაზე ტონებში

და ტვირთბრუნვაზე ტრანსპორტებში განაწილებით წლების, ხოლო წლის შიგნით — კვარტალების მიხედვით. ოპერატიულ გეგმებში გადაზიდვების მოცულობა ნაწილდება თვეების მიხედვით.

ყველა სახის ტრანსპორტზე მიმდინარე გადაზიდვების დაგეგმვის სახელმძღვანელოს წარმოდგენს „ტვირთების გადაზიდვების წლიური და კვარტალური დაგეგმვის ძირითადი დებულებანი“ (1970 წ.).

სატრანსპორტო დანახარჯების შემცირებისა და არარაციონალური გადაზიდვების აცილების მიზნით ტვირთების გადაზიდვების დაგეგმვა გათვალისწინებულია ჩატარდეს ტვირთნაკადების ნორმალური მიმართულებათა სქემების შესაბამისად.

ძირითად დებულებებში განსაზღვრულია წლიური და კვარტალური გეგმების, თვეების მიხედვით დანაწილებით, შედგენის წესი, ტრანსპორტის სახეების მიხედვით მუშაობის თავისებურებათა და შერეული მიმოსვლით ტვირთების გადაზიდვების დაგეგმვის წესის გათვალისწინებით. ტვირთის გამგზავნის განაცხადების სისტემა ტვირთის გადაზიდვებზე და გეგმების დამტკიცების ვადები და წესი მიზნად ისახავს უფრო ზუსტად განისაზღვროს ტვირთების გამგზავნის მოცულობა ტრანსპორტის ყველა სახეების მიხედვით.

საეკონომიკური ორგანიზაციები და საწარმოები ტვირთების გადაზიდვისათვის იყენებენ ტრანსპორტის თითქმის ყველა სახეს. საეკონომიკური ორგანიზაციებისა და საწარმოების შესასრულებელი ფუნქციების, მდებარეობის რაიონისა და გზათა მიმოსვლის განვითარების მიხედვით, მათი კავშირი და ურთიერთობა სატრანსპორტო ორგანიზაციებთან ერთგვარი არაა. ასე, საბითუმო საეკონომიკური და გადამტვირთველ ბაზებს შეუძლიათ მიიღონ ტვირთის გამომგზავნისაგან და თავის მხრივ გაუგზავნონ მიმღებთ საქონლის დიდი პარტიები სხვა და სხვა სახის ტრანსპორტით. საცალო საეკონომიკური ორგანიზაციები ძირითადად ყურადღებას უთმობენ მალაზიების საქონლით მომარაგებას, რისთვისაც იყენებენ უმთავრესად საავტომობილო ტრანსპორტს. თავის მხრივ ტრანსპორტის ყოველ სახეს გადაზიდვების ორგანიზაციასა და დაგეგმვაში აქვს თავისებურებანი.

რკინიგზის ტრანსპორტზე გადაზიდვების წლიური გეგმა მუშავდება ტვირთების გარკვეული ნომენკლატურის მიხედვით, რომელიც შეიძლება შეიცვალოს ცალკეული გზების მუშაობის პირობების მიხედვით.

გადაზიდვების წლიური გეგმების საფუძველს წარმოადგენს ტვირთგამგზავნათა განაცხადები აუცილებელი გაანგარიშებებითა და დასაბუთებით. საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროებისადმი დაქვემდებარებული საწარმოები და ორგანიზაციები თავიანთი საწარმოო ან საეკონომიკური საფინანსო გეგმების საფუძველზე 20 მაისამდე ადგენენ განაცხადებს ტვირთების გადაზიდვაზე მომავალი წლისათვის და

წარუდგენენ მათ თავიანთ ზემდგომ ორგანიზაციას, ასლებს რკინიგზის სამმართველოს ადგილმდებარეობის მიხედვით.

ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოები და ორგანიზაციებში იმავე ვადებში წარუდგენენ განაცხადებს გადაზიდვებზე მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო საგემო კომისიას და რკინიგზის სამმართველოს.

გადაზიდვების კვარტალური გეგმები თვეების მიხედვით განაწილებით დგება ტვირთის გამგზავნა მოთხოვნების უფრო ზუსტი აღრიცხვისათვის. ზოგიერთი ტვირთის გადაზიდვებს, მათ შორის შაქრის, ცხოვ-ველური ცხიმის, მარცვლეულის, ფქვილის, კომბინირებული საკვების, ქაღალდის, აგრეთვე წლის ტრანსპორტიდან ტვირთების გადატვირთვის გზათა სამინისტრო გეგმავს ცენტრალიზებულად. კვარტალის დაწყებამდე 50 დღით ადრე ტვირთების გამგზავნის წარუდგენენ თავიანთ სამინისტროებს განაცხადებს ცენტრალიზებული დაგეგმვის ტვირთზე ტონებში და ვაგონებში გამგზავნი გზების აღნიშვნით. გზათა მიმოსვლის სამინისტროსთან შეთანხმების შემდეგ და ცენტრალიზებული გადაზიდვების გეგმების დამტკიცების შემდეგ ისინი დაიყვანება ტვირთების გამგზავნებზე და რკინიგზის სამმართველოებზე 20 დღით ადრე საგემო პერიოდის დაწყებამდე.

იმ ტვირთზე, რომელთა გადაზიდვა იგეგმება ადგილებზე, ხოლო ასეთებს მიეკუთვნება სახალხო მოხმარების საქონლის უმეტესობა, ტვირთის გამგზავნის დადგენილ ვადებში გადაზიდვების გეგმების პროექტებს წარუდგენენ რკინიგზების სამმართველოებს.

გარდა ამისა, 14 დღით ადრე საგემო თვის დაწყებამდე ტვირთის გამგზავნის ვალდებულნი არიან წარუდგინონ რკინიგზების სამმართველოებს გადაზიდვების დეტალური თვიური გეგმები. მათში აღინიშნება ტვირთის გამგზავნის უწყებრივი კუთვნილება, მისი დასახელება და მისამართი, ბანკის რეკვიზიტები, გზის განყოფილება და გამგზავნი სადგური, ტვირთის ზუსტი დასახელება და მისი ნომენკლატურული ჯგუფი, დანიშნულების გზა და სადგური, ტვირთის მასა ტონებში, ვაგონების რაოდენობა და სახეობა. ტვირთის გამგზავნის თავისუფლდებიან კვარტალური განაცხადების წარდგენისაგან, თუ ადგილზე დასაგეგმავი გასაგზავნი ტვირთების მოცულობა თვეში არ აღემატება 30 ვაგონს ერთი რკინიგზით. დასაგეგმავი თვის დაწყებამდე 20 დღით ადრე ისინი ვალდებულნი არიან წარადგინონ რკინიგზის სამმართველოში გადაზიდვების გაშლილი გეგმები. სოფლის მეურნეობის პროდუქტები, მათ შორის კარტოფილი, ბოსტნეული და ხილი შეიძლება გაიგზავნოს გადაზიდვების დადგენილი გეგმების ზევით გამგზავნა განაცხადების მიხედვით, რომელთა წარდგენა რკინიგზისადმი დატვირთვის დაწყებამდე ხუთი დღით ადრე ხდება.

თვიური გეგმის შესრულებისადმი კონტროლისა და მისი შესაძლე-

ბელი ცვლილებების აღრიცხვის მიზნით დადგენილია წესი, რომლის მიხედვით ტვირთის გამგზავნი 3 დღით ადრე დეკადის დაწყებამდე ვალდებულია წარუდგინოს სადგურს განაცხადი დეკადის დღეების მიხედვით დატვირთვის მოცულობის ჩვენებით. ასეთი განაცხადის წარუდგენლობა უდრის უარს გამოყოფილი ვაგონების გამოყენებაზე, გადაზიდვების გეგმის შეუსრულებლობას და დადგენილი წესის შესაბამისად იწვევს მატერიალურ პასუხისმგებლობას.

თვიურ გეგმებში გათვალისწინებული გადაზიდვების მოცულობასა და მიმართულებებში ცვლილებების შეტანა დასაშვებია ტვირთის გამგზავნთა განაცხადების მიხედვით რკინიგზის სამმართველოებისა ან განყოფილებების ნებართვით.

ტვირთის გადაზიდვები საზღვაო და სამდინარო ტრანსპორტზე განსხვავდება რკინიგზის ტრანსპორტისაგან საშუალო სიშორით, ტვირთბრუნვის სტრუქტურითა და მოცულობით და სხვა მაჩვენებლებით. ტვირთის გადაზიდვების გეგმების დამუშავების წესი და თანმიმდევრობა წყლისა და რკინიგზის ტრანსპორტზე ერთი და იგივეა. ტვირთის გადაზიდვების დაგეგმვაში ზოგიერთი განსხვავება გამომდინარეობს საზღვაო და სამდინარო ტრანსპორტის თავისებურებისაგან.

ტვირთის გადაზიდვებს საზღვაო ტრანსპორტზე გეგმავენ სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტრო და მისი ნაოსნობა ფლოტის სახეობის მიხედვით (სატრანსპორტო და სანავსადგურო); ნაოსნობის სახეების მიხედვით — მცირე კაბოტაჟი (სსრ კავშირის ნავსადგურებს შორის ერთი ზღვის ფარგლებში), დიდი კაბოტაჟი (სსრ კავშირის ნავსადგურებს შორის რამდენიმე ზღვაზე) და საზღვარგარეთის ნაოსნობა.

სამდინარო ტრანსპორტზე ტვირთის გადაზიდვების დაგეგმვას ახორციელებენ რსფსრ სამდინარო ფლოტის სამინისტრო და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან არსებული სამდინარო ტრანსპორტის მთავარი სამმართველოები და სამმართველოები, სამდინარო ტრანსპორტით გადაზიდვების წლიური გეგმა დგება სამინისტროებისა და უწყებების, საგეგმო ორგანოების განაცხადების საფუძველზე მხარეებსა, ოლქებსა და მოკავშირე რესპუბლიკებში და ა. შ.

განაცხადებში საზღვაო ტრანსპორტით ტვირთების გადაზიდვაზე, გარდა ზოგადი ცნობებისა ტვირთმფლობელზე, უნდა აღინიშნოს დაწვრილებითი მონაცემები გადასაზიდი ტვირთის მოცულობაზე ტონებში, მიმოსვლის სახე, აგრეთვე ხასიათდება ტვირთის სახე, შეფუთვის სახე, გამგზავნი, მიმღები და ვადამტვირთველი ნავსადგურები.

სამდინარო გადაზიდვების კვარტალური დაგეგმვის, თვეების მიხედვით განაწილებით, ახორციელებენ ცენტრალიზებული წესით სამდინარო ტრანსპორტის და ნაოსნობის მართვის რესპუბლიკური ორგანოები. ეს გეგმები უნდა ითვალისწინებდეს ტვირთის გამგზავნთა და მიმღებთა მოთხოვნებს და ნაოსნობის პირობებს. გადაზიდვების გეგმე-

ზში ყველა ცვლილება შეაქვთ იმ წესით, რომელიც დადგენილია სამდინარო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვების დაგეგმვის წესებით.

საპაერო ტრანსპორტით ტვირთების გადაზიდვების დაგეგმვა ხორციელდება ამ სახის გადაზიდვების სპეციფიკის გათვალისწინებით. ამ სახის ტრანსპორტით გადაზიდვებს ზღუდავს მალალი ტარიფები. ამის გამო ტვირთის გადაზიდვების წლიური და კვარტალური გეგმები აქდება საფოსტო გზავნილებათა მიხედვით სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს განაცხადებისა და ტვირთების მიმღებთა განაცხადებით, რომლებიც ანაზღაურებენ გადაზიდვებს.

წლიურ განაცხადებში, კვარტალების მიხედვით დანაწილებით, ტვირთის გამგზავნი მიუთითებს ტვირთის ნომენკლატურას, შეფუთვის სახეს, მასას ტონებში, გამგზავნ და მიმღებ აეროპორტებს, მიტანის წესს—სარეისო თვითმფრინავით თუ შეკვეთილი რეისით. ამ შემთხვევაში მხარეთა ურთიერთობა ფორმდება გადაზიდვის ხელშეკრულებით. ტვირთის მნიშვნელოვანი ნაწილი გადაიზიდება გამგზავნთა ერთჯერადი განაცხადების მიხედვით.

ტვირთის საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდვების წლიური და კვარტალური დაგეგმვა ხორციელდება ერთიანი ნომენკლატურით, რომელიც მოიცავს 21 დასახელების ტვირთს, მათ შორისაა რძე და კარაქი, ლიქიორისა და არყის ნაწარმი, სხვა სასურსათო საქონელი, სახალხო მოხმარების არასასურსათო საქონელი და კონტეინერებში მოთავსებული ტვირთები.

წესებით დადგენილია, რომ ტვირთის გამგზავნნი 20 მისამდე გზავნიან სატრანსპორტო საწარმოებში (რომელიც მათ ზონას ემსახურება) განაცხადებს (ორ ეგზემპლარად) საერთო სარგებლობის ავტოტრანსპორტით გადაზიდვებზე. განაცხადის ასლი გადაეცემა თავის ზემდგომ ორგანიზაციას. ტვირთის დადგენილი ნომენკლატურის ფარგლებში განაცხადში აღინიშნება: წლიური გადაზიდვების საერთო მოცულობა ტონებში კვარტალების მიხედვით დანაწილებით, გადაზიდვის საშუალო მანძილი, დატვირთვის და განტვირთვის პუნქტები (საქალაქთაშორისო გადაზიდვების დროს), საჭირო მოძრავი შემადგენლობა. გადაზიდვების საერთო მოცულობიდან გამოიყოფა: ცენტრალიზებული, რკინიგზებიდან გადმოტვირთული ტვირთები, ტვირთების გადაზიდვა რკინიგზის სადგურზე, საქალაქთაშორისო.

რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო ტვირთ-გამგზავნ სამინისტროებთან გადაზიდვების მოცულობის შეთანხმების შემდეგ წარადგენს გეგმის პროექტს საგეგმო კომისიაში 1 ივლისამდე, რათა ის დაამტკიცოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ. ავტოსატრანსპორტო საწარმოს გადაზიდვების გეგმა დაყავს ტვირთგაგზავნამდე მრავლგვიანეს 15 დღისა საგეგმო პერიოდის დაწყებამდე.

საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთების

ყველა გადაზიდვის კვარტალური, თვეების მიხედვით განაწილებით, დაგეგმვა ხორციელდება ადგილებზე სატრანსპორტო საწარმოების მიერ ტვირთგამგზავნათა განაცხადების საფუძველზე, რომლებსაც წარადგენენ 45 დღით ადრე საგეგმო პერიოდის დაწყებამდე. გარდა ამისა, გადაზიდვების კვარტალური გეგმის ფარგლებში, ავტოსატრანსპორტო საწარმო 10 დღით ადრე კვარტლის დაწყებამდე ამტკიცებს თვიურ გეგმებს და განსაზღვრავს ტვირთების გადაზიდვის დეკადურ დავალებებს კვარტლის პირველ თვეზე. დეკადური გეგმური დავალებები კვარტლის შემდგომ თვეებზე დგინდება აგრეთვე 10 დღით ადრე მათ დაწყებამდე.

ტვირთგამგზავნი, რომლის გადაზიდვის მოცულობა თვეში 25 ტონამდეა ერთი ავტოსაწარმოს მიხედვით, თავისუფლდება ტვირთის გადაზიდვის კვარტალური განაცხადების წარდგენისაგან და ყოველთვიურად საგეგმო პერიოდის დაწყებამდე 20 დღით ადრე წარადგენენ გადაზიდვების გაშლილ გეგმას. წესებით გათვალისწინებულია, აგრეთვე, საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვების გეგმების დაზუსტებისა და შეცვლის წესრიგი.

§ 2. რკინიგზის ტრანსპორტით საქონლის გადაზიდვის ორგანიზაცია

რკინიგზის ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვის ორგანიზაციის პროცესში ტვირთის გამგზავნათა და მიმღებთა, აგრეთვე, სატრანსპორტო ორგანიზაციათა შორის იქმნება რთული სამეურნეო და სამართლებრივი ურთიერთობანი. ეს ურთიერთობანი წესრიგდება რკინიგზების წესდებით, გზათა სამინისტროს სხვადასხვა წესებითა და ინსტრუქციებით.

ტვირთების გადაზიდვები მათი მოცულობის მიხედვით შეიძლება განხორციელდეს წვრილი, მცირე ტონაჟიანი, ვაგონებით, სატვირთო და სამარშრუტო გაგზავნით, რომლებიც ფორმდება ერთი თანხლები დოკუმენტით.

წვრილ გაგზავნად ითვლება ტვირთის პარტია მასით 20 კგ-დან 10 ტონამდე, რომლის გადასაზიდად საჭიროა მოცულობით ოთხღერძიანი დახურული ვაგონის არაუმეტეს ერთი მესამედი ან ოთხღერძიანი ლია ბაქნის ფართობის ერთი მესამედი. მცირეტონაჟიან გაგზავნად ითვლება ტვირთის მასა 10-დან 20 ტონამდე, რომელიც დაიკავებს ოთხღერძიანი ვაგონის მოცულობის არაუმეტეს ნახევრისა. ვაგონებით გაგზავნად ითვლება საქონლის პარტია, რომლის გადასაზიდად საჭიროა ცალკე ვაგონი. სატვირთო გაგზავნად ითვლება ერთი სატრანსპორტო დოკუმენტით წარდგენილი ტვირთი, რომლის გადასაზიდად საჭიროა ერთ ვაგონზე მეტი. სამარშრუტო გაგზავნაც ფორმდება ერთი ზედნადებით, მაგრამ

მასის მიხედვით შეესაბამება ნორმას, რომელიც დადგენილია მთელი რკინიგზის შემადგენლობის ფორმირებისათვის.

რკინიგზით გადაზიდვა მიმოსვლის სახეების მიხედვით რამდენიმეჯგუფისაა; ესენია: ადგილობრივი, პირდაპირი, შერეული და საერთაშორისო. ადგილობრივი მიმოსვლის გადაზიდვას ახორციელებს ერთი, ხოლო პირდაპირი მიმოსვლის დროს — რამდენიმე რკინიგზა. გადაზიდვებს, რომელშიაც მონაწილეობენ რკინიგზები და ტრანსპორტის სხვა სახეები და რომლებიც ხორციელდებიან ერთიანი თანმხლები ლოკუმენტით ტვირთის მსვლელობის მთელ გზაზე, გამგზავნიდან მიმღებამდე ტრანსპორტის ერთი სახეობიდან მეორეზე თანამიმდევრულად გადატვირთვით, ეწოდება შერეული. ასეთ გადაზიდვებში მონაწილეობს უნივერსალური ტრანსპორტის ყველა სახეობა. ტვირთის საერთაშორისო გადაზიდვას ახორციელებს რამდენიმე სახელმწიფოს რკინიგზა.

[რკინიგზით ტვირთის გადაზიდვა წარმოებს სატვირთო და დიდი სისწრაფით. დიდი სისწრაფით გადასაზიდად მიიღება ისეთი ტვირთი, რომლებიც იგზავნება გზათა სამინისტროს მიერ განსაზღვრული მიმართულებებით. დიდი სისწრაფით ტვირთი იგზავნება უფრო ჩქარა, მაგრამ მომსახურების ანაზღაურება თითქმის ორმაგია.]

გადაზიდვის წესებით დადგენილია ტვირთის მიტანის შემდეგი ნორმატული სისწრაფე (კმ/დღე-ღამე):

სატვირთო სისწრაფით გადაზიდვის დროს:

სამარშრუტო ვაგზავნა	— 550
ვაგონებით ვაგზავნა	— 330
წერილი ვაგზავნა	— 180

დიდი სისწრაფით გადაზიდვის დროს:

მალფუტებადი ტვირთი ნაქანური გაციებით აღქურვილი მატარებლებით	— 660
თევზი და თევზის ნაწარმი, რომლებიც გადმოიზიდება ვაგონებით შორეული აღმოსავლეთიდან მარშრუტებით	— 500

სხვა მალფუტებადი ტვირთი, რომელიც გადაიზიდება ინდივიდუალური ვაგონებით და ვაგონ-მაკიერებით, აგრეთვე, დახურული ვაგონებით:

მარშრუტით — გაციებით	— 420
მარშრუტით — გაუციებლად	— 540
ვაგონებით — გაციებით	— 330
ვაგონებით — გაუციებლად და არამალფუტებადი ტვირთი, რომელიც გადაიზიდება ვაგონებით	— 380
არამალფუტებადი ტვირთი, რომელიც გადაიზიდება წერილი ვაგზავნით	— 330

ტვირთის მიტანის ნორმატული სიჩქარეების ცოდნა აუცილებელია ვაჭრობის მუშაკებისათვის სატრანსპორტო ორგანიზაციებთან დავის წარმოშობის შემთხვევაში და მათდამი პრეტენზიების წარდგენისას. ნორმატულ სიჩქარეში გათვალისწინებულია მიტანის მხოლოდ ის ვადა, რომლის დროს ტვირთი უშუალოდ გზაში იმყოფება. გადაზიდვების წესებში გათვალისწინებულია ის დროც, რომელიც საჭიროა გაფორმებაზე, გადატვირთვაზე, მისამართის შეცვლაზე და სხვა ოპერაციებზე. მისამართის შეცვლის, ე. ი. დანიშნულების სადგურის ან ნავსადგურის ახალი პუნქტით შეცვლა გადაზიდვების პროცესში მნიშვნელოვნად ამცირებს ტვირთის მიტანის სიჩქარეს, ართულებს ტრანსპორტის მუშაობას. იზრდება დანახარჯები და ირღვევა ნორმალური ტვირთნაკადები. ტვირთის მისამართის შეცვლა წარმოებს გზის სატვირთო სამსახურის ან განყოფილების ნებართვით და დასაშვებია მხოლოდ ერთხელ გამგზავნის ან მიმღების განცხადებით.

სატვირთო გადაზიდვების ორგანიზაციის მიზნით სადგურებზე იქმნება სპეციალური სამსახურები — სასაქონლო კანტორები, სასაქონლო სალაროები და სასაქონლო ეზოები. კანტორებსა და სალაროებში ფორმდება ყველა გადასაზიდი დოკუმენტები. ტვირთის გამგზავნი ავსებს დადგენილი ფორმით ზედნადებს, შემდეგ იღებს ნებართვას ტვირთების დატვირთვაზე და გაგზავნაზე კონკრეტული ვადის აღნიშვნით. რკინიგზის ზედნადები შეივსება ყოველ გზავნილებაზე, წარმოადგენს ძირითად გადასაზიდ დოკუმენტს და ტვირთთან ერთად საბოლოო პუნქტში მიეცემა მიმღებს. ამიტომ მის გაფორმებას უნდა მოეპყროთ განსაკუთრებული ყურადღებით.

ტვირთი გადასაზიდად მიიღება მასის მიხედვით, რომელიც მითითებულია ტვირთის გამგზავნის ან სადგურის მწონავის მიერ, მაგრამ ვაგონების ჩატვირთვის მოქმედი ნორმატივების გათვალისწინებით. ეს აუცილებელია გადაზიდვის გაანგარიშებისათვის, ტრანსპორტის მიერ შესრულებული სამუშაოს აღრიცხვისა და ვაგონების გამოყენების კონტროლისათვის.

ტვირთი შეიძლება გაიგზავნოს საერთო სარგებლობის სადგურიდან და ტვირთის გამგზავნის მისასვლელი გზებიდან. სადგურიდან გაგზავნის დროს ტვირთს შეზიდავენ საწყობებში ან უშუალოდ ვაგონებში ჩასატვირთად. თუ ტვირთის გამგზავნს აქვს თავისი მისასვლელი გზები, მაშინ მისი მითითებით მიაწვდიან ცარიელ ვაგონებს.

გამგზავნი პასუხს ავებს ტვირთის გადასაზიდად მომზადებისათვის. ტარა და შეფუთვა უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტების მოთხოვნებს მოცემული სახის საქონელზე. მარკირება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას საქონელზე, გამგზავნზე, მიმღებზე, გამგზავნი და მიმღები სადგურებზე. ზოგიერთი სახის ტვირთზე, რომელიც მოითხოვს განსაკუთრებით ფრთხილ მოპყრობას, აკეთებენ სპეციალურ წარწერებს და ნიშ-

ნებს. რკინიგზას უფლება აქვს არ მიიღოს გადასაზიდად ისეთი ტვირთი, რომელიც შეფუთულია სტანდარტის დარღვევით. განსაკუთრებულ მოთხოვნები წარედგინება სასურსათო საქონლის გადაზიდვას. მალფუჰადი საკვები პროდუქტები უნდა გადაიზიდოს მხოლოდ გასაცემელ ვაგონებში როდესაც ეს გათვალისწინებულია ვეტერინარული და ხარისხის დამადასტურებელი მოწმობების არსებობისას.

რკინიგზა ვალდებულია დასატვირთად მიაწოდოს მხოლოდ ტექნიკურად გამართული და მოცემული ტვირთის გადასაზიდად ვარგისი ვაგონები და კონტეინერები. ამ წესის დარღვევისას გამგზავნის უფლება აქვს უარი თქვას მათზე და მოითხოვოს შეცვლა. მოუწესრიგებელ ვაგონებით ტვირთების გადაზიდვის დროს წარმოქმნილი დაზიანებისა და დანაკარგებისათვის, მატერიალური პასუხისმგებლობა ეკისრება გამგზავნის.

ნასევე რეგლამენტირებულია დატვირთვის სამუშაოებიც. საწარმოთა მისასვლელ გზებზე ეს სამუშაოები, როგორც წესი, ტარდება გამგზავნის ძალებითა და სახსრებით. მალფუჰადი საქონლის დატვირთვა ხორციელდება ტვირთის გამგზავნის მიერ. ტვირთები, რომლებიც მიიტანება სადგურის საწყობებში, უნდა გადაამუშავდეს რკინიგზის ძალებით. ტვირთების გამგზავნით და მიმღებთ შეუძლიათ დადონ რკინიგზასთან დატვირთვა-განტვირთვის ხელშეკრულებები.

დატვირთვის დამთავრების შემდეგ დახურული ვაგონები, თუ მათ არ მიყვებათ ვაგონის გამყოლი, იპლომება. ამას აკეთებს ის ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს დატვირთვის და პასუხს აგებს ტვირთის დაცვაზე.

დანიშნულების სადგურზე დატვირთული ვაგონების მისვლის შემდეგ სრულდება ოპერაციები ტვირთების გაფორმებაზე, შენახვაზე და გაცემაზე. დანიშნულების სადგური ვალდებულია წინასწარ ან მოსვლის დღეს აცნობოს ამის შესახებ მიმღებს. სადგურის უფროსი ინფორმაციის წესს აწესებს მიმღებთან შეთანხმებით. მოსული საქონელი შეიძლება გადმოიტვირთოს მიმღების ლიანდაგთან მდებარე საწყობებში და სადგურის სატვირთო ეზოში. მიმღების წარმომადგენელს უნდა ჰქონდეს მინდობილობა (ერთჯერადი ან მუდმივი) რომ მიიღოს ტვირთი.

დანიშნულების სადგურის სასაქონლო კანტორაში ამოწმებენ გადასაზიდად ქირის გადახდის სისწორეს, რომელიც გაანგარიშებულია ტვირთების ვაგზავნისას, ახდებიან დამატებით გადასაზიდად შენახვისა და სხვა ოპერაციებისათვის, რის შემდეგაც ზედნადების მეორე გვერდზე სვამენ შტამპელს, რომელიც ადასტურებს დოკუმენტების გაფორმებას.

ტვირთი გაიკემა მიმღებზე, მწონაზე გაფორმებული ზედნადების წარდგენის შემდეგ. მიღების დროს ამოწმებენ ზედნადების მონაცემებს და მარკირების შესაბამისობას, ცალების რაოდენობას, ტარის და შეფუთვის წესიერობას, ხოლო აუცილებელ შემთხვევებში მისასაც. დაზი-

ანებულ ცალებს იქვე ხსნიან და ამოწმებენ რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით.

სადგურზე ტვირთების უფასო შენახვა დასაშვებია ერთი დღელამის განმავლობაში დაწყებული გადმოტვირთვის დღის 24 საათიდან. ამის შემდეგ ტვირთების შენახვისათვის გადაიხდება საფასური, რომლის სიდიდე დამოკიდებულია ტვირთის ხასიათსა და გაგზავნის სახეზე. გადაზიდვების წესებით დადგენილია სხვადასხვა ტვირთების შენახვის ვადები 6 საათიდან 5 დღელამის ფარგლებში. შენახვის ვადების გასვლისას, განსაკუთრებით მალფუჭადი საქონლის, სადგურს უფლება აქვს გადასცეს ის სხვა ორგანიზაციას.

თუ გადმოტვირთვა წარმოებს მიმღების ძალებითა და სახსრებით, სადგურის მწონავი გადასცემს ვაგონებს ტვირთის მიმღების წარმომადგენელს მისი განტვირთვის ადგილას დოკუმენტების გაფორმების შემდეგ. ამასთან ერთად მოწმდება ვაგონის წესიერობა, პლომბების არსებობა და მათი ანაბეჭდის დოკუმენტებში მითითებულთან შესაბამისობა. ტვირთები, რომლებიც მიღებულია წესიერ ვაგონებში, მიიღება მასის, ცალების რაოდენობისა და მათი მდგომარეობის მიხედვით რკინიგზის წარმომადგენლის მონაწილეობით. სავალდებულო შემოწმებას ექვემდებარება მარცვლეული პურის, ქატოს და კომბიკორმის ტვირთების მასა, რომლებიც მოვიდა დაყრილი სახით და, აგრეთვე, შეუფუთავი ხორცი და ხორცის ნაწარმი. სხვა დაყრილი სახით გადასაზიდი ტვირთები მოწმდება მათი მასის 10% ფარგლებში. ტარაში მოთავსებული, ცალობითი და სხვა ტვირთები, რომელთა მასას ადგენენ გაანგარიშების გზით, სადგურის მიერ გაიცემა შეუმოწმებლად. სტანდარტულ ტომრებში შეფუთული შაქარი, ფქვილი და ბურღული გაიცემა ცალების რაოდენობის მიხედვით.

ტვირთის მიმღებს უფლება აქვს სადგურისაგან მოითხოვოს ყოველნაირი ტვირთის გაცემა სრული შემოწმებით, თუ ვაგონის გახსნის შემდეგ გამოაშკარავდება მისი ფარული უწესიერობა, რომელიც წარმოადგენს მიზეზს ტვირთის გაფუჭების, დაზიანების ან დანაკლისისა. ამაში შეიძლება დამნაშავე იყოს როგორც რკინიგზა, ისე ტვირთის გამგზავნი. მიმღები ვალდებულია გააფორმოს ტვირთის მდგომარეობის შემოწმების შედეგები აქტის იმ ფორმით, რომელიც შეესაბამება სსრ კავშირის სახარბიტრაჟის ინსტრუქციის მოთხოვნებს, საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის და სახალხო მოხმარების საქონლის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით მიღებას.

იმ შემთხვევაში, როდესაც ტვირთი მოდის არაწესიერი ვაგონით, დაზიანებული პლომბებით, ხოლო მალფუჭადი საქონელი — მიტანის ვადის გადაცილებით ან გზაში შენახვის რეჟიმის დარღვევით, რკინიგზა ვალდებულია ჩააბაროს მიმღებს ტვირთი მასის, ცალების რაოდენობის,

დარღვევათა შემოწმებით და ფაქტობრივი ხარისხობრივი მდგომარეობით.

თუ რკინიგზიდან ტვირთის მიღების დროს გამოვლინდება რაიმე დარღვევები — დაკარგვა, დაზიანება, ხარისხის დაქვეითება, აგრეთვე განსხვავება ზედნადების მონაცემებსა და ცალების ან მასის ფაქტობრივ რაოდენობას შორის, მიმღები ვალდებულია მოითხოვოს დადგენილი წესით კომერციული აქტის შედგენა და მასზე გაცემა. კომერციული აქტი ძირითადი დოკუმენტია, რომელიც მხედველობაში მიიღება რკინიგზისადმი პრეტენზიის წარდგენისა და ტვირთის გამომგზავნისადმი მატერიალური ზარალის ანაზღაურებისას.)

სადგურის უფროსის მიერ დაუსაბუთებლად კომერციული აქტის გაცემაზე უარისთქმის დროს მიმღებმა ტვირთის რკინიგზის საწყობიდან გამოზიდვამდე, ხოლო მისასვლელ გზებზე გადმოტვირთვის შემთხვევაში — 24 საათის განმავლობაში შემოწმების მომენტიდან, უნდა წარუდგინოს საჩივარი გზის განყოფილების უფროსს აუცილებელი დოკუმენტების დართვით. საჩივარზე პასუხის გაცემის ვადა დადგენილია: მალფუჰად საქონელზე 24 საათი, ყველა დანარჩენზე — 3 დღე-ღამე. საჩივრის განხილვის პერიოდში ტვირთის შენახვის ფასი მიმღებს არ გადახდება.

რკინიგზის წესდებაში გათვალისწინებულია გადაზიდვების წესების დარღვევისას პასუხისმგებლობის ზომა. რკინიგზა იხდის ჯარიმას ვაგონებისა და კონტეინერების მიუწოდებლობისათვის გადაზიდვების გეგმების შესასრულებლად, ხოლო ტვირთის მიმღებნი — უარისთქმისათვის ან გეგმით გათვალისწინებული ვაგონების და კონტეინერების არასრულად გამოყენებისათვის, აგრეთვე დანიშნულების გზების მიხედვით დატვირთვის გეგმის შეუსრულებლობისათვის. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან, თუ ეს მოხდა მათგან დამოუკიდებელი მიზეზებით.

რკინიგზა პასუხს აგებს ტვირთის რაოდენობრივ და ხარისხობრივ დაცვაზე მათი გადასაზიდად მიღების მომენტიდან მიმღებისთვის ჩაბაჩებამდე. მან უნდა მთლიანად აუნაზღაუროს მიმღებს ფაქტობრივი ზარალი, თუ არ იქნება დამტკიცებული, რომ ეს მოხდა ისეთ გარემოებათა გამო, რომელთა აცილება რკინიგზაზე არ არის დამოკიდებული.

ტვირთის მიმღები პასუხისმგებელია იმ შემთხვევაში, თუ ტვირთი გაფუჟდა და დაზიანდა გადმოტვირთვა-გამოზიდვის დაგვიანების, სადგურებსა და გზებზე ვაგონების დაყოვნების გამო.

რკინიგზა ტვირთის მიმღებთ უხდის ჯარიმას ტვირთის მიტანის ვადების დარღვევისათვის სხვადასხვა საქონლის გადაზიდვისათვის მიღებული თანხის 12-დან 60%-მდე ოდენობით.

ტვირთის გამგზავნი მატერიალურად პასუხისმგებელია ჯარიმის სახით და ფარავს რკინიგზის ზარალს ზედნადებში ტვირთის დასახელებ-

ბის და თავისებურებათა არასწორი აღნიშვნისათვის, გადაზიდვისათვის. აკრძალული ტვირთის წარდგენისათვის ან ისეთი ტვირთისა, რომელიც გადაზიდვის დროს მოითხოვს გაფრთხილების განსაკუთრებულ ზომებს, რომლებიც არასწორად იყო ნაჩვენები. მატერიალური პასუხისმგებლობის მაღალი ზომა დადგენილია ტვირთების გამგზავნა და მიმღებთა მიმართ მათი მიზეზით იმ ვაგონებისა და კონტეინერების დაყოვნებისათვის, რომლებიც მიწოდებული იყო დასატვირთავად ან განსატვირთავად დადგენილ ვადებს ზემოთ. ეს აღიღებს მოთხოვნას ვაგონებსა და კონტეინერებზე, აფერხებს მათ ბრუნვას, ზრდის გადაზიდვების თვითღირებულებას, არღვევს ტრანსპორტის მუშაობის რიტმს. ამიტომ ჯარიმის თანხა ვაგონის ან კონტეინერის მოცდენის ყოველ საათში მრავალჯობის მატულობს ნორმის ზევით მოცდენის ზრდის კვალობაზე. ტვირთის გამგზავნი და მიმღები მატერიალურად პასუხისმგებელი არიან მოძრავი შემადგენლობის დაზიანებისათვის.

[ტვირთის მიმღებნი — სავაჭრო ორგანიზაციები და საწარმოები — ვალდებული არიან ტვირთის გადაზიდვების წესების დარღვევის გამოწარმოშობილი ყველა პრეტენზია, წარუდგინონ რკინიგზის სამმართველოს.]

§ 3. წყლის ტრანსპორტით საჰონდოს გადაზიდვების ორგანიზაცია

ტვირთების მნიშვნელოვანი რაოდენობა, მათ შორის სახალხო მოხმარების საქონელი გადაიზიდება საზღვაო და სამდინარო ტრანსპორტით.

საზღვაო ტრანსპორტით ტვირთების გადაზიდვების ორგანიზაცია რეგლამენტირებულია სსრ კავშირის სავაჭრო ნაოსნობის კოდექსით (სნკ) და გადაზიდვების წესებით, რომლებსაც ამუშავენ სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტრო.

საზღვაო ტრანსპორტზე მიმოსვლის სახეების მიხედვით ტვირთის გადაზიდვები იყოფა: ნავსადგურთაშორის მიმოსვლად, მოიცავს გადაზიდვებს მხოლოდ საზღვაო ნავსადგურებს შორის; პირდაპირ წყლით მიმოსვლად — გადაზიდვები საზღვაო და სამდინარო ნავსადგურებს შორის; პირდაპირი შერეული სარკინიგზო-წყლისა ან საავტომობილო მიმოსვლად — სხვა სახის ტრანსპორტის მონაწილეობით სხვადასხვა შეხამების სახით. ამასთანავე, საზღვაო ტრანსპორტი შეიძლება იყოს საწყისი, საშუალო ან საბოლოო რგოლი.

ფლოტის მუშაობის ორგანიზაციის მიხედვით საზღვაო გადაზიდვებს ყოფენ რეგულარულად (სახაზო) და არარეგულარულად (სარეისო).

გადაზიდვების ტექნიკის მიხედვით წყლის ტრანსპორტზე ანსხვაგვარად გადაზიდვებს ჩასხმით, დაყრით, ტვირთების ტრიუმში და გემბანზე დაწყობით, რომლებმაც მიიღეს გენერალური ტვირთის სახელწოდება.

საზღვაო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვის გაფორმების დროს.

გამგზავნი ავსებს (4 ეგზემპლარად) და ხელს აწერს პირველად გადასაზიდ ღოკუმენტს — ჩატვირთვის ორდერს ან კონოსამენტს, რომელშიც გაითვალისწინება საზღვაო გადაზიდვების გაფორმებისათვის ყველა აუცილებელი ცნობა. ერთდროულად წარმოდგენილ იქნება საქონლის ხარისხის დამადასტურებელი სხვა ღოკუმენტებიც. ამის შემდეგ კონოსამენტს წარუდგენენ შესამოწმებლად სასაქონლო კანტორას და სატვირთო რაიონის უფროსს ტვირთის შემოზიდვის ნებართვის მისაღებად. ნავსადგურში განისაზღვრება ტვირთის მასა, გაიანგარიშება სატრანსპორტო მომსახურება და მათი ანაზღაურების შემდეგ გამგზავნი ხელზე იღებს კონოსამენტის პირველ ეგზემპლარს. ეს ძირითადი თანმხლები ღოკუმენტია, რომელიც ერთდროულად ადასტურებს მხარეებს შორის ხელშეკრულების დადებას ტვირთის გადაზიდვაზე. კონოსამენტის მეორე ეგზემპლარი ტვირთთან ერთად ჩაბარდება მიმღებს დანიშნულების ნავსადგურში.

საზღვაო გადაზიდვების დროს გადიდებული მოთხოვნები წარედგინება ტვირთების ტრასასა და შეფუთვისას. ის უნდა იყოს გადიდებული გამძლეობისა და უნარი შესწევდეს დაიცვას საქონელი მექანიკური დაზიანებისა თუ დატენიანებისაგან.

სსრ კავშირის სავაჭრო ზღვაოსნობის კოდექსის შესაბამისად საზღვაო ნაოსნობას ეკისრება მატერიალური პასუხისმგებლობა ტვირთის მიტანის ვადების დარღვევისათვის, რომელიც დადგენილია თითოეული ნაოსნობის და თითოეული ხაზისათვის ცალ-ცალკე ტვირთის არასრულად მიტანის, დაზიანების, ხარისხის დაწვეის და ა. შ. ზარალის ანაზღაურებისათვის სატრანსპორტო ორგანიზაციებისადმი პრეტენზიების წარდგენისათვის მიმღებმა უნდა მოითხოვოს კომერციული აქტის დროული გაფორმება.

სამდინარო ტრანსპორტით ტვირთი გადაზიდება შიდა მიმოსვლით. შიდა წყალთა ტრანსპორტის ორგანიზაციების ურთიერთობა გამგზავნსა და მიმღებთან ტვირთების გადაზიდვაზე აგრეთვე სხვა სახის ტრანსპორტთან წესრიგდება სსრ კავშირის შიდა წყალთა ტრანსპორტის წესდებით. აგრეთვე გადაზიდვების წესებითა და სატარიფო სახელმძღვანელოებით.

სამდინარო ტრანსპორტზე ტვირთის გადაზიდვები ხორციელდება: შიდა წყალთა მიმოსვლით — ერთი სანაოსნო ნავსადგურებსა და ნავმისადგომებს შორის; პირდაპირი შიდა წყალთა მიმოსვლით — ორი და მეტი სამდინარო სანაოსნო ნავსადგურთა შორის; პირდაპირი წყლით მიმოსვლით საზღვაო ტრანსპორტის მონაწილეობით; პირდაპირი შერეული რკინიგზისა და წყალთა ან წყალთა და საავტომობილო მიმოსვლით. ტვირთის გადაზიდვა პირდაპირ მიმოსვლით ხორციელდება ერთიანი გადასაზიდი ღოკუმენტით, რომელიც შედგენილია გამგზავნის პუნქტში მსვლელობის მთელ გზაზე, ამ შემთხვევაში ტვირთის გადატვირ-

თვა ხორციელდება სატრანსპორტო ორგანიზაციების მიერ, ტვირთის მფლობელთა მონაწილეობის გარეშე.

ტვირთის მოცულობის მიხედვით, რომელიც იგზავნება ერთი ზედნადებით, გაგზავნის სახეებს ყოფენ გემის, როდესაც გემი, რომელიც იგზავნება დანიშნულების ერთ პუნქტში, იტვირთება 20 ტ. მეტი, ტვირთით, მაგრამ მთლიანი გემის ნორმაზე ნაკლებია; მცირე — 20 ტონამდე.

სამდინარო ტრანსპორტზე ტვირთების გადაზიდვა ხორციელდება სატვირთო და დიდი სისწრაფით — სატვირთო და სატვირთო-სამგზავრო გემებით.

ტვირთების გადასაზიდად მიღების, შენახვის, ჩატვირთვის, განტვირთვის და მიმღებზე გაცემის ოპერაციები ხორციელდება ნავსადგურებში, საერთო სარგებლობის სამდინარო ტრანსპორტის ნავსადგურებში.

ტვირთების გადაზიდვების გემის შესაბამისად სანაოსნოსა და გამგზავნის შორის მომავალი ნავიგაციისათვის იღება ხელშეკრულება, თუმცა იგი არ წარმოადგენს გადაზიდვის ხელშეკრულებას. მასში შეპირობებულია ცალკეული სახის ტვირთის გადაზიდვა, უწყებრივ ნავმისაბმელებში ერთდროულად გემების ჩატვირთვის ან განტვირთვის ნორმები; ზუსტდება მასის განსაზღვრის ხერხები, ხოლო აუცილებელ შემთხვევაში — მიტანის ვადაც.

სამდინარო ტრანსპორტზე ძირითად გადასაზიდ დოკუმენტს წარმოადგენს ზედნადები, რომელსაც ავსებს ტვირთის გამგზავნი. ის შეიცავს მონაცემებს ტვირთის რაოდენობასა და ხასიათზე, გამგზავნისა და მიმღებზე, გაგზავნის და მიღების პუნქტზე და მიტანის სიჩქარეზე. მასში შეაქვთ მონაცემებიც გადაზიდვის ანაზღაურებასა და გადასახადებზე. ზედნადები ტვირთთან ერთად ეძლევა ტვირთის მიმღებს დანიშნულების პუნქტში.

გასაგზავნად წარდგენილი ტვირთის მასა განისაზღვრება მისი ხასიათითა და ტრანსპორტირების პირობებით. სატარო-ცალობრივი ტვირთები მიიღება ცალების რაოდენობით და მასით ისე, როგორც საზღვაო ტრანსპორტზე. სამდინარო გადაზიდვების დროს გადიდებული მოთხოვნები წარედგინება ტარასა და შეფუთვას.

დატვირთვა ხორციელდება ნაოსნობის ან ტვირთის გამგზავნთა ნავმისაბმელებზე. გემის ტიპი უნდა შეეფარდებოდეს გადასაზიდ ტვირთს და უზრუნველყოფდეს მის დაცვას გზაში. გადაზიდვების წესები ითვალისწინებს გემების სატვირთო სათავსების დალუქვას: სანაოსნოს ლუქით, ტვირთის გამგზავნის ლუქით და ერთობლივი ლუქით. ეს დამოკიდებულია გადასაზიდი ტვირთის ნომენკლატურასა და გადაზიდვის პალუხისმგებლებზე.

სამდინარო ტრანსპორტით ტვირთების მიტანის ვადა დამოკიდებულია გადაზიდვის სიჩქარეზე, ტვირთის სახეზე, მიმართულებაზე (დინების ქვევით და ზევით), გემის სახეზე, დაგროვების დროზე გადატვირ-

თვანზე და ა. შ. ტრანსპორტის სახის არჩევისას, აგრეთვე, ნაოსნობისა-
დმი პრეტენზიის წარდგენისას საქონლის მიტანის დაგვიანებისათვის აუ-
ცილებელია მიტანის ვადის გაანგარიშება. ვიცით რა მიტანის ნორმა,
ეს შეიძლება გაკეთდეს ფორმულით (დღე-ღამეში) $T_A = T_0 + \frac{L}{k} + T_n$.

სადაც T_A — მიტანის ვადა;

T_0 — დამატებითი დრო ტვირთის გაგზავნისას, დღე-ღამე;

T_n — დამატებითი დრო გზაში, დღე-ღამე;

L — ტვირთის გადაზიდვის მანძილი, კმ;

K — გემის სადღეღამისო გარბენის ნორმა, კმ.

სსრ კავშირის შინაგანი საწყალოსნო ტრანსპორტის წესდებით გა-
თვალისწინებულია ურთიერთშატერიალური პასუხისმგებლობა სატრან-
სპორტო ორგანიზაციების, ტვირთების გამგზავნთა და მიმღებთა გადა-
ზიდვების დადგენილი თვიური გეგმების შეუსრულებლობის, ტვირთე-
ბის გადასაზიდად წარდგენის დაგვიანების, გეგმების მიწოდების და-
გვიანების, ტვირთების მიტანის ვადების დარღვევის, გადასაზიდი დო-
კუმენტების არასწორი გაფორმების, ტვირთების დაუცველობის, სატ-
რანსპორტო საშუალებათა დაზიანებისათვის და სხვა.

§ 4. საპაერო ტრანსპორტით საქონლის გადაზიდვის ორგანიზაცია

საპაერო ტრანსპორტით შესრულებულ სამუშაოთა მთელი მოცუ-
ლობიდან სატვირთო გადაზიდვების წილად უკანასკნელ წლებში მოდის
დაახლოებით 20%. საპაერო ტრანსპორტით ტვირთების გადაზიდვების
ორგანიზაციის სპეციფიკურ თავისებურებებს, უწინარეს ყოველისა, მი-
ეკუთვნება გადაზიდვების მაღალი თვითღირებულება მიწისზედა ტრან-
სპორტთან შედარებით, განსაკუთრებით სატვირთო, რამაც განაპირობა
მისი უპირატესი განვითარება, როგორც სამგზავრო ტრანსპორტისა.
შესაღარი თვითღირებულება ერთი ტონა-კილომეტრისა საპაერო ტრა-
ნსპორტით ტვირთების ტრანსპორტირებისას 22-37-ჯერ მაღალია, ვიდ-
რე რკინიგზით ან საწყალოსნო გზით, მაგრამ ტვირთების მიტანის სიჩ-
ქარეც 3 ათას კმ. მეტ მანძილზე უფრო მაღალია, ვიდრე რკინიგზაზე
დაახლოებით იმავე ფარგლებში.

პრაქტიკულად ყველა სატვირთო გადაზიდვები შეიძლება დავყოთ
გადაზიდვებად ჩრდილოეთის ძნელადმისადგომ რაიონებში და იმ რაი-
ონებში, რომლებიც უზრუნველყოფილი არიან სხვა სახის ტრანსპორ-
ტით. ძნელად მისადგომ რაიონებში მრავალი სახალხო მოხმარების
საქონელი მიაქვთ საპაერო ტრანსპორტით. მხოლოდ საადრეო ბოსტნე-
ული და ხილი ყოველწლიურად 35 ათას ტ. მეტი მიაქვთ საპაერო ტრან-
სპორტით უკიდურესი ჩრდილოეთის, ციმბირისა და შორეული აღმო-
სავლეთის რაიონებში. რიგ შემთხვევებში მიმწოდებლები ვალდებული

არიან გავზავნონ თავისი საქონელი საპაერო ტრანსპორტით ასე, შორეულ აღმოსავლეთში და სხვა ვადამდე შეზიდვის რაიონებში სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების განსაკუთრებულ პირობებში გათვალისწინებულია, რომ თუ მიმწოდებლის მიერ საქონლის გავზავნა დანიშნულებისამებრ ჩვეულებრივი მიმოსვლის გზებით დაგვიანდა, ის უნაზღაურებს ღირებულებას ზარალს, რომელიც გამოწვეულია დანიშნულების ადგილამდე საქონლის მიწოდებით უფრო ძვირი ტრანსპორტით, მათ შორის საავიაციოთი.

ტვირთები, რომლებიც გადაიზიდება ავიასაწარმოებისა და ტვირთის გამგზავნა შორის ხელშეკრულებით, ცოტაა. ხელშეკრულებები იდება, როგორც წესი, იმ შემთხვევებში, როდესაც სავაჭრო ორგანიზაციები სისტემატურად გზავნიან საპაერო ტრანსპორტით მნიშვნელოვანი რაოდენობის საქონელს.

საპაერო ტრანსპორტი თითქმის არ მონაწილეობს ტვირთების პირდაპირ შერეულ გადაზიდვებში. სხვა სახის ტრანსპორტიდან საპაერო ტრანსპორტზე ტვირთის გადაცლას ჩვეულებრივ ახორციელებენ შუამავლებიან ტვირთის მიმღების წარმომადგენლები.

მიუხედავად ამისა, ტვირთების გადასაზიდად ავიატრანსპორტს არაა საკმარისად იყენებენ. ეს განსაკუთრებით შეეხება იმ პერიოდს, როდესაც ავიახაზებზე მგზავრთა ნაკადები მკვეთრად მცირდება, ცალკეულ ავიახაზებზე, რომლებიც აკავშირებენ ჩრდილოეთის უგზო რაიონებს სამრეწველო ცენტრებს, გაზაფხულსა და ზაფხულში წარმოიშობა ცალმხრივი მგზავრთა ნაკადები. აეროფლოტს შესაძლებლობა აქვს დააინტერესოს კლიენტურა იმით, რომ გადაზიდოს ტვირთები შელავათიან პირობებში.

ავიატრანსპორტით ყველა სატვირთო გადაზიდვა წესრიგდება სსრკავშირის საპაერო კოდექსით და მგზავრთა, ბარგისა და ტვირთების გადაზიდვის წესებით, რომელსაც ამუშავენ სსრკავშირის სამოქალაქო ავიაციის სამინისტრო.

საპაერო ტრანსპორტის მუშაობის ორგანიზაციის თავისებურებათა დამოკიდებულებით ტვირთი შეიძლება გადაიზიდოს რეგულარულ და არარეგულარულ ავიახაზებზე. საპაერო ხაზით ითვლება დამტკიცებული მუდმივი მარშრუტი. არარეგულარულ ხაზებზე გადაზიდვები ხორციელდება საჭიროების მიხედვით და ძირითადად სპეციალურად შეკვეთილი რეისებით.

საპაერო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვა ხორციელდება სამგზავრო და სპეციალური სატვირთო თვითმფრინავებით და ვერტმფრინავებით. ამასთანავე, მთელი გადაზიდვების მოცულობის 80%-მდე სრულდება სამგზავრო თვითმფრინავების დამატებით დატვირთვის წესით.

საპაერო ტრანსპორტით სატვირთო გადაზიდვის ძირითად დოკუმ-

მენტს წარმოადგენს სატვირთო ზედნადები. ის ღებვა 4 ეგზემპლარად, თითოეულ მათგანს აქვს თავისი დასახელება და დანიშნულება. ერთ ეგზემპლარს (უნომრო) ეწოდება ტვირთის გამგზავნის ზედნადები, რომელსაც ის ავსებს. ეს ეგზემპლარი თან მიყვება ტვირთს დანიშნულების აეროპორტში და ტვირთთან ერთად გაიცემა მიმღებზე. ზედნადების სამ ეგზემპლარს აქვთ ნომრები და გამოიწერება გადაზიდვის განყოფილებაში. ერთი, რომელსაც ეწოდება სატვირთო ზედნადები, თან მიჰყვება ტვირთს და საგზაო უწყისის როლს ასრულებს, მეორე — სატვირთო ქვითარი, ეძლევა ტვირთის გამგზავნს, მესამე — სატვირთო ქვითრის ყუა რჩება გამგზავნი აეროპორტის საქმეებში. ზედნადების ყველა ეგზემპლარში აუცილებლად აღინიშნება გადასაზიდად მიღებული ტვირთის მასა.

თვითმფრინავების დატვირთვა და განტვირთვა სრულდება აეროპორტის ძალებითა და საშუალებებით, თუ სხვა წესი არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებაში სატრანსპორტო ორგანიზაციას, ტვირთის გამგზავნსა ან მიმღებს შორის.

ტვირთი გაიცემა მიმღებზე ჩვეულებრივი წესების დაცვით, რომლებიც ანალოგიურია სხვა სახის ტრანსპორტისთვისაც. თუ აღმოჩნდა ტვირთის დანაკლისი, გაფუჭება ან დაზიანება უნდა შედგეს კომერციული აქტი. აეროფლოტი პასუხისმგებელია ტვირთის თავის დროზე მითანაზე.

§ 5. საავტომობილო ტრანსპორტით საქონლის გადაზიდვების ორგანიზაცია

საავტომობილო ტრანსპორტი ვადამწყვეტ როლს თამაშობს საცალო ქსელში სხალხო მოხმარების საქონლის მიტანის საქმეში. და, მაშასადამე, აქტიურად მოქმედებს საცალო საქონელბრუნვის გეგმის შესრულებაზე. პრაქტიკულად თითოეული სავაჭრო ორგანიზაციისა და საწარმოს საქმიანობის შედეგები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ამ სახის ტრანსპორტის მუშაობის ზუსტ ორგანიზაციაზე. მიახლოებითი ვაანგარიშებით საცალო საქონელბრუნვის გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად 1975 წ. ავტოტრანსპორტით გადაზიდული იყო 360 მლნ. ტ. ტვირთი.

საცალო სავაჭრო ორგანიზაციებისა და საწარმოების მიმოქცევის ხარჯებში სატრანსპორტო ხარჯებს უკავია საშუალოდ 20%, ამასთანავე მათი ძირითადი ნაწილი მოდის ავტოტრანსპორტზე.

ავტოტრანსპორტის მოძრავ შემადგენლობას ყოფენ სატვირთოდ, სამგზავედ და სპეციალურად. სატვირთოს მიეკუთვნება სატვირთო ავტომანქანები, ავტომანქანები — საწვეარი, მისაბმელები და ნახევარმისაბმელები.

ძარის მოწყობისა და სხვა კონსტრუქციულ თავისებურებათა მიხედვით სატვირთო ავტომანქანებია საერთო დანიშნულებისა და სპეცია-

ლიზებული. საერთო დანიშნულების ავტომანქანებს, მისაბმელებს და ნახევარმისაბმელებს აქვთ „ბორტის ბაქნის“ ტიპის არაგადასაყირავებელი ძარა და გამოიყენება თითქმის ყველა სახის საქონლის გადასაზიდად. სპეციალიზებულ მოძრავ შემადგენლობას (თვითმცლელები, ფურგონები, ცისტერნები) მიეკუთვნება ავტომანქანები, მისაბმელი და ნახევარ-მისაბმელები, რომელთა ძარა მოხერხებულია გარკვეული სახის ტვირთის გადასაზიდად (მაგალითად, სამშენებლო მასალები—თვითმცლელებით, პური-ფურგონებით, რძე, ბურახი, ცოცხალი თევზი — ცისტერნებით).

საწევრებს არა აქვთ ძარა ტვირთისათვის. ტვირთს ათავსებენ მისაბმელებზე და ნახევარმისაბმელებზე, რომელთაც ეზიდება საწვეარი. მისაბმელებით და ნახევარმისაბმელებით საწვეარების დახმარებით გადაიზიდება ტვირთების დიდი პარტიები (ავტომატარებლები).

სატვირთო ავტომანქანები იყოფა ტვირთშვილობის მიხედვით (ტ): განსაკუთრებით მცირე ტვირთშვილობის 0,4 — 1-მდე; მცირე — 1-დან — 2,5-მდე; საშუალო — 2,5-დან — 3,4-მდე; გადიდებული — 3,5-დან 5-მდე; დიდი — 5,1-დან — 1-მდე; განსაკუთრებით დიდი — 10,1-დან 25-მდე და მეტი.

სავაჭრო ორგანიზაციებისა და საწარმოების მრავალგვარი საქმიანობა, საქონლის დიდძალი ნომენკლატურა, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან თავიანთი თვისებებით და გაბარიტებით, გადაზიდვების დროს მათი რაოდენობის და ხარისხის შენარჩუნების აუცილებლობა აყენებს გარკვეულ მოთხოვნებს ავტოტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის ძარების სახისადმი და ტვირთშვილობისადმი.

საქონლის გადასაზიდად სავაჭრო საწარმოებს ძირითადად სჭირდებათ მცირე და საშუალო ტვირთშვილობის ავტომანქანები, რომლებიც მაქსიმალურად პასუხობენ გადასაზიდი ტვირთების ხასიათს და მალაზიების მომარაგების პირობებს. სულ უფრო მეტი რაოდენობითაა საჭირო სპეციალიზებული მანქანები, რომლებიც გადაზიდავენ საქონელს მათი ფიზიკურ-ქიმიურ და კონსტრუქციულ თვისებურებათა გათვალისწინებით. მალაზიებში ხორცის, თევზის, რძის ნაწარმისა და სხვა მალფუჰადი პროდუქტების მისატანად აუცილებელია მანქანა-რეფრიერატორები; გასაყიდად გამზადებულ ტანსაცმელს ფაბრიკებიდან და საწყობებიდან გადაზიდავენ სპეციალურ სამხრეებზე ავტომანქანა-ფურგონებში; აწყობილი ავეჯის ტრანსპორტირება ხორციელდება სპეციალურად მოწყობილი ძარით, ხოლო საქონლის ტარა-მოწყობილობაში მისატანად, რაც აქტიურად ინერგება პრაქტიკაში, საჭიროა ავტომანქანები, რომელთა ძარა აღჭურვილია ტვირთაწე ბორტით.

საქონლის გადასაზიდად სავაჭრო ორგანიზაციები იყენებენ მოკავშირე რესპუბლიკების საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების სამინისტროების ავტომეურნეობებს, სამრეწველო და სხვა საწარ-

მთა და ორგანიზაციების საერთო სარგებლობის ავტოტრანსპორტს და აგრეთვე საკუთარს. გადაზიდვებში სხვადასხვა უწყების ავტოტრანსპორტის მონაწილეობის წილი დამოკიდებულია კონკრეტულ პირობებზე.

დიდ ქალაქებში საქონლის გადაზიდვებში ძირითად როლს თამაშობს, საერთო სარგებლობის ტრანსპორტი. გადაზიდვების დიდი მოცულობის დროს იქმნება სპეციალიზებული ავტომეურნეობები სავაჭრო ორგანიზაციების მომსახურებისათვის. ჭერჯერობით ასეთი ავტომეურნეობები ცოტაა, მაგრამ მომავალში ვაჭრობისათვის სპეციალიზებული ავტომანქანების გამოშვების გაფართოების მიხედვით და სამუშაოთა მოცულობის გადიდებასთან დაკავშირებით მათი რაოდენობა გაიზრდება.

სამომხმარებლო კოოპერაციის სავაჭრო ორგანიზაციებს აქვთ თავისი ტრანსპორტი. ჩრდილოეთის და შორეულ რაიონებში, განსაკუთრებით იქ, სადაც არ არის საერთო სარგებლობის ტრანსპორტი, სავაჭრო ორგანიზაციებს აქვთ პატარა და საშუალო ზომის თავისი ავტომეურნეობები.

მუშაობის შედეგებსა და გადაზიდვებზე გაწეულ ხარჯებზე არსებით გავლენას ახდენს ავტომანქანის ტვირთშიდაობა. ავტომანქანის ტვირთშიდაობის გამოყენების კოეფიციენტი გამოსახავს შეფარდებას ფაქტობრივ დატვირთული ტვირთისა (ტონებში) ავტომანქანის ნომინალურ ტვირთშიდაობასთან, რაც გათვალისწინებულია მის ტექნიკურ დანახვაში. დატვირთვა ითვლება ოპტიმალურად, როდესაც ტკვ-1. ტბპ სიდიდე დამოკიდებულია მოცულობით მასაზე, ტვირთის ფორმაზე, გაბარიტებზე, შეფუთვის ხასიათზე, ავტომანქანის ან მისაბმელის ძარის ტიპზე. მოცულობითი მასის დამოკიდებულებით ტვირთები გაყოფილია ხუთ კლასად. I კლასს მიეკუთვნება ტვირთები, რომელთა ტბპ-1; II—0,71-დან 0,99-მდე; III—0,51-დან — 0,7-მდე; IV — 0,41-დან — 0,5-მდე; V—0,4-დან და ქვემოთ.

ტვირთის გადაზიდვისას, რომელთა ტბპ ერთზე ნაკლებია, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ავტომანქანის ძარა მეტად შეესაბამებოდეს ტვირთის ხასიათს, ხოლო აუცილებელ შემთხვევებში დამატებით გამოიყენონ მისაბმელები.

ავტოტრანსპორტის მუშაობის მნიშვნელოვან მაჩვენებელს წარმოადგენს გარბენის გამოყენების კოეფიციენტი — ბბპ, ე. ი. დატვირთული ავტომანქანის გარბენის შეფარდება ცვლაში მთლიან გარბენასთან (კილომეტრობით). მოძრავი შემადგენლობის არამწარმოებლური გარბენა გარდუვალა: გარაეიდან ბენზინის ჩასასხმელ და დასატვირთავ ადგილამდე, დაბრუნება ტვირთისთვის და გარაეში მოსვლა ცვლის შემდეგ. ამიტომ ავტოტრანსპორტის მუშაობა უნდა მოეწყოს შემდეგ გარემოებათა გათვალისწინებით: ავტობაზის ტვირთის გამგზავნთა და მიმღებთა ტერიტორიული განლაგება, ავტომანქანის დატვირთვის შესაძლებლობა უკან დაბრუნებისას (მაგალითად, ცარიელი ტარიო) და .შ.

მოდრავი შემადგენლობის მწარმოებლურობა, აგრეთვე, დამოკიდებულია მისი მოძრაობის სიჩქარეზე. ასხვავებენ მოძრაობის ტექნიკურ და საექსპლოატაციო სიჩქარეს. ტექნიკური სიჩქარე დამოკიდებულია მანქანის დახასიათებასა და მოძრაობის პირობებზე. ის განისაზღვრება როგორც შეფარდება ავტომანქანის საერთო გარბენისა (ცილომეტრობით) დახარჯულ დროსთან (საათობით), დატვირთვასა და განტვირთვაზე დახარჯული დროის გამოკლებით. საექსპლოატაციო სიჩქარე გამოსახავს შეფარდებას ავტომანქანის საერთო გარბენისა (ცილომეტრობით) განწესში ყოფნის მთელ პერიოდში საერთო დროსთან (საათობით), დაგეგმილი მოცდენების ჩათვლით. ტექნიკური სისწრაფე ყოველთვის მეტია საექსპლოატაციოზე, მაგრამ ეს სხვაობა არსებითად კლებულობს გადაზიდვის მანძილის ზრდის კვალობაზე.

სავაქრო ორგანიზაციებსა და საწარმოებს უხდებთ ავტოტრანსპორტის საჭიროების გაანგარიშება ერთდროული მუშაობის შესასრულებლად გადაზიდვასთან დაკავშირებით ან დროის გარკვეულ პერიოდზე. ასეთი გაანგარიშების ამოსავალი მონაცემებია ავტოტრანსპორტის მუშაობის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები. წინასწარ განსაზღვრავენ მანქანის მწარმოებლობას ცვლაში ფორმულით:

$$P = \frac{T \cdot q \cdot K}{\left(\frac{1}{V}\right) + t} \cdot \frac{1}{2},$$

სადაც P — სადღეღამისო მწარმოებლობაა, ტმ;

T — ავტომანქანის მუშაობის სასარგებლო დრო ნულოვანი გარბენის გარეშე, წუთი;

q — ავტომანქანის ტვირთმზიდაობა, ტ;

K — ავტომანქანის ტვირთმზიდაობის გამოყენების კოეფიციენტი;

I — რეისის სიგრძე (გარბენა ტვირთით და უკანვე), კმ;

V — მანქანის მოძრაობის ტექნიკური სიჩქარე, კმ/წუთი;

t — მანქანის მოცდენის დრო დასატვირთვად და განსატვირთვად, წუთი;

$\frac{1}{2}$ — ტვირთით გარბენილი გზის მონაკვეთი, კმ.

თუ მანქანა ორ ცვლად მუშაობს, მიღებული შედეგი გაორკეცდება. ვიცით რა შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა (ტვირთის მასა ტონებში მრავლდება რეისის სიგრძეზე კმ), განვსაზღვრავთ საჭირო მანქანების რაოდენობას: $M = Q : P$.

ავტოსატრანსპორტო საწარმოთა ურთიერთობა ტვირთის გამგზავნთან და მიმღებთან რეგულირდება საავტომობილო ტრანსპორტის წესდებით (სტწ), რომელიც მტკიცდება მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ და მის საფუძველზე — მოკავშირე რესპუბლიკის სა-

ავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების სამინისტროს მიერ გამოცემული ტვირთის გადაზიდვის წესებით. წესდების დებულებები ვრცელდება ყველა ავტოსატრანსპორტო საწარმოებსა და ორგანიზაციებზე მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, აგრეთვე, ყველა საწარმოსა და ორგანიზაციასზე, რომლებიც სარგებლობენ ავტოტრანსპორტით.

ტერიტორიული ნიშნით საავტომობილო გადაზიდვები იყოფა საქალაქო, საგარეუბნო, საქალაქთაშორისო, რესპუბლიკათაშორისო და საერთაშორისო გადაზიდვებად.

საქალაქო გადაზიდვები ხორციელდება ქალაქის ან სხვა დასახლებული პუნქტის ფარგლებში. მათთვის დამახასიათებელია ტვირთის გამგზავნა და მიმღებთა სიმრავლე, მოძრაობის მცირე სისწრაფე, გადასაზიდი საქონლის ვრცელი ნომენკლატურა, რაც მოითხოვს სხვადასხვა ტიპის მანქანების გამოყენებას. საგარეუბნო გადაზიდვები სცილდება მოცემული დასახლებული პუნქტის საზღვრებს 50 კილომეტრამდე მანძილზე, უპირატესად ერთი რაიონის ფარგლებში. საქალაქთაშორისო გადაზიდვები ხორციელდება ქალაქებს შორის 50 კმ მეტი მანძილზე კარგი გზებით, რომლებიც მაღალი სიჩქარით მოძრაობის საშუალებას იძლევა. თანდათანობით მატულობს ტვირთის გადაზიდვა დიდი ტვირთმზიდაობის ავტომანქანებით და ავტომატარებლებით. რესპუბლიკათაშორისი გადაზიდვები ორი და მეტი რესპუბლიკის ტერიტორიაზე უკანასკნელ წლებში დიდად განვითარდა, თუმცა ტვირთების ნომენკლატურა შეზღუდულია. ასე, მოლდავეთის რესპუბლიკიდან, რსფსრ სამხრეთის ოლქებიდან მოსკოვში, ლენინგრადსა და სხვა სამრეწველო ცენტრებში დიდი ტვირთმზიდაობის ავტორეფრიჟერატორებით მიაქვთ ბოსტნეული, ხილი და ყურძენი.

ფართოდ ვითარდება, აგრეთვე, საერთაშორისო გადაზიდვები სსრ კავშირსა და ევროპის მრავალ ქვეყანას შორის. საერთაშორისო მიმოსვლით ძირითადად გადაზიდავენ ძვირფას და სასწრაფო ტვირთის დიდი ტვირთმზიდაობის სპეციალურად მოწყობილი ავტომობილებით.

ორგანიზაციის სისტემის მიხედვით გადაზიდვები იყოფა ცენტრალიზებულ და დეცენტრალიზებულად. ავტოტრანსპორტით ტვირთების ცენტრალიზებული გადაზიდვები წარმოადგენენ მუშაობის ორგანიზაციის პროგრესულ მეთოდს. ამ შემთხვევაში ტვირთის გამგზავნს საქონელი მიაქვს უშუალოდ ტვირთის მიმღებთან. დიდ ქალაქებში მრავალი საქონელი ცენტრალიზებული წესით გადაიზიდება: პური, რძის ნაწარმი, ლუდი, უალკოჰოლო სასმელები, ხორცი. მისი ორგანიზატორებია სატრანსპორტო საწარმოები, ტვირთის გამგზავნი და მიმღებნი: იდება სამხრევი ხელშეკრულებები, ამუშავებენ გრაფიკებს, მარშრუტებს და ა. შ. დეცენტრალიზებულ გადაზიდვებს ახორციელებენ სამრეწველო სამინისტროებისა და სავაჭრო ორგანიზაციების ავტომეურნეობები. J

ტვირთის გამგზავნი და სატრანსპორტო საწარმო ტვირთის გადაზიდვების გეგმების შესაბამისად ვალდებულია საგეგმო წლის 15 მარტამდე ურთიერთმორის დადონ წლიური ხელშეკრულება, რომელშიც დაკონკრეტებული იქნება გადაზიდვების პირობები, ანგარიშსწორება, მხარეთა პასუხისმგებლობა და სხვ.

ტვირთის გამგზავნი ვალდებულია წარადგინოს განაცხადი ტვირთის ავტოგადაზიდვისათვის წერილობითი სახით ან ტელეფონით არაუგვიანეს დღის 14 საათისა, გადაზიდვის დღის წინ, ქალაქის შიგნით და გარეუბნებში გადაზიდვებისას და არაუგვიანეს 48 საათისა — საქალაქთაშორისო გადაზიდვების დროს. გამგზავნი ამზადებს სასაქონლო-სატრანსპორტო ზედნადებს 4 ეგზემპლარად, რომელიც წარმოადგენს ძირითად გადასაზიდ დოკუმენტს. როგორც წესი, ტვირთის გადაზიდვა ხორციელდება ექსპედიტორის გაყოლის გარეშე. ავტოსაწარმოს მძლოლი ერთდროულად ექსპედიტორიცაა. ტვირთის გამგზავნს ის წარუდგენს სამსახურებრივ მოწმობას და გაფორმებულ საგზაო ფურცელს.

ტვირთის გადასაზიად მიღებას ადასტურებს მძლოლ-ექსპედიტორის ხელმოწერა ზედნადების ყველა ეგზემპლარში, რომელთაგან ერთი ჩაბარდება ტვირთის გამგზავნს. ტვირთის მიმღები, მას შემდეგ, რაც შეამოწმებს ზედნადების მონაცემების შესაბამისობას ფაქტობრივ არსებულ ტვირთს, აფორმებს მის მიღებას: ხელს აწერს ზედნადების სამ ეგზემპლარს, ამოწმებს მათ ბეჭდით ან შტამპით და ორ მათგანს აძლევს მძლოლ-ექსპედიტორს. ტვირთის რაოდენობის შეუსაბამისობის, დაზიანების, გაფუჭების და ა. შ. შემთხვევაში ჩატარდება რაოდენობრივი და ხარისხობრივი მიღება, შედგება აქტი, რის შესახებაც აკეთებენ აღნიშვნას ზედნადებზე.

საავტომობილო ტრანსპორტის წესდების შესაბამისად დადგენილია ავტოსაწარმოების ტვირთების გამგზავნთა და მიმღებთა მატერიალური პასუხისმგებლობა გადაზიდვების არსებული წესების დარღვევისათვის.

§ 6. საჭონლის კონტაინერებით გადაზიდვების ორგანიზაცია და სავაჭრო ორგანიზაციების სატრანსპორტო-სამატერიალური მომსახურება

საკონტეინერო გადაზიდვები ტვირთის ტრანსპორტირების ერთ-ერთი მაღალეფექტური ფორმაა. სსრ კავშირში ისინი მაღალი ტემპებით ვითარდება ყველა სახის უნივერსალური ტრანსპორტის მონაწილეობით. კონტეინერების გამოყენება საშუალებას გვაძლევს გადავზიდოთ ტვირთები მოძრავი შემადგენლობის საკმაოდ ეფექტური გამოყენებით, ტვირთის გადაადგილების ოპერაციების სრული მექანიზაციით, მინიმალური დანახარჯებით ტრასა და შეფუთვაზე, ტვირთის დაცვის მაქსიმალურად უზრუნველყოფით.

საკონტეინერო გადაზიდვების ეფექტიანობა საკმაოდ მაღალია: კონ-

ტენერებით გადაზიდული 1 მლნ ტ. ტვირთი იძლევა 3,5—4 მლნ მანეთის ეკონომიას, ათავისუფლებს 1500-მდე მტვირთავს; გადამტვირთავ ოპერაციებზე შრომის მწარმოებლურობა იზრდება 3-4-ჯერ, ხოლო სამუშაოთა თვითღირებულება მცირდება 1,5 — 2-ჯერ; ტვირთის მიტანის ვადა საშუალოდ მცირდება ოთხი დღე-ღამით და მცირდება საქონლის დანაკარგები გზაში.

ამჟამად კონტეინერებით გადააქვთ უმთავრესად ტარა-ცალობით წერილპარტიობითი ტვირთები, რაც აიხსნება მათი პარკის არსებული სტრუქტურით, სადაც უმთავრესად 2,5 ტ. ბრუტო მასის კონტეინერებია. 1976 წ. უნივერსალური კონტეინერებით ჩვენს ქვეყანაში გადაზიდულ იქნა 40 მლნ მეტი ტონა ტვირთი, რომელთა დიდ ნაწილს შეადგენს სახალხო მოხმარების საქონელი. მაგალითად, კონტეინერებით გადაიზიდება ტანსაცმლისა და პარფიუმერიის 80%-ზე მეტი, 70%-ზე მეტი რადიოსაქონელი, 60%-ზე მეტი ქსოვილი და ფეხსაცმელი.

დანიშნულების მიხედვით კონტეინერები არის უნივერსალური, რომლებიც გადაზიდავენ ტვირთს უტაროდ, საამქროს ან მსუბუქი შეფუთვისა, სპეციალური — ცალკეული სახის ტვირთის ტრანსპორტირებისათვის (სითხეები, მინა, ქიმიკატები და ა. შ.).

უნივერსალური კონტეინერები სატრანსპორტო ორგანიზაციებისა და რიგ სამრეწველო საწარმოთა საკუთრებას წარმოადგენენ. სპეციალური კონტეინერები ეკუთვნის საწარმოებს და გამოიყენება ისეთი ტვირთისათვის, რომელიც მოითხოვს გადაზიდვისას განსაკუთრებულ პირობებს.

უნივერსალური კონტეინერები სხვადასხვა ზომის და ტვირთშიდობისაა. ბრუნვაშია კონტეინერები ბრუტო მასისა (ტონებში): 0,625; 1; 1,25; 2,5 (3); 5; 10; 20; 30. კონტეინერები ბრუტომასის 10 ტ და მეტის გამოყენება დაიწყეს მხოლოდ უკანასკნელ წლებში.

კონტეინერებით მნიშვნელოვანი ოდენობის ტვირთების მიმღები და გამგზავნი სავაჭრო ორგანიზაციებს უნდა ქონდეთ ბაზებსა ან საწყობებში კონტეინერების გადასაადგილებელი მოედნები და მექანიზმები, დიდ ბაზებში შეიძლება შეიქმნას კონტეინერების გამცვლელი პუნქტები.

საქონლის დატვირთვამდე გამგზავნი უნდა დააწმუნდეს კონტეინერის წესივრობაში. დატვირთულ კონტეინერში გამგზავნი ღებს ფაქტურას ან სპეციფიკაციას. ამის შემდეგ ამაგრებენ კონტეინერის ჩასაკეტ: მოწყობილობას, ჩამოკიდებენ გამგზავნის პლომბსა და ფირფიცრის ბირკას გამგზავნი და მიმღები სადგურების აღნიშვნით, ტვირთის გამგზავნთა და მიმღებთა დასახელებით. სატრანსპორტო ორგანიზაცია, მიიღებს რა გადასაზიდად კონტეინერს, გამგზავნს აძლევს სატვირთო ქვითარს.

კონტეინერებიდან საქონლის დატვირთვა-განტვირთვა ხორციელდებ-

ბა გამგზავნთა და მიმღებთა მიერ. ბაქნებსა და ავტომანქანებზე კონტინერების დატვირთვა და გადმოტვირთვა. საერთო სარგებლობის ადგილებში წარმოებს რკინიგზის მიერ, არასაერთო სარგებლობის ადგილებში — ტვირთების გამგზავნთა ან მიმღებთა მიერ.

კონტინერებით ტვირთი გადასაზიდად მიიღება ტვირთის გამგზავნთა მასისა და პლომბის მიხედვით. წესრიგში მყოფი კონტინერით და ტვირთის გამგზავნის დაუზიანებელი პლომბებით მოსული ტვირთი გაიყემა მიმღებზე მასის მდგომარეობისა და ადგილების შესამოწმებლად. კონტინერის გახსნამდე მიმღები ათვლიერებს მის ტექნიკურ წესიერობას და პლომბების მდგომარეობას. კონტინერის ან პლომბების უწესიერობის დროს მიმღებს უფლება აქვს მოთხოვოს სატრანსპორტო ორგანიზაციას ტვირთის მდგომარეობის შემოწმება და კომერციული აქტის შედგენა.

კონტინერებით ტვირთის გადაზიდვა პირდაპირი და შერეული მიმოსვლის დროს ხორციელდება იმ პუნქტებს შორის, რომლებსაც აწესებენ შესაბამისი სატრანსპორტო სამინისტროები და უწყებები, ტვირთის საკმარისი ნაკადისა და მოწყობილი მოედნების არსებობისას.

კონტინერული გადაზიდვების დანერგვის პარალელურად საკმაოდ ფართო განვითარება პოვა ტვირთების საპაკეტო გადაზიდვამ პოდონებზე, შეკვრებად და ა. შ. ასეთი გადაზიდვების მოცულობამ 1976 წ. გადააჭარბა 123 მლნ ტ. პაკეტებში გადაიზიდება ძირითადად მასობრივი ტვირთი.

ვაკრობაში დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოზე დასაქმებულია მილიონ კაცზე მეტი. კონტინერული და საპაკეტო გადაზიდვების ფართო დანერგვა საშუალებას მოგვცემს შევამციროთ მათი რაოდენობა, შევამსუბუქოთ შრომა, დავაჩქაროთ საქონლის წინ წაწევა, შევამციროთ სატრანსპორტო ხარჯები. ამჟამად შექმნილია კონტინერები რამდენიმე ტიპის სხვადასხვა დანიშნულების, ტევადობისა და დამზადების მასალების მიხედვით. ზოგიერთი მათგანი გამოიყენება მინდვრებიდან კარტოფილისა და ბოსტნეულის გადასაზიდად და საწყობებში შესანახად, სხვა შემთხვევაში წინასწარ დაფასოებულ საქონელს მიიტანენ სამრეწველო საწარმოებიდან და საწყობებიდან მაღაზიებში. ასეთი კონტინერები წარმატებით ახამებენ თვითმომსახურების დარბაზებში ტარისა და სავაჭრო მოწყობილობის როლს. განთავისუფლების მიხედვით ისინი ხელახლა უბრუნდება მიმწოდებელს. კონტინერებით საქონლის მიწოდების ფართოდ დანერგვისათვის საჭიროა მათი წარმოების გაფართოება, სპეციალიზებული ტრანსპორტის გამოშვება, მაღაზიების სათავსების შეგუება კონტინერებით მუშაობისადმი.

ვაკრობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სატრანსპორტო-საექსპედიციო ოპერაციების ცენტრალიზაციას, რომელთა შესრულება სახელშეკრულებო საწყისებზე გადაეცემა სპეციალურ ორგანიზაციებს. აშუა-

მად რკინიგზებზე მოქმედებენ სატრანსპორტო-საექსპედიციო ოპერაციების სახაზო კანტორები და საქალაქო სასაქონლო კანტორები, საზღვაო ტრანსპორტზე — საზღვაო სსკ, სამდინარო ტრანსპორტზე — სამდინარო სსკ, საავტომობილო ტრანსპორტზე — ტრანსსაავტო. ხელშეკრულებათა შესაბამისად მათ შეუძლიათ შეასრულონ ტვირთის მიმღებთა და გამგზავნთა მთლიანი ან არამთლიანი სატრანსპორტო-საექსპედიციო მომსახურება. ყველაზე ეფექტურია მთლიანი მომსახურება, ვინაიდან ამ დროს უზრუნველყოფილია გადაზიდვის მთელი ციკლი გამგზავნის საწყობში ტვირთის მიღებიდან მის ჩაბარებამდე მიმღების საწყობში ან მალაზიაში.)

ტრანსპორტის მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების ამოცანა, მეათე ხუთწლედის ამოცანებთან შესაბამისად, შეიძლება წარმატებით გადაწყდეს მხოლოდ სატრანსპორტო, სავაჭრო-მომმარაგებელი ორგანიზაციებისა და მიმწოდებლების ერთობლივი ღონისძიებებით. მისი გადაწყვეტისათვის აუცილებელია დამუშავდეს და დავიცვათ მიმწოდებლებთან საქონლის მიმღებთა მიმაგრების ოპტიმალური ვარიანტი, მიზანშეწონილია ტვირთსაქადების განაწილება ტრანსპორტის სახეობათა შორის, არარაციონალური გადაზიდვების აცილება, დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციის გამოყენება. ამ ამოცანების პრაქტიკულად გადაწყვეტაში დიდ დახმარებას უწევს ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდებისა და ეგმ-ის გამოყენება.

ტრანსპორტის მუშაობის ოპტიმიზაციის მეთოდები ყველაზე ეფექტურად გამოიყენება სხვადასხვა ტვირთის გადაზიდვების კომპლექსური დაგეგმვის დროს. მაგრამ სახალხო მოხმარების საქონლის ფართონომენკლატურა, სატრანსპორტო საშუალებათა ნაკლებობა საშუალებას იძლევა გამოყენებულ იქნეს ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდები მხოლოდ ცალკეული სახის ტრანსპორტის მუშაობის ოპტიმიზაციისათვის. ზემოთ (IX თავის § 6) განხილული იყო რკინიგზის ტრანსპორტზე საქონლის გადაზიდვების ოპტიმიზაციის საკითხები საქონლის მოძრაობის რაციონალური გზების დამუშავების დროს. განვიხილოთ მოცდილება და შესაძლებლობანი სხვა სახის ტრანსპორტის მუშაობის ოპტიმიზაციის შეფარდებით სახალხო მოხმარების საქონლის გადაზიდვებთან.

ამჟამად ყველაზე ფართოდ გამოიყენება სატრანსპორტო ამოცანის ხაზობრივი პროგრამირების მეთოდები საავტომობილო ტრანსპორტით შიდასაქალაქო და შიდარაიონული საქონლის გადაზიდვების დროს. ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში მრავალი წელია წყდება სატრანსპორტო ორგანიზაციების საქმიანობის ცალკეულ მხარეთა ოპტიმიზაციის ამოცანები პურ-პროდუქტების, რძის პროდუქტებისა და სხვა სახალხო მოხმარების საქონლის გადაზიდვების დროს. სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის მსხვილ საცალო და საბითუმო სავაჭრო საწარ-

შობებში თავისი ტრანსპორტის არსებობა ამარტივებს ამოცანის გადაწყვეტას.

ამოცანის ყველაზე გავრცელებული გადაწყვეტა მდგომარეობს საავტორო საწარმოების (მაღაზიების) ოპტიმალურ მიმავლებაში მიმწოდებლებისადმი (პურის ქარხნები, რძის ქარხნები, მაცივრები). ჩვეულებრივ, ამოცანა გადაწყდება ან ტონა-კილომეტრებით გარბენის კრიტერიუმით ან საექსპლოატაციო დანახარჯების მინიმუმის მიხედვით (ტარიფები, თვითღირებულება). ყველაზე მძიმე ეტაპს წარმოადგენს საწყისი ინფორმაციის შეკრება.

გადაზიდვების დაგეგმვა ხორციელდება ასეთი წესით. ყოველდღიურად რძის ქარხანა (პურის ქარხანა) 14 საათამდე იღებს ტელეფონით მომხმარებლებისაგან განაცხადებს. რძის ქარხნის განაცხადი განზოგადებული სახით გადაეცემა ავტოსაწარმოს. დისპეტჩერი შეფრავს განაცხადს და მას გადასცემს გკ, სადაც საწყის მონაცემებს უკეთებენ პერფორაციას და ამოცანა გადაწყდება ეგმ-ზე. ნაბეჭდი სახით გაიცემა მარშრუტ-დავლება, რომელშიც აღინიშნება: გადაზიდვების საერთო მოცულობა, საერთო გარბენა, განწესში ყოფნის დრო, თარიღი, ავტომანქანის მარკა, მიმწოდებლისა და მიმღებთა მისამართები, მანძილი თითოეულ მათგანს შორის, ტვირთის მასა.

გარდა ამისა, ეგმ გასცემს ამოცანის გადაწყვეტის შედეგების ნაერთი მაჩვენებლების ტაბულას და განაცხადების ნუსხას, რომელიც დაუკვემავი დარჩა.

მაგრამ მომხმარებლებთან მიმწოდებლების ოპტიმალური მიმავლების ამოცანის გადაწყვეტის დროს ყოველთვის არ ითვალისწინებენ სატრანსპორტო საშუალებათა მფლობელების ინტერესებს მათი ეფექტურად გამოყენების მხრივ: არ უზრუნველყოფენ ავტომანქანის მინიმალურ ნულოვან გარბენას, რაციონალური მარშრუტების შედგენას.

ამიტომ ხშირად წარმოიშობა ამოცანის კომპლექსურად გადაწყვეტის აუცილებლობა: ავტომანქანების ტვირთიანად მოძრაობის და ცარიელი მანქანების დაბრუნების მარშრუტების ოპტიმიზაცია, რის შემდგომაც ორივე გაანგარიშებას ურთიერთთან აკავშირებენ. დამუშავებულია ასეთი ამოცანის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი და მისი გადაწყვეტის საფუძველზე მარშრუტების შედგენის მეთოდოლოგია. საავტომობილო ტრანსპორტის გამოყენებასთან დაკავშირებული ამოცანების კომპლექსური გადაწყვეტა საშუალებას იძლევა მივიღოთ ეკონომიკური ეფექტი გადაზიდვათა მანძილების 7-15%-ით შემცირების, ცარიელი გარბენის 15-30%-ით შემცირების და გარბენის გამოყენების კოეფიციენტის 7-20%-ით გადიდებით.

უკანასკნელ წლებში ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდები ფართოდ გამოიყენება წყლის და საპაერო ტრანსპორტით გადაზიდვების ოპტიმიზაციის ამოცანების გადაწყვეტის დროს. სამდინარო და საზღვაო

ფლოტით გადაზიდვების დაგეგმვისას სახაზო პროგრამირების სატრანსპორტო ამოცანის მეთოდების გამოყენება საშუალებას გვაძლევს გავიანგარიშოთ საქონლის გადაზიდვების მიმართულებათა ოპტიმალური სქემები, რომლებიც უზრუნველყოფენ მინიმალურ საექსპლოატაციო დანახარჯებს ან გემების დაბრუნებითი გარბენების მინიმუმს, ტრანსპორტირების შერეულ სახეებთან ურთიერთდაკავშირებისა, შემხვედრი გადაზიდვებისა და ცარიელი გარბენების თავიდან აცილების გათვალისწინებით საპაერო ტრანსპორტით, საქონლის გადაზიდვების დაგეგმვისას მათემატიკური მეთოდები გამოიყენება საპაერო ხაზებზე თვითმფრინავების ოპტიმალური განაწილების ამოცანის გადაწყვეტის დროს. ცალკეული საქონლის მოსახმარი თვისებებისა და გადაზიდვების სისწრაფის საფუძველზე.

§ 7. ტვირთების გადაზიდვის ტარიფები

სატრანსპორტო საწარმოების მიერ შესრულებულ სამუშაოთა მიხედვით ისინი ახდენიან ტვირთის გამგზავნით და მიმღებთ გარკვეულ გასამრჯელოს დადგენილი ტარიფების მიხედვით.

ტარიფები გეგმური ფასია (განაკვეთია) ტვირთის, მგზავრების, ბარგის, ფოსტის გადაზიდვაზე და სატრანსპორტო პროცესთან დაკავშირებულ სხვა სამუშაოთა ჩატარებაზე. ტარიფები — გადაზიდვების ღირებულების ფულადი გამოსახულებაა. მათი აგების ამოსავალი ბაზაა გადაზიდვების ღირებულება, რომელშიც ჩართულია მატერიალური დანახარჯები გადაზიდვებზე, მუშაკთა შრომის ანაზღაურება და სატრანსპორტო ორგანიზაციების მოგება.

სსრ კავშირში ტარიფების აგების საფუძველად მიღებულია შრომის საზოგადოებრივად აუცილებელი დანახარჯები, ე. ი. სატრანსპორტო პროდუქციის ღირებულება. ამით ისინი განსხვავდებიან კაპიტალისტური საზოგადოების ტარიფებისაგან, სადაც მათ სიდიდეზე მუდმივად ახდენს სტიქიურ ზეგავლენას ღირებულების კანონი და სხვადასხვა სახის ტრანსპორტის შორის კონკურენცია. ტრანსპორტის „პროდუქციას“ წარმოადგენს გადაზიდული ტვირთის მოცულობა, გამოსახული ტონა-კილომეტრებში (ტკმ).

ტარიფების სწორ აგებას დიდი სახალხო მეურნეობრივი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ისინი წარმოადგენენ მნიშვნელოვან და ყველაზე ზუსტ მაჩვენებელს სატრანსპორტო დანახარჯების აღრიცხვისათვის საწარმოო ძალების განლაგების ამოცანის გადაწყვეტის დროს; გადაზიდვებისათვის უმოკლესი მანძილების და ყველაზე სასარგებლო სახის ტრანსპორტის შერჩევის დროს; სატრანსპორტო საშუალებათა ტვირთშინდობისა და გარბენის ეფექტური გამოყენების, საქონლის წარმოებისა და მიმოქცევის სფეროში ხარჯების შემცირების დროს.

სატრანსპორტო დანახარჯები მოიცავს ყველა ხარჯის პროდუქციის ტრანსპორტირებაზე მიმწოდებლებისაგან ან ტვირთის გამგზავნებისაგან მომხმარებლამდე. ეს დანახარჯები მოიცავენ მაგისტრალური სახის ტრანსპორტით ტვირთის გადაადგილების ხარჯებს; სადგურებზე, ნავსადგურებსა და ნავმისადგომებზე ტვირთის შეზიდვა-გაზიდვის ოპერაციებს; ტვირთის გადასაზიდად გამზადებას; მისასვლელი გზების მოვლა-შენახვას და სხვ.

სახელმწიფო გეგმური წესით აწესრიგებს ტარიფების დონეს, აქტიურად ახდენს ზეგავლენას სატრანსპორტო კავშირების რაციონალიზაციაზე. ტარიფების გადიდების ან შემცირების გზით წარმოებს წახალისება ან, პირიქით, შეფერხება ტვირთის გადაზიდვების განვითარებისა გარკვეული მიმართულებებით ან ტრანსპორტის ცალკეული სახეებით. ასე, უფრო დაბალი სატარიფო განაკვეთები წესდება ტვირთის გადაზიდვაზე სატრანსპორტო საშუალებათა მსვლელობისას ცარიელი მიმართულებით, შერეული სარკინიგზო-სამდინარო მიმოსვლისა და მარშრუტებით გაგზავნისას. ამავე დროს, მაგალითად, რკინიგზის ტრანსპორტზე იზღუდება არარაციონალური ზედმეტად შორეული და მოკლეგარბენითი გადაზიდვები. ეს კეთდება პირველ შემთხვევაში საქონლის ადგილობრივი წარმოების სტიმულირებისათვის, ხოლო მეორეში — მოკლე მანძილზე საავტომობილო ტრანსპორტის გამოყენების მიზნით.

სატრანსპორტო ხარჯების ეკონომია წარმოადგენს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების დიდ რეზერვს. ამიტომ ჩვენს ქვეყანაში ტარდება მრავალი სხვადასხვა ღონისძიება სატრანსპორტო ხარჯების შემცირებისათვის. ეს არის საწარმოო ძალების განლაგების გაუმჯობესება, მიწოდებისა და გადაზიდვის დაგეგმვის სრულყოფა, ამ მიზნებისათვის მათემატიკური მეთოდების და ეგმ-ის გამოყენება. გაანგარიშებულია, რომ მხოლოდ ოპტიმალური ტვირთნაკადების საერთო ბადური სქემების დანერგვის მეოხებით შეიძლება 7%-ზე მეტით შევამციროთ შესასრულებელი სამუშაოს საერთო მოცულობა (ტპმ) იმავე საბოლოო შედეგებით. მიმოქცევის სფეროში ტრანსპორტზე ხარჯების მხოლოდ 1%-ით შემცირება შესაძლებლობას გვაძლევს მივიღოთ წელიწადში 500 მლნ მანეთამდე ეკონომია.

ტარიფები წარმოადგენს სახესხვაობას საბითუმო და საცალო ფასებს შორის სატრანსპორტო პროდუქციაზე, ე. ი. სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვებზე. განსხვავება მდგომარეობს მასში, რომ ტარიფები დგინდება პროდუქციაზე (გადაადგილება), რომელსაც არა აქვს განვითარებული სახე.

ამჟამად ქვეყნის სახალხო მეურნეობაში გამოიყენება შემდეგი საბითუმო ფასები ფრანკოს სახეების მიხედვით:

მიმწოდებლის ფრანკო-საწყობი, როდესაც პროდუქციის მომხმარებელი იხდის ყველა სატრანსპორტო ხარჯს, დაწყებული მიმწოდებლის საწყობიდან;

ფრანკო-ვაგონი-გამგზავნი სადგური. ამ შემთხვევაში ტვირთის მიტანა მაგისტრალურ ტრანსპორტთან და ჩატვირთვა ზორციელდება გამგზავნის ანგარიშზე, ხოლო გადასაზიდ ტარიფს გამგზავნის სადგურიდან დანიშნულების სადგურამდე იხდის ტვირთის გამგზავნი, მაგრამ ტვირთის მიმღების ანგარიშზე;

ფრანკო-ვაგონი-დანიშნულების სადგური. ამ პირობებში ყველა სატრანსპორტო ხარჯს ტვირთის მიტანისათვის დანიშნულების სადგურამდე იხდის ტვირთის გამგზავნი.

საზოგადოებრივი სარგებლობის ყველა სახის ტრანსპორტზე ტვირთის გადაზიდვის ტარიფებს აქვთ მსგავსი დიფერენციაცია, რომელშიც გათვალისწინებულია განსხვავებანი გადაზიდვების ღირებულებაში. სატარიფო განაკვეთების სიდიდის შეცვლას 10 ტკმ-ზე ტვირთის სახის მიხედვით ეწოდება ტარიფების დიფერენციაცია ტვირთის მიხედვით. ამასთანავე, მხედველობაში მიიღება ტვირთის გადაზიდვის პირობები, მოძრაიე შემადგენლობის ხასიათი, ტვირთმზიდლობის გამოყენება და სხვ. რამდენადაც გადაზიდვის თვითღირებულება 10 ტკგ ერთი და იმავე ტვირთისა სხვადასხვა მანძილზე ერთნაირი არ არის, შემოღებულია სატარიფო განაკვეთების შესაბამისი დიფერენციაცია. მაგრამ სხვადასხვა სახის ტრანსპორტზე საერთო პრინციპებთან ერთად ტარიფების აგების სისტემაში, გადაზიდვის საფასურის გაანგარიშების ხერხებში, ტარიფების გამოყენების წესში არსებობს თავისებურებანი.

რკინიგზის ტარიფები სატვირთო გადაზიდვებზე ვრცელდება რკინიგზის მთელ ქსელზე. სატარიფო განაკვეთები დიფერენცირებულია ტვირთის სახის, გადაზიდვის მანძილისა და სიჩქარის, მასისა და გზავნილების სახის მიხედვით.

რკინიგზის ტრანსპორტზე მოქმედი ტარიფები იყოფა საერთო, განსაკუთრებულ და ადგილობრივ ტარიფებად.

საერთო ტარიფები გამოიყენება ტვირთის უმეტესი ნაწილის გადაზიდვაზე რკინიგზების მთელ ქსელზე.

განსაკუთრებული ტარიფები დადგენილია ზოგიერთი ტვირთის გადაზიდვაზე ან განსაზღვრულ სადგურებს შორის. ისინი შეიძლება იყოს მეტი ან ნაკლები საერთო ტარიფებთან შედარებით დასახული მიზნის მიხედვით. შემცირებული ტარიფები გამოიყენება ზოგიერთი ტვირთის გადასაზიდად „ტარიელი“ მიმართულებით, პირდაპირ შერეულ სატრანსპორტო-წყლის მიმოსვლისა და დაშორებულ რაიონებში. გადიდებული ტარიფების გამოყენების მიზანია შეიზღუდოს განსაზღვრული გადაზიდვები. მაგალითად, გადიდებული ტარიფი არსებობს დაუშლელი სახით

ავტომანქანების 300 კმ-მდე მანძილზე გადაზიდვისას. ასეთ შემთხვევაში უფრო მიზანშეწონილია მანქანების თავისი სვლით გარბენა.

აღგილობრივი ტარიფები გამოიყენება ტვირთის გადასაზიდად ცალკეულ მონაკვეთებზე, რომლებიც არაა ჩართული რკინიგზების საერთო ქსელში. გათვალისწინებულია სატვირთო ტარიფების ღირებულების გაზრდა გზავნილებათა სახეებისა და მასის მიხედვით, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ 10 ტკმ გაანგარიშებით მცირესავაგონო და საკონტეინერო გზავნილებათა განაკვეთები სხვადასხვაა. ყველაზე დაბალი სატარიფო განაკვეთები დადგენილია ტვირთების ვაგონებით გაგზავნაზე დიდ მანძილზე, მაგრამ გადაზიდვების დადგენილი სიშორის ფარგლებში. ამასთანავე, ანგარიშსწორება ტვირთის გამგზავნთან წარმოებს ვაგონის დანიშნულების პუნქტამდე მანძილის მიხედვით, მიუხედავად იმისა, ვაგონი ნორმის მიხედვით მთლიანად თუ ნაწილობრივ იყო ჩატვირთული. ეს ასტიმულებს ვაგონების ტვირთშვიდაობის უფრო სრულად გამოყენებას.

ტვირთის მცირე გზავნილებით ვაგონებით გაგზავნასთან შედარებით დადგენილია უფრო მაღალი გადასაზიდი ქირა, მაგრამ ის მცირდება გზავნილების სიდიდის ზრდის მიხედვით.

კონტეინერებით ტვირთების გადაზიდვაზე სატარიფო განაკვეთები მნიშვნელოვნად მაღალია ვაგონებით გზავნილებასთან შედარებით. ეს გამოწვეულია საექსპედიციო ოპერაციების, საკონტეინერო მოედნების შენახვისა და კონტეინერების რემონტისათვის საჭირო დამატებითი ხარჯებით. კონტეინერებით გადაზიდვების გადასაზიდი ქირა მცირდება კონტეინერების ტვირთშვიდაობის გადიდების მიხედვით. მაგალითად, სატარიფო განაკვეთი ტვირთის გადაზიდვისას კონტეინერით, რომლის მასაა ბრუტო 3 ტ., 60—80% -ით მაღალია ვიდრე კონტეინერით, რომლის მასა ბრუტო 10—20 ტ. ისე როგორც ვაგონებით გზავნილების დროს, გადასაზიდი ქირა გამგზავნს გადახდება კონტეინერის სრული ტვირთშვიდაობის მიხედვით.

არსებობს თავისებურებანი გადასაზიდი გადასახდელის განსაზღვრაში მალფუქებადი და ჩასახსმელი ტვირთისა და პირდაპირი მიმოსვლით რკინიგზისა და სხვა სახის ტრანსპორტის გადაზიდვაში. სატარიფო განაკვეთები უფრო მაღალია სპეციალურად მოწყობილი ვაგონებით ტვირთის გადაზიდვის დროს. მაგალითად, იზოთერმული ვაგონებით კონსერვების 300 კმ მანძილზე გადაზიდვის სატარიფო განაკვეთი ვაგონების გარეშე 2,3-ჯერ, ხოლო ვაგონების დროს 3,8-ჯერ უფრო მაღალია, ვიდრე ჩვეულებრივი დახურული ვაგონებით.

რკინიგზით დიდი სიჩქარით ტვირთის გადაზიდვისას გადასახდელი ორმაგდება.

სატარიფო განაკვეთის განსაზღვრისას ტვირთის მასა მრგვალდება; 10 ტ. ფარგლებში დამრგვალება წარმოებს 100 კგ-მდე, ხოლო 10 ტ ზევით გაგზავნისას — ტონამდე. მაგალითად, 650 კგ. მრგვალდება 700

კვ-მდე, ხოლო 11,4 ტ. — 12 ტონამდე. რკინიგზებზე გადასაზიდი გადასახდელის გასაანგარიშებლად მინიმალურ მანძილად ითვლება 50 კმ.

გადაზიდვების მანძილები აღირიცხება სიშორის სარტყელების მიხედვით. სულ დადგენილია 126 ასეთი სარტყელი. ისინი თანაბარფასოვანი არაა და შეუძლიათ მოცუვან 10 კილომეტრი მანძილიდან, თუ გადაზიდვების საერთო მანძილი 51-დან 100 კმ-მდეა, და 200 კილომეტრამდე, თუ საერთო მანძილი 5501—13500 კილომეტრის ფარგლებშია.

რკინიგზის ტრანსპორტზე წარმოებს ზოგიერთი დამატებითი დანახარჯი, რომლებიც უნდა აანაზღაუროს ტვირთის გამგზავნმა. სპეციალური ანაკრეფების დასახელება და მათი სიდიდე გათვალისწინებულია სატარიფო სისტემით. ეს შეიძლება იყოს ანაკრეფები ტვირთების სადგურებზე დადგენილი ნორმების ზევით შენახვისათვის, ტვირთის აწონვისათვის გაგზავნის ან გაცემის დროს, ვაგონების მიწოდებისათვის გამგზავნის საწყობებთან, ტვირთის მიმღებთა შეტყობინებისათვის ტვირთის მოსვლის შესახებ, საექსპედიციო ოპერაციების შესრულებისათვის, სატრანსპორტო ორგანიზაციების მიერ დატვირთა-განტვირთის სამუშაოთა შესრულებისა და სხვ.

ტარიფების გამოყენების წესები და თანმიმდევრობა, ასევე გადასახდელის განსაზღვრა ტვირთის გადაზიდვისათვის მოცემულია სატარიფო სახელმძღვანელოებში. № 1 სატარიფო სახელმძღვანელო შედგება ორი ნაწილისაგან. პირველი მოიცავს სამ განაყოფს— „A“, „B“ და „B“. „A“ განაყოფში მოტანილია ტვირთის გამოყენების წესები სხვადასხვა სახის ტვირთის გადაზიდვისათვის განსაზღვრულ პირობებში და ცნობები ანაკრებებზე ტვირთის მფლობელებისაგან, ჯარიმებსა და მათი გამოყენების პირობებზე.

„B“ განაყოფში მოტანილია ტვირთის ერთიანი სატარიფო-სტატისტიკური ნომენკლატურა. ის შედგება 10 განაყოფისაგან, რომელთა საფუძვლად მიღებულია ტვირთის საწარმოო ნიშანი. I განაყოფში დაჯგუფებულია სოფლის მეურნეობის მთელი პროდუქცია. გარდა ამისა, უოველ განაყოფში საქონელი შერჩეულია ჯგუფებად საერთო ნიშნის მიხედვით. მაგალითად, IX განაყოფში ჩგუფი 58 აერთიანებს „კონსერვებს“. რამდენადაც ერთი ჩგუფის ფარგლებში ტვირთის გადაზიდვის პირობები, მოძრავი შემადგენლობა შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს, იმდენად გადაზიდვების თვითღირებულება და ტარიფები ერთმანეთისაგან განსხვავდება. ამ მიზნით ტვირთის დასახელებისათვის თითოეულ ჯგუფში დადგენილია რიგითი ნომრები, რომლებსაც უწოდებენ პოზიციებს. თითოეულ ტვირთს ჩგუფისა და პოზიციაში მიკუთვნებული აქვს სატარიფო სქემის ნომერი, რათა გაიოლდეს მუშაობა სატარიფო გადასახდელის განსაზღვრისათვის ცალ-ცალკე წერილი გზავნილებით, ვაგონებით და კონტეინერებში გადაზიდვისათვის. რომელიმე ტვირთისათვის განსაკუთრებული ტარიფის გამოყენების შემთხვევაში იქვე ჩგუ-

ფსა და პოზიციაში მითითებულია საერთო ტარიფის შემცირების ან გადიდების ოდენობა.

№ 1 სატარიფო სახელმძღვანელოს „B“ განაყოფში მოტანილია ტვირთის ანბანური მაჩვენებელი. თითოეული დასახელების ტვირთს აქვს სამნიშნა ნომერი: ორი პირველი ციფრი უჩვენებს ჯგუფს, ხოლო მესამე — ჯგუფის პოზიციას, რომლისთვისაც მიკუთვნებულია მოცემული ტვირთი.

№ 1 სატარიფო სახელმძღვანელოს მეორე ნაწილში მოტანილია სპეციალური სატარიფო სქემები გადასაზიდი გადასახდელის განსაზღვრისათვის.

სატარიფო სქემა უჩვენებს განაკვეთების სიდიდეს ტვირთის გადაზიდვისათვის ტვირთის სახის, გზავნილების მასისა და მანძილის გათვალისწინებით. სატარიფო სისტემა სულ ითვლის 151 სატარიფო სქემას, მათ შორის 1 — მცირე გზავნილებისათვის, 5 — კონტეინერებით გადაზიდვისათვის, 90 — მშრალი ტვირთის ვაგონებით გზავნილებისათვის, 48 — მალფუქებადი საქონლის ვაგონებით გზავნილებისათვის, 7 — თხევადი ტვირთების ტონობით გადაზიდვისათვის.

ტვირთის გადასაზიდი გადასახდელის გაანგარიშება წარმოებს ასეთი წესით: № 4 სატარიფო სახელმძღვანელოს მიხედვით განისაზღვრება უმოკლესი სატარიფო მანძილი გამგზავნი სადგურიდან მიმღებ სადგურამდე — შემდეგ ტვირთის დასახელების მიხედვით № 1 სატარიფო სახელმძღვანელოს, I ნაწილის „B“ განაყოფის ანბანურ ნუსხაში განისაზღვრება მისი ჯგუფი და პოზიცია. ჯგუფისა და პოზიციის მონაცემების საფუძველზე შესაბამისად № 1 სატარიფო სახელმძღვანელოს I ნაწილის „B“ განაყოფისა სატარიფო ნომენკლატურის მიხედვით, განისაზღვრება სქემის ნომერი გადასაზიდი გადასახდელის გაანგარიშებისათვის კონტეინერებში, მცირე ან ვაგონობით გზავნილებისათვის. შემდეგ სატარიფო სქემის ნომერის მიხედვით № 1 სატარიფო სახელმძღვანელოს II ნაწილში ნახულობენ საანგარიშო ტაბულას, რომელშიც მოთავსებულია საძიებელი სქემა.

შესაძლებელი ანაკრებები ტვირთის გამგზავნებისაგან განისაზღვრება № 1 (ნაწილი 1, § 31 და 41) სატარიფო სახელმძღვანელოთი.

საზღვაო ტრანსპორტზე გადასაზიდი გადასახდელი გაიანგარიშება ფრახტისა და ტარიფის მიხედვით. ფრახტი არის ერთდროული ფასი გადაზიდვისათვის ფრახტის მიმღების, ე. ი. გემის მფლობელსა და დამფრახტავის — გემის დამქირავებელს შორის შეთანხმებისა. ფრახტს მიმართავენ წესებით განსაზღვრულ შემთხვევებში, როდესაც ტარიფის გამოყენება შეუძლებელია. ტარიფი განსხვავდება ფრახტისაგან იმით, რომ ის წარმოადგენს მუდმივმოქმედ და ერთნაირფასს ყველა ტვირთ-გამგზავნისათვის საზღვაო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვისას.

საზღვაო ტრანსპორტზე ტარიფები იყოფა ძირითადად, განსაკუთრე-

ბულად და ადგილობრივად. ძირითადი ტარიფები გამოიყენება ჩვეულებრივ პირობებში ტვირთების უმეტესობის გადაზიდვისათვის.

განსაკუთრებული ტარიფები ძირითად ტარიფებზე მაღალია ან დაბალი და გამოიყენება ზოგიერთი ტვირთის გადასაზიდად ცალკეულ რაიონებში. ადგილობრივი ტარიფები დადგენილია ნაოსნობის მიერ მათი სამოქმედო რაიონის ფარგლებში.

საზღვაო ტრანსპორტზე არსებობს, აგრეთვე ცალკეული ტარიფები დიდი და პატარა კაბოტაჟით და საზღვარგარეთ ცურვაზე. სხვადასხვაობაა ტარიფებში მშრალი და ჩასასხმელი ტვირთის გადაზიდვისათვის. ყველა ტარიფს აქვთ ორგანაკვეთიანი ფორმა, ცალკე განსაზღვრულია განაკვეთი ერთ ტონა-ხაზზე მოძრაობით ოპერაციაზე და ცალკე ერთ ტონაზე დგომითი ოპერაციაზე. მოძრაობითი ოპერაციების განაკვეთები ცურვის ყველა სახეობაზე დადგენილია 10 კლასი და ამის მიხედვით განასხვავებენ ყველა სახის ტვირთს. ამასთანავე, მინიმალური დასატვირთი მოცულობის ტვირთი მიკუთვნებულია უმაღლეს — 10 კლასს და მათზე დადგენილია მინიმალური გადასაზიდი გადასახდელი. არსებობს სატარიფო განაკვეთების დიფერენციაცია მშრალი ტვირთის გადაზიდვებზე აუზების მიხედვით. მათგან ყველაზე მაღალი ტარიფი მოქმედებს ქვეყნის ჩრდილოეთის და აღმოსავლეთის რაიონებში.

ტვირთის გადასაზიდი გადასახდელი დადგენილია უმოკლეს მანძილზე, რომელიც განისაზღვრება სატარიფო სარტყელის მიხედვით. დიდი კაბოტაჟში ყველა სარტყელს აქვთ სიგრძე 100 კმ, მცირე კაბოტაჟში ისინი დიფერენცირებულია. გადასაზიდ გადასახდელში ჩართულია სავალდებულო სატვირთო ანაკრები, ერთი ტონის დატვირთვა-განტვირთვისათვის გაანგარიშებით, რომელიც დიფერენცირებულია ტვირთის სახეების მიხედვით. გამგზავნი იხდის აგრეთვე სხვა ოპერაციებისა და მომსახურების ღირებულებას.

საბოლოო ჯამში საზღვაო ტრანსპორტზე გადასაზიდი გადასახდელის გაანგარიშება შეიძლება წარმოდგეს შემდეგი სახით:

$$T_n = a_0 + a_n + B_1 + C_1 + C_y,$$

სადაც a_0 და a_n შესაბამისად განაკვეთებია დგომითი ოპერაციისა გამგზავნი და დანიშნულების ნავსადგურებში ერთ ტონაზე, კაპ.;

B — მოძრაობის ოპერაციის განაკვეთი ერთ ტონა-მილზე, კაპ.;

l — მანძილი გადაზიდვების საშუალო სარტყლების მიხედვით მილი;

C_0 — ნავსადგურების სავალდებულო სატვირთო ანაკრები ერთ ტონაზე, კაპ.;

C_y — გემისა და სხვა ანაკრებები ოპერაციებისა და მომსახურებისათვის.

საზღვაო ტრანსპორტით ტვირთის გადასაზიდი გადასახდელი განისაზღვრება № 11—01 პრეისკურანტით, რომელსაც აქვს ხუთი განაყო-

ფი. მათში მოთავსებულია ტარიფების და ანაკრებების გამოყენების საერთო წესები (განაყოფი „A“), ტვირთის კლასიფიკაცია (განაყოფი „B“), ანბანი ტვირთის ნომენკლატურის, ჯგუფების, პოზიციების, კლასისა და ანაკრებების განაკვეთებისა (განაყოფი „B“) მოცემულია მოძრაობისა და დგომის ოპერაციების განაკვეთები (განაყოფი „F“), ტარიფების და განაკვეთების გამოყენების წესები ჩასასხმელი ტვირთის გადასაზიდი გადასახდელის გასაანგარიშებლად (განაყოფი „M“).

სამდინარო გზებით ტვირთის გადაზიდვის გადასახდელის გაანგარიშებისათვის ქვეყანაში მოქმედებს ერთიანი სატარიფო სისტემა. გადაზიდვების ტერიტორიული პირობების დიდმა სხვადასხვაობამ მიგვიყვანა ნაოსნობის ჯგუფების მიხედვით სამდინარო ტარიფების დიფერენციაციამდე. რსფს რესპუბლიკისათვის იგი შეადგენს ათს, ხოლო სხვა რესპუბლიკებისათვის — ექვსს; ყველაზე მაღალი ტარიფები მოქმედებს ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის რაიონების რიგი სანაოსნობისათვის..

ნაოსნობის საზღვრებში სატვირთო ტარიფები დიფერენცირებულია მიმოსვლის სახეების მიხედვით (შინაგანი წყალსავალი, შერეული სარკინიგზო-წყალსავალი, საზღვარგარეთ და სხვ.), ტვირთის სახეობისა და გადაზიდვის ხერხების (მშრალი ტვირთი, ჩასასხმელი ტვირთი, გემების ბუქსირება, ხე-ტყე და ა. შ.), გზავნილებათა სახეების მიხედვით (მთლიანი გემით, ნაკრები, მცირე და საკონტეინერო). დადგენილია აგრეთვე ცალკეული ტარიფები ტვირთის გადაზიდვისათვის მაგისტრალურ და პატარა მდინარეებზე.

პატარა მდინარეებზე ტვირთის გადასაზიდი ტარიფები უფრო მაღალია. მნიშვნელოვნად მაღალია ღირებულება მცირე პარტიოებით და კონტეინერებით გადაზიდვისა, ვიდრე მთელი გემით გაგზავნა.

სამდინარო ტრანსპორტის ტარიფებში დადგენილია მრავალრიცხოვანი განსაკუთრებული, ე. ი. გადიდებული ან შემცირებული ტარიფები. ისე, როგორც სხვა სახის ტრანსპორტზე, ტვირთის მფლობელებისაგან იღებენ დამატებით ანაკრებებს სატვირთო სამუშაოებისათვის, გადატვირთვის, აწონვის, შენახვის, გემების დეზინფექციისა და სხვ.

მშრალი ტვირთის და ჩასასხმელი ტვირთის გადასაზიდი ტარიფები დადგენილია ერთ ტონაზე მანძილის გათვალისწინებით. მინიმალური მანძილი, რომელზეც აიღება გადასახდელი გემებით ტვირთის გადაზიდვისას, უდრის 50 კმ. სამდინარო ტარიფებს აქვთ ორგანაკვეთიანი აგებულება: ცალკე განისაზღვრება გადასახდელი დაწყებითი და ბოლო ოპერაციებისათვის ერთ ტონაზე და ცალკე — მოძრაობით ოპერაციაზე გზის ერთ კილომეტრზე.

სამდინარო ტარიფები და მათი გამოყენების წესები № 3-რ სატარიფო სახელმძღვანელოშია (№ 14-01 პრეისკურანტი). ამ სახელმძღვანელოს დანაყოფებში მოყვანილია: ტარიფების, ანაკრებების, პრემიების და ჯარიმების გამოყენების წესები („A“ დანაყოფი); ტვირთის ნომენკ-

ლატურა და მათი განაწილება სატარიფო სქემების მიხედვით („B“ დანაყოფი); სატარიფო სქემები № 1-დან № 70-მდე გადასახდელის გასაანგარიშებლად მშრალი ტვირთის კონტეინერებით მთლიანი გემით და მცირე გზავნილებით მაგისტრალური და პატარა მდინარეებით გადაზიდვისათვის („B“ დანაყოფი); ჩასასხმელი და სხვა სახის ტვირთის გადასაზიდი სატვირთო სქემები („F“, „D“ და „E“ დანაყოფები).

ტვირთის გადასაზიდი გადასახდელის განსაზღვრა შერეულ სარკინიგზო-წყალსაავალი მიმოსვლით, პირდაპირი წყალსაავალი რამდენიმე მდინარითა და საზღვაო გზებით, აგრეთვე საზღვარგარეთ მიმოსვლით ხორციელდება სატარიფო სახელმძღვანელოში გამოქვეყნებული სპეციალური წესებით.

საპაერო ტრანსპორტზე ტარიფების დონე სატვირთო გადაზიდვებზე დამოკიდებულია ქვეყანაში საპაერო ხაზის მარშრუტზე, გადაზიდვის სიშორეზე, ტვირთის თავისებურებასა და გზავნილების სახეზე.

ყველა შინაგანი საპაერო ხაზი მარშრუტის მიხედვით დაყოფილია ორ ჯგუფად. ხაზების პირველი სატარიფო ჯგუფი გაივლის ქვეყნის ტერიტორიის უმეტეს ნაწილს და ყველა გადასაზიდი გადასახდელის განსაზღვრის საფუძველია. მეორე ჯგუფი მოიცავს ქვეყნის ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის რაიონების საპაერო ხაზებს პუნქტებს შორის, რომლებიც არაა ერთმანეთთან დაკავშირებული რკინიგზებით. ამ ჯგუფის ხაზებზე ტარიფები 70%-ით მაღალია.

გადაზიდვების სიშორის მიხედვით ტარიფები დიფერენცირებულია თერთმეტ სარტყელად. პირველი სარტყელი მოიცავს 200 კმ-მდე მანძილს, 1000 კმ-მდე დადგენილია ექვსი სატარიფო სარტყელი, 5000 კმ-მდე — ოთხი და მეთერთმეტე სარტყელს მიეკუთვნება 5001 კმ-ზე მეტი მანძილი.

ყველა ტვირთი მათი სახეობისა და კუთვნილების მიხედვით დაყოფილია სამ სატარიფო კატეგორიად. პირველს მიეკუთვნება: სასწრაფო, რომლებიც იგზავნება რიგგარეშე: მძიმეწონიანი — 80 კგ და მეტი; მცირე პარტიის — 200 კგ-ზე ნაკლები მასის; მალფუჭებადი, გარდა ბოსტნეულის, ხილის, კენკრის და ყურძნისა; ყვავილები, ძვირფასი ლითონები და ქვები და ა. შ. ყველა ეს ტვირთი, რომელიც ეკუთვნის სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს გადაიზიდება საბარგო ტარიფით.

მეორე კატეგორიას მიეკუთვნება მჩატე ტვირთი, ყოველგვარი შინაური ფრინველი და ა. შ. ყველა ისინი გადაიზიდება ორმაგი სატვირთო ტარიფით.

სახელმწიფო და სხვა ორგანიზაციების ყველა დანარჩენი ტვირთის გადაზიდვა, ბოსტნეულის, ხილის და კენკრის ჩათვლით, ანაზღაურდება სატვირთო ტარიფით.

ტარიფების მოტანილი სისტემა ვრცელდება თვითმფრინავების სა-

რეისო ფრენის დროს, გარდა ამისა, გამოიყენება თვითმფრინავების და ვერტმფრენების შეკვეთილი სპეციალური რეისების სისტემა. მათი ანახალურება ხორციელდება ორივე მიმართულებით საფრენი საათის თვითღირებულებისა და ავიასაწარმოს განსაზღვრული მოგების პროცენტის ვარაუდით.

საავტომობილო ტრანსპორტის ტარიფების აგებაზე დიდ გავლენას ახდენს ადგილობრივი პირობები — ადგილმდებარეობის რელიეფი, გზების მდგომარეობა, კლიმატი. ამის გამო ისინი დიფერენცირებულია მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით, ხოლო რიგ შემთხვევებში — ოლქების, რაიონებისა და ქალაქების მიხედვითაც.

ავტოტრანსპორტის სატვირთო ტარიფები არის საერთო, განსაკუთრებული, დროითი, კილომეტრების მიხედვით, ტვირთის გადაზიდვის მიხედვით რეგულარული საქალაქთაშორისო მიმოსვლისას და ტარიფები დანარჩენი მომსახურებისათვის. გარდა ამისა, სატვირთო ტარიფების სისტემაში გათვალისწინებულია წანამატები, დათმობები და ჭარიმები. საერთო ტარიფები გამოიყენება ტვირთის უმეტესი ნაწილის გადასაზიდი გადასახდელის განსაზღვრისათვის. მათი სიდიდე დამოკიდებულია ტვირთის კლასსა და გადაზიდვის მანძილზე, მოძრავი შემადგენლობის სახის გაუთვალისწინებლად, ტვირთის დაყოფა ხუთ კლასად მათი გადაზიდვის დროს ავტომანქანის ტვირთშვიდაობის გამოყენების მიხედვით ერთიანია მთელი ქვეყნისათვის. ტარიფის სიდიდე ერთ ტონაზე გაანგარიშებით ტვირთის კლასის მიხედვით იცვლება მნიშვნელოვან ფარგლებში. ასე, თუ I კლასის ტვირთის გადასაზიდ ტარიფს მივიღებთ 100%-ად, მაშინ IV კლასის ტვირთის გადასაზიდად ის შეადგენს 200%-ს, ხოლო V კლასის ტვირთისათვის — 250%-ს.

ავტოტრანსპორტის სატვირთო ტარიფები დიფერენცირებულია გადაზიდვის სიშორის მიხედვითაც 100 კმ მანძილზე; მაგალითად, I კლასის ტვირთის გადაზიდვის მანძილის გადიდებით 1-დან — 100 კმ-მდე ტარიფი მცირდება 7,3-ჯერ.

დიფერენცირებულია, აგრეთვე, კლასების მიხედვით, გარდა მცირე ვზავნილებსა და მანძილისა 500 კილომეტრამდე, სატვირთო ტარიფები რეგულარული საქალაქთაშორისო მიმოსვლისას. ეს ტარიფები დაბალია საერთო ტარიფთან 50 კმ-მდე მანძილზე გადაზიდვის დროს 27%-ით, და 100 კმ მანძილზე თითქმის 19%-ით. ეს გაკეთებულია იმ მიზნით, რომ მიიზიდონ ავტოტრანსპორტი ტვირთის გადასაზიდად მოკლე მანძილზე. განსაკუთრებითი შემცირებული ტარიფები შემოღებულია მოკლე მანძილზე მასობრივი დასაყრელი ტვირთის თვითმცლელეებით გადაზიდვისათვის.

დროითი ტარიფები ითვალისწინებს გადასახდელს ავტოსატრანსპორტო საშუალებათა გამოყენებისათვის მათი ტვირთშვიდაობის მიხედვით მუშაობის ყოველი საათისათვის. ასეთი ტარიფები მიზანშეწონი-

ლია იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია ავტოტრანსპორტის მუშაობის ზუსტი აღრიცხვა წერილი პარტიობით ტვირთის გადაზიდვის დროს.

ცალკეულ შემთხვევებში გათვალისწინებულია ავტომანქანის გარბენის კილომეტრების მიხედვით ანაზღაურება მისი ტვირთმზიდლობის მიხედვით.

15—20% -ით გადიდებული ტარიფები გამოიყენება ტვირთის გადაზიდვისას სპეციალიზებული ავტომანქანებით, არაგაბარტიანი ტვირთისა და ა. შ. ტარიფები შეიძლება გადიდდეს ავტოტრანსპორტის მუშაობისას ცუდი გზების პირობებში და ა. შ. საავტომობილო ტრანსპორტზე დადგენილია, აგრეთვე, ტარიფები დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოზე, საექსპედიციო ოპერაციებსა და სხვა მომსახურებაზე. სატვირთო სამუშაოები ანაზღაურდება ერთ ტონა-ოპერაციაზე ტვირთის სახეობისა და მექანიზაციის ხარისხის მიხედვით. საექსპედიციო მომსახურებისათვის გათვალისწინებული ანაზღაურება ერთიანი განაკვეთებით გადაზიდვების ღირებულების მიხედვით და ტვირთის კატეგორიის გათვალისწინებით.

ყველა სახის ტრანსპორტზე გათვალისწინებულია მხარეთა პასუხისმგებლობა, რომლებიც მონაწილეობენ სატრანსპორტო პროცესში, ჯარიმების სახით დადგენილი წესებისა და ნორმების დარღვევისათვის. ერთდროულად გათვალისწინებულია პრემიების გაცემა ტვირთის გამგზავნთა და მიმღებებზე სატრანსპორტო საშუალებების ვადაზე აღრე დატვირთვისა ან განტვირთვისათვის, შესრულებული სამუშაოს მაღალი ხარისხისათვის.

უმეტეს შემთხვევებში მნიშვნელოვან თანხებს ჯარიმების სახით იხდიან სავაჭრო ორგანიზაციები და საწარმოები. ტვირთის გადაზიდვის წესების, სხვადასხვა სახის ტრანსპორტის ტარიფების აგებისა და გამოყენების თავისებურებათა ცოდნა დაეხმარება ვაჭრობის მუშაკებს რომ შეიძლიონ სატრანსპორტო დანახარჯების შემცირებას.

ს ა რ ჩ ე ვ ი

თ ა ვ ი I. საცალო ვაჭრობის ძირითადი ორგანიზაციულ-სამეურნეო რგოლები

- § 1. სავაჭრო საწარმოები, მათი ამოცანები და ფუნქციები
- § 2. სახელმწიფო საცალო ვაჭრობის ორგანიზაციებისა და საწარმოების ძირითადი სახეები
- § 3. კოოპერაციული საცალო ვაჭრობის ორგანიზაციული ფორმები

თ ა ვ ი II. საცალო სავაჭრო ქსელის ორგანიზაცია

- § 1. საცალო სავაჭრო ქსელის სახეები
- § 2. საცალო სავაჭრო ქსელის სპეციალიზაცია, სავაჭრო საწარმოთა ტიპიზაცია
- § 3. სავაჭრო ქსელის განლაგება
- § 4. ქალაქის სავაჭრო ქსელის დაგეგმვა
- § 5. სოფლად სავაჭრო ქსელის აგებისა და განლაგების თავისებურებანი

თ ა ვ ი III. მოსახლეობის მოთხოვნის შესწავლა და საქონლის ასორტიმენტის ფორმირება საცალო ვაჭროვაში

- § 1. მოთხოვნის შესწავლისა და პროგნოზირების ორგანიზაცია და მეთოდოლოგია
- § 2. მოსახლეობის მოთხოვნის შესწავლის მეთოდები
- § 3. მოთხოვნის პროგნოზირების მეთოდები საცალო სავაჭრო საწარმოებში
- § 4. საცალო ვაჭრობაში საქონლის ასორტიმენტის ფორმირება

თ ა ვ ი IV. საცალო სავაჭრო ქსელის საქონელმომარაგების ორგანიზაცია

- § 1. საქონელმომარაგების ორგანიზაციისადმი წაყენებული ძირითადი მოთხოვნები
- § 2. საქონლის შემოსულობის წყაროები და საცალო სავაჭრო ქსელის მომარაგების ოპერატიული დაგეგმვა
- § 3. საცალო ქსელის საქონლით საქონელმომარაგების ფორმები
- § 4. საცალო ქსელში საქონლის მიტანის ორგანიზაცია

თ ა ვ ი V. საქონლის საცალო გაყიდვის ორგანიზაცია და ფინანსური მომსახურება

- § 1. ვაჭრობის კულტურის ცნება
- § 2. საცალო ქსელში გაყიდვის პროცესის ორგანიზაცია

§ 3. საქონლის საცალო გაყიდვის პროგრესული მეთოდები	126
§ 4. საქონლის საცალო გაყიდვის პროგრესული მეთოდების ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრის წესები	110
§ 5. შეიღველთა დამატებითი მომსახურების ორგანიზაცია	114
თ ა ვ ი VI. მალაზიური სამაზრო-ბაქმლოგიური პროცესების ორგანიზაცია. მალაზიური დაპროექტების საფუძვლიანი	118
§ 1. მალაზიური სავაჭრო-ტექნოლოგიური პროცესის შინაარსი	118
§ 2. მალაზიის სათავსების შემადგენლობა, მათი დაგეგმარება და განლაგება	126
§ 3. მალაზიური სავაჭრო-ტექნოლოგიური პროცესის ორგანიზაცია	130
§ 4. მალაზიების დაპროექტების საფუძვლები	134
თ ა ვ ი VII. შრომის მეცნიერული ორგანიზაცია ვაჭრობაში	138
§ 1. შრომის ორგანიზაციის თავისებურებანი ვაჭრობაში	138
§ 2. ვაჭრობაში შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ძირითადი მიმართულებანი	141
§ 3. მალაზიის მუშაობის რეჟიმი, შტატების რაოდენობა და სტრუქტურა	152
§ 4. შრომის მეცნიერული ორგანიზაციის სამსახურები ვაჭრობაში	156
თ ა ვ ი VIII. საბითუმო ვაჭრობის ორგანიზაციული ფორმები	159
§ 1. საბითუმო ვაჭრობის ფუნქციები და ამოცანები	159
§ 2. სახელმწიფო საბითუმო ვაჭრობის ორგანიზაციული ფორმები	166
§ 3. სამომხმარებლო კოოპერაციის საბითუმო ვაჭრობის ორგანიზაციული ფორმები	173
§ 4. საბითუმო საწარმოთა კლასიფიკაცია და მათი განლაგების პრინციპები	178
§ 5. საბითუმო საწარმოთა ფუნქციები და მათი აპარატის სტრუქტურა	185
§ 6. საბითუმო ბაზრებები და მათი როლი საბითუმო საქონელბრუნვაში	189
თ ა ვ ი IX. სატონლის მიწოდების სისტემა და სატონელმოძრაობის ორგანიზაცია	
§ 1. საქონლის მიწოდების რეგულირების საფუძვლები	192
§ 2. წარმოებასთან ვაჭრობის სამეურნეო კავშირების ფორმები	194
§ 3. საქონელზე შეკვეთები და განაცხადები	199
§ 4. საქონელმოძრაობის რაციონალური ორგანიზაციის ამოცანები	204
§ 5. მიწოდებლებისადმი მყიდველთა მიმავრების წესი	207
§ 6. საქონელმოძრაობის რაციონალური გზების დამუშავების მეთოდები	209
თ ა ვ ი X. სატონლის ბითუმად შესაღვის ორგანიზაცია	215
§ 1. საქონლის ბითუმად შესაღვის მნიშვნელობა და ძირითადი მოთხოვნები მისი ორგანიზაციისადმი	215
§ 2. მოთხოვნის შესწავლა საბითუმო ვაჭრობაში	219
§ 3. საბითუმო შესაღვის ოპერატიული დაგეგმვა და შესაღვილი საქონლის შემოსულობის ორგანიზაცია	226
§ 4. საბითუმო შესაღვის ოპერატიული აღრიცხვა და სასაქონლო მარაგის მდგომარეობისადმი კონტროლი	228
თ ა ვ ი XI. სატონლის ბითუმად გაყიდვის ორგანიზაცია	232
§ 1. საქონლის ბითუმად გაყიდვის ფორმები და მათი გამოყენების პირობები	232
§ 2. საქონლის საბითუმო გაყიდვის ოპერატიული დაგეგმვა	234

§ 3. საწყობიდან საქონლის ბითუმად გაყიდვის მეთოდები	237
§ 4. საქონლის ბითუმად გაყიდვა სატრანზიტო ბრუნვის დროს	242
თ ა ვ ი XII. რეკლამა ვაზრობაში	244
§ 1. საეპრო რეკლამის არსი და ამოცანები	244
§ 2. საეპრო რეკლამის სახეები და საშუალებანი	245
§ 3. რეკლამა მაღაზიებში	247
§ 4. საეპრო რეკლამის მაღაზიისგარეშე საშუალებანი	251
§ 5. საბითუმო ვაჭრობაში რეკლამის თავისებურებანი	254
§ 6. რეკლამის ორგანიზაცია და დაგეგმვა	255
თ ა ვ ი XIII. სასაქონლო საწარმოები	263
§ 1. საწყობების როლი და ფუნქციები	263
§ 2. სასაქონლო საწყობების სახეები და ტიპები	265
§ 3. სასაწყობო მეურნეობის მდგომარეობა და განვითარების გზები	271
თ ა ვ ი XIV. საწარმოები რეაბილიტაციის და ტექნოლოგიური პროცესების ორგანიზაციაში	281
§ 1. საწყობების მოწყობა და დაპროექტების საფუძველი	281
§ 2. საწყობების ტექნოლოგიური მოწყობილობა და მის ეფექტური გამოყენების პირობები	291
§ 3. რეაბილიტაციის და ტექნოლოგიური პროცესები საწყობებში	294
თ ა ვ ი XV. შრომის ორგანიზაცია საწარმოებში	304
§ 1. საწყობის აპარატის სტრუქტურა და მუშაკთა ფუნქციები	304
§ 2. საწყობის მუშაკთა შრომის ორგანიზაცია	307
§ 3. შრომის დაცვა და უსაფრთხოების ტექნიკა საწყობებში	311
თ ა ვ ი XVI. ტარის მუშაობის ორგანიზაცია	313
§ 1. ტარის როლი და მნიშვნელობა საქონელბრუნვაში	313
§ 2. ტარის კლასიფიკაცია	314
§ 3. ტარის ბრუნვის ორგანიზაცია	319
თ ა ვ ი XVII. საქონლის გადაზიდვებისა და სატრანსპორტო საშუალებების ორგანიზაცია	324
§ 1. საქონლის გადაზიდვების დაგეგმვა	325
§ 2. რეინფორსირებული საქონლის გადაზიდვის ორგანიზაცია	330
§ 3. წყლის ტრანსპორტით საქონლის გადაზიდვების ორგანიზაცია	336
§ 4. საპროტო ტრანსპორტით საქონლის გადაზიდვების ორგანიზაცია	339
§ 5. საავტომობილო ტრანსპორტით საქონლის გადაზიდვების ორგანიზაცია	341
§ 6. საქონლის კონტეინერებით გადაზიდვების ორგანიზაცია და საეპრო ორგანიზაციების სატრანსპორტო-საექსპედიციო მომსახურება	346
§ 7. ტვირთების გადაზიდვის ტარიფები	351
სარჩევ	362

გამობცემლობის რედაქტორი მ. ჭაჭანაშვილი
სამხატვრო რედაქტორი ი. ჩიქვინიძე

ტექნიკური რედაქტორი ფ. ბუღალაშვილი
კორექტორი ე. წერეთელი
სბ № 1029

გადაეცა წარმოებას 1984. 02. ხელმოწერილია დასაბეჭდად 18. 03. 87
საბეჭდო ქალაქი № 1. 60/90 1/16 პირობითი ნაბეჭდი |
თაბახი 23 სააღრ.-საგამომც. თაბახი 21.07.
ტირაჟი. 4000. შეკვეთის № 213
ფანსი 1 მან. 20 კპპ.